კ.რ. მაკკონელი, ს.ლ. ბრიუ

ეკონომიკა

პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა

ოთხ ტომად

მეოთხე ტომი

გამომცემლობა „სამშობლო“

19 თბილისი 97

სარედაქციო კოლეგია: პროფ. კ. ღურწკაია (თავმჯდომარე), პროფ. ო. მაღლაფერიძე, დოც.ზ. ჩქვანავა, დოც. ს.პავლიაშვილი, დოც. მ. ჯიქია, დოც. ვ. დათაშვილი, დოც. ზ. ლიპარტია, დოც. გ. გოგოლაძე უფ. მასწ. ა. გვარუკიძე, უფ. მასწ. ბ. კიწმარიშვილი, უფ. მასწ. ნ. ჩიკვილაძე
დოც.ო.ზარნაძე.

IV ტომის მთარგმნელი და პასუხისმგებელი რედაქტორი:
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი,საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

კარლო ღურწკაია

თავი ოცდამეთოთხმეტე

ანტიტრესტული კანონმდებლობა და რეგულირება

წინა თავებში მოტანილი იყო ორი ურთიერთსაპირისპირო მტკიცება.პირველი: 28-1 ცხრილში მოტანილის ანალოგიურ მრავალ ამერიკულ დარგს მნიშვნელოვანი მონოპოლიური ძალაუფლება გააჩნია. მეორე: ეკონომიკაში სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია კონტროლის საკვანძო მექანიზმის-კონკურენციის შენარჩუნებაში მდგომარეობს (თავი 6). სწორედ ეს წინააღმდეგობა გვაიძულებს დაწვრილებით განვიხილოთ, თუ როგორ წყვეტს სახელმწიფო მეწარმეობით მონოპოლიათა პრობლემას.

მოცემულ თავში შემდეგ საკითხებს განვიხილავთ. ზოგიერთი განმარტების გაცნობის შემდეგ, შევაჯამებთ მეწარმეობითი მონოპოლიის არსებობის სასურველობის შესახებ მიმდინარე პოლემიკას. ·ეპდგომ დავიწყებთ სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლას მეწარმეობითი პოლიტიკის მიმართ, ანტიტრესტული კანონმდებლობისა და დარგთა ეკონომიკური რეგულირების განხილვით, რომლებიც „ბუნებრივი მონოპოლიებია“. დაბოლოს, ახლახანს დაწყებულ სახელმწიფო რეგულირებას მრეწველობაში, რამაც საპირისპირო შეფასება გამოიწვია.

მსხვილი კომპანია და მონოპოლია

სანამ სამომხმარებლო მონოპოლიის მიმხრეთა და მოწინააღმ-დეგეთა მოსაზრებებს განვიხილავდეთ, მანამ ტერმინოლიგიაში უნდა გავერკვეთ.

26-ე თავში ჩვენ შევიმუშავეთ და გამოვიყენეთ მონოპოლიის ძალ'ხე მკაცრი განმარტება. <u>წმინდა</u> ანუ <u>აბსოლუტური</u> მონოპოლია, როგორც აღვნიშნეთ, ის დარგია, რომელიც ერთი ფირმისაგან შედგება, როდესაც უნიკალური პროდუქტი ერთი ფირმის მიერ იწარმოება, ვინაიდან დარგში შესვლა ბლოკირებულია გასა'ხდვ-რული დაბრკოლებებით. როდესაც მთელ ბა'ხარს ერთადერთი ფირმა აკონტროლებს, ადგილი აქვს წმინდა მონოპოლიას.

ამ თავში ჩვენ მისაღებად ჩავთვლიო "მონოპოლიის" ტერმინის გამოყენებას უფრო ფართო, ზოგადი სახით. ასეთი გაგებით, მ ე წ ა რ მ ე ო ბ ი თ მ ო ნ ო პ ო ლ ი ა ს ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი ფირმა ან ფირმათა მცირე რიცხვი მნიშვნელოვანი დარგის წარმოების განსაზღვრულ წილს აკონტროლებს. სხვა სიტყვებით, როცა ერთი ან ორი-სამი ფირმა განსაზღვრულ დარგში ბატონობს, იგი უფრო მაღალი ფასებისა და ეკონომიკური მოგების შენარჩუნებას იწვევს კონკურენტულთან შედარებით. ეს განმარტება, რომელიც ახლოსაა უმრავლესობის მიერ მონოპოლიის გაგებასთან, დარგთა მნიშვნელოვან რიცხვს მოიცავს, რომელთაც აქამდე "ოლიგოპოლიის"კატეგორიას მივაკუთვნებდით.

რა განსხვავებაა მეწარმეობით მონოპოლიასა და (როგორც ჩვენ იგი ეს-ესაა განვმარტეთ) მსხვილ კომპანიას შორის? ცნება "მ ს ხ ვ ი ლ ი მ ო ნ ო პ ო ლ ი ა" შეიძლება დახასიათდეს ან ფირმის წილით ბაზარზე მის მიერ წარმოებულ პროდუქტში, ან აბსოლუტური მაჩვენებლებით, ისეთებით, როგორიცაა მისი აქტივების, გაყიდვათა ან მოგებათა სიდიდე, დასაქმებულ მუშათა ან აქციონერთა რიცხვი. ფირმა იმავდროულად შეიძლება მსხვილი იყოს მთელი ბაზრის სიდიდის ოვალსაზრისით, მაგრამ მცირე, აბსოლუტური გამოხატულებით. ფირმა "უიპინგ ვოტერ ჯენერალ სტოპ-"ს შეუძლია თითქმის მთლიანად ბატონობდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქტთა ადგილობრივ ბაზარზე, მაგრამ, ამავე დროს უკიდურესად მცირე იყოს აბსოლუტური შეფასებით. პირიქით, ფირმა შეიძლება ძალზე მსხვილი იყოს აბსოლუტური გამოხატულებით, მაგრამ, მცირე, მთელ ბაზართან მიმართებაში. განსაკუთრებით მისაღებია ეს უცხოური კონკურენციის ბაზრებისათვის, მაგალითად, კომპანია "ზენიტ"-ტელევიზორების ამერიკული მწარმოებელი-მსხვილია გაყიდვათა რაოდენობით და დასაქმებით. მაგრამ "სონისთან" და სხვა უცხოურ მწარმოებლებთან შედარებით იგი საკმაოდ მცირეა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში აბსოლუტური და შეფარდებით სიდიდეები "ხელიხელჩაკიდებული მიდიან".აბსოლუტური სიდიდით მსხვილი ფირმა ძალზე ხშირად აკონტროლებს თავისი პროდუქტის ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს. ამრიგად, მართალია, ცნებები "მსხვილი კომპანია" და "მონოპოლია" არასავალდებულო სინონიმებია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი მართლაც ემთხვევიან ერთმანეთს.

ამ თავში "მეწარმეობითი მონოპოლიის"გამოყენებისას ჩვენ ვგულისხმობთ იმ დარგებს, რომლებშიც ფირმები მსხვილია აბსოლუტური მაჩვენებლებით და მთელი ბაზრის მიმართ კი შეფარდებით. ამის მაგალითია ელექტრომოწყობილობათა წარმოება, სადაც "ჯენე-

რალ ელექტრიკი“ და “ვესტინგსჰაუს“-ი ნებისმიერი აბსოლუტური კრიტერიუმით მსხვილი ფირმები-ბატონობენ ბაზარზე; სააგრეგომობილო მრეწველობა, სადაც ანალოგიური მდგომარეობა უჭირავთ “ჯენერალ მოტორზ“-ს,“ფორდს“ და“ კრაისლერს“;ქიმიური მრეწველობა, რომელშიც დომინირებენ “დიუპონი“,“უნიონ კარბაიდი“ და“ ელაიდ ქემიქლ“; ალუმინის მრეწველობა, რომელშიც განუყოფლად ბატონობს სამი გიგანტი “ალკოა“,“რეინოლდზი“ და “კაიზერი“; სიგარეტების წარმოება სადაც სამი გიგანტური ფირმა, “რ.ჯ. რეინოლდზი“,“ფილიპ მორისი“ და“ ბრაუნი და ვილიამსონი“ აკონტროლებენ ამ გიგანტური ბაზრის ლომის წილს.

მეწარმეობითი მონოპოლია: სიკეთე თუ ბოროტება?

სრულიად გაურკვეველია, მეწარმეობითი მონოპოლიები საბოლოო ანგარიშში მავნეა თუ სასარგებლო, ამერიკული ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის.

მეწარმეობითი მონოპოლიის საწინააღმდეგო არგუმენტები

მონოპოლიისა და ოლიგოპოლიის საწინააღმდეგო არგუმენტები გადმოცემული იყო 26-ე და 28-ე თავებში. მოდით, შევაჯამოთ და რამდენადმე განვავითაროთ ეს არგუმენტები.

1.რესურსების განაწილების არაეფექტიანობა.მონოპოლისტები და ოლიგოპოლიათა წარმომადგენლები შესაძლებლად და ხელსაყრელად თვლიან პროდუქციის გამოშვების შეხლუდვას და უფრო მაღალი ფასების დაწესებას კონკურენტულ საფუძველზე მისი ორგანიზების შემთხვევაში არსებულთან შედარებით. გაიხსენეთ, რომ წმინდა კონკურენციის პირობებში წარმოება ისეთ წერტილში იმყოფებოდა, სადაც P=MC (თავი 25).

ეს ტოლობა რესურსების ეფექტიან განაწილებას განაპირობებს ,ვინაიდან, პროდუქციის დამატებითი ერთეულის ღირებულება ან სარგებლობა საზოგადოებისათვის ფასით იზომება, მაშინ როცა ზღვრული ხარჯები ალტერნატიულ საქონელსა წარმოების დანახარჯებს ან ზარალს ასახავს. მოგების მაქსიმიზებით, მეწარმე-მონოპოლისტი ზღვრულ ხარჯებს უტოლებს არა ფასს, არამედ ზღვრულ შემოსავალს. იმ წერტილში, სადაც , MP=MC (ზმ=ზხ) ფასი ზღვრულ ხარჯებს გადააჭარბებს (იხ.ნახ.26-3 და 30-ე თავის

„ბოლო შტრიხის“ სქემით), მონოპოლიზებული პროდუქტის წარმოებაში რესურსების დაუბანდებლობაზე მინიშნებით. შედეგად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა ნაკლებია, ვიდრე წმინდა კონკურენციის პირობებში.

2.არაპროგრესულობა. კრიტიკოსები თვლიან, რომ მეწარმეობითი მონოპოლია არა თუ არაა წარმოების მასშტაბებით განპირობებული ეკონომიის აუცილებელი ფაქტორი, არამედ ხელსაც არ უწყობს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ემპირიული გამოკვლევები მოწმობენ, რომ, თუ დამმუშავებელ დარგთა დიდ უმრავლესობაში წარმოების მასშტაბებთან დაკავშირებული ეკონომიის მისაღწევად სრულებითაც არაა საჭირო იქ მომუშავე ფირმათა მკირერიცხოვნება, დარგთა უმრავლესობაში ფირმებმა უნდა მოიცვან მთელი ბაზრის მხოლოდ უმნიშვნელო წილი, ხშირ შემთხვევაში მთელი მოცულობის 2 ან 3%, წარმოების დაბალი დანახარჯებით განსახორციელებლად. მონოპოლია არაა წარმოებითი ეფექტიანობის აუცილებელი წანამძღვარი[1] უფრო მეტიც, ტექნოლოგიური ეფექტიანობის საფუძველია არა ფირმა, არამედ ცალკეული საწარმო. ამრიგად, სავსებით მართებულია მტკიცება, რომ წარმოებითი ეფექტიანობა მოითხოვს, ვთქვათ, ავტომანქანების მსხვილმასშტაბიან კომპლექსურ წარმოებას საწარმოს ფარგლებში. მაგრამ ასევე სამართლიანია, რომ არ არსებობს ტექნოლოგიური გამარჯვება “ჯენერალ მოტორზ“-ისა, რომელიც არსებითად რიგი გეოგრაფიულად განცალკევებული საწარმოებისაგან შემდგარი გიგანტური კორპორაციაა. მოკლედ რომ ვთქვათ, მრავალმა მონოპოლიამ რამდენადმე უფრო დიდ მასშტაბს მიაღწია და უფრო განტოტვილი სტრუქტურა გააჩნია, ვიდრე მასშტაბის ეფექტის მისაღწევადაა აუცილებელი.

მნიშვნელოვანი მონოპოლიური ძალაუფლების უზარმაზარ კორპორაციაია არსებობასა დამოკიდებული როდია მეცნიეულ-ტექნიკური პროგრესი. როგორც ამტკიცებენ (შესაძლოა დავუბრუნდეთ 28-ე თავის დამამთავრებელ გვერდებს), ფაქტები არ ადასტურებენ მოსაზრებას, რომ დიდი მასშტაბი და საბაზრო ძალაუფლება მჭიდრო კავშირშია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. მართლაც, მეწარმე-

---

1.F.M.Scherer.Allan Beckenstein.Erich Kaufer.R.D.Murphy.The Economics of Multi-Plant Operation:An International Comparisons Study.Cambridge.Mass.:-Harvard University Press.1975.გვ.80

მონოპოლისტის დაცული მდგომარეობა არაეფექტიანობასა და უმოქმედობას წარმოშობს. მასში არ არსებობს წარმოებითი ეფექტიანობის კონკურენტული სტიმული. უფრო მეტიც, მონოპოლისტ-მეწარმეებს ტექნიკური გაუმჯობესებებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია გააჩნიათ, რომელიც არსებული მანქანა-მოწყობილობების სწრაფი მორალური გაცვეთა ან გაუმჯობესებათა შეფერხება შეუძლიათ.

3.შემოსავლების უთანაბრობა. მონოპოლიას ასევე აკრიტიკებენ, როგორც შემოსავლების უთანაბრობის ხელშემწყობ ფაქტორს. დარგში შესვლის დაბრკოლებათა წყალობით მონოპოლისტს აშუალო დანახარჯებზე მაღალი ფასის და შესაბამისი ეკონომიკური მოგების მიღება შეუძლია. ამ მოგებას აქციონერები და კორპორაციათა ხელმძღვანელები ითვისებენ, რომლებიც, როგორც წესი,ყველაზე მაღალშემოსავლიან პირთა ჯგუფებია.

4.პოლიტიკური საშიშროებანი. უკანასკნელი კრიტიკული შენიშვნა იმ ვარაუდს ემყარება, რომ ეკონომიკური ძალაუფლება და პოლიტიკური ზეგავლენა ხელიხელჩაკიდებული მიდიან. მიღებულია, რომ გიგანტური მონოპოლიები არაუფლებამოსილ ზეგავლენას ახდენენ მთავრობაზე, და ეს კანონმდებლობასა და სამთავრობო პოლიტიკაში აისახება, რომლებიც ხელს უწყობენ არა საზოგადოებრივ ინტერესებს, არამედ, მეტადრე, ამ მრეწველური გიგანტების შენარჩუნებასა და ზრდას. როგორც ამტკიცებენ, მსხვილი კომპანიები პოლიტიკურ ძალაუფლებას იმისათვის იყენებდნენ, რომ ეკონომიკური სარგებლობის ძირითადი მიღებები ყოფილიყვნენ წარმოების კონტრაქტებისაგან და სამხედრო პროდუქციის მიწოდებისაგან, საგადასახადო თავდასაცვრენების, საპატენტო პოლიტიკის, პროტექციონისტული ტარიფების, ქვოტების და მრავალი სხვა სუბსიდიებისა და.პრივილეგიებისაგან. გაიხსენეთ ჩვენი საქმიანობის ანალიზი 33-ე თავში, რაც რენტის მიღებაზეა მიმართული.

მეწარმეობითი მონოპოლიის გამართლებები

არსებობს მნიშვნელოვანი არგუმენტები მეწარმეობითი მონოპოლიის გასამართლებლადაც.

1.საუკეთესო ხარისხის პროდუქტები. მეწარმეობითი მონოპოლიის ერთ-ერთი გამართლებაა ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება, უკეთესი ხარისხის პროდუქტების მიწოდებით. მეწარმე-მონოპოლისტები მომხმარებლებს არ აიძულებენ შეიძინონ, ვთქვათ," კოლგეიტის" ან "კრესტის" კბილის პასტა,"კოკა-კოლას" ან "პეპსის" უალკოჰოლო სასმელები "," იბმ"-ის დიდი კომპიუტერები ჰეინეკის კეტჩუპი ან კემპბელის სუპი. მომხმარებლებმა თვითონ მიიღეს

კოლექტიური გადაწყვეტილება, რომ ეს პროდუქტები სხვების მიწოდებულზე უკეთესია. მაშასადამე, ზოგიერთი თვლის, რომ მონოპოლიური მოგებები და დიდი საბაზრო წილი "გამომუშავებულ იქნა" უკეთესი შესრულების წყალობით.

2.კონკურენციის შეუფასებლობა.მეწარმეობითი მონოპოლიის მეორე სასარგებლო არგუმენტი ისაა, რომ ეკონომისტები კონკურენციას ძალზე ვიწროდ იხილავენ.მაგალითად:მართალია, მოცემული პროდუქტის მწარმოებელი ფირმები შეიძლება მხოლოდ რამოდენიმეა, მაგრამ ისინი შეიძლება დარგთაშორის კონკურენციას წააწყდნენ. ე.ი. მათ შეიძლება კონკურენცია იგრძნონ იმ მწარმოებლებისაგან, რომელთა საქონელი მოცემულ ფირმათა პროდუქციისაგან განსხვავდება, მაგრამ მათი შეცვლის უნარი გააჩნიათ. ის გარემოება, რომ ქვეყანაში ალუმინის გამოშვებაზე ერთი მუჭა ფირმებია პასუხისმგებლები, ალბათ წარმოდგენას იძლევა ფოლადის, სპილენძის, ხის, პლასტმასისა და მრავალი სხვა პროდუქტების მხრივ კონკურენციის შესახებ, რომელთაც ალუმინი აწყდება სპეციალურ ბაზარზე. მხედველობაში უცხოური კონკურენ-ციაც უნდა იქნას მიღებული. მაშინ, როცა ავტომანქანების სამამულო წარმოებაში "ჯენერალ მოტორზ"-ი ბატონობს, იმპორტის მხრივ მხარდი კონკურენცია ხლუდავს მის გადაწყვეტილებებს ფასწარმოქმნისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრის სფეროში. უფრო მეტიც, დიდი მოგებები, რასაც მონოპოლისტი თავისი საბაზრო ძალაუფლების სრული გამოყენების შედეგად იღებს, სტიმულია პოტენციური კონკურენტებისათვის, დარგში მათ შესასვლელად. სხვანაირად რომ ვთქვათ,საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმებზე დღეისათვის პოტენციური კონკურენცია ზემოქმედებს, როგორც შემაფერხებელი ფაქტორი მათ მიერ ფასებისა და წარმოების მოცულობის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

3.მასშტაბის ეფექტი.იქ სადაც მაღალპროგრესული ტექნოლოგია გამოიყენება, მხოლოდ მსხვილ მწარმოებლებს-მსხვილ ფირმებს აბსოლუტური სიდიდით და ბაზრის თვალსაზრისითაც-შეუძლიათ დაბალი დანახარჯების მიღწევა პროდუქციის ერთეულზე და ამიტომ მომხმარებლებისათვის შედარებით მაღალ ფასებში მისი მიყიდვა. ტრადიციული არგუმენტი მონოპოლიის საწინააღმდეგოდ, რომ მონოპოლია ნაკლებ გამოშვებას, უფრო მაღალ ფასებს და რესურსების არაეფექტიან განაწილებას გულისხმობს, იმას ნიშნავს, რომ ეკონომია დახარჯებში ერთნაირად ხელმისაწვდომი იყოს, როგორც მაღალკონკურენტულ, ისე მთლიანად მონოპოლიზებულ დარგებში. მართლაც, ხშირ შემთხვევაში საქმე ასე რიდია; მასშტაბის ეფექტი ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, თუ კონკურენცია მრავალი ფირმის თვალსაზრისით არ არსებობს.

4.მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.გაიხსენეთ 28-ე თავში მოტანილი შუმპეტერ-გალბრეიტის პოზიცია, რომლის მიხედვითაც მონოპოლიზებული დარგები, განსაკუთრებით სამ- და ოთხფირმიანი ოლიგოპოლიები, ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალ ტემპებს. ოლიგოპოლიურ ფირმებს ფინანსური რესურსებიც და სტიმულიც გააჩნიათ ტექნოლოგიური გამოკვლევებისათვის.

ანტიტრესტული კანონები

მეწარმეობითი მონოპოლიის შედარებით ღირსებებზე აზრთა მწვავე შეჯახებების გათვალისწინებით გასაკვირი როდია, რომ მათ მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა შორს იყოს მკაფიობისა და თანმიმდევრულობისაგან. მართალია ფედერალურ კანონმდებლობაში და პოლიტიკაში ძირითადი აქცენტი კონკურენციის შენარჩუნებასა და წახალისებაზე კეთდებოდა, მაგრამ მოგვიანებით ჩვენ განსახღვრულ პოლიტიკას და აქტებს განვიხილავთ, რომლებიც ხელს უწყობდნენ მონოპოლიის განვითარებას.

ისტორიული წანამძღვრები

ისტორიულად, თავისუფალი, კონკურენტული ბაზრების ფილოსოფიით ნასაზრდოები ამერიკული ეკონომიკა, ნოყიერი ნიადაგია მეწარმეობითი მონოპოლიებისადმი საზოგადოების საეჭვო და შიშით აღსავსე დამოკიდებულებების განვითარებისათვის. სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში მონოპოლიებისადმი ეს არც ისე აშკარა, პრინციპული უნდობლობა მთლიანად გაიფურჩნა სამოქალაქო ომის შემდგომ ათწლეულებში. ადგილობრივი ბაზრების ეროვნულში გადაზრდამ საერანსპორტო საშუალებათა სრულყოფის კვალობაზე, წარმოების მუდმივად მზარდმა მექანიზაციამ და საქმიანი საწარმოს აქციონერულმა ფორმამ, რაც სულ უფრო ფართოდ გავრცელდა, მძლავრი ზემოქმედება მოახდინეს "ტრესტების" ე.ი.მეწარმეობითი მონოპოლიის განვითარებაზე, 1870-იან და 1880-იან წლებში.ამ პერიოდში ტრესტები ვითარდებოდნენ ნავთობის მრეწველობაში, დაკონსერვებული ხორცის წარმოებაში, რკინიგზებზე,შაქრის, ტყვიის,ქვანახშირის,ვისკის,თამბაქოს წარმოებაში და სხვა დარგებში. გარდა იმისა, რომ სხვადასხვა დარგების მონოპოლიზაციის პროცესში საეჭვო ტაქტიკა გამოიყენებოდა, ბაზარზე ამის შედეგად მიღებული ძალაუფლებაც მუდმივად იმით საზიანოდ გამოიყენებოდა, ვისაც საქმე ჰქონდა ამ მონოპოლიებთან. ფერმერებმა და მცირე საწარმოებმა, რომელთათვისაც

გიგანტური აქციონერული მონოპოლიების ზრდა არც ისე სასურველი იყო, პირველებმა დაგმეს მათი საქმიანობა. მოქმედებლები და პროფკავშირები მათ რიდი ჩამორჩნენ მონოპოლიური ბატონობისადმი თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვაში. ზოგიერთი დარგი განვითარების ასეთ პირობებში, როცა საბაზრო ძალები მეტად ვერ უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივად მოსათმენი წესრიგის კონტროლს, მიღებულ იქნა კონტროლის ორი ხერხი, რომელიც ცვლიდა ან ავსებდა ბაზარს. ვერ-ერთი, იმ ადგილ ბაზრებზე, სადაც საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების შემაფერხებელი ეკონომიკური სიდგომარეობა ჩამოყალიბდა, იქ სადაც "ბუნებრივი მონოპოლიის" ტენდენცია არსებობდა, ეკონომიკური ქცევისადმი კონტროლის მარეგულირებელი საზოგადოებრივი ორგანოები შეიქმნა. მეორე, სხვა ბაზრების უმეტესობაზე, სადაც ეკონომიკური და ტექნიკური პირობების გამო მონოპოლია განუყოფელ ელემენტად ვერ იქცა, საზოგადოებრივმა კონტროლმა ანტიმონოპოლიური ანუ ანტიტრესტული კანონმდებლობის ფორმა მიიღო, რაც მონოპოლიის განვითარების შეფერხების ან თავიდან აცილებისათვის იყო გამიზნული. მოდით, თავიდან განვიხილოთ ანტიტრესტული კანონმდებლობის ძირითადი ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა შესწორებებით სრულყოფილი და შევსებულები-ქვეყნის ძირითად კანონს წარმოადგენს, რაც კორპორაციათა სიდიდეს და კონცენტრაციის დონეს შეეხება.

შერმანის 1890წ.კანონი

ტრესტების მწვავე საზოგადოებრივი გულისწყრომის კულმინაცია გახდა შ ე რ მ ა ნ ი ს ანტიტრესტული კ ა ნ ო ნ ი ს მიღება 1890 წელს. ანტიტრესტული კანონმდებლობის ეს ქვაკუთხედი შედგენილ იქნა საოცრად მოკლედ და, ერთი სიტყვით, პირდაპირ საქმის არსს გამოხატავდა. კანონის შინაარსი ორ ძირითად პუნქტშია მოთავსებული.

პირველ პარაგრაფში:

> ნებისმიერი შეთანხმება, გაერთიანება, ტრესტის ან სხვა ფორმით, ან საიდუმლო მოლაპარაკება, რომლის მიზანია წარმოების ან ვაჭრობის შეზღუდვა რამდენიმე შტატს, ან უცხოურ სახელმწიფოს შორის, ამით უკანონოდ ითვლება.

მეორე პარაგრაფში:

> ნებისმიერი პირი,რომელიც მონოპოლიზებული იქნება ან შეეცდება მონოპოლიზებას ან გაერთიანებას ან მოლაპარაკებას რომელიმე პირთან ან პირებთან წარმოების ან ვაჭრობის რაიმე ნაწილის მონოპოლიზებისათვის, რამდენიმე შტატს ან უცხოურ სახელმწიფოს შორის,დამნაშავედ იქნება ცნობილი...

ამ კანონის მიღების შედეგია მონოპოლიისა და "ვაჭრობის შეხლუდვების "გადაქცევა-მაგალითად, ფასწარმოქმნისა და კონკურენტებს შორის ბაზრის განაწილების სფეროში საიდუმლო მოლაპარაკებებად-ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულებებში. შერმანის კანონის მიხედვით, როგორც იუსტიციის სამინისტროს, ისე მეწარმეობითი მონოპოლიისაგან დაზარალებულ მხარეებს შეეძლოთ მათთვის სარჩელის წარდგენა. კანონის დარღვევაში შემჩნეული ფირმები სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაუქმებულიყო; ან ‘ეიძლებოდა სასამართლო განჩინების გამოტანა, რომლებიც საქმიანობის იმ სახეობებს კრძალავდნენ, რაც მოცემული აქტით უკანონოდ ცხადდებოდა .სასარჩელო მოთხოვნათა წარმატებული დაცვის შედეგი შეიძლება ჯარიმები და თავისუფლების აღკვეთაც კი ყოფილიყო. შემდგომ, უკანონო გაერთიანებებს ან საიდუმლო შეთქმულებათა შედეგად დაზარალებულ მხარეებს შეეძლოთ სარჩელი წარედგინათ მათთვის მიყენებული ზარალის სამმაგი ანაზღაურების შესახებ. გეგონებოდათ, რომ შერმანის კანონი მტკიცე საფუძველს უქმნიდა მთავრობის ურყევ მოქმედებას-მეწარმეობით მონოპოლიათა წინააღმდეგ.

მაგრამ შერმანის კანონის პირველმა სასამართლო განმარტებებმა მისი ეფექტიანობის სერიოზული საკითხები გამოავლინა, და ნათელი გახდა,რომ საჭიროა მთავრობის ანტიტრესტულ განწყობილებათა უფრო ზუსტი ფორმულირება. მართლაც,საქმიანი საზოგადოება თვითონ ცდილობდა იმის უფრო მკაფიო ფორმულირებას, რაც კანონიერი ან არაკანონიერია.

კლეიტონის 1914 წ.კანონი

შერმანის კანონის აუცილებელმა დაზუსტებამ კ ლ ე ი ტ ო ნ ი ს 1914წ.კ ა ნ ო ნ ი ს ფორმა მიიღო. კლეიტონის კანონის შემდეგ პარაგრაფებს უნდა გაეძლიერებინათ და დაეზუსტებინათ შერმანის კანონი.

პარაგრაფი მეორე <u>უკანონოდ აცხადებს მყიდველთა საფასო დისკრიმინაციას</u>, როცა ასეთი დისკრიმინაცია გამართლებული არაა დანახარჯების განსხვავებით. პარაგრაფი მესამე <u>კრძალავს განსაკუთრებულ</u> ანუ "ი ძ უ ლ ე ბ ი ო" შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ე ბ ს, რომელთა თანახმადაც მწარმოებელი რაიმე საქონელს მიყიდდა მყიდველს იმ პირობით, რომ უკანასკნელი სხვა საქონელსაც იგივე გამყიდველთან შეიძენდა და არა კონკურენტებთან.

მეშვიდე პარაგრაფი კრძალავს კონკურენტი კორპორაციების აქციების შეძენას, თუ კი იგი კონკურენციას შეასუსტებს.

მერვე პარაგრაფი კრძალავს ურთიერთგადახლართვად დირექტორატო ფორმირებას-როცა ერთი ფირმის ხელმძღვანელი ამავე დროს კონკურენტი ფირმის გამგეობის წევრია-მსხვილ კორპორაციაში, სადაც შედეგი კონკურენციის შემცირება იქნებოდა.

ფაქტობრივად კლეიტონის კანონში ცოტა რამ იყო ისეთი, რაც შერმანის კანონში არ იგულისხმებოდა. კლეიტონის კანონი-შერმანის კანონის ზოგად დებულებებზე ყურადღების გამახვილება და მათი ახსნა-განმარტებაა. უფრო მეტიც, კლეიტონის კანონი უკანონოდ აცხადებს იმ ხერხებს, რომლითაც მონოპოლიას შეეძლო განვითარება და ამ გაგებით გამაფრთხილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა. შერმანის კანონი, პირიქით, უმეტესწილად არსებული მონოპოლიების დასჯას ითვალისწინებდა.

ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ1914 წ.კანონი

ამ საკანონმდებლო აქტით შეიქმნა ხუთკაციანი ფედერალური სავაჭრო კომისია (ფსკ). და მას დაეკისრა ანტიტრესტული კანონებისა და განსაკუთრებით კლეიტონის კანონის (ახორვრებაში გატარების პასუხისმგებლობა. მთავრობის მიერ ფსკ-ს უფლება ჰქონდა მიკემული, გამოეძია არაპატიოსანი კონკურენტული ქმედებანი საკუთარი ინიციატივით ან დაზარალებული ფირმის მოთხოვნით. კომისიას შეეძლო ასეთი სარჩელის საჯარო განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ამკრძალავი განჩინების გამოტანა თუ კი გაიხსნებოდა "კონკურენციის არაპატიოსანი მეთოდები კომერციულ საქმიანობაში".

უილერ-ლის 1938 წ.კანონმა ფსკ-ს დამატებითი პასუხისმგებლობა დააკისრა "ვაჭრობაში შეცდომაში შემყვანი ქცევის თუ ქმედებისადმი" კონტროლის განხორციელებაში. ამის შედეგად ფსკ-მ საკუთარ თავზე აიღო მოსახლეობის დაცვაც ცრუ ან შეცდომაში შემყვანი რეკლამისაგან და პროდუქტების ხარისხის შესახებ დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდებისაგან.[1]

1.ამ მიმოხილველი თემის შესასწავლად ისარგებლეთ ნაშრომით: F. Greer Industrial Organisation and Public Policy. 2d ed.New York: Macmillan Publishing Company. Inc.. 1984.თავი მე-16

ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ კანონს ორმაგი მნიშვნელობა აქვს:1) ამ აქტმა გააფართოვა უკანონო საქმიანი ქცევის დიაპაზონი და 2) დამოუკიდებელი ანტიტრესტულ ორგანოს მან გამოძიებისა და სასამართლო საქმეთა აღძვრის უფლებამოსილება მისცა.

სელერ-კეფოვერის 1950 წ.კანონი

ამ კანონმა შესწორება შეიტანა კლეიტონის კანონის მე-7 პარაგრაფში, რომელიც ფირმას კონკურენტთა აქციის შეძენას უკრძალავდა, თუ კი იგი კონკურენციას შეასუსტებდა. ფირმებს შეეძლოთ გვერდი აეევლოთ მე-7 პარაგრაფისათვის კონკურენტი ფირმების აქტივების (ძირითადი წარმოებითი ფონდების და მოწყობილობების) ნივთობრივი ელემენტების და არა მათი აქციების შეძენის გზით. სელერ-კეფოვერის კანონმა დახურა ეს თავდასაძვრენი ერთი ფირმისთვის მეორის აქტივების ნივთობრივი ელემენტების შეძენის აკრძალვით, რიცა ამის შედეგად კონკურენცია სუსტდებოდა.

ანტიტრესტული კანონმდებლობა: შედეგები და ზეგავლენა

რა ძირითადი პირობები წარმოიშობა ანტიტრესტული კანონების განმარტებისა და გამოყენების დროს? და როგორია ანტიტრესტული კანონმდებლობის საერთო შედეგი ან ზეგავლენა?

ყოველი კანონის ქმედითობა დამოკიდებულია იმ გაბედულებაზე, რითაც მას სახელმწიფო აპარეტს ცხოვრებაში და იმისაგან, თუ როგორ განმარტება კანონი სასამართლოთა მიერ. პრაქტიკაში, ფედერალური მთავრობის მიერ კანონის გამოყენებისადმი მიდგომამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა .ადმინისტრაცია, რომელიც მეწარმეობითი მონოპოლიის მიმართ ნაურევლობის ფილოსოფიით ხელმძღვანელობდა, ზოგიერთ შემთხვევაში არსს აცლიდა კანონებს, მათი უბრალო უგულებელყოფით ან კანონების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოებისათვის ბიუჯეტურ ასიგნებათა შეკვეცით. ამის მსგავსად, სასამართლოებიც აქტიურად ან უფრო "ცივად" ეკიდებოდნენ ანტიტრესტული კანონების განმარტებას. დროდადრო სასამართლოები გაბედულად იყენებდნენ მათ, ამ კანონების ზუსტი დაცვით. სხვა შემთხვევებში სასამართლოები კანონს ისე განმარტავდნენ, რომ ყველას ისინი დამახინჯებულად გამოიყენებინა. ამის გათვალისწინებით,

განვიხილოთ ორი მთავარი სადაო საკითხი, რაც ანტიტრესტულ კანონთა განმარტებისას წარმოიშობა.

ქცევა თუ სტრუქტურა?

ორი გახმაურებული სასამართლო გადაწყვეტილების შედარება გვიჩვენებს ორ განსხვავებულ მიდგომას ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენების მიმართ. 1920 წელს **"იუ. ს. სტილის"** "საქმეში"სასამართლოებმა გამოიყენეს **გ ო ნ ი ვ რ უ ლ ი მ ი დ გ ო - მ ი ს წ ე ს ი**, რომელიც არსებითად უკანონოდ აცხადებდა არა ყველა მონოპოლიას. მათ შორის მხოლოდ ისინი ექვემდებარებიან სასამართლოთა მიერ ანტიტრესტულ დევნას, რომლებიც "მეტისმეტად" ხლუდავენ ვაჭრობას. ამ საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ თავისთავად სიდიდე არაა სამართალდარღვევა; მართალია "იუ.სს.ტილი", უდაოდ მონოპოლისტურ ძალაუფლებას ფლობდა, მაგრამ იგი უდანაშაულოდ ცნეს, რამდენადაც, ამ ძალაუფლების მოპოვებისას მას არ გამოუყენებია უკანონო ქმედებანი, რომლებიც კონკურენტების წინააღმდეგ იყო მიმართული და თავისი მონოპოლიური ძალაუფლება ზომაზე მეტად არ გამოუყენებია.

მეოთხეს საუკუნის შემდეგ,"ალკოას" "საქმეში" 1945წ. სასამართლოებმა შეიცვალეს პოზიცია. სასამართლომ ცნო, რომ: მიუხედავად იმისა, ფირმის ქცევა შეიძლება კანონიერიც იყოს, მონოპოლიური ძალაუფლების უბრალო ფლობა ("ალკოა"ფლობდა ალუმინის ყალიბების ბაზრის 90%-ს) ანტიკონკურენტული კანონების დარღვევაა.

ეს ორი საქმე მოწმობს ანტიტრესტულ პოლიტიკაში გაჭიანურებულ უთანმიმდევრობას. შეიძლება თუ არა დარგის შესახებ კიმეულოთ <u>მისი ქცევის</u> მიხედვით (როგორც "იუ. ს. სტილის" საქმეში) ან <u>მისი სტრუქტურით</u> (როგორც "ალკოას" საქმეში)? "სტრუქტურალისტები" ამტკიცებენ, რომ მონოპოლისტური სტრუქტურის დარგი, მონოპოლისტიური მოიქცევა. მაშასადამე, მონოპოლისტური სტრუქტურის დარგების ეკონომიკური ქმედებანი აუცილებლად არასასურველი იქნება. ასეთი დარგები ამის გამო არიან ანტიტრესტული სარჩელის კანონიერი სამიზნეები. მეორეს მხრივ, როგორც "ბიჰევიორისტები"[1] აცხადებენ, კავშირი სტრუქტურასა და ქმედებას შორის ძალზე ფაქიზი და ბუნდოვანია. ისინი

1.ბიჰევიორიზმი-ამერიკული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა.რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და რისელმაც ფსიქოლოგიიდან ამოიღო ისეთი ცნებები.რიგორიცაა აზროვნება და ცნობიერება.იგი ფსიქოლოგიას საგად მიიჩნევს ქცევის.რიგორც სტიმულსე ჩინდა ფიზიოლოგიურ რეაქციის.

მიიჩნევენ, რომ მონოპოლისტური დარგი შეიძლება ტექნოლოგიურად პროგრესული და შესაშური რეპუტაციის იყოს, რომლის მიერ მიწოდებული პროდუქტების ხარისხი იზრდება, მისაღებ ფასებში. ამიტომ, თუ დარგი სახლ-გადოებას კარგად ემსახურებოდა და ანტიკონკურენტულ საქმიანობას არ ეწეოდა, იგი შეიძლება არ დაგვედანაშაულებინა ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევაში, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მაღალკონცენტრირებულია. რატომ გამოვიყენოთ ანტიტრესტული კანონმდებლობა ეფექტიანად მომუშავე, კარგად მართვადი ფირმების დასასჯელად?

„ალკოას" საქმის გამო მიღებული გადაწყვეტილების დროიდან (1945 წ.) სასამართლოში ისევ გონივრული მიდგომის წესს ემხრობიან. ანტიტრესტული შეხედულებისა და ცხოვრებაში მათი გატარებისათვის პასუხისმგებელ ეკონომისტთა საერთო განწყობილება,ასევე სტრუქტურალური თვალსაზრისისაკენ გადაიხარა. მაგალითად, 1982 წელს მთავრობამ შეწყვიტა 13 წელს გაჭიანურებული სასამართლო საქმე იბმ-ის მონოპოლიზაციის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ იგი დაუსაბუთებლად როდი ხლუდავდა ვაჭრობას.

ბაზრის განმარტება

სასამართლო გადაწყვეტილებები, არსებული საბაზრო ძალაუფლების შესახებ, ხშირ შემთხვევაში ბაზარზე გაბატონებული ფირმის ხვედრი წილის საკითხის გარშემო ტრიალებს. თუ ბაზარი ფართოდ განისაზღვრება, მაშინ ფირმის საბაზრო წილი დიდი იქნება. პირიქით, თუ ბაზარი ვიწრო გაგებით განიხილება, საბაზრო წილი დიდი იქნება. სასამართლოსათვის ძალზე მძიმეა ცალკეული პროდუქტის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა.მაგალითად,"დიუპონის" "ცელოფანის საქმეში"1956 წელს მთავრობა ამტკიცებდა, რომ "დიუპონის"ეგუფი ლიცენზიასთან ერთად ცელოფანის ბაზრის 100%-ს ფლობდა. მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ ბაზარი ფართოდ განმარტა, რამაც საშუალება მისცა ცელოფანისთვის დაემატებია ყველა "ელასტიური შესაფუთი მასალები", ე.ი. გასანთლული ქაღალდი, ალუმინის ფოლგა და ა.შ. მაშასადამე, მიუხედავად "ცელოფანის ბაზარზე" "დიუპონის" სრული ბატონობისა, იგი აკონტროლებდა "ელასტიური შესაფუთი მასალების"ბაზრის მხოლოდ 20%-ს ,რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მონოპოლია არაა.

იყო თუ არა ქმედითი ანტიტრესტული კანონები? ეს ძნელი კითხვაა ,მაგრამ ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა კანონთა გამოყენების პრაქტიკა.

> ანტიტრესტული კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრად ეკიდება კოოპერაციასა და შერწყმას, იმავდროულად შემწყნარებელია რა არსებული კონცენტრაციის მიმართ .ამრიგად, ბაზრის 60%-ის მფლობელ ფირმას უფლება ეძლევა უწინდელი სახით იარსებოს ,ბაზრის 50-ზე მეტ პროცენტზე ფასების უმეტესწილად საკუთარი შეხედულებისაებრ დაწესებით. სხვათა შორის, სხვა ფირმებს არ შეუძლიათ შერწყმა ბაზრის თუნდაც 15%-ის შესაძენად. მათ არ შეუძლიათ გაერთიანება ასევე ბაზრის რაიმე ნაწილზე ფასების დასაწესებლად.[1]

საინტერესოა უფრო დაწვრილებით გავიგოთ, თუ როგორ გამოიყენებოდა ანტიტრესტული კანონები 1) არსებული საბაზრო სტრუქტურების, 2) შერწყმების და 3) ფასების ფიქსაციის მიმართ.

1.არსებული საბაზრო სტრუქტურები.როგორც მოტანილი ციტატა გვიჩვენებს, ანტიტრესტული კანონების არსებულ საბაზრო სტრუქტურებთან გამოყენება ლმობიერი იყო. საერთოდ რომ ვთქვათ, ფირმა სასამართლო წესით იდევნება, თუ კი იგი შესაბამისი ბაზრის 60%-ზე მეტს ფლობს და ფაქტები მოწმობენ, რომ ფირმა ბოროტგანზრახვით იქცეოდა თავისი საბაზრო ბატონობის მიღწევისა ან შენარჩუნებისათვის. ამასწინანდელ ყველაზე ღირსშესანიშნავ "გამარჯვებას" არსებულ საბაზრო სტრუქტურაზე 1982 წ.,სასამართლოსგარეშე შეთანხმება წარმოადგენდა მთავრობასა და ატტ-ს შორის. 1974 წელს ატტ-ს ბრალად დაედო შერმანის კანონის დარღვევა,ანტიკონსტიტუციურ აქციათა განხორციელებით, რომელიც მის მიერ ქვეყნის შიგნით სატელეფონო კავშირგაბმულობის მონოპოლიის შენარჩუნებაზე იყო მიმართული. შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი იყო ატტ-საგან 22 რეგიონული სატელეფონო კომპანიის ჩამოცილება. 1980-იან წლებში, ამასთან, ფედერალურ მთავრობას არანაირი ანტიტრესტული სასამართლო სარჩელი არ წარუდგენია არსებულ საბაზრო სტრუქტურათა წინააღმდეგ.

2.შერწყმები. შერწყმისადმი დამოკიდებულება იცვლება შერწყმის ტიპებისაგან დამოკიდებულებით. მთავრობა,როგორც წესი , ანტიტრესტულ ღონისძიებებს ჰორიზონტალური შერწყმების ე.ი. ორი კონკურენტის,-ისეთის, როგორიცაა"ფორდი"და"კრაისლერი",შე-

---

1.William G.Shepherd.The Economics of Industrial Organization.2d ed.Englewood Cliffs N.J.:Prentice-Halle.Inc.,1985.გვ.347

რწყმის ფამო ღებულობს-ერთიდაიგივე ბაზარზე, იმ შემთხვევაში, თუ კი მათი ერთობლივი საბაზრო წილი 15%-ს გადააჭარბებს. მთავარი გამონაკლისი მაშინ კეთდება, როცა ერთ-ერთი შერწ-ყმადი ფირმა გაკოტრების ზღვარზეა. ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი შ ე - რ წ ყ მ ა -ისეთ ფირმათა შერწყმა, რომლებიც ერთი და იგივე დარგის წარმოებრივი პროცესის სხვადასხვა სტადიებზე სპეციალიზდებიან, ჩვეულებრივ არ დაიშვება თუ კი თითოეული ფირმა ფლობს შესაბამისი ბაზრის საერთო წილის 10 ან მეტ პროცენტს. მიზეზი ისაა, რომ ასეთი შერწყმა სხვა ფირმას თავისი პროდუქციის ფირმა-მიმდებლებზე გასალების შესაძლებლობას ართმევს. მაგალითად, 1949 წელს "დუპონმა" "ჯენერალ მოტორს"-ის აქციის საკონტროლო პაკეტი შეიძინა."ჯენერალ მოტორს"-ის შემდეგში "დუპონისაგან" იყიდა საღებავის თითქმის 2/3 და ქსოვილების ნახევარფაბრიკატების ავტომანქანების წარმოებაში გამოიყენებოდაამის შედეგად საღებავების და ქსოვილების სხვა მწარმოებლებს "ჯენერალ მოტორს"-ისათვის საკუთარი პროდუქციის მიყიდვის შესაძლებლობები წაერთვათ. სასამართლომ "დუპონსრომელიც, რომ ოფი დაენებებია "ჯენერალ მოტორს"-ის აქციებისათვის და ასევე ასევე ორ ფირმას შორის კ ო ნ გ ლ ო მ ე რ ა ტ უ ლ ი შ ე რ წ ყ მ ე ბ ი ერთი დარგის ფირმის მიერ მეორის ფირმის შეძენა-რომელიც კანონი არა აქვთ ამ დარგთან,როგორც წესი, ნებადართულია. მაშასადამე, თუკი სადაზღვევო კომპანია იძენს საავტომობილო ფირმას,შესაძლოა არანაირი ანტიტრესტული ლონისძიება არ იქნეს მიღებული,ვინაიდან, ამ შერწყმის შედეგად, ბაზარზე არც ერთ ფირმას არ გაუზრდია საკუთარი წილი.

3.ფასების ფიქსაცია. ფასების ფიქსაციას მკაცრად ეკიდებიან. თუნდაც შედარებით მცირე ფირმის ფასების ფიქსაციის ფაქტი ანტიტრესტულ სასამართლო სარჩელს გამოიწვევს, როგორც საიდუმლო შეთანხმებაზე დამყარებული სხვა ქმედებანი, ისეთი, როგორიცაა ბაზარზე გაყიდვის განაწილების გეგმები. ანტიტრესტული კანონის ენაზე ეს ქმედებანი განისაზღვრება, როგორც per se violations ,[1] ამ გაგებით ისინი გონივრული მიდგომის წესს არ ექვემდებარებიან. განარენის გამოსარკვანად, მოავრობამ ან ბრალდების წამომყენებელმა მხარემ უნდა უჩვენოს, რომ საიდუმლო შეთქმულებას ადგილი ჰქონდა ფასის დაწესების ან გაყიდვის განაწილების მიზნით, და არა ის, რომ საიდუმლო შეთანხმებამ მიზანს მიაღწია ან სერიოზული ზარალი მიაყენა მეორე მხარეს. მოავრობის გაბედულებას

1.ფაქტობრივი დარღვევები-რედ.შენიშვნა.

ფასების ფიქსაციის სასამართლო დევნის საქმეში ორი მთავარი შედეგი გააჩნია. ჯერ-ერთი ფასების ფიქსაცია დიდი საიდუმლოებითაა მოცული; იგი გასაიდუმლოებულ იქნა. მეორე, საიდუმლო შეთქმულებაზე დამყარებული საქმიანობა ახლა რამდენადმე ნაკლებად ფორმალიზებულია, გამოჩნდა ფასების დაწესების შესახებ ოფიციალურ შეთანხმებათა, ფასებში ლიდერობის და ფასწარმოქმნის ჩვეულებრივი ფორმულის, "დანახარჯები პლუს" (თავი 28) გამოყენების პრაქტიკით შეცვლის ტენდენცია.

ხახი უნდა გაესვას იმას, რომ ზემოთ მოტანილი ყველა მსჯელობა ფართო განზოგადებებს ემყარება. ყოველი კონკურენციული-ანტიტრესტული საქმე უნიკალურ გარემოებებთან არის დაკავშირებული, რომელთაც შეუძლიათ იგი გამონაკლისად აქციონ. მნიშვნელოვანია ასევე ხელახლა აღვნიშნოთ, რომ ანტიტრესტული კანონების განმარტების სიმკაცრე, არსებითად სხვადასხვა მთავრობის ხელში იცვლებოდა. რეიგანის ადმინისტრაციამ, მაგალითად, შემწყნარებლობა გამოიჩინა არსებული საბაზრო სტრუქტურებისა და შერწყმების მიმართ, იმავდროულად ფასების განსაზღვრული დონის დაწესების საკითხში "მკაცრი"პოზიციის დაჭერით. ძნელია იწინასწარმეტყველო კანონების გამოყენების ამ ტენდენციის შენარჩუნება დღევანდელი მთავრობის ადმინისტრაციის მიერ. მაგრამ იგივე ან უფრო მსხვილი უცხოური ფირმების მხრივ გაძლიერებადი კონკურენციის მხედველობაში მიღებით, არსებული განწყობილება საეჭვოა მიმართული იყოს მოქმედ სამამულო მეწარმეობით მონოპოლიათა გაუქმებისაკენ.

კონკურენციის შეზღუდვა

ანტიტრესტულ კანონთა შინაარსისა და მათი გამოყენების პრაქტიკის განხილვამ იმ დასკვნამდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ საერთავრობო პოლიტიკა თანმიმდევრულად პროკონკურენტულია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1) არსებობს გამონაკლისი ანტიტრეტული კანონმდებლობიდან და 2) სამთავრობო პოლიტიკის რიგი ღონისძიებები არბილებს კონკურენციას.

პროფკავშირები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები გამოყვანილ იქნენ-ზოგიერთი შენიშვნით-ანტიტრესტულ კანონიდან მოქმედებიდან. როგორც შემდგომ თავში დავინახავთ, ფედერალური კანონმდებლობისა და მთავრობის პოლიტიკაში გამოჩნდა მისწრაფება მონოპოლისტური ძალაუფლების გარკვეული ნაწილის სოფლის მეურნეობასე გადაცემისა და სასოფლო სამეურნეო ფასების კონკურენტულ დონეზე ზევით

შენარჩუნებისა. შემდეგი თავიდან ჩვენ ასევე გავიგებთ, რომ 1930 წლიდან ფედერალური კანონმდებლობა, რეგულირებული წესი, საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობდა ძლიერი პროფკავშირების განვითარებას. ამას ,ხოგიერთი ავტორიტეტული წყაროების თანახმად, შედეგად მოჰყვა პროფკავშირულ მონოპოლიათა განვითარება, რომელთა მიხანი ხელფასის კონკურენტულ დონეზე მაღალი განაკვეთების დაწესებაში მდგომარეობდა. ,ალკეული შტატისა და ადგილობრივ დონეზე პროფესიული ჯგუფების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ სავალდებულო მოთხოვნათა მიღებას მიაღწია, რომლებიც თვითსებურად ,ხლუდავდნენ საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში შესვლას, რითაც ხელფასსა და შემოსავლებს კონკურენტულ,ზე მაღალ დონე,ზე (თავი 30) ინარჩუნებენ.

ამერიკული ს ა პ ა ტ ენ ტ ო კ ა ნ ო ნ ე ბ ი, რომელთა შორის პირველი 1970 წელს იქნა მიღებული, მიმართულია ნოვატორებისათვის საკმარისი ფულადი სტიმულის უზრუნველყოფა,ზე, მათივის ახალი პროდუქტის ან მოწყობილობის წარმოებისა და გაყიდვის განსაკუთრებული უფლების მიცემით, 17 წლის განმავლობაში. საპატენტო მოწმობები ხელს უწყობს ნოვატორთა დაცვას კონკურენტებისგან, რომლებიც წინალმდეგ შემთხვევაში სწრაფად გადაიღებენ ამ ნაკეთობას და მონაწილეობას მიიღებენ მოგებაში, თუმცა მონაწილეობა არ მიუღია კვლევით მუშაობასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და ძალისხმევებში. ,ხოგიერთები დაკონებით მიუთითებენ ამერიკული საპატენტო კანონების ამ განსაკუთრებული თავისებურების დადებით როლ,ზე, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, რომ ნოვატორობას შეუძლია შეასუსტოს ან ძირი გამოუთხაროს მონოპოლიური ძალაუფლების არსებულ პოზიციებს. მაგრამ ხშირ შემთხვევაში პატენტის გაცემა მონოპოლიური ძალაუფლების უზრუნველყოფის ტოლფასია დაპატენტებული საგნის წარმოებაში. ,ხოგიერთი ეკონომისტი გრძნობს, რომ საპატენტო დაცვის ხანგრძლივობა-17 წელი-ძალ,ზე დიდია.

საპატენტო კანონების მნიშვნელობა მეწარმეობით მონოპოლიათა განვითარებისათვის მეტად დიდია. ,ისეთმა კარგად ,ცნობილმა ფირმებმა, როგორიცაა "დიუპონი","ჯენერალ ელექტრიკი","ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფი","ისტმენ კოდაკი","ალკოა"და სამრეწველო გიგანტთა სხვა დიდმა უმრავლესობამ მონოპოლიური ძალაუფლების სხვადასხვა დონეს ნაწილობრივ, იმით მიაღწიეს, რომ გარკვეული საპატენტო უფლებები გაანდეთ.[1]

1.ამ თემის უფრო დაწვრილებითი განხილვისათვის იხ: F. M. Scherer.Industrial Market Structure and Economic Performance. 2d ed. Chicago: Rand McNally & Company. 1980., თავი მე-16

მართალია, ჩვენ, რამდენადმე უნდა გადავდოთ ტარიფების დაწვრილებითი განხილვა ერთი ერთი შემდგომ თავამდე, მაგრამ აქ უნდა ვაღიარეთ, რომ ტარიფები და მსგავსი სავაჭრო დაბრკოლებები გამიზნულია ამერიკელ მეწარმეთა დასაცავად უცხოური კონკურენციისაგან. პროტექციონისტული ტარიფები, არსებითად დისკრიმინაციული გადასახდელებია უცხოურ ფირმათა საქონლისათვის. ეს გადასახადები აძნელებენ და ხშირ შემთხვევაში უცხოური მეწარმეებისთვის შეუძლებელს ხდიან კონკურენციას ამერიკულ ფირმებთან, მათს საშინაო ბაზრებზე. რაგორია შედეგი? ნაკლებადკონკურენტული სამამულო ბაზარი და საერთო ვითარება ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს სამამულო მეწარმეობით მონოპოლიათა განვითარებას.

ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება

ანტიტრესტული კანონმდებლობა იმ ვარაუდს ემყარება, რომ საზოგადოება სარგებელს ნახავს მონოპოლიის განვითარების შეფერხებით ან მონოპოლიის საქმიანობის შეწყვეტით იქ, სადაც იგი უკვე არსებობს .ჩვენ აქ განვიხილავთ განსაკუთრებულ შემთხვევას, როდესაც დარგის მონოპოლისტური მოწყობა ეკონომიკურად დასაბუთებულია.

ბუნებრივი მონოპოლია

ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი მ ო ნ ო პ ო ლ ი ა მაშინ არსებობს, როცა მასშტაბის ეფექტი იმდენად დიდია, რომ ერთ ფირმას შეუძლია მთელი ბაზრის მომარაგება, პროდუქციის ერთეულზე უფრო ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე რიგ კონკურენტულ ფირმებს ექნებოდათ. ასეთი პირობები დამახასიათებელია ე.წ. <u>საზოგადოებრივ სარგებლობის საწარმოებისათვის</u>, რომელთაც, კერძოდ, მიეკუთვნება ,ელექტრო-წყალ- და გაზით მომარაგების საწარმოები ,საკუნიკაციონო სამსახური და ა.შ. (თავი 26) ამ შემთხვევაში მასშტაბის ეფექტი პროდუქციის წარმოებასა და განაწილებაში იმდენად დიდია, რომ პროდუქციის ერთეულზე დაბალი დანახარჯებისა და დაბალი ფასების მისაღებად საჭიროა მსხვილმასშტაბიანი საქმიანობა (იხ. ნახ.24-9 ბ). ასეთ სიტუაციაში კონკურენცია, უბრალოდ არარეტაბელურია. თუ ბაზარი მრავალ მწარმოებელს შორის განაწილდება, მასშტაბის ეფექტი არ მიიღწევა,

დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე მაღალი იქნება და საჭირო გახდება მაღალი ფასები მათ დასაფარავად.

ბუნებრივი მონოპოლიის მხრივ საზოგადოებრივად მისაღები ქცევის უზრუნველყოფის შესაძლო საშუალებათა სახით მოცემულია ორი ალტერნატივა. ერთია სახელმწიფო საკუთრება, ხოლო მეორე-სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფო საკუთრება ან მისი ანალოგიური ფორმები ზოგიერთ შემთხვევებში შეიქმნა: ეროვნულ დონეზე შეიძლება გავიხსენოთ საფოსტო სამსახური, მდინარე ტენესის ხეობის მართვა და "ამტრაკი."[1]საზოგადოებრივი ტრანსპორტი, წყალმომარაგების სისტემები და ნაგვის შეგროვება ტიპიური საზოგადოებრივი საწარმოებია ადგილობრივ დონეზე. მაგრამ სახელმწიფო რეგულირება-ის ვარიანტია, რასაც უფრო ემხრობიან აშშ-ში.34-1 ცხრილში მოტანილია ძირითად მარეგულირებელ კომისიათა სია და ჩამოთვლილია მათი იურისდიქციის სფეროები. ყველა შტატს ასევე გააჩნია ისეთი მარეგულირებელი ორგანოებიც, რომლებიც დასაქმებულია მის ტერიტორიაზე განთავსებული ბუნებრივი მონოპოლიებით. რეგულირებად სექტორს შთამბეჭდავი სიდიდე გააჩნია; მიახლოებითი გაანგარიშებით ეეპ-ის თითქმის 10% რეგულირებადი დარგების მიერ იწარმოება.

ბუნებრივი მონოპოლიის შესახებ კანონმდებლობის მიზანი ხორცშესხმულია საზოგადოების ინტერესებისათვის რეგულირების თეორიაში. ეს თეორია მომხმარებელთა უზრუნველყოფას ითვალისწინებს ხარისხიანი მომსახურებით, მისაღებ ფასებში ,ასეთი დარგების საზოგადოების საკეთილდღეოდ რეგულირების მეშვეობით. ლოგიკური დასაბუთება შემდეგია:თუ კონკურენცია მოხერხებულია, უნდა შეიქმნას რეგულირებადი მონოპოლიები ,მონოპოლიური ხელისუფლების მიერ გაუკონტროლებელ, შესაძლო ბოროტმოქმედებათა თავიდან ასაცილებლად.კერძოდ, რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა მიერ წარმოების მასშტაბებით გამოწვეული, ე.ი.პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებით მიღებული ეკონომიისაგან სარგებლის მიღება (ეს ეკონომია მიიღწევა საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოთა მიერ,ბუნებრივი მონოპოლიის სახით მათი მდგომარეობის გამო). პრაქტიკაში, ის ვინც რეგულირებას ახორციელებს, ტარიფების დაწესებას ცდილობს, რაც წარმოების

1.ნახევრადსახელმწიფოებრივი კომპანია ქალაქებს შორის მგზავრთა გადაყვანის საქმეში.-რედ.

ცხრილი 34-1.მთავარი ფედერალური მარეგულირებელი კომისიები

კომისია (შექმნის წელი)	უფლებამოსილების სფეროები
შტატებს შორის ვაჭრობის კომისია (1987)	რკინიგზები,სატვირთო და საავტომობილო გადაზიდვები,სანყლოსნო გზები, საზღვაო ფლოტი,სატრანსპორტო კანტორები და ა.შ.
ენერგეტიკის მართვის ფედერალური კომისია (1930)	ელექტროენერგია,გაზი,გაზის მილსადენები,ნავთობსადენები,ჰიდროენერგეტიკული ნაგებობები
კავშირგაბმულობის ფედერალური კომისია (1934)	ტელეფონი,ტელევიზია,საკაბელო ტელევიზია, რადიო,ტელეგრაფი,რადიოტელეფონი,რეგისტრირებული რადიომოყვარულები და ა.შ.

* თავდაპირველად იწოდებოდა ფედერალურ ენერგეტიკულ კომისიად. გადარქმეულია 1977წ. წყარო:Federal and State Commision Jurisdiction and Regulation.Waschington:Federal Power Commision.1973.

ხარჯებს დაფარავს და "სამართლიან" ანუ "დასაბუთებულ"მოგებას მოუტანს საწარმოს. თუ სპეციალურ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, მიზანი საშუალო მთლიანი დანახარჯების ტოლი ფასების დაწესებაა. (მკითხველს დაბეჯითებით ვურჩევთ ამ საკითხისადმი მიბრუნებისას ისევ გადაიკითხოს 26-ე თავის განყოფილება "რეგულირებადი მონოპოლია".)

პრობლემები

ცხადია, რეგულირების თეორიის ლოგიკა მაროებულად გვეჩვენება,მაგრამ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებობს რეგულირების ეფექტიანობის თვალსაზრისით. მოდით,მოკლედ განვიხილოთ სამი კრიტიკული შენიშვნა რეგულირების მისამართით.

1.დანახარჯები და ეფექტიანობა.რეგულირების გამოცდილება მოწმობს, რომ არსებობს რიგი ურთიერთგადახლართვადი პრობლემები, რომლებიც დანახარჯია ზრდის შეფერხებასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობასთან არიან დაკავშირებული. ჯერ-ერთი, რეგულირების მთავარი მიზანია ისეთი ფასის დაწესება, რაც რეგულირებად ფირმებს "ნორმალური" ანუ "სამართლიანი" მოგების

მიღების საშუალებას მისცემს, წარმოების დანახარჯების ხელოვნი. მაგრამ, ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ ფირმები მოქმედებენ "დანახარჯები პლუს" საფუძველზე ფასწარმოქმნის პრინციპით, და მაშასადამე. დანახარჯების ზრდის შეფერხების სტიმული არ გაჩნიათ. პირიქით, უფრო მაღალი დანახარჯები მეტ მთლიან მოგებას გულისხმობს. რაღომ უნდა შეეგიშუშაოთ ან გამოიყენონ დანახარჯების შემამცირებელი სიახლეები თუ "ტილდო" ფასების შემცირება იქნება? სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით რეგულირება ხელსაყრელი პირობების ფორმირებას იწვევს მნიშვნელოვანი <u>X-არაეფექტიანობისათვის</u> (იხ.თავი 26). მეორე, აღნიშნავენ ასევე, რომ რეგულირებად ფირმას შეუძლია ბუღალტრულ მაქინაციებს მიმართოს თავისი დანახარჯების გასადიდებლად, მაღალი, გაუმართლებელი მოგების მიღების მიზნით. უფრო მეტიც,ხშირ შემთხვევაში ფასები კომისიის მიერ ისე წესდება, რომ ფირმა მოგების გათვალისწინებულ ნორმას მიიღებს, რომელიც მისი რეალური კაპიტალის ღირებულებას ემყარება. ეს განსაკუთრებულ პრობლემას წარმოშობს.მოგების გასადიდებლად რეგულირებადი ფირმა ეცდება შრომის,კაპიტალი,ეკონომიკურად გაუმართლებელ შეცვლას, ხელს შეუწყობს რა ამით რესურსების არაეფექტიან განაწილებას ფირმის შიგნით (x-არაეფექტიანობა).

2.კომისიათა ნაკლოვანებები. მეორე კრიტიკული შენიშვნა ისაა, რომ მარეგულირებელ კომისიათა ქმედებანი არ შეესაბამება მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში ისინი "ხელში აქვთ"ჩაგდებული ან იმ დარგების მიერ კონტროლდებიან, რომელთაც ევალებათ რეგულირება. კომისიათა წევრები ხშირ შემთხვევაში თვით ამ დარგების ხელმძღვანელი მუშაკებია. მაშასადამე, რეგულირება ხორციელდება არა საზოგადოების ინტერესებისათვის ,არამედ, უფრო, ბუნებრივი მონოპოლისტის მოხერხებული მდგომარეობის დასაცავად და მხარის დასაჭერად. ამტკიცებენ რომ, რეგულირება, როგორც წესი, მოგების გარანტირებისა და რეგულირებადი დარგის პოტენციური ახალი კონკურენტისაგან დაცვის საშუალება ხდება, რაც შეიძლება ტექნოლოგიურ ცვლილებებს გამოიწვია.

3.კონკურენტულ დარგთა რეგულირება. ალბათ დარგობრივი რეგულირების ყველაზე უფრო ღრმა კრიტიკული შენიშვნა ისაა, რომ ზოგჯერ იგი იმ დარგებში გამოიყენებოდა, რომლებიც ბუნებრივ მონოპოლიას <u>არ წარმოადგენდნენ</u> და რომლებიც რეგულირების გარეშე მთლიანად კონკურენტული იქნებოდა. ასე, მაგალითად, რეგულირება განსაკუთრებული ზომით ისეთ დარგებში გამოიყენებოდა, როგორიცაა საკვები და ავიაგადაზიდვები, სადაც მასშტაბის ეფექტი უმნიშვნელოა და ბუნებრივი დაბრკოლებები დარგში ახალი კონკურენტების დასამკვიდრებლად

შედარებით სუსტია. მიღებულია, რომ ასეთ შემთხვევაში თვით რეგულირება, დარგში შესვლის შეზღუდვით, უფრო მონოპოლიას წაიყენებს, ვიდრე 26-ნ ნახაზზე გამოსახულ პირობებს. ამის შედეგად უფრო მაღალი ფასები და წარმოების ნაკლები მოკულობა ყალიბდება, ვიდრე რეგულირების გარეშე იქნებოდა. რეგულირების ოეორიის სურვილის საპირისპიროდ, საზოგადოების ინტერესებისათვის რეგულირებისაგან, სარგებლობას თვით რეგულირებადი ფირმები და მათი მოსამსახურეები ღებულობენ. ზარალობს კი საზოგადოება და ის პოტენციური კონკურენტები, რომელთათვისაც დარგში შესვლა გაძნელებულია.

მაგალითი:რკინიგზების რეგულირება შტატებშორისი სავაჭრო კომისიის (შსკ) მიერ, გამართლებული იყო მე -19 ს. ბოლოს და მე-20 ს. პირველ ათწლეულში. მაგრამ, 1930-იანი წლებისათვის ქვეყანაში განვითარდა ავტომაგისტრალების ქსელი და სატვირთო მანქანებით

გადაზიდვებმა შეარყიეს რკინიგზების მონოპოლიური ბატონობა. ამ დროს სასურველი იქნებოდა შსკ-ს ლიკვიდირება და რკინიგზებისა და სატვირთო ავტომანქანების მფლობელთათვის, ასევე სამდინარო ფლოტისა და ავიახაზებისათვის ერთმანეთთან კონკურენციის საშუალების მიცემა. შსკ-ს ეს რეგულირებადი ქსელი 1930-იან წლებში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა, სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის უფრო მეტად მოცვის მიზნით.

ლეგალური კარტელის თეორია

პოტენციურად კონკურენტულ დარგთა რეგულირებამ ლ ე გ ა ლ უ რ ი კ ა რ ტ ე ლ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა წ ა რ მ ო შ ვ ა. საზოგადოების ინტერესებით მოხელემძღვანელე ჩინოვნიკების ადგილზე, რომლებიც მომზმარებელთა დაცვის მიზნით მონოპოლიებს რეგულირებას ახორციელებენ თავს, ეს კონცეფცია პრაქტიკოს პოლიტიკოსებს აყენებს, რომლებიც "მომსახურებას" რეგულირებისადმი დაქვემდებარების მსურველ ფირმებს უწევენ! რეგულირება სასურველია იმიტომ, რომ, იგი ფაქტობრივად ლეგალურ კარტელს გაჩამტკიცებს და შეიძლება მაღალმომგებიანი იყოს რეგულირებადი ფირმებისათვის. ზუსტად რომ ვთქვათ, მარეგულირებელი კომისია ისეთ ფუნქციებს ასრულებს, როგორიცაა ბაზრის დანაწილება (მაგალითად, დერეგულირების წინა პერიოდში საჰაერალაქი ავიაციის სამმართველომ სვლაგზები დააწესა განსახღვრული ავიაკომპანიებისათვის) და პოტენციური კონკურენციის შეზღუდვა კარტელის გაფორმებით(მაგალითად, საოკეანო ავტოტრანსპორტის შეერთა

შკ-ს კომპეტენციაში). კერძო კარტელების არაკანონიერების პირობებში, როცა იგი შეიძლება კიდევაც დაიშალოს (თავი 28),რეგულირებადი კარტელის განსაკუთრებული მიმხიდველობა სახელმწიფო რეგულირების სახით იმაშია,რომ, მისი მდგომარეობა საკმაოდ მყარია. მიკლედ რომ ვთქვათ, ლეგალური კარტელის დახმარებით რეგულირების თეორია გულისხმობს, რომ რეგულირება რენტის გამოდევნების შედეგია (თავი 33).

ლეგალური კარტელის დახმარებით რეგულირების თეორიის მომხრეები ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ შტატებსშორისი ვაჭრობის შესახებ კანონს მხარი დაუჭირა რკინიგზებმა და, რომ ავტოსატრანსპორტო კომპანიებმა, ისევე როგორც ავიახაზებმა მხარი დაუჭირეს რეგულირებას მათ დარგებში იმ მიზეზით, რომ არარეგულირებადი კონკურენცია უფრო ძლიერი და დამანგრეველი იყო. მომხრეები ასევე ლაპარაკობენ პროფესიათა ლიცენზირების (თავი 30), როგორც შრომის ბაზარზე მათი თეორიის გამოვლენის ფორმის შესახებ. განსაზღვრული პროფესიული ჯგუფები-დალაქები, ინტერიერის დიზაინერები ან ექიმ-დიეტოლოგები მოითხოვენ ლიცენზიების გაცემას იმ ვარაუდით, რომ აუცილებელია საზოგადოების დაცვა თაღლითებისა და ყალთაბანდებისაგან.მაგრამ ნამდვილი მიზეზი, შესაძლოა პროფესიაში შესვლის შეზღუდვა იყოს, რათა პრაქტიკოსებმა მონოპოლიური შემოსავლის მიღება უზრუნველყონ.

დერეგულირება:შემთხვევა ავიაკომპანიებთან

ლეგალური კარტელის თეორიამ და რეგულირებად დარგებში მზარდმა მფლანგველობამ და არაეფექტიანობამ, მტკიცებებმა, რომ მთავრობა მართლაც არეგულირებდა პოტენციურად კონკურენტულ დარგებს, 1970-იან და 1980-იან წლებში დერეგულირების მხარდასაჭერი მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. უკანასკნელ რამოდენიმე წელიწადში მიღებულიქნა მნიშვნელოვანი კანონმდებლობა, რაც სხვადასხვა ზომით ავიახაზების, საავტომობილო გადაზიდვების, საბანკო საქმის, რკინიგზების, ბუნებრივი გაზის და ტელემაუწყებლობის დერეგულირებას იწვევდა.

პოლემიკა

დერეგულირებამ კამათი გამოიწვია, რომლის არსი ადვილი მისახვედრია. ოპოზიციური არგუმენტების, ლეგალური კარტელის თეორიაზე დაყრდნობით,

დერეგულირების მომხრეები აცხადებენ, რომ იგი ფასების შემცირებას, წარმოების მოცულობის გადიდებას და ბიუროკრატიული არაეფექტიანობის დაძლევას გამოიწვევს. დერეგულირების ზოგიერთი კრიტიკოსი საზოგადოების ინტერესებისათვის რეგულირების იერარქიაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დერეგულირება დარგის თანდათანობით მონოპოლიზაციას გამოიწვევს ერთი ან ორი ფირმის მიერ, ეს კი, იავის მხრივ, ფასების გადიდებას და პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების მოცულობის ზრდას. სხვა კრიტიკოსები აცხადებენ, რომ დერეგულირებამ შეიძლება ზომაგადასული კონკურენცია და დარგის არასტაბილურობა გამოიწვიოს და მკრეტ ტერიტორიულ ერთეულს შესაძლოა საერთოდ წართვას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურება (მაგალითად, ტრანსპორტი). მაგრამ სხვები ხაზს უსვამენ, რომ, ვინაიდან მხარდი კონკურენცია ყოველი ფირმის შემოსავლებს ამცირებს, მათ შეუძლიათ მოთხოვნების შემცირება უსაფრთხოებისა და რისკის მიმართ, დანახარჯების შემცირებისა და მოგების შენარჩუნების მიზნით.

ალბათ ყველაზე უფრო ცნობილი გახდა შეჩხვევა, როდესაც დერეგულირება აღიგადხდეს შეხ ი კ ა ნ ო ი ა ვ ი ა კ ო მ პ ა ნ ი ე ბ ი ს დ ე რ ე გ ულ ი რ ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ მ ი ღ ებ ულ ი ქ ნ ა 1978 წ ე ლ ს. ა მ კ ა ნ ო ნ ს ს ა ვ ი ა ბ ა ზ ა ს ა ვ ი ა ბ ა ზ ა ს ა ვ ი ა ბ ა ზ ა

წლის წინ და ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, ავიაკომპანიათა დერეგულირების შედეგები სავსებით ნათელია.

ტარიფები. ცხადია, დერეგულირებამ ხელი შეუწყო გადაზიდვის საფასურის არსებით შემცირებას. მთლიანად ავიატარიფები, ფასების საერთო დონეზე ნაკლებად გაიზარდა. კერძოდ, შეღავათიანი ავიაბილეთები გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი გახდა და გაიაფდა. კონკრეტულად, 1974 წელს მგზავრთა მხოლოდ 15% სარგებლობდა შეღავათიანი ბილეთებით; 1987 წ. კი ეს რიცხვი 90%-მდე გაიზარდა. შეღავათიანი ბილეთების ფასები შორეულ, ტრანსკონტინენტურ სვლაგეზებზე (მაგ., ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესამდე) 1976-1987 წლებში რეალურად 35%-ით დაეცა.[1]

დერეგულირებამ ხელი შეუწყო ტარიფების შემცირებას სამგზავრო ავიაგადაზიდვებზე, ორი ძირითადი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, საავიაციო საჰრანსპორტო კომპანიებს შორის კონკურენციის შედეგად ბილეთის ფასები შემცირდა ასეთ მომსახურებათა საშუალო ღირებულებასთან მიახლოებულ დონემდე, ვიდრე იგი რეგულირების პირობებში იყო, რასაც ლეგალური კარტელი წარმოშვა. მეორე, კონკურენციამ ძლიერი დაწოლა მოახდინა ფირმებზე, აიძულა რა ისინი დანახარჯების შემცირებით. მაგალითი: დარგმა მიიღო სვლაგეზების შედგენის სქემა სისტემით-"მილისი და მანა" (ველოსიპედის თვალის ანალოგიურად). მგზავრები თვითმფრინავით გადაიყვანება უფრო პატარა ქალაქებიდან "მანას" გასწვრივ ძირითად აეროპორტებში-"მილისებში",სადაც ისინი გადავჯდებიან სხვა თვითმფრინავებში და შემდეგ უფრო შორს მიემგზავრებიან. ამ სისტემამ შეამცირა ერთეული დანახარჯები და საშუალება მისცა ავიაკომპანიებს "მანას" სვლაგეზებზე მცირე სიდიდის თვითმფრნავები დაენიშნა და უფრო სრულად გამოეყენებინა ფართოფიუზელიაჟიანი თვითმფრინავები მთავარ აეროპორტებს-"მილისებს" შორის. ფართოფიუზელიაჟიანი თვითმფრინავების ექსპლოატაცია უფრო იაფი ჯდება დასავლეთ ადგილ-მილზე, ვიდრე პატარა თვითმფრინავებისა. მეორე მაგალითი:ახალ ავიაკომპანიათა გამოჩენა, რომლებიც პროფკავშირებში არ არიან გაერთიანებული, ძირითადი ავიაკომპანიებისათვის საკუთარ პროფკავშირებთან ხელფასის ზშირ შეთხვევაში 10-20%-ით შემცირების შესახებ მოლაპარაკების საფუძველი გახდა. ფართო გავრცელება ჰპოვა ასევე ხელფასის ორსაფეხურიანმა სისტემამ, რომლის შესაბამისად ახალი მომუშავეები იმავე სამუშაოსათვის

1.Economic Report of the President.1988.Waschington.D.C.1988. გვ. 203. ამ პარაგრაფის მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია იგივე მოხსენებიდანაა.

გაცილებით ნაკლებს იღებენ, ვიდრე სტაჟიანი მუშები და მოსამსახურეები. ბევრ შემთხვევაში შრომის ორგანიზაციის პროფკავშირული წესები უფრო მოქნილი გახდა, რამაც შესაძლებელი გახადა მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის გადიდება და ხელფასის დანახარჯების შემცირება. მოკლედ რომ ვთქვათ შრომის შესაბამის ბაზრებზე ზოგიერთი დანახარჯები არსებითად შემცირდა და დერეგულირების პირობებს შეეგუა.

მომსახურება და უსაფრთხოება. მართალია, დერეგულირების კრიტიკოსებმა იწინასწარმეტყველეს საავიაციო მომსახურეობათა (განსაკუთრებით პატარა ქალაქებში) შემცირდება ან საერთოდ შეწყვეტა, მაგრამ ეს შიში გადაჭარბებული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა წამყვანმა ავიაკომპანიამ შეწყვიტა რიგი პატარა ქალაქების მომსახურება, შექმნილი ვაკუუმი ბევრ შემთხვევაში შევსებულ იქნა სხვა ავიაკომპანიების რეგულარული მცირე სვლაგეზებით. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ "მილისისა" და "მანას" სისტემამ გაზარდა გაფრენათა სიხშირე აეროპორტების უმრავლესობაში. მან ასევე შეამცირა მგზავრებისათვის აუცილებელი გადაჯდომები ავიახაზებზე. ასე მაგალითად, 1987 წელს საერანსიტო მგზავრთა მხოლოდ 12%-მა მოახდინა საერანსიტო გადაჯდომა 1977 წ. 68%-ის ნაცვლად. ამ სისტემას ნაკლოვანებებიც გაჩნია. გზაში უფრო ხშირმა გაჩერებებმა, რომლებიც ახლა "მილისებში" აუცილებელია, გაახარდეს ქალაქებს შორის მოძრაობის საშუალო დრო. გარდა ამისა, დერეგულირების შედეგად ავიაგადაზიდვების გაზრდილმა მოცულობამ გადატვირთა აეროპორტები, რისი შედეგიცაა გაფრენათა უფრო ხშირი და უფრო ხანგრძლივი შეფერხებები.

შეამცირა თუ არა დერეგულირებამ საჰაერო გადაზიდვების "უსაფრთხოების ზღვარი", როგორც ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს? არსებობს სხვადასხვა მტკიცებები ამ საკითხის გარშემო. ერთი მხრივ, ავიაგადაზიდვების მოცულობის გაზრდამ საჰაერო სივრცეში შეჯახებების საფრთხე გამოიწვია. მეორე მხრივ, ავარიებისა და კატასტროფათა მაჩვენებლები ავიახაზებზე დღეს უფრო დაბალია, ე დერეგულირებამდელზე. უფრო მეტიც, ვიდრე ავიატარიფების შემცირებამ ადამიანები უფრო ხშირად საავტომობილო მგზავრობის, ავიამგზავრობებით შეცვლით შეაგულიანა, დერეგულირება ,ზოგიერთი მონაცემებით ყოველწლიურად ოავიდან აგვაცდენს სიკვდილიანობის დაახლოებით 800 შემთხვევას ქვეყნის ავტომაგისტრალებზე.

დარგობრივი სტრუქტურა. ავიაგადაზიდვების დერეგულირებამ თავდაპირველად დარგში დიდი რაოდენობის ახალ ავიაკომპანიათა

შესვლა გამოიწვია. დარგმა გასული რამოდენიმე წლის განმავლობაში, ამასთან, გარკვეული შერყევები განიცადა, რომლის განმავლობაში მრავალი ფირმა გაკოტრდა, ხოლო სხვები უფრო ძლიერ კონკურენტებს შეერწყნენ. მიუხედავად ამისა, დარგში ყველა ამასწინანდელ შერწყმათა შემდეგ აშშ-ში მოქმედ ავიაკომპანიათა რიცხვი ორჯერ აჭარბებს დერეგულირების დაწყებამდე არსებულს. მასშტაბის ეფექტის, დარგში შეხლუდულობის გამო, მცირე და საშუალო სიდიდის ავიაკომპანიებს ზოგ შემთხვევაში უნარი არ შესწევდათ ეფექტიანი კონკურენცია გაეწიათ უმსხვილესი ავიაკომპანიებისათვის. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ კონკურენცია, დარგში შესვლა და მასში ახალ ფირმათა შესვლის საშიშროება საკმაოდ მადისციპლინირებელ ძალად რჩება, რომელიც ავიატარიფების ზრდას აფერხებს. გაფრთხილება: აეროპორტების დამატებითი გამტარუნარიანობის არსებობა, უკიდურეს შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში, ნიშნავს, რომ ავიაგადაზიდვები უდაოდ <u>არ წარმოადგენენ</u> სრულყოფილი პოტენციური კონკურენციის ბაზარს (იხ. განყოფილება "ბოლო შტრიხი",25-ე თავში). ფირმას, რომელსაც ბაზარზე გასვლა არსებული კომპანიების საშუალოზე მაღალი მოგების მიღების გამო სურს, არ გამოუვა, თუკი ხანგრძლივვადიანი საიჯარო ხელშეკრულებები არსებულ ავიაკომპანიებს მოცემულ აეროპორტში ავიახაზებზე გასვლის გააკონტროლების საშუალებას აძლევენ. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ, რომელიღაც გამოსვლები მართლაც არ გამოიყენება, რამდენადაც გაბატონებული ავიაკომპანიები უარს ამბობენ კონკურენტებზე მათ გადაცემაზე. ავიაკომპანიების მიერ ბილეთების ფასებში ხშირ შემთხვევაში გამოუყენებელ შეღავათებს, გაფრენათა დაგროვილი სიშორისათვის ასევე შეუძლიათ საბაზრო კონკურენტუნარიანობის შემცირება,რამდენადაც იგი მიმართულია მგზავრთა "მიბმაზე"არსებულ ავიაკომპანიებზე.

ფაქტები მოწმობენ, რომ ტარიფები ბილეთის ღირებულებასთან შედარებით, დაბალია ინტენსიური კონკურენციის სვლაგეზებზე, და მაღალია ნაკლები კონკურენციის პირობებში. ამასთან დაკავშირებულია ის ფაქტი, რომ დარგში შერწყმები შეიძლება დამდუპველი აღმოჩნდეს თვით დერეგულირების მიზნებისათვის. დერეგულირების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწევათა შენარჩუნებისათვის, შესაძლოა საჭირო გახდეს ანტიტრესტულ ღონისძიებათა იძულებითი მიღება, რაც შემდგომი შერწყმის და კონკურენციის შემაფერხებელი ქმედების წინააღმდეგაა მიმართული.

თუმცა, შესაძლოა ნაადრეი იყოს ავიაკომპანიათა დერეგულირების საბოლოო შეფასება, მაგრამ, ცხადია, რომ დღემდის საერთო

შედეგები სასარგებლოა. ფედერალურმა მთავრობამ გაიანგარიშა,რომ გასულ ათწლეულში ავიახაზების დერეგულირებამ საზოგადოებას 100 მლრდ დოლ.წმინდა სარგებელი მოუტანა.

„ახალი“ სოციალური რეგულირება [1]

ახლახანს განხილულ "ძველ" რეგულირებას ეკონომიკური ანუ დარგობრივი რეგულირება ეწოდება. ამასთან, მთავრობა ეხება ზოგიერთი დარგის საერთო ეკონომიკურ საქმიანობა და ყურადღებას ამახვილებს ფასწარმოქმნასა და საზოგადოებრივ საჭიროებათა მომსახურებაზე. 1960-იანი წლების დასაწყისიდან მნიშვნელოვანწილად გაიშალა და სწრაფი განვითარება იწყო ახალი ტიპის სახელმწიფო რეგულირებამ. ეს ახალი სოციალურ ირეგულირება ეხება პირობებს, რომელშიც იწარმოება საქონლები და მომსახურებები, წარმოების ზეგავლენას საზოგადოებაზე, და თვით სქონელთა ფიზიკურ მახასიათებლებს. ასე, მაგალითად, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამმართველო (შუჯს) პოტენციურად უსაფრთხო პროდუქტების შენახვის მაქსიმალურად დასაშვებ ნორმებს აწესებს; გარემოს დაცვის სამმართველო (გდს) არეგულირებს გამჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გადაყრის შესაძლო რაოდენობას, რომელია გადაყრა შეუძლიათ მეწარმეთათვის; ქირავნობის თანაბარი პირობების დაცვის კომისია ცდილობს ქალებისა და ეროვნული უმცირესობებისათვის სამუშაოსადმი სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

დამახასიათებელი ნიშნები

სოციალური რეგულირება ეკონომიკურისაგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდება.ჯერ ერთი, სოციალური რეგულირება "თანაბარი პროპორციით" გამოიყენება ფაქტობრივად ყველა დარგში და ამრიგად, პირდაპირ შეეხება ბევრად უფრო მეტ ადამიანს, მაშინ,

---

1.ამ თავის ჩვენეული განხილვა ზედაპირულია.ამისი სრული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიმართოს ნაშრომებს: H.Craid Petersen. Business and Governement.2d ed. New York:Harper &Row.1985 გვ.319-387:Murray L.Wiedenbaum.Business.Governement and th. Public.3d ed. Engelwood Cliffs.N.J.:Prentice-Hall,1986.

როდესაც შტატებშორისი სავაჭრო კომისია თავს უყრის მხოლოდ საერანსპორტო დარგის სპეციალურ საქმეებს, წესებს და ინსტრუქციებს, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამმართველო ეხება ყოველ დაქირავებულს. მეორე,სოციალური რეგულირების ბუნება განაპირობებს სახელმწიფოს ჩარევას წარმოებითი პროცესის ყოველ წვრილმანში. მაგალითად, სამომხმარებლო საქონელთა უსაფრთხოების კომისია არა მხოლოდ უსაფრთხოების სტანდარტებს ადგენს პროდუქტებისათვის, არამედ უფრო განკარგულებას იძლევა, ხშირ შემთხვევაში დაწვრილებითს, იმის თაობაზე, თუ რა თვისებები უნდა გააჩნდეს პროდუქტს. სოციალური რეგულირების უკანასკნელი განმასხვავებელი ნიშანია მისი სწრაფი გავრცელება. მაგალითად, 1970-დან 1979 წლამდე კანონმდებლობამ შექმნა 20 ახალი მარეგულირებელი ფედერალური სააგენტო.

ზოგიერთი, ყველაზე უფრო ცნობილი მარეგულირებელი ორგანოს ზემოთ მოტანილი ჩამონათვალი გვკარნახობს მათი შექმნისა და განვითარების ძირითად მიზეზს:ამერიკული საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა 1960-იანი წლებისათვის ცხოვრების საკმაოდ მაღალ მატერიალურ დონეს მიაღწია, და ამიტომ, ყურადღება გადართულ იქნა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ეს გულისხმობდა უფრო უსაფრთხო და ხარისხით უკეთესი პროდუქტების წარმოებას, გარემოს გაჭუჭყიანების შემცირებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და შესაძლებლობათა გამოთანაბრებას.

დანახარჯები და კრიტიკული შენიშვნები

საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ სოციალური რეგულირების საერთო მიზნები ქების ღირსია. მაგრამ პოლემიკა მიმდინარეობს იმის გამო, რომ ამართლებს თუ არა სარგებელი ამ მარეგულირებელი ძალისხმევისაგან, მაოზე დანახარჯებს. ცნობილია, რომ სოციალური რეგულირება ძვირადღირებულია.

დანახარჯები. სოციალური რეგულირების დანახარჯები ორი ტიპისაა:ადმინისტრაციული დანახარჯები, ისეთები, როგორიცაა კომისიის მოსამსახურეთა ხელფასი, საკანცელარიო დანახარჯები და ა.შ. და დაქვემდებარების დანახარჯები, რომლებიც ის დანახარჯებია, რასაც კომპანიები, შტატების მთავრობები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ეწევიან მარეგულირებელ კომისიათა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. 1988 წ. სოციალური რეგულირების საერთო

ადმინისტრაციული ხარჯები თითქმის 8 მლრდ დოლარს შეადგენდა.[1] მიახლოებით გაანგარიშებულიაროგორ დაქვემდებარების დანახარჯები თითქმის 20 ჯერ ჭარბობს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ამიტომ 1988წ. სოციალური რეგულირების ერთობლივმა ხარჯებმა თითქმის 168 მლრდ დოლ. შეადგინა. 1988 წელს ფედერალურ ორგანობში, რომლებიც სოციალურ რეგულირებას ახორციელებდნენ, 79 ათ. მუდმივი მოსამსახურე მუშაობდა, სრული სამუშაო დღით.[2]

რეგულირების სოციალური ტიპების დანახარჯთა შეფასებები ასევე საგულისხმოა. აშშ გარემოს ხარისხის საკითხთა საბჭომ მიახლოებით გაიანგარიშა, რომ დანახარჯებმა მხოლოდ გაჭუჭყიანების კონტროლზე 1979-1988 წლებში 700 მლრდ დოლ. შეადგინა .ფედერალური კანონმდებლობის თანახმად უსაფრთხოებისა და გარემოს გაჭუჭყიანების შემცირების უზრუნველყოფისათვის საჭირო მოწყობილობამ ავტომანქანის ფასი, არც მეტი არც ნაკლები 2200 დოლარით[3] გაზარდა. მეწარმეობითი კომპანიები აშშ-ში 5 მლრდ-ზე მეტს [illegible] ხარჯავენ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის [illegible] სამმართველოს მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.[4]

კრიტიკული შენიშვნები. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამერიკული ეკონომიკა დღეისათვის მეტისმეტ რეგულირებას ექვემდებარება. სხვა სიტყვებით, რეგულირებადი საქმიანობა იმ დონეზეა დაყვანილი, რომელზეც რეგულირების ზღვრული დანახარჯები ზღვრულ სარგებლობაზე მეტია (თავი 33). რატომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო? რატომაა სოციალური რეგულირება თითქოსდა არაეფექტიანი?

ამტკიცებენ, ჯერ-ერთი, რომ სოციალური რეგულირების ბევრი კანონი ჭუდადაა შედგენილი, რეგულირების ამოცანები და სტანდარტები ხშირ შემთხვევაში იურიდიულ, პოლიტიკურ ან ტექნიკურ ენებზე ფორმულირდება. ამის შედეგად ისახება მიზნები, რომელთა ზღვრული ხარჯები სარგებლობაზე მეტია. კომპანიები ჩივიან, რომ, ისინი, ვინც რეგულირებას ახორციელებენ, ზოგჯერ

1.Center for Study of American Business.Washington University.

2.იქვე

3.Robert W. Crandall et al.Regulating the Automobile.Washington.D.C.: The Brookings Institution 1986 გვ.43.

4.Mc Graw-Hill investment survey//Murray L.Weidenbaum.Busi-ness.government and the Public გვ.157.

უმნიშვნელო გაუმჯობესებას მოითხოვენ, მიუხედავად იმისა, როგორი იქნება დანახარჯები. გამჭუჭყიანებელთა გადანაყრების დამატებით 5%-ით შემცირების მოთხოვნის შესრულება შეიძლება იმდენივე ღირდეს, რამდენიც ადრე დასჭირდებოდა მათი 95%-ით შემცირებას.

მეორე, ხშირად ხდება გადაწყვეტილების მიღება და წესების შემუშავება არასრულფასოვანი და არასრული ინფორმაციის საფუძველზე. სამომხმარებლო საქონელთა უსაფრთხოების კომისიის მოსამსახურეებს ყოველისმომცველი გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ პროდუქტებში კანცეროგენული ნივთიერებების შემცველობის თაობაზე, ლაბორატორიულ ცხოველებზე შეზღუდული ექსპერიმენტების საფუძველზე.

მესამე, აცხადებენ რომ, რეგულირებას დიდი გაუთვალისწინებელი თანამდევი ეფექტები მოაქვს, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან რეგულირების სრულ დანახარჯებს. მაგალითი:1988 წ. ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ფედერალური კანონმდებლობის მიერ დაწესებული ბენზინის ხარჯვის ნორმის დაცვას ერთ მილ ავტოგარბენაზე შესაძლოა 1989 წელს 2200-დან 3900 კაცამდე დაღუპვა გამოეწვია ავტოსაგზაო კატასტროფებში. მიზეზი? მწარმოებლებმა მკაცრი სტანდარტების შესაბამისად შეამცირეს ავტომანქანების წონა. ყველა სხვა თანაბარ პირობებში უფრო მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებში სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მძიმე მანქანებისაში.

დაბოლოს, სახელმწიფო რეგულირების მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ მარეგულირებელ სააგენტოებს მეტისმეტად გულმოდგინე პერსონალის მოზიდვა ახასიათებთ, რომლებსაც რეგულირების "სჯერათ". ხშირად აღნიშნავენ მაგალითად, რომ გარემოს დაცვის სამმართველო მნიშვნელოვანწილად "გარემოს დამცველთაგან"შედგება, რომლებიც შეუპოვრად არიან განწყობილი მის გამჭუჭყიანებელთა დასასჯელად." გარემოს გამჭუჭყიანებლებს,ისევე მოექცე, როგორც ცოდვილებს... ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სუფთა ჰაერისა და წყლის ოპტიმალურ დონეთა რაოდენობრივი შეფასება , მაგრამ ეს არაეფექტიან განკარგულებებს იწვევს, განსაკუთრებით იქ, სადაც სამთავრობო საკანონმდებლო აქტები მკაცრ ერთიან საერთოეროვნულ სტანდარტებს შეიცავენ."[1] შემდგომ, ამტკიცებენ,

---

1.William Lilley III,James C. MillerIII.The „New Social Regulation"//The Public Interest.19577.გვ.58

რომ ახალ მარეგულირებელ ორგანოთა მოსამსახურეები მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან კრიტიკული შენიშვნებისადმი კონგრესის ან ზოგიერთი სხვა ჯგუფების მხრიდან, რომლებიც მაგალითად, მომხმარებელთა, ბუნების დამცველთა ან პროფკავშირების უფლების დამცველთა განსაკუთრებულ ინტერესებს გამოხატავენ. ამის შედეგია ბიუროკრატიული შეუდრეკელობა და ზომაგადასული და უაზრო ინსტრუქციების მიღება, რათა დამკვირვებელთა არანაირმა ჯგუფმა ეჭვქვეშ არ დააყენოს მოცემული სოციალური მიზნისადმი საგენტოს ერთგულება. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამმართველოს ერთობ უაზრო ინსტრუქცია ტუალეტში დასაჯდომთა ფორმის თაობაზე და მისი მითითება ფერმერებისა და მეცხოველეობის მეურნეობათა მფლობელებისადმი, ტუალეტები დადგან მომუშავეთა სამუშაო ადგილიდან 5 წუთის ფეხისსავალ მანძილზე, შესაფერი მაგალითებია. ერთი კრიტიკოსის სიტყვებით:

> სახელმწიფო რეგულირების... არცერთი რეალისტური შეფასება არ შეესაბამება გულმოწყალე და ბრძენი ჩინოვნიკების შესახებ წარმოდგენას, რომელთაც გონიერული გადწყვეტილებების მიღება შეუძლიათ მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ მფლანგველობას, წინასწარ შექმნილ ცუდ აზრს, სიჩლუნგეს, წვრილმანებზე ყურადღების გამახვილებას,კონფლიქტებს რეგულირების განხორციელებლებს შორის, და რაც ყველაზე უარესია, თვითნებობასა და გაუკონტროლებელ ძალაუფლებას.[1]

ეკონომიკური მნიშვნელობა

თუ კი მართლაც არსებობს ზომაგადასული რეგულირება, როგორია მისი შედეგები? უწინარეს ყოვლისა სოციალური რეგულირება ზრდის პროდუქციის ფასებს. ეს რეგულირების პირდაპირი შედეგია, რამდენადაც, არსებობს მომხმარებლებზე დანახარჯთა გადაკისრების ტენდენცია. უფრო მეტიც, სოციალური რეგულირება ხელს უწყობს პროდუქტებზე ფასების მომატებას არაპირდაპირი გზითაც-იმ ზომით, რა ზომითაც იგი შრომის მწარმოებლურობას ამცირებს. გამწმენდ ნაგებობებში დაბანდებული რესურსები დაკარგულია ახალ მანქანებში ინვესტირებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქციის გამოშვების გადიდებას ერთ მუშაზე გაანგარიშებით. შრომის მწარმოებლურობის დაცემა ზღვრულ და საშუალო დანახარჯებს ამცირებს

1.Mirray L.Weidenbaum.The Cost of Overregulating Business//Tax Review.1975.აგვისტო.გვ.33

იქ, სადაც ხელფასის შემცირებისადმი მოუქნელი განაკვეთებია მიღებული. ამის შედეგად მიწოდების მრუდები გადაინაცვლებენ მარჯვნივ, რაც პროდუქტებზე ფასების გადიდებას გამოიწვევს. მეორე, ახალ რეგულირებას უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სიახლის დანერგვის ტემპებზე. იმის შიში, რომ ახალ, ტექნიკურად უფრო სრულყოფილ მოწყობილობას არ მოიწონებს გარემოს დაცვის სამმართველო,ან ახალი პროდუქტი შეიძლება სიძნელეებს წააწყდეს სამომხმარებლო საქონელთა უსაფრთხოების კომისიაში, ფირმისათვის საკმაო საფუძველია, იგივე პროდუქტის ძველებურად გამოშვებისათვის.

დაბოლოს, სოციალურ რეგულირებას შეუძლია ანტიკონკურენტული ზეგავლენა მოახდინოს იმ გაგებით, რომ, იგი, როგორც წესი, შედარებით მძიმე ტვირთად აწვება მცირე ფირმებს, ვიდრე დიდ კომპანიებს.ახალი რეგულირებისადმი დაქვემდებარების დანახარჯები, არსებითად, მუდმივი დანახარჯებია. უფრო წვრილი ფირმები ნაკლებ პროდუქციას აწარმოებენ, რომლებზედაც ეს დანახარჯები განაწილდება, და მაშასადამე, მათი დაქვემდებარების ხარჯები, პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით, კონკურენციის თვალსაზრისით მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს უფრო მსხვილ მოწინააღმდეგესთან შედარებით. პირდაპირ რომ ვთქვათ, სოციალური რეგულირების ტვირთი მცირე ფირმებს ბიზნესისაგან ჩამოაცილებს, და ამრიგად, ხელს შეუწყობს კონცენტრაციის გაძლიერებას ამ დარგში.

სოციალური რეგულირების მხარდასაჭერად

არსებობს არგუმენტები სოციალური რეგულირების დასაცავადაც. პრობლემები, რომლებსაც სოციალური რეგულირება გადაწყვეტს, სერიოზული და ოავისი მასშტაბით მნიშვნელოვანია. 1987 წელს აშშ-ში 11100 მუშა დაიღუპა წარმოებაში უბედურ შემთხვევათა გამო. გარემოს გაბინძურება პროდუქტების არასრული წვის მყარი ნაწილაკებით, რომლებიც ატმოსფეროს ოზონის ფენას შლიან, უწინდებურად დიდი ქალაქების უბედურებაა და ძვირი ჯდება. ზრდის რა ქონების ღირებულებას და ჯანმრთელობის შენარჩუნების ხარჯებს. ათასობით ბავშვი და მოხარდი იღუპება უბედურ შემთხვევათა გამო, რაც ტექნოლოგიის დარღვევით დამზადებული პროდუქტების გამოყენებითაა გამოწვეული. შავკანიანების,ქალების და ხანდასმულ მუშათა დისკრიმინა

ცია, ამცირებს ამ ჯგუფის გასამრჯელოებს და საზოგადოებას დიდ დანახარჯებს აკისრებს.

სოციალური რეგულირების მომხრეები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მისი მიზანშეწონილების კრიტერიუმია დანახარჯთა არა მაღალი ან დაბალი დონე, არამედ უფრო-სარგებლობისა და დანახარჯთა თანაფარდობა. გარკვეული წლების შედარებით უდარდელი ცხოვრების შემდეგ, საზოგადოებას არ შეუძლია იმედი იქონიოს, რომ მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე გაწმენდს გარემოს, გაზრდის სამუშაო ადგილის, ავტომანქანის, უსაფრთხოებას და გააფართოვებს მოქალაქეთა ეკონომიკურ შესაძლებლობებს .უფრო მეტიც, დანახარჯთა გაანგარიშებამ შესაძლოა ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მოგვცეს სოციალური რეგულირების შესახებ ჩვეულებრივ შესაფერისი სარგებლობა გაცილებით ძნელი გასაზომია, ვიდრე დანახარჯები, და საზოგადოება მას შეიგრძნოს მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. ამასთან, სარგებლობა მნიშვნელოვანია.მაგალითები: გაანგარიშებულია, რომ უსაფრთხოების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიწყობილობათა გარეშე, ავტომანქანებში სიკვდილიანობის ყოველწლიური რაოდენობა 40%-ით მეტი იქნებოდა.[1] ბავშვთა უსაფრთხოების ქამრების გამოყენების შესახებ კანონის შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ბავშვთა სიკვდილიანობა ავტოკატასტროფებში. 1975-დან 1985 წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი მიელი მოსახლეობისათვის 10%-ით შემცირდა, ხოლო 5 წლამდე ბავშვთათვის 32%-ით. [2] გარემოს, ჰაერის ხარისხის კანონით დადგენილი სტანდარტები გოგირდისა და აზოტის ორჟანგის და ტყვიის შემცველობის მიხედვით, მიღწეულიქნა ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში. ამასწინანდელმა გამოკვლევამ დაგვანახა, რომ შავკანიანთა და ქალთა დასაქმების გადიდებაზე მიმართულმა რეგულირებამ ამ კატეგორის სამუშაო ძალაზე მოთხოვნა[3] გამოიწვია.

საყოფაცხოვრებო შხამქიმიკატებისა და მედიკამენტების, ბავშვთა უსაფრთხო საფუთაეების წარმოებამ ხელი შეუწყო შემთხვევითი მოწამვლისაგან ბავშთა სიკვდილიანობის შემცირებას 90%-ით.[4]

1.Robert W.Crandall. Regulating the Automobile.გვ.155.

2.Economic Report of the President.1987.Waschington.D.C..1987.გვ.188.

3.Jonathon S. Leonard.The Impact of Affirmative Action on Employment//Journal of Labour Economics.1984. ოქტომბერი ბ3.439-463.

4.პროდუქტების უსაფრთხოების ამერიკული კომისიის შეფასებით.

თუმცა შესაძლოა მოველოდეთ, რომ სოციალური რეგულირება დიდ უთანხმოებათა საგანი შეიქმნება, მაგრამ,საზოგადოდ ცნობილია, რომ სადაო"საკითხია არა ის, განხორციელდეს თუ არა სოციალური რეგულირება, არამედ ის, როგორ და როდის უნდა გამოვიყენოთ იგი; როგორ შევძლებთ ჩვენ რეგულირების სისტემის სრულყოფას, მთლიანად ვაძლევთ თუ არა ჩვენ ანგარიშს საკუთარ თავს საეარაუდო დანახარჯებისა და სარგებლობების შესახებ."[1]

რეზიუმე

1.მეწარმეობითი მონოპოლიის საწინააღმდეგო მოსაზრებები ეყრდნობიან მტკიცებებს, რომ მეწარმეობითი მონოპოლია ა) იწვევს რესურსების არარაციონალურ განაწილებას; ბ) ანელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებს; გ) ხელს უწყობს უთანასწორობას შემოსავლებში; დ) წარმოადგენს პოლიტიკური დემოკრატიის საფრთხეს.

2.მეწარმეობითი მონოპოლიის დაცვა ემყარება შემდეგ არგუმენტებს: ა) ფირმებმა თავისი საბაზრო წილი მიიღეს უკეთესი ხარისხის პროდუქციის მიწოდებით; ბ) დარგთაშორისი და უცხოური კონკურენცია, ისევე როგორც პოტენციური კონკურენციაც დარგში ახლადშესული კომპანიების მხრივ, ამერიკულ დარგებს უფრო კონკურენტულს გახდის, ვიდრე ფიქრობენ; გ) მონოპოლიის გარკვეული სიდიდე იქნებ საჭიროა მასშტაბის ეფექტის რეალიზებისათვის; დ) მონოპოლია ტექნოლოგიურად პროგრესულია.

3.ანტიტრესტული პოლიტიკის ქვაკუთხედია შერმანის 1890 წ. და კლეიტონის 1914 წ. კანონი. შერმანის კანონი ადგენს, რომ "ნებისმიერი შეთანხმება,გაერთიანება,...ანსაიდუმლო შეთანხმება,რომლის მიზანია ვაჭრობის შეზღუდვა რამდენიმე შტატს შორის... ცხადდება...უკანონოდ" და, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც შტატშორისი ვაჭრობის მონოპოლიზებას მოახდენს ან შეეცდება მის მონოპოლიზებას, ბრალი დაედება დამნაშავეობაში.

4.კლეიტონის კანონს უნდა გაეძლიერებინა და განესაზღვრა შერმანის კანონის დებულებები, ამ მიზნით კლეიტონის კანონმა

---

[1]Juanita M Kreps.The Cost of Government Regulation.Washington.D.C..1978.გვ.7

გამოაცხადა, რომ საუასო დისკრიმინაცია, იძულებითი შეთანხმებები, კორპორაციათაშორისი მონაწილეობა კაპიტალებში ერთმანეთის აქციების ფლობით და ურთიერთგადახლართვადი დირექტორატები უკანონოა, როცა ამის შედეგად კონკურენცია სუსტდება.

5.ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ 1914 წ. კანონით შეიქმნა ფედერალური სავაჭრო კომისია ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევათა გამოძიებისა და "კონკურენციის არაპატიოსანი მეთოდების" გამოყენების თავიდან აცილებისათვის. ამკრძალავ მითითებათა გამოცემის რწმუნებულის სახით, კომისია გამოდის როგორც მაკონტროლებელი ორგანო პროდუქტების შესახებ ცრუ და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების საქმეში.

6. სელერ-კეფოვერის, შერწყმათა საწინააღმდეგოდ 1950 წ.მიღებული კანონი ერთ ფირმას უკრძალავს მეორის აქტივების შეძენას, თუ კი შედეგი კონკურენციის შესუსტება იქნება.

7.ანტიტრესტულ კანონთა გამოყენების მთავარი პრობლემაა: ა) დარგის შეფასების განსაზღვრა მოხდეს მისი სტრუქტურის შესაბამისად ან მისი ქცევით, ბ) გაბატონებული ფირმის საქმიანობის სფეროსა და ბაზრის სიდიდის განსაზღვრა.

8.საერთოდ შესაძლოა, რომ ანტიტრესტული კანონმდებლობის შესრულებაზე დამკვირვებელი ჩინოვნიკები უარს იტყვიან ფასების ფიქსირებისა და ჰორიზონტალურ შერწყმათა საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ შეეცდებიან არსებულ საბაზრო სტრუქტურათა დაშლასას.

9.სოფლის მეურნეობის, შრომის ბაზრის, პროფესიული საქმიაობის ლიცენზირებისა, პატენტების გაცემისა და საგარეო სავაჭრო დაბრკოლებების დაწესებაში მთავრობის პოლიტიკას კონკურენციის შემზღუდავი ტენდენცია გააჩნია.

10.დარგობრივი რეგულირების მიზანია საზოგადოების დაცვა ბუნებრივ მონოპოლიათა საბაზრო ძალაუფლებისაგან, ფასებისა და მომსახურების ხარისხის რეგულირებით. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ დარგობრივი რეგულირება ხელს უწყობს არაეფექტიანობას და დანახარჯების ზრდას და, რომ მრავალ შემთხვევაში იგი აწესებს ლეგალურ კარტელს რეგულირებადი ფირმებისათვის.1970 და 1980-იან წლებში მიღებულმა კანონმდებლობამ ამა თუ იმ ზომით გამოიწვია ავიახაზების, სატვირთო ავიაგადაზიდვების, საბანკო საქმის, რკინიგზების, ტელემაუწყებლობის დერეგულირება.

11.ავიაკომპანიათა დერეგულირებამ ხელი შეუწყო ტარიფების შემცირებას და დარგის ეფექტიანობის გადიდებას,

რამაც საზოგადოებას მნიშვნელოვანი წმინდა სარგებელი მოუტანა.

12.სოციალური რეგულირება შეეხება პროდუქტების უსაფრთხოების პრობლემებს, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას, გარემოს გაჭუჭყიანების შემცირებას და ეკონომიკური შესაძლებლობების გადიდებას. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კომპანიები მეტისმეტ რეგულირებას ექვემდებარებიან, რამდენადაც ზღვრული ხარჯები მეტია ზღვრულ სარგებლობაზე, მაშინ, როცა მისი მომხრეები ეჭვის თვალით უყურებენ ამ მტკიცებას.

ტერმინები და ცნებები

მეწარმეობითი მონოპოლია
მსხვილი მონოპოლია
დარგთაშორისი კონკურენცია
პოტენციურ კონკურენცია
შერმანის კანონი
კლეიტონის კანონი
იძულებითი შეთანხმებები
გადახლართვადი დირექტორატები
ამკრძალავი მითითებები
უილერ-ლის კანონი
კანონი ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ
სელლერ-კეფოვერის კანონი
გონივრული მიდგომის წესი
„იუ ს სტილ“-ის საქმე
ჰორიზონტალური,ვერტიკალური და
კონგლომერატული შერწყმები
ფაქტობრივი დარღვევები (per se violations)
საპატენტო კანონები
ბუნებრივი მონოპოლია
საზოგადოების ინტერესებისათვის რეგულირების თეორია
ლეგალური კარტელის დახმარებით რეგულირების თეორია
ავიაკომპანიათა დერეგულირების კანონი
დარგობრივი რეგულირება
სოციალური რეგულირება

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.ყველა მსხვილი ფირმა მონოპოლისტურია, მაგრამ ყველა მონოპოლისტური ფირმა მსხვილი როდია.შეაფასეთ მსჯელობა კრიტიკულად.

2. წარმოიდგინეთ თავი "ჯენერალ მოტორზ"-ის ან "ფორდის" პრეზიდენტად. კრიტიკულად განიხილეთ მოსაზრებები მეწარმეობითი მონოპოლიის წინააღმდეგ. ახლა კი თავი წარმოიდგინეთ ფერმერული ორგანიზაციის წარმომადგენლად და ეცადეთ დაარწმუნოთ კონგრესის კომიტეტი, რომ მეწარმეობითი მონოპოლიის არსებობა ფერმერული პრობლემების გაღრმავების მნიშვნელოვანი ფაქტორია. კრიტიკულად შეაფასეთ მოსაზრებები მეწარმეობითი მონოპოლიის სასარგებლოდ.

3.აღწერეთ შერმანისა და კლეიტონის კანონის ძირითადი დებულებები, ვინაა პასუხისმგებელი ამ კანონების ცხოვრებაში გატარებაზე?

4.მოკლედ უჩვენეთ ძირითადი პრობლემა, რომელიც მოცემულია "იუ.ს.სტილის","ალკოას", და"დიუპონის" "ცელოფანის საქმეში". რა სადაო საკითხები არსებობს ანტიტრესტული კანონმდებლობის რეალიზაციაში ამ საქმეებთან დაკავშირებით?

5.როგორ ფიქრობთ, რეაგირებას მოახდენენ თუ არა ანტიტრესტული კანონმდებლობის დაცვაზე პასუხისმგებელი ხელის-უფლები: ა) "კრაისლერისა" და "ამერიკენ მოტორზის" სავარაუდო შერწყმაზე; ბ) მოიჯარეთა საიდუმლო შეხვედრების ფაქტებზე ,იმისათვის რათა მოილაპარაკონ გზატკეცილების მშენებლობის პროექტების შესრულების ფასების შესახებ; გ) ფეხსაცმლის მსხვილი მწარმოებლისა და ფეხსაცმლის ცალობრივი მაღაზიების სავარაუდო შერწყმაზე; დ) მცირე სადაზღვევო კომპანიისა და კანფეტების მწარმოებლის სავარაუდო შერწყმაზე.

6.ვივარაუდოთ, ფირმათა დასახული შერწყმა ერთდროულად კონკურენციის შესუსტებას და დანახარჯების შემცირებას გამოიწვევს პროდუქციის ერთეულზე, უმეტესწილად მასშტაბის ეფექტის რეალიზაციის წყალობით. თვლით თუ არა თქვენ,რომ ასეთი შერწყმა ნებადართული უნდა ყოფილიყო?

7.1986 წ."პეპსიკო", რომელიც ახლა უალკოჰოლო სასმელების ბაზრის 28%-ს ფლობს, ეარაუდობდა "სევენ აპკო"-ს შეძენას. მალე, ამის შემდეგ "კოკა-კოლამ",რომელსაც ბაზრის 39% გააჩნდა,"დრ პეპერ კომპანის"

შეძენის სურვილი გამოთქვა."სევენ აპკო" და "დრ პეპერი", თითოეული, ბაზრის დაახლოებით 7%-ს აკონტროლებდა. იყო თუ არა მოავრობის გადაწყვეტილება დროული ამ შერწყმის შეფერხების თაობაზე?

8.ანტიტრესტული კანონები ეფექტიანად მართვადი ფირმების დაჯარიმებას ემსახურებიან. თქვენ თანახმა ხართ?

9.საზოგადოებისათვის ნებისმიერი მოცემული საქმიანი საწარმოს სასურველობის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ არა დარგის სტრუქტურის საფუძველზე, რომელშიც იგი საქმიანობს, არამედ მეტწილად ამ ფირმის საბაზრო ფუნქციონერებისა და ქცევის საფუძველზე. კრიტიკულად გაანალიზეთ ეს დებულება.

10. დარგთა როგორი ტიპები უნდა დაექვემდებაროს დარგობრივ რეგულირებას? რა სპეციფიკურ პრობლემებს წარმოშობს იგი? რატომ შეძლებდა რეგულირებადი ბუნებრივი მონოპოლია კაპიტალისა და შრომის არაეფექტიანი კომბინაციის გამოყენებას?

11.ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით შეადარეთ საზოგადოებრივად ოპტიმალური (ზღვრული დანახარჯები) ფასწარმოქმნა და სამართლიანი მოგების პრინციპის საფუძველზე არსებული ფასწარმოქმნა, 26-ნ ნახაზის ხელმეორედ გამოყენებით. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ზარალის დასაფარავად ზღვრული დანახარჯების პრინციპის საფუძველზე გამოწვეული ფასწარმოქმნის შედეგად, შესაძლებელი იყო სახელმწიფო სუბსიდიების გამოყენება, ფასწარმოქმნის სფეროში რომელ პოლიტიკას მისცემდით უპირატესობას? რა პრობლემებს გამოიწვევდა სუბსიდია?

12.რით განსხვავდება სოციალური რეგულირება დარგობრივი რეგულირებისაგან? დანახარჯთა და სარგებლობის რა სახეებია დაკავშირებული სოციალურ რეგულირებასთან?

13.ქვემოთ მოტანილია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის საშუალო ღირებულების მეცნიერული შეფასებები სამი სპეციალური სოციალური დანიშნულების წყალობით: ავტომობილების საჭის სვეტის უსაფრთხოების წესის შესრულება, რომელიც 1967 წ. იქნა შემოღებული, ყოველ გადარჩენილ სიცოცხლეზე 100 ათასი დოლ. ჯდება; კვების პროდუქტებსა და მედიკამენტებზე სანიტარული ზედამხედველობის სამმართველოს მიერ 1979წ. მიღებული აკრძალვის შესრულება DES-ის გამოყენებაზე (რამდენადაც ეჭვობენ,რომ იგი ონკოლოგიურ დაავადებას იწვევს) მსხვილი რქოსანი პირუტყვის საკვებში, 132 მლნ დოლ. ღირს ერთი გადარჩენილი სიცოცხლე.1 გარემოს დაცვის სამმართველოს მიერ ნიადაგში დიოქსინებისა და გაჭუჭყლების გამოყენების

შეზღუდვა 35 მლრდ დოლ ღირს თითოეულ გადარჩენილ სიცოცხ-ლეზე. მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით იწონები თუ არა თქვენ ყოველ ამ სოციალურ დანიშნულებას? თუკი არა, მაშინ რაზომ? განიხილეთ: „იგულისხმება რომ პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტების დაწესებისას გაითვალისწინება ადამიანის სიცოცხლის ფასიც“.

ბოლო შტრიხი

სჭირდება თუ არა აშშ-ს მრეწველური პოლიტიკა?

სჭირდება თუ არა სახელმწიფოს მრეწველობის სტრუქტურის ფორმირებაში უფრო აქტიური ჩარევა?

უკანასკნელ წლებში იზრდება შეშფოთება აშშ-ს მრეწველური უპირატესობების სერიოზული შერყევების გამო. ამერიკულ ბაზარს ნაკადებად მოაწყდა უცხოური ფოლადი, ავტომანქანები, მოტოციკლები, ფოტოაპარატები, საათები და სტერეოაპარატურა, ხოლო ეს ნიშნავს, რომ ამერიკის კონკურენტული უპირატესობა დაიკარგა. აღნიშნავენ რა იაპონიის უდავო წარმატებებს, ბევრი პოლიტიკური, პროფკავშირული მოღვაწე და საქმიანი სამყაროს ლიდერი-მაგრამ ეკონომისტთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა-თვლის, რომ აშშ-ებს მრეწველური პოლიტიკა სჭირდებათ მისი მოჩვენებითი მრეწველური დაქვეითების დასაძლევად. აღნიშნავენ, რომ სახელმწიფომ ხელში უნდა აიღოს უფრო აქტიური ხელმძღვანელი როლი ქვეყნის მრეწველობის სტრუქტურისა და შემადგენლობის ფორმირებაში. სახელმწიფომ, როგორც ვარაუდობენ, ისეთი ბერკეტები უნდა გამოიყენოს, როგორიცაა დაბალი სარგებლის სესხები, სესხის გარანტიები, სპეციალური საგადასახადო რეჟიმი, სუბსიდიები მეცნიერული გამოკვლევებისათვის და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები და პროტექციონიზმიც კი საგარეო ვაჭრობის სფეროში "მაღალი ტექნოლოგიის" დარგების განვითარების დასაჩქარებლად და ახალი სიცოცხლე შთაბეროს განსაზღვრულ-

---

1.Economic Report of the President.1987.ბ3 .183

რომელიც ეკონომიკის ბირთვს შეადგენს-დამმუშავებელ დარგებს, ისეთს როგორიცაა ფოლადსამსხმელო. და პირიქით, მან უნდა დააჩქაროს რესურსების გადადგილება დაქვეითებადი დარგებიდან. ალბათ, საბოლოო შედეგი იქნება ამერიკული ეკონომიკის მიერ მწარმოებლურობის უფრო მაღალი საშუალო დონის მიღწევა,-და უფრო მეტი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

მრეწველური პოლიტიკის მომხრეები გამოთქვამენ რიგ მოსაზრებებს.

1.დეინდუსტრიალიზაცია? მოხდა თუ არა დეინდუსტრიალიზაცია აშშ-ში? განიცადა თუ არა ამერიკის მრეწველურმა სექტორმა სერიოზული დაქვეითება? სტატისტიკა ამტკიცებს, რომ არა. მართალია, მრეწველური წარმოების შედგენილობა შეიცვალა, მაგრამ 1988წ. მთელი დამმუშავებელი მრეწველობის წილად მთლიანად, ფაქტობრივად, ეროვნული წარმოების იგივე მოცულობა მოდიოდა (თითქმის 20%), რაც 1950 წელს. ასევე, დამმუშავებელი მრეწველობის წილი ახალ საწარმოთა მშენებლობის დანახარჯებსა და მოწყობილობებში 1988 წ. თითქმის იგივე იყო, რაც 1950 წელს. 1950-1988წწ. დამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმება შემცირდა 34-დან 18%-მდე დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან, მაგრამ ეს უფრო შრომის მწარმოებლურობის ზრდას ასახავს, ვიდრე მრეწველურ სიკვდილს. წარმოების მოცულობა და დასაქმება დამმუშავებელ მრეწველობაში დაზარალდა 1980-იანი წლების დასაწყისსა და შუახანებში, მაგრამ, მთავარი მიზეზი ეკონომიკური დაქვეითება და ძალზე ძლიერი დოლარი იყო, რაც უცხო ქვეყნების იმპორტს შედარებით აიაფებს, ხოლო ამერიკულ ექსპორტს აძვირებს.

2.უცხოური გამოცდილება. მრეწველური პოლიტიკის მომხრეები ჩვეულებრივ იაპონიას ასახელებენ, როგორც მაგალითს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიამ სწრაფი ეკონომიკური ზრდა განიცადა. მან დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიო ბაზარზე შეღწევაში და ისეთი მრეწველური პოლიტიკა გაატარა, რომელმაც ფართო აღიარება ჰპოვა. ამასთან, მრეწველური პოლიტიკის, როგორც იაპონური მრეწველური წარმატების მიზეზობრივი ფაქტორის როლი არც მთლად ნათელია. სურათი სხვადასხვაგვარია.

იაპონური მრეწველური პოლიტიკისაივის დამახასიათებელია წარმატებებიც და წარუმატებლობებიც. შეკვეთების მიმღები ზოგიერთი დარგები, სახელგანმტარების

წარმოებისა და ჩარხთმშენებლობის ჩათვლით, თითქმის უთუოდ უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოს დახმარების გარეშე იქნებოდა, და შეიძლება იაპონური მრეწველური პოლიტიკის მიღწევად ჩითვალოს. სხვა დარგები, ისეთები, როგორიცაა გემთმშენებლობა, ფოლადსამსხმელო მრეწველობა, ალბათ, სწრაფად ვითარდებიან სახელმწიფო დახმარების წყალობით, მაგრამ, ცხადია, განვითარდებოდნენ სახელმწიფოს რაიმე ჩარევის გარეშეც. ამასთან, იაპონიის მთავრობა ასევე ეხმარებოდა ბედუკულმართებსაც. ალუმინის გამოდნობა და ნავთობქიმია პრივილეგირებული დარგები იყო 15 წლის წინათ, მაგრამ სახელმწიფო და კერძო კაპიტალური დაბანდებები ძალზე მწირ უკუგებას იძლეოდნენ, და ახლა მათი სიმძლავრეები მცირდება. არის ასევე, რამდენიმე წარმატებული დარგებიც, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას არ ღებულობენ, მათ შორისაა მოტოციკლებისა და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის წარმოება.[1]

ევროპაში მრეწველური პოლიტიკა,როგორც წესი წარუმატებელი იყო. საავიაციო მრეწველობაზე ფართომასშტაბურმა დახმარებამ, უბრალოდ შედეგი არ გამოიღო.

3.ბაზრები და პოლიტიკა. მართალია მრეწველური პოლიტიკის გატარების წინადადება, რომლის ფარგლებშიაც „ალმავალი"დარგების სუბსიდირება ხდება და „დაქვეითებადის"ა კი ლიკვიდირება, მიმზიდველი ჩანს, მაგრამ კრიტიკოსები ეჭვობენ, რომ მთავრობამ მომავალი მრეწველური "გამარჯვებულების" და "დამარცხებულების" განსაზღვრა შეძლოს. აქ საკითხი ისაა, რომ კაპიტალის ბაზარზე მოქმედი კერძო ინვესტორები უკეთეს ვარაუდს ავლენენ თუ არა, ვიდრე ჩინოვნიკები, მრეწველურ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა განსაზღვრაში. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კერძო ინვესტორებს თავიანთი კაპიტალის დაბანდებით სხვადასხვა დარგების პერსპექტივების განსაზღვრის უფრო დიდი სტიმული გააჩნიათ, ვიდრე სამთავრობო ჩინოვნიკებს ექნებოდათ, რომლებიც გადასახადის გადამხდელთა სახსრებს აბანდებენ. უფრო მეტიც, განა მთავრობას არ შეეძლო თავისი ძალაუფლება კაპიტალების ისე გასანაწილელად გამოეყენებინა, რომ სხვა დარგების პოლიტიკური მხარდაჭერა ეყიდა? განა არ შეიძლებოდა ეკონომიკური მიზანი მრეწველობის ეფექტიანობის ამაღლება-დამახინჯებულიყო პოლიტიკური მიზნით-გადარჩევის მიღწევით? არსებობს საშიშროება, რომ ახალი მრეწველური პოლიტიკის ფორმირებამ შეიძლება "გამომძალველ სოციალიზმამდე" ანუ დაქვეითებადი დარგების ან მოძველებული კომპანიების სახელმწიფოებრივ

1.Economic Report of the President,1984.ბბ .98

მხარდ აჭერამდე ან სახელმწიფო საკუთრებად მათ გადაქცევამდე მიგვიყვანოს.

მრეწველური პოლიტიკისადმი სკეპტიკურად განწყობილები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს შესანიშნავად შეუძლია ამერიკული მრეწველობის სტიმულირება, 1) საკრედიტო-ფულადი და ბიუჯეტურ ფინანსური პოლიტიკის გამოყენებით, ხელსაყრელი მაკროეკონომიკური ვითარების შესაქმნელად (მაღალი დასაქმება, ინფლაციის დაბალი დონე, სარგებლის განაკვეთები), და 2) საგადასახადო სისტემისა და რეგულირების სისტემის ისეთნაირად სრულყოფით, რომ გააძლიეროს ინვესტირებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულები.[1]

1.Economic Report of the President.1984.თავი III-3:Federal Reserve Bank of Kansas City.Industrial Change Aand public Policy (1983).

თავი ოცდამეთხუთმეტე

სოფლის მეურნეობა:ფერმერული პრობლემა

ეს თავი, არსებითად აშშ სასოფლო-სამეურნეო სექტორში ჩამოყალიბებული სიტუაციებისა და იმ პრობლემების განხილვაა, რასაც იგი აწყდება. ასეთი გამოკვლევა რამდენიმე მიზეზითაა გამართლებული. ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობა ქვეყნის უმსხვილესი დარგია. მომხმარებლები თავიანთი შემოსავლების 1/5-ზე მეტს კვების პროდუქტებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ხარჯავენ. 1988წ. სოფლის მეურნეობის წილმა ეეპ-ში 170 მლრდ დოლ. შეადგინა და მასში დასაქმებული იყო სამუშაო ძალის დაახლოებით 2%. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა აშშ საექსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვანი წყაროა. 1986 წ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი თითქმის 36 მლრდ დოლ. უდრიდა, რაც ამერიკის საექსპორტო შემოსავლების 10%-ზე მეტს შეადგენდა. მეორე, სოფლის მეურნეობა კონკრეტულ მაგალითს გვაძლევს რეალური სინამდვილიდან, დარგის შესასწავლად, რაც სახელმწიფო ფერმერული პროგრამების გარეშე წმინდა კონკურენციის ბაზრის მოდელს მოგვაგონებს. დაბოლოს, ამერიკის სოფლის მეურნეობა შეიცავს პარადოქსს, რისი ახსნაც აუცილებელია. წარმოების ზრდის მაღალი ტემპებით, აშშ უხვი სოფლის მეურნეობა მსოფლიო შურის საგანი იყო. მაგრამ ბედის ირონიით, თავისი უდიდესი საწარმოო გმირობისათვის ფერმერები ჩვეულებრივ საშუალოზე დაბალ შემოსავლებს ღებულობდნენ.

უფრო ზუსტად, ამ თავის მთავარი ამოცანაა: (1) აღწეროს "ფერმერული პრობლემა"და გამოყოს მისი მიზეზები და (2) განიხილოს სახელმწიფო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის მიმართ, და კომენტარი გაუკეთოს მის ეფექტიანობას.

ფერმერულ პრობლემათა ისტორია

პირველი მსოფლიო ომის წინა ორი ათწლეული განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობისათვის. ეს პერიოდი"ამერიკის სოფლის მეურნეობის ოქროს საუკუნედ"მონათლეს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა, მისი ფასები და ფერმერთა შემოსავლებიც იზრდებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა გააძლიერა ეს აყვავება.

ამერიკელ ფერმერთა პროდუქციაზე საგარეო მოთხოვნა სწრაფად იზრდებოდა ომის პერიოდშიც და მის შემდგომაც. უცხო ქვეყნებმა, რომლებმაც რესურსები სოფლის მეურნეობიდან სხვა დარგებზე გადართეს, ამერიკის სოფლის მეურნეობას მიმართეს სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულისათვის. მაღალი ფასი და თითქმის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ბედნიერი ხვედრი იყო ამერიკელი ფერმერებისათვის ამ პერიოდში.

ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არ შეიძლებოდა დიდხანს დარჩენილიყო. ომისშემდგომი მკვეთრი დაქვეითება 1920 წელს მოულოდნელი და ძლიერი შერყევა იყო ამერიკის სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ, იპოთეკურ დავალიანებათა დიდი მოცულობა, რაც წინ უძღოდა აყვავების წლებს, მძიმე ტვირთი გახდა. მაგრამ ეკონომიკა მთლიანად, სწრაფად გამოვიდა ამ დაქვეითებიდან და 1921 წლისათვის დაიწყო ოციანი წლების ბუმი. მაგრამ სოფლის მეურნეობამ ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება ამ ეკონომიკურ აყვავებაში, იმ ზომით, რა ზომითაც ეკონომიკის სხვა სექტორებმა.

ამის მრავალი მიზეზი არსებობდა. ევროპის სოფლის მეურნეობა ომის შემდგომ არათუ წელში გაიმართა, არამედ ასევე სწრაფად იწყო გაფართოება ახალ ტექნიკურ გაუმჯობესებათა შედეგად. მაშასადამე, საგარეო მოთხოვნამ ამერიკულ სასოფლო-სამეურნეო საქონელზე თანდათანობით გამოთანაბრება და შემდგომ შემცირება იწყო. ამერიკის საგარეო სავაჭრო პოლიტიკაც ხელს უწყობდა ამ საგარეო მოთხოვნის შემცირებას. აშშ-ში იმპორტირებული საქონლის მაღალმა ბაჟმა ხელი შეუწყო ამერიკული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის საგარეო მოთხოვნისადმი ძირის გამოთხრას. იმ ზომით,რა ზომითაც უცხოელებს არ შეეძლოთ თავიანთი პროდუქციის აშშ-ში გაყიდვა სავაჭრო შეზღუდულობათა გამო, მათ არ შეეძლოთ იმ სახსრების გამომუშავება, რაც საჭირო იყო ამერიკელი მეწარმეებისაგან საქონელთა შესაძენად. უფრო მეტიც, საშინაო მოთხოვნაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე 20-იან წლებში შესამჩნევად არ გაზრდილა. ამერიკელთა უმრავლესობის კუჭი უკვე ამოვსებული იყო, და მზარდი შემოსავლები გამოიყენებოდა ავტომანქანების, მაკივრებისა და მრეწველობის მრავალი ახალი სხვა პროდუქციის საყიდლად. დაბოლოს, სურათს მიწოდების კუთხით თუ შევხედავთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შესამჩნევად უწყობდა ხელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მზარდი მიწოდებისაგან, არაელასტიური მოთხოვნის ჩამორჩენის საბოლოო

შედეგი მათი დაბალი ფასები და ფერმერთა დაბალი შემოსავლები იყო.

„დიდმა დეპრესიამ“ განსაკუთრებით მტკივნეულად დაარტყა ამერიკის სოფლის მეურნეობას. სოფლის მეურნეობის მაღალკონკურენტული ბუნება მას განსაკუთრებით მტკივნეულს ხდის მძიმე პერიოდებში. გამყიდველებისაგან განსხვავებით, რომლებსაც, თუნდაც მცირე მონოპოლიური ძალაუფლება გააჩნიათ, ფერმერებს არ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საკუთარ ფასებზე. ბაზრის ტყვეობაში ისინი იძულებული არიან ნებისმიერ ფასზე დათანხმდნენ. ამიტომ, როდესაც საბაზრო მოთხოვნა მცირდება, როგორც დეპრესიის პერიოდში მოხდა, ფერმერული ფასები და შემოსავლები მკვეთრად ეცემა. ბედის ირონიით, ფერმერები საქონელს ისეთ ბაზრებზე იძენენ, სადაც შემცირებისადმი შედარებით მოუქნელი ფასები ბატონობენ. მაშასადამე,მაშინ, როცა ფერმერების შემოსავლები დიდად მცირდება, მათ მიერ ნაყიდ საქონელთა ფასები კი ერთობ თანაბარზომიერად ეცემა. 1920-იან და 1930-იან წლებში ფერმერები ფასებისა და დანახარჯების მკაცრ მარწუხებში მოექცა.

მეორე მსოფლიო ომმა ფერმერს ნანატრი, მაგრამ დროებითი შვება მოუტანა. სოფლისმეურნეობრივ პროდუქტებზე, როგორც საშინაო, ისე საგარეო მოთხოვნა ომის პერიოდში იზრდებოდა და სოფლის მეურნეობა დიდ აღმავლობას განიცდიდა. 1948-1949 წლების კრიზისის გამოკლებით 40-იანი წლების შუახანები და ბოლო პერიოდი ამერიკელ ფერმერთა ყველაზე დიდი აყვავების ხანა იყო. 1950-იან წლებში შესამჩნევი გახდა ნელი, მაგრამ სტაბილური დაქვეითება და სოფლის მეურნეობა კვლავ წააწყდა სიძნელეებს.

1970-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები და ფერმერთა შემოსავლები ისევ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთავარი მიზეზი ექსპორტის გადიდება იყო. ამ საექსპორტო ბუმს რიგი ფაქტორები იწვევდა. მსოფლიო მასშტაბით და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში სწრაფად იზრდებოდა შემოსავლები. მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას სოფლის მეურნეობაში ცოტა, ან სულ არ გააჩნდა ჭარბი წარმოებითი სიმძლავრეები .სინამდვილეში მრავალი ქვეყანა უკვე იყო სასურსათო საქონელთა მსხვილი იმპორტიორი. მაშასადამე, სურსათსა და ნედლეულზე გაზრდილი მოთხოვნის დიდი ნაწილი ამერიკულ პროდუქციაზე მოდიოდა. გარდა ამისა დაბალი მოსავლიანობის გამო რიგ ქვეყანაში გაიზარდა მოთხოვნა

ამერიკის პროდუქტებზე. დაბოლოს, ამერიკის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტმა დამატებითი სტიმული მიიღო საერთაშორისო ვაჭრობაში დოლარის გაუფასურების შედეგად. ანუ დოლარი სხვა ვალუტებზე გადაანგარიშებით უფრო იაფი გახდა, რამაც ამერიკული საქონელი, ფერმერულ მეურნეობათა პროდუქციის ჩათვლით, უფრო იაფი გახადა უცხოელი მყიდველებისათვის. ერთი სიტყვით, ყველა ამ ფაქტორმა ქვეყნის შიგნით შემოსავლების საკმაოდ მკვეთრ ზრდასთან ერთად ძლიერ გაზარდა მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მისი ფასები და ფერმერთა შემოსავლები.

1980-იანი წლების დასაწყისში ეს სურათი უეცრად შეიცვალა.მრავალმა ძალამ,რამაც 1970-იან წლებში საექსპორტო ბუმი გამოიწვია,არსებითად საწინააღმდეგო მიმართულებით იწყო მოქმედება,და "ცუდი მოსავალი"წარმოშვა.მეორე, ზოგიერთი მრეწველურად განვითარებული ქვეყანა გადაეიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების პოლიტიკაზე და მრავალმა მათგანმა თვითუზრუნველყოფა იწყო.მაგალითად,დასავლეთ ევროპული ქვეყნები-საერთო ბაზრის წევრები 1970-იანი წლების შუახანებიდან 1980-იანი წლების შუახანებამდე მარცვლეულის მსხვილი იმპორტიორიდან ექსპორტიორად გადაიქცნენ. მეორე, მრავალი ნაკლებ განვითარებული ქვეყანა იძულებული შეიქნა შეეზღუდა ამერიკულ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვა, უცხოური ვალების სარგებლის გადასახდელად. მესამე, დოლარის საერთაშორისო ღირებულება გაიზარდა, რამაც ამერიკული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გააძვირა უცხოელებისათვის და შეამცირა მათი შესყიდვა. საშინაო შეზღუდული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, რომლის მიზანი იყო ინფლაციის შეჩერება, მკვეთრად გაიზარდა სარგებლის რეალური განაკვეთები, რამაც მრავალ ფერმერს ხელი შეუშალა თავისი საქმიანობის დაფინანსებისა და მოგების მიღებაში. მართალია, ეს არახელსაყრელი გარემოებები 1980 წლის ბოლოსათვის გაქრა, მაგრამ აგრარული სექტორის ეკონომიკური პერსპექტივები პრობლემატური რჩება.

ფერმერული შემოსავლები და მათ შორის განსხვავებები

ფერმერებისა და არაფერმერების შემოსავლების შედარება რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს ააშკარავებს.

1.ისტორიულად, შედარებით დაბალი შემოსავლები ფერმერული პრობლემის ყველაზე უფრო ნათელი ნიშანი იყო. წარსულში ფერმერთა შემოსავლები, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა არაფერმერთა შემოსავლებს. მაგალითად, 1960-იანი წლების დასაწ-ყისში ფერმერული შემოსავლები არაფერმერთა შემოსავლების მხო-ლოდ 3/4-ს შეადგენდა. 1980-იანი წლების დასაწყისში ფერმერული და არაფერმერული შემოსავლების თანაფარდობა ისევ 80%-ის ირგვლივ მერყეობდა.

2.უკანასკნელ წლებში განსხვავება ფერმერულ და არაფერმერულ შემოსავლებს შორის შემცირდა. სინამდვილეში სასოფლო-სამეურნეო ბუმის 1970-იანი წლების შუახანებში ფერმერული ოჯახების შემოსავ-ლები ფაქტობრივად აჭარბებდა არაფერმერებისას. ასეთივე მდგომარე-ობაა უკანასკნელ წლებშიც. მაგალითად, 1985 წელს ფერმერული ოჯახების საშუალო შემოსავალი 29436 დოლ. შეადგენდა საშუალო-ეროვნულ 29066 დოლართან შედარებით. შესაბამისი მაჩვენებელი1986 წელს იყო 34305 დოლ. ფერმერებისათვის და 30759 დოლ. ეკონომიკისათვის მთლიანად. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ფერმერ-თა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი სამთავრობო სუბსიდიების შედეგია.

3.როგორც ზემოთ მოტანილი კომენტარები და ფერმერულ პრობლე-მათა ჩვენს მიერ განხილული ისტორია გვიჩვენებს, ფერმერული შემოსავლები უფრო მეტად არამყარია, ვიდრე არაფერმერული.

4.მართალია, ფერმერული და არაფერმერული შემოსავლები უკანასკნელ წლებში სავსებით შესადარისია, მაგრამ ფერმერული შემოსავლები ერთობ არათანაბრად ნაწილდება. ამიტომ, ჩვენ ვხედავთ, რომ 1986წ. ფერმერული მოსახლეობის 20% უფრო ღარიბად ცხოვრობდა მთლიანი ეკონომიკის 15%-თან შედარებით.

5.ფერმერული ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესება არა-ფერმერულ ოჯახებთან შედარებით, ისტორიულ ჭრილში ,ძირითა-დად ასახავს ფემერული ოჯახების შემოსავლების გადიდებას არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან. ეს ნიშნავს, რომ ბევრი დაბალ-შემოსავლიანი ფერმერული ოჯახი,რომელიც დაბალ შემოსავალს ღებულოლბს ფერმერული მეურნეობის გაძღოლისაგან, ასევე მნიშვნე-ლოვან შემოსავალს ღებულობს, ფერმის გარეთ მუშაობისაგან. თუ შევხედავთ 35-1 ცხრილის მე-5 და მე-6 სვეტებს, დავინახავთ, რომ 1987 წელს ფერმერული მეურნეობის გაძღოლისაგან საშუალო შემოსავალი ერთ ფერმაზე გაანგარიშებით 21545 დოლ. (ქვეყნის საშუალოზე დაბალი) შეადგენდა, მაგრამ ყველა წყაროებიდან

ცხრილი 35-1.ამერიკის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა 1987 წელს

(1) ფერმათა სიდიდე ყოველნლიური მთლიანი გაყიდვის მიხედვით (დოლ)	(2) ფერმათა რიცხვი	(3) ხვედრი წილი ფერმათა საერთო რიცხვში	(4) ხვედრი წილი მთლიან ფერმერულ შემოსავლებში	(5) საშუალო წმინდა ფერმერული შემოსავალი ერთ ფერმაზე (დოლ)	(6) საშუალო შემოსავალი ერთ ფერმაზე (დოლ)
500000 და მეტი	29000	1,3	32,2	738132	767495
250000-დან 499999-მდე	71000	3,2	16,9	128678	144760
100000-დან 249999-მდე	201000	9,2	22,1	51749	66132
40000-დან 99999-მდე	286000	13,2	14,3	18713	33334
20000-დან 39999-მდე	209000	9,6	5,0	6058	27980
10000-დან 19999-მდე	241000	11,1	3,2	2038	25886
5000-დან 9999-მდე	302000	13,9	2,6	930	20326
5000-ზე ნაკლები	837000	38,5	3,6	-1455	24251
ჯამი	2176000	100,0	100,0	21545	43037

წყარო:U.S.Departament of Agriculture.Economic Indicators of the Farm Sector; National Financial Sunnary,1987.

მიღებული საშუალო შემოსავალი (სასოფლო-სამეურნეო წარმოებას პლუს არა სასოფლო-სამეურნეო) 43037 დოლარი იყო. ეს უკანასკნელი ციფრი ქვეყნის საშუალოზე მეტია. ეს სვეტები ასევე გვიჩვენებენ, რომ ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოთხი ჯგუფი (ყველა ფერმა წლიური გაყიდვებით 40 ათას დოლარზე ნაკლებია) შემოსავლის დიდ ნაწილს არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან ღებულობს.

მოდით, 35-1 ცხრილს უფრო ყურადღებით შევხედოთ, რათა შევაფასოთ სოფლის მეურნეობაში შემოსავლებში არსებული დიდი განსხვავებანი. ფაქტობრივად ფერმერულ სექტორში მეურნეობათა სამი სრულიად სხვადასხვა ჯგუფია.

ჯგუფი-1. ქვეყნის 2,2 მლნ ფერმიდან 14%-ზე, 100000 დოლარი და მეტი წლიური საერთო გაყიდვით, წარმოების საერთო მოცულობის 71% მოდიოდა. ეს უმსხვილესი კომერციული ფერმები ხანგრძლივ პერიოდში საშუალო შემოსავლებს ღებულობდნენ, რომლებიც ბევრად ჭარბობდნენ არაფერმერული ოჯახების შემოსავლებს, როგორც 35-1 ცხრილის მე-6 სვეტიდან ჩანს.

ჯგუფი-2. მეორე პოლუსზეა ის 1,6 მლნ ფერმერი, რომელთა წლიური გაყიდვა 40 ათ. დოლარს ვერ აღწევს. მართალია ისინი ფერმათა საერთო რიცხვის 73%-ს შეადგენენ, მაგრამ მათზე ფერმერული წარმოების საერთო მოცულობის 15%-ზე ნაკლები მოდის. ეს ფერმები, არსებითად სასოფლო სახლები ანუ სამოყვარულო ფერმებია და ძალზე მცირენი არიან, რათა ოჯახისათვის საკმაო შემოსავალს იძლეოდნენ. ასეთი ფერმერები შემოსავლების მიღებაში იმედებს ფერმის გარეთ დასაქმებაზე ამყარებენ. როგორც მე-5 სვეტი მოწმობს, ამ ფერმერთა უმეტესობა უმნიშვნელო შემოსავალს იღებს სოფლის მეურნეობით გატაცებით. ამ ჯგუფის საშუალო შემოსავალი მნიშვნელოვნად ნაკლებია მთლიანად ეკონომიკისაზე.

ჯგუფი-3. დაახლოებით 286 ათ. ფერმა ხვდება 40-დან 100 ათას დოლარამდე ერთობლივი გაყიდვის დიაპაზონში. მათი ხვედრი წილი დაახლოებით 13%-ია ფერმებთა საერთო რაოდენობაში და ისინი ფერმერთა საერთო შემოსავლის 14%-ს ღებულობენ. ამ ჯგუფის საშუალო შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან 1987წ. 18713 დოლარი იყო მთლიანად ეკონომიკის 30853 დოლართან შედარებით.

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ეს განსხვავებები ძალზე ართულებენ ფერმერულ პოლიტიკას. თითქმის აზრი არა აქვს ის პროგრამების ჩამოყალიბებას, რომლებიც მიმართულია "ტიპიური"ფერმერული ოჯახის შეგნებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ.პირველი ჯგუფის მსხვილი ფერმები არ საჭიროებენ სუბსიდირებას ხანგრძლივ პერიოდში, მაგრამ, როგორც ჩვენ ვნახავთ, სინამდვილეში ისინი შემოსავლების არასტაბილურობის სერიოზულ ხანმოკლე პრობლემებს აწყდებიან. მე-2 ჯგუფის წვრილი ფერმები დიდ სარგებელს ვერ იღებენ არსებული ფერმერული პოლიტიკიდან, რამდენადაც სუბსიდიების წილი ფერმერთა შემოსავლებში წარმოების მოცულობის პროპორციულად იცვლება, ხოლო წარმოება ამ ფერმებში ძალზე უმნიშვნელოა. ფაქტობრივად ამ ჯგუფის არსებობა ნიშნავს ,რომ ადამიანთა და მატერიალური რესურსების

მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლებოდა გადაგვეადგილებინა სოფლის მეურნეობიდან, მისი პროდუქციის მთლიანი წარმოების არსებითი შემცირების გარეშე.

საინტერესოა შევნიშნოთ, რომ 35-1 ცხრილის მიხედვით, თითქმის ყველა ფერმათა საერთო რაოდენობის 40%-ის გაყიდვათა მთლიანი მოცულობა არ აჭარბებს 5 ათას დოლარს და მათი პროდუქცია მთელი ფერმერული პროდუქციის მხოლოდ 3,6%-ია. სამუშაო ძალის მომზადების სისტემა და საყოველთაო მაკროეკონომიკური აყვავება ,შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს ამ ჯგუფის შედარებით დაბალი შემოსავლების გადიდებისათვის, ვიდრე ფერმერული პოლიტიკა .მესამე ჯგუფში შემავალი საშუალო სიდიდის ფერმები, იმავდროულად ორივე პრობლემას აწყდებიან:შემოსავლების დაბალ დონესა და მის არასტაბილურობას.

ფერმერულ პრობლემათა მიზეზები: მოკლევადიანი და ხანგრლივვადიანი პერიოდები

განსაზღვრულ ფერმერულ პრობლემაზე ლაპარაკი ნაწილობრივ გაუგებრობას ნიშნავს. სინამდვილეში, ცვლილებები, რომლებიც ფერმერულ შემოსავლებს ეხება, როგორც მოკლევადიანი ისე ხანგრძლივვადიანი პრობლემების არსებობაზე მეტყველებენ. ხანგრძლივი დროის პრობლემა ეხება ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ფერმერული ფასებისა და შემოსავლების ჩამორჩენას მთლიანად ეკონომიკაში ფასებისა და შემოსავლების ცვლილებათა ტენდენციებისაგან. მოკლევადიანი პრობლემა ხშირად დაკავშირებულია ფერმერთა შემოსავლების ერთობ არასტაბილურობასთან სხვადასხვა წლებში.

ხანგრლივვადიანი პრობლემა: დაბალი შემოსავლები

ადვილი როდია როული პრობლემების მოკლედ და ზუსტად გადმოცემა. ეს უდაოდ სწორია ხ ა ნ გ რ ლ ი ვ ვ ა დ ი ა ნ ი პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი ს მიმართაც, რაც ხშირად აწუხებს ამერიკის სოფლის მეურნეობას. და მიუხედავად ამისა, პრობლემის ჭეშმარიტი სურათი შეიძლება დავხატოთ მოთხოვნისა და მიწოდების ეკონომიკური ინსტრუმენტების დახმარებით. ამ ცნებების მეშვეობით, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ფერმერულ პრობლემათა

მიზეზი მოკლევადიან და ხანგრძლივ პერიოდში მდგომარეობს:

1.სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის საფასო არაელასტიურობაში;

2.დროის მანძილზე ფერმერულ პროდუქტებზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდში განხორციელებულ ძვრებში;

3.სასოფლო-სამეურნეო რესურსების შეფარდებით იმოილურობაში. ამ ფაქტორთა შეხამებამ ფერმერთა პროდუქტების ფასების და მათი შემოსავლების შემცირების ტენდენცია გამოიწვიეს, სხვა ფასებთან შედარებით (ნახ. 35-4).

არაელასტიური მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის საფასო ელასტიურობა დაბალია. მიახლოებითი გაანგარიშებით ფერმერული პროდუქციისათვის მთლიანად, ელასტიურობის კოეფიციენტი 0,20-დან 0,25-მდე[1]შეადგენს .ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები 40-50%-ით უნდა შემცირებულიყო, მომხმარებლების შესყიდვების სულ რაღაც 10%-ით გასადიდებლად. მომხმარებლები, ეტყობა ნაკლებად აფასებენ დამატებით სასოფლო- სამეურნეო პროდუქციას ალტერნატიულ საქონელთან შედარებით. რატომა ხდება ასე? გავიხსენოთ, რომ მოთხოვნის ელასტიურობის ძირითადი განმსაზღვრელია შენაცვლება. ეს ნიშნავს, რომ პროდუქტის ფასის დაეცემისას, მომხმარებელი ცდილობს ამ პროდუქტით სხვა შეცვალოს, რომლის ფასი არ შემცირებულა. მაგრამ მდიდარ საზოგადოებაში კვების პროდუქტებისათვის„შენაცვლების ეს ეფექტი" (თავი 23) ძალზე ზომიერია. ადამიანები უბრალოდ არ გადადიან სამიდან ხუთ ან ექვსჯერად ყოველდღიურ კვებაზე, შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების შემცირების პასუხად. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის არაელასტიურობა შეიძლება ასევე კლებადი ზღვრული სარგებლიანობის ცნების დახმარებით აიხსნას. მდიდარ საზოგადოებაში მოსახლეობა მთლიანად, კარგადაა ჩაცმული, დაპურებული, ე.ი. მიღწეულია შედარებითი გაჯერება საკვებითა და სასოფლო- სამეურნეო ბოჭკოთი. ამიტომ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დამატებითი წარმოება გამოიწვევს ზღვრული სარგებლი-

---

1.Dale E.Hathaway.Problemss of Progres in the Agricultural Economy.Chicago:Scott.Foresman and Company.1964.33 .10

ანობის სწრაფ კლებას. ამრიგად, ფასების ძალზე დიდი შემცირებაა აუცილებელი მოხმარების უმნიშვნელო მომატებისათვის. D მრუდი 35-2 ნახაზზე არაელასტიურ მოთხოვნას გამოხატავს.

ტექნიკური პროგრესი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების სწრაფი გადიდება. ფერმერთა პროდუქციაზე არაელასტიური მოთხოვნა,თავისთავად, საკმაოდ უვნებელია. სწორედ თანამდევმა გარემოებამ, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების გადიდებაში მდგომარეობს მათზე მოთხოვნასთან შედარებით, შეუწყო ხელი ფერმერთა შემოსავლების შემცირებას.

თუ სურათს მიწოდების მხრიდან შევხედავთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფმა ტემპებმა განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დროიდან, გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების მნიშვნელოვანი ზრდა. ტექნიკურ პროგრესს, რაზედაც ვლაპარაკობთ, რამდენიმე წყარო გააჩინა: ფაქტობრივად ფერმათა სრული ელექტრიფიკაცია და მექანიზაცია, მიწის დამუშავების გაუმჯობესებული ტექნოლოგია, ირიგაცია, ჰიბრიდულ კულტურათა გამოყვანა, გაუმჯობესებული სასუქებისა და ინსეკტიციდების ხელმისაწვდომობა და სხვა.

რამდენად მნიშვნელოვანი იყო სინამდვილეში ეს ტექნიკური მიღწევები? ძალიან! მაგალითად, დაბანდებული კაპიტალის რაოდენობა ერთ მუშაზე 1930-1980 წწ., 15-ჯერ გადიდდა, რამაც შესაძლებელი გახადა დასამუშავებელი მიწის ფართობის ხუთჯერ გადიდება ერთ ფერმერზე გაანგარიშებით.[1] უმარტივესი საერთო მაჩვენებელია ადამიანთა მზარდი რიცხვი, რომელთა პროდუქციით უზრუნველყოფა ერთ ფერმერს შეუძლია. 1820 წელს სოფლის მეურნეობის ყოველი მომუშავე იმდენ პროდუქტსა და ნედლეულს აწარმოებდა, რაც ოთხ კაცს უზრუნველყოფდა, 1947 წელს დაახლოებით 14 კაცს,ხოლო 1987 წელს ყოველი ფერმერი აწარმოებდა 96 კაცის უზრუველსაყოფ პროდუქტს და ნედლეულს. უეჭველია, რომ შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომის დროიდან მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში, მატერიალური გამოსახულებით ორჯერ სწრაფად იზრდებოდა ეკონომიკის არა სასოფლო- სამეურნეო სექტორის მწარმოებლურობასთან შედარებით. ორმა დამატებითმა მნიშვნელოვანმა

1.Economic Report of the President.1984. გვ.117.

მომენტმა სიცხადე უნდა შეიტანოს ჩვენს მსჯელობაში ამერიკის სოფლის მეურნეობის მზარდი მწარმოებლურობის შესახებ.

1.უკანასკნელ ტექნიკურ გაუმჯობესებათა უდიდესი ნაწილი წამოწყებული იყო არა ფერმერების მიერ, არამედ უწინარეს ყოვლისა ისინი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის შედეგია.

2სოფლის მეურნეობაში მჭეს არათანაბრად ინერგება. მრავალი ფერმა არასაკმაოდ მექანიზებული, არ გააჩნია სათანადო ინფორმაცია და არაეფექტური არის. გასაკვირი რიდია, რომ სწორედ დაბალი მწარმოებლურობის მქონე ფერმერებია წარმოდგენილი 35-1 ცხრილის შემოსავლების შკალის ბოლოს.

დაბალი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის გადიდება უძლური აღმოჩნდა მოესწრო მათი მიწოდების ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ გადიდებაზე. რატომ? პასუხი ორ მთავარ ფაქტორში იმალება, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე-შემოსავლებსა და მოსახლეობაში.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებლებმა თავიანთი მოკრძალებული შემოსავლების დიდი ნაწილი უნდა გამოყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების-კვების პროდუქტების და ტანსაცმლის შესაძენად,არსებობის შესანარჩუნებლად. მაგრამ შემოსავლის სასიცოცხლო მინიმუმის დონეზე გადამეტების შედეგად შიმშილის პრობლემა საბოლოოდ ადგილს უომობს სიმსუქნის პრობლემას, და მკვირდება მომხმარებელთა კვებაზე დანახარჯების ზრდის ტემპები. როგორც კი მომხმარებლის კუჭი ამოვსებულია, მისი აზრი მიმართულია "სიცოცხლის სიმშვენიერეზე", რასაც მრეწველობა უზრუნველყოფს და არა სოფლის მეურნეობა. ეკონომიკურმა ზრდამ აშშ-ში ხელი შეუწყო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლების გადიდებას. ამის შედეგად <u>ამერიკელ მომხმარებელთა შემოსავლების ზრდას თან ახლავს სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე-პროპორციული გამოხატულებით-ხარჯების ნაკლები გადიდება</u>. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა <u>არაელასტიურია შემოსავლების მიხედვით</u>, ანუ მათი უდიდესი ნაწილი, სავსებით არამგრძნობიარეა შემოსავლების მიმართ.მიახლოებითი გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის 10%-იანი ზრდა იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარების გადიდებას მაქსიმუმ 2%-ით.[1] ზოგიერთი განსაკუთრებული სასოფლო-სამეურ

1.Joint Economic Comittee.Staff Report on Emploument.Gro-twh.and Price Levels.Washington.1960.ბ3 .190

ნეო პროდუქტი, მაგალითად კარტოფილი ან ღორის ქონი შეიძლება თავიანთი თვისებებით სხვა საქონელს ჩამორჩება; ეს ნიშნავს, რომ შემოსავლების ზრდის კვალობაზე ამ საქონელთა შეძენა შეიძლება ფაქტობრივად შემცირდეს (თავი 4).

მოსახლეობის დინამიკა რამდენადმე განსხვავებული პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის მინიმალური დონის მიღწევის შემდეგ კვების პროდუქტების და ნედლეულის მოხმარება ყოველი მომხმარებლის მიერ შეფარდებით მუდმივი სიდიდე გახდება, მომხმარებელთა რიცხვის გადიდება, ცხადია, გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას. ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება ისეთი ტემპებით, რაც დაახლოებით მოსახლეობის ზრდის ტემპებს შეესაბამება. მაგრამ მოსახლეობის ზრდა,სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეძენის შედარებით უმნიშვნელო გადიდებასთან ერთად, რასაც თან ახლავს შემოსავლების ზრდა, უბრალოდ, საკმაოდ დიდი არ იყო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაბამისი წარმოების საპირისპიროდ. მართლაც,უნდა აღვნიშნოთ ,რომ შობადობის კოეფიციენტები მცირდება და მოსახლეობის ზრდა აშშ-ში უკანასკნელ ათწლეულში შენელდა.

გრაფიკული გამოსახვა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არაელასტურ მოთხოვნასთან ერთად, მოთხოვნაში და მიწოდებაში ამ ცვლილებებმა ხელი შეუწყვეს ფერმერთა შემოსავლების შემცირებას. ამას გვიჩვენებს 35-1 ნახაზი, რომელზეც ნაჩვენებია მიწოდების მნიშვნელოვანი ზრდა მოთხოვნის ძალზე ზომიერ გადიდებასთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის არაელასტიურობის გამო ამ ცვლილებებმა ფასების მკვეთრი დაცემა გამოიწვია ფერმერთა პროდუქციაზე, რასაც თან ახლდა გაყიდვის მოცულობის უმნიშვნელო გადიდება. ამიტომ, ფერმერულ შემოსავლებს შემცირების ტენდენცია გააჩნიათ. სქემაზე, შემოსავალი მიწოდების გაზრდამდე (რაც OPAQ მართკუთხედითაა ნაჩვენები) აჭარბებს ფერმერთა შემოსავალს მიწოდების გაზრდის შემდეგ (OP_1BQ_1).შემოსავლის P_1PAC"დანაკარგი"მთლიანად არ კომპენსირდება შემოსავლის $QCBQ_1$"ნამატით". საბოლოოდ: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოცემული არაელასტიური მოთხოვნის დროს მათი მიწოდების გადიდე-

ბა მოთხოვნასთან შედარებით, ფერმერთა შემოსავლების გადიდების მყარ ტენდენციას ქმნიდა. ეს არ ნიშნავს, რომ ფერმერთა შემოსავლები აუცილებლად მცირდებოდნენ აბსოლუტური გამოხატულებით, მეტადრე ფერმერთა შემოსავლებს ეკონომიკის არა სასოფლო-სამეურნეო სექტორში შემოსავლებისაგან ჩამორჩენის ტენდენცია გააჩნდათ.უფრო მეტიც,ფასები ფერმერთა პროდუქციაზე დაეცა,იმ ფასებთან შედარებით,რომელთა გადახდა ფერმერებს უხდებოდათ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული რესურსებისათვის,ე.ი. ფერმერები ფასებისა და დანახარჯების ქრონიკულ მარწუხებში აღმოჩნდნენ (იხ.ნახ. 35-4) .

რესურსების შედარებითი იმობილურობა. ჩვენს წარსულ მსჯელობებს საბაზრო სისტემის ფუნქციონირების შესახებ, უდაოდ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ ხანგრძლივვადიანი პრობლემის ბუნებრივი და

ნახაზი 35-1.ხანგრძლივვადიანი ფერმერული პრობლემის გრაფიკული განზოგადება



ხანგრძლივვადიან პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ნამატი (D-დან-D1-მდე) ჩამორჩებოდა მიწოდების ნამატს (D-დან-D1 მდე),რაც ტექნოლოგიური გაუმჯობესებით იყო გამოწვეული.ამ ცვლილებებმა, იმ ფაქტთან ერთად, რომ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნა არაელასტიურია, ხელი შეუწყვეს ფერმერების პროდუქციის ფასებისა (P--დან P1-მდე) და შემოსავლების (OPAQ-დან OPB1Q1-მდე) შემცირებას.

ავტომატური გადაწყვეტა, რასაც სოფლის მეურნეობა წააწყდა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობა მაღალკონკურენტული დარგია; მასში მოქმედებს დამოუკიდებელ ფირმათა დიდი რაოდენო-

ბა. თითოეული მათგანი საკმაოდ მაღალსტანდარტიზებული პროდუქციის უმნიშვნელო ნაწილს აწარმოებს. უნდა გვეფიქრა, რომ ფერმერული ფასებისა და შემოსავლების დაცემა რესურსების მასობრივი გადადენის მანიშნებელი გახდებოდა სოფლის მეურნეობიდან. მთლიანად, ეკონომიკურთან შედარებით დაბალი ფასები და შემოსავლები, თითქოსდა უბიძგებენ ფერმერებს დატოვონ თავიანთი ფერმები უფრო მაღალმომგებიანი საქმიანობის გამო. კონკურენტული დარგის ცვლილებებისადმი ადაპტირების მე-5 და 25-ე თავებში აღწერილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ფერმერთა ეს მასობრივი წასვლა შეამცირებდა დარგობრივ მიწოდებას მოთხოვნასთან შედარებით, ხოლო ამის შედეგად ფერმერთა პროდუქციის ფასები და მათი შემოსავლები გაიზრდებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესურსების ასეთი გადანაწილება სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში, ფერმერთა შემოსავლებს მიუახლოვებდა ეკონომიკის სხვა დარგების შემოსავლებს.

ადამიანისეული რესურსების მსხვილი ნაკადები <u>მაროლაც</u> გადაადგილდა სოფლის მეურნეობიდან. მაგრამ ფერმერთა ნაკვეთების დიდმა ნაწილმა მთელი ფერმერული მიწების უმნიშვნელო რაოდენობის გამოკლებით, რაც მსხვილი ქალაქების ზონებს ესაზღვრება,-ვერ ჰპოვა ნამდვილი ალტერნატიული გამოყენება. ფერმერები მიდიან,მაგრამ მათ დატოვებულ მიწებს სხვა ფერმერები იძენენ და წარმოებაში რჩება. უფრო მეტიც, უნდა ვაღიაროთ, რომ უწონასწორობა სოფლის მეურნეობასა და არასასოფლო ეკონომიკას შორის წონასწორობის ერთი, ერთდროული დარღვევის შედეგი როდია. მაშასადამე, მაშინაც კი, როცა სამუშაო ძალა ტოვებს სოფლის მეურნეობას, ეკონომიკის არა სასოფლო-სამეურნეო სექტორებში უფრო მაღალი შემოსავლების ძიებაში, ფერმერულ პრობლემათა შემადგენლები ხანგრძლივვადიან პერიოდში ზემოქმედებას განაგრძობენ ფერმერულ შემოსავლებზე, მათი შემცირების მიმართულებით, რაც დარგიდან დარგში ადამიანისეული რესურსების შემდგომი უკუდენის პირობებს ქმნის. მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის რაოდენობის უწვეულო შემცირებისა მიმდინარე საუკუნეში, რომელიც 35-2 ცხრილშია ნაჩვენები, აგრარიკოსი ეკონომისტები უწინდებურად ლაპარაკობენ სასოფლო-სამეურნეო სექტორში სამუშაო ძალის სიჭარბეზე და იმ პერსპექტივაზე, რომ ფერმერთა დამატებითი რაოდენობა გამოდეკილი იქნება მიწის ნაკვეთებიდან.

ცხრილი 35-2.აგრარული მოსახლეობის რაოდენობის შემცირება 1910-1987 წწ. პერიოდში (ცალკეული წლები).

წლები	აგრარული მოსახლეობა (მლნ)	ხვ.წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში
1910	32,1	35
1920	31,9	30
1930	30,5	25
1935	32,2	25
1940	30,5	23
1945	24,4	18
1950	23,0	15
1955	19,1	12
1960	15,6	9
1965	12,4	6
1970	9,7	5
1975	8,9	4
1980	7,2	3
1985	5,4	2
1987	5,0	2

წყაროები:Statistical Abstract of the United States;Economic Report of the President.

სწორი იქნება ვილაპარაკოთ, რომ ისტორიულად ფერმერების შედარებით ნელი გადაადგილება სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში, ფერმერული პრობლემის ძირითადი საკითხია. როგორი სასაცილოც არ უნდა იყოს, დარგში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში "სიჭარბის"ასოციაციას იწვევდა, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე უფრო დიდ და ყველაზე არსებით სასოფლო-სამეურნეო "სიჭარბეს" ფერმერთა რაოდენობა წარმოადგენს. სინამდვილეში, ფერმერული პრობლემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რესურსების არარაციონალური განაწილების საკითხი.

მართლაც, ძალზე ბევრი ფერმერი იყოფს ეროვნულ შემოსავალში კლებადი სასოფლო-სამეურნეო "ღვეზელის ნაჭერს", რაც შემოსავალს ერთ ფერმერზე გაანგარიშებით სულ უფრო ამცირებს.

მოკლევადიანი პრობლემა: შემოსავლების არასტაბილურობა

დანარჩენი შემოსავლებისაგან ფერმერული შემოსავლების ჩამორჩენის ტენდენცია ხანგრძლივვადიანი სასოფლო-სამეურნეო პრობლემის დასტურია. ფერმერთა პროდუქტების ფასებისა და, მაშასადამე, მათი შემოსავლების წლიური მერყეობანი მ ო კ ლ ე ვ ა დ ი ა ნ პ რ ო ბ ლ ე მ ა ს ასახავენ. ეს არასტაბილურობა მოკლევადიან პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის არაელასტიურობის შეხამების შედეგია: 1) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მერყეობასთან და 2) თვით მოთხოვნის მრუდის გადაადგილებასთან.

წარმოების მოცულობის მერყეობები. თუ სურათს წარმოების მხრიდან შევხედავთ, ფერმერთა პროდუქციაზე არაელასტიური მოთხოვნა იმის მიზეზია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელო ცვლილებები, ფერმერული ფასებისა და შემოსავლების შედარებით დიდ ცვლილებებში გადაიზრდებიან. ამ საკითხში გასარკვევად ჩვენ თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერმერებს საკუთარი წარმოების გაკონტროლების შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. ჯერ-ერთი, წყალმოვარდნები, გვალვები და უცნაური ყინვები, ზარალი მეწყერისაგან და მსგავსი უბედურებები დაბალ მოსავალს განაპირობებენ. პირიქით, საუკეთესო სავეგეტაციო პერიოდი შეიძლება არნახულ მოსავალს ნიშნავდეს. ამინდის ფაქტორები ფერმერთა კონტროლს არ ექვემდებარება, თუმცა ისინი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ წარმოებაზე. მეორე, სოფლის მეურნეობის მაღალკონკურენტული ბუნება ფაქტობრივად, ფერმერებისათვის შეუძლებელს ხდის მსხვილი გაერთიანებების შექმნას საკუთარი წარმოების გასაკონტროლებლად. თუ ერთი მილიონი ფართოდ გაბნეული და დამოუკიდებელი ფერმერი უცბად დაოესავდა საკუთარი მიწის უჩვეულოდ დიდ ან არანორმალურად მცირე ნაწილს, შედეგი წარმოების განსაკუთრებით დიდი ან განსაკუთრებით მცირე მოცულობა იქნებოდა, ნორმალურ სავეგეტაციო პირობებშიაც კი.

ახლა, ფერმერული წარმოების არასტაბილურობის გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არაელასტიურ მოთ-

ხოვნასთან შეხამებით, ჩვენ შეიძლება ადვილად დავინახოთ ფერმერთა პროდუქციის ფასების და მაიი შემოსავლების განსაკუთრებული არასტაბილურობის მიზეზი. 35-2 ნახაზი ამ მდგომარეობას ასახავს. მაშინაც კი, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საბაზრო (D) მოთხოვნა მყარია, მოთხოვნის არაელასტიური ბუნება გამოშვების მოცულობის უმნიშვნელო ცვლილებებს, ფერმერული ფასებისა და შემოსავლის შედარებით დიდ ცვლილებად გადააქცევს. მაგალითად, დავუშვათ, რომ "ნორმალური" Q_n მოსავალი ხორცს შეისხამს "ნორმალურ" Pn ფასში და "ნორმალურ" OP_nNQ_n ფერმერულ შემოსავალში. მაგრამ არნახულად დიდი ან დაბალი მოსავალი მნიშვნელოვან გადახრებს გამოიწვევს ამ ნორმალური ფასებისა და შემოსავლებიდან; ასეთია ფერმერულ პროდუქტებზე მოთხოვნის არაელასტიურობის შედეგები.

ნახაზი 35-2 წარმოების მოცულობის გავლენა ფერმერულ ფასებზე და შემოსავლებზე



სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის არაელასტიურობის გამო შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები გამოშვებაში (Q-დან Qp-მდე ან Qb _მდე) ფერმერთა ფასებისა (Pn- დან Pn- ან Pb-მდე) და შემოსავლების (OP_nNQ_n-და ნ OP_pPQ_p ან OP_bBQ_b-მდე) შედარებით დიდ ცვლილებებს გამოიწვევს.

უჩვეულოდ ხელსაყრელი სავეგეტაციო პერიოდის დროს ამის შედეგად მოწეული არნახული Qb მოსავალი შემოსავლების დაცემას გამოიწვევს OP_nNQ_n-დან OP_bBQ_b-მდე. რატომ? იმიტომ, რომ, მოთხოვნის არაელასტიურობისას, გაყიდული საქონლის მოცულობის გადიდება გამოიწვევს ფასის პროპორციულზე მეტ დაცემას. საბოლო ჯამში, მთლიანი შემოსავალი, ანუ ფერმერთა მთლიანი

ამონაგები,შემცირდება.ასევე, გვალვით გამოწვეული დაბალი მოსავალი შესაძლოა გაადიდებს ყველა ფერმერთა მთლიან შემოსავალს.დაბალი Qp მოსავალი გაზრდის მთლიან ფერმერულ შემოსავალს OPnNQn-დან OPpPQp -მდე. რატომ? იმიტომ, რომ არაელასტიური მოთხოვნის დროს წარმოების დაქვეითება გამოიწვევს ფასის პროპორციულზე მეტ გადიდებას. ბედის ირონიით ფერმერებისათვის მთლიანად, დაბალი მოსავალი შესაძლოა ლოცვა-კურთხევა იყოს, ხოლო ძალზე დიდი მოსავალი უბედურებად შემოუტრიალდეთ. ჩვენი დასკვნა ასეთია: ფერმერულ მეურნეობათა პროდუქტებზე მოცემული სტაბილური საბაზრო მოთხოვნის პირობებში, ამ მოთხოვნის არაელასტიურობა წარმოების მოცულობის შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებს, ფერმერული ფასებისა და შემოსავლების უფრო დიდ ცვლილებებად გადააქცევს.

საშინაო მოთხოვნის ცვლილებები. მეორე მხრივ, ფერმერული შემოსავლების არაელასტიურობა მოკლევადიან პერიოდში დაკავშირებულია სასოფლო-სამსეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებასთან. მოდით, დავუშვათ რომ, ასე თუ ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება სტაბილიზებულია "ნორმალურ"დონეზე, რაც Qn-ითაა აღნიშნული 35-3 ნახაზზე. შემდგომ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის არაელასტიურობის გამო მათზე მოთხოვნის მოკლევადიანი მერყეობები, რაც შესაძლოა ეკონომიკაში ციკლური ცვლილებების შედეგი იყოს, მნიშვნელოვან განსხვავებებს გამოიწვევს ფასებსა და შემოსავლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოების დონე, ჩვენი ვარაუდით, მუდმივია. ე.ი.მოთხოვნის უმნიშვნელო დაცემა DD-დან D_2D_2-მდე გამოიწვევს ფერმერთა შემოსავლების შემცირებას OP_1aQn -დან OP_2bQn-მდე .მოთხოვნის შედარებით უმნიშვნელო გადიდება ფერმერების ფულადი ჯამაგირის ძირეულ შემცირებას იძლევა პროდუქციის იგივე რაოდენობისათვის. პირიქით, მოთხოვნის უმნიშვნელო შემცირება გამოიწვევს ფერმერთა შემოსავლების ისეთსავე მკვეთრ გადიდებას პროდუქციის იგივე მოცულობისათვის. ფასებისა და შემოსავლების ასეთი დიდი ცვლილებები დაკავშირებულია ფასის არაელასტიურობასთან. ეს კავშირი შეიძლება გავიგოთ ფასებისა და შემოსავლების ბევრად ნაკლები ცვლილებების განხილვით, რასაც თან ახლავს

D_3D_3[1] მოთხოვნის ელასტიური მრუდის ზუსტად ისეთივე გადაადგილება. თუ მოთხოვნა D_3D_3-დან D_4D_4-მდე ეცემა, ფასი ხიბურად შემცირდება P_1-დან P_4-მდე და შემოსავალი დაეცემა OP_1aQn-დან -OP_4cnQn-მდე.

უნდა ვივარაუდოთ ,რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების მკვეთრი დაცემა, რასაც თან ახლავს მოთხოვნის შემცირება, მრავალ ფერმას აიძულებს მოკლე დროის მანძილზე შეწყვიტოს საქმიანობა, რის შედეგადაც შემცირდება წარმოების მთლიანი მოცულობა და ფასებისა და შემოსავლების დაცემა შერბილდება. მაგრამ ფერმერული წარმოება შედარებით არამგრძნობიარეა ფასების ცვლილებისადმი,ვინაიდან ფერმერთა მუდმივი ხარჯები აჭარბებენ მათ ცვალებად დანახარჯებს. სესხის სარგებელი, საიჯარო ქირა, საგადასახადო და საიპოთეკო გადასახდელები შენობასა და ნაგებობებზე დანახარჯების ძირითადი ნაწილია, რომლებთანაც საქმე აქვს ფერმერს. ეს უდაოდ მუდმივი დანახარჯებია. უფრო მეტიც, ფერმერთა და მათი ოჯახის წევრების სამუშაო ძალის მიწოდება შეიძლება ასევე განხილულ იქნას მუდმივ დანახარჯთა სახით. მანამ, სანამ ფერმერები თავიანთ ფერმებში დარჩებიან, მათ არ შეუძლიათ თავიანთი დანახარჯების შემცირება საკუთარი თავის გათავისუფლების გზით! ეს ნიშნავს, რომ მათ ცვალებად დანახარჯებს მიეკუთვნება დაქირავებულ მუშათა უმნიშვნელო რაოდენობაზე დანახარჯები, რომელთა გამოყენებაც მათ შეუძლიათ, პლუს დანახარჯები თესლის,სასუქების და სათბობის შეძენაზე. რამდენადაც ფერმერების მუდმივ დანახარჯთა მოცულობა ასე დიდია, მათთვის თითქმის ყოველთვის უმჯობესია საკუთარი მიწის დამუშავება, ვიდრე უქმად ყოფნა და თავისი დანახარჯების საკუთარი ჯიბიდან გადახდა.ადრე აღნიშნული სხვა ფაქტორები,რომლებიც ხელს უწყობენ ფერმერთა შედარებით იმობილურობას, ასევე მნიშვნელოვანია. კერძოდ, თუ მოთხოვნის დაცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საერთო დაქვეითების ნაწილია, ფერმერებს არ ექნებათ წარმოების შეწყვეტის რეალური სტიმული, მრეწველობაში არარსებული სამუშაოს ძიებაში. მართლაც, სრულმასშტაბიან კრიზისს, ხშირად თან ახლავს

1.მაროალია გრაფიკი არ გვიჩვენებს ამას მთელი სიცხადით,მაგრამ ორივე ცვლილება მოთხოვნაში.ერთნაირია იმ გაგებით,რომ ყველა შემთხვევაში მყიდველებს უნდათ ერთიდაიგივე რაოდენობით ნაკლები საქონლის შეძენა.ნებისმიერ შესაძლო ფასში.

მიგრაციის საპირისპირო მიმართულებით-ქალაქიდან ფერმაში. მიაქცეთ ყურადღება 35-2 ცხრილში ნაჩვენებ, აგრარული ჭარბი მოსახლეობის აბსოლუტურ გადიდებას, რაც 1930 და 1935 წლებს შორის მოხდა.დააკვირდით ასევე, 10-3 ნახაზზე, რომ 1929 და 1933 წლებს შორის პერიოდში ფერმერთა პროდუქციის ფასები შემცირდა 63%-ით, ხოლო მისი მოცულობა მხოლოდ 6%-ით.

არასტაბილური საგარეო მოთხოვნა. ფერმერულ პრობლემათა მიმოხილვის ისტორიულ ცნობაში აღვნიშნეთ, რომ 1970-იან

ნახ. 35-3.მოთხოვნის ცვლილებათა ზეგავლენა ფერმერულ ფასებსა და შემოსავლებზე.



არაელასტიური მოთხოვნის გამო უმნიშვნელო ცვლილებები მოთხოვნაში (D1D 1-დან D2D2-მდე) წარმოების მოცემულ Qn დონეზე გამოიწვევს ფერმერთა ფასების დონისა (P1-დან P2-მდე) და ფერმერული შემოსავლების ძირეულ ცვლილებებს (OP1aQn- და ნ OP2bQn -მდე). ჩაინიშნეთ, რომ მოთხოვნის უფრო ელასტიური მრუდის ნებისმიერი გადაადგილება (D3D3-დან D4D4 -მდე) გამოიწვევს ფასისა (P1-დან P2-მდე) და შემოსავლის (OP1aQn- დან -OP4cnQnე-მდე) ნაკლებ ცვლილებებს.

წლებში ფერმერების აყვავების ძირითადი მიზეზი იყო სწრაფად მზარდი სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი, მაშინ როცა საექსპორტო ბაზრების კრახი, ფერმერული მეურნეობის კრიზისის ძირითადი მიზეზი გახდა 1980-იანი წლების დასაწყისში. ეს დრამატული გარდატეხა მკაფიოდ მიუთითებს, რომ მოთხოვნის არასტაბილურობის წყაროა ამერიკის სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მსოფლიო ბაზრებისაგან. ამერიკელ ფერმერთა შემოსავლები ახლა მგრძნობიარეა ამინ-

დისა და სხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოების ცვლილებებისადმი. ზუსტად ასევე, შემოსავლების ციკლურმა მერყეობებმა ევროპასა და იაპონიაში, მაგალითად, შეიძლება შეცვალოს მოთხოვნა ამერიკულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ასევეთევე ეფექტი შეიძლება მოახდინოს სხვა ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებებმა. მაგალითად, თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნები გადაწყვეტენ თავიანთი ფერმერების დაცვას უცხოური (ამერიკული) კონკურენციისაგან, ამერიკელი ფერმერებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნება ამ ქვეყნების ბაზრები და საექსპორტო მოთხოვნა შემცირდება. საერთაშორისო პოლიტიკას ასევე შეუძლია გააძლიეროს მოთხოვნის არასტაბილურობა. ცვლილებები პოლიტიკურ ურთიერთობებში აშშ-სა და ყოფილ სსრკ-ს შორის, ხელს უწყობდნენ ამერიკული მარცვლის გაყიდვის მოცულობის გადიდებას 1970-იანი წლების დასაწყისში და მის შემცირებას ათწლეულის დასასრულს. გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დოლარის საერთაშორისო ღირებულების შეცვლას. გაიხსენეთ, რომ დოლარის გაუფასურებამ 1970-იან წლებში, გაზარდა მოთხოვნა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, მაშინ, როდესაც 1980-იანი წლების დასაწყისში დოლარის გაძვირებამ შეამცირა ეს მოთხოვნა საგარეო ბაზარზე. ამრიგად, ექსპორტის მნიშვნელობის შეფარდებითი შემცირება ადიდებს ამერიკულ სასოფლო -სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის არასტაბილურობას. სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი არა მხოლოდ ამინდის, შემოსავლების მერყეობისა და უცხოეთის ეკოლოგიური პოლიტიკის გავლენის ქვეშ იმყოფება, არამედ, ასევე საერთაშორისო პოლიტიკისა და დოლარის საერთაშორისო ღირებულების მერყეობისაც.

განზოგადება.

მიდით აქ შევნერდეთ, რაზე შევაჯამოთ ჩვენი ცოდნა ფერმერული პრობლემის მიზეზების შესახებ ხანგრძლივვადიან და მოკლევადიან პერიოდებში. პრობლემა ხანგრძლივვადიან პერიოდში ოთხი ფაქტორის არახელსაყრელი კომბინაციის შედეგია. 1. სასოფლო-სამეურნეო საქონელზე მოთხოვნა არაელასტიურია. 2. სწრაფმა მეცნი-

ერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების მნიშვნელოვანი გადიდება. 3. მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ძალზე ზომიერად გაიზარდა. ამ გარემოებამ პირველ და მეორე ფაქტორებთან შეხამებით ფერმერების პროდუქციის ფასებისა და მათი შემოსავლების შემცირების ან ზომიერი ზრდის ტენდენცია წარმოშვა. 4.სასოფლო-სამეურნეო რესურსების-მიწის, კაპიტალისა და თვით ფერმერების შედარებით უცვლელი ბუნება-ხელს უწყობს დაბალი ფასებისა და შემოსავლების შენარჩუნებას; რესურსები არ იქნა გადანაწილებული სოფლის მეურნეობიდან საკმაოდ სწრაფად, რაცა ნეიტრალიზებული ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო ფასებისა და შემოსავლების შემცირების ტენდენცია.

<u>მოკლევადიან პერიოდში</u> ფერმერთა პროდუქციის ფასებისა და შემოსავლების უკიდურესი ცვალებადობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არაელასტიური მოთხოვნით აისახება, რაც აჭარბებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მოთხოვნის უმნიშვნელო ცვლილებებს ფერმერული ფასებისა და შემოსავლების ბევრად უფრო მეტ ცვლილებებში.

სოფლის მეურნეობა და ეკონომიკური ზრდა

ხანგრძლივვადიანი ფერმერული პრობლემის რამდენადმე სხვა პოზიციებიდან ახსნისას, საფუძველი არსებობს აქცენტი გავაკეთოთ რესურსების არასწორ განაწილებაზე და პრობლემა ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური ზრდის ენაზე. აუცილებლობის ძალით სუსტად-განვითარებულ ქვეყნებს აგრარული ეკონომიკა გაანიათ. ასეთი ქვეყნების მოსახლეობამ მთელი თავისი ძალები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას უნდა მოახმაროს, საკუთარი თავის საკმაო რაოდენობის სურსათითა და ნედლეულით უზრუნველსაყოფად. მაგრამ,იმისდა მიხედვით,თუ ტექნიკური პროგრესი როგორ ადიდებს მწარმოებლურობას ერთ ფერმერზე გაანგარიშებით, ეკონომიკას შეუძლია შეინარჩუნოს ან გაზარდოს კიდევაც სურსათისა და ჩანაცვლის მოხმარება და იმავდროულად თავისი მოსახლეობის ნაწილი წარმართოს არა სასოფლო-სამეურნეო დარგებზე. ეს ის გზაა, რომლითაც მიდის ნებისმიერი მზარდი, განვითარებადი ეკონომიკა. მართლაც, რესურსების გადანაწილება სოფლის მეურნეობიდან მრეწველურ დარგებში მზარდი ეკონომიკის განმასხვავებელი ნიშანია. საგულისხმოა აშშ გამოცდილება. XVIII ს-ში მისი მოსახლეობის 90% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში.

თანამედროვე პერიოდში მოსახლეობის დაახლოებით 2%-ია ამ სფეროში დასაქმებული ,რაც დანარჩენ 98%-ს ათავისუფლებს პერსონალური კომპიუტერების, ავეჯის, მანქანების და ათასი სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის, და ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. მაგრამ აშშ ეკონომიკაში რესურსების გადაადგილების ფაქტორბრივი ტემპები არა სასოფლო-სამეურნეო დარგებში ჩამორჩებოდნენ იმათგან, რომლებიც სწრაფ ტექნიკურ პროგრესს ახორციელებდნენ. შედეგი კი მუდმივი დაწოლა იყო ფერმერულ ფასებსა და შემოსავლებზე, მაიი შემცირების მიმართულებით.

სახელმწიფო პოლიტიკის ლოგიკური დასაბუთება

ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა დავა სოფლის მეურნეობისადმი სახელმიფო დახმარების ლოგიკური დასაბუთების ძიებაში .ამტკიცებენ, მაგალითად, რომ ფერმერობა, და განსაკუთრებით საოჯახო ფერმა ფუძემდებლური ამერიკული ინსტიტუტია და მას უნდა ვეფერიოთ, როგორც"ცხოვრების წესს". უფრო მეტიც, ფერმერები საგანგებო რისკის ქვეშ არიან-წყალდიდობის, გვალვების, მავნე მწერების შემოსევის მხრივ, რაც სხვა დარგებს არ აწუხებთ და რომელთაგან თავის მთლიანად დაზღვევა შეუძლებელია. მიღებული იყო ასევე, რომ სოფლის მეურნეობა ამერიკის ეკონომიკის საყრდენია და ამიტომ ფერმერთა აყვავება მთელი ეკონომიკის აყვავების წანამძღვარია.

ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტი ისაა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანით სოფლის მეურნეობა იძულებულია დანახარჯოა არაპროპორციულად დიდი წილი გასწიოს ამ განვითარებასთან დაკავშირებით. ამერიკის სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდის სწრაფმა ტემპებმა ნატურალურ გამოხატულებაში, არსებითი სარგებელი მოუტანა მთლიანად ეკონომიკას. მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა სოფლის მეურნეობისაგან მიიღოს კვების პროდუქტებისა და ნედლეულის უფრო მეტი რაოდენობა და უკეთესი ხარისხის, თავისი ფულადი შემოსავლის ნაკლები ნაწილის სანავლოდ. მეორე მხრივ, ეკონომიკური პირობების შეხამების თავისებურებამ, რომლებიც ჩვენ უკვე განვიხილეთ,-არაელასტიურმა მოთხოვნამ ფერმერთა პროდუქციაზე, სწრაფმა ტექნიკურმა პროგრესმა, მოთხოვნის ნელმა ზრდამ და

სასოფლო-სამეურნეო რესურსების შედარებით უკვლელმა ბუნებამ-აიძულა სოფლის მოსახლეობა, სასოფლო სამეურნეო განყოფილების დანახარჯების დიდი ნაწილი თვითონ გაეწია. ამ დანახარჯებმა შემოსავლების ფორმა მიიღეს, რომლებიც სიდიდით მნიშვნელოვნად ნაკლებია არა სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის მიერ მიღებულ'ხე.

დაბოლოს,ამტკიცებენ, რომ, ოუ თავიანთი პროდუქტების ბაზრებზე ფერმერები მაღალ კონკურენციას აწყდებიან, მათ მიერ მოხმარებულ რესურსებს ისინი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე დარგებში ყიდულობენ. კერძოდ, ფირმათა უმრავლესობას, რომლებისგანაც ფერმერები სასუქებს, სასოფლო სამეურნეო ტექნიკას, საწვავს და ა.შ. იძენენ ამ საქონელთა ფასების გაკონტროლების გარკვეული შესაძლებლობა გააჩნიათ. ფერმერები საკუთარი პროდუქციის გაყიდვისას, პირიქით, "ბაზრის ტყვეობა-ში"იმყოფებიან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობა ეკონომიკაში წმინდა კონკურენციის უკანასკნელი საყრდენია, სხვანაირი, არასრულყოფილი კონკურენციით. ამნაირად სწარმოებს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სახელმწიფო დახმარების გამართლება,რათა წინააღმდეგობა გაეწიოს ვაჭრობის არახელსაყრელ პირობებს, რაც ამ გარემოების შედეგია (იხ. ნახ. 35-4).

თუმცა ამ არგუმენტების შინაარსი და ღირსებები შეიძლება გავაკრიტიკოთ, მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ არსებობს პოლიტიკურ ღონისძიებათა გულდასმით შემუშავებული და ძალზე ძვირადღირებული ანაკრები, რაც სოფლის მეურნეობის სუბსიდირებაზეა მიმართული.ამ პროგრამების არსებობა და მათი რეალიზების მუდმივი ხასიათი შეიძლება 33-ე თავში აღწერილ, <u>განსაკუთრებულ ინტერესი-თა ეფექტის</u> საილუსტრაციოდ გამოდგეს, რომლის მეშვეობითაც მცირე, მაგრამ დიდი ძალაუფლების მქონე ჯგუფმა შეიძლება დაიცვას თავისი საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, საზოგადოების საზიანოდ მთლიანად.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა: ფასების პარიტეტი და მისი შენარჩუნება

ნამოთვლილი არგუმენტებისა და იმ ძლიერი მსარდაჭერის საფუძველ'ხე, რაც ფერმებს ისტორიულად გააჩნდათ კონგრეს'ში ,აღმოცენდა და 1930 წლიდან მოქმედებს საფუძვლიანი ფერმერუ-



ნახაზი 35-4.ფერმერების მიერ შეძენილი საქონლის ფასების თანაფარდობა და მათი პროდუქციის ფასები 1910-1988წწ

უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე ფერმერთა მიერ შეძენილ საქონელია ფასები მათ საქონელთა ფასებზე უფრო სწრაფად იზრდებოდა.ამის შედეგად ფერმერთა მიერ გაყიდულ და მათ მიერ შეძენილ საქონელია ფასების შეფარდების პარიტეტის ინდექსი 100%-ზე ნაკლები იყო.

ლი პროგრამა, რაც შემდეგ საკითხებს მოიცავს: 1)ფერმერულ ფასებს, შემოსავლებს და წარმოების მოცულობებს; 2) ნიადაგისა და წყლის რესურსების დაცვას და მათ სწორ გამოყენებას; 3) სასოფლო-სამეურნეო მეცნიერულ კვლევებს; 4) ფერმერულ კრედიტებს; 5) მოსავლის დაზღვევას და სხვა. მაგრამ ტიპიური ამერიკელი ფერმერი და რიგითი პოლიტიკოსი-"ფერმერულ პრობლემას" არსებითად, რო-

გორც ფასებისა და შემოსავლების პრობლემას განიხილავს. მაშასადამე, ფერმერული პოლიტიკა იმისთვისაა გამიზნული, რომ ამაღლდეს და სტაბილური გახდეს ფერმერული პროდუქციის ფასები, მაგრ შემოსავლები.

ნამდვილი მიზეზი: პარიტეტის კონცეფცია

სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ 1933 წლის კანონმა განსაზღვრა პარიტეტის კონცეფცია, როგორც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. პარიტეტის კონცეფციის უბრალო ლოგიკური დასაბუთება შეიძლება ადვილად წარმოვიდგინოთ, როგორც რეალურ, ისე ნომინალურ გამოსახულებაში. რეალურ გამოსახულებაში პარიტეტი გულისხმობს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოცულობა ყოველ წელს ფერმერს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს, მიიღოს საქონელთა და მომსახურების მოცემული საერთო რაოდენობა. წარმოების მოცემული რეალური მოცულობა ყოველთვის ერთი და იგივე რეალურ შემოსავალს უნდა იძლეოდეს."თუ 1912 წ. ფერმერს შეეძლო ქალაქში ბუშელი ხორბლის გაყიდვით პერანგი შეეძინა, დღესაც უნდა შეეძლოს მას იგივეს განმეორება". ნომინალურ გამოსახულებაში პარიტეტის კონცეფცია გულისხმობს, რომ თანაფარდობა ფერმერთა პროდუქციის ფასებსა და მომსახურების ფასებს შორის, რასაც ისინი მოიხმარენ, მუდმივი უნდა დარჩეს. პარიტეტის კონცეფცია გულისხმობს, რომ, თუ პერანგის ფასი სამჯერ გაიზრდება დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ხორბლის ფასიც სამჯერ უნდა გაიზარდოს.

35-4 ნახაზის უბრალო თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ ფერმერებისათვის ხელსაყრელი იქნებოდა თუ მათი პროდუქციის ფასები 100%-იან პარიტეტს დაემყარებოდა. ნახაზზე მოცანილია ფასების დინამიკა 1910-1988 წლების პერიოდში, 1910-1914 წლების საბაზო დონესთან, პროცენტებში. ჩვენ ვხედავთ, რომ 1988 წლისათვის ფასები, რითაც ფერმერულ საქონელს ყიდულობენ 12-ჯერ, ხოლო ფასები, რომლითაც ფერმერები თავიანთ პროდუქციას ყიდიან, 6-ჯერ გაიზარდა საბაზისო პერიოდთან შედარებით. პარიტეტის ინდექსი, რომელიც პირველ ნახაზზეა

ნახაზი 35-5.ფასების ქმედითი შენარჩუნება იწვევს სასოფლო-სამეურნეო ნამეტის წარმოქმნას.



პარიტეტის კონცეფციის გამოყენება სახელმწიფოს ავალდებულებს.ფერმერთა პროდუქციაზე ფასები ისეთ დონეზე შეინარჩუნოს,რომელიც წონასწორობის დონეზე მაღალია.ეს შენარჩუნებული ფასები იწვევენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტს.

მოტანილი, ფერმერების პროდუქციის ფასებისა და მათ მიერ შეძენილი საქონლის ფასების შეფარდების ტოლია.

$$\text{პარიტეტის ინდექსი} = \frac{\text{ფერმერთა პროდუქციის ფასები}}{\text{ფერმერების მიერ შეძენილ საქონელთა ფასები}}$$

1988წ. პარიტეტის ინდექსი დაახლოებით 54% (6%12) იყო, ანუ ფასების თანაფარდობა, რითაც ფერმერები თავიანთ საქონელს ყიდიან და რომლითაც ისინი საქონელს იძენენ, ამ თანაფარდობის ნახევარზე ოდენობა იყო 1988 წელს, ვიდრე 1910-1914 წლების საბაზისო პერიოდში. ფერმერული პოლიტიკა, რომელიც 100%-იან პარიტეტს მოითხოვს, ფერმერების პროდუქციაზე მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ფასების დადგენას გამოიწვევდა, პარიტეტის ინდექსის ასაწევად.

შენარჩუნებული ფასები

პარიტეტული ფასების პრაქტიკული მნიშვნელობა ისაა, რომ იგი ფერმერების პროდუქციაზე სახელმწიფო <u>მინიმალური ფასების</u> ანუ როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ უ ლ ი ფ ა ს ე ბ ი ს გონივრულ ახსანს იძლევა. ის ფაქტი, რომ დროის ხანგრძლივ პერიოდში ფერმერთა პროდუქციის საბაზრო ფასები, როგორც წესი, ჩამორჩებოდნენ მათ მიერ შეძენილი საქონლის ფასებს, ნიშნავს, რომ პარიტეტის მისაღწევად ან მისთვის მისაახლოებლად მთავრობას, როგორც ჩანს, ფერმერულ პროდუქტებზე წონასწორობის ფასებზე მაღალი ანუ "შენარჩუნებული" ფასების დაწესება დასჭირდება.მართალია,არსებობდა ფასების შენარჩუნების მრავალი სხვადასხვა სოციალური პროგრამები,მაგრამ,ქვემოთ მოტანილი მსჯელობა შეიცავს მთავრობის ღონისძიებებს ფასების სპეციალიზაციისა და ფერმერთა შემოსავლების გადიდებისათვის მინიმალური ფასების გამოყენების საქმეში.

ფასების შენარჩუნებას რიგი შედეგები გააჩნია.დავუშვათ,რომ 35-5 ნახაზზე P_s შენარჩუნებული ფასია წონასწორობის P_e ფასთან შედარებით.

1.ჭარბი პროდუქცია. ყველაზე აშკარა შედეგია პროდუქციის ნამეტის წარმოქმნა.კერძო მწარმოებლები მოისურვებენ შენარჩუნებულ ფასებში მხოლოდ OQ ერთეულს, მაშინ, როცა ფერმერები მიაწოდებენ OQ_s ერთეულს.QQ_s რაოდენობა ზედმეტია.რა მოუვა ამ ნამეტს? იგი მთავრობამ უნდა შეიძინოს,რათა ფასების შენარჩუნება წონასწორობის დონის ზევით,ქმედითი იყოს.1950-იან და 1960-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უზარმაზარი ნამეტი დაგროვდა,მრავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ნამეტი დღესაცაა შენარჩუნებული.მაგალითად,მთავრობას გააჩნია ხორბლის და სხვა მარცვლეულის მარაგები,რაც თითქმის წლიური საშინაო მოხმარების მოცულობის ტოლია.როგორც ჩვენ ქვემოთ დაკინახავთ,ეს ჭარბი წარმოება სოფლის მეურნეობაში რესურსების ჭარბი განაწილების ნიშანია.

2.ფერმერთა მოგება. ფერმერები, ცხადია, იგებენ ფასების შენარჩუნებით. 35-5 ნახაზზე მთლიანი შემოსავალი იზრდება თავისუფალი ბაზრისათვის დამახასიათებელი OP_ebQ_e დონიდან OP_saQ_s შენარჩუნებულ დონემდე.

3.მომხმარებელთა ზარალი.სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომხმარებლები ზარალობენ იმ გაგებით,რომ ისინი უფრო მაღალ ფასს (Ps და არა Pc) გადაიხდიან და ნაკლებ პროდუქტს(Q,და არა Qc-ს) მოიხმარენ.ზოგიერთ შემთხვევაში საბაზრო და შენარჩუნებულ ფასს შორის სხვაობა შეიძლება არსებითი იყოს.მაგალითად,ფუნტი შაქრის ფასი ოთხჯერ მეტია მსოფლიო ბაზრისაზე.მიახლოებითი გაანგარიშებით კვარტა[1] რძე 2-ჯერ მეტი ღირს ვიდრე იგი სახელმწიფო პროგრამების გარეშე ელირებოდა.

4.საზოგადოების ზარალი.საზოგადოება მთლიანად,ზარალობს ორი მთავარი მიზეზით. ჯერ-ერთი,გადასახადის გადამხდელები უფრო მაღალ გადასახადს გადაიხდიან სახელმწიფოს მიერ ნამეტის შეძენის დასაფინანსებლად. ეს დამატებითი საგადასახადო ტვირთი (რაც 35-5 ნახაზზე დაშტრიხული მართკუთხედითაა მოცემული) პროდუქციის ნამეტი QQ_s მოცულობის P_s ფასზე ნამრავლის ტოლი იქნება.შენახვის ხარჯებიც ადიდებენ ამ საგადასახადო ტვირთს.მეორე,საზოგადოება ზარალობს იმიტომ,რომ ფასების შენარჩუნება ხელს უწყობს ეკონომიკის დაბალ ეფექტიანობას,სოფლის მეურნეობაზე რესურსების ზედმეტი განაწილების წახალისებით.მინიმალური ანუ შენარჩუნებული (P_s) ფასი მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო სექტორზე დიდი რაოდენობის რესურსების გადაცემას,ვიდრე ამას თავისუფალი ბაზარი (Ps) მოითხოვს.წმინდა კონკურენტული მოდელის კატეგორიას თუ გამოვიყენებთ,საბაზრო მიწოდების მრუდი,რაც 35-5 ნახაზზეა მოტანილი,ყველა ფერმერთა ზღვრული დანახარჯების ერთად აღებული მრუდია,რომლებიც ამ პროდუქციას აწარმოებენ.რესურსების ეფექტიანი განაწილება ხდება იქ,სადაც P_e საბაზრო ფასი ზღვრული დანახარჯების ტოლია b წერტილში.წარმოების შესაბამისი Q_e მოცულობა რესურსების ეფექტიან განაწილებას ასახავს.პირიქით,წარმოების Q_s მოცულობა,რაც P_s შენარჩუნებულ ფასს შეესაბამება,ცხადია,ნიშნავს რესურსების ზედმეტ განაწილებას;გამოშვების ყველა ერთეულისათვის Q_eQ_s დიაპაზონში ზღვრული დანახარჯები იმ ფასზე მეტია,რომლის გადახდასაც ადამიანები მოისურვებდნენ ამ ერთეულისათვის.მაშასადამე,არსებობს "ეფექტიანობის დანაკარგი" საზოგადოებისათვის.

1.კვარტა (ლათ.წნტილტ) ფხვიერი და იხვევადი ნივთიერების საწყაო.განსხვავებული სიდიდისა სხვადასხვა ქვეყანაში.ჩვეულებრივ.ლიტრზე ცოტა მეტი.

5.საერთაშორისო დანახარჯები.დანახარჯები,რომლებიც ფერმერების პროდუქციაზე ფასების შენარჩუნებასთანაა დაკავშირებული, 35-5 ნახაზზე ნაჩვენებია მეტია. მაგალითად, შენარჩუნებული ფასები ეკონომიკურ დეფორმაციას იწვევენ, რაც ეროვნულ ფარგლებს სცილდება. მაგალითად, შენარჩუნებული ფასები, რომლებიც წონასწორობისას აჭარბებენ, ამერიკულ ბაზარს მიმზიდველს ხდიან უცხოელი მწარმოებლებისათვის. მაგრამ, უცხოურ სასოფლო-სამეურნეო საქონელთა მოსლვავება გაზრდიდა მიწოდებას აშშ-ში, რითაც გაღრმავდებოდა სასოფლო-სამეურნეო ნამეტობათა პრობლემა. ამის დასარეგულირებლად აშშ იძულებულია საიმპორტო ბარიერები დააწესოს ტარიფებისა და ქვოტების სახით. ეს ბარიერები ხშირ შემთხვევაში ხელუდავენ უფრო ეფექტიან უცხოური მწარმოებლების საქმიანობას, იმავდროულად უფრო ნაკლებ ეფექტიან ამერიკელ მწარმოებელთა წახალისებით. შედეგად ვღებულობთ მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო რესურსების ნაკლებეფექტიან გამოყენებას. ამ თავის "ბოლო შტრიხში" ვარაუდის სახით წამოყენებულია თეზისი იმის შესახებ, რომ სწორედ ასეა საქმე შაქრის წარმოებაში.

გარდა ამისა, რამდენადაც, აშშ და მრეწველურად განვითარებული სხვა ქვეყნები ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო პროგრამებით მსოფლიო ბაზრებს მიაწვდიან ამ პროდუქტების ნამეტს, მისი ფასები დაეცემა. ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს, რომელთა უმრავლესობა ძალზე დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონელთა მსოფლიო ბაზრებზე, ზარალი მოსდით,ვინაიდან მათი საექსპორტო შემოსულობანი, როგორც ჩანს, მცირდება. ამრიგად,ბრინჯის წარმოების სუბსიდირებით აშშ-მ მნიშვნელოვანი ხარჯები მოახვია თავს, ტაილანდს-ბრინჯის ძირითად ექსპორტიორს. ანალოგიურად, ბამბეულის აშშ პროგრამებმა ზეგავლენა მოახდინა ეგვიპტეზე, მექსიკაზე, ბანგლადეშზე და ბამბის სხვა ექსპორტიორებზე.

ბრძოლა ნამეტთან.

სახელმწიფოს რა ხერხებით შეუძლია თავი გაართვას სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ჭარბ წარმოებას, რასაც თან ახლავს ფასების შენარჩუნება? მოთხოვნისა და მიწოდების შექანიზმის ელემენტარული ცოდნა გვიჩვენებს, რომ საბაზრო მიწოდების შემცირების ან საბაზრო მოთხოვნის გადიდების პროგრამები ასწევდა საბაზრო ფასს შენარჩუნებული ფასის სასურველ დონემდე, და, ამასთან, შეამცირებდა

ან მოსპობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტს (იხ. ნახ. 35-5).

მიწოდების შეზღუდვა. რაც შეეხება მიწოდებას, სახელმწიფო პროგრამა დიდხანს იყო მიმართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების შეზღუდვაზე. კერძოდ, ფასების შენარჩუნებას თან ახლდა "ბრუნვიდან მიწების ამოღება", ანუ ნ ა თ ე ს ი ფ ა რ თ ო ბ ე ბ ი ს შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი. მარცვლეულზე შენარჩუნებული ფასების სახით მიღებული უპირატესობების საპასუხოდ ფერმერები უნდა შეთანხმდნენ ნათესი ფართობის რაოდენობის შეზღუდვაზე. მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიახლოებით ანგარიშობს ყოველი პროდუქტის რაოდენობას, რასაც კერძო მყიდველები იძენენ შენარჩუნებული ფასით. შემდგომ ეს რაოდენობა გადაიყვანება ნათესი ფართობების რაოდენობაზე, რომლებზეც იგი უნდა იქნას წარმოებული. საერთო ნათესი ფართობი იყოფა შტატებს, საგრაფოებს და ცალკეულ ფერმერებს შორის. სწორედ ასევე გამოიყენება სხვადასხვა პროგრამები, რომელთა დახმარებითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო პირდაპირ უხდის ფერმერებს მემცენარეობაში ბრუნვიდან მიწის ამოღებისათვის. მაგალითად, <u>სამიწათმოქმედო ბანკის</u> პროგრამით მთავრობამ ფაქტობრივად ოჯარით აიღო მიწა ფერმერებისაგან. ასეთი გამოუყენებელი მიწა უნდა დათესილიყო საფარი კულტურებით ან ტყეებით გაშენებულ იყო და არა სასაქონლო კულტურებით.

იყო თუ არა შედეგიანი მიწოდების შეზღუდვის ეს პროგრამები? ამაზე ძნელია ცალსახა პასუხის გაცემა. მათ, ცხადია, ვერ მოსპეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტი. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ნათესი ფართობების შემცირება უდავოდ იწვევს წარმოების პროპორციულზე ნაკლებ დაკლებას. რატომ? ფერმერები ბრუნვიდან ამოიღებენ ცუდ მიწებს და წარმოებაში ინარჩუნებენ უკეთესს. დამუშავებული მიწები უფრო ინტენსიურად მუშავდება.უკეთესი იესლის,უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის სასუქების და სამუშაო ძალის მეტი რაოდენობის გამოყენებით პროდუქციის გამოშვება ყოველ აკრზე იზრდება. ფერმერები, რომლებიც პროგრამაში არ მონაწილეობენ, თავიანთ ნათეს ფართობებს ადიდებენ უფრო მაღალი ფასების მოლოდინში. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ პროდუქციის გამოშვებაზე ასეთი კონტროლის გარეშე დაგროვილი სასოფლო-სამეურნეო ნამეტი და მასთან დაკავშირებული დანახარჯები გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე სინამდვილეშია.

მოთხოვნის შენარჩუნება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის გადიდებას სახელმწიფო სხვადასხვა გზით ახორციელებდა.

1.ახალი გამოყენება. სახელმწიფომ და კერძო მრეწველობამაც მნიშვნელოვანი სახსრები დახარჯეს მეცნიერულ გამოკვლევებზე, რომელთა მიზანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოყენების ახალი ხერხების გამოძებნა იყო."ბენზოლის"-ბენზინისა და მარცვლეულისაგან დამზადებული ალკოჰოლის ნარევის წარმოება თანამედროვე და აუცილებელი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ახალი მოთხოვნის შესაქმნელად. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აშშ-ს ძალზე მოკრძალებული შედეგები ჰქონდა ამ საქმეში.

2.საშინაო და საგარეო მოთხოვნა. დასახულ იქნა რიგი პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოთხოვნის გასადიდებლად საშინაო ბაზარზე. მაგალითად, <u>სასურსათო ტალონების პროგრამა</u> გამიზნულია იმისათვის,რომ შენარჩუნებულიქნას მოთხოვნა კვების პროდუქტებზე დაბალშემოსავლიანი ოჯახების მხრივ. ანალოგიურად, პროგრამამ "სურსათი მშვიდობისათვის"-, რაც გათვალისწინებულია 480-ე კანონით, ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს საშუალება მისცა ეყიდა აშშ სასოფლო- სამეურნეო პროდუქტების ნამეტი საკუთარი ვალუტით და არა დოლარით. მოლაპარაკებათა ამერიკელი მომხრეები ვითარებად ცდილობდნენ უცხო ქვეყნების დარწმუნებას პროტექციონისტული ტარიფის შემცირებაში და სხვა შეზღუდვების მოხსნას ამერიკის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის.

თუმცა მიავრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო მიწოდების შეზღუდვისა და მოთხოვნის გადიდებისაკენ უდავოდ ხელს უწყობდა ნამეტი პროდუქციის შემცირებას, მაგრამ მათ ვერ მოსპეს ნამეტი. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში სრულებითაც არ იყო უჩვეულო ისეთი სიტუაცია, როცა სახელმწიფო 2-დან 4-მლრდ დოლარამდე ხარჯავდა წელიწადში ნამეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ხარჯები მკვეთრად გაიზარდა 1980-იან წლებში. მხოლოდ ფასების შენარჩუნებასთან დაკავშირებულმა გადასახდელებმა 1987 წელს ოთხმის 17 მლრდ შეადგინა.

სასოფლო სამეურნეო პოლიტიკა გზაგასაყარზე?

სახელმწიფო ექსპერიმენტების ნახევარსაუკუნოვანზე მეტი ხნის ისტორია, რაც მიმართულია შემოსავლების სტაბილიზაციასა და

გადიდებაზე, ყველა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ეს პროგრამები არ მოქმედებენ საჭიროებისამებრ. მაშასადამე, ეკონომისტებსა და პოლიტიკურ ლიდერებს ეჩვენებათ, რომ ფერმერული პოლიტიკის ტრადიციული მიზნები და მეთოდები გადასახედი და შესაცვლელია.

რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა

განვიხილოთ რამდენიმე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მიმართ.

1.სიმპტომები და მიზეზები. ფერმერებისადმი დახმარების პროგრამებმა ვერ მიაღწიეს ფერმერულ პრობლემათა მიზეზამდე. სოფლის მეურნეობის მიმართ სახელმწიფო პროგრამა მოწოდებულია განკურნოს სიმპტომები და არა მიზეზები. ფერმერული პრობლემის ძირითადი <u>მიზეზი</u> რესურსების არასწორი განაწილება იყო სოფლის მეურნეობასა და დანარჩენ ეკონომიკას შორის. ისტორიული პრობლემა ფერმეროა ძალზე დიდ რაოდენობაშია. რესურსების არარაციონალური გამოყენების შედეგია დაბალი ფერმერული შემოსავლები. <u>სახელმწიფო პროგრამა სოფლის მეურნეობის სფეროში ძირითადად ორიენტირებული იყო ფერმერული ფასებისა და შემოსავლების შენარჩუნებაზე და არა რესურსების განაწილების პრობლემის შერბილებაზე, რაც ამ შემოსავლების შემცირების ძირითადი მიზეზია.</u>

ზოგიერთი კრიტიკოსი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ შენარჩუნებული ფასები და შემოსავლები სტიმულს აძლევდნენ ადამიანებს დარჩენილიყვნენ სოფლის მეურნეობაში, მაშინ, როცა წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გადასახლდებოდნენ რომელიმე სხვა არა სასოფლო-სამეურნეო ოლქში. ეს ნიშნავს, რომ ფერმერულ პროგრამათა ორიენტაცია ფასებსა და შემოსავლებზე შეაჩერებს რესურსების გადანაწილებას, რაც ისე საჭიროა ხანგრძლივვადიანი ფერმერული პრობლემის გადასაწყვეტად.

2.სუბსიდიების არასწორი მიმართულება. ამ გარემოებასთან დაკავშირებული კრიტიკის არსი ისაა, რომ ფასებისა და შემოსავლების შენარჩუნების პროგრამებს ყველაზე მეტი სარგებელი მოჰქონდათ იმ ფერმერებისათვის, რომლებსაც სახელმწიფო დახმარება ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდათ. იმ დაშვებიდან, რომ აშშ ფერმერული პროგრამის მიზანია დაბალი ფერმერული შემოსავლების გადიდება, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ

სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი პროგრამა მიმართული უნდა იყოს ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე ფერმერებზე. მაგრამ ღარიბი ფერმერი წარმოების მცირე მოცულობით, უბრალოდ არ აწარმოებს და ბაზარზე არ ყიდის საკმარის პროდუქციას, რომ მნიშვნელოვანი დახმარება მიიღოს ფასების შენარჩუნებისაგან. სწორედ მსხვილი კორპორაციული ფერმა იღებს სარგებელს მისი წარმოების დიდი მოცულობის გამო. 1987 წელს, მაგალითად, ყველა ფერმათა 14%-მა 100 ათასი დოლ. და მეტი გაყიდვის მოცულობით, ყველა პირდაპირ სამთავრობო სუბსიდიათა 55%-ზე მეტი მიიღო. ულარიბეს ფერმერთა 52%-მა, რომელთა შემოსავალი ფერმერული მეურნეობიდან 1987 წელს 9999 დოლარს და უფრო ნაკლებს შეადგენდა (იხ.ცხრ.35-1), მთელი პირდაპირი სუბსიდიების მხოლოდ 5% მიიღო. შემოსავლების შენარჩუნების პროგრამა უნდა შეეწყოს ადამიანებს და არა პროდუქტებს. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ სამართლიანობის თვალსაზრისით ღარიბი ფერმერების შემოსავლის პირდაპირი სუბსიდირება უმჯობესია, ვიდრე არაპირდაპირი სუბსიდიები ფასების შენარჩუნების სახით, რაც ძირითადად ხელში უვარდება მსხვილ ფერმერებს.

იგივე ეხება მიწის ფასსაც. ფასების შენარჩუნების პოლიტიკამ მარცვლეულის გაძვირებით, თვით მიწის გაძვირებაც გამოიწვია. ხანდახან ეს სასარგებლოა ფერმერებისათვის, მაგრამ არა ყოველთვის. ფერმერები თავიანთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 40%-ს იჯარით იღებენ შედარებით შეძლებული არა სასოფლო-სამეურნეო მიწათმფლობელებისაგან. ამრიგად,ფასების შენარჩუნება სუბსიდიებად გადაიქცევა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ფაქტობრივად არ მისდევენ მიწათმოქმედებას.

3.პოლიტიკის წინააღმდეგობანი. ფერმერული პოლიტიკის სირთულისა და მისი მიზნების მრავალრიცხოვნობის გამო, მასში ჩადებულია რიგი კონფლიქტები და წინააღმდეგობანი. განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი. სუბსიდირებადი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა მიმართულია ფერმერთა მწარმოებლურობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების გადიდებაზე, მაშინ როცა ნათესი ფართობების რეზერვირებისა და "ბრუნვიდან მიწების ამოღების" პროგრამები ფერმერებს აჯილდოვებენ წარმოებიდან

1.U.S.Departament of Agriculture.Economic Indicators of the Farm Sector:National Financial Symmary.1987.გვ.43.

მიწების ამოღებისათვის, რათა შემცირებულ იქნას მიწოდება. მარცვლეულ'ზე ფასების შენარჩუნება ნიშნავს დანახარჯია გადიდებას მეცხოველეობის საკვებზე და ფასების გადიდებას მეცხოველეობის პროდუქციაზე მეცხოველეთათვის. დაბოლოს,უკანასკნელ წლებში ამერიკელ ფერმერთა აყვავება სულ უფრო მეტად იყო დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე. საკუთარი პროდუქციის გაყიდვის უნარზე. რამდენადაც აშშ მრავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი ექსპორტიორია, ფასების შენარჩუნებამ მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ფასების ახალი მინიმალური დონის დადგენა გამოიწვია. ეს ფასები, რაც წონასწორობისაზე მეტია, იმავდროულად უცხოელებს აშშ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყიდვის მადას უკარგავდა და უცხოურ ფერმერებს მეტის წარმოების სტიმულს აძლევდა. შედეგი კი ამერიკელ ფერმერთა შემოსავლების დაკარგვაა.1

4.კლებადი ეფექტიანობა. არის საფუძველი ვთქვათ, რომ ყველა სხვა პრობლემის გამოკლებით, ფერმერული პოლიტიკა უბრალოდ ნაკლებეფექტიანი გახდა თავისი მიზნების მიღწევაში.1930-იან წლებში ფერმერთა უმრავლესობა შედარებით მცირე, ნახევრადიზოლირებული ერთეულები იყვნენ, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობის მანქანა-იარაღებს იყენებდნენ და თვითონ უზრუნველყოფდნენ საკუთარ თავს გამოყენებული რესურსების დიდი ნაწილით.

თანამედროვე პერიოდში ფერმები უფრო მსხვილი, მეტისმეტად კაპიტალტევადი და სამამულო და საერთაშორისო ეკონომიკაში მჭიდროდ ინტეგრირებული გახდნენ. ახლა ფერმები დამოუკიდებელი არიან ფერმერულ მეურნეობაში გამოყენებული ისეთი რესურსების სხვა მწარმოებლებისაგან, როგორიცაა თესლი, სასუქები, ინსეკტიციდები და ა.შ. აშშ სოფლის მეურნეობა მატერიალური აქტივების (მანქანები და მოწყობილობები) სახით, ორჯერ მეტ კაპიტალს იყენებს ერთ მუშაზე გაანგარიშებით, ვიდრე ეკონომიკა

1.საექსპერტო მოთხოვნას ფასების ცელილებაზე სწრაფი რეაგირების ტენდენცია გააჩნია.ე.ი.უფრო ელასტიურია.ვიდრე საშინაო მოთხოვნა.ეს,35-2 ნახაზზე გამოხატულ სიტუაციასთან შედარებით ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების ცატება შეამცირებს ამერიკელ ფერმერთა ეთლიან შემოსავალს, რამდენადაც გაყიდვათა მოცულობები მეტი პროპორციით მცირდება. ვიდრე ფასები იზრდება.

მთლიანად. ეს ნიშნავს, რომ ფერმერებმა ახლა დიდი თანხები უნდა ისესხონ კაპიტალური მოწყობილობის, მიწისა და საბრუნავი კაპიტალის შეძენის დასაფინანსებლად. მაშასადამე, მიუხედავად კარგად ჩაფიქრებული პოლიტიკისა, რაც მიმართულია ფერმერთა შემოსავლების გადიდებაზე და სარგებლის მაღალმა განაკვეთებმა შესაძლოა გამოიწვიოს მრავალ ფერმერთა გაკოტრება და ზარალი.საექსპორტო ბაზრებთან დამოკიდებულებამაც შესაძლოა ძირი გამოუთხაროს ფერმერულ პოლიტიკას.

5.დანახარჯები პროგრამებზე. უკანასკნელ წლებში დანახარჯები სხვადასხვა ფერმერულ პროგრამებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1981-დან 1985 წლამდე ფედერალურმა ხარჯებმა ფერმერთა ფასების შენარჩუნებასა და მათ შემოსავლებზე 60 მლრდ დოლ. შეადგინა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1987 წელს, ფასების შენარჩუნებაზე დაიხარჯა დაახლოებით 17 მლრდ დოლ.

ერთ-ერთი რთული საკითხი ისაა, რომ ეკონომიკურად გამართლებულია თუ არა სულ უფრო და უფრო ძვირადღირებული ფერმერული პროგრამა. ფერმერული პროგრამები უზარმაზარ და მზარდ ბიუჯეტურ დანახარჯებს იწვევენ. ამ პროგრამებთან დაკავშირებულ სუბსიდიებს სარგებლობა არ მოაქვთ ყველაზე უფრო გაჭირვებული ფერმებისათვის. ფასების შენარჩუნება ფერმერთა პროდუქციაზე ამახინჯებს ეკონომიკურ სტიმულებს, წარმოადგენენ რა გახანგრძლივებული ჭარბწარმოების მიზეზს.ფერმერული პროგრამები მნიშვნელოვან დანახარჯებს ახვევენ თავს მომხმარებლებს და ართულებენ აშშ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას. მსგავსი კრიტიკის თვალსაზრისით, ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ ამერიკის ფერმერული პოლიტიკა სახელმწიფო სექტორის უსუსურობის დასტურია. ისინი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო პოლიტიკამ არა თუ ვერ გადაჭრა ამერიკული სოფლის მეურნეობის პრობლემები, არამედ, მეტადრე, ამ პრობლემათა ნაწილი გახდა.

შემოსავლების სტაბილიზაციის ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკა

გასაკვირი როდია, რომ მრავალმხრივი კრიტიკის ვითარებაში, რაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისაკენ არის მიმართული, ეკონომისტები და პოლიტიკოსები ახალ მიდგომას ეძებდნენ

ფერმერული პოლიტიკის გადაჭრისათვის.ერთ-ერთი გავრცელებული თვალსაზრისი ისაა, რომ პოლიტიკა ფერმერთა შემოსავლების გადიდებიდან მისი სტაბილიზაციის ამოცანებზე გადაერიოს. სტაბილიზაციის ამოცანაა შეამციროს ფერმერული შემოსავლებისა და ფასების მერყეობანი წლების მიხედვით, მაგრამ ფერმერთა პროდუქციაზე და მათ შემოსავლებზე ისეთი ხანგრძლივვადიანი საშუალო ფასები მიიღოს, რაც თავისუფალი ბაზრით იქნება უზრუნველყოფილი. ეს ეწინააღმდეგება შემოსავლების გადიდების ამოცანას, რაც მიმართულია ფერმერთა პროდუქციასა და მათ შემოსავლებზე ისეთი ფასების დაწესებისაკენ, რომლებიც თავისუფალი ბაზრისაზე მეტია. როგორ შეეძლო მთავრობას ბუმის შენერება და სასოფლო-სამეურნეო ბაზრების ბუნების მოთვინიერება? სავარაუდო პასუხი ისაა, რომ მთავრობამ ფასები უნდა შეინარჩუნოს და ჭარბი ნამეტი დააგროვოს თუ ფასები დაეცემა ხანგრძლივვადიანი საშუალო ფასების დონეზე დაბლა. პირიქით, სახელმწიფომ უნდა გაადიდოს მიწოდება ამ მარაგების გაყიდვით, თუ ფასები აიწევს ხანგრძლივ საშუალო დონეზე მაღლა.

მომხრეები თვლიან, რომ შემოსავლების სტაბილიზაციის ბაზარზე ორიენტირებულ პოლიტიკას რიგი უპირატესობები გააჩნია. ჯერ-ერთი, სახელმწიფო ჩარევა სოფლის მეურნეობაში შესუსტდებოდა იმით, რომ ნათესი ფართობების შემცირების მეშვეობით მიწოდების რეგულირების პროგრამები უარყოფილი იქნებოდა. მეორე, ფასები ხანგრძლივი წონასწორობითი დონის შესაბამისი იქნებოდა და ამიტომ ხელს შეუწყობდა რესურსების ეფექტიან განაწილებას სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფერმერებისათვის თავისუფალი ბაზრის ფასების შესაბამისი შემოსავლების უზრუნველყოფით საბაზრო სისტემა საჭირო სიგნალს მისცემდა ფერმერებს არა სასოფლო-სამეურნეო დარგებში გადაადგილების დაჩქარებისათვის. მაგრამ გადასახადის გადამხდელთა ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა და ფასების უფრო დაბალი დონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, სტიმულს მისცემდა სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს.

არა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელობა

როგორც აღვნიშნეთ, ფერმერული პოლიტიკის ეფექტიანობა შეიძლება დაეცეს იმის გამო, რომ სხვა ფაქტორები ხელს შეუშლიან

ფერმერულ შემოსავლებზე მის ხელმოქმედებას. ეს ნიშნავს, რომ ხელსაყრელი არა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა სისხლხორცეულად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის. როგორც ვთქვით, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად უფრო ინტეგრირებულია დღეს ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკაში, ვიდრე სულ რაღაც 40 ან 50 წლის წინ. თუ ფულადი და საბიუჯეტო პოლიტიკა-განსაკუთრებით "ძვირი" ფულები და ფედერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტები სარგებლის განაკვეთის შემცირებას გამოიწვევენ, როგორც უკანასკნელ წლებში, ფერმერული მეურნეობის მომგებიანი გაძღოლის შესაძლებლობები შემცირდება. ფერმერები დიდად არიან დამოკიდებული კრედიტისაგან, რაც საჭიროა მიმდინარე ოპერაციათა დასაფინანსებლად და მანქანებისა და მიწის საყიდლად.

აშკარაა ისიც, რომ მსოფლიო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის ძლიერი დამოკიდებულების პირობებში ფერმერები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული თავისუფალი და შეუზღუდავი საერთაშორისო ვაჭრობით, რაც საგარეო ბაზრებს სულ უფრო ხელმისაწვდომს გახდის. ადრე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ დოლარის საერთაშორისო ღირებულების მერყეობებს ასევე შეუძლიათ არსებითი ზეგავლენა მოახდინონ ამერიკულ სასოფლ- სამეურნეო ექსპორტზე.

გლობალური შეხედულება: ლხინი თუ შიმშილი?

ამერიკელ ფერმერთა პრობლემა-მიწოდება რაც მოთხოვნას უსწრებს, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ნამეტის წარმოებას-ტიპიური როდია მრავალი სხვა ქვეყნისათვის. ბევრი სხვა ნაკლებგანვითარებული ქვეყანა, რომ არაფერი ვთქვათ ყოფილ სსრ კავშირზე, იძულებულია მუდმივად შემოზიდოს სასურსათო საქონელი.ჩვენ ხშირად ვამბობთ შიმშილზე და სურსათის უკმარისობაზე აფრიკაში და კიდევ სხვაგან.შეიძლება ვივარაუდოთ,რომ ოდესღაც მომავალში,ვთქვათ 40 ან 50 წლის შემდეგ,სამყაროს არ შეეძლება საკუთარი თავის გამოკვება?

მართალია,ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს,მაგრამ საინტერესოა შევაჯამოთ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ზოგიერთი არგუმენტები,რომლებიც განხილვის საგანს შეეხებიან.პესიმისტებს, რომლებიც მოახლოებულ შიმშილს წინასწარმეტყველებენ, მოთხოვნის, მიწოდებაზე უფრო სწრაფი ზრდის გამო,მოაქვთ ასეთი მოსაზრებები.ჯერ-ერთი,სახნავი ფართობი შეზღუდულია და

მისი ხარისხი სერიოზულად უარესდება ქარის- და წყლისმიერი ეროზიისაგან.მეორე,ქალაქების "სიგანეში წასვლა" და მრეწველობის განვითარება კვლავაც ამოიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან უკეთესი ხარისხის მიწებს არა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებიდან.მესამე,გრუნტის წყლების ამერიკული სისტემა, რომლებისგანაც ფერმერები არიან დამოკიდებული მორწყვის გამო,ისე სწრაფად უარესდება,რომ ზოგიერთ რაიონში საჭირო ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატოვება.მეოთხე,მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება;ყოველდღიურად ათასობით ახალი ადამიანი ჩნდება,რომლებიც უნდა გამოიკვებოს. დაბოლოს, გარემოს დაცვისათვის მოძრაობის ზოგიერთი მიმდევრები ამტკიცებენ,რომ არახელსაყრელი ხანგრძლივი კლიმატური ცვლილებები ძირს გამოუთხრიან სასოფლო სამეურნეო წარმოების მომავალს.

ოპტიმისტები შემდეგ კონტრარგუმენტს აყენებენ.ჯერ-ერთი, მარცვლეულით დათესილი მიწის ფართობი, იზრდებოდა და სამყარო ჯერ კიდევ შორსაა მთელი თავისი სახნავი მიწების ბრუნვაში შეტანისაგან.მეორე,სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობა ზრდას განაგრძობს და მკვეთრი წინ გაჭრის შესაძლებლობები ჯერ კიდევ წინაა,რამდენადაც შევდივართ საინჟინრო გენეტიკის ეპოქაში.არსებობს სასოფლო-სამეურნეო სექტორის მწარმოებლურობის არსებითი გადიდების შესაძლებლობები ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში.მაგალითად,უფრო სრულყოფილმა ეკონომიკურმა სტიმულებმა. სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის ჩინეთში 1980-დან 1985 წლამდე წარმოება 1/3-ით გაზარდეს. მესამე, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპები სინამდვილეში მცირდებოდა. დაბოლოს, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ადაპტაციის პროცესებს, რომლებიც საბაზრო სისტემაშია ჩადებული. თუ სურსათის ნაკლებობა გამოვლინდა, გაიზრდება სასურსათო პროდუქტების ფასები. უფრო მაღალი ფასები სტიმულს მისცემდნენ წარმოების გადიდებას, მაგრამ იმავდროულად შეზღუდავდნენ მოხმარებას, რითაც ხელს შეუწყობდა სურსათის უკმარისობის თავიდან აცილებას.

თუმცა, კამათი თემაზე "ლხინი თუ შიმშილი" უმაღლესი დონის გონებაგაჩენერეტით ხასიათს იტარებს, მაგრამ მსოფლიოს მომავალი წარმოებრივი შესაძლებლობების და სამომხმარებლო საჭიროებათა ნათელი სურათის წარმოდგენა ადვილი როდია. მაგრამ, ალბათ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა უნდა გაკეთდეს: ამერიკულმა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ გლობალური მოსაზრებები უნდა გაითვალისწინოს.

რეზიუმე

1.ამერიკის სოფლის მეურნეობას ახასოვს "აღმავლობები" და "დაქვეითებები"

2.სწრაფი ტექნიკური პროგრესი, შეერთებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე განსაკუთრებით არაელასტიურ და შედარებით მუდმივ მოთხოვნასთან, შეფარდებით დაბალი ფერმერული შემოსავლების მიზეზი გახდა. აგრარული სექტორის, როგორც ქონებრივი, ისე ადამიანისეული რესურსების შედარებით უცვლელი ხასიათის გამო საბაზრო სისტემა უძლური აღმოჩნდა გადაეჭრა ფერმერული პრობლემა სოფლის მეურნეობიდან საკმაო რაოდენობის რესურსების გადანაწილების გზით.

3.მოკლევადიან პერიოდში სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის განსაკუთრებით არაელასტიური ხასიათი წარმოების მოცულობათა უმნიშვნელო ცვლილებებს და საშინაო და საგარეო ბაზრებზე მოთხოვნის ასევე უმნიშვნელო ცვლილებებს გარდაქმნის ფასებისა და შემოსავლების დიდ მერყეობებად.

4.ისტორიულად სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ფასებზე და პარიტეტის კონცეფციას ემყარებოდა. ეს კონცეფცია ითვალისწინებს,რომ იმ ფასების შეფარდება, რომლითაც ფერმერები თავიანთ პროდუქციას ყიდიან, იმ ფასებთან, რომლითაც ისინი სხვა საქონელს იძენენ, უცვლელი უნდა დარჩეს.

5.მინიმალური ანუ შენარჩუნებული ფასების გამოყენებას რიგი ეკონომიკური შედეგი გააჩნია: ა) წარმოებობა ჭარბი პროდუქცია; ბ) იზრდება ფერმერთა შემოსავლები; გ) მომხმარებლები უფრო მაღალ ფასებს იხდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე; დ) საზოგადოება მთლიანად, უფრო მაღალ გადასახადებს იხდის ნამეტი პროდუქციის შესაძენად და შესანახად და ასევე სოფლის მეურნეობაში რესურსების ჭარბ განაწილებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა; ე) სხვა ქვეყნები საიმპორტო ბარიერებთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაბალ მსოფლიო ფასებთან დაკავშირებულ დანახარჯებს ეწევა.

6.სახელმწიფო, შეზღუდული წარმატებით ახორციელებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუტების მოწოდების შემცირებაზე და მათზე მოთხოვნის გადიდებაზე მიმართულ რიგ პროგრამებს, რათა შემცირებულ იყო ფასების შენარჩუნებით გამოწვეული ნამეტი.

7.სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას აკრიტიკებენ: ა) სიმპტომების (ფერმერთა დაბალი შემოსავლები) მიზეზებთან (ჭარბი წარმოებრივი სიმძლავრე) არევის; ბ) მაღალშემოსავლიანი ფერმერებისადმი ყველაზე მეტი სუბსიდიების შეთავაზების; გ) სპეციალურ სასოფლო- სამეურნეო პროგრამებს შორის წინააღმდეგობის; დ) კლებადი ეფექტიანობის; და ე) მზარდი დანახარჯების გამო.

8.ზოგიერთი ეკონომისტი მხარს უჭერს სტაბილიზაციის პროგრამებს და არა ფერმერული შემოსავლების გადიდებას.

9.არა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, განსაკუთრებით მაკროეკონომიკური და საგარეო სავაჭრო პოლიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის.

ტერმინები და ცნებები

ხანგრძლივვადიანი პრობლემა
მოკლევადიანი პრობლემა
სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ 1933 წ.კანონი
პარიტეტის კონცეფცია
პარიტეტის ინდექსი
შენარჩუნებული ფასები
სათესი ფართობების შეზღუდვის პროგრამები
შემოსავლის სტაბილიზების ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკა

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.ახსენით რა წვლილი შეაქვს ყოველ შემდგომ ფაქტორს ფერმერულ პრობლემაში; ა) მოთხოვნის არაელასტიურობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე; ბ) სწრაფი ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში; გ) მოთხოვნის ზომიერი ხანგრძლივვადიანი ზრდა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე; დ) სოფლის მეურნეობის კონ-კურენტულობა; ე) სასოფლო-სამეურნეო რესურსების შეფარდებითი უძრაობა ანუ იმობილურობა. ექსპორტი ადიდებს ოუ ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის მერყეობას.

2.რა კავშირი შეიძლება დაინახოთ თქვენ თუ კი იგი არსებობს, ფერმერების წარმოების მუდმივი დანახარჯების მნიშვნელოვან სიდიდესა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უმეტესობის მიწოდების არაელასტიურობას შორის. ზუსტი იყავით თქვენს პასუხში.

3."სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდება და მათზე მოთხოვნა ისეთია, რომ უმნიშვნელო ცვლილებები მიწოდებაში გამოიწვევენ მნიშვნელოვან ცვლილებებს ფასებში მაგრამ ფერმერთა პროდუქციის ფასების დიდი ცვლილებები სუსტ ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობაზე". ყურადღებით გააანალიზეთ ეს დებულება. ქარაგმა:შეიძლება გვიშველოს მიწოდებისა და მიწოდებულ რაოდენობას შორის განსხვავებათა მოკლე მიმოხილვამ.

4."ეკონომიკური განვითარების მთელი პროცესი სოფლის მეურნეობის ,ეკონომიკური სისტემის სულ უფრო ნაკლებმნიშვნელოვან დარგად გადაქცევის პროცესია".[1] შეაფასეთ ეს მტკიცება.

5.რესურსების ეფექტიანი განაწილების გასაღებია მათი გადაადგილება გამოყენების დაბალმწარმოებლურიდან მაღალმწარმოებლურ სფეროებში. სოფლის მეურნეობის რესურსების მაღალი და მზარდი ფიზიკური მწარმოებლურობის გათვალისწინებით, ახსენით, თუ რატომ მოითხოვენ ეკონომისტები აგრარული სფეროდან მეტი რესურსების ამოღებას რესურსების განაწილების ეფექტიანობის გადიდების მიზნით.

6."მრეწველობა უკმაყოფილებას გამოხატავს უფრო მაღალი გადასახადებით, რაც მან უნდა გადაიხადოს სოფლის მეურნეობის სუბსიდიების დასაფინანსებლად. თუმცა ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო ფასებს შემცირების ტენდენცია გააჩნდათ, მაშინ, როცა მრეწველური ფასები იზრდებოდა, ნიშნავს, რომ საბოლოო ანგარიშით ფაქტობრივად სოფლის მეურნეობა მრეწველობის სუბსიდირებას ახდენს."ახსენით და შეაფასეთ ეს დებულება.

7."რამდენადაც ყველა მომხმარებელმა მთლიანად, საბოლოო

1.Lauren Stof. Farm Trouble. Princeton,N.J.:Princeton University Press.1957.გვ.40

ანგარიშით უნდა აანაზღაუროს ფერმერთა მთლიანი შემოსავლები, რეალური მნიშვნელობა არა აქვს როგორ მოხდება ეს: თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო ბაზრების თუ ფასების შენარჩუნების მეშვეობით, რაც საგადასახადო შემოსულობებიდან დაფინანსებული სუბსიდიებით შეივსება".თქვენ ეთანხმებით?

8.ვივარაუდოთ, რომ თქვენ ხართ ერთ-ერთი ძირითადი ფერმერული ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილების პრეზიდენტი. რიგითმა წევრებმა დაგავალეს თქვენი განყოფილების პოლიტიკის დებულებათა ფორმულირება, რაც შემდეგ საკითხებს ეხება: ა) ანტიტრესტული პოლიტიკა; ბ) ფულადი პოლიტიკა; გ) საფინანსო სუბიუჯეტო პოლიტიკა; დ) სატარიფო პოლიტიკა. მოკლედ აღწერეთ პოლიტიკის დებულებები, რომლებიც უკეთესად მოემსახურება ფერმერთა ინტერესებს. როგორია ყოველი დებულების ლოგიკური დასაბუთება? ხედავთ თუ არა რაიმე წინააღმდეგობას ან არათანმიმდევრულობას საკუთარ პოლიტიკურ გამონათქვამებში.

9.დაწერილებით გვიჩვენეთ ფასების შენარჩუნების ეკონომიკური შედეგები. ეკონომისტები რის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ შენარჩუნებული ფასები რესურსების არარაციონალურ განაწილებას იწვევენ.?

10.თუ მოცემულ წელს ფასების ინდექსი, რითაც ფერმერები პროდუქციას ყიდიან და რომლითაც საქონლებს ყიდულობენ, შესაბამისად 120 და 162-ის ტოლია, როგორი იქნებოდა პარიტეტის ინდექსი? ახსენით ამ შეფარდებითი მაჩვენებლის არსი.

11.ახსენით და შეაფასეთ შემდეგი გამონათქვამები:ა)"ფასების შენარჩუნება მეტადრე ამწვავებს, ვიდრე გადაწყვეტს ფერმერულ პრობლემას".ბ)"ყველაზე საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პროგრამაა დასაქმების შესახებ 1946 წ. კანონი".[1] გ)"სოფლის მეურნეობაში პარიტეტულ ფასებთან დაკავშირებული სირთულეების წყარო ისაა, რომ საფასო მექანიზმს ისინი რესურსების განაწილების უნარს ართმევენ."დ)"თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის პრობლემები იმაშია, რომ ყველა ფერმერი როდია ღარიბი".

12.შეათანხმეთ ორი შემდეგი გამონათქვამი:„ფერმერული პრობლემაა ჭარბწარმოების პრობლემა","მიუხედავად ამერიკული სოფლის მეურნეობის უზარმაზარი წარმოებრივი შესაძლებლობებისა,

---

1.დაწერილებით ამ კანონის შესახებ ლაპარაკია მე 14 თავის განყოფილებაში "კანონმდებლური საფუძველი"(იხ. ქართული თარგმანის მეორე ტომი)-რედ.

ბევრი ამერიკელი მშიერი დადის". საბაზრო სისტემასთან დაკავშირებით რა ვარაუდს შეიცავს თქვენი პასუხი?

13.როგორ შეათავსებთ თქვენ ისედაც მნიშვნელოვანი სუბსიდიების ზრდას სოფლის მეურნეობისადმი, აგრარული მოსახლეობის ზრდასთან?

14.როგორია თქვენი ძირითადი კრიტიკული შენიშვნები ფერმერული პოლიტიკის მისამართით? თვლით თუ არა თქვენ, რომ მთავრობამ უნდა ეცადოს გაზარდოს ფერმერთა შემოსავლები, მოახდინოს მათი სტაბილიზება და დაუშვას მათი ფორმირება თავისუფალი ბაზრების ზეგავლენით? ახსენით თქვენი პოზიცია.

ბოლო შტრიხი

შაქრის სამამულო პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობა

სამამულო სასოფლო სამეურნეო პროგრამებს ხშირ შემთხვევაში დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. **შაქრის ფასების შენარჩუნების ამერიკულმა პროგრამამ მნიშვნელოვანი დანახარჯები გამოიწვია ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბითაც. დაახლოებით 19 ათას ამერიკელ მწარმოებელთა ფასების ამასწინანდელი შენარჩუნების წყალობით, შაქრის სამამულო ფასები მსოფლიოსაზე 3-4 ჯერ მაღალ დონეზე დარჩა. ამის შედეგად, შაქრის უცხოურმა მწარმოებლებმა თავიანთი პროდუქციის აშშ-ში გაყიდვის ძალზე ძლიერი სტიმული მიიღეს. მაგრამ, ბევრად უფრო იაფი იმპორტული შაქრის მოზღვავება ამერიკის საშინაო ბაზარზე ძირს გამოუთხრიდა შენარჩუნებულ სამამულო ფასებს. ამიტომ მთავრობამ შემოიღო უცხოური შაქრის იმპორტული ქვოტები. რამდენადაც განსხვავება აშშ შენარჩუნებულ ფასებსა და მსოფლიო ფასებს შორის გაიზარდა, იმპორტული ქვოტები უფრო შემზღუდავი გახდა, რამაც იმპორტული შაქრის წილის შემცირება გამოიწვია დამტკბარ ნივთიერებათა ამერიკულ მოხმარებაში (იხ. მოტანილი ნახაზი). შაქრის მაღალი ფასები საშინაო ბაზარზე, სტიმულს აძლევდა მოხმარების გადაადგილებას შაქრიდან სიმინდის სიროფსა და სხვა დამტკბარ ნივთიერებებზე. შესაძლოა, გადამწყვეტი**

მომენტი, რასაც აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ, ისაა, რომ ამერიკული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა შაქრის სამამულო მრეწველობაში დიდად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ამ პროდუქტის მიმართ.

ამერიკული ბაზრის დაკარგვას, რიგი დამღუპველი შედეგი გააჩნდა ბევრი ნაკლებ განვითარებული, შაქრის ექსპორტიორი



წყარო:სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეყნისათვის, ისეთის, როგორიცაა ფილიპინები, ბრაზილია და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ნაწილი. პირველი და ყველაზე აშკარა შედეგი ისაა, რომ მათმა განდევნამ ამერიკული ბაზრიდან, არსებითად შეამცირა საექსპორტო ამონაგები და ეროვნული შემოსავალი. შემოსავლების დაცემა ექსპორტისაგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან, მრავალი, შაქრისმწარმოებელი ქვეყანა დიდადაა დამოკიდებული ასეთ შემოსავლებზე, რამდენადაც მათ

აშშ და მრეწველურად განვითარებულ სხვა ქვეყნებს უზარმაზარი საგარეო ვალების სარგებელი და ძირითადი თანხა უნდა გადაუხადონ. <u>მეორე, უფრო ნაკლებგანვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებული შაქარი, რომელიც ქვოტებით არ იქნა დაშვებული</u> აშშ ბაზარზე, მოხვდა მსოფლიო ბაზარზე,სადაც მზარდმა მიწოდებამ შეამცირა შაქრის მსოფლიო ფასი. მესამე, ქვეყნის შიგნით შენარჩუნებული ფასის ზეგავლენით ამერიკული შაქრის წარმოება ისე გაიზარდა, რომ აშშ შეიძლება მალე შაქრის იმპორტიორიდან მის ექსპორტიორ ქვეყნად გადაიქცეს. ეს ნიშნავს, რომ შაქრის ამერიკული პროგრამა შეიძლება მალე ახალი კონკურენციის წყარო გახდეს შაქრის მწარმოებლებისათვის დაბალგანვითარებული ქვეყნებიდან. ევროპის საერთო ბაზარში შაქრის ფასის შენარჩუნებამ ქვეყნების ეს ჯგუფი უკვე გადააქცია შაქრის ექსპორტიორებად. დაბოლოს, როგორც საშინაო, ისე გლობალურ დონეზე შაქრის ფასის შენარჩუნების პროგრამებმა აშშ-ში და მრეწველურად განვითარებულ სხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო რესურსების განაწილების დეფორმირება მოახდინეს მსოფლიო მასშტაბით.ფასების შენარჩუნებამ რესურსების მეტისმეტი განაწილება გამოიწვია შაქრის წარმოებაში ნაკლებეფექტიანი ამერიკელი მწარმოებლების მიერ.ამერიკული საიმპორტო ქვოტები და ამით გამოწვეული შაქრის დაბალი მსოფლიო ფასები უფრო ეფექტიანი უცხოური მწარმოებლებისათვის მათი წარმოების შეზღუდვის მანიშნებელი გახდა.მოკლედ რომ ვთქვათ,მწარმოებლები,რომელთაც მაღალი დანახარჯები გააჩნიათ,მეტს აწარმოებენ,ხოლო დაბალი დანახარჯების მქონე მწარმოებლები ნაკლებ შაქარს აწარმოებდნენ, რისი შედეგიცაა მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო რესურსების არაეფექტიანი განაწილება.[1]

1.Economic Report of the President.1987.გვ. 165-169

თავი ოცდამეთექვსმეტე

ქალაქის ეკონომიკა: ქალაქების პრობლემები

ამერიკის ქალაქები უცნაურ პარადოქსს წარმოადგენენ. ისინი უზარმაზარი სიმდიდრის და სოლიდური შემოსავლების წყარო და ეკონომიკური საქმიანობის და ეკონომიკურ შესაძლებლობათა ცენტრებია. იმავდროულად ეს ქალაქები განასახიერებენ ღარიბებსა და უსახლკაროებს, დანგრეულ სასკოლო სისტემას, ნარკომანიისა და დამნაშავეობის მაღალ დონეს, გარემოს მუდმივად გამწვავებად პრობლემას; მათში ვლინდება საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა და გასხვისების განწყობილებები და შესაძლოა „დაბალი კლასის“ აღმოცენების ნიშნებიც.

მანჰეტენის, ჰობ-ჰილის, ჩიკაგოს თავზე ფრენა, ჰორიზონტზე ცათამბჯენების შთამბეჭდავი შეხედულება „ამერიკული სასწაულის“ გამო სიამაყის გრძნობებით აღგავსებთ თქვენ. ცაში აღმართული ეს სიმბოლოები დიდებულ იერსახეს აძლევს ამერიკული ქალაქი-გიგანტების თვით ცენტრს. მაგრამ მათი ჩრდილი ვერ დაფარავს ქვედა ნაწილების სირცხვილს.

აქ თქენ წააწყდებით დაქვეითებულ ქალაქ-ცენტრებს, რომელიც გადატვირთულია ტრანსპორტით, გამონაბოლქვი გაზებით, გაჭუჭყიანებულს, კრიმინოგენულს და თავისუფალი დროის გატარების ადგილის უქონელს. სწორედ აქ ვხვდებით მივარდნილ ჯურღმულებს და უვარგის საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც მზად არიან ჩაფუშონ შავკანიანის ან გაჩანაგებული უერმერების იმედები, რომლებიც ბედის ძიებაში ქალაქში გადაბარგდნენ. აქ შეხვდებით ქალაქის გარეუბნებს, რომლებიც გარს შემოერტყნენ ქალაქებს მათს გამალებულ და მოუფიქრებელ ზრდაში, გარეუბნებს ერთ ადგილას მოქუჩებული ძველი მახინჯი სახლებით და სავაჭრო ცენტრებით, დახეთქილი ტროტუარებით.

ჩვენ როგორ ავაშენეთ, ან ავაშენებინეთ ეს მოსაწყენი, შეუხედავი სახლები ადამიანისთვის, სახლი, რომელიც აღსავსეა არასრულყოფილებით?[1]

ამ თავში, ჩვენ შევუდგებით რიგი პარადოქსებისა და პრობლემების შესწავლას, რაც ამერიკის ცხოვრებაში ქალაქის დომინირებული როლითაა გამოწვეული. უწინარეს ყოვლისა, როგორია ქალაქების განვითარების ეკონომიკური დასაბუთება? რაშია ქალაქების აღმოცენებისა და განვითარების მიზეზები? მეორე, პირველთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანაა ისეთი, შედარებით ახალი მოვლენის ახსნა, როგორიცაა გარეუბნების ზრდა. რა ეკონომიკური ფაქტორები უძევს საფუძვლად ქალაქების"გაწელვას"? შემდგომ, ჩვენ განვიხილავთ ქალაქების ზრდის დინამიკით გამოწვეულ ზოგიერთ პრობლემას. ესაა ქალაქი-ცენტრების სიღარიბე, სატრანსპორტო პრობლემები, და გარემოს გაჭუჭყიანება. დაბოლოს, ჩვენ განვიხილავთ ქალაქების პრობლემების შესაძლო გადაწყვეტებს.

სანამ ამ საკითხებს და ამოცანებს შევუდგებით, ჩვენ პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ აშშ ურბანიზაციის ხარისხი. დღეისათვის ამერიკა ქალაქელთა ერია. მაგრამ, როგორც 36-1 ცხრილიდან ჩანს, ყოველთვის ასე როდი იყო. არქივის მონაცემები მოწმობს, რომ 1790წ. ამერიკის მოსახლეობის 95% სოფლად, ძირითადში ფერმებში ცხოვრობდა. მართალია, ძნელია დემოგრაფიული ცვლილებების პერსპექტივის განჭვრეტა, მაგრამ პასუხი კითხვაზე, არის თუ არა აშშ ან იქნება თუ არა იგი ქალაქელთა ერი, ცალსახად წარმოგვიდგება.

რატომ ვითარდებიან ქალაქები

არსებობს ქალაქების წარმოშობისა და ზრდის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიზეზები. მიდით, განვიხილოთ ისინი-ქალაქების არსებობის ეკონომიკური დასაბუთება-ფარითი და ვიწრო გაგებით. უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ჩვენი დასაბუთების ისეთი ასპექტები, როგორიცაა წარმოება და მოწოდება.

1.Terry Sanford.The States and the Cities:The Unfinished Agenda//Brian J.L.Berry,Jack Melzer (eds.) Coals for Urban America.Englewood Cliffs.N.J.:Prentice-Hall.Inc.. გვ. 52-53.

ზოგადი კითხვა: სად ვაწარმოოთ?

მე-5 თავში ,ხუთი ფუნდამენტური კითხვის განხილვისას, შეეეხეთ წარმოებით საწარმოთა განლაგების მეტისმეტად მნიშვნელოვან პრობლემას. მართლაც, წარმოების ორგანიზაციის საკითხი-როგორ ვაწარმოოთ?-მოიცავს განთავსების საკითხსაც, ანუ სად ვაწარმოოთ. ფირმის საქმიანობის ჩვენეული ანალიზი (განსაკუთრებით 25-ე თავში) იმ ვარაუდს ეყრდნობა, რომ მთელი წარმოება თავმოყრილია რაღაც განსაზღვრულ გეოგრაფიულ წერტილში.

ცხრილი 36-1. ქალაქის მოსახლეობის ზრდა აშშ-ში

წელი	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა (მლნ)	ქალაქის მოსახლეობის % მთლიან რაოდენობაში
1790	0,2	3,7	5
1810	0,5	6,7	7
1830	1,1	11,7	9
1850	3,5	19,6	15
1870	9,9	28,7	25
1890	22,1	40,8	35
1910	42,0	50,0	46
1930	69,0	53,8	56
1950	96,5	54,2	64
1970	149,8	53,9	73
1975	155,9	57,3	73
1980	170,5	56,1	74
1986	177;7	63,4	74

წყარო: US Bureau of the Census. „ქალაქის მოსახლეობას" აღწერის ბიურო განსაზღვრავს,როგორც ისეთი ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობას, რომელთა მაცხოვრებლების საერთო რაოდენობა 2500 კაცზე მეტია.

არსებითად, ჩვენ ვითვალისწინებდით, რომ რესურსების ბაზარი მოთავსებულია ფირმის"უკანა ეზოში"ხოლო გასაღების ბაზარი "სადარბაზო შემოსასვლელში".ამ ვარაუდის არარეალურობა ცხადია;

სატრანსპორტო ,ანუ გადაზიდვის ხარჯები, მოიცავს ნედლეულის ან სხვა რესურსების მიტანას საწარმომდე და მზა პროდუქციისას მომხმარებლებამდე.წარმოებით გადაწყვეტილებებს სივრცობრივი ანუ ადგილმდებარეობითი ასპექტი გააჩნია.

სხვა სიტყვებით, წარმოების რესურსებიო უზრუნველყოფის ხარჯებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს გეოგრაფიული სივრცის გადალახვის ხარჯებს ანუ დროისა და სახსრების იმ რაოდენობას, რაც საჭიროა ტრანსპორტირებისა და კავშირგაბმულობისთვის. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დანახარჯები შემცირდება, თუ მწარმოებლები განთავსდებიან თავიანთი მიმწოდებლებისა და მომხმარებლების უშუალო სიახლოვეს. საერთოდ, ეკონომიკური უპირატესობებით სარგებლობენ ის ფირმები, რომლებიც აგლომერატს შექმნიან, ანუ ერთმანეთის და თავიანთი ბაზრის გვერდით მოთავსდებიან. ეს სივრცობრივი უპირატესობა ფუძემდებლურია ქალაქების ეკონომიკური ზრდის დასაბუთებისთვის.

კერძო საკითხი: აგლომერაციით გამოწვეული ეკონომია

მოდით, უფრო დაწვრილებით გავარჩიოთ და განვიხილოთ ქალაქების განვითარების ეკონომიკური მიზეზები. ჯერ ერთი, ამ განვითარების აუცილებელი პირობაა ქვეყნის სოფლის მეურნეობის უნარი აწარმოოს სურსათისა და ტექნიკური კულტურების ნამეტი. ამერიკის სოფლის მეურნეობის სწრაფად მზარდმა პროდუქტიულობამ, რაც დაწვრილებით 35-ე თავშია აღწერილი, ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოანთავისუფლა სოფლის მეურნეობიდან, რის შედეგადაც ამ სამუშაო ძალას შეეძლო დასაქმება არა სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და მომსახურების წარმოებით. რამდენადაც ჩვენ საზოგადოებრივი არსებანი ვართ და რამდენადაც სპეციალიზებული მრეწველური წარმოება მუშათა დიდ რაოდენობას მოითხოვს, სავსებით ბუნებრივია, რომ სამუშაო ძალამ თავი უნდა მოიყაროს დაბებში, მცირე და დიდ ქალაქებში.

და თუ აგროსექტორის მზარდმა ეფექტიანობამ სამუშაო ძალა"გამოაგდო" სოფლის მეურნეობიდან, აგლომერაციით გამოწვეულმა ეკონომიამ, პირიქით, "მიიზიდა მოსახლეობა და მრეწველობა ღაბებში, მცირე და დიდ ქალაქებში. რა არის აგლომერაციით გამოწვეული ეკონომია? მთლიანად, აგლომერაციით გამოწვეული

ეკონომია ნიშნავს წარმოების ან გასაღების"გაიაფებას", როგორც ფირმებიო შედარებით ერთმანეთის ახლოს მდებარეობის შედეგად. ასეთი აგლომერაციით მიღწეული ეკონომია იყოფა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ და, საკარაუდოდ გადაჯვარედინებად ტიპებად.

წარმოების მასშტაბების ზრდით გამოწვეული შიდა ეკონომია. ალბათ, სივრცობრივი კონცენტრაციის უმარტივესი საფუძველია ეკონომია მსხვილმასშტაბიანი წარმოებისაგან. გაიხსენეთ რომ, იქ, სადაც მასშტაბის ეფექტი მნიშვნელოვანია, საკმაოდ ეფექტიანი წარმოება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი მთლიანად ხელში უჭირავს მწარმოებელთა უმნიშვნელო რაოდენობას. ეს ნიშნავს, რომ ერთ მსხვილ მწარმოებელს შეიძლება რიგი განცალკევებული ბაზრების მომსახურება იაფი დაუჯდეს, ვიდრე მცირე, დეცენტრალიზებულ მწარმოებელთა დიდ რაოდენობას. ქალაქების მოსახლეობა დიდია და, მაშასადამე, ისინი პოტენციურად დიდ ბაზრებს წარმოადგენენ, რაც მწარმოებლებს საშუალებას აძლევს ქვევით გადაადგილდნენ საშუალო ხანგრძლივვადიან მრუდზე და დაბალ დანახარჯებს მიაღწიონ პროდუქციის ერთეულზე, როგორც 36-1ა ნახაზზეა ნაჩვენები. ასეთ ეკონომიას წარმოების მასშტაბების შედეგად მიღებული შიდა ეკონომია ეწოდება, რამდენადაც იგი დამოკიდებელია წარმოების დონეზე თვით ფირმის შიგნით.

ადგილმდებარეობით (ტრანსპორტირებით) გამოწვეული ეკონომია. წარმოებითი საწარმოს ადგილმდებარეობაზე არსებით გავლენას ახდენს სატრანსპორტო საშუალებათა ხელმისაწვდომობა. ფირმის სატრანსპორტო ხარჯები უფრო მაღალი იქნება, თუკი აუცილებელი რესურსები და გასაღების ბაზრები უშუალო სიახლოვეს არ იმყოფებიან. ამიტომ ფირმის ადგილმდებარეობის შერჩევა, უმეტესწილად დამოკიდებული იქნება არსებულ სატრანსპორტო ქსელზე. შემთხვევით როდი იყო, რომ ჩვენი ყველაზე დიდი ქალაქები ისტორიულად იაფი ბუნებრივი ან ხელოვნური სატრანსპორტო კვანძების გარშემო ანუ სანაპიროთა გასწვრივ (ნიუ-იორკი,სან-ფრანცისკო) დიდ მდინარეებზე (სენტ-ლუისი) ან სარკინიგზო ტერმინალების გვერდით (ჩიკაგო) ჩამოყალიბდნენ.

ალბათ, აგლომერაციის უფრო ნაკლები მიზეზია"ინდუსტრიული მწკრივების" ფენომენი. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ის გამოიწ-



ნახ.36-1. წარმოების მასშტაბებით გამოწვეული შიდა და გარე ეკონომია

ა) წარმოების მასშტაბებით გამოწვეული შიდა ეკონომია. მსხვილი ბაზრები. რასაც ქალაქები ქმნიან. როგორც წესი. ფირმებს საშუალებას აძლევს ქვემოთ გადაადგილდნენ საშუალო ხანგრძლივვადიანი დანახარჯების მრუდზე და დაბალ დანახარჯებს მიაღწიონ პროდუქციის ერთეულზე. წარმოების მასშტაბების ზრდის შედეგად <u>შიდა</u> ეკონომიის ხარჯზე.

ბ) გარე ეკონომია წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე. ოუკი ფირმებს

განსაზღვრული რესურსების შედარებით მცირე რაოდენობა დასჭირდებათ, მაშინ საკუთარი ძალებით მათი წარმოებით,ფირმები ვერ შეძლებენ ეკონომიის მიღწევას წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე. მაგალითად, ა) ნახაზზე დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე 100 დოლ. იქნება, თუ ფირმას ჭირდება მხოლოდ 10 ერთეული პროდუქტი და მათ იგი თვითონ აწარმოებს. მაგრამ, თუ ვთქვათ, ხუთი ფირმა, რომელთაც მოცემული რესურსი სჭირდება, განლაგებულია ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს, მაშინ ცალკეულმა მათგანმა რომელიც სპეციალიზებული იქნება ამ რესურსის წარმოებაზე, შესაძლოა 50 ერთეულის ეფექტიან წარმოებას მიაღწიოს თითოეულის 50 დოლ. ღირებულების პირობებში. როგორც ბ) ნახაზზეა ნაჩვენები, ეს დასწევს რესურსის ფასს მომხმარებელთათვის და საშუალო დანახარჯთა ერუდებს გადააადგილებს ქვევით ACi-დან ACe-სკენ. ეს მოვლენა ცნობილია წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე გარე ეკონომიის სახელწოდებით.

ეია, რომ საქონლის წარმოებისა და აწყობის პროცესი გაგრძელდა და გართულდა. მრეწველობის ფირმათა და დარგთა სულ უფრო მეტი რაოდენობა უშვებს პროდუქციას, რაც რესურსებია სხვა ფირმებისა და დარგებისთვის.

წარმოების ეს მხარდი სპეციალიზაცია ნიშნავს, რომ მრეწველურად დაკავშირებულ ფირმებს შეუძლიათ არსებით ეკონომიას მიაღწიონ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დანახარჯებზე,თუკი ისინი ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს განლაგდებიან. ძნელი როდია გავიგოთ, თუ რატომაა ქალაქებში წარმოებრივ სიმძლავრეთა, და მაშასადამე, მოსახლეობის მოდენაც თვითკვლავწარმოებადი პროცესი. გასაგები მიზეზებით, ავტოსაამწყობო საამქროს განლაგებამ მოცემულ ქალაქში შეიძლება გამოიწვიოს, ვთქვათ, ავტოსაბურავებისა და მინების მწარმოებელ საწარმოთა განლაგებაც ამავე რაიონში. თავის მხრივ, მინის და საბურავების საწარმოთა არსებობამ შესაძლოა კიდევ ერთი ავტომანქანის მწარმოებელი აიძულოს ამ რაიონში ავტოსაამწყობო ქარხნის განლაგებაზე.

გარე ეკონომია წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე.ზემოთ მოტანილი მსჯელობები წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე შიდა ეკონომიის და ადგილმდებარეობის ეკონომიის შესახებ საკმარისი რიდია ქალაქის ზრდის ფენომენის ამომწურავი ახსნისათვის.უფრო სრული ახსნა მოიცავს გარე ეკონომიას ქალაქის ტერიტორიათა მასშტაბებისა და ინფრასტრუქტურის ზრდის ხარჯზე.

გაიხსენეთ, რომ მასშტაბების ზრდის ხარჯზე შიდა ეკონომიის შემთხვევაში უფრო დაბალი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე შესაძლოა მიღწეული იქნას თვით ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გადიდების ხარჯზე. სხვა სიტყვებით, ტექნოლოგია ფირმას აძლევს ხანგრძლივვადიან საშუალო დანახარჯთა განსაზღვრულ მრუდს,რომელიც ეკონომიკურ ძალზე მნიშვნელოვან დიაპაზონში,როგორც 36-1ა ნახაზზეა ნაჩვენები;და უკვე ივით ფორმისგანაა დამოკიდებული,მიაღწევს თუ არა იგი წარმოების მაღალ დონეს,რაც პროდუქციის ერთეულზე დანახარჯთა შემცირების პირობა იქნება.ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ ეკონომიის სხვა ტიპი მასშტაბის ზრდის ხარჯზე.სახელდობრ: არსებობს ეკონომიის რაღაც ფაქტორები, რომლებიც,როგორც 36-1 ბ ნახაზზეა ნაჩვენები,ფირმის საშუალო ხანგრძლივვადიან დანახარჯთა მრუდს გადაადგილებენ ქვევით.ცალკეულ ფირმათა საშუალო ხანგრძლივვადიან დანახარჯთა მრუდის ეს გადაადგილება ქვევით, დამოკიდებულია მთელი დარგის ან ფირმათა ჯგუფის გაფართოებაზე და არა ცალკეულ ფირმაზე.სწორედ ამიტომ, ასეთ ეკონომიას გარე ეკონომია ეწოდება მასშტაბების ზრდის ხარჯზე, ვინაიდან მისი მიღწევა ნებისმიერი ცალკეული ფირმის მოქმედების სფეროთა და გადაწყვეტილებათა გარეთ მდებარეობს, ანუ გარეშე პირობებზეა დამოკიდებული.

და სწორედ, თუ რიგი ფირმები გაერთიანდება, მაშინ, მათ, როგორც ჯგუფმა შეიძლება რესურსებზე დაბალ ფასებს მიაღწიონ,და მაშასადამე, დანახარჯთა უფრო დაბალ მრუდსაც, რაც შეუძლებელია მათი გეოგრაფიული გაფანტულობის შემთხვევაში. ე.ი. გაერთიანების შემთხვევაში სპეციალიზებული ფირმებისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდება განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დარგის ფარგლებში უფრო ფართო საფუძველზე, და მაშასადამე, ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე თითოეულ ფირმას შეეძლო ცალ-ცალკე.

ავიღოთ, მაგალითად, კომპიუტერული წარმოება. კომპიუტერების მწარმოებლებს პერიოდულად სჭირდებათ მაღალი სპეციალიზაციის მომუშავეები მოწყობილობათა რემონტისთვის. კომპიუტერების გეოგრაფიულად იზოლირებულ მწარმოებელს შეიძლება პრობლემის გადაწყვეტის ორი ვარიანტი გააჩნდეს. პირველი-რემონტის საკუთარი სპეციალისტების დაქირავება. სრული სამუშაო კვირით. მაგრამ, რამდენადაც სარემონტო მომსახურებათა მოცულობა შედარებით მცირეა, ეს სპეციალისტები მისლიანად ვერ იქნებიან გამოყენებული, რაც მოცემულ გადაწყვეტილებას გააძვირებს. როგორც 36-1 ნახაზიდან ჩანს, სარემონტო

სამუშაოთა მოცულობა არც ისე დიდია, რათა ფირმას პოტენციური შიდა ეკონომიის საშუალება მისცეს მასშტაბების ზრდის ხარჯზე, სარემონტო მომსახურებათა საკუთარი "წარმოების"გზით. გადაწყვეტის მეორე ვარიანტი შეიძლება ყოფილიყო სპეციალისტ-შემკეთებელთა გარედან მოწვევა. მოცემული გადაწყვეტილებაც, როგორც დროის, ისე ფულის მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვდა.

მაგრამ, ფირმების დაჯგუფებისას, მესამე, უფრო ძვირადღირებული გადაწყვეტილება წარმოიშობა. როდესაც კომპიუტერების რიგი მწარმოებლები ერთიდაიგივე რაიონში განთავსდებიან, <u>დარგის</u> ერთობლივი მოთხოვნა საკმარისია ერთი (ან მეტი) ცალკეული ფირმის არსებობის შესანარჩუნებლად, რომელიც დასპეციალებულია სარემონტეო მომსახურებაზე მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში. სპეციალისტი ასრულებს სამუშაოთა მოცულობას, რაც საკმარისია შიდა ეკონომიის მისაღწევად მასშტაბების ზრდის ხარჯზე. მაშასადამე, მას უფრო დაბალი დანახარჯების უზრუნველყოფა შეუძლია სარემონტო მომსახურებათა ერთეულზე კომპიუტერის მწარმოებელთან შედარებით, რომელსაც მისი მომსახურება ესაჭიროება. როგორც 36-1ა ნახაზზეა ნაჩვენები, კომპიუტერების ცალკეულ მწარმოებელს სჭირდება, ვთქვათ, სარემონტო მომსახურებათა მხოლოდ 10 ერთეული კვირაში, ერთეულის 100 დოლ. ღირებულებით, იმ შემთხვევაში თუკი იგი საკუთარი მომუშავეებით უზრუნველიყოფა .მაგრამ სარემონტო მომსახურებაზე დასპეციალებული დამოუკიდებელი ფირმა, სთავაზობს, ვთქვათ, 50 ერთეულ ამ მომსახურების მთელ ჯგუფს, რაც შედგება, მაგალითად, კომპიუტერების ხუთი მწარმოებლისაგან, რომლებმაც შექმნეს აგლომერატი. სარემონტო მომსახურების ეს გაზრდილი მოცულობა სპეციალისტს საშუალებას აძლევს მთლიანად მოახდინოს მასშტაბების ზრდის ხარჯზე მიღებული ეკონომიის შესაძლებლობათა რეალიზება, და ამგვარად, შესთავაზოს მომსახურებები, ვთქვათ, 50 დოლ. ფასად, ერთეულზე. მარტივად რომ ვთქვაო, კომპიუტერული წარმოების ყოველ ფირმას შეუძლია სარემონტო მომსახურებების შეძენა, სპეციალებული ფირმისგან რაც უფრო იაფი იქნება, ვიდრე ამ მომსახურებით თვითუზრუნველყოფა. ამის შედეგად სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო რესურსებზე დაწესებული უფრო დაბალი ფასი, საბოლოო ანგარიშით შესაძლებელს გახდის კომპიუტერების მწარმოებელთა ხანგრძლივვადიანი მრუდის გადაადგილებას ქვევით. ეს ასახულია 36-1 ბ ნახაზზე, სადაც კომპიუტერული წარმოების საშუალო ხანგრძლივვადიანი დანახარჯების AC_i მრუდი სარემონტო მომსახურების "შიდა უზრუნველყოფით", სარემონტო მომსახურების "გარე უზრუნველყოფის" AC_e მრუდზე ზევით

მდებარეობს. კომპიუტერების გამოშვების ოპტიმალურ დიაპაზონში-რაც Q_0-თაა აღნიშნული, 36-1 ბ ნახაზზე-კომპიუტერების წარმოების საშუალო დანახარჯები ეცემა C_1-დან C_2-მდე .ეს მაგალითი პოტენციურად სწორია მაკომპლექტებელი ნაწილების წარმოებისთვის, გამოკვლევებისთვის ტექნოლოგიისა და ბაზრის სფეროში, ფინანსური მომსახურებებისა და მრავალი სხვა რესურსების წარმოებისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში სწორედ მასშტაბების ზრდის ხარჯზე მიღებული გარე ეკონომია გვეხმარება ავხსნათ კომპიუტერული მრეწველობის კონცენტრაციის მიზეზები ისეთ რაიონებში, როგორიცაა სილიკონის ხეობა კალიფორნიაში, გზატკეცილი - 128 ბოსტონთან ახლოს და "კვლევითი სამკუთხედი" ჩრდილოეთ კაროლინაში[1].

მსგავსი სპეციალიზაცია ურთიერთკავშირის გაძლიერებას იწვევს წარმოებით საწარმოებსა და სხვადასხვა ტიპის მომსახურების ცენტრებს შორის. ამრიგად, ცალკეულ, მნიშვნელოვანწილად ურთიერთდამოკიდებულ საწარმოთა ადგილსამყოფელი ერთდროულად განისაზღვრება. საერთოდ რომ ვოქვათ, მზა საქონელია მწარმოებლებს უშუალო მისასვლელი უნდა ჰქონდეთ შუალედურ საქონელთან და მომსახურებასთან, რომლებიც რესურსებია, და საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრებთან. ზუსტად ასევე, შუალედურ საქონელია და მომსახურების მიმწოდებლებისთვის ასევე უშუალოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაზრები, რომელთა სიდიდე შიდა ეკონომიის მიღწევის საშუალებას იძლევა მსხვილმასშტაბიანი წარმოების გამო. აქედან გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილება ორთავე ჯგუფისთვის ერთნაირია-თავი მოიყარონ ქალაქებში, ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ რესურსებისა და ბაზრების უზრუნველყოფა საკმარისი მოცულობით, და სხვადასხვაგვარი მოთხოვნების მოლიანად დააკმაყოფილება. აქედან ძნელი რიდია მივხვდეთ, რატომაა წარმოების, და მაშასადამე, მოსახლეობისაც ქალაქებში მოზიდვა თვითკვლავწარმოებადი კუმულიატიური პროცესი.

ინფრასტრუქტურა.მასშტაბების ზრდის ხარჯზე ეკონომიის გარე ფაქტორების მსგავსად, ქალაქის ტერიტორიის ინფრასტრუქტურაც ეკონომიის ანუ დანახარჯებში უპირატესობათა წყაროა და სახელდობრ: ქალაქი მასზე განლაგებულ ფირმებს სთავაზობს მათთვის საჭირო

1.მოცემული მაგალითი აღებულია სტატიიდან: Gerald A. Carlino.Productivity in Cities:Does city size Matter//Business Review (Federal Reserve Bank of Philadelphia).1967.დეკემბერი.გვ.12

მნიშვნელოვან მომსახურებებს და კეთილმოწყობილობებს, რომლებითაც თვითუზრუნველყოფა ყოველი ფირმისათვის საჭირო უმნიშვნელო მოცულობით მას ძალზე ძვირი დაუჯდებოდა.ეს მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა წყალ- და ელექტრომომარაგება,გამწმენდი ნაგებობები,სატრანსპორტო საშუალებები, საკვლევი და ტექნოლოგიური მომსახურებები, საფინანსო დაწესებულებები და ბანკები, მართვისა და რეკლამის საკონსულტაციო სამსახურები, სპეციალიზებული იურიდიული მომსახურებები და ა.შ.

მდიდარი და მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურა, შესაძლებელია ყველაზე მაინტეგრირებელი ძალა იყოს, რომლის ზემოქმედებითაც აიხსნება უდიდესი ქალაქების ტერიტორიების შეუწყვეტელი ზრდა. მაგალითად, ნიუ-იორკის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკვლევის ერთ-ერთი დასკვნაა ის ფაქტი, რომ, მართალია, ნიუ-იორკის საქალაქო ზონიდან გატანილ იქნა პრაქტიკულად ყველა წარმოებითი საწარმოები, რომლებიც ოდესღაც აქ იმყოფებოდნენ-საფქვავი, სამსხმელო, საფეიქრო, ტყავის, ხორცის გადამმუშავებელი ქარხნები და ა.შ. მაგრამ მისი ტერიტორია კვლავაც იზრდება, და მაღალი შემოსავლები მოაქვს. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, თავისი ზრდის შესაძლებლობით და მაღალი შემოსავლებით ნიუ-იორკი ვალშია მდიდარ ინფრასტრუქტურასთან, რაც მრავალ საწარმოებს იზიდავს, რომელთაც მაღალკვალიფიციური და ტექნოლოგიურად რთული მომსახურებები ესაჭიროებათ.

მოთხოვნის ფაქტორის გათვალისწინება

როგორც ფირმების და დარგების მიერ მასშტაბების ზრდის ხარჯზე შიდა და გარე ეკონომიის რეალიზაციის აუცილებელი პირობა, საბაზრო მოთხოვნა, გარდა ამისა სხვა მნიშვნელოვან როლსაც თამაშობს, რაც ქალაქების ზრდას ხსნის. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩიკაგოს და ფილადელფიის მოსახლეობა ქმნის საბაზრო მოთხოვნას, რომელიც საკმარისია სხვადასხვა ეთნიკური რესტორნებისა და მაღაზიების არსებობისთვის ეგზოტიკური საქონლებით, მაშინ, მოთხოვნა ასეთ პროდუქციაზე გრანდ-მაუნდში (აიოვას შტატი) ან იურიკეში (მონტანას შტატი) არასაკმარისი იქნება მსგავს საწარმოთა რენტაბელობის უზრუნველსაყოფად. ანალოგიურად, თეატრების, სიმფონიური ორკესტრების, მაღალკვალი-

ფიზიკური სამედიცინო მომსახურების, პროფესიული სპორტის არსებობა კომერციული თვალსაზრისით შესაძლოა მხოლოდ მსხვილ ქალაქებში.[1] საერთოდ, თანამედროვე ცხოვრების მრავალი დახვეწილი კეთილმოწყობილობანი ქალაქებისთვის დამახასიათებელია მათში ადექვატური მოთხოვნის არსებობის გამო. ეს ნიშნავს, რომ ქალაქები არა მხოლოდ საქონელთა და მომსახურების უფრო იაფი წარმოების ადგილია, არამედ ასევე, ის ადგილიცაა, სადაც მომხმარებლებს ყველაზე უფრო სრულად შეუძლიათ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილება ,უკანასკნელების უფრო სრული შესაბამისობის გამო შემოთავაზებულ საქონელთა და მომსახურებათა ფართო დიაპაზონისადმი.

მადეზინტეგრირებელი ძალები

შეუძლებელია აგლომერაციის შედეგების უსასრულოდ მიღება. რაღაც კრიტიკული და ძნელადდასადგენი საზღვრის იქით, რაც ალბათ უკვე გაიარეს ამერიკის ყველაზე მსხვილმა ქალაქებმა-მათ შემდგომ ზრდას და მრეწველობის გეოგრაფიულ კონცენტრაციას საკუთარი თავისთვის უკუქმედების შექმნის ტენდენცია გააჩნია, რაც წარმოების ხარჯების გადიდებაში გამოიხატება. ე.ი. აგლომერაციისაგან ეკონომიის მიღწევის შემდგომმა მცდელობებმა შესაძლოა განსაზღვრული არასასურველი შედეგები წარმოშვას ,რასაც მ ა დ ე ზ ი ნ ტ ე გ რ ი - რ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ა ეწოდება.

გეოგრაფიულ კონცენტრაციასთან დაკავშირებული განსაზღვრული ხარჯები თვით მწარმოებელთა საშინაო ხარჯებია და, მაშასადამე, მათ უნდა დააწვეს. მაგალითად, წარმოების მზარდი კონცენტრაცია მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში მიწაზე უფრო მაღალი ფასისა და რენტის მანიშნებელი იქნება (ნახ.31-1 გვახსენებს, რომ მზარდი მოთხოვნა ცენტრში მდებარე მიწის ნაკვეთების საკუთრებით არაელასტიურ მიწოდებაზე, დიდ ზეგავლენას მოახდენს ფასების დონეზე). თავის მხრივ, მიწის ფასის მომატება მოცემულ რაიონში ახალ ფირმათა განთავსების შემდგომ გაძვირებას გამოიწვევს ან გააძნელებს უკვე არსებულის გაფართოებას. უფრო მეტიც, გაზრდილმა მოთხოვნამ სამუშაო ძალაზე, რაც

---

1. საქალაქო რაიონებში ხელოვნებისა და კულტურის პრობლემის დაწვრილებითი განხილვისათვის იხ.:Werner Z.Hirsch.Urban Economics.New York :The Macmillan Publising Comrany.1984.-თავი მე-6.

ხელს უწყობს წარმოებით აგლომერაციას, შეიძლება მუშათა მომთხოვნელობის ზრდა გამოიწვიოს ხელფასის დანახარჯების გადიდებაზეც. შემთხვევითი არაა, რომ პროფკავშირის წევრი მუშების თითქმის ნახევარი, თავმოყრილია ექვს ყველაზე ურბანიზებულ შტატში.

<u>მაგრამ ურბანიზაციასთან დაკავშირებული მრავალი ნაკლოვანება და პრობლემა წარმოიშობა თანამდევ ანუ გადადენის ეფექტთა ზეგავლენით.</u> ე.ი. თვით ქალაქში ბაზარს არ შეუძლია სწორად შეაფასოს ცალკეულ პირთა ან სამუშაოთა ესა თუ ის გადაწყვეტილება. მოდით, განვიხილოთ გადადენის დანახარჯების პრობლემა. ქალაქის ცენტრში მწარმოებელთა კონცენტრაციის კვალობაზე წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანება შესაძლოა ისე ძლიერი გახდეს, რომ ქალაქმა მიმზიდველობა დაკარგოს ახალი ფორმებისა და, უბრალოდ, მაცხოვრებლებისთვისაც. ანალოგიურად, არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის იქით საგრანსპორტო ხერგილები (რომელიც ასევე თანამდევი ეფექტის პრობლემაა) ამუხრუჭებენ, როგორც რესურსების, ისე შზა პროდუქტების მიტანას, რაც აძვირებს წარმოებით საქმიანობას ქალაქში. ქალაქების დაქვეითება ძირითადში გადადენის დანახარჯების პრობლემაა. მიწათმფლობელები, რომლებიც ანგარების მიზნით თავიანთ უძრავ ქონებას დაძველების შესაძლებლობას აძლევენ და ამით ხელს უწყობენ მთელი კვარტლის ხარისხის გაუარესებას, არამიმზიდველს ხდიან მასზე საწარმოთა და მაცხოვრელების განთავსებას. ნაგებობათა მოუვლელობა პრინციპში, „აჭუჭყიანებს“ კვარტალს ზუსტად ისევე, როგორც საწარმოთა საკვამური მილები.

დეზინტეგრირებადი ძალები უკანასკნელ წლებში გახდა თუ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ნულამდე დაეყვანა აგლომერაციის უპირატესობები? ამასწინანდელი ცვლილებები ურბანიზაციის ხასიათში, როგორც ჩანს, ამაზე მიუთითებს. გარეუბნების ზრდა ქალაქი-ცენტრების ხარჯზე, დეზინტეგრირებადი ძალების მოქმედების დასტურია.

„გაქცევა“ გარეუბნებში ქალაქების გაწელვა

მეურნეობრივი საქმიანობის წარმატებაზე აგლომერაციის ზეგავლენის პრობლემის მოკლე შესავალი მოცემული თავის დასაწყისში მოტანილი პარადოქსის ახსნაში დაგვეხმარება. ქალაქები დიდი სიმდიდრისა და შემოსავლების თავშესაყარია. ისინი ეკონომიკური საქმიანობის ცენტრებია, ხოლო ბევრისთვის ეკონომიკურ შესაძლებლობათა მაგნიტიც. მაგრამ თანამედროვე ქალაქის

ზრდისა და განვითარების თვით ფაქტი გადადენის ეფექტს წარმოშობს, რომ არაფერი ვთქვათ გარდაუვალ სოციალურ დაძაბულობაზე, რაც მოსახლეობის მაღალი სიხშირის რაიონებისათვისაა დამახასიათებელი. უკანასკნელი გარემოება ქალაქურ ცხოვრებას ნაკლებმიმზიდველს ხდის. ამიტომ ქალაქის მაცხოვრებლები, პოტენციურის ჩათვლით-იქნებიან ისინი საქმიანი ადამიანები ან უბრალო მაცხოვრებლები-მიზნად ისახავენ: როგორ გამოიყენონ მეტროპოლიის უპირატესობები და შესაძლებლობები და იმავდროულად თავიდან აიცილონ მისი ხარვეზები? როგორ შეიძლება ქალაქის ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზება უფრო მაღალი შემოსავლის მისაღებად <u>და იმავდროულად</u> სუფთა ჰაერით, სივრცით, სიწყნარითა და სიმშვიდით დატკბობა?

მილიონობით ყველაზე უფრო უზრუნველყოფილმა ამერიკელებმა პასუხი გარეუბნებში ნახეს. არსებითია, რომ მოსახლეობის წილი, რომლებიც ქალაქ-ცენტრებში ცხოვრობენ ფაქტობრივად მცირდება ამ საუკუნის დასაწყისიდან; მოსახლეობის ზრდა მეტროპოლიაში თითქმის მთლიანად გარეუბნების ანგარიშზე მიმდინარეობს. ამ სწრაფ ზრდას ხელს უწყობდა მრავალი ფაქტორი. რეალური შემოსავლების გადიდებამ, რასაც ხელს უწყობდა მთავრობის მიერ გარანტირებული იპოთეკური კრედიტი , ცხოვრება გარეუბნებში ოჯახების სულ უფრო მეტი რაოდენობისთვის გახადა ხელმისაწვდომი. პირადი ავტომანქანები, როგორც გადაადგილების საშუალება, არანაკლებ უწყობდნენ ამას ხელს.

გარეუბნების ზრდამ გამოიწვია არა უბრალოდ მოსახლეობის, არამედ, წარმოების გადაადგილებაც. ამის მიზეზები რთული და მრავალფეროვანია .ჯერ-ერთი,საკვებით გასაგებია ცალობრივი ვაჭრობისა და მომსახურების მრავალი საწარმო-საბაკალეიო, რკინაკავეულს, ავეჯის მაღაზიები, სამრეცხაოები და ქიმწმენდები, საპარიკმახეროები და კოსმეტიკური სალონები-რატომ გადავიდა გარე-უბნებში. ასეთი საწარმოები უნდა იმყოფებოდეს მომხმარებელთა და განსაკუთრებით მდიდარი მომხმარებლის გვერდით. მაგრამ ქალაქი-ცენტრი დაკოვა მრავალმა წარმოებითმა ფირმამ. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით ასეთ გადაადგილებათა ზოგიერთი მიზეზის შესახებ. მიწის მსარდი ფასები წარმოების გაფართოებას ქალაქ-ცენტრში ძალზე გააძვირებდა. ხოლო გადადენის დანახარჯები წარმოებით საწარმოთა განლაგებას ქალაქის საქმიან ნაწილში ნაკლებ მიმზიდველს ხდის. ფირმები, რომელთაც საკუთარი საკვირთო ტრანსპორტი გააჩნიათ, საგსაო საკობების განტვირთვისა და დატვირთვის ძვირად ღირებულ პრობ-

ლემებს აწყდებიან და ა.შ. გარდა ამისა, ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობს მწარმოებელთა მიგრაციას გარეუბნებში. საცვირითო ტრანსპორტის სწრაფმა განვითარებამ მრავალ ფორმას თავი დააღწევია ცენტრალური სარკინიგზო ტერმინალების და ნავსაყუდლების ახლოს განთავსების აუცილებლობისაგან. მაგრამ, შესაძლოა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია იყოს, რაც მაღალინტეგრირებულ, უწყვეტ პროცესებზეა დაფუძნებული, რომლებისთვისაც აუცილებელია ერთსართულიანი გაშლილი წარმოებითი კომპლექსი. ასეთი ტექნოლოგია გულისხმობს დიდ სიკრცეს, რაც ხელმიუწვდომელია ქალაქ-ცენტრში ან ხელმისაწვდომია უზომოდ მაღალი ფასით.

ზემოთაღნიშნული არ გულისხმობს ყველა დიდ საწარმოთა გარეუბნებში გადაადგილებას. წარმოების ზოგიერთი სახეები დარჩა და წარმატებასაც მიაღწია ქალაქ-ცენტრებში.

> საქმე ეხება მაღალსპეციალიზებულ სამსახურებს ფინანსური და სავაჭრო მომსახურების სფეროში, ცენტრალურ ადმინისტრაციულ მმართველობას,რომლის რესურსებია დოსტატება ან ცოდნა ან ინფორმაცია, ხოლო პროდუქცია-არა საქონლები,არამედ მომსახურება, კონსულტაციები ან გადაწყვეტილებები. სწორედ ეს დაწესებულებები-ბანკები და საადვოკატო კანტორები, სარეკლამო საგენტოები და ცენტრალური ადმინისტრაციული კანტორები, საკონსულტაციო ფირმები და სამთავრობო დაწესებულებები-სულ უფრო ავსებენ ქალაქ-ცენტრებს და საქალაქო ტერიტორიის დიდ ნაწილს და ქალაქის ცენტრალური საქმიანი ნაწილის... მთავარი ფუნქცია ხდებიან.[1]

საერთო ტენდენციად, ამასთან ,რჩება გარეუბნებში მიგრაცია.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია

ეს სულმოუთქმელი გაქცევა გარეუბნებში ამერიკის დიდი ქალაქების პ ო ლ ი ტ ი კ ურ - ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ფ რ ა გ - მ ე ნ ტ ა ც ი ი თ ხასიათდებოდა. ე.ი. ქალაქი-ცენტრები გარშემორტყმული აღმოჩნდნენ საგარეუბნო რაიონების დიდი რაოდენობით, რომელთა ცალკეული წარმომადგენელი დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულია. 36-2 ნახაზზე მაგალითის სახით მოტანილია ქალაქი სენტ-ლუისი. მისი ტერიტორია იმარ-

---

1.Benjamin Chinitz (ed).City and Suburb.Englewood Cliffs,N.J.:Prentice-Hall.Inc.,1964. გვ .26.

თება ადგილობრივი ხელისუფლების 474 ორგანოს მიერ, რომლებიც თითქმის თანაბოლადაა დაყოფილი ილინოისისა და მისურის შტატებს შორის. მართვის ამ 474 ერთეულ'მი შედის 100-ზე მეტი ცალკეული მუნიციპალიტეტი. სენტ-ლუისი საეჭვოა გამონაკლისი იყოს. ნიუ-იორკის მეტროპოლია ითვლის მართვის 1400-ზე მეტ ცალკეულ ორგანოს, ხოლო სან-ფრანცისკოს რაიონი-თითქმის 1000.

ეკონომიკური დისბალანსი და კუმულიატიეური დაქვეითება

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაქუცმაცებულობა მრავალი საქალაქო პრობლემის წყაროა.მაგრამ,იგი განსაკუთრებით არასასიამოვნოა

ნახ.36-2 პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია: სენტ-ლუისის მაგალითი.



ქალაქების გაფარიოების პროცესს მნიშვნელოვანი რაოდენობის პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვედანაყოფთა წარმოშობა და ზრდა განაპირობა ცენტრის გარშემო. ადგილობრივი მმართველობის 474 ერთეული, რომელიც სენტ ლუისის მეტროპოლს შეადგენს. ამ პოლიტიკურ დაქუცმაცებულობის საგსებო ტიპიური მაგალითია (Advisory Commission on Intergovernmental Relations.Urban America and the Federal System.Washington. 1969. გვ. 85

იმით,რომ ქალაქის დეცენტრალიზაციის პროცესმა, ანუ გარეუბნების ზრდამ სიმდიდრისა და შემოსავლების ერთობ არათანაბარი გეოგფიული განაწილება გამოიწვია. ყველაზე უფრო უზრუნველყოფილმა მაცხოვრებლებმა და მრავალმა თანამედროვე და ყველაზე შემოსავლიანმა წარმოებებმა დატოვეს ქალაქ-ცენტრები გარეუბნების სიყვა-

რულით .საერთოდ და მთლიანად, ქალაქ-ცენტრებში დარჩნენ ნაკლებუზ-
რუნველყოფილი ქალაქელები და ნაკლებშემოსავლიანი საწარმოები.მეტ-
როპოლიის სტრუქტურის ეს სწრაფი ცვლილებები თვითგაძლიერებადი
და კუმულიატივური პროცესია. მდიდარ მაცხოვრებელთა და ასევე აყვა-
ვებად საწარმოთა მიგრაცია გარეუბნების ახალ პოლიტიკურ წარმონაქ-
მნებში, სერიოზულად არყევენ ქალაქი-ცენტრების ქონებრივი გადასახა-
დების ბაზას.[1] ახალი საწარმოები და საცხოვრებელი სახლები შენდება
საგარეუბნო სარტყელში და არა ქალაქ-ცენტრებში. საზოგადოებრივი
სამსახურების შენახვისათვის საჭირო ხდება ქონებრივი გადასახა-
დის <u>განაკვეთის</u> მომატება ქალაქ-ცენტრში. მაგრამ ასეთი მომატება
მოსახლეობისა და წარმოების გარეუბნებში მიგრაციის დამატებითი
სტიმული ხდება.

გარდა ამისა, ღარიბები, ძირითადში ზანგების ოჯახები, რომლე-
ბიც თავიანთი სიღარიბისა და დისკრიმინაციის შედეგად ქალაქ-ცენ-
ტრებში რჩებიან, "ძვირადღირებული"ქალაქელებია. წარმოუდგენ-
ლად მაღალია მათ შორის დახმარებების საფუძველზე მაცხოვრე-
ბელთა რიცხვი. ბევრია ბავშვები, მაღალია განათლების ხარჯები.
მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე-ნიუ-იორკში კვადრატულ მილ-
ზემოდის 24 ათ.მაცხოვრებელი-ნიშნავს მართვის, ქუჩების და-
სუფთაევების, წესრიგისა და კანონიერების შენარჩუნების დიდ
დანახარჯებს.

აღწერილი სიტუაცია რთულია და იგი იმით მწვავდება, რომ ქალაქი-
ცენტრის დაქვეითება, ანუ.საქალაქო დაქვეითება კუმულიატივური პრო-
ცესი ხდება.

> უწინდელი სტრუქტურები,რომლებიც კონცენტრირებული იყო ქალაქის ცენ-
> ტრის გარშემო,თავიანთ ეკონომიკურ სარგებლიანობას კარგავენ ქალაქის საქმიანი
> ნაწილების ფუნქციის შეცვლის კვალობაზე.აუცილებელია გლობალური გარდაქმნე-
> ბი,აღდგენა და რეკონსტრუქცია.თუკი საჭიროა მხოლოდ რამდენიმე შენობის შეცვ-
> ლა ან შეკეთება,უპირატესად აყვავებულ რაიონში,ბაზარი კერძო მშენებლებს საკ-
> მაო სტიმულებს უქმნის ამ საშუალის შესასრულებლად.მაგრამ,თუკი სგრეკამ დიდი
> ტერიტორია მოიცვა, მეზობელ შენობათა მოძველება ამცირებს ცალკეულ
> ნაგებობათა აღდგენის მომგებიანობას. ფართე ტერიტორია ასეთ შემთხვევაში უნდა

1.გაიხსენეთ.რიგ 8-4 ცხრილის ანალიზად (იხ.ტომი პირველი) ქონებრივი
გადასახდელები ადგილობრივი ორგანოების შემოსავლების
მოცალარი მუხლია.

აღდგენილიქნას, როგორც ერთი მთლიანი,ხოლო ქალაქ-ცენტრში მიწის დიდი ნაკვეთის შეძენა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული დანახარჯები და სიძ. ნელეები მეტადრე ჩამოაშორებენ კერძო დამბანდებლებს ამ პროექტისაგან.[1]

შევაჯამოთ: ქალაქის ზრდის დაჩქარების და მისი თანმხლები პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაციის ძირითადი შედეგი "თეთრი საშუალო-და მაღალანაზღაურებადი რკალის შექმნა გახდა ქალაქის სულ უფრო მეტ შავკანიანთა და ღარიბთა ცენტრის გარშემო."ამ ადმინისტრაციულად ჩამოშორებულ გარეუბნებში გაქცევით, წაგებული აღმოჩნდა ქალაქი-ცენტრები, დამძიმებულები არასაკმარისი და შემცირებადი საგადასახადო ბაზით და მზარდი დანახარჯებით, რომლებიც დამახასიათებელია შედარებით ღარიბი და (ჩვეულებრივ) შავკანიანთა ოჯახების სულ უფრო მზარდი წილის "კეთილდღეობის შენარჩუნების" პოლიტიკის შექმნისა და მართვისათვის"[2].ამით, მეორე მხრივ, მოიგო უფრო შეძლებულმა"თეთრმა"საგარეუბნო რაიონებმა, სადაც შემოსავლების სიდიდე და სიმდიდრე საკმარისი გახდა საზოგადოებრივი სამსახურების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად გადასახადების შედარებით მოკრძალებული დონის პირობებში.

ქალაქების ზრდის დაჩქარება და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთობათა "ნაჭრების საბნის" თანმხლები საშინელი სიჭრელე, მრავალ, მწვავე და ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას იწვევდა. მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი პრობლემა და შევჩერდეთ მათი გადაჭრის შესაძლო ვარიანტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების პრობლემები მრავალმხრივია და მარტივ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სამ ძირითად პრობლემურ სფეროზე: ქალაქი-ცენტრის გეტო და სიღარიბე, საქალაქო ტრანსპორტი და გარემოს გაჭუჭყიანება.

1.Ad isory Commission on Intergovernmental Relations.Urban America and the Federal System.P.2,8.

2.Economic Report of the President.1965.P.149-150.

ქალაქი-ცენტრის გეტო1

სიღარიბე და ცხოვრების გეტოსთვის დამახასიათებელი უკიდურესად ცუდი პირობები კარგადაა ცნობილი. ყველაზე ძველი, გაცვეთილი და ყველაზე ჭარბად დასახლებული საცხოვრებელი სახლები ქალაქი-ცენტრის გეტოში იმყოფება; სასკოლო განათლების დონე მთლიანად ძალზე დაბალია, რის შედეგადაც სწავლების ყოველ საფეხურზე მოსწავლეები გეტოში სულ უფრო ჩამორჩებიან თავიანთ თანატოლებს სხვა რაიონებიდან; სიკვდილიანობის მაღალი დონე არასაკმაო კვების გამო, ავადმყოფობის მაღალი დონე, ნარკომანია, დაბალი სამედიცინო მომსახურება, ჰიგიენის საკალალო დონე და ა.შ. მწვავე სოციალური გამიჯვნა და დამნაშავეობის მაღალი დონე. მაგრამ, შესაძლოა, ყველაზე მთავარი პრობლემა-შემოსავლების კატასტროფულად დაბალი დონეა: 1986წ. სიღარიბის დონე გეტოში 18,6% შეადგენდა, მთლიანად ქვეყნის მიხედვით 13,5%-თან შედარებით.

ჩვენ ეს-ესაა განვიხილეთ საქალაქო გეტოს განვითარების მთავარი მიზეზები. უწინარეს ყოვლისა, აქ ამოქმედებულია საქალაქო დეცენტრალიზაციის მთელი პროცესი. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა,რომ განათლებული, კვალიფიციური და უზრუნველყოფილი თეთრკანიანი მოსახლეობა უმეტესწილად ქალაქი-ცენტრიდან გარეუბნებში გადავიდა, და დატოვა ძველი ბინები დაქვეითებად კვარტალებში. მის ადგილზე მოვიდა უფრო ნაკლებად განათლებული, არაკვალიფიციური, ღარიბი შავკანიანი მოსახლეობა სოფლისმეურნეობრივი სამხრეთიდან, პუერტორიკოელები და ესპანურენოვანი ქვეყნების წარმომადგენლები და ასევე ინდიელები. მეორე, გარკვეული ძვრები მოხდა ქალაქების ზრდის დინამიკაში: „საქმიანობის სწორედ ის სახეები, რომლებიც ქალაქის არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების ტრადიციული სფერო იყო- წარმოება, ბითუმი და ცალობითი ვაჭრობა, მშენებლობა-გადატანილ იქნა გარე-

---

1. გეტო-ქალაქის ნაწილი.რომელიც განკუთვნილია ებრაელების იძულებითი დასახლებისათვის,იგი არსებობდა მრავალ შუასაუკუნეობრივ ქალაქში, და გაქრა მე-19 ს.პირველ ნახევარში.ამ თავის აგებისას გამოყენებულია ნაშრომი:Dick Netzer.Economics and Urban Problems.2d ed.New York:Basic Books,Inc.. Publishers,1974.Capters 3.4.

უბნებში, რამაც ძალზე გააძნელა საქმიანობის ამ სახეობებში ღარიბთა მოდენა ქალაქი-ცენტრებიდან.[1] სამუშაო ადგილების ასეთი გადანაცვლება გარეუბნებში მეტისმეტად არახელსაყრელი მოვლენაა, რამდენადაც ქალაქი-ცენტრის მაცხოვრებლებს ძვირი უჯდებათ და ეძნელებათ სამუშაომდე მისვლა გარეუბნებში. მაგრამ ისტორიული რეტროსპექტულობის თვალსაზრისით, შავკანიანთა გეტოს აღმოცენების ყველაზე უფრო მთავარი ძალა ,ალბათ დისკრიმინაციაა.ამტკიცებენ, რომ დისკრიმინაციის უწინდელმა და ახლანდელმა პოლიტიკამ ქვეყანა ორ საზოგადოებად დაყო: ერთია. უპირატესად შავკანიანი და ღარიბი, რომლებიც ქალაქ-ცენტრშია განთავსებული: მეორე კი-უმეტესწილად თეთრკანიანი და მდიდარი, რომლებმაც თავი მოიყარა გარეუბნებსა და მოშორებულ რაიონებში. დისკრიმინაცია მრავალ ფორმაში გამოდის: ზანგები მოკლებული არიან საკმარის განათლებას, მათ დახშული აქვთ გზა საქმიანობის ზოგიერთი სახეობისკენ; მათ უფრო დაბალი ხელფასი აქვთ, ვიდრე თეთრკანიანებს თანაბარი მუშაობისთვის; მათ უკანასკნელებს იღებენ სამუშაოდ და პირველებს ათავისუფლებენ (თავი 38).

გეტოს პრობლემათა გათვალისწინებით, მათი გადაჭრის პოტენციური ხერხების ჩვენეული განხილვა მოკლე და არასრული იქნება. გამარტივებისათვის ჩვენ ვეიქრობთ ცალ-ცალკე განვიხილოთ გეტოს პრობლემის ადამიანისეული (სიღარიბე) და მატერიალური (საბინაო მშენებლობა) ასპექტები; მართლაც, ისინი ძალზე მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული.

ადამიანისეული ასპექტი: სიღარიბის შემსუბუქება გეტოში

როგორ შევამსუბუქოთ სიღარიბე,რომელიც დამახასიათებელია შავკანიანი გეტოსთვის? თავიდანვე, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სპეციალისტებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობის თვალსაზრისით. კერძოდ, უკანასკნელ პერიოდში წინა პლანზე გამოვიდა წინააღმდეგობრივი

1.Dick Netzer.Economics and Urban Problems.გვ.29.

და შეშფოთების გამომწვევი დისკუსია. ‘ხოგიეროი მიმომხილველი ამტკიცებს, რომ ქალაქის გეტო წარმოშობს “შავკანიანია უმდაბლეს კლასს“,რომელიც უმუშევრობის, დანგრეული ოჯახების, სოციალური უხრუნველყოფის დახმარებათა და ხშირ შემთხვევაში ნარკომანიისა და დამნაშავეობის მოჯადოებულ წრეში ხვდება. არსებობს შემაშფოთებელი სტატისტიკა; ყოველი მეორე ‘ანგი-ახალგაზრდა სიღარიბეში ცხოვრობს; ყოველი მეორე ‘ანგი-ახალ-გაზრდა უმამოდ იზრდება; ‘ანგი მოზარდების თითქმის 40% უმუშევარია; ყოველი მეოთხე შავკანიანი დედა-მოზარდია; ‘ანგი-მოზარდების მიერ დაბადებულ ბავშვთა 80%-ზე მეტი ქორწინების გარეშეა; და ყოველი 21-ე ახალგაზრდა ‘ანგი მკვლელობის მსხვერპლი ხდება. ამტკიცებენ, რომ ქალაქის გეტოს სოციალური და ეკონომიკური იზოლაციის პირობებში წარმოიშვა ახალი კულტურა-სიღარიბისა და დამოკიდებულების კულტურა-რომელშიც ქცევა, ფასეულობები და მორალი არსებითად განსხვავდებიან ამერიკაში მიღებული ნორმებისაგან. სოციალურმა პროგრამებმა-არასრული ოჯახებისა და ბავშვების დახმარება, კვების ტალონები, საბინაო სუბსიდიები და სხვ.-თითქოსდა ძირი გამოუთხარეს მუშაობისადმი მისწრაფებას და ჩამოაყალიბეს დახმარებებისადმი დამოკიდებული ოჯახები. შემდგომ, ქალაქი-ცენტრიდან შავკანი-ანი საშუალო კლასის გადენამ ახალგაზრდობას მისაბაძი ნიმუშის სახით ნარკოტიკებით მოვაჭრეები, მეძავები, თაღლითები და წვრილმანი დამნაშავეები დაუტოვა. სასკოლო განათლების დაბალი დონის გამო შავკანიანი ახალგაზრდობა ბევრად მოუმზადებელი აღმოჩნდა სამუშაო ადგილების ბაზრის მოთხოვნებისადმი, ხო-ლო“რბილი სამართლებრივი სისტემა“აძლიერებს დამნაშავეობის, როგორც მუშაობის ალტერნატივის მიმზიდველობას.

პოლიტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ მოსაზრებას “უმდაბ-ლესი შავკანიანი კლასის“არსებობის შესახებ, ამტკიცებენ, რომ მართალია, უკანასკნელ ათწლეულებში დისკრიმინაცია მნიშვნე-ლოვნად შემცირდა და ასეულობით მილიარდი დოლარი გამოიყო სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებზე, მაგრამ სიღარიბის პრობლემა მაინც რჩება.აქედან კეთდება დასკვნა, რომ სიღარიბეზე პასუხისმგებელია ძირითადში თვით ღარიბები და სიღარიბის შესამსუბუქებლად ისინი თვითონ უნდა დაეხმარონ თავიან თავს.

“შავკანიანი უმდაბლესი კლასის“კონცეფციის კრიტიკოსები, პირიქით, აცხადებენ ,რომ ეს გამარტივებული და მკაცრი პოლიტიკაა, რომელიც შეცდომით ვარაუდობს, რომ სიღარიბის

მიზეზი თვით მის მსხვერპლში იმალება და არა სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში. „უმდაბლესი კლასის“ კრიტიკოსები ასევე ყიუტად აცხადებენ, რომ ქალაქი-ცენტრის სიღარიბე სხვადასხვაგვარია და მრავალი მიზეზითაა გამოწვეული. უფრო მეტიც, ამტკიცებენ, რომ წარმატებით დაძლიო“სიღარიბის კულტურა“ -თუკი იგი არსებობს-შეიძლება მხოლოდ მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით.

1.უკეთესი ხარისხის მეტი სამუშაო ადგილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალაქი-ცენტრის შავკანიან მოსახლეობას მორის უმუშევრობა დიდია და სიღარიბის ძირითადი მიზეზია.უმუშევრობის დონე შავკანიან მოსახლეობაში ჩვეულებრივ 2-ჯერ მაღალია თეთრკანიანთან შედარებით.შავკანიანი მოზარდები ქრონიკულ დეპრესიასამდე მიდიან: მათ შორის უმუშევრობის დონე, როგორც წესი-35-40% და უფრო მეტია. თუ ყურად ვიღებთ განათლებისა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გეტოში არსებულ დონეს, მაშინ ,როგორ შეიძლება უმუშევრობის სიტუაცია უკეთესობისაკენ შემოვაბრუნოთ?

შემოთავაზებულია ორი ურთიერთშემვსები მიდგომა: გეტოს მაცხოვრებლებს მიეცეთ გარეუბნებში უკვე არსებული სამუშაო ადგილები და ასევე გეტოში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები. მობილურობა, ანუ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, მეტისმეტად გაძნელებულია გეტოს მაცხოვრებელთათვის. ერთი მხრივ, ქალაქი-ცენტრის შავკანიანი მოსახლეობის უმეტესობის შემოსავლები მათ გარეუბანში გადაბარგების საშუალებას არ აძლევს. მეორე მხრივ,ის, ვისაც გარეუბანში დასახლება შეუძლია, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდება.უძრავი ქონების გაყიდვის აგენტები და მიწათმფლობელები ყოველგვარ ხრიკებს იყენებენ-როგორც საიდუმლოს, ისე აშკარას-ასეთი გადასახლების ხელის შეშლის ან შეფერხებისათვის. ბევრი საგარეუბნო რაიონი განზრახაა დაყოფილი ნაკვეთებად დიდი მინიმალური მიწის ფართობით და მკაცრ სამშენებლო და საბინაო კანონმდებლობას ექვემდებარება, რაც მკვეთრად ადიდებს საბინაო მშენებლობის ფასებს და ამით ხელს უშლის ქალაქი-ცენტრიდან დაბალანაზღაურებადი (შავკანიანი) ოჯახების მოდენას.

მეორე მიდგომა, გეტოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნაშია. შ ა ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი -ზოგადი ტერმინია, რაც გეტოს რაიონებში ახალ საწარმოთა შექმნას ნიშნავს, რომლებიც შავკანიანებს ეკუთვნის და მათ მიერ იმართება. წამოყენებულ იქნა

რიგი წინადადებები,რომელთა ნაწილი ძალაში შევიდა შავი კაპიტალის'ხმის მხარდასაჭერად. ეს წინადადებები ითვალისწინებენ სახელმწიფო პროგრამების შემოღებას ხელმისაწვდომი კრედიტის,საგადასახადო სტიმულებისა და სუბსიდიების,მართვასა და პროფესიულ სწავლებაში დახმარების და ა.შ. უზრუნველყოფის საქმეში, მოქმედი და პოტენციური მეწარმე-შავკანიანებისთვის.წინასთან დაკავშირებული სხვა წინადადებები მოითხოვენ სამთავრობო სუბსიდიების გამოყოფას მსხვილ კორპორაციებზე,რომლებიც ქარხნებს ააშენებენ გეტოში და ზანგ მუშებს ნოამზადებენ მათ'ში სამუშაოდ.

უნდა დავუმატოთ,რომ ეკონომიკის საერთო მდგომარეობა კრიტიკულია შავკანიანთა დასაქმებისთვის.მაგალითად 1983წ.-დაქვეითების წელს,-უმუშევრობის საერთო დონე 9,6% აღწევდა,მაშინ,როცა ზანგებისთვის იგი 19,5% შეადგენდა.1988 წელსაც კი, როდესაც ეკონომიკა სრული დასაქმებას მიუახლოვდა 5,4% უმუშევრობის დონით, შავკანიანებს შორის უმუშევრობა 11,7%-მდე დაეცა.

2.შემოსავლების შენარჩუნება.გეტოში სიღარიბის შემსუბუქების მეორე საშუალებაა სოციალური უზრუნველყოფის სისტემა,რომელიც მინიმალური გარანტირებული შემოსავლის დაწესებას ითვალისწინებს ხანდაზმულების, ინვალიდებისა და მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის.არსებული სოციალური პროგრამების დამახასიათებელი თავისებურებები და მასთან დაკავშირებული პრობლემები დაწვრილებით იქნება განხილული 37-ე თავში. ახლა, ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა უბრალოდ ხაზი გავუსვათ,რომ სოციალური უზრუნველყოფის სისტემას ძირითადში აკრიტიკებენ მუშაობისადმი მისწრაფების ჩახშობისათვის,საზოგადოების შრომისუნარიან წევრებში.ამ პრობლემის გადაჭრა მოიცავს პროფესიულ სწავლებას, ბავშვების მოვლის დახმარებას და ასევე"გამომუშავებულ სოციალურ უზრუნველყოფას",რაც სოციალური დახმარებებით მოსარგებლე პირებს ავალდებულებს კომპენსაციის სახით რაიმე სამუშაოს შესრულებას.

3.განათლებისა და პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. გეტოს მრავალი, სრული სამუშაო დღით მომუშავე სიღარიბეში ცხოვრობს.მიზეზი? მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო განათლება და პროფესიული სწავლება,რაც საკმარისია უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაოს მისაღებად.ამ სფეროში მოთავარი ფედერალური კანონმდებლობა იყო 1973 წ.კანონი საერთო დასაქ-

მებისა და პროფესიული სწავლების შესახებ,რამაც ძალა დაკარგა 1982 წ.იგი ითვალისწინებდა სუბსიდიების გამოყოფას შრომების მმართველობით და მართვის ადგილობრივ ორგანოებზე,მაგრამ,მათ სწავლების პროგრამების შემუშავების შესაძლებლობასაც აძლევდა თავიანთი მოთხოვნებისაგან დამოკიდებულებით და ფული ,ამის შესაბამისად დაეხარჯათ ფედერალური ფონდებიდან.ეს კანონი უზრუნველყოფდა პროფესიული სწავლებისა და სახელმწიფო სექტორში შემდგომი დასაქმების უზრუნველყოფასაც.ამ პროგრამით მოცული პირები ძირითადად ღარიბ ოჯახებს მეიკუთვნებოდნენ. ეს პროგრამები უმთავრესად შეეხო ახალგაზრდა მუშებს დაუმთავრებელი საშუალო განათლებით და ეთნიკურ უმცირესობებს.1982 წ.კანონი პროფესიული სწავლება- თანამშრომლობის შესახებ,რომელმაც 1973 წ.კანონი შეცვალა პროფესიული სწავლების შესაძლებლობებს კი იძლეოდა,მაგრამ სახელმწიფო სექტორში მუშაობის გარანტიას არა.

მატერიალური ასპექტი: საბინაო პრობლემა და ქალაქების განახლება

ქალაქის გეტო არა მხოლოდ განასახიერებს სიღარიბის ხილულ და პოტენციურ აფეთქებასაშიშ კონცენტრაციას.მათთვის დამახასიათებელია საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვანი გაუარესება;საცხოვრებელ და კომერციულ ნაგებობათა უმეტესი ნაწილი არ პასუხობს საექსპლუატაციო მოთხოვნებს და გამოუსადეგარია მრავალი სახლი უბრალოდ მიტოვებულია მფლობელთა მიერ.

რატომ მოხდა ქალაქების დაქვეითება? ამის მიზეზი მრავალმხრივია და კერძოდ შემდეგში მდგომარეობს.

1.ქალაქიდან მასობრივი წასვლა და თანამდევი ეფექტები. ქალაქი-ცენტრების ფიზიკური დაქვეითება გარეუბნებში გაქცევის შედეგია. შეძლებული ოჯახებისა და წარმოებათა იქ გადასვლის შედეგად,იგივე მოსდის ფინანსურ რესურსებსაც, რაც საჭიროა საცხოვრებელი და კომერციული ნაგებობების შესანახად.ხოლო ფიზიკური განადგურების დაწყებით წარმოიშობა თანამდევი ანუ გადადენის ხარჯების პრობლემა,რაც ამწვავებს ამ პროცესს. როდესაც მიწათმფლობელი X თავის ქონებას გაფუჭების საშუალებას აძლევს, იგი ხელს უწყობს კვარტალის საერისხის საერთო გაუარესებას და ხიანს აყენებს ამ კვარტლის სხვა მიწათმფლობელებს.X მიწათმფლობელის გადაწყვეტილების გამო Y და

Z მიწათმფლობელებისთვისაც ეკონომიკურად არახელსაყრელი გახდება თავისი უძრავი ქონების წესრიგში შენარჩუნება. ამიტომ კვარტალი შეიძლება ნგრევისა და დაქვეითების კომულიატიურ ციკლში მოხვდეს.მოცემულ შემთხვევაში თანამდევ ეფექტთა სწორედ ეს პრობლემაა მთავარი ეკონომიკური საფუძველი ქალაქის განახლების სფეროში მთავრობის მოქმედებისთვის.

2.ქონებრივი გადასახადის სპირალი.ქალაქის დაქვეითების ისტორიული პროცესი ხშირ შემთხვევაში მწვავდება ქონებრივი გადასახადის განაკვეთის გადიდებით.იმის კვალობაზე, თუ როგორ ფუჭდებოდა უძრავი ქონება და მას სტოვებდნენ მფლობელები,ქალაქ-ცენტრში ვიწროვდებოდა ქონებრივი გადასახადის ბაზა.ამავე დროს ღარიბი ქალაქი-ცენტრის რაიონების მართვა სულ უფრო ძვირადღირებული ხდებოდა.სოციალური უზრუნველყოფის, პოლიციისა და სახანძრო სამსახურის, სახელმწიფო საავადმყოფოებისა და კლინიკების შენახვის ხარჯებს ზრდის ტენდენცია გააჩნდათ. რამდენადაც მუნიციპალიტეტები დამოკიდებულნი არიან ქონებრივ გადასახადზე, მისი განაკვეთის გადიდება გარდაუვალი შედეგი გახდა,რამაც, თავის მხრივ, მიწათმფლობელები შეაგულიანა,მიეტოვებინათ ზრუნვა თავიანთ უძრავ ქონებაზე ან საერთოდ თავი მიენებებინათ მისთვის.უძრავი ქონების მფლობელები უფრო შეძლებულ გარეუბნებში,პირიქით,უკეთესი ხარისხის სკოლებითა და სხვა საზოგადოებრივი სამსახურებით, ამასთან, <u>გადასახადების შემცირებული განაკვეთებით სარგებლობდნენ</u>. ეს იმიტომ ხდება,რომ უძრავი ქონება გარეუბანში ბევრად უფრო ძვირია.5%-იანი გადასახადი 200 ათ.დოლ. ღირებულების სახლზე შედარებით მდიდარ გარეუბანში 10 ათ.დოლ.შემოსავალს მოიტანს.10%-იანი გადასახადი 40 ათ.დოლ.ღირებულების მოძველებულ სახლზე ქალაქ-ცენტრის რაიონში კი მხოლოდ 4 ათ.დოლარს.

3.დისკრიმინაცია.ბინით უზრუნველყოფაში დისკრიმინაცია იმისი ძირითადი მიზეზი გახდა,რომ ზანგებისა და სხვა უმცირესობების ცხოვრება შეზღუდულია ქალაქი-ცენტრების მოძველებულ გეტოებში .მართლაც, ქალაქი-ცენტრის უმეტეს მაცხოვრებელთა შემოსავლები იმდენად მცირეა,რომ გარეუბნებში გადასვლის საშუალებას არ იძლევიან. მაგრამ,ზოგიერთები შესძლებდნენ და კიდევაც გააკეთებდნენ ამას,თუკი ბინები მათთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა.

საცხოვრებელი ბინების ფასზე და საიჯარო გადასახადის სიდიდეზე ზეგავლენის გასაგებად, საკმარისია გავიხსენოთ მოთხოვნისა და მიწოდების მარტივი მექანიზმი. უწინარეს ყოვლისა,ზან-

გებისთვის იქმნება საცხოვრებელი ბინების არაპროპორციულად მცირე მიწოდება.შეხლუდული მიწოდება ნიშნავს უფრო მაღალ ფასებს საცხოვრებელ ბინებზე და მაღალ საიჯარო გადასახადს.უმუალო შედეგი ისაა, რომ ზანგები იძულებული არიან თავიანთი გადასახადის ძალზე დიდი ნაწილი საცხოვრებელ ბინებზე დახარჯონ.მაგრამ,ამ შემთხვევაშიც კი საცხოვრებელი ბინები,მეტადრე, დაბალი ხარისხის იქნება. მაღალი საიჯარო გადასახადი გეტოში მცხოვრებ ოჯახებს უკვე არსებულ საცხოვრებელ ფართობზე "შევიწროებას"აიძულებს. მიწოდების მხრივ, მიწათმფლობელები ამაზე ბინების დაყოფით პასუხობენ. და,გასაგებია,"ალყაში"მოქცეული ბაზარი სტიმულს არ აძლევს მფლობელებს შეაკეთონ ან გააუმჯობესონ თავიანთი უძრავი ქონება.საერთო შედეგი,ჩვეულებრივ, მაღალი საიჯარო გადასახადია მჭიდროდ დასახლებულ და მოძველებულ საცხოვრებელ ბინებზე.

4. ბინის ქირის რეგულირება.მთავრობის მიერ ბინის ქირის სიდიდის ფიქსირება წონასწორობით დონეზე,ასევე ხელს უწყობდა ქალაქების დაქვეითებას.ნიუ-იორკში წარმოშობილი ბინის ქირის რეგულირება „ისესხეს" ისეთმა ქალაქებმა,როგორიც, ლოს-ანჯელესი, ბოსტონი, სან-ფრანცისკო, ვაშინგტონი და ათეულობით სხვა უფრო მოკრძალებული სიდიდის ქალაქებია. მრავალ სხვა ქალაქში განიხილება ასეთი რეგულირების შესაძლებლობები.ერთი შეხედვით, ბინის ქირის რეგულირების მიზანი-მაცხოვრებლების დაცვა უკანასკნელის თავბრუდამხვევი ზრდისაგან,რაც მოთხოვნის მიწოდებაზე გადამეტებითაა გამოწვეული-ქების ღირსი ჩანს. მაგრამ,, ამასთან, დამავალერებელი ფაქტები არსებობს, რომ რეალური საბოლოო შედეგები სრულებით სხვანაირი აღმოჩნდეს.

ბინის ქირის რეგულირების შედეგად მიწათმფლობელები საშუალოზე დაბალ მოგებას იღებენ საცხოვრებელ ბინებში დაბანდებულ თავიანთ კაპიტალზე.ეს მათ თავიანთი ფინანსური კაპიტალის სხვა სფეროებში ან იმ გეოგრაფიულ რაიონებში დაბანდებას ‘შეაგულიანებს ,სადაც რეგულირება არ არსებობს.ამასთან დაკავშირებით მცირდება ახალი ბინების აშენება იმ ქალაქებში,სადაც მიღებულია ბინის ქირის რეგულირება.ხუსტად ასევე,დაბალი მოგება ბინის გაქირავებისაგან არახელსაყრელს ხდის არსებულ ნაგებობათა შენარჩუნებას,და ამრიგად,არსებული საბინაო მეურნეობა უარესდება.ბინის ქირის რეგულირება უფრო ამწვავებს საცხოვრებელი ბინების უკმარისობის პრობლემას.კიდრე გადაჭრის მას. ბინები სულ უფრო არ ჰყოფნის: რეგულირებადი ფასების დროს,რომელიც წონასწორობის დონეზე დაბლა აღმოს-

ნდება, მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე, რაც უკვე ნამდვილ უკმარისობას იწვევს.მკითხველისთვის სასარგებლო იქნება საცხოვრებელი ბინების ერთეულთა მიწოდებისა და მათზე მოთხოვნის მარტივი დიაგრამის შედგენა ამ მტკიცებათა შემოწმებისათვის.

თუ ბინის ქირის რეგულირება ამდენად არაპროდუქტიულ ზეგავლენას ახდენს, რატომ ინარჩუნებენ მას და რატომ გაანინა გავრცელების ტენდენცია?პასუხი ისაა,რომ მაცხოვრებელთა რაოდენობა მეტია მიწათმფლობელთა და მშენებელთა რიცხვზე.მაცხოვრებლები, რომლებიც დღეს იგებენ რეგულირებით, სიდიდის მიხედვით შთამბეჭდავი და ქმედითი ჯგუფია,რომლებიც გაერთიანებული არიან განსაკუთრებული ინტერესით (თავი 33).

პოლიტიკის შეცდომები. 1930-იანი წლების ბოლოდან ფედერალური მთავრობა აქტიურად აძლევდა სუბსიდიებს შტატების მმართველობისა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მოსახლეობის ღარიბი ფენების მუნიციპალური სულადობრივი საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საქმეში ძალისხმევისათვის. ქალაქების განახლების პროგრამების დახმარებით-რომელთა სუბსიდირება ისევ და ისევ ფედერალური ფონდებიდან სწარმოებს-შეეცადნენ ქალაქების სწრაფი დაქვეითების დამუხრუჭებას, ქალაქი-ცენტრის რაიონების რეკონსტრუქციის გზით.

ბედის ირონიით, ქალაქების განახლების პროგრამებმა საბოლოო ჯამში <u>შეამცირეს</u> ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი ბინების მიწოდება.ქალაქების განახლების ზოგიერთი ღონისძიებები არ ეხებოდნენ პირველ რიგში საცხოვრებელ ბინებს-მეტადრე მათი მიზანი იყო ქალაქი-ცენტრის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, გაუვალი ადგილების კვარტლების შეცვლით კანტორათა ახალი შენობებით, რომელშიც მოთავსდებოდნენ, როგორც საზოგადოებრივი სამსახურები,ისე კერძო საწარმოები.ეს ტენდენცია დაგვეხმარება იმ პარადოქსის ახსნაში,რომ გეტოს მრავალი მაცხოვრებელი გამოდის ქალაქების განახლების წინააღმდეგ. მიაქციეთ ყურადღება ასეთ ლოზუნგს: "ქალაქის განახლება-ზანგების გასახლება.უფრო მეტიც, მრავალ ოჯახს ადგილიდან ადგილზე გადასვლა მოუხდა მუნიციპალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობის პროექტების განხორციელების შედეგად,რომლებმაც, მართლაც გაზარდეს ბინების მიწოდება, რაც ხელმისაწვდომი იყო საშუალოდ უზრუნველყოფილი

ოჯახებისათვის, მაგრამ შეამცირეს იგი ღარიბი ოჯახებისთვის.1

სატრანსპორტო პრობლემა

როგორც ჩვენ დავრწმუნდით,ქალაქების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია პირდაპირი დამოკიდებულება ქალაქი-ცენტრიდან დაშორებასა და შემოსავლის დონეს და სიმღიდრეს შორის.უმეტეს შემთხვევებში ქალაქის "საქმიანი"ნაწილიდან ყველაზე შორს ცხოვრობს კვალიფიციური მუშები, ტექნიკური პერსონალი და "ოეთრი საყელოები".ამ მაღალანაზღაურებად ადამიანთა დიდი ნაწილი მუშაობს ქალაქის საქმიან ნაწილში-საბანკო და ფინანსურ ფირმებში,საადვოკატო და საკონსულტაციო კანტორებში,სარეკლამო სააგენტოებში,რომლებიც ქალაქ-ცენტრში დარჩენ. მეორე მხრივ,ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების ბევრი სახეობები ბითუმი და ცალობითი ვაჭრობის საწარმოები და სერვისის სამსახურები-ე.ი. დარგები,რომლებსაც "ცისფერი საყელოები" და ნაკლებკვალიფიციური მუშები ესაჭიროებათ-გარეუბნებში გადაბარგდნენ.ამისი შედეგი გახდა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული დაუმთხვევლობა სამუშაო ადგილებსა და სამუშაო ძალას შორის გარეუბნებში და ქალაქ-ცენტრებში.ასეთი დაუმთხვევლობა ეფექტიან სატრანსპორტო სისტემას მოითხოვს მოსახლეობის აუცილებელი ჯვარედინი გადაყვანის უზრუნველყოფისათვის.

მაგრამ ეფექტიან ტრანსპორტზე მოთხოვნას უფრო ფართო საფუძველი გააჩნია.გადაადგილების მოხერხებულობა-sine qua non[2] საქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის აქტიური პირობაა.ქალაქის ცხოვრების კულტურულ და სოციალურ უპირატესობათა უმეტესი ნაწილი შეიძლება ეფექტიანად იქნეს რეალიზებული მხოლოდ სიკოცხლისუნარიანი სატრანსპორტო სისტემის არსებობის პირობებში.მუზეუმები,სამხატვრო გალერეები,სპორტული სტადიონები და საკონცერტო დარბაზები განუყოფელი ანუ "უშველებელი"საქონლებია,რამდენადაც მომხმა-

---

1.დაწვრილებით საქალაქო საცხოვრებელი ბინების პრობლემებზე და პოლიტიკაზე იხ.John M.Levy.Urban and Metropolitan Economics.New York:McGraw-Hill Book Company.1985.თავი მე-7 და მე-8.

2.აქ-აუცილებელი პირობა (ლათ.).-რედ.შენიშვნა.

რებლებს არ შეუძლიათ მათი გაყოფა და სახლში წაღება,მომ-ხმარებლები თვითონ უნდა მივიდნენ მათთან .ქალაქში საყიდ-ლების ყიდვაც ასევე გულისხმობს ტრანსპორტის არსებობას.

პირადი ავტოტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულმა მოხერხებულობამ შეაგულიანა გარეუბნის მრავალი მცხოვრები, აირჩიოს გადაადგილების ეს ფორმა. გადაადგილება პირადი ავტომანქანებით მკვეთრად გაიზარდა,მაშინ, როცა საზოგადოებრი-ვი ტრანსპორტის გამოყენება შემცირდა.მართლაც,მსხვილმა ფედე-რალურმა სუბსიდიებმა ავტომაგისტრალების მშენებლობისათ-ვის,მნიშვნელოვანი ფინანსური წინამძღვრები შექმნეს ავტომანქა-ნის გამოყენებისათვის.ავტოტრანსპორტის ფართო გამოყენებამ სატრანსპორტო საცობების განსაკუთრებით მწვავე პრობლემები წარმოშვა, რომ არაფერი ვთქვათ ავტომანქანის როლზე ჰაერის გაჭუჭყიანებაში. სატრანსპორტო საცობებისადმი პასუხი იყო ავ-ტომაგისტრალების შემდგომი მშენებლობა.მაგრამ დამატებითი ავტოსტრადები ხელს უწყობენ კიდევ უფრო დაშორებული გა-რეუბნების ზრდას და სატრანსპორტო ნაკადების გადიდებას.ამრი-გად,საგზაო მშენებლობის გიგანტურ პროგრამებს თან ახლავს უფრო მეტი და არა ნაკლები-სატრანსპორტო საცობებისა და მანქანის დასაყენებელი ადგილების პრობლემები.ჩვენ .ვხედავთ მოჯადოებულ წრეს, რომელშიც მანქანების რაოდენობისა და ავტოსტრადების გადიდება ავტოტრანსპორტის შემდგომ გავრცე-ლებას და ავტოსტრადების კიდევ უფრო მეტი რაოდენობის მშენებლობას იწვევს.

მედლის მეორე მხარეა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუარესება ქალაქებში.მოსახლეობის დიდმა გეოგრაფიულმა გაფან-ტულობამ გარეუბნებში სიძნელეები წარმოშვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებისთვის,ავტოსტრადებზე ინტენსიური მოძ-რაობის ორგანიზაციაში, რაც აუცილებელია აყვავებისა თუ გადარ-ჩენისთვის. ჩვენ ისევ ვაწყდებით კუმულიატივურ პროცესს.მუდმივ მგზავრთა რაოდენობის შემცირებით,ერთი მხრივ,იზრდება ერთი გადაყვანის დანახარჯები,რაც მგზავრობის საზღაურის გადიდებას მოითხოვს,ხოლო,მეორე მხრივ,უარესდება მოწყობილობისა და მომ-სახურების ხარისხი.ამიტომ ბევრი ამჯობინებს სამუშაოზე საკუთა-რი ავტომანქანით სიარულს და,ამრიგად,პროცესი განახლდება.

უნდა გვახსოვდეს: მგზავრობის საფასურის განსაზღვრა საზო-გადოებრივ ტრანსპორტზე, როგორც 22-ე თავში აღვნიშნეთ,გაძნე-ლებულია იმით, რომ, მართალია,მოკლევადიანი მოთხოვნა ქანქა-

რასებრ (ორმხრივ) გადა'ხიდვებ'ხე, შესაძლოა არაელასტიური იყოს, მაშინ,როცა ხანგრძლივვადიანი მოთხოვნა, მეტადრე ელასტიური იქნება.ამრიგად,მგ'ხავრობის საფასურის გადიდების უშუალო და მოკლევადიანი შედეგია საერთო ამონაგების გადიდება და სა'ხოგადოებრივი ტრანსპორტის 'ხარალიანი ფინანსური პრობლემის რაღაც ზომით გადაწყვეტა.მაგრამ საბოლოო ანგარიშში,ე.ი.რამდენიმე წელიწადში,როდესაც ამ ორმხრივმა მგ'ხავრებმა უკვე დამატებითი გადაწყვეტილება მიიღეს ახალი მანქანების შეძენის ან ერთ სვლაგე'ხზე ერთი მანქანით მგზავრობისთვის ჯგუფში გაერთიანების, ან საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაოს გამოცვლის თაობა'ხე, მოთხოვნა ორმხრივ სამგ'ხავრო გადა'ხიდვებ'ხე ელასტიური იქნება ფასის მიხედვით,ხოლო მგზავრობის უფრო მაღალი საფასური საერთო ამონაგების შემცირებას მანიშნებელი. გაანგარიშებული იქნა, რომ ფილადელფიის რაიონში ორმხრივი სარკინიგზო სამგ'ხავრო გადა'ხიდვებისათვის ბილეთის ფასის მომატება 25 ცენტით,ანუ 9%-ით ერთ მხარეს,მცირე ხნით გაზრდიდა სატრანსპორტო სისტემის საერთო ამონაგებს 8000 დოლარით დღეში,მაგრამ საბოლოო ანგარიშით 19000 დოლარ'ხე მეტით შეამცირებდა დღეში. მგზავრობის საფასურის სა'ხოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემისათვის მოკლე პერიოდში ხელსაყრელმა გადიდებამ შეიძლება მხოლოდ გაამწვავოს მისი ფინანსური სიძნელეები პერსპექტივაში.[1]

სამწუხაროდ,ყველას როდი შეუძლია არჩევანი სა'ხოგადოებრივ ტრანსპორტსა და პირად ავტომანქანას შორის.ქალაქი-ცენტრის ღარიბი და არაკვალიფიციური მუშები იძულებული არიან სა'ხოგადოებრივ ტრანსპორტს დაეყრდნონ.მომსახურების ხარისხის შემცირება და გაუარესება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე,რასაც თან ახლავს "ცისფერსაყელოიანებისათვის"სამუშაო ადგილების გადანაცვლება გარეუბნებში,სამწუხაროდ,ქალაქი-ცენტრის მრავალ მაცხოვრებელს მეტროპოლიის ეკონომიკური შესაძლებლობების მიღმა ტოვებს.

საქალაქო ტრანსპორტის სრულყოფა

შესაძლო გადაწყვეტილებაია განახლებისას უფრო მოხერხებული და გონივრულია საქალაქო ტრანსპორტის ორი ასპექტით

---

1. Richard Voith.Commuter Rail Ridership: The Long and the Short Haul//Business Review (Federal Reserve Bank of Philadelphia).1987. ნოემბ.-დეკ.გვ.13-23.

განხილვა: როგორც მოკლევადიანი და როგორც ხანგრძლივვადიანი პრობლემა.

მოკლევადიანი პრობლემა: მოსარგებლეთაგან მოსაკრებლის აკრეფა და პიკური ფასწარმოქმნა

უწინარეს ყოვლისა,ჩვენს წინაშეა მოკლევადიანი პრობლემა.არსებული <u>სატრანსპორტო სიმძლავრეებისა და ტექნოლოგიის გათვალისწინებით</u>, ყველაზე ეფექტიანად როგორ გამოვიყენოთ ეს სატრანსპორტო "ქარხანა"? ყველაზე უკეთ როგორ გამოვიყენოთ <u>არსებული</u> ჩქაროსნული ავტოსტრადები,გზები,სადგომები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ,რომ ისტორიულად სამთავრობო სუბსიდიები ძირითადში მიმართული იყო საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებაზე.უფრო ზუსტად საქალაქო გზების და ჩქაროსნული ავტოსტრადების მშენებლობა უპირატესად ფედერალური დოტაციებით სუბსიდირდებოდა; შტატებში იგი ასევე ბენზინის გადასახადიდან ამონაგების ხარჯზე ფინანსდებოდა.ქალაქის პრობლემებზე მომუშავე ზოგიერთი ეკონომისტი თვლის,რომ მ ო ს ა რ გ ე ბ ლ ე თ ა გ ა ნ მ ო ს ა კ რ ე ბ ლ ი ს ა კ რ ე ფ ი ს ს ი ს ტ ე მ ა, მოცემულ შემთხვევაში მძღოლებისგან, შესაძლოა ძალზე სასარგებლო იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საავტომობილო გადაზიდვათა გამოყენებაში უფრო მეტი დაბალანსების მისაღწევად,კერძოდ სატრანსპორტო ხერგილების პრობლემის გადასაჭრელად. ისინი თვლიან,რომ საქალაქო გზები და ავტოსტრადები გადატვიროული და გავსებულია ავტომანქანებით,ვინაიდან მძღოლები ავტომობილით სარგებლობის სრულ დანახარჯებს არ ეწევიან; ფაქტობრივად ისინი საზოგადოების (გადასახადების გადამხდელების) მიერ სუბსიდირდებიან მოლიანად. სადისკუსიოა საკითხი იმის შესახებ, რომ ავტომანქანის მძღოლებისგან ამოღებული იქნას საზღაური ",მათ შორის იმ მომენტშიც,რომელიც წინ უძღვის საჭესთან დაჯდომის გადაწყვეტილების მიღებას",ე.ი. მოსარგებლეთაგან ხარკის აკრეფას,რაც მთლიანად ფარავს ავტომანქანის ტარების დანახარჯებს."მთლიან დანახარჯებში"იგულისხმება არა მხოლოდ ავტოსტრადების მშენებლობისა და შეკეთების დანახარჯები, არამედ,ასევე საგზაო ნიშნების,საგზაო პოლიციისა და გარემოს გაჭუჭყიანების დანახარჯებიც კი,რაც ავტომანქანის მიერაა გამოწვეული. საბოლოოდ, ფასი რეგულირების ანუ მადისციპლინირებელი

მექანიზმია და საერანსპორტო საკობები იმის სიმპტომებია,რომ მოიხოვნა მეტია მიწოდებაზე, არსებული ფასის პირობებში.„ცხადია, ჩვენთან ხერგილები და სურსათის „უკმარისობა“წარმოიქმნებოდა თუ შევეცდებოდით უფასო სასურსათო მაღაზიით სარგებლობას,რომელიც საერთო დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე იარსებებდა.სურსათის უკმარისობა ერთ ავტომანქანაზე (საერანსპორტო საკობი) გაანგარიშებით საგზაო სივრცის და სადგომი ადგილის უკმარისობის ანალოგიური იქნებოდა, რაც დამახასიათებელია იაფი და გადასახდელებზე არსებული ამერიკული საქალაქო საერანსპორტო მეურნეობებისათვის.[1] მოკლედ რომ ვიქვათ, მოსარგებლეთაგან გადასახადების აკრეფის მიზანია საერანსპორტო საკობების შემცირება ზოგიერთი პირების“ავტომანქანის ტარების ბაზრიდან“ეკონომიკური გამოდევნით; ეს ნიშნავს, რომ ისინი ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემით ისარგებლებენ,ან,თუ შეძლებენ,ნაკლებად წავლენ ქალაქის საქმიან ნაწილში.

იმის გათვალისწინებით, რომ დილას და საღამოს პიკის საათები საქალაქო ტრანსპორტის საკვანძო მომენტია,მოსარგებლეთაგან მოსაკრებლის აკრეფის იდეის მომხრეები იმასაც აღნიშნავენ,რომ,როგორც ავტომანქანით, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა მთელი დღის განმავლობაში უნდა იცვლებოდეს.ანუ უნდა გამოვიყენოთ პ ი კ უ რ ი ფ ა ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ა ,რომლის დროსაც ბილეთის საფასური პიკის საათებში უფრო მაღალი იქნება და დაბალი დანარჩენ დროს.მიზანი,ცხადია,იმ მგზავრთა ეკონომიკური გამოდევნაა,რომელთათვისაც პიკის საათებში მგზავრობის აუცილებლობა ნაკლებ გადაუდებელი და არსებითია.მაგალითად,პიკური საათების სისტემას შეეძლო მყიდველების იძულება ქალაქის საქმიან ნაწილში გამგზავრების და დაბრუნების დროის ისეთნაირად შეცვლა,რომ იგი არ დამთხვეოდა ქანქარასებრ მგზავრთა გადაყვანის დროს.

ზოგიერთ ქალაქში სტიმულს აძლევენ მგზავრთა გაერთიანებას ერთობლივი მგზავრობისათვის, ერთ ავტომანქანაში,საერანსპორტო საკობისა და გარემოს გაჭუჭყიანების შემცირების იმედით.მაგალითად, ლოს-ანჟელესის რაიონში მსხვილმა ფირმებმა მიმოიცა ბა მიიღეს,შეიმუშაონ თავიანთ თანამშრომელთა ერთი ავტომან-

---

1.Wilbur R.Thompson.A Preface Urban Economics.Baltimore:The Johns Hopkins Press.1965. გვ.340-341.

ქანით ერთობლივი მგზავრობის წახალისების გეგმები. ამის მსგავსად, რიგ ქალაქებში ჩატარდა ექსპერიმენტი ნქაროსნულ ავტოსტრადებზე,რომელთაც „რამდენიმე მგზავრით მოძრავი მანქანის ზოლი“ გააჩნიათ; ასეთი ზოლის დაკავება შეუძლიათ მხოლოდ ავტომანქანებს, ვთქვათ, სამი ან მეტი მგზავრით.

ხანგრძლივვადიანი პრობლემა: საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ამას ჩვენ მივყევართ საქალაქო ტრანსპორტის ხანგრძლივვადიან პრობლემამდე: როგორი უნდა იყოს მომავალ სამოავრობო დაბანდებათა ხასიათი ქალაქის სატრანსპორტო სიმძლავრეებში? აღორძინდა ინტერესი ტრანსპორტის საზოგადოებრივი სისტემებისსაგარეუბნო რკინიგზების, მეტროს,ავტობუსების,კიდული რკინიგზების და ა.შ.განახლებისა და განვითარებისადმი.უწინარეს ყოვლისა,საგარეუბნო მოსახლეობის რაოდენობის ზრდისა და უახლოეს 20 წელიწადში საქალაქო საავტომობილო მოძრაობის მოცულობის გაორმაგების პროგნოზების გათვალისწინებით ქალაქების ბევრი დამპროექტებელი და თანამდებობის პირი აქტუალურად თვლის ავტოტრანსპორტის ეფექტიან ალტერნატივათა ძიებას.ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია,ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, გზებისა და ნქაროსნული ავტოსტრადების მშენებლობაზე დაბანდებათა გადიდება,უფრო ზრდის მოძრაობას, ვიდრე ამცირებს სატრანსპორტო საცობებს.მიუხედავად ავტოსტრადების მაღალსიჩქარიანი რთული სისტემის არსებობისა, მგზავრობის საშუალო სიჩქარე ლოს-ანჟელესის ჩქაროსნულ ავტოსტრადებზე საათში მხოლოდ 37 მილს შეადგენს, და ეს ციფრი,როგორც მოსალოდნელია ამ საუკუნის დასასრულს საათში 17 მილამდე შემცირდება.ფაქტობრივად, ლოს-ანჟელესის ჩქაროსნულ ავტოსტრადაზე მძღოლები თავისი დროის 10% ახლა იძულებით გაჩერებებზე ხარჯავენ! გარდა ამისა მოსალოდნელია,რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაფართოებამ და გაუმჯობესებამ შესაძლოა არსებითი სარგებლობა მოიტანოს შემდეგი მიმართულებებით: 1) სიცოცხლისუნარიანი და განახლებული ქალაქი-ცენტრი ქონებრივი გადასახადის გაფართოებული ბაზით; 2) სამსახურთან მისასვლელი გზების გაუმჯობესება გარეუბანში ქალაქი-ცენტრის ღარიბებისთვის და 3) გარემოს გაჯანსაღების მეტისმეტად მწვავე პრობლემის თავიდან აცილების შესაძლებლობა,რაც შეიძლება საავტომობილო ტრანსპორ-

ტის გაზრდამ გამოიწვიოს. ფაქტობრივად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოგიერთი სისტემები გარკვეულ ძალას იკრებენ მას შემდეგ,რაც 1970-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაზიდვებმა მინიმუმს მიაღწიეს.

გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა: გამჭუჭყიანებელი საზოგადოება?

ქალაქებს გაჭუჭყიანების პრობლემის მონოპოლია არ გააჩნიათ.მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე და მრეწველური კონცენტრაციისა და ავტომანქანების გამოყენების მაღალი დონე,რაც ქალაქის ცხოვრების განმასხვავებელი ნიშანია,მეტისმეტად ამწვავებს გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემას ქალაქებში.

პრობლემის მასშტაბები

წყლისა და ჰაერის და ასევე მყარი ნარჩენების დაგროვების სერიოზულობამ საკმარისი ასახვა ჰპოვა პოპულარულ პრესაში და მხოლოდ მოკლე მიმოხილვას საჭიროებს. ჩვენი მოსახლეობის ოთხმოცი ნახევარი საეჭვო ხარისხის წყალს სვამს. ჰაერის გაჭუჭყიანება ხელს უწყობს ფილტვების კიბოს, ემფიზემის, პნევმონიის და სხვა გავრცელებულ დაავადებათა წარმოშობას.მყარი ნარჩენების (ნაგვის) მოშორება მწვავე პრობლემა გახდა ბევრი ქალაქისთვის,ვინაიდან გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი სანაგვეები გავსებულია, და ქალაქელები ხელს უშლიან სანაგვეებისა და ნაგავსაწვავი ღუმელების მათ საცხოვრებელ ბინებთან ახლოს განლაგებას.

გარემოს გაჭუჭყიანების შესაძლო შედეგები შორეულ პერსპექტივაში კიდევ უფრო საგანგაშოა.ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს,რომ მრეწველობის, ადამიანების, ნაგებობებისა და ცემენტის კონცენტრაციას-და სწორედ ესაა ქალაქები-შეუძლია ჰაერისა და იბური გაჭუჭყიანება, რაც საკმარისია დედამიწის კლიმატის შეუქცევადი და პოტენციურად კატასტროფული შეცვლისათვის ე.წ.სათბურის ეფექტის შედეგად.

მიზეზები:სანედლეულო ბალანსების მეთოდი

გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემის საფუძვლები ყველაზე უკეთ შეიძლება წარმოვიდგინოთ ს ა ნ ე დ ლ ე უ ლ ო ბ ა ლ ა ნ ს ე ბ ი ს მ ე -

თ ო დ ი ს დახმარებით, რაც უბრალო იდეას ემყარება, რომ წარმოებით პროცესებში გამოყენებული მთელი რესურსების (სათბობი, ნედლეული, წყალი და ა.შ.) წონა, საბოლოო ჯამში მიახლოებით მრეწველური ნარჩენების წონის ტოლი იქნება.

საბედნიეროდ, ეკოლოგიურ სისტემას-ანუ ბუნებას-თუ ორმოც წელს გადაცილებულთა ტერმინს გამოვიყენებთ-თვითკვლავწარმოების უნარი გააჩნია,რისი წყალობითაც მას განსაზღვრულ ფარგლებამდე შეუძლია შთანთქას ასეთი ნარჩენები. მაგრამ მრეწველურ ნარჩენებს მისი აბსორბციის (შთანთქმის) უნარზე გადამეტების ტენდენცია გააჩნია.

რატომ ხდება ეს ? რატომ ვაწყდებით ჩვენ გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემას ? მიზეზები მრავალფეროვანია,მაგრამ,ალბათ,მათ შორის მთავარია ოთხი.

1.მოსახლეობის სიმჭიდროვე.ერთ-ერთი მიზეზია უბრალოდ მოსახლეობის ზრდა.ეკოლოგიური სისტემა,რასაც 50 ან 100 მლნ.კაცის დატევა შეუძლია,ალბათ ვერ აიტანს 200 ან 300 მლნ-ს დაწოლას.

2.შემოსავლების გადიდება.ეკონომიკური ზრდა ნიშნავს,რომ ყოველი ადამიანი მოიხმარს რესურსებს და „გამოიმუშავებს“ ნარჩენებს მუდმივად მზარდი მოცულობით. პარადოქსულია,მაგრამ ბარაქიანი (affluent)საზოგადოება დამნაგვიანებელ (effluent) საზოგადოებას წარმოშობს. ეეპ-ის (ერთობლივი ეროვნული პროდუქტის) გადიდება,ნიშნავს ეენ-ის (ერთობლივი ეროვნული ნაგავი) გადიდებას.ასე, მაგალითად,ცხოვრების მაღალი დონე ამერიკელებს საშუალებას აძლევს 176 მლნ-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება ჰქონდეთ.მაგრამ,მსუბუქი ავტომანქანები და სატვირთოები ჰაერის გაჭუჭყიანების მთავარი წყაროებია და, გარდა ამისა,ყოველწლიურად ქმნიან 10 ან 11 მლნ მოძველებული ავტომანქანის უტილიზაციის არც თუ მარტივ პრობლემას.

3.ტექნოლოგია.ტექნოლოგიური ცვლილებები გარემოს გაჭუჭყიანების კიდევ ერთი მიზეზია. მაგალითად,ბენზინზე ტეტრაეთილის დანამატები სერიოზული საფრთხეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის,რამაც მთავრობა აიძულა უტეტრაეთილ საწვავის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. “ერთჯერადი კონტეინერების“ ფართო გავრცელებამ და გამოყენებამ,რომელიც პრაქტიკულად გაუხრწნადი ალუმინისა და პლასტმასისაგან მზადდება, ამწვავებს მყარ ნარჩენებიან დაკავშირებულ კრიზისს.ზოგიერთი

სარეკხი საშუალებები არ შეიძლება სანიტარულ დამუშავებას ან ხელმეორე გადამუშავებას დავუქვემდებაროთ.

4.სტიმულები.მოგების მიღებაზე ორიენტირებული მწარმოებლები,როგორც წესი,არჩევენ რესურსების ისეთ შერწყმას,რომელიც უმცირეს დანახარჯებს მოითხოვს და ამჯობინებს მხოლოდ აუცილებელი დანახარჯების გაწევას.თუ მათ შეუძლიათ ქიმიური ანარჩენების მდინარესა და ტბებში ჩაყრა და ძვირადღირებული გამწმენდი ნაგებობის დადგმის თავიდან აცილება,მაშინ, ისინი,მეტადრე ასე მოიქცევიან.თუკი მწარმოებლებს შეუძლიათ მოწყობილობათა გაცივების შემდეგ წარმოშობილი ორთქლისა და ცხელი წყლის გაშვება და გაცივებისა და გაწმენდის ძვირადღირებულ მოწყობილობათა არშეძენა, ისინი, ჩვეულებრივ ასე მოიქცევიან.ამის შედეგია ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანება-როგორც ქიმიური, ისე თერმალური-და რასაც ეკონომისტთა პროფესიულ ენაზე განსაზღვრული დანახარჯების მოლიანად საზოგადოებაზე გადატანა ეწოდება,მნიშვნელოვანი თანამდევი დანახარჯების ანუ გადადენის ხარჯების სახით.უფრო დაბალი „შიდა“დანახარჯებით გამწმენდ ღონისძიებებზე ეკონომიის შედეგად, მწარმოებლებს შეუძლიათ თავიანთი პროდუქცია იაფად გაყიდონ, გააფართოვონ წარმოება და მიიღონ დიდი მოგება.გარემოს გამჭუჭყიანებელი ფირმის ან დარგის მიწოდების მრუდი მნიშვნელოვნად მარჯვნივაა მოთავსებული, ვინაიდან მასში გათვალისწინებული არაა ის ხარჯები,რასაც საზოგადოება ეწევა გარემოს ხარისხის გაუარესების სახით. ამის შედეგად, რესურსების გადანაწილება ხდება გარემოს გამჭუჭყიანებელი ფირმის სასარგებლოდ

მაგრამ უსამართლო და არასწორი იქნებოდა გარემოს გაჭუჭყიანების მთელი ცოდვები მრეწველობისთვის დაგვებრალებია.ერთი მხრივ, „შეგნებული“ ფირმა, რომელიც მზადაა სოციალური პასუხისმგებლობისათვის გარემოს გაჭუჭყიანების გამო,შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.თუ ცალკე აღებული ფირმა “თავის თავზე აიღებს“მთელ თავის გარე დანახარჯებს,ანუ გადადენის დანახარჯებს, ვოქვათ, წყალ-და კვამლგამწმენდი მოწყობილობის დაყენებით, იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება დანახარჯების თვალსაზრისით თავის კონკურენტებთან შედარებით,რომლებიც გარემოს გაჭუჭყიანებას განაგრძობენ.სოციალურად პასუხისმგებელ ფირმას უფრო მაღალი დანახარჯები ექნება და იძულებული გახდება გაზარდოს პროდუქციის ფასები.ასეთი ფირმის“ჯილდო“მისი პროდუქციის გასაღების ბაზრის

შეკვეცა,მოგების შემცირება და, ექსტრემალურ სიტუაციაში, გაკოტრების საფრთხე იქნება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საჭიროა კოლექტიური ქმედებანი მთავრობის დახმარებით გარემოს გაჭუჭყიანებასთან ეფექტიანი ბრძოლისათვის. მეორე მხრივ, გარდა იმისა, რომ მთავრობის მნიშვნელოვანი ფუნქციაა რესურსების არასწორი განაწილების კორექტირება, რასაც თან ახლავს გადადენის ხარჯები,მსხვილი ქალაქების უდიდესი ნაწილი, როგორი პარადოქსული არ უნდა იყოს იგი, თვითონ ბევრად ამწვავებს გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემას.ქალაქის ელექტროსადგურები ხშირად აჭუჭყიანებს ჰაერს; მრავალი ქალაქი მდინარეში ან ტბებში უშვებს არც მთლად ბოლომდე გაწმენდილ ჩამდინარე წყლებს, ვინაიდან, ასე უფრო იაფი და მოხერხებულია.ანალოგიურად,ცალკეული პირები გაურბიან საკუთარი ნაგვის დასუფთავებისა და დაწვის ხარჯებს.უფრო ადვილია ერთჯერადი საფუთავის გამოყენება,ვიდრე ბრუნვაში მრავალჯერადის დაბრუნება.

გარემოს გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის პოლიტიკა

რამდენადაც გარემოს გაჭუჭყიანება გადადენის ანუ თანამდევი ხარჯების პრობლემაა,[1] გარემოს გაჭუყიანების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის მიზანი გაჭუჭყიანების გარე დანახარჯების შიდა დანახარჯებად გადაქცევის გზების ძიებაა.ამოცანა ისაა,რომ გარემოს"გამჭუჭყიანებელმა", გადაიხადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი.

ადრე ჩვენ უკვე მივუთითეთ გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემის შესაძლო გადაწყვეტილებებზე.ჯერ-ერთი, მე-6 თავში ჩვენ დავინახეთ,რომ კანონმდებლური სტანდარტები და სპეციალური გადასახადები, რასაც ზოგ შემთხვევაში, ნარჩენების გადაყრის ჯარიმებს ვუწოდებთ,შეიძლება გამოყენებულ იქნას გარე დანახარჯების შიდა დანახარჯებად გადასაქცევად, რომელიც გარემოს გაჭუჭყიანებითაა გამოწვეული.როგორც 6-1 ნახაზზეა ნაჩვენები,შეიძლება კანონმდებლობა და ჯარიმები ნარ-

---

1.ამ ეტაპზე სასარგებლოა მე-6 თავის პარაგრაფის -"რესურსების გადადენები,ანუ თანამდევი ეფექტები"(იხ.წიგნი პირველი). ხელახალი წაკითხვა.

ჩენების გადაყრისათვის გამოვიყენოთ, მწარმოებლის დანახარჯებსა და საერთო დანახარჯებს შორის წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად, S წერტილის S_1 წერტილზე, ან უკიდურეს შემთხვევაში ამ მიმართულებით გადაადგილებით. მეორე,33-ე თავში აღნიშნული იქნა,რომ განსაზღვრულ პირობებში გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება მივმართოთ კერძო რეგულირებას. უფრო ზუსტად, კოუზის თეორემის თანახმად,თუ საკუთრების უფლებები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაინტერესებულ პირთა რაოდენობა დიდი არაა,ხოლო გარიგების ღირებულება უმნიშვნელო,თანამდევი დანახარჯების პრობლემები შეიძლება კორექტირებულ იქნას ინდივიდუალური შეთანხმების გზით.33-ე თავში,ჩვენ გავეცანით ასევე პოლიტიკის უახლეს ვარიანტს,რომლის დროსაც გარემო იშვიათ რესურსად ჩაითვლება და მისი გაჭუჭყიანების უფლებები გაიცემა მრეწველური ნარჩენების მის მიერ გადამუშავებისა და შთანთქმის უნარით. გაიხსენეთ, რომ ასეთ უფლებათა ბაზარი მაშინათვე შექმნიდა ფინანსურ სტიმულს გარემოს არგაჭუჭყიანებისთვის, იმათთვის, ვისაც პოტენციურად ამის გაკეთება შეუძლია.უფრო მეტიც, მოთხოვნის გადიდება გარემოს გაჭუჭყიანების უფლებებისთვის, რომელიც თან ახლავს ეკონომიკურ ზრდას,ასწევდა მათ ფასს და ამით სტიმულს მისცემდა დამზოგავი ტექნოლოგიების ძიებას.დაბოლოს,რაც შეეხება მყარი ნარჩენების უტილიზებას, საგარეუბნო სანაგვეთა რაოდენობის შემცირებამ გაზარდა მისი გადამუშავების ინტერესი. დღეისათვის 10 შტატმა უკვე მიიღო კანონი,რომელიც გადამუშავების რაიმე ფორმის მიღებას მოითხოვს, და, ზოგიერთი გაანგრიშებით დადგენილია,რომ ეროვნული წარმოების ნარჩენების მხოლოდ 10% გადამუშავდება.

პრობლემები.გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ მიმართულ გადაწყვეტილებათა მიღებასთან და მმართველ ზემოქმედებასთან დაკავშირებულია მრავალრიცხოვანი და არსებითი პრობლემები.ჯერ ერთი, ძნელია გაჭუჭყიანების სტანდარტის განსაზღვრა არასრული და სადაო ტექნოლოგიური და ბიოლოგიური ინფორმაციის გამო. ჩვენ უბრალოდ, დანამდვილებით არ ვიცით ყველა ეკონომიკური და ადამიანისეული დანახარჯების-ზოგიერთ გამჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზემოქმედება. ინფორმაციის არასაკმარისობა მნიშვნელოვანია ვინაიდან ეკონომიკურად არარაციონალურია აკრძალო ან გადაჭრით აღმოფხვრა გარემოს გაჭუჭყიანება.

მეტადრე უნდა გამოიყენო დანახარჯებისა და სარგებლობათა ანალიზი (თავი 33) გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის პროგრამის მოქმედების ოპტიმალური ხღვარის განსაზღვრისათვის.ამას მოსდევს ასეთ პროგრამათა ზღვრული ხელსაყრელობებისა და ზღვრული დანახარჯების გამოთვლის რთული პრობლემა. მეორე, კანონმდებლური კონტროლისა და სტანდარტების გამოყენება და იძულებითი ზემოქმედება შეიძლება რთული და ძვირადღირებული აღმოჩნდეს. დაბოლოს,სამთავრობო ორგანოები,-თვით ის დაწესებულებები, რომლებიც, შეიმუშავებენ და გარემოს გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის ღონისძიებებს იღებენ-თვითონ მნიშვნელოვნად აჭუჭყიანებენ მას.[1]

ქალაქის პრობლემათა გადაჭრა:წანამძღვრები

ჩვენ აღვწერეთ ქალაქის ზოგიერთ პრობლემათა ხასიათი და მიუთითეთ მათი გადაჭრის კონკრეტული გზები.ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს განსაზღვრული კანონმდებლური და ფინანსური წინამძღვრები ქალაქის პრობლემათა სრული ან ნაწილობრივი გადაჭრისათვის.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაცია

მრავალი ურბანისტი თვლის, რომ ქალაქის პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთი ძირითადი წინამძღვარია პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაცია. კერძოდ, პრობლემათა ქმედითი და სამართლიანი გადაწყვეტის გეგმა, რომელთაც ქალაქები აწყდებიან, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური ფრაგმენტაციის დაძლევაზე, რაც ახლა არსებობს მათს უმრავლესობაში.

ქალაქის რაიონები ფაქტობრივად ინტეგრირებული და ძალზე ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური ერთეულებია.ქალაქის პრობლემათა უმრავლესობა-ტრანსპორტი, დისკრიმინაცია საბინაო საქმეში, შრომით მოწყობასა და განათლებაში, გარემოს გაჭუჭყიანება, მიწათსარგებლობა- უდაოდ საერთო საქალაქო მნიშვნელობისაა.

1.თუ თქვენ დაინტერესდით გარემოს გაჭუჭყიანების ეკონომიკური ასპექტებით,ჩრავალ საინტერესოს იპოვით ნაშრომში:Thomas D.Crocker.A.J.Rogers, III. Environmental Economics. Hindsal The Dryden Press.Inc..1971.ამ საკითხების უფრო დაწვრილებით შესწავლისათვის ის: Thomas H.Tietenberg.Environmental and Natural Resource Economics' Glenview.III.:Scott.Foresman and Company .1984.

ცალკეულ, იზოლირებულ, პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულებს,რომლებიც ქალაქებს შეადგენენ ამ პრობლემათა ეფექტიანი გადაჭრის უფლებამოსილებანი არ გააჩნიათ; დიდ ქალაქებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თანდათანობით კარგავენ ეფექტიანი მართვის უნარს.ქალაქის პრობლემათა ქმედით და სამართლიან- პოლიტიკურად განხორციელებადის საპირისპიროდ-გადაწყვეტილებათა რეალიზაცია დამოკიდებულია ერთობლივ ქმედებათა კოორდინაციაზე, ე.ი.პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ კონსოლიდაციაზე.

ეფექტიანობა.არაეკონომისტის თვალსაზრისით პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა კონსოლიდაციამ,რიგი მიზეზების გამო შეიძლება სტიმული მისცეს ქალაქის პრობლემებზე გადაწყვეტილებათა უფრო ეფექტიან მიღებას.

1.მასშტაბების ზრდით განპირობებული ეკონომია.წვრილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვეგანყოფილებები ხშირ შემთხვევაში უძლური აღმოჩნდებიან მასშტაბების ზრდით გამოწვეული ეკონომიის მიღწევით, ზოგიერთი კომუნალური სამსახურების შენახვაში,ისეთების,როგორიცაა წყალმომარაგება და კანალიზაცია.მათი მწარმოებლურობის დონე დაბალი იქნება,ხოლო საქმიანობის მაჩვენებლები დანახარჯების მრუდზე, პროდუქციის ერთეულით მაღლა იქნება მოთავსებული (ნახ.3ნ-1ა)

2.დაგეგმვა და კოორდინაცია.ზემოთაღნიშნულთან მჭიდრო კავშირშია ის გარემოება,რომ ისეთ საზოგადოებრივ სამსახურებში,როგორიცაა პოლიცია და სახანძრო ,საგზაო მშენებლობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი,პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია განსაზღვრულ თვისებრივ უპირატესობათა დაკარგვას იწვევს,რომელიც მეტროპოლიის დონეზე მიიღწევა ამ საზოგადოებრივ სამსახურთა საქმიანობის დაგეგმვისა და კოორდინაციის პირობებში.საზოგადოებრივ სამსახურთა გამსხვილებისკენ მისწრაფება ალბათ უფრო ხარისხს ემყარება,ვიდრე დანახარჯებს: საერთო საქალაქო პოლიცია უფრო კარგად ართმევს თავს სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას და დამნაშავეთა ძებნას და საკმაოდ დიდია დანაშაულობათა გახნის .მეცნიერული საშუალებებით აღჭურვისა და მოზარდთა და რასობრივ პრობლემათა,სპეციალისტებით დაკომპლექტებისათვის.

1.Wilbur R.Thompson.A Preface to Urban Economics.გვ.267-268.

ანალოგიურად, მართალია, გზების მშენებლობის ერთეულზე (ძილზე) რეალური დანახარჯები შეიძლება მიახლოებით ერთნაირი იყოს რიგი პატარა მუნიციპალიტეტებისთვის და მთელი მეტროპოლიის მართვის ორგანოებისთვის, მაგრამ მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად უპირატესობა ერთიან გეგმას გააჩნია,რაც წარმოების მოცულობათა კოორდინირებას ახდენს.

3.თანმდევი ეფექტების შერჩევა.ქალაქის პრობლემებზე მომუშავე ეკონომისტთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაციისადმი ერთგულების კიდევ ერთი მიზეზი ისაა,რომ მრავალ არსებულ საქალაქო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულთა უმნიშვნელო გეოგრაფიული სიდიდის გამო,ამ რაიონში საჭირო საზოგადოებრივ სამსახურთა საქმიანობის მრავალი სარგებლობანი-მაგალითად,განათლების,დასვენებისა და გარემოს გაუმჯობესების სამსახურები-ასევე ვრცელდება სხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულთა მაცხოვრებლებზე და წარმოებით საწარმოებზე.მაგალითად,ქალაქის მცირე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული,რომელმაც საუკეთესო სასკოლო სისტემა მოაწყო და შეიარაღებულია საკანალიზაციო ჩანადენებისა და მრეწველური ანარჩენების გამწმენდი სისტემით და დასვენების საუკეთესო პირობები შექმნა,უზრუნველყოფს სარგებლობებს,რომლებიც ნაწილობრივ"გაედინება" მისი ადმინისტრაციული საზღვრებიდან,ე.ი.მისთვის გარე სარგებლობებია, ვინაიდან ისინი ვრცელდება სხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულთა მაცხოვრებლებზე.მისი სასკოლო სისტემის კურსდამთავრებულები,შესაძლოა, სამუშაოს იშოვიან მიმდებარე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებში და სხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ქვედანაყოფთა მაცხოვრებლები ისარგებლებენ მისი პარკებით და სპორტული მოედნებით,ასევე მოიგებენ გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ მისი საქმიანობით.აქ გადამწყვეტი ის გარემოებაა,რომ,თუ გადადენის სარგებლობა დიდია,საქონელი და მომსახურებები,მეტადრე არასაკმარისი რაოდენობით იქნება წარმოებული (ნახ.6-2).უფრო ზუსტად, ყოველი პატარა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლები,ალბათ არ მოინდომებენ უფრო მაღალი გადასახადები გადაიხადონ ისეთი სამსახურებისა და მომსახურების საშუალებათა შესანახად, რომელთა სარგებლობები მნიშვნელოვანწილად სხვებზე განაწილდება.

სამართლიანობის უფლება.პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაციისკენ ლტოლვა ასევე სამართლიანობის უფლებას

ემყარება.ჩვენ ხაზს ვუსვამდით, რომ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ფრაგმენტაციამ მნიშვნელოვანი ფინანსური უთანასწორობა შექმნა ქალაქის რაიონებს შორის.რესურსები და მოსახოვნები განაწილებული აღმოჩნდნენ ქალაქების პოლიტიკურ ჯგუფებში. როგორც ჩვენ დავრწმუნდით,პრობლემები ძირითადად თავმოყრილია ქალაქ-ცენტრში,ხოლო რესურსები გარეუბნებში მდებარეობს. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაცია სასურველ ზემოქმედებას მოახდენდა რესურსებისა და მოსახოვნების ერთიან ადმინისტრაციულ უფლებამოსილებათა სფეროში გაერთიანებაზე.

კონსოლიდაციის გზები.პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაცია სხვადასხვა გზებით მიიღწევა:განაპირა საგარეუბნო ტერიტორიების ქალაქისადმი შემოერთებით;მართვის საქალაქო და საოლქო ორგანოების კონსოლიდაციის გზით;განსაკუთრებული რეგიონული ხელისუფლების შექმნით,რომელიც ტრანსპორტის ან გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემებითაა დასაქმებული.

მაგრამ არარეალური იქნებოდა გვეფიქრა კონსოლიდაციის სწრაფ ან ადვილ მიღწევაზე.მდიდარი გარეუბნების“შეძლებულებს“სურვილი არ ჰქონიათ თავის თავზე აეღოთ ქალაქი-ცენტრის უქონელთა აღმაშფოთებელ მდგომარეობაზე მორალური და ფინანსური პასუხისმგებლობა.ჩვენ არც იმას უნდა ველოდეთ, რომ მართვის ადგილობრივი ორგანოების ჩინოვნიკები სიამოვნებით დათმობენ ძალაუფლებას და უფლებამოსილებას.შეიძლება კონტრარგუმენტებიც მოვიტანოთ არსებული დაქუცმაცებული სისტემის სასარგებლოდ.ჯერ ერთი,ხელისუფლების ადგილობრივი მცირე ორგანოები უფრო მეტად უწყობენ ხელს ამომრჩეველთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას,ვიდრე ქალაქის მართვის ორგანოები და ითვალისწინებენ ამომრჩეველთა მოთხოვნებსა და სურვილებს.კონკრეტული მაგალითი:ზანგი მოსახლეობის ნაწილი თვლის, რომ არსებული ფრაგმენტაციის პირობებში მათ შეუძლიათ პოლიტიკური კონტროლი განახორციელონ უკიდურეს შემთხვევაში იმ გეოგრაფიულ რაიონებზე,სადაც ისინი რაოდენობრივად ჭარბობენ მაშინ, როდესაც კონსოლიდაციის პირობებში ისინი განწირული არიან მხოლოდ აბუჩად აგდებული უმცირესობისთვის.მეორე,ბიუროკრატიის მფლანგველობამ- მმართველობის საზოგადოებრივი ორგანოების არაეფექტიანმა საქმიანობამ- შესაძლოა ნულზე დაიყვანოს საზოგადოებრივ საქონელთა და მომსახუ-

რებათა წარმოების უზრუნველყოფასა და კოორდინაციაზე ნავარაუდევ დანახარჯთა ეკონომია,რომელიც ქალაქის ხელისუფალთა კონსოლიდაციის შედეგად მიიღება (თავი 33).დაბოლოს, არსებობს მოსაზრება,რომ ხელისუფლების მკირე ადგილობრივი ორგანოები ხელს უწყობენ ქალაქის საცხოვრებელი მასივების მრავალფეროვნებას,მაცხოვრებლებისათვის ადგილობრივი გადასახადების, საზოგადოებრივ მომსახურებათა რაოდენობისა და ხარისხის ფართო არჩევანის შეთავაზებით.ამრიგად,მართალია ურბანისტთა უმეტესობა იწონებს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ კონსოლიდაციას,მაგრამ მისი უპირატესობები არც ისე აშკარაა,როგორც იგი ერთი შეხედვით ჩანს

ბიუჯეტური პრობლემის გამწვავება

ქალაქის პრობლემათა გადაჭრის მეორე წინამძღვარია საკმარისი დაფინანსება.უკანასკნელ ათწლეულში,რიგი დიდი ქალაქები ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან,რაც ფაროოდ აისახა პრესაში. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაციის პირობებშიაც კი საჭვოა ქალაქის რაიონების საგადასახადო რესურსებით მმართველობის ორგანოთა მ'ხარდი დანახარჯების დაფარვის შესაძლებლობა.ყურადღება მიაქციეთ ზოგიერთ ფაქტორებს,რომლებმაც ქალაქის მართვა ძალზე გააძვირა. მრავალი დიდი ქალაქი ძველდება და ამის შედეგად მათი მატერიალური მოწყობილობის- საზოგადოებრივი შენობების საკანალიზაციო და ელექტრო ქსელების,ქუჩების და ა.შ.შენახვა დიდ დანახარჯებს მოითხოვს.ქალაქში ერთობ ნაკლებუზრუნველყოფილი მოსახლეობის ასეთი დიდი კონცენტრაციის პირობებში გასაკვირი როდია,რომ დამნაშავეობის ზრდის ტემპები,და მაშასადამე,წესრიგის დაცვის ხარჯები-მაღალია.სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ძალზე მაღალია,და მაღალია საზოგადოებრივი სექტორის მიერ შემოთავაზებულ ძირითად მომსახურებათა მოცულობაც (მაგალითად ჯანდაცვის მიერ).საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზარალიანი სისტემები სუბსიდიებს საჭიროებენ. ახლახანს ფართო მუშაობა გაანაღეს სახელმწიფო მოსამსახურეთა ძლიერმა პროფკავშირებმა,რომლებმაც ხელფასის მკვეთრ მომატებას და დამატებით შეღავათებს მიაღწიეს,ძალზე მაღალი პენსიების ჩათვლით. და თვით დიდი ქალაქის მმართველობითი აპარატის სიდიდე,პატარა ქალაქის რაიონთა მართვის ორგანოებთან შედარებით, შეიძლება არაეფექტიანობის ფაქტორი

გახდეს.პრაქტიკა გვიჩვენებს,რომ მუნიციპალურ მომუშავეთა რაოდენობა ათას მცხოვრებზე მუდმივად იზრდება ქალაქის ზრდის კვალობაზე.შესაძლოა ასევე,რომ საქალაქო სამსახურთა ზოგიერთ სახეებს უბრალოდ არ გააჩნიათ შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი გადიდების უნარი.მაგალითად,სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მომუშავეებს,სამთავრობო დაწესებულებათა მოსამსახურეებს, მასწავლებლებსა და სახელმწიფო ჯანდაცვის ექიმებს უშუალო კონტაქტი აქვთ ადამიანებთან.კონდიციონერების ან ავტომანქანების მასობრივ წარმოებასთან შედარებით ამ სფეროებში შედარებით ნაკლები შესაძლებლობები არსებობს სამუშაო ძალაზე დანახარჯთა ეკონომიისათვის, მექანიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით.ეს,თავის მხრივ, ნიშნავს,რომ შრომის მწარმოებლურობა არ იზრდება,ან იგი ძალზე უმნიშვნელოა მუნიციპალურ მომუშავეთა ხელფასის გადიდების საკომპენსაციოდ.

მოკლედ რომ ვთქვათ,მუნიციპალური სამსახურების დანახარჯთა სწრაფი ზრდა ბევრადაა განპირობებული იმ ფაქტით,რომ მათ მწარმოებლურობის უმნიშვნელო და სპორადული გადიდება ახასიათებთ.

არსებობს ბიუჯეტური კრიზისის დაძლევის რიგი შესაძლო გადაწყვეტები, რომელთაც მართვის ადგილობრივი ორგანოები აწყდებიან:1) დოტაციების მიღება ფედერალური ბიუჯეტიდან;2) ფინანსური პასუხისმგებლობის ნაწილობრივ ფედერალურ მთავრობაზე გადაკისრება და 3) ქონებრივი დაბეგვრის სტრუქტურის შეცვლა"1

დოტაციები ფედერალური ბიუჯეტიდან.გაიხსენეთ,რომ,როგორც მე-8 თავში აღვნიშნეთ,აშშ-ში არსებობს ტრანსფერტული გადასახდელების სახელმწიფო სისტემა.ამ სისტემის ფარგლებში ფედერალური მთავრობა დონორის სახით გამოდის,ხოლო მართვის ადგილობრივი ორგანოები და შტატების მართვის ორგანოები, როგორც მიმღებნი.მართვის ადგილობრივი ორგანოების დანახარჯების შემოსავლებზე გადამეტება,რომელიც 8-4 ცხრილშია ნაჩვენები,ძირითადად ფედერალური დოტაციებით კომპენსირდება.ბიუჯეტური შიმშილი,რომელსაც ქალაქები აწყდებიან,მნიშვნელოვანწილად ფედერალური მთავრობის ტრანსფერტული გადასახდელებით კმაყოფილდება.

1.ქალაქების ბიუჯეტურ პრობლემათა უფრო დაწერილებითი განხილვისათვის იხ:James Heilbrun.Urban Economics and Public Policy.2d ed.New York:St.Martin's Press,1981.თავი მე-14 და მე-15.

ფინანსური პასუხისმგებლობის გადაკისრება. მეორე გამოსავალი იმაშია, რომ ფედერალური მთავრობა, ან შტატების მართვის ორგანოები დაავალდებულონ, თავის თავზე აიღონ ფინანსური პასუხისმგებლობა ქალაქის ზოგიერთ პრობლემათა და მოვალეობათა გადაწყვეტისთვის. მაგალითად, ზოგიერთი ეკონომისტი იმაზე მიუთითებს, რომ ფედერალურმა მთავრობამ მიიღოს და დააფინანსოს შემოსავლების შენარჩუნების პროგრამა, რათა სიღარიბეს ბოლო მოეღოს და ამით შემსუბუქდეს სოციალური უზრუნველყოფის ის დიდი ტვირთი, რასაც ქალაქები აკარებენ (თავი 37). ანალოგიურად, დაწყებით და საშუალო განათლებასთან დაკავშირებული ყველა ადგილობრივი დანახარჯების გადატანა შტატების მართვის ორგანოებზე ან ფედერალურ მთავრობაზე, არა თუ არ შეასუსტებდა ქალაქების ბიუჯეტურ კრიზისს, არამედ თანაბარ შესაძლებლობებსაც შექმნიდა განათლების სფეროში.

მაგრამ მუნიციპალური ფინანსების მდგომარეობა ოპტიმიზმის ნაკლებ იმედს იძლევა. რეგანის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში, მაგალითად, ფედერალური დახმარების ზრდა მართვის ადგილობრივ ორგანოებზე და შტატების მართვის ორგანოებზე გაიკონტროლა. მეტიც, ფედერალური ბიუჯეტის 1980-იანი წლების დიდმა დეფიციტმა დაბრკოლებები შეუქმნა დაბალანსებული ბიუჯეტის მიღწევას. ადგილობრივი ხელისუფლებისა და შტატების ხელისუფლებისთვის ტრანსფერული გადასახდელების შემცირება, ალბათ, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების პროგრამის ნაწილი უნდა გახდეს.

საგადასახადო სისტემის გადასინჯვა. ცოდვის ანალოგიურად, ქონებრივი გადასახადიც საყოველთაო გაკიცხვის საგანია. იგი რეგრესიულია, ვინაიდან ნაკლებუზრუნველყოფილი მოქალაქეები საიჯარო ქირაზე თავიანთი შემოსავლების მეტ ნაწილს ხარჯავენ, ვიდრე, მაღალანაზღაურებადნი. მისი ამოღების პროცესი ძნელი და ძვირადღირებულია. რთულია უძრავი ქონების სამართლიანი შეფასება. უფრო მეტიც, ქონებრივი გადასახადის მომატებული განაკვეთები, როგორც დავრწმუნდით, მდიდრებისა და შეძლებულ საწარმოთა გარეუბნებში გადანაცვლების ოვითკვლავწარმოებადი პროცესის ნაწილი გახდა. მიუხედავად ამისა, ცხადია, ქონებრივი გადასახადი მართვის ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტის ((ცხრილი 8-4) მთავარი წყაროა და, მეტადრე მათ რჩებათ. ამიტომ უნდა დავსვათ კითხვა: შეიძლება თუ არა ქონებრივი გადასახადი ისეთნაირად გადაისინჯოს და განახლდეს, რომ, ერთი მხრივ, დიდი შემოსავალი მივიღოთ და, მეორე მხრივ, შევამციროთ მისი უარყოფითი ეკონომიკური ზეგავლენა?

აქ მთავარი წინადადებაა-ქონებრივი გადასახადით დაბეგვრის ობიექტის შეცვლა და ნაგებობებიდან მიწაზე მისი გადატანა. მიწის

გადასახადით დაბეგვრისკენ ლტოლვას,მისი ღირებულების შესაბამისად, ორი ასპექტი გააჩნია:სამართლიანობა და ეფექტიანობა.სამართლიანობის არგუმენტი ისაა,რომ ქალაქის მიწის ფასი განისაზღვრება მისი ადგილმდებარეობით და გზების,სკოლებისა და კომუნალური ნაგებობების არსებობით.უმეტეს შემთხვევებში ქალაქებში მიწის ფასის მკვეთრი გადიდების წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია იმ თვალსაზრისით,რომ იგი არაა მიწათმფლობელთა ძალისხმევის ან დანახარჯების შედეგი. საზოგადოების თვალსაზრისით,სამართლიანი იქნებოდა გადასახადით დაგვებეგრა მიწის ფასის ის მომატება,რაც უზრუნველყოფილი იქნებოდა საზოგადოების გადაწყვეტილებებითა და დანახარჯებით. ეფექტიანობის სასარგებლო არგუმენტი ისაა,რომ მიწის გადასახდელი არანაირად არ ზემოქმედებს მიწის გამოყენებაზე ან მის განაწილებაზე; მიწის გადასახადი მისი ფასის შესაბამისად,არ იწვევს მიწის არასწორ განაწილებას (თ.31).

ქალაქებში ახლა არსებული დებულება,რომლის დროსაც ქონებრივი გადასახადები შენობებზე,შედარებით მაღალია,ხოლო მიწის გადასახადი, დაბალი,ნეგატიურ გავლენას ახდენს სტიმულებზე.უფრო კონკრეტულად,მაღალი გადასახადები შენობებზე სტიმულს უკარგავს მშენებლებს და უძრავი ქონების მფლობელთ ახალი შენობების აგებისა და უკვე არსებულის გაუმჯობესების საქმეში.ამით აიხსნება ქალაქი-ცენტრის ნგრევა და ქალაქების დაქვეითება.შედარებით მცირე გადასახადები მიწებზე,ნიშნავს მიწათმფლობელთა შედარებით ნაკლებ საგადასახადო დანახარჯებს უკაცრიელ მიწებზე.ხოლო ეს მათ სტიმულს აძლევს პროდუქტიული გამოყენებიდან ამოიღონ მიწა,მისი ფასის გადიდებაზე სპეკულირების მიზნით.ასეთი ქმედებანი -ან უმოქმედობა-აფერხებს ქონებრივი გადასახადის ბაზის გაფართოებას და ამწვავებს ქალაქების ფინანსურ პრობლემებს.მიწაზე გადასახადების გადიდებისა და ნაგებობებზე გადასახადის შემცირების პირობებში,მიწით მოვაჭრე,რომელიც განვითარებას აფერხებს,დაისჯება,ხოლო სახსრების ახალ და თანამედროვე შენობებში დამბანდებელი,დაჯილდოვდება.

რეზიუმე

1.აგლომერაციით განპირობებული ეკონომია მნიშვნელოვანია ქალაქების ზრდის ახსნისთვის.ანალოგიურად,მადე-

ზინტეგრირებელი ძალები გვიხსნის მოსახლეობისა და ეკონომიკური საქმიანობის გადაადგილებას ქალაქი-ცენტრიდან გარეუბნებში.პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია და აშკარა,ეკონომიკური დისბალანსი თან ახლავს ქალაქების "გაწელვას".

2.ქალაქი-ცენტრის გეტოები უპირატესად ზანგებით და სხვა ეთნიკური უმცირესობებითაა დასახლებული,რომლებსაც დაბალი შემოსავლებისა და დისკრიმინაციის გამო არ შეუძლიათ გადასვლა საგარეუბნო რაიონებში. სამუშაო ადგილების რაოდენობის გადიდება,შემოსავლების შენარჩუნების პროგრამები,განათლებისა და პროფესიული სწავლების გაუმჯობესება გეტოს სიღარიბის შემცირების პოტენციური საშუალებებია. ქალაქების განახლებისა და მუნიციპალური საცხოვრებელი ბინების შექმნის პროგრამებს დიდი წარმატებები არ ჰქონია ქალაქი-ცენტრის რაიონების გამოცოცხლებაში, და მთლიანად ვერ შესძლეს იაფი საცხოვრებელი ბინების მიწოდების გადიდება.

3.ქალაქის ტრანსპორტის მოკლევადიანი პრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია არსებული სატრანსპორტო საშუალებების ყველაზე ეფექტიან გამოყენებასთან. მიუხედავად ადმინისტრაციულ პრობლემათა სირთულეებისა, ზოგიერთი ეკონომისტი მოსარგებლეთაგან მოსაკრებლის აკრეფისა და პიკური ფასწარმოქმნის მოთხოვნით გამოდის.ხანგრძლივვადიანი პრობლემა ეხება სატრანსპორტო საშუალებებში მომავალი ინვესტიციების ხასიათს.რიგი მიზეზების გამო ქალაქების დამპროექტებლები და თანამდებობის პირები მხარს უჭერენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაფართოებას და გაუმჯობესებას.

4.გარემოს გაჭუჭყიანება თანამდევი ანუ გადადენის ხარჯების პრობლემაა.შემოთავაზებულ გადაწყვეტილებათა უმეტესობა, ისეთები,როგორიცაა კანონმდებლური კონტროლი და სტანდარტები,ჯარიმები, ანარჩენების გადაყრა და გარემოს გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზარი, მიმართულია ამ გადადენის ხარჯების ფირმათა შიდა დანახარჯებად გადაქცევისაკენ,რომლებიც გარემოს აჭუჭყიანებენ.

5.რამდენადაც შემოსავლებისა და სიმდიდრის არათანაბარი განაწილების პრობლემა ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებს შორის და სხვა საქალაქო პრობლემები საერთო საქალაქო ხასიათს ატარებენ,პოლიტიკურ- ადმინისტრაციული კონსოლი-

დაცია უფრო სასარგებლო იქნებოდა მრავალი მათგანის გადასაჭრელად.

6.მაშინაც კი,როცა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაცია მიღწეული იქნება,შესაძლოა ქალაქებს ბიუჯეტური დახმარება დასჭირდეთ,ისეთ ფორმებში,როგორიცაა,დოტაციების მიღება ფედერალური ბიუჯეტიდან და ზოგიერთი კონკრეტული საქალაქო პრობლემისა და მოვალეობის ფინანსური პასუხისმგებლობის გადატანა შტატის მმართველობის ორგანოებზე ან ფედერალურ მთავრობაზე.ქადაქებს შეეძლოთ ქონებრივი გადასახადით დაბეგვრის უარყოფითი ზეგავლენის შემცირება და იმავდროულად საკუთარი ბიუჯეტის შევსება, ქონებრივი გადასახადის შედარებითი ტვირთის შენობებიდან მიწაზე გადატანით

ტერმინები და ცნებები

აგლომერაციით გამოწვეული ეკონომია
წარმოების მასშტაბებით გამოწვეული ეკონომიის შიდა და გარეშე ფაქტორები
ინფრასტრუქტურა
მადეზინტეგრირებელი ძალები
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია
შავი კაპიტალიზმი
მოსარგებლეებისაგან მოსაკრებლის აკრეფა
პიკური ფასწარმოქმნა
სანედლეულო ბალანსების მეთოდი
ჯარიმები ანარჩენების გადაყრისათვის

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.ახსენით გამოთქმა:"აგლომერაცია-ეკონომიაა".კონკრეტულად რაში გამოიხატება აგლომერაციით გამოწვეული ეკონომია? ისარგებლეთ გრაფიკით წარმოების მასშტაბების ხრდით გამოწვეული ეკონომიის შიდა და გარეშე ფაქტორებს შორის განსხვავების ასახსნელად.რა არის საქალაქო ინფრასტრუქტურა? განიხილეთ ქალაქების ზეგავლენა მოიხოვნაზე.

2.რა სოციალ-ეკონომიკური ძალები უძევს საფუძვლად ქალაქების გაწელვას? დაწვრილებით ახსენით, თუ რატომაა ქალაქების

გაწელვა ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით არახელსაყრელი ქალაქი-ცენტრისთვის.როგორია იმ ფაქტის მნიშვნელობა,რომ გარეუბნები ჩვეულებრივ დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ? რა არგუმენტების მოტანა შეიძლება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაციის მხარდასაჭერად და საწინააღმდეგოდ?

3."თუ ქალაქები ძალზე დიდია ეფექტიანობისთვის,ან ცუდად მოწყობილი არიან,ამის მიზეზი ძირითადში ისაა,რომ ადამიანები მოლიანად არ ეწევიან დანახარჯებს ან მოლიანად არ ჯილდოვდებიან მათი ქმედებებით შექმნილი სარგებლობისათვის".თქვენ თანახმა ხართ? ახსენით.

4.როგორია საქალაქო ტრანსპორტის პრობლემების ბუნება? ახსენით, დებულება:"მიუხედავად იმისა,რომ ტრანსპორტის სრულყოფა ქალაქების დეცენტრალიზაციისა და გაწელვის აუცილებელი პირობაა,თვით ამ დეცენტრალიზაციამ შექმნა მწვავე სატრანსპორტო პრობლემები".

5.როგორია გარემოს გაჭუჭყიანების ძირითადი მიზეზები? ახსენით:სუფთა ჰაერი და წყალი სულ უფრო იშვიათი და ძვირფასი რესურსი ხდება სწორედ იმიტომ,რომ წარსულში მათ ისე ეპყრობოდნენ,როგორც უფასოს და ამოუწურავს".რა მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ გადადენის ხარჯების გადასაქცევად შიდა დანახარჯებად?

6.როგორია რასობრივი დისკრიმინაციის როლი ქალაქი-ცენტრების სიღარიბის ასახსნელად? გააანალიზეთ გეტოს საცხოვრებელი ბინების ეკონომიკა. ახსენით:"ქალაქების დაქვეითება-მთელი კვარტალებისა და რაიონების კუმულიატივური ნგრევა-იმიტომ ხდება,რომ მფლობელებს არ გააჩნიათ,ან არასაკმარისი ეკონომიკური სტიმულები გააჩნიათ თავიანთი უძრავი ქონების გასაუმჯობესებლად.

7.ახსენით:"მოსახლეობისა და წარმოებით საწარმოთა დიდი სიმჭიდროვე ქალაქებში აძლიერებს გადაწყვეტილებათა სახოგადოებრივ ხასიათს, ვინაიდან ერთი ეკონომიკური ერთეულის გადაწყვეტილება,ალბათ, ზეგავლენას მოახდენს სხვების კეთილდღეობაზე.შეიძლება თუ არა ამ მტკიცების გამოყენება ქალაქის დაქვეითების პრობლემების,გარემოს გაჭუჭყიანების და ასევე სატრანსპორტო პრობლემის მიმართ?

8."ჩვენ ბევრის გაკეთება შეგვეძლო საბინაო კრიზისის დასაძლევად საგადასახადო პოლიტიკის უბრალო შეცვლით.ჯერ ერ-

თი,გამოუყენებელი მიწის, გადასახადის უფრო მაღალი განაკვეთით დაბეგვრით, ვიდრე გაშენებულისა.მეორე,ახალი და თანამედროვე საცხოვრებელი ბინის გადასახადის უფრო დაბალი განაკვეთით დაბეგვრით,ხოლო მოძველებული და გაჭუჭყიანებულისა უფრო მაღალი განაკვეთით".თქვენ როგორ ფიქრობთ,შეუძლია თუ არა ასეთ პოლიტიკას სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს? ახსენით.

9."მიწის ფასის გადიდება ქალაქებში საზოგადოებრივ გადაწყვეტილებათა შედეგია,რაც დაკავშირებულია დარაიონებასთან და კაპიტალდაბანდებებთან და არა ცალკეულ ძფლობელთა ძალისხმევის შედეგია. ამრიგად,ქალაქმა უნდა დაიბრუნოს მიწის ფასის გადიდებით მიწათმფლობელების მიერ მათი გადასახადით დაბეგვრის გზით მიღებული გამოუმუშავებელი შემოსავლები,და ამონაგები,საზოგადოებრივი საჭიროებისთვის უნდა გამოიყენოს".თქვენ თანახმა ხართ?

10.გააანალიზეთ ქალაქების ფინანსურ-საბიუჯეტო პრობლემები. თქვენ რა გადაწყვეტილებებს ურჩევდით?

11."მოსარგებლეთაგან მოსაკრებლის აკრეფის მიზანია გადადენის ხარჯების ანუ მიღებულ გადაწყვეტილებათა თანამდევი ხარჯების გადაკისრება ამ გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებზე,რათა აიძულონ ისინი გადაწყვეტილებების შეცვლაში".ახსენით და ილუსტრაცია გაუკეთეთ ამ მტკიცებას საქალაქო ტრანსპორტისა და გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემათა მაგალითზე.

ბოლო შტრიხი

დამნაშავეობათა ეკონომიკა

დამნაშავეობა საზოგადოების ძალზე სერიოზული პრობლემაა.მაგრამ გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემის მსგავსად,იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია ამერიკის საქალაქო რაიონებისთვის.დამნაშავეობის ზრდის ტემპები უფრო მაღალია საქალაქო რაიონებში, ვიდრე არასაქალაქოში, და უფრო მაღალია ქალაქ-ცენტრებში, გარეუბნებთან შედარებით.

მოდით,განვიხილოთ ორი საკითხი. ჯერ ერთი, რატომაა დამნაშავეობის ტემპი მაღალი საქალაქო რაიონებში? მეორე, როგორ იკვლევენ ეკონომისტები დამნაშავეობის პრობლემას?

დამნაშავეობა თავმოყრილია ქალაქებში რიგი ურთიერთდაკავშირებული მიზეზების გამო.ჯერ ერთი,დიდი დასახლებისა და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვის გამო.პატარა ქალაქში ადგილობრივი პოლიცია სახეზე იცნობს მაცხოვრებლებს და აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლოა კვალდაკვალ მიჰყვეს უცნობს.ასეთი პირადი მიდგომა დამნაშავეობის პროფილაქტიკისადმი სავსებით შეუძლებელია დიდ ქალაქებში.მეორე,როგორც მოცემული თავის პრეამბულიდან გამომდინარეობს,ამერიკის მსხვილი ქალაქები დიდი სიმდიდრის ცენტრებია.ეს სიმდიდრე "ნადავლია",რომელიც დამნაშავეებს იზიდავს.მესამე,როგორც დავრწმუნდით,ქალაქებში,და კერძოდ,ქალაქ-ცენტრებში კონცენტრირებულია სიღარიბე.პრაქტიკა გვიჩვენებს,რომ დამნაშავეები უმეტესწილად ღარიბი ოჯახებიდან გამოსულებია.ამიტომ ღარიბთა თავმოყრა საქალაქო რაიონებში პოტენციურ დამნაშავეთა დიდ რაოდენობას წარმოშობს.

ეკონომისტები როგორ უდგებიან დამნაშავეობის შესწავლას? მართალია, ეკონომიკური ანალიზი არც თუ ისე მნიშვნელოვანია დამნაშავეობათა ახსნისათვის ეჭვიანობის ან ძალადობის ნიადაგზე (მაგალითად მკვლელობები და გაუპატიურებები),მაგრამ იგი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ დამნაშავეობათა ბუნება,რაც დაკავშირებულია საკუთრების ხელყოფასთან,ისეთთან,როგორიცაა ქურდობა ბინის გატეხვით,ძარცვები და ავტომანქანის გატაცებები.სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით შეიძლება ვთქვათ,რომ ეკონომისტები დამნაშავეობას იხილავენ,როგორც უარყოფითი თანამდევი ეფექტების პრობლემათა ნაირსახეობას,რასაც მე-6 და 33-ე თავებში შევეხეთ. გარკვეული აზრით,საზოგადოება დანაშაულს განსაზღვრავს,როგორც განსაკუთრებულ საქმიანობას, რომელიც სხვებს დიდ გარეშე ხარჯებს აკისრებს-ხარჯებს,რომლებიც არ ნაზღაურდება. მაგალითი:უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში სახელმძღვანელოს მიღება თქვენ შეგიძლიათ,მისი ყიდვით ან მოპარვით.თუ თქვენ წიგნი <u>შეიძინეთ</u>, თქვენი ქმედება კანონიერია;თქვენ მთლიანად აუნაზღაურეთ მაღაზიას მისი საქონელი.თუ თქვენ მოიპარეთ იგი, დაარღვიეთ კანონი.

საზოგადოებამ შემოიღო კანონი დატაცებათა წინააღმდეგ, ვინაიდან ქურდობები სხვებს დიდ აუნაზღაურებელ ხარჯებს აკისრებს. მოცემულ შემთხვევაში თქვენი მოქმედება ამცირებს წიგნის მაღაზიის ამონაგებს და შესაძლოა ზარალის ასანაზღაურებლად ფასის მომატება გამოიწვიოს.

რამ უნდა აიძულოს ადამიანი ისეთი დამნაშავეობრივი ქმედებისთვის, როგორიც ქურდობაა? ეკონომიკის შესწავლის მოცემულ ეტაპზე თქვენ კარგად იცით,რომ ეკონომისტები ვარაუდობენ ადამიანების მიერ გონივრული მოქმედების უნარს,ე.ი.თავიანთი ქმედებების შესაძლო დანახარჯებისა და შესაძლო სარგებლობების შედარებას.თუ სავარაუდო სარგებლობები (მისთვის) სავარაუდო დანახარჯებზე მეტია (მისთავისვე),ადამიანი ისეთ ქმედებას განახორციელებს-იქნება ეს კანონიერი წარმოება და მოხმარება ან უკანონო საქმიანობა,-რომლის დროსაც გარე დანახარჯები სხვებზე იქნება გადაკისრებული.

ადამიანების უმეტესობა <u>არ ქურდობს</u>.რატომ? უბრალოდ მათ ესმით,რომ ქურდობის შესაძლო დანახარჯები მეტი იქნება სავარაუდო სარგებლობებზე. ანუ მოპარული საქონალის ფასეულობა არც იმდენად დიდია,როგორც არაკანონიერი ქმედების ზეცნობადი დანახარხჯები.უკანონო ქმედების დანახარჯები ორ საერთო ეტაპად იყოფა.ჯერ ერთი,ესაა"დანაშაულის დანახარჯები",რომლებიც ბევრი ადამიანისთვის საკმაოდ მაღალია.ასეთი ადამიანები არ მოიპარავდნენ მაშინაც კი, თუ იგი არ დაისჯებოდა.მათ მიერ სიკეთისა და ბოროტების გაგება ძალზე დიდ"დანაშაულის დანახარჯებს" შექმნიდა ნაქურდალის სარგებლობასთან შედარებით.

მაგრამ საზოგადოებამ გამოცდილებით იცის,რომ მხოლოდ"დანაშაულის დანახარჯები"<u>საკმარისი როდია</u> ქურდობის თავიდან ასაცილებლად.ამიტომ საზოგადოება კანონის დამრღვევებს სხვა სახის დანახარჯებს-ჯარიმებს და თავისუფლების აღკვეთას აკისრებს.ამ სასჯელის გათვალისწინებით პოტენციურმა დამნაშავემ უნდა შეაფასოს მისი დაჭერის სავარაუდო დანახარჯები.მაგალითად,40 დოლარიანი წიგნის მოპარვისთვის 300 დოლ.ჯარიმისა და დაჭერის 10%-იანი ალბათობის პირობებში სახელმძღვანელოს მოპარვის სავარაუდო დანახარჯები 30 დოლარისაა (300 x

0,10).ნულოვანი"დანაშაულის დანახარჯების"მქონე ადამიანი ამჯობინებს წიგნის მოპარვას;სავარაუდო სარგებლობა 40 დოლ. გადააჭარბებს სავარაუდო დანახარჯებს 30 დოლ. ოდენობით.მეორე მხრივ, "დანაშაულის დანახარჯებიანი" ადამიანი,რომელიც შეიძლება შეფასდეს, ვთქვათ 20 დოლარით, არ მოიპარავს წიგნს.40 დოლ.სავარაუდო მოგება იმდენად დიდი არ იქნება სავარაუდო 50 დოლ.დანახარჯებთან (30 დოლ. "სასჯელის დანახარჯები"-20 დოლ."დანაშაულის დანახარჯები").მიაქციეთ ყურადღება,რომ საზოგადოებას შეუძლია დანაშაულობათა რაოდენობის შემცირება,რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების ხელყოფასთან, "დანაშაულის დანახარჯების"კულტივირებით,უფრო მკაცრი სასჯელის შემოღებით ან დამნაშავეობის პროფილაქტიკის ღონისძიებათა გატარებით, რომლებიც გაზრდიან დამნაშავის დაჭერის ალბათობას.

როგორი უნდა იყოს დამნაშავეობის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მოცულობა საზოგადოებაში.ჩვენს მაგალითში,წიგნის მაღაზიის მფლობელმა ღონისძიებათა რა მოცულობა უნდა განახორციელოს ქურდობის თავიდან აცილებისათვის? აქ გამოსადეგია წყალმოვარდნის კონტროლის პროექტის (ცხრილი 33-2) დანახარჯებისა და სარგებლობათა ანალიზი, რომელიც 33-ე თავშია მოტანილი.ყოველმა ადამიანმა,საწარმომ ან მმართველობითმა ერთეულმა უნდა შეადაროს ზღვრული სარგებლობები და ზღვრული დანახარჯები,დამნაშავეობის პროფილაქტიკის ეკონომიკურად დასაბუთებული მოცულობის განსაზღვრისას. ისეთი ცალობრივი მაღაზიის მფლობელმა, როგორიც წიგნისაა, არ უნდა მიიღოს დამნაშავეობის არანაირი პროფილაქტიკური ღონისძიება? უნდა დააყენოს თუ არა მან სიგნალიზაციის სისტემა? ან დაიქირაოს კერძო დეტექტივები? ღამის დარაჯი? თუ წიგნები აღჭურვოს სპეციალური საფასარით,რომელიც მოპარვის მცდელობისას სიგნალს გამოსცემს? დამნაშავეობის პროფილაქტიკის ტექნიკურად უფრო რთული და ძვირადღირებული ღონისძიებების შერჩევისას მაღაზიის მფლობელმა უნდა შეადაროს ზღვრული სარგებლობები (ზარალის შემცირება დახლიდან ქურდობისა და ძარცვისაგან),ზღვრულ დანახარჯებთან.მაღაზიისა და საზოგადოებისთვის გონივრული გადაწყვეტაა დამნაშავეობის პროფილაქტიკის ისეთი ოპტიმა-

ლური დონის ძიება,რომლის დროსაც ზღვრული სარგებლობები ზღვრული დანახარჯების ტოლია.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

შემოსავლების განაწილება: უთანასწორობა და სიღარიბე

შემოსავლების განაწილებას ხანგრძლივი წინააღმდეგობრივი ისტორია აქვს, როგორც ეკონომიკურ, ისე ფილოსოფიურ მეცნიერებაში. უნდა განაწილდეს თუ არა ამერიკის ეროვნული შემოსავალი თანასწორობის პრინციპთან უფრო მეტი თუ ნაკლები შესაბამისობით, ახლანდელთან შედარებით? ან სწორად პასუხობს თუ არა საზოგადოება კითხვაზე "ვისთვის".თანასწორობის შესახებ დებატებმა აზრებისა და პოზიციების ფართო სპექტრი გვიჩვენა. ერთ-ერთი უკიდურესი პოზიციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ უფრო მეტი თანასწორობა კაპიტალიზმის გადარჩენის ძირითადი წანამძღვარია. საწინააღმდეგო თვალსაზრისის მიმდევრები გვაფრთხილებენ, რომ "თანასწორობისაკენ ლტოლვა" ძირს გამოუთხრის სისტემას და მის დაღუპვას გამოიწვევს.

ეს თავი იწყება აშშ-ში შემოსავლის განაწილების ძირითადი ფაქტების განხილვით. შემდგომ, გაშუქებული იქნება შემოსავლის უთანაბრობის ძირითადი მიზეზები, პოლემიკა შემოსავლების უთანაბრობის თაობაზე და თანაფარდობა თანასწორობასა და ეფექტიანობას შორის, რაც ამ დებატების საფუძველია. შემდგომ, მოკლედ გადმოცემული იქნება შემოსავლების შესარწყენების არსებული პროგრამები და ქველმოქმედების სისტემის რეფორმისადმი ალტერნატიული მიდგომები.

შემოსავლების უთანაბრობა: რეალური ფაქტები

როგორია თანასწორობისა და უთანასწორობის დონე აშშ-ში შემოსავლების განაწილებაში? რამდენად დიდი უფსკრულია მდიდრებსა და ღარიბებს შორის? გაიზარდა თუ შემცირდა შემოსავლების უთანაბრობა დროთა განმავლობაში?

პირადი შემოსავლის განაწილება

საშუალო შემოსავალი აშშ-ში ერთ ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. 1986წ. საშუალოწლიური შემოსავალი ყველა ოჯახისათვის

34924 დოლარს შეადგენდა. ახლა უნდა ვნახოთ, თუ როგორ ნაწილდება შემოსავალი ამ საშუალო კოეფიციენტთან შედარებით. ცხრილი 37-1 ამის საოანადო ინფორმაციას იძლევა. შემოსავლების შკალის ქვედა

ცხრილი 37-1.შემოსავლის განაწილება ოჯახებს შორის 1986 წელს.

პირადი შემოსავლის თანრიგი (დოლ)	ოჯახების ხვ.წილი ამ თანრიგში(%)	ოჯახების მთლიანი პირადი შემოსავლის ხვ.წილი ამ თანრიგში (%)	ოჯახების ხვ.-წილი ამ და ყველაზეუფრო დაბალშემოსავლიან თანრიგებში (%)	ოჯახების მიერ მიღებული შემოსავლების ხვ.წილი მოცემულ და უფრო დაბალი შემოსავლების თანრიგებში (%)
10000-ზე ნაკლები	12	2	12	2
10000-14999	10	4	22	6
15000-24999	19	11	41	17
25000-34999	18	16	59	33
35000-49999	20	22	79	35
50000-74999	14	24	93	79
75000 და მეტი	7	21	100	100
	100	100		

წყარო: Bureau of the Census. Money Income of Households, Families and Persons in the United States:1986. Current Population Reports.სერია p-60.No.159.1988.

საზღვარზე ჩვენ ვპოულობთ ოჯახების საერთო რაოდენობის 12%-ს, რომლებიც მთელი პირადი შემოსავლის დაახლოებით 2% ღებულობენ.1986წ. საერთო შემოსავლის მხოლოდ 6% მოდიოდა ოჯახების 22%-ის წილად, რომლებიც 15 ათას დოლარზე ნაკლებს ღებულობდნენ წელიწადში. შემოსავლების პირამიდის მწვერვალზე ჩვენ ვხედავთ ოჯახების 7%-ს, რომლებიც წელიწადში 75 ათ. დოლ. და მეტს ღებულობდნენ; ამ ჯგუფის შემოსავალი მთლიანი პირადი შემოსავლის დაახლოებით 21%-ს შეადგენდა. ეს

ცხრილი 37-2.მთლიანი შემოსავლის (გადასახადების გამოქვითვამდე) ხვედრი წილი,რასაც ოჯახების თითოეული ჯგუფი ღებულობდა და ოჯახების ყველაზე მაღალშემოსავლიანი 5% (წინასწარ შერჩეულ წლებში %)

ოჯახების ჯგუფი (საერთო რიცხვიდან 20-20%)	1929	1935-1936	1947	1955	1969	1979	1987
უმდაბლესი, მეორე	12,5	4,1 9,2	5,0 11,8	4,8 12,2	5,6 12,4	5,3 11,6	4,6 10,8
მესამე	13,8	14,1	17,0	17,7	17,7	17,5	16,9
მეოთხე	19,3	20,9	23,1	23,7	23,7	24,1	24,1
მაღალი	:4,4	51,7	43,0	41,6	40,6	41,6	43,7
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
ოჯახების 5% მაქს. შემოსავლებით	30,0	26,5	17,2	16,86	15,6	15,7	16,9

წყარო: Bureau of the Census. მონაცემები დამრგვალებულია და მათი ჯამი ყოველთვის როდი ემთხვევა 100%-ს.

ციფრები იმაზე მიუთითებენ, რომ აშშ-ში შემოსავლების მნიშვნელოვანი უთანაბრობა არსებობს.

ტენდენციები შემოსავლების უთანაბრობაში

21-ე თავიდან ჩვენ ვიცით,რომ ეკონომიკური ზრდა იწვევს შემოსავლების გადიდებას.აბსოლუტური გამოსახულებით მთელი შემოსავალი იზრდება. შეიცვალა თუ არა ამით შემოსავლის შეფარდებითი განაწილება?შემოსავლების აბსოლუტური სიდიდე შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ იგი აუცილებლად როდი ზემოქმედებს უთანაბრობის ხარისხზე. 37-2 ცხრილში ნაჩვენებია შემოსავლის შეფარდებითი განაწილება. ცხრილში შემოსავლების მიმღებთა საერო რაოდენობა დაყოფილია რაოდენობით თანაბარ ხუთ ჯგუფად ანუ კატეგორიად და ნაჩვენებია მთლიანი პირადი შემოსავლის

(გადასახადების გამოქვითვამდე) რა ნაწილს ღებულობდა თითოეული მათგანი განსაზღვრულ წლებში. 37-2 ცხრილის მონაცემები უმჯობესია სამი პერიოდისათვის: 1929-1947,1947-1969 და 1969-1987 წლებისათვის- განვიხილოთ.

1929-1947 წლები. ამ წლებში შემოსავლების განაწილების მონაცემთა შედარება გვიჩვენებს, რომ მოხდა მათი უთანაბრობის მნიშვნელოვანი შერბილება. ჩაინიშნეთ 37-2 ცხრილის მიხედვით, რომ ამ პერიოდში უმაღლესი ჯგუფის წილი პირადი შემოსავალი შემცირდა, ხოლო დანარჩენი სხვა ოთხი ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავლის პროცენტი კი გაიზარდა. უთანაბრობის ასეთ შერბილებას ხელი მრავალმა ფაქტორმა შეუწყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოქმედებდა. ომით გამოწვეულმა აყვავებამ ხელი შეუწყო დაბალი შემოსავლების გაქრობას, რომლებიც 1930-იან წლებში გამოწვეული იყო ქალთა უმუშევრობით, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის განსხვავების შემცირებით, ფერმერების დაბალი შემოსავლების გადიდებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ფასების გადიდებისა და სამუშაოდ დაქირავებისას დისკრიმინაციის დროებითი შერბილებით. ამ აყვავებას თან ახლდა საკუთრებიდან შემოსავლების წილის შემცირება ეროვნულ შემოსავალში და ა.შ.

1947-1969წწ. პერიოდი. მეორე მსოფლიო ომის წლებში შემოსავლის თანასწორობის ხელშემწყობმა მრავალმა ფაქტორმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა ომისშემდგომ პერიოდში. 1947-დან 1969 წლამდე პერიოდში ოჯახების ხუთ ჯგუფს შორის შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის შემცირება შედარებით დაბალი ტემპებით მიმდინარეობდა. შევნიშნავთ, რომ ამ პერიოდში ყველაზე დაბალშემოსავლიანი ჯგუფის შემოსავლის ხვედრი წილი 0,6 %-ით გაიზარდა, ხოლო ყველაზე მდიდარი ჯგუფისა კი 2,4%-ით დაეცა.

1969-1987 წწ.პერიოდი.1969 წლიდან უთანაბრობა გაიზარდა შემოსავლის განაწილებაში ამ ხუთ ჯგუფს შორის. 1987 წ. ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების 20% მილიარი საერთო შემოსავლის (გადასახადების გამოქვითვის გარეშე) მხოლოდ 4,6%-ს ღებულობდა, ხოლო 1969წ. კი 5,6%-ს. ამასთან, ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახების 20%-ის ხვედრი წილი გაიზარდა 40,6-დან 43,7%-მდე. შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის წარმოშობის მიზეზი ჯერჯერობით მოლიანად რიდია ახსნილი. უფრო ხშირად ამას სამუშაო ძალის შემადგენლობის დიდი რაოდენობით არაკვალიფიციური მუშების შეკვეთით ხსნიან, რომლებიც შობადობის ბუმის პერიოდში დაიბადნენ და ისეთი ოჯახების

რაოდენობის გადიდებით, რომელიაც დაბალანაზღაურებადი ქალები ჰყავთ.

მოკლე განმეორება და დასკვნა. შემოსავლების უთანაბრობა მნიშვნელოვნად შემცირდა 1929 და 1947 წლებს შორის.როგორც 37-2 ცხრილის 1947 და 1987 წლების მონაცემთა შედარება გვიჩვენებს, შეფარდებითი განაწილება 1987 წ.ზუსტად ისეთივე იყო, როგორც 40 წლის წინათ. ამიტომ სამართლიანია დავასკვნათ, რომ შემოსავლების განაწილება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შედარებით სტაბილური იყო.

ლორენცის მრუდი

შემოსავლების უთანაბრობის დონე შეიძლება ლორენცის მრუდზე დავინახოთ (ნახ.37-1).“ოჯახების ხვედრი წილი“ მოთავსებულია აბსცისთა ღერძზე, ხოლო “შემოსავლის წილი“ ორდინატთა ღერძზე. შემოსავლის აბსოლუტურად თანაბარი განაწილების შესაძლებლობა წარმოდგენილია ბისექტრისით, რომელიც გვიჩვენებს, რომ ოჯახების ყოველი მოცემული პროცენტი შემოსავლების შესაბამის პროცენტს ღებულობს. ეს ნიშნავს, რომ, თუ ყველა ოჯახების 20% მთელი შემოსავლების 20%-ს ღებულობს, მაშინ 40% მიიღებს 40%-ს, ხოლო 60,-60-ს და ა.შ., მაშინ შესაბამისი წერტილები ბისექტრისაზე მოთავსდება.

თუ გრაფიკზე დავიტანთ 37-2 ცხრილის 1987წ.მონაცემებს, მივიღებთ ლორენცის მრუდს, რაც შემოსავლის ფაქტობრივ განაწილებას გვიჩვენებს. როგორც a წერტილიდან ჩანს, ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოჯახების 20%-მა შემოსავლის 4,6% მიიღო, ხოლო წერტილი b მიუთითებს, რომ დაბალშემოსავლიანი ოჯახების 40%-მა შემოსავლების 15,4%(4,6+10,8) მიიღეს და ა.შ.

მანძილი აბსოლუტური თანასწორობის აღმნიშვნელ ხაზსა და ლორენცის მრუდს შორის შემოსავლების უთანაბრობაზე მიუთითებს. რაც უფრო მეტია ეს მანძილი, მით მეტია უთანაბრობის ხარისხი. თუ შემოსავლების ფაქტობრივი განაწილება აბსოლუტურად თანაბარი იქნებოდა, ბისექტრისა და ლორენცის მრუდი ერომანეთს დაემთხვეოდა და განსხვავება გაქრებოდა. ნახაზის მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია აბსოლუტური უთანაბრობის სიტუაცია, როცა ოჯახების 1%-ს შემოსავლების 100% გააჩნია, ხოლო სხვებს არაფერი .ამ შემთხვევაში ლორენცის მრუდი კოორდინატთა სისტემის ღერძებს ემთხვევა, მწვერვალთან მარჯვი კუთხის შექმნით f წერტილში, როგორც გვიჩვენებს გრაფიკის მსხვილი



ნახაზი 37-1.ლორენცის მრუდი

ლორენცის მრუდი 37-1 ნახაზზე ოჯახურად გვიჩვენებს შემოსავლების უთანაბრობის ხარისხს.უფრო ზუსტად.მანძილი აბსოლუტური თანასწორობის აღნიშნულ ხაზსა და ლორენცის მრუდს შორის შემოსავლების უთანაბრობის ხარისხს ასახავს.

ხაზები. სამკუთხედი, რომელიც კოორდინატთა ღერძებითა და დიაგონალით იქმნება ამ უკიდურესი უთანაბრობის ხარისხს ასახ-

სიათებს.

ლორენცის მრუდი შეიძლება დროის სხვადასხვა პერიოდში ან სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა ჯგუფებს (მაგალითად, შავკანიანებსა და თეთრკანიანებს) შორის შემოსავლების განაწილების შესადარებლად გამოვიყენოთ, გადასახადების გადახდამდე და გადახ-დის შემდეგ და ტრანსფერტულ გადასახდელთა გათვალისწინებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-2 ცხრილის მონაცემები მოწმობენ, რომ 1947 და 1969 წლებს შორის ლორენცის მრუდმა ოდნავ გადაიწია ბისექტრისისაკენ, ხოლო 1969 -დან 1987 წლამდე კი საპირისპირო მიმართულებით. სხვა ქვეყნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ აშშ-ში შემოსავლები გაცილებით უთანაბროდ ნაწილდება მრეწველურად განვითარებულ სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ალტერნატიული განმარტებები

უკანასკნელ წლებში ბევრი კამათი მიმდინარეობდა იმის თაობაზე, იძლეოდა თუ არა შემოსავლების განაწილების სწორ სურათს აღწერის ბიუროს 37-1 და

37-2 ცხრილში გამოყენებული მაჩვენებლები. ზოგიერთი მეკვნიერი თვლის, რომ ყოველწლიური აღწერის მონაცემები არასაკმარისია. მათ მიერ სინამდვილის მთლიანად სწორად ასახვისათვის საჭიროა გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენს ეს მონაცემები.ისინი გვიჩვენებენ ნომინალური შემოსავლის განაწილებას და მოიცავენ არა მხოლოდ მუშა მოსამსახურეთა ხელფასს, დივიდენდებს და სარგებელს, არამედ, ასევე ყველა ნაღდ ტრანსფერტულ გადასახდელებს, ისეთებს, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფის დახმარებები და უმუშევრობის კომპენსაციები. ესაა მონაცემები შემოსავლების შესახებ გადასახადების გადახდამდე, ანუ მათში შეუპინული არაა პირადი შემოსავლისა და ხელფასის (სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი) გადასახადები, რითაც შემოსავლის მიმღები იბეგრება უშუალოდ.

განვიხილოთ ორი კრიტიკული შენიშვნა აღწერის მონაცემთა შესახებ. პირველი-შემოსავლის ერთობ ვიწრო კონცეფცია. მეორე-შემოსავლის განსაზღვრის ძალზე მოკლე პერიოდი (ერთი წელი).

შემოსავლის გაფართოებული კონცეფცია

ედგარ კ.ბრაუნინგმა[1] რიგი შესწორებები შეიტანა აღწერის ბიუროს მონაცემებში, რის შედეგადაც შემოსავლის განაწილების სრულიად სხვადასხვა სურათი წარმოიშვა. ერთ-ერთი შესწორება ისაა, რომ იგი ითვალისწინებს დახმარებათა საბაზრო ღირებულებას და ნატურით განაწილებას, ანუ მთავრობის მიერ შეთავაზებულ საქონელს და მომსახურებას ისეთი პროგრამებით, როგორიცაა"მედიკერი","მედიკეიდი," სუბსიდიები საცხოვრებელი ბინის და სასურსათო ტალონების ასანაზღაურებლად. იგი, ასევე ითვალისწინებს მთავრობის მიერ განათლებაზე დახარჯული სახსრების ოდენობას და მის განაწილებას. გარდა ამისა, იგი უმატებს შემოსავლებს კაპიტალის მატებისაგან, ანუ აქციების, ობლიგაციების, უძრავი ქონების ღირებულებათა გადიდებისაგან. დაბოლოს, იგი მოიცავს ფედერალურ გადასახადებს პირად შემოსავალზე და ხელფასზე. სურათი, რომელიც ამ შესწორებათა შედეგად იხატება,არა მხოლოდ ყოველი წლის შემოსავლის უფრო თანაბარ განაწილებას ასახავს, არამედ თანასწორობის გადიდების ხანგრძლივ ტენდენციასაც მიუთითებს. უფრო მეტი თანასწორობისკენ ლტოლვა, უწინარეს ყოვლისა

1. Edgar K.Browning.The Trend Toward Equality in the Distribution of Net Income//Southern Economic Journal.1976.ივლისი.გვ.912-923;Edgar K.Browning.How Much More Equality Can We Afford?//The Public Interest.1976.გაზაფხული.გვ.90-110.

დახმარებების სწრაფი გადიდებით აიხსნება ნიქსონის, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრაუნინგს, მართალია აღწერის მონაცემებში ბევრი შესწორების გამო აკრიტიკებენ, მაგრამ იგი სწორედ ამიტომ მივიდა შემოსავლების უფრო მეტი თანასწორობის შესახებ დასკვნამდე,ვიდრე სინამდვილეშია. ძირითადი აზრი ისაა, რომ შემოსავლების განაწილების მონაცემები ნამდვილად სხვადასხვანაირად განიმარტება. მაგალითად, აღწერის ბიუროს უკანასკნელი გამოკვლევა მოწმობს, რომ შემოსავლის უფრო ფართო განმარტება ქმნის მის განაწილებაში უთანაბრობის შერბილებულ წარმოდგენას. მაგრამ აღწერის ბიურომ დაინახა, რომ ასეთი განმარტება "ოფიციალურ" მონაცემებს შემოსავლის განაწილების შესახებ მხოლოდ 4%-ით ამცირებს.[1]

შემოსავლის საერთო მოცულობა მთელი სიცოცხლის მანძილზე

აღწერის მონაცემთა საპირისპიროდ მეორე საწინააღმდეგო აზრი იმაშია, რომ ისინი შემოსავლის განაწილებას რომელიმე ერთ წელიწადს ასახავენ და ამით იმ ფაქტს ჩქმალავენ, რომ ოჯახის საერთო სასიცოცხლო შემოსავალი შეიძლება თანასწორობის დიდი ხარისხით განაწილდეს. დავუშვათ, ბენმა 1000 დოლარი გამოიმუშავა პირველ წელს, ხოლო 100000 მეორე წელს. ხოლო ბეტიმ 100000 დოლარი გამოიმუშავა პირველ წელს, ხოლო მეორე წელს მხოლოდ 1000 დოლარი. მართლა არაერთნაირია მათი შემოსავლები? პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი პერიოდი აიღება საზომად. ყოველწლიური მონაცემები მიუთითებენ შემოსავლის უზარმაზარ უთანასწორობაზე, ხოლო ორწლიანი კი სრულ თანასწორობას ასახავს. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც დიდი "გაუგებრობა"არსებობს შემოსავლების განაწილებაში მთელი ცხოვრების განმავლობაში. სინამდვილეში შემოსავლების მიმღებთა უმრავლესობა ასაკობრივ სკალაში ეწერებიან, ანუ თავიდან დაბალ შემოსავალს იღებენ, საშუალო ასაკში მიაღწევენ, შემდგომ მათი შემოსავლები მცირდება. შეხედეთ 30-9 ნახაზს და

1.Bureau of the Census.Measuring hte Effect of Benefirs and Taxes on Income and Poverty: 1986. Current Population Report.Series P-60. No.164-RD-1.1988. გვ .7.

თქვენ დაინახავთ იმავე საერთო სქემას. აქედან გამომდინარეობს, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყველას მიერ ერთნაირი შემოსავლის მიღების შემთხვევაშიც კი, ყოველ მოცემულ წელს შემოსავლების დიდი უთანაბრობა გამოვლინდება ასაკობრივი განსხვავების გამო. ნებისმიერ წელს ახალგაზრდა და ხანდახმულ ადამიანებს დაბალი შემოსავლები აქვთ, ხოლო საშუალო ასაკისა-მაღალი. ეს ასეა მაშინაც კი, თუ შემოსავლების თანასწორობა არსებობს. მთელი სიცოცხლის მანძილზე. მორტონ პაგლინმა[1] სცადა 37-2 ცხრილის კორექტირება ასაკობრივ განსხვავებათა გათვალისწინებით. მან აღმოაჩინა, რომ: 1) არსებობს შემოსავლების უფრო მეტი თანასწორობა, თუ მხედველობაში მივიღებთ დროის ფაქტორს;2) შესასწავლი პერიოდის განმავლობაში (1947-დან 1972-წლამდე) გამოვლინდა შემოსავლების გათანაბრების გადიდების ტენდენცია. უკანასკნელ დასკვნას ავტორი "სკოლის-შემდგომი" განათლების გაფართოებას მიაკუთვნებს.

მთავრობა და გადანაწილება

მე-6 თავიდან თქვენ გახსოვთ, რომ მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა შემოსავლის გადანაწილება. როგორც 37-2 ნახაზი და მას თანდართული ცხრილი გვიჩვენებს, საოჯახო მეურნეობათა შემოსავალი გადასახადების გამონაქვით-ის და ტრანსფერტულ გადასახდელთა გათვალისწინების გარეშე, გაკვლებით უთანაბროდ ნაწილდება, ვიდრე შემოსავალი გადასახადების გამოქვითვისა და ტრანსფერტულ გადასახდელთა გათვალისწინების შემდეგ.[2]

სახელმწიფო საგადასახადო სისტემა და ტრანსფერტული პროგრამები სინამდვილეში, არსებითად ამცირებენ უთანაბრობას შემოსავლის

1.Morton Paglin.The Measurement and Trend of Inequality:A Basic Revision//American Economic Review.1975.სექტემბერი.გვ.598-609

2.ცხრილის მონაცემები,რომელიც თან ერთვის ნახაზს, განსხვავდება 37-2 ცხრილის მონაცემებისაგან. რადგანაც ნახაზზე ასახულია ნაღდ ფულზე გაცემული დახმარებები. გარდა ამისა, 37-2 ცხრილის მონაცემები იმ ოჯახებს შეეხება (ორ ან სამკაციან ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია წარმოშობით, ქორწინებით ან ნაშვილობით და ერთად ცხოვრებით, მაშინ, როცა 37-2 ნახაზი ყველა საოჯახო მეურნეობას მიეკუთვნება (ერთ ან უფრო მეტ პირს, რომლებიც ერთ სახლში ცხოვრობენ). დაბოლოს, 37-2 ნახაზი შემოსავლის უფრო ფართო კონცეფციას ეხება. ვიდრე 37-2 ცხრილი.

განაწილებაში. შემოსავლის უთანაბრობის შემცირება-დაახლოებით 80%-ით, ტრანსფერტული გადასახდელებითაა გამოწვეული. აშშ საგადასახადო სისტემა (ფედერალური გადასახადები, შტატების და მუნიციპალური გადასახადები ერთად აღებული) არც ისე პროგრესულია, ამიტომ შემოსავლების განაწილება გადასახადების გამოქვითვამდე, მნიშვნელოვნად როდი განსხვავდება გადასახადების გამოქვითვის შემდეგ მისი განაწილებისაგან. მაგრამ ტრანსფერტული გადასახდელები დიდად უწყობს ხელს შემოსავლების გათანაბრებას. უფრო ზუსტად, სახელმწიფო ტრანსფერტული გადასახდელები ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოჯახების შემოსავლების 75%-ს შეადგენენ და აშშ-ში სიღარიბის შერბილების უმთავრესი საშუალებაა.

შემოსავლების უთანაბრობა: მიზეზები

რატომ არსებობს აშშ-ში შემოსავლების განაწილების ასეთი უთანაბრობა, რაზედაც 37-1 და 37-2 ცხრილები მიუთითებენ? საერთოდ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საბაზრო სისტემა მიუკერძოებელი მექანიზმია. მას არ გააჩნია სინდისი, ვერ ეგუება მორალურ ნორმებს, რაც განსაზღვრავს, რომ არსებობს შემოსავლის "მიუკერძოებელი ""სამართლიანი "განაწილება. სინამდვილეში, კაპიტალისტური ეკონომიკის განსაკუთრებით ინდივიდუალური ხასიათი სავსებით უშვებს შემოსავლების უთანაბრობის მაღალ ხარისხს. მაგრამ არის სხვა სპეციფიკური ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ამ უთანაბრობას

1.განსხვავება შესაძლებლობებში.ადამიანებს სხვადასხვა ინტელექტუალური, ფიზიკური და ესთეტიკური შესაძლებლობები გააჩნიათ. ზოგიერთებს ძალზე გაუმართლდათ და მემკვიდრეობით განსაკუთრებული ინტელექტუალური ნიჭი მიიღეს, რაც აუცილებელია შედარებით მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მისაღებად მედიცინის ან სამართლის სფეროში. სხვები, რომლებსაც "გონებაჩლუნგებად" ანუ "გონებრივად ჩამორჩენილად" მიიჩნევენ, საქმიანობის დაახლოებით ერთ დაბალანაზღაურებადი სახეობებისთვის არიან განწირული ან საერთოდ არ შეუძლიათ რამის გამომუშავება. მესამეებს გააჩნიათ ფიზიკური უნარი, რაც მაღალანაზღაურებადი პროფესიონალი სპორტსმენებისთვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთებს ხელოვნებისა და მუსიკისადმი დიდი ბუნებრივი ნიჭი გააჩნია. მოკლედ, განდაყოლილი ნიჭი ზოგიერთ ინდივიდს საშუალებას

ნახაზი 37-2.სახელმწიფო გადასახადებისა და ტრანსფერტული გადასახდელების გავლენა შემოსავლების უთანაბრობაზე



პირადი შემოსავალი გადასახადების გამოქვითვის შემდეგ და ტრანსფერტულ გადასახდელია გაითვალისწინებთ, გაცემებთ უფრო თანაბრად წარმოგვიდგება. ტრანსფერტული გადასახდელები ხელს უწყობენ უთანაბრობის შემცირებას და ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოჯახების შემოსავლების დიდ ნაწილს წარმოადგენს.

1986წ. მიღებული შემოსავლები (%)		
ოჯახის ჯგუფები (20-20% საერთო რიცხვიდან)	გადასახადების გამოქვითვისა და ტრანსფერტების გარეშე	გადასახადების გამოქვითვის შემდეგ,ტრანსფერტების გათვალისწინებით
უდაბლესი	1,0	4,7
მეორე	7,6	10,6
მესამე	15,0	16,1
მეოთხე	24,1	23,0
მაღალი	52,4	45,7

წყარო: Bureau of the Census.Measuring the Effect of Benefits and Taxes on Income and Povertu:1986.Current Population Report.სერია-60.No.164-RD-1.1988.გვ.5.

აძლევს საკუთარი წვლილი შეიტანოს ერთობლივ პროდუქტში-წვლილი, რასაც ძალზე მაღალი შემოსავლები მოაქვს. ხოლო სხვები გაცილებით ნაკლებხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებიან.

2.**სწავლა და განათლება.** ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადამიანები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიღებული განათლებისა და პროფესიული მომზადების დონით, და მაშასადამე, შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობითაც. ზოგ შემთხვევაში ეს განსხვავებები თავისუფალი არჩევანის შედეგია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სმითი გადაწყვეტს გახდეს მუშა, ხოლო ჯონსი-კოლეჯში შევა. მეორე მხრივ, ასეთი არჩევანი აუცილებლად ნებაყოფლობითი როდია. სმითის ოჯახმა შესაძლოა კოლეჯში სწავლის ქირა ვერ გადაიხადოს.

3.**პროფესიული გემოვნება და რისკი.** შემოსავლები არაერთნაირია "პროფესიულ დახელოვნებაში" განსხვავების გამო. ადამიანები, რომლებსაც მომქანცველი, არასასიამოვნო სამუშაოს, მაგალითად ქვანახშირის მოპოვება ან ნაგვის შეგროვება და მრავალი საათის განმავლობაში ინტენსიური მუშაობა შეუძლიათ, უფრო მეტს გამოიმუშავებენ. ზოგიერთები შემოსავლებს "შეთავსების" ანუ ორ ადგილზე მუშაობით ადიდებენ. ადამიანები ერთმანეთისაგან რისკის გაწევითაც განსხვავდებიან. მართალია უმეტესობა მარცხს განიცდის, მაგრამ ახალი საქონლის ან მომსახურების დამნერგავი ცოტაოდენი იღბლიანები,წარმატებას აღწევენ და ძალზე მაღალ შემოსავალს ღებულობენ.

4.**ქონების ფლობა** ქონების მფლობელ ,და მაშასადამე, მისგან შემოსავლის მიმღებ პირებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. საოჯახო მეურნეობათა დიდ უმრავლესობას ცოტა ან სულ არ გააჩნია საკუთრება, ხოლო დანარჩენ უმცირესობას მანქანა-მოწყობილობათა, უძრავი ქონების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და ა.შ. დიდი რაოდენობა გააჩნია. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ 1983 წელს ოჯახების 10%, რომლებმაც აშშ-ში ყველაზე მაღალი

156-ე გვერდის წყაროს გაგრძელება

ამ მონაცემებში შეტანილია ყველა ფულადი შემოსავალი კერძო წყაროებიდან,მათ შორის შემოსავლები კაპიტალის ნამატისა და დამქირავებლის ხარჯზე ჯანმრთელობის დაზღვევისაგან.სვეტის, "გადასახადების გამოქვითვისა და ტრანსფერტულ გადასახდელია გათვალისწინების გარეშე"-მონაცემებში შედის არაფულადი და ფულადი ტრანსფერტული გადასახდელების ღირებულება.

შემოსავლები მიიღეს (მათი ყოველწლიური შემოსავალი 50 ათას დოლ.შეადგენდა), ფლობდა ყველა აქციათა 72%, გადასახადით დაუბეგრავ ობლიგაციათა 86%, გადასახადით დასაბეგრ ობლიგაციათა 70% და უძრავი ქონების 50%.[1] ფინანსური აქტივები უფრო მეტი კონცენტრაციით ხასიათდება, ვიდრე საოჯახო შემოსავლები. სწორედ ქონებრივი შემოსავლები განსაზღვრავს საოჯახო მეურნეობათა მდებარეობას შემოსავლების პირამიდის უკიდურეს მწვერვალზე. მემკვიდრეობის უფლება და ის ფაქტი, რომ "სიმდიდრე წარმოშობს სიმდიდრეს", აძლიერებს იმ როლს, რასაც ქონების ფლობის უთანაბრობა თამაშობს შემოსავლების უთანაბრობის გადიდებაში.

5.ბაზარზე ბატონობა."ბაზარზე ფასების ხელოვნურად გაბერვის" შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისათვის,შემოსავლების უთანაბრობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.ეზოგიერთი პროფკავშირი და პროფესიული ჯგუფი ისეთ ღონისძიებებს მიმართავს, რაც ხელუდავს მათ მიერ შეთავაზებულ წარმოებრივ მომსახურებას და ამით "თავიანთ წევრთა" შემოსავლებს ადიდებენ. კანონმდებლობა, რომელიც დალაქებზე, კოსმეტოლოგებზე, ტაქსის მძღოლებზე და ა.შ. პროფესიული ლიცენზიების გაცემას ითვალისწინებს, შესაძლოა ასევე ამ ლიცენზიების მიმღებთა ჯგუფის ბაზარზე ბატონობის მოპოვების საფუძველი გახდეს. იგივე ეხება საქონლურ ბაზარს; ისინი ვინც მოგებას იღებენ,განსაკუთრებით იცავენ თავიანთ ხელსაყრელობას,როდესაც მათი ფირმა ბაზარზე გაბატონებას იწყებს.

6.წარმატება, კავშირები, უბედურებები და დისკრიმინაცია. არსებობს შემოსავლების უთანაბრობის სხვა ფაქტორებიც. წარმატება და "საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნის"შემთხვევა-გამდიდრების საწინდარია. ზოგ შემთხვევაში მაღალი შემოსავლები მწირ ფერმაზე ნავთობის აღმოჩენით, ან საჭირო საგაზეთო რეპორტიორთან შეხვედრით აიხსნება. არ შეიძლება უგულებელვყოთ ასევე პირადი კონტაქტებისა და პოლიტიკური ზეგავლენის როლი მაღალი შემოსავლების მიღებაში. მეორე მხრივ, მრავალი უბედურება, რაც ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედებს, ისეთი, როგორიცაა ხანგრძლივი

1.Survey of Consumer Finances^1983//Federal Reserve Bulletin.1984.სექტემბერი.გვ.679-692.იხ.ასევე:Financial Characteristics of High-Income Families//Federal Reserve Bulletin.1986.მარტი.გვ.163-177.

ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, მარჩენალის დაკარგვა და უმუშევრობა, ოჯახის შეფარდებით გაღატაკებას ნიშნავს. ასეთი უბედურებათა ტვირთი ძალზე არათანაბრად ნაწილდება მოსახლეობაში, რაც ხელს უწყობს შემოსავლების უთანაბრობას. დისკრიმინაცია უთანაბრობის იმდენად მნიშვნელოვანი მიზეზია, რომ, ჩვენ მასზე უფრო დაწვრილებით 38-ე თავში შევჩერდებით.

თანასწორობა ეფექტიანობის წინააღმდეგ

როგორია უთანაბრობის ოპტიმალური ხარისხი? ეს შემოსავლების უთანაბრობის განსაზღვრის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი საკითხია. რამდენადაც ამ კითხვაზე საზოგადოდ მიღებული პასუხი არ არსებობს, ჩვენ უნდა ჩავუღრმავდეთ თანასწორობის გაძლიერების მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტების ანალიზს.

თანასწორობის მომხრე არგუმენტი: სარგებლიანობის მაქსიმიზება

შემოსავლის თანაბარი განაწილების მოავარი არგუმენტი ისაა, რომ შემოსავლის თანასწორობა აუცილებელია მომხმარებლის საჭიროებათა დაკმაყოფილების ანუ ზღვრული სარგებლიანობის მაქსიმიზებისათვის. ამ არგუმენტის დასაბუთება შეიძლება 37-3 ნახაზზე დავინახოთ, სადაც ნაჩვენებია ორი ადამიანის, ანდერსონისა და ბრუკსის ფულადი შემოსავლების ზღვრული სარგებლიანობის შემცირება. დროის ნებისმიერ პერიოდში მომხმარებლები მათ მიერ თავდაპირველად მიღებულ დოლარებს იმ საქონელზე ხარჯავენ, რომლებსაც ისინი ყველაზე მეტად აფასებენ, ე.ი. მაღალი ზღვრული სარგებლიანობის საქონელზე. რიდესაც ისინი ყველაზე აუცილებელ მოთხოვნებს დაიკმაყოფილებენ, შემოსავლების დანარჩენი ნაწილის დახარჯვას ნაკლებად მნიშვნელოვან, ე.ი. ნაკლები ზღვრული სარგებლიანობის საქონელზე იწყებენ. მრუდები, რომლებიც "შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის" ერთიან შემცირებას გვიჩვენებენ, შემდეგ დაშვებას ასახავენ: ანდერსონს და ბრუკსს შემოსავლიდან ერთნაირი სარგებლობის მიღების შესაძლებლობა აქვთ.

ახლა ვიგულისხმოთ, რომ უნდა განაწილდეს 10 ათასი დოლ. შემოსავალი (პროდუქტი) ანდერსონისა და ბრუკსს შორის. როგორ

გავანაწილოთ იგი საუკეთესოდ ანუ ოპტიმალურად? პასუხი:

გავანაწილოთ თანაბრად, რის შედეგადაც უკანასკნელი დოლარის ზღვრული მწარმოებლურობა ერთნაირი იქნება ორივესთვის.მაგალითად, დავუშვათ, რომ თავდაპირველი 10 ათასი დოლარი შემოსავალი არათანაბრად ნაწილდება:ანდერსონი იღებს მხოლოდ 2500 დოლარს, ბრუკსი კი 7500-ს. ჩვენ ვხედავთ, რომ ანდერსონის მიერ მიღებული უკანასკნელი დოლარის ზღვრული სარგებლიანობა (Oa) მაღალია, ხოლო ბრუკსის უკანასკნელი დოლარის ზღვრული სარ-



ა) შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა ანდერსონისთვის

ბ) შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა ბრუკსისთვის

ნახაზი 37-3.განაწილება, რომელიც მაქსიმუმამდე აიყვანს შემოსავალს.

შემოსავლის თანასწორობის მომხრეები მიუთითებენ,რომ "შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის" ერთნაირი მრუდების შემთხვევაში ანდერსონისა და ბრუკსისათვის შემოსავლის საერთო სარგებლიანობა მაქსიმუმამდე იქნება აყვანილი,თუ მოცემული შემოსავალი (მაგალითად 10 ათ.დოლ.) თანაბრად განაწილდება.თუ შემოსავალი არათანაბრად განაწილდება (2500 დოლ. ანდერსონს და 7500 დოლ.ბრუკსს),მაშინ უკანასკნელი დოლარის ზღვრული სარგებლიანობა ანდერსონისათვის მეტი (Oa) იქნება,ვიდრე ბრუკსისათვის (Ob),და მაშასადამე.უფრო თანასწორი განაწილება საერთო სარგებლიანობის წმინდა გადიდებას გამოიწვევს.თანასწორობის მიღწევის პირობებში,შემოსავლიდან უკანასკნელი დოლარის ზღვრული სარგებლიანობა ერთნაირი იქნება ორივე მომხმარებლისათვის (Oa' = Ob'.) და ამიტომ შემოსავლის შემდგომი განაწილება არ გაზრდის საერთო სარგებლიანობას.

გებლიანობა (Ob) დაბალი. ცხადია, შემოსავლის განაწილება ბრუკსიდან ანდერსონის სასარგებლოდ, ე.ი.უფრო მეტი თანასწორობისათვის, გაზრდის (Oa-Ob სიდიდით) გაერთიანებულ სარგებლიანობას ორი მომხმარებლისათვის. სარგებლიანობაში ანდერსონის მოგებას გადაფარავს ბრუკსის წაგება. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ შემოსავალი თანაბრად არ განაწილდება და ყოველი მათგანი 5-5 ათას დოლარს არ მიიღებს. როცა ეს მოხდება, უკანასკნელი დოლარის ზღვრული სარგებლიანობა ერთნაირი გახდება ანდერსონისა და ბრუკსისათვის (Oa' = Ob'), და მაშასადამე, შემდგომი გადანაწილება ვერ გაზრდის საერთო სარგებლობას.

არგუმენტები უთანასწორობის სასარგებლოდ:სტიმულები და ეფექტიანობა

მართალია, თანასწორობის სასარგებლო არგუმენტაციის ლოგიკა უნაკლოა, მაგრამ მეცნიერები აკრიტიკებენ მის მთავარ დაშვებას, რომლის თანახმადაც არსებობს გასანაწილებელი შემოსავლის მუდმივი მოცულობა.[1] შემოსავლის თანასწორობის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ შემოსავლის განაწილების ხერხი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც განსაზღვრავს წარმოებული და გასანაწილებელი შემოსავლის მოცულობას. დავუშვათ, რომ ანდერსონი გამოიმუშავებს 2500 დოლ., ხოლო ბრუკსი-7500 დოლარს (ნახ.37-3). თანასწორობის მისაღწევად საზოგადოებამ (მთავრობამ) ბრუკსის შემოსავლის ნაწილი უნდა ამოიღოს გადასახადის სახით და იგი ანდერსონს გადასცეს. საგადასახადო თანხების გადაცემის ეს პროცესი შეამცირებს მაღალანაზღაურებადი ბრუკსის შემოსავალს და გაზრდის დაბალანაზღაურებადი ანდერსონისას და ამით ბევრის გამომუშავების ორივეს

1.ხშირად შორის შემოსავლების თანასწორობის სასარგებლო არგუმენტები არ ემყარება დაშვებას,რომ "შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის" მრუდები იდენტურია. თუ ეს მრუდები ერთნაირი არაა ანდერსონისა და ბრუკსისათვის, მაშინ ალბათობის თეორიის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შემოსავლის თანაბარი განაწილება, მეტადრე, მომხმარებლის მაქსიმალურ დაკმაყოფილებამდე მიგვიყვანს. იხ. :Abba Lerner.The Economics of Control.New York:The Macmillan Company,1944. თავი III-3

მკვდელობას შეამცირებს. რისთვის სჭირდება ბრუკსს ბევრი მუშაობა, დანაზოგები, თავისი კაპიტალის დაბანდება ან ხელი მიჰყოს სარისკო წარმოებას, როდესაც მოგება ასეთი საქმიანობისაგან, შემცირდება გადასახადის გამოქვითვით? და ანდერსონი რატომ უნდა ცდილობდეს თავისი შემოსავლის გადიდებას, მეურნეობრივი საქმიანობით, თუ მთავრობა მზადაა გადასცეს მას ეს შემოსავალი? წარმოიდგინეთ, შემოსავლების უთანასწორობის დამცველები სთავაზობენ უკიდურეს სიტუაციას: მთავრობამ შემოსავალი დაბეგრა 100%-იანი გადასახადით და ამონაგები თანაბრად გაანაწილა მოქალაქეებს შორის. რა საჭიროა ბევრი მუშაობა? და საერთოდ რა საჭიროა მუშაობა? რატომ უნდა მიჰყო ხელი სარისკო საწარმოს? რატომ უნდა დაზოგო, ე.ი. შესწირო დღევანდელი მოხმარება, მომავალ ინვესტიციებს? "წინ გაჭრის" შემაგულიანებელი ეკონომიკური სტიმულები მოისპობა და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკონომიკის წარმოებითი ეფექტიანობა, და მაშასადამე, გასანაწილებელი შემოსავლის მოცულობაც შემცირდება. შემოსავლის "ღვეზელის" განაწილების წესი გავლენას ახდენს თვით ღვეზელის სიდიდეზე! შემოსავლების უთანაბრობის სასარგებლო არგუმენტი ისაა, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას სტიმულები პროდუქციის წარმოებისა და შემოსავლებისათვის.

თანაფარდობა შემოსავლების თანასწორობასა და ეფექტიანობას შორის[1]

შემოსავლის უთანაბრობის შესახებ პოლემიკის საფუძველია ფუნდამენტური თანაფარდობის არსებობა შემოსავლისა და ეფექტიანობის თანასწორობას შორის.

> ამერიკელი ოჯახების განსხვავება ცხოვრების დონისა და მატერიალური კეთილდღეობის მიხედვით,ანაზღაურებისა და გადახდევინების სისტემას ასახავს,რამაც ინიციატივა უნდა წაახალისოს და წარმართოს იგი საზოგადოებრივი წარმოების სფეროში.რამდენად წარმატებითაც იმოქმედებს ეს სისტემა,იმდენად ეფექტიან ეკონომიკას შექმნის იგი.მაგრამ ეფექტიანობისადმი ეს გამოდევნება აუცილებლად გამოიწვევს უთანასწორობას.და მაშასადამე,საზოგადოება დგას არჩევანის წინაშე: თანასწორობა თუ ეფექტიანობა?2

1.ეს განყოფილება ძირითადად ემყარება ნაშრომს: Arthur M.Okun.Equality and Efficiency:The Big Tradeoff.Washington,D.C.:The Brookings Institution,1975..

2.იქვე.გვ.1.

ამრიგად, საზოგადოებისათვის, რომელსაც საქმიანობის მიდრეკილება გააჩნია, პრობლემა ისაა, თუ როგორ გაანაწილოს შემოსავალი ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მისი ხელგავლენის მინიმუმამდე დასაყვანად. განვიხილოთ გახვრეტილი ვედროს ანალოგია-დავუშვათ, რომ საზოგადოება თანახმაა ღარიბებს, მდიდრების შემოსავლები გადასცეს; მაგრამ მდიდრებისაგან ფულის გადაკვრა საჭირო იქნება გახვრეტილ ვედროში. რა დანაკარგს შეეგუება საზოგადოება და როგორი მოწონებით მოეკიდება იგი გადანაწილებას? სხვა სიტყვებით, თუ შემოსავლის ღვეზელის დაყოფა უფრო თანაბარ ნაჭრებად თვით ღვეზელის სიდიდის შემცირებას გამოიწვევს, მაშინ როგორ შემცირებას შეეგუება საზოგადოება? მისაღებია თუ არა ერთი ცენტის დაკარგვა ყოველ გადასანაწილებელ დოლარზე? ხუთი ცენტის? ოცი ცენტის? ორმოცდაათი ცენტის? ცხადია, ეს ყველაზე მთავარი, ფუძემდებლური საკითხია, რაც შემოსავლების სტაბილიზაციის შემდგომი გაფართოებისა თუ შემცირების პროგრამების შესახებ პოლიტიკური დებატების ცენტრში იდგომება.

ამ კოტა ხნის წინათ ეს დებატები თანასწორობასა (შემოსავლების) და ეფექტიანობას (ეკონომიკის) შორის თანაფარდობის შესახებ, შევსებულ იქნა გამოკვლევებით, რომელიც ითვალისწინებდა, რომ გადანაწილებისაგან გამოწვეული დანაკარგები შესაძლოა გაკილებით მეტი იყოს, ვიდრე ფიქრობენ.

> ედგარ ბრაუნინგი და უილიამ ჯონსონი...იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე მაღალშემოსავლიანი ჯგუფები, რომლებიც გადასახადების ტვირთს ატარებენ,დაკარგავს 350 დოლარს, ღარიბების მიერ მიღებულ ყოველ 100 დოლარზე, ე.ი.ეფექტიანობის წმინდა დანაკარგი 250 დოლარია. არტურ ოუკენის გაანგარიშებით,გადანაწილების "ვედროდან" განჟონი ძალზე დიდია: გადასანაწილებლად გამიზნული 350 დოლარიდან, რაც მდიდარმა ადამიანებმა მიიღეს, 250 დოლ. იკარგება ღარიბებზე მათი გადაცემისას. რიგი მიზეზების გამო ამ გამოკვლევის კრიტიკოსები თვლიან, რომ შეფასება ძალზე გადაჭარბებულია. მაგრამ, თუ ციფრს სანახევროდაც კი შევამცირებთ, იგი შეშფოთებას გამოიწვევს. დათანხმდება კი საზოგადოება ეკონომიკური ეფექტიანობის დაკარგვას 125 ან თუნდაც 100 დოლარით, ღარიბებისათვის 100 დოლარის გადაცემით,შემოსავლის განაწილების გასათანაბრებლად? პასუხი აბსოლუტურად ცხადია.[1]

1.Robert H.Haveman.New Policy for the New Poverty//Challenge.1988.სექტემბერი-ოქტომბერი.გვ.32.

სიღარიბის პირქუში სურათი

ადამიანებს ნაკლებად აწუხებთ შემოსავლის განაწილების საერთო საკითხი, ვინემ შემოსავლის უთანაბრობის უფრო კონკრეტული პრობლემა.ამიტომ, საბაზრო ინფორმაციით შეიარაღებულები, მოდით გადავიდეთ სიღარიბის პრობლემაზე. რამდენადაა სიღარიბე გავრცელებული აშშ-ში? რა ნიშნები ახასიათებთ ღარიბებს? რა პოლიტიკის გატარებაა საჭირო სიღარიბის შესამცირებლად?

სიღარიბის განსაზღვრა

სიღარიბის ზუსტი განსაზღვრა არ არსებობს. მაგრამ ფართო გაგებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ოჯახი ღარიბად ცხოვრობს მაშინ, როდესაც მისი ძირითადი მოთხოვნები აჭარბებენ,მის ხელთ არსებულ, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებს. ოჯახის მოთხოვნები მრავალი ფაქტორით განისაზღვრება: მისი სიდიდით, წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობით, ასაკით და ა.შ. სიღარიბის მთავრობისეული განსაზღვრა ოჯახის სიდიდეს ემყარება. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ პირი, რომელიც 1987წ. აშშ-ში 5778 დოლარზე ნაკლებს ღებულობდა, ღარიბად ცხოვრობდა. ოთხსულიანი ოჯახისათვის სიღარიბის ზღვარი 11611 დოლარს შეადგენდა, ექვსსულიანისთვის-15509-ს. აშშ-ში შემოსავლების შესახებ მონაცემების ანალიზისათვის ამ განსაზღვრების გამოყენებით, დავინახავთ, რომ მთელი მოსახლეობის დაახლოებით 13,5%, ე.ი. 33 მლნ ადამიანი სიღარიბეში ცხოვრობს.

ვინ არიან ღარიბები?

ვინ არის ეს 33 მლნ კაცი, რომლებიც სიღარიბრეში ცხოვრობენ? მათი შემადგენლობა არაერთგვაროვანია-მათ შეიძლება შეხვდეთ ყველა რეგიონში, თეთრ- და შავკანიანებს შორის, ეს კატეგორია მოიცავს სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა მნიშვნელოვან რაოდენობას, ახალგაზრდებს და მოხუცებს-და ეს ფაქტი არსებითად ართულებს სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს. მიუხედავად ამისა, 37-3 ცხრილი ნათლად გვინვენებს, რომ სიღარიბე საკუთარ ითვალისწინებურად

ცხრილი 37-3. სიღარიბის განაწილება 1987 წ.

მოსახლეობის ჯგუფი	სიღარიბეში მცხოვრებთა ხვედრი წილი (%)
მთელი მოსახლეობა	13,5
თეთრკანიანები	10,5
ზანგები	33,1
ესპანურენოვანები	28,2
ოჯახები რომელთაც ქალები ინახავს	34,3
18 წ.ასაკამდე ბავშვები	20,0
ხანდაზმულები (65 და უხნესი)	12,2

წყარო:Bureau of the Census.Money Income and Poverty Status in the United States:1987. Current Population Reports.სერია P-60.No.161. 1988

ნაწილდება. მაშინ, როდესაც სიღარიბის დონე მთელი მოსახ-ლეობისათვის 13,5% შეადგენდა, შავკანიანი და ესპანურენოვანი მოსახლეობის ხვედრი წილი ღარიბებს შორის გაცილებით მეტია, ვიდრე თეთრკანიანებში. სიღარიბის მაჩვენებლები მეტისმეტად მაღალია ისეთ ოჯახებს შორის, რომლებსაც ქალები ინახავენ, და განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ 18 წლის ასაკამდე ბავშვების მეოთხედი სიღარიბეში ცხოვრობს. 1987 წ.სიღარიბის დონე ზანგ ბავშვებს შორის 47% შეადგენდა. მეორე მხრივ,საკმაოდ ბარაქიანი სოციალური უზრუნველყოფის წყალობით,სიღარიბეში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანთა პროცენტი საერთოეროვნულზე დაბალია.

სიღარიბის დინამიკა

37-3 ცხრილი არ გვიხსნის იმ ფაქტს, რომ 1987 წ. სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრი წილი უფრო მაღალი იყო, ვიდრე, მაგალითად 1977წ. ეს საგანგაშო რეალობა ნაჩვენებია 37-4 ნახაზზე, სადაც შეიძლება თვალი მივადევნოთ ადამიანთა ნაწილს, რომლებიც

სიღარიბეში ცხოვრობენ, ანუ სიღარიბის ყოველწლიურ დონეს, 1960 წლიდან მოყოლებული. შევნიშნავთ, რომ სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა 1960-1968 წლებს შორის, 1969-დან 1978 წლამდე იგი ითქმის არ შეცვლილა, ხოლო შემდგომ, მკვეთრად გაიზარდა 1980-იანი წლების დასაწყისში. სიღარიბის დონის ეს გადიდება მოდუნებული ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობის გადიდებისა და ტრანსფერული გადასახდელების რეალური დონის შემცირების შედეგია. 1984 წლიდან დაწყებული, როდესაც ეკონომიკამ სრული დასაქმებისაკენ იწყო გაბედული მოძრაობა, სიღარიბის დონემ თანდათანობით დაიწია. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიღარი-ბის დონე 1987წ.საკმაოდ მაღალი-13,5% იყო.

შენიშვნა. მართალია სიღარიბის დონის გასაანგარიშებელი მონაცემები, რაც 37-4 ნახაზზეა მოტანილი, არ მოიცავს ტრანს-ფერტულ გადასახდელებს ნაღდი ფულის სახით, მაგრამ ისინი მოიცავს ისეთ უნაღდო ტრანსფერტების ფულად ღირებულებას, როგორიცაა სამედიცინო მომსახურება, საბინაო გადასახადი და ასევე სასურსაოო ტალონები, რასაც ღარიბები იღებენ. ეს უნაღდო ტრანსფერტებიც შემოსავალია იმ გაგებით, რომ, ისინი ღარიბებს საჭირო საქონელია და მომსახურების შეძენის საშუალებას აძლევენ. ახლახანს, აღწერის ბიურომ დაიწყო სიღარიბის ალტერნატიული დონის გაანგარიშება, რაც უნაღდო ტრანსფერტების ღირებულებას მოიცავს. შემოსავლის ასეთი გაფართოებული განმარტების დროს სიღარიბის დონე 1987 წ.8,5% შეადგენდა.განსაზღვრის მეთოდისაგან დამოუკიდებლად, სიღარიბის მძიმე პრობლემა მუდმივად არსებობს.

„უხილავი ღარიბები“

სიღარიბის დონისა და ხასიათის შესახებ ასეთი ფაქტებისა და ციფრებისადმი საკმაოდ ძნელია შერიგება.საბოლოოდ ჩვენ ვთვლით,რომ ამერიკელები სიუხვის საზოგადოებაში ცხოვრობენ.როგორ ეხამება სიღარიბის ეს სტატისტიკა,იმ სიუხვეს,რასაც ყოველდღიურად ვხედავთ ამერიკაში? მნიშვნელოვანწილად ამ კითხვაზე პასუხი ისაა,რომ სიღარიბის უდიდესი ნაწილი დაფარულია:ძირითადში იგი უხილავია. ეს სამი მიზეზით აიხსნება. ჯერ-ერთი, ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი,რომლებიც ღარიბთა კატეგორიაში შედიან,წლიდან წლამდე იცვლება.გამოკვლევებით დადგენილია,რომ სიღარიბეში მცხოვრებთა ნახევარი ამ კატეგორიას მიეკუთვნება, სულ

რაღაც 1-2 წლის მანძილზე,ხოლო შემდგომ ისინი გამოდიან ამ მდგომარეობიდან.[1] ამიტომ, ამ ადამიანებიდან, ბევრი უხილავი რჩება, ვინაიდან ისინი მუდმივ გაჭირვებულებად არ ითვლებიან. მეორე,

ნახაზი 37-4. სიღარიბის დონე აშშ-ში 1960-1987 წწ.



სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრი წილი მნიშვნელოვნად შემცირდა 1960 და 1968 წლებს შორის. .შემდგომი აიწლეულის მანძილზე იგი თითქმის არ შეცვლილა,ხოლო 1978 და 1983 წლებს შორის ისევ აიწია.1984 წლიდან დაწყებული, სიღარიბის დონემ ისევ იწყო დაცემა,მაგრამ 1987წ. იგი უფრო მაღალი იყო.ვიდრე 70-იან წლებში.

"მუდმივი ღარიბები" დიდ ქალაქებში სულ უფრო იზოლირებულად ცხოვრობენ, ვინაიდან საშუალო და უმაღლესი ფენის წარმომადგენლები,მათგანგარეუბნებშიმიემგზავრებიან.სიღარიბე მივარდნილ ადგილებსა და გეტოებში რჩება და იგი არც ისე ადვილი სანახავია ავტომანქანისა და მატარებლის ფანჯრებიდან. სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სასოფლო და ქრონიკულად

1.Greg J.Duncan.Years of Poverty of Plenty.Ann Arbor.Mich.:University of Michigan Press,1984.

ჩამორჩენილი რაიონების სიღარიბე ასევე შორს იმყოფება "შარაგზიდან".მესამე, და ეს ყველაზე მთავარია:

> ღარიბები უხილავი რჩებიან პოლიტიკური თვალსაზრისით... ისინი ძირითადად არც პროფკავშირებს, არც საძმოებს, არც პოლიტიკურ პარტიებს არ მიეკუთვნებიან. მათ არ გააჩნიათ საკუთარი ლობი; ისინი არავითარ საკანონმდებლო პროგრამებს არ აყენებენ. ისინი გათიშული არიან. მათ არც სახე გაჩნიათ და არც ხმა.[1]

ამერიკელ ღარიბებს სწორედ ამიტომ უწოდებენ "ყველაზე ნაკლებრეპოლუციურ პროლეტარიატს მსოფლიოში."

დისკრიმინაცია და სიღარიბე

იმის გათვალისწინებით, რომ შავკანიანი და ესპანურენოვანი მოსახლეობა და ქალები სიღარიბის უმძიმეს ტვიროს აკრარებენ, უნდა ვაღიაროთ, რომ დისკრიმინაცია სიღარიბის პრობლემის გაგების არსებითი ფაქტორია. დისკრიმინაციის პრობლემა განხილული იქნება 38-ე თავში, სადაც გაშუქდება სამუშაო ძალის ბაზრის მდგომარეობა. მაგრამ, მოდით, მოვლენებს წინ გავუსწროთ და დავინახავთ, რომ 38-1 ნახაზში მოცანილია რასობრივი დისკრიმინაციის ზოგიერთი ფაქტები. არის ქალთა დისკრიმინაციის მონაცემებიც. საზოგადოდ ცნობილია, რომ დისკრიმინაციასთან წარმატებული ბრძოლის ხელშემწყობი პროგრამები სიღარიბის დონესაც ამცირებენ.

შემოსავლების დონის შენარჩუნების სისტემა

შემოსავლების შენარჩუნების ფართო პროგრამები მოწმობენ,რომ სიღარიბესთან ბრძოლა პოლიტიკის კანონიერ მიზნად ითვლება. მრავალ, უკანასკნელ პროგრამათა ნაკლოვანების მიუხედავად, ისინი მნიშვნელოვან ფულად დანახარჯებს გულისხმობენ და დახმარებათა დიდ სპექტრს ეხებიან.

შემოსავლების დონის შენარჩუნების ამერიკული სისტემა ძირითადში ორი სახის პროგრამისაგან შედგება. ერთი მხრივ, სოციალური დაზღვევის პროგრამები ნაწილობრივ ხელფასის დანაკარგებს ანაზღაურებენ, რომლებიც პენსიაზე გასვლასთან და დროებით უმუშევრობასთანაა დაკავშირებული."სოციალური უზრუნველყოფა"(სახელდობრ-ხანდაზმული-

---

1.Michael Harrington.The Other America:Poverty the United States.Rev.ed.New York:The Macmillan Company.1970.გვ.14.

თა, შრომისუუნარობა და ასევე დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა მისი დაღუპვის შემთხვევაში) და უმუშევრობის დახმარება, ე.ი. სოციალური დაზღვევის ძირითადი პროგრამები ხელფასიდან გადასახადის ხარჯზე ფინანსდება, რომლებიც მოცემული მიზნებისათვის ინახება. დახმარებები გამომუშავებულ უფლებად ითვლება და სახელმწიფო ქველმოქმედების სახეს არ ატარებს.მეორე მხრივ, სახელმწიფო დახმარების ანუ საქველმოქმედო პროგრამები იმათი დახმარებაა, ვისაც თვითონ არ შეუძლია მისი გამომუშავება შრომის უუნარობის ან თავის კმაყოფაზე შვილების შენახვის გამო. ეს პროგრამები საერთო საგადასახადო შემოსულობებიდან ფინანსდება და სახელმწიფო საქველმოქმედო პროგრამებად ითვლება. ცალკეულმა პირებმა და ოჯახებმა ცნობები უნდა წარადგინონ დაბალი შემოსავლების შესახებ დახმარების უფლების მისაღებად.

შემოსავლების დონის შენარჩუნების საერთო დანახარჯები გაიზარდა ეეპ-ის 4%-დან 1940წ., თითქმის 18%-მდე დღეისათვის. ფედერალური მთავრობა სოციალური დაზღვევის პრაქტიკულად ყველა პროგრამას და საქველმოქმედო პროგრამების თითქმის 2/3-ს აფინანსებს.

ხანდაზმულთა, შრომისუუნაროთა, დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა და მედიკერი

ხანდაზმულთა, შრომისუუნაროთა, დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა-სოციალური დაზღვევის უზარმაზარი პროგრამაა, რაც საავალდებულო გადასახადების ხარჯზე ფინანსდება და როგორც დამქირავებელთა, ისე დაქირავებული შრომის პირთა ჯამაგირიდან ამოიღება. იგი საზოგადოდ ცნობილია, როგორც "სოციალური უზრუნველყოფის" პროგრამა და მიზნად ისახავს მომუშავეს აუნაზღაუროს ჯამაგირის დანაკარგები, რაც პენსიაზე გასვლასთან ან შრომისუნარიანობის დაკარგვასთან, ასევე მარჩენალის დამკარგავ ოჯახებზე დახმარებასთან არის დაკავშირებული. გადასახდელი ჯამაგირის 7,51%-ის რაოდენობით ამოიღება, როგორც მომუშავის, ისე დამქირავებლის შემოსავლის პირველი 48 ათ. დოლარიდან. მომუშავეს პენსიაზე გასვლა შეუძლია 65 წლის ასაკში სრული დახმარების მიღებით ან 62 წლის ასაკში, არასრული დახმარებით. მომუშავის დაღუპვის შემთხვევაში დახმარების მისი

დამკარგავი სარჩენები იღებენ. შრომის უუნარო მუშათა დახმარებები გათვალისწინებულია პროგრამის სპეციალური მუხლებით .სოციალური დაზღვევა დღეისათვის მოიცავს ამერიკის ყველა მომუშავეთა 90%. 1987წ. 33 მლნ კაცი ღებულობდა ხანდაზმულთა, შრომისუუნაროთა, დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევის ჩეკებს, დაახლოებით 513 დოლარს თვეში. 1965 წელს ამას დაემატა მედიკერის პროგრამა. საავადმყოფოებში ხანდაზმულთა და შრომისუუნაროთა შენახვის დაზღვევა ამ პროგრამით ფინანსდება, ხალფასიდან გადასახადის ხარჯზე. მედიკერი ასევე შეღავათიანი დაზღვევის შესაძლებლობას სთავაზობს, სამედიცინო დახმარების ასანაზღაურებლად.

უმუშევრობის დახმარება

უმუშევრობის დაზღვევის დახმარებებს ამერიკის ორმოცდაათივე შტატი იყენებს. უმუშევრობის დახმარება 3,5%-იანი გადასახადის ხარჯზე ფინანსდება, რასაც დამქირავებლები საშუალოდ თითოეული მუშის ჯამაგირის პირველი 7 ათასი დოლარიდან იხდიან. ნებისმიერი დაზღვეული მუშა დაკარგვისას,მცირე ლოდინის (როგორც წესი, ერთი კვირის შემდეგ) შემდეგ, დახმარების მიღების უფლებას

ცხრილი 37-4.შემოსავლის დონის შენარჩუნების ძირითად პროგრამათა დახასიათება

პროგრამა	შეღავათის მიღების საფუძველი	დაფინანსების წყარო	დახმარების ფორმა	1987 საფინანსო ნელი	
				ხარჯები (მლრდ დოლ)	შეღავათის მიმღებნი (მლნ)
1	2	3	4	5	6
სოციალური დახმარების პროგრამები					
1	2	3	4	5	6
ხანდაზმულთა, შრომის უუნაროთა და დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა	ხანდაზმულობა, შრომის უუნარობა,მშობლის ან მეუღლის დაკარგვა;მოცემული პირის ჯამაგირი	ფედერალური გადასახადები დამქირავებლებისაგან ან დაქირავებული შრომის პირებისაგან	ნაღდი ფულის მიცემა	204	38

1	2	3	4	5	6
მედიკური	ხანდაზმულობა ან შრომ.ის უუნარობა	ფედერალური გადასახადები დამქირავებელთა და დაქირავებული შრომის პირებისაგან	სუბსიდირებული დაზღვევა დაავადებებისაგან	80	32
უმუშევრობის დახმარება	უმუშევრობა	ფედერ.გადასახ. და მტ.გადასახ. დამქირ.საგან	ნაღდი ფულის მიცემა	7	14

სახელმწიფო დახმარების პროგრამები

სოციალური დახმარების დამატებითი პროგრამა	ხანდაზმულობა ან შრომ-ისუუნარობა; შემოსავალი	ფედერალური მთავრობის შემოსავლები	ფულადი მისაცემლები	13	4
დახმარება ბავშვიან არასრულ ლჯახებს	ზოგიერთი ბავშვიანი ოჯახები;შემოსავალი	ფედერ.მთავრ შტატ. და მუნიციპ.შემოსავლები	ფულადი მისაცემლები და მომსახურება	16	11
სასურსათო ტალონები	შემოსავალი	ფედ. მთავ. შემოსავლები	საკონტროლო ტალონები	11	18
მედიკეიდი	სოც.და ბავშვიან ოჯახებზე დახმ-ს უფლების მქონე პირები	ფედერ.მთავრ შტატ. და მუნიციპ.შემოსავლები	სუბსიდირებული სამედიცინო დახმარება	45	23

იძენს. ეს პროგრამა ყველა მომუშაევთა ოითქმის 90%-ს მოიცავს, ეკონომიკის სამოქალაქო დარგებში. გადასახდელთა და დახმარების გაცემის კვირეების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება

შტატების მიხედვით. დახმარება მთლიანად, დაახლოებით მუშის ხელფასის ნახევარი და მეტია, გადასახადების გადახდის შემდეგ. 1987 წ. იგი კვირაში საშუალოდ 140 დოლარი იყო. ცხადია, რომ დახმარების მიმღებთა რაოდენობა და ხარჯების საერთო დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ეკონომიკური ციკლის ფაზისაგან დამოკიდებულებით. უნდა გვახსოვდეს, რომ უმუშევრობის დახმარებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩაშენებული სტაბილიზატორია.

სახელმწიფო დახმარების პროგრამები

ბევრი გაჭირვებული, ვისი მდგომარეობაც სოციალური დაზღვევის ამ პროგრამის პირობებს არ შეესაბამება, დახმარებას სხვა არხებით იღებს. 1972 წლიდან ფედერალურმა მთავრობამ სუბსიდიების გაცემა შეუწყვიტა შტატებს უსინათლოებზე, შრომის უუნაროებზე და ხანდაზმულებზე დახმარების აღმოსაჩენად, და შექმნა მის მიერ დაფინანსებადი, სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი პროგრამა.მისი მიზანია შემოსავლის ერთიანი საერთოეროვნული მინიმალური დონის დაწესება იმათთვის, ვისაც მუშაობა არ შეუძლია. შტატების ნახევარზე მეტი დამატებით სახსრებს სთავაზობს ხანდაზმულებს, უსინათლოებს და შრომის უუნაროებს.

არასრულ, ბავშვიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა,შტატების მიერ ფინანსდება,მაგრამ ნაწილობრივ იგი ფედერალური მთავრობის მიერაც სუბსიდირდება.ამ პროგრამის მიზანია იმ ოჯახების დახმარება,რომლებშიც ბავშვებს ერთი მშობლის,როგორც წესი,მამის ფინანსური მხარდაჭერა არ გააჩნიათ, მისი დალუპვის, შრომის უუნარობის, გაყრის ან სახლიდან წასვლის გამო.

სასურსათო ტალონების პროგრამა მიმართულია დაბალშემოსავლიან ამერიკელია "საკმარისი საკვები პროდუქტებით" უზრუნველყოფაზე. ამ პროგრამით შესაბამისი ოჯახები ტალონებს ღებულობენ, რომლებიც საკვებ პროდუქტებზე იცვლება. მიღებული სასურსათო ტალონების რაოდენობა, ოჯახის შემოსავლის უკუპროპორციულია.

მედიკეიდი, დახმარებას უწევს იმ პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი დახმარებისა და არასრულ, ბავშვიან ოჯახებზე დახმარების პროგრამებში მონაწილეობდნენ.

ცხადია, შემოსავლების დონის შენარჩუნების სისტემა ,რომ არაფერი ვთქვათ მუნიციპალურ დახმარებაზე, საბინაო სუბსიდიებზე, ვეტერანების დახმარებებზე, საქველმოქმედო საზოგადოებათა მეშვეობით კერძო შემოწირვებზე, პენსიებზე, უმუშევრობის დამატებით დახმარებებზე და ა.შ. არსებით დახმარებას უწევს სიღარიბის შემცირებას. მეორე მხრივ, ამ სისტემამ არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოიწვია უკანასკნელ წლებში.

1.მართვის არაეფექტიანობა.ოპონენტები ამტკიცებენ, რომ საქველმოქმედო პროგრამათა რაოდენობის იძულებითმა გადიდებამ მოუქნელი, არაეფექტიანი ბიუროკრატიული სისტემა შექმნა, რაც უზარმაზარ მმართველ აპარატზეა დამოკიდებული. მმართველობითი ხარჯები ბევრი პროგრამის ბიუჯეტის საკმაოდ დიდი ნაწილია.

> თანხა, რაც აუცილებელია ამერიკაში ყოველი მამაკაცის, ქალის, თუ ბავშვის სიღარიბის ზღვარზე ზემოთ ამოსაწევად, უკვე გაანგარიშებულია და სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამების ფაქტობრივი დანახარჯების ერთ მესამედს შეადგენს. ისიც გასაგებია, რომ დახმარებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალანაზღაურებად ადმინისტრატორთა, კონსულტანტთა და თანამშრომელთა ჯიბეში მიდის. გარდა ამისა, სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამებად რეკლამირებადი დახმარებების ნაწილი ხელში უვარდებათ უფრო მაღალი შემოსავლის მქონე პირებს.[1]

2.უსამართლობა.საქველმოქმედო პროგრამები არსებით უსამართლობას იმით იწვევენ, რომ თანაბრად გაჭირვებული ადამიანები არაერთნაირ დახმარებას ღებულობენ.

დახმარებათა ოდენობა მნიშვნელოვნად. განსხვავებულია. ისინი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ შტატში ცხოვრობს ოჯახი და რომელ დემოგრაფიულ და ოჯახურ კატეგორიაში შედის იგი. გეოგრაფიული განსხვავებები უწინარეს ყოვლისა იმიტომ წარმოიშობა, რომ დახმარებები (სახელმწიფო) ორი მთავარი პროგრამით, არასრული, ბავშვიანი ოჯახების დახმარებისა და მედიკეიდის პროგრამით-ძირითადად შტატების მიერ კონტროლდება. ამის შედეგად წარმოიშობა მკვეთრი განსხვავება დახმარებათა ოდენობაში უფრო ღარიბ სასოფლო და უფრო მდიდარ საქალაქო

1.Thomas Sowel.Markets and Minorities.New York:Basic Books.Inc..Publishers,1981.გვ.122.

რაიონებს შორის.[1]

ამიტომ, ოჯახებისადმი დახმარება ნიუ-იორკში შეიძლება ორჯერ მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე მისისიპში. უფრო მეტიც, ეს სისტემა შერჩევით კონტროლდება, ამიტომ ზოგიერთი დაბალშემოსავლიანი ოჯახი "მხედველობის არედან ამოვარდება",ხოლო სხვები ისეთი შელავათებით სარგებლობენ რისი უფლება არც კი აქვთ.

3.შრომითი საქმიანობის სტიმულები.მთავარი კონტრარგუმენტი ისაა, რომ შემოსავლის დონეთა შენარჩუნების პროგრამები შრომის სტიმულებს ასუსტებენ. ეს სინამდვილეს შეეფერება, ვინაიდან ყველა საქველმოქმედო პროგრამა იმნაირადაა აგებული, რომ გამომუშავებულ შემოსავალში დოლარის ღირებულება ნაკლებია, ვიდრე წმინდა შემოსავალში. როდესაც ჯამაგირები იზრდება, დახმარებები მცირდება. ცალკეულმა ადამიანმა ან ოჯახმა, რომელიც შეღავათებს რამდენიმე საქველმოქმედო პროგრამით ღებულობს, შეიძლება მიიჩნიოს-დახმარებათა ხელფასთან შედარებისას, გადასახადების გამოქვითვის შემდეგ-რომ მათი მდგომარეობა აბსოლუტური გამოხატულებით გაუარესდება, თუ ისინი იმუშავებენ. მართლაც, გამომუშავებული შემოსავლის ნამატზე ხღვრული საგადასახადო განაკვეთი 100%-ს აჭარბებს!

არსებობს სხვა კრიტიკული შენიშვნაც. უნაღდო ანაზღაურებები სამომხმარებლო არჩევანის თავისუფლების შემაფერხებელია .საქ-ველმოქმედო პროგრამები ინიციატივას ასუსტებენ და სტიმულს სხვის კმაყოფაზე ყოფნას აძლევენ. არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამა ზოგ შტატში ხელს უწყობს ოჯახის დაშლას, რამდენადაც იგი სტიმულს აძლევს უმუშევარი მამების ოჯახიდან წასვლას, რათა ცოლმა და შვილებმა დახმარება მიიღონ. ეს პროგრამა დახმარებას სთავაზობს ქორწინებისგარეშე ბავშვებს; დედების თითქმის ნახევარს, რომლებიც შეღავათს აღნიშნული პროგრამით ღებულობენ, ქორწინებისგარეშე შვილები ჰყავთ. მრავალი საქველმოქმედო პროგრამა სოციალურ გათიშულობას აძლიერებს მომუშავეებსა და დახმარების მიმღებებს შორის. მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვების დედებმა შეიძლება დასვან კითხვა, უქონელმა დედებმა ასევე რატომ არ უნდა გამოიმუშავონ ფული.

1.Economic Report of the President. 1978& გ.ე 225-226.

სისტემის გარდაქმნის წინადადებები

კრიტიკული შენიშვნების ამ სიმრავლემ სახელმწიფო დახმარების სისტემის რეფორმირების მოწოდებები წარმოშვა. მარიალია წამოყენებული იყო ცვლილებათა მრავალრიცხოვანი ფორმები, მაგრამ უფრო მეტად ჭარბობდა ორი მთავარი მიდგომა:ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი და შრომით საქმიანობაზე გადასვლის წახალისების გეგმები.

ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი

ერთ-ერთი წინადადება ისაა, რომ არსებული საქველმოქმედო პროგრამების მთელი მრავალფეროვნება ნეგატიური საშემოსავლო გადასახადით (ნსგ) შეიცვალოს. მისი არსი ისაა, რომ ახლანდელი პოზიტიური საშემოსავლო გადასახადის ანალოგიურად, რომლითაც ოჯახები მთავრობის "სუბსიდირებას" ახდენენ, მათი შემოსავლის

ცხრილი 37-5. ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი:სამი გეგმა(ჰიპოთეზური მონაცემები ოთხსულიანი ოჯახისათვის;დოლ.

N1 გეგმა (8000 დოლ.გარანტ.შემოს.და დახმარების შემცირების 50%-იანი კოეფიციენტი.)			N2 გეგმა (8000 დოლ.გარანტ.შემოს.და დახმარების შემცირების 25%-იანი კოეფიციენტი.)			N3 გეგმა (12000 დოლ.გარანტ.შემოს.და დახმარების შემცირების 50%-იანი კოეფიციენტი.)		
ჯამაგირი	ნსგ-ის სუბსიდია	საერთო შემოსავალი	ჯამაგირი	ნსგ-ის სუბსიდია	საერთო შემოსავალი	ჯამაგირი	ნსგ-ის სუბსიდია	საერთო შემოსავალი
0	8000	8000	0	8000	8000	0	12000	12000
4000	6000	10000	8000	6000	14000	8000	8000	16000
8000	4000	12000	16000	4000	20000	16000	4000	20000
12000	2000	14000	24000	2000	26000	24000*	0	24000
16000*	0	16000	32000*	0	32000			

* შემოსავალი,რომელიც მთლიანად საკმარისარებლო საჭიროებაია დასაფინანსებლად გამოიყენება, და გარანტირებული შემოსავლის, დახმარების კოეფიციენტზე გაყოფით განისაზღვრება.

განსაზღვრულ დონეზე ზეეით აწევისას-მთავრობამ ოჯახების სუბსიდირება უნდა მოახდინოს, მათთვის ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის გადახდით, განსაზღვრულ დონეზე დაბლა შემოსავლების დაცემისას.

გეგმების შედარება. მოდით განვიხილოთ ნეგატიური საშემო-საველო გადასახადის გეგმის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი.ჯერ-ერთი, ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის გეგმა ითვალისწინებს გარანტირებულ ყოველწლიურ შემოსავალს, რომლის ქცევითაც ოჯახის შემოსავალი არ უნდა დაეცეს. მეორე, ეს გეგმა მოიცავს დახმარების შემცირების კოეფიციენტს, რაც მიუთითებს, თუ რა თანხით მცირდება ანუ "იკარგება" დახმარება ჯამაგირის არსებობის პირობებში. განვიხილოთ N1 გეგმა, 37-5 ცხრილში მოტანილი სამი ვარიანტიდან. ამ გეგმით გარანტირებული ყოველწლიური შემოსავალი 8 ათ. დოლარია, ხოლო დახმარების შემცირების კოეფიციენტი 50% .მაშასადამე, თუ ოჯახს არანაირი შემოსავალი არ გააჩნია, იგი ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის პრინციპის შესაბამისად სუბსიდიას 8 ათ. დოლარს მიიღებს. თუ იგი 4 ათ.დოლარს გამოიმუშავებს, მაშინ სუბსიდიებიდან 2 ათ. დოლარს დაკარგავს (ე.ი. 4 ათ.დოლ. ჯამაგირის 50%) და მისი საერთო შემოსავალი 10 ათ. დოლ. (4 ათ.დოლ.ჯამაგირი +6 ათ .დოლ. დახმარება) იქნება. თუ გამომუშავებულია 8 ათ.დოლ., მაშინ სუბსიდია შემცირდება 4 ათ. დოლარამდე და ა.შ. ჩაინიშნეთ, რომ 16000 დოლ. ჯამაგირის შემთხვევაში სუბსიდია ნულზე დაიყვანება. გამომუშავებულ შემოსავალს, რამაც ისეთ დონეს მიაღწია, როცა სუბსიდია არ გაიცემა,ხოლო ნორმალური (პოზიტიური) საშემოსავლო გადასახადი ჯამაგირის შემდგომი ნამატიდან ამოიღება,ეწოდება შემოსავალი,რომელიც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება.

მაგრამ N1 გეგმა შეიძლება გავაკრიტიკოთ იმისათვის, რომ 50%-იანი კოეფიციენტი ძალზე მაღალია და ამიტომ ვერ უზრუნველყოფს შრომის საკმაო სტიმულებს.ამიტომ, N2 გეგმაში გარანტირებული 8 ათ. დოლ. შემოსავალი შენარჩუნებულია, ხოლო დახმარების შემცირების კოეფიციენტი 25%-ია.მაგრამ, ჩვენ ვხედავთ, რომ შემოსავლის დონე, რაც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება, 32 ათ დოლარამდე გაიზრდება და ოჯახების უფრო მეტი რაოდენობა მიიღებს ნეგატიური საშემოსავლო

გადასახადის პროგრამით სუბსიდიებით სარგებლობის უფლებას. უფრო მეტიც, ოჯახი ახლა ამ სუბსიდიებს მეტი რაოდენობით მიიღებს ნებისმიერი ჯამაგირის დროს. ამ ორი მიზეზით დახმარების შემცირების კოეფიციენტის დაცემა, რაც შრომის სტიმულების გაძლიერებასეა მიმართული ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის გეგმის დანახარჯების გადიდებას გამოიწვევს.

N1 და N2 გეგმების შესწავლით, სხვა ოპონენტმა შეიძლება თქვას, რომ ყოველწლიური გარანტირებული შემოსავალი მათში ძალზე დაბალია სიღარიბიდან ოჯახის გამოსაყვანად. ამიტომ N3 გეგმაში გარანტირებული ყოველწლიური შემოსავალი 12 ათ. დოლარამდე იზრდება, ხოლო დახმარებათა შემცირების კოეფიციენტი შენარჩუნებულია ისეთივე, როგორც N1 გეგმაში, ე.ი. 50%. მართალია N3 გეგმა,უდაოდ,უკეთ ესადაგება ღარიბთა შემოსავლის გადიდების ამოცანის გადაჭრას, მაგრამ იგი, იმავდროულად შემოსავლის გადიდებას იწვევს, რაც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება და ამიტომ ამ გეგმის დანახარჯები იზრდება. უფრო მეტიც, თუ ავიღებთ 12 ათასი დოლ. გარანტირებულ შემოსავალს N3 გეგმიდან და N2 გეგმიდან დახმარებათა 25%-იან კოეფიციენტს შევინარჩუნებთ, შრომითი საქმიანობის სტიმულის გასაძლიერებლად, მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოყენებული შემოსავალი აიწევს 48 ათ. დოლარამდე, რაც ნეგატიურ საშემოსავლო გადასახადზე დანახარჯების კიდევ უფრო მეტ გადიდებას გამოიწვევს.1

მიზნები და წინააღმდეგობები. ამ სამი გეგმის შედარებით უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ შემოსავლების დონის შენარჩუნების "იდეალური გეგმის" მიზნები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და

1.ალბათ, დაინტერესებული მკითხველი უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფიქსირებული გარანტირებული შემოსავლის დროს უკუდამოკიდებულება შეინიშნება შემოსავლის დონესა, რომელიც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება ,და დახმარებათა შემცირების კოეფიციენტს შორის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შემოსავალი, რომელიც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება, გარანტირებული შემოსავლის დახმარებათა შემცირების კოეფიციენტზე განაყოფის ტოლია. მაშასადამე, N1 გეგმისათვის-8 ათ .დოლ.:0,50 დოლარზე უდრის 16 ათ.დოლარს. შეგიძლიათ თუ არა გეჩვენოთ, რომ დახმარების შემცირების ფიქსირებული კოეფიციენტის დროს პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს შემოსავლის დონესა, რომელიც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება და გარანტირებულ შემოსავალს შორის?

კომპრომისულ გადაწყვეტას მოითხოვენ. ჯერ ერთი,გეგმა ეფექტიანი უნდა იყოს სიღარიბიდან ოჯახის გამოყვანის საქმეში. მეორე, მან შრომითი საქმიანობის საკმარისი სტიმულები უნდა უზრუნველყოს. მესამე, ამ გეგმის ღირებულება ზომიერი უნდა იყოს. 37-5 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ეს სამი ამოცანა ერთმანეთს ეწინააღმდეგება და საჭიროა კომპრომისები და დათმობები. N1 გეგმა დაბალი გარანტირებული შემოსავლით და დახმარებათა შემცირების მაღალი კოეფიციენტით იაფია. მაგრამ დაბალი გარანტირებული შემოსავალი ნიშნავს, რომ იგი ძალზე ეფექტიანი არაა სიღარიბის მოსასპობად, ხოლო დახმარებების შემცირების

მაღალი კოეფიციენტი ასუსტებს შრომითი საქმიანობის სტიმულებს. N1-თან შედარებით, N2 გეგმა მოიცავს დახმარებათა შემცირების უფრო დაბალ კოეფიციენტს და, მაშასადამე, შრომითი საქმიანობის უფრო ძლიერ სტიმულებს. მაგრამ იგი უფრო ძვირია, ვინაიდან, შემოსავლის დონე, რაც მთლიანად სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად გამოიყენება ამ გაგებით უფრო მაღალია, და ამიტომ ოჯახების უფრო მეტი რაოდენობა იღებს დახმარებებს. N1 გეგმასთან შედარებით N3 უფრო მაღალ გარანტირებულ შემოსავალს შეიცავს, და იგი, ცხადია, უფრო ელასტიურია სიღარიბის ლიკვიდირებისათვის. მართალია, შრომის სტიმულები იგივეა, რაც N1 გეგმაში, მაგრამ უფრო მაღალი გარანტირებული შემოსავალი მას უფრო აძვირებს. პრობლემა ისაა, რომ მოიძებნოს ისეთი მაგიური სიდიდეები, რომლებიც უზრუნველყოფდა "გვარიან"გარანტირებულ შემოსავალს, შეინარჩუნებდა შრომითი საქმიანობის "გონივრულ" სტიმულებს და "მისაღებ" დანახარჯებს გამოიწვევდა. სახელმწიფო დახმარების პროგრამების უმეტესობაზე უარისთქმა ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის სასარგებლოდ, შესაძლოა გააუმჯობესებს მთელს სისტემას, მაგრამ ეს უკანასკნელი აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით და იგი პანაცეად არ უნდა ჩავთვალოთ. მართლაც,უკანასკნელ წლებში რეფორმაზე მუშაობა ამ სისტემიდან სხვა მიმართულებით წავიდა.

შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირების გეგმები

როგორი მაცდურიც არ უნდა იყოს ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი, პოლიტიკური რეალობები ისეთია, რომ სისტემაში შემოსავლების ნაწილობრივი ცვლილებების შენარჩუნება უფრო

უკეთესია. პრაქტიკულად, კრიტიკულ შენიშვნაია უმეტესობა არასრული, უშვილო ოჯახების დახმარებაზე მოდის. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ჯერ-ერთი, როგორც უკვე ითქვა, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ოჯახის დაშლას. მეორე, ამტკიცებენ, რომ ეს პროგრამა სტიმულს ან უკიდურეს შემთხვევაში სუბსიდიებს აძლევს კანონგარეშე ბავშვების დაბადებას. მესამე, პროგრამის ზოგიერთი მოწინააღმდეგეები ლაპარაკობენ, რომ იგი ხელს უწყობს "სიღარიბის კულტურის" განვითარებას, როცა სიღარიბე ცხოვრების წესი ხდება და თაობიდან თაობას "გადაეცემა". მეოთხე, რამდენადაც საშუალო კლასის წარმომადგენელი ბავშვიანი ქალების უმეტესობა დასაქმებულია, წარმოიშობა საერთო აზრი, რომ დედებმა, რომლებიც ღარიბ ფენებს მიეკუთვნებიან და არასრულ,ბავშვიან ოჯახებზე დახმარების პროგრამით შეღავათებს ღებულობენ, ასევე უნდა გამოიმუშაონ თავიანთი სარჩო. დაბოლოს, მცდარი საზოგადოებრივი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დახმარებას ღებულობს ზანგების არაპროპორციულად დიდი რაოდენობა, ხელს უშლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს (თეთრკანიანებს) განიმსჭვალონ მათი პრობლემებითა და მდგომარეობით.

ამ კრიტიკულმა შენიშვნებმა შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირების მრავალი გეგმა წარმოშვა, რომლებსაც "დახმარებიდან შრომისაკენ"გადასვლის გეგმები ეწოდებათ. ეს გეგმები მოწოდებულია შეცვალონ არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამა,მუშაობის, პროფესიული სწავლების,განათლების ფართო შესაძლებლობების შეთავაზებით და დაეხმარონ, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მოითხოვონ. კიდევაც, რომ დახმარების მიმღებებმა უარი თქვან სახელმწიფო დახმარებაზე და ხელი მოკიდონ შრომით საქმიანობას. დახმარებათა მიმღებებს, რომლებმაც ხელი მოკიდეს სწავლას და მუშაობას, ასევე მიეცემათ სუბსიდიები ბავშვების შესანახად და სატრანსპორტო ხარჯებისათვის. ბრის ამ საერთო მიდგომის კიდევ ერთი ასპექტი: დედების მიერ მიტოვებული ბავშვების შენახვის ხარჯები, მიუხედავად ქორწინებაში, ყოფნისა, მათი ხელფასიდან უნდა გამოიქვითოს.

ზოგიერთმა შტატმა საკმაოდ წარმატებით გადაჭრა სიღარიბის პრობლემა- "დახმარებიდან შრომაზე"გადასვლის პროგრამის მეშვეობით. ამ შტატების წარმატებამ უზრუნველყო არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამის რადიკალური გადასინჯვის მხარდაჭერა ეროვნული მასშტაბით. 1988წ. ბოლოს კონგრესმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა. 1988წ.

კანონს ოჯახებზე დახმარების შესახებ, რასაც უფრო ხშირად საქველმოქმედო სისტემის რეფორმის შესახებ 1988წ. კანონს უწოდებენ. ეს მნიშვნელოვანი კანონი მოიცავს დებულებებს შრომით საქმიანობაზე გადასვლის შესახებ და ამ თავის "ბოლო შტრიხის" თემაა.კანონის მომხრეები ვარაუდობენ, რომ მას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია "სილარიბის კულტურისათვის" ე.ი. ისეთი მდგომარეობის მოსპობაში, როდესაც სკოლისათვის თავის მინებება, ბავშვის დაბადება და დახმარებებზე გადასვლა ცხოვრების ნორმალური წესი ხდება მოსახლეობის ნაწილისათვის.

რეზიუმე

1.აშშ-სათვის დამახასიათებელია პირადი შემოსავლის განაწილების მნიშვნელოვანი უთანასწორობა. ლორენცის მრუდი გრაფიკულად გვიჩვენებს ამ უთანასწორობის ხარისხს.

2.შემოსავლების უთანაბრობა არსებითად შემცირდა 1929წ. და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას შორის პერიოდში. აღწერის მონაცემები გვიჩვენებს, რომ შემოსავლების განაწილება 1987 წ და 1947 წ თითქმის ერთნაირი იყო. მაგრამ 1969 წლიდან უთანაბრობა გაძლიერდა.

3.კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ა) შემოსავლის უფრო ფართო განმარტება და ბ) იმ ფაქტის აღიარება, რომ ცალკეული ოჯახების მდგომარეობა შემოსავლის განაწილების შკალაზე, დროის მანძილზე იცვლება, შემოსავლის ნაკლებ უთანაბრობას განსაზღვრავს,ვიდრე აღწერის მონაცემები.

4.სახელმწიფო გადასახადები და განსაკუთრებით ტრანსფერტული გადასახდელები მნიშვნელოვნად ამცირებენ შემოსავლების უთანაბრობას.

5.უნარის, განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის განსხვავებები, სამუშაო ადგილის არჩევანის უპირატესობები, საკუთრება და ბაზარზე ბატონობა-შემოსავლების უთანაბრობის მიზეზებია.

6.შემოსავლის თანასწორობის სასარგებლოდ მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი მაქსიმალურ სარგებელს იღებს მოცემული შემოსავლიდან. ძირითადი კონტრარგუმენტი ისაა, რომ შემოსავლების თანასწორობას ძირს უთხრის შრომითი საქმიანობის, ინვესტიციების, რისკის სტიმულები და ამით ამცირებს გასანაწილებელი შემოსავლის მოცულობას.

7.მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ადამიანთა 13% სიღარიბეში ცხოვრობს. მართალია, ღარიბი ფენები სხვადასხვაგვარია თავისი შედგენილობით, მაგრამ სიღარიბისაგან ყველაზე მეტად ზარალდება შავკანიანი და ესპანურენოვანი მოსახლეობა, ოჯახები, სადაც მარჩენალი ქალები და მოზარდებია.

8.სიღარიბის დონე არსებითად შემცირდა 1960 და1969 წლებს შორის პერიოდში, ხოლო შემდგომ ათწლეულში თითქმის არ შეცვლილა. იგი მკვეთრად გაიზარდა 1978 და 1983 წლებს შორის, მაგრამ აქედან მოყოლებული, ნელ-ნელა ეცემოდა.

9.შემოსავლების შენარჩუნების ახლანდელი ამერიკული სისტემა შედგება სოციალური დახმარებისა (ხანდაზმულობის, შრომისუუნარობის, ასევე დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა, მედიკერი და უმუშევრობის დახმარება) და სახელმწიფო დახმარების პროგრამებისაგან (სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი პროგრამა, არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარება, სასურსათო პროგრამები და მედიკეიდი).

10.თანამედროვე საქველმოქმედო პროგრამები მკაცრად იქნა გაკრიტიკებული იმის გამო, რომ არაეფექტიანია მართვაში, რომ მათში ჩადებულია უთანასწორობა და ისინი ძირს უთხრიან შრომითი საქმიანობის სტიმულებს. სისტემის რეფორმირების მოთხოვნები, ძირითადში ორ ტიპზე დაიყვანებოდა: ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის შემოღება და შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირება. 1988წ. კონგრესმა მიიღო კანონი ოჯახებზე დახმარების შესახებ, რომელშიც შევიდა არასრული,ბავშვიანი ოჯახების დახმარების სრულყოფილი პროგრამა და შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირების წინადადებები.

ტერმინები და ცნებები

შემოსავლის უთანაბრობა
ლორენცის მრუდი
თანაფარდობა თანასწორობასა (შემოსავლების)
და ეფექტიანობას (ეკონომიკის) შორის
სიღარიბის დონე
ხანდაზმულობის,შრომის უუნარობისა და

დაზღვეული მარჩენალის დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა
მედიკერი
უმუშევრობის დახმარება
სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი პროგრამა
არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარება
სასურსათო ტალონების პროგრამა
მედიკეიდი
ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი
გარანტირებული ყოველწლიური შემოსავალი
დახმარებათა შემცირების კოეფიციენტი
შემოსავალი,რაც მთლიანად გამოიყენება
სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად
შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირების
გეგმები.
ოჯახებზე დახმარების 1988 წ.კანონი

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.რა კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა აღწერის ბიუროს მონაცემების თაობაზე შემოსავლების უთანაბრობის შესახებ? რანაირად და რა ზომით უწყობს ხელს მთავრობა თანაბარ განაწილებას?

2.დავუშვათ, რომ ალი, ბეტი, კეროლი, დეეიდი და ედი შემოსავალს, შესაბამისად, 500, 250, 125, 75, და 50 დოლ. ოდენობით ღებულობენ. ააგეთ ლორენცის მრუდი ასეთი ხუთკაციანი ეკონომიკისათვის და მოგვეცით საჭირო განმარტებები.

3.მოკლედ განიხილეთ შემოსავლების უთანაბრობის მიზეზი. ახსენით, არსებობს თუ არა რაიმე განსხვავება შემოსავლების უთანაბრობის თვალსაზრისით მემკვიდრეობით დატოვებულ საკუთრებასა და ინტელექტუალური განვითარების მემკვიდრეობით დატოვებულ მაღალ კოეფიციენტს შორის?

4.გამოიყენეთ "გახვრეტილი ვედროს" ანალოგია შემოსავლების თანასწორობასა და ეკონომიკის ეფექტიანობას შორის თანაფარდობის განხილვისას. თქვენ როგორ ფიქრობთ ნეგატიურ საშემოსავლო გადასახადს შეუძლია თუ არა "გადენის" (დანაკარგის) შემცირება შემოსავლის დონის შენარჩუნების თანამედროვე ამერიკული სისტემის პირობებში?

5.როგორ უნდა განაწილდეს ეროვნული შემოსავალი საზოგადოების წევრებს შორის: მათი წვლილის შესაბამისად ამ საერთო

შემოსავლის წარმოებაში, თუ მათ საჭიროებებთან დამოკიდებულებით? საზოგადოება უნდა ცდილობდეს შემოსავლების ანუ ეკონომიკური შესაძლებლობების გათანაბრებას? იგივეობრივი არის თუ არა ცნებები "სამართლიანობა" და"თანასწორობა" შემოსავლების განაწილებისას? რამდენად სამართლიანია შემოსავლების უთანაბრობა, თუ კი იგი საერთოდ შეიძლება იყოს სამართლიანი?

6.მოგვეცით შემდეგი ნაწყვეტის დაწვრილებითი ანალიზი: "არ უნდა გავაკეთოთ არჩევანი თანასწორობასა და ეფექტიანობას შორის."ეფექტიანმა" ეკონომიკამ შემოსავლების ისეთი განაწილებით, რომელსაც იგი არასამართლიანად მიიჩნევს, შეიძლება გამოიწვიოს, რომ მცირე შემოსავლის მიმღებმა ნაწილმა ყოველგვარი იმედი დაკარგოს და უკეთესი მომავლისაკენ ლტოლვა მიატოვოს. მაშასადამე, ეფექტიანობას ძირი გამოეთხრება. შემოსავლის უფრო სამართლიანმა განაწილებამ შეიძლება საშუალო მწარმოებლურობის უფრო მაღალი დონე გამოიწვიოს და ამით ეკონომიკის ეფექტიანობა გაზარდოს. თუ ადამიანებმა იციან, რომ ისინი წმინდა ეკონომიკურ თამაშს თამაშობენ, და ეს რწმენა მათ უკეთ მუშაობისათვის შეაგულიანებს, მაშინ ეკონომიკა შემოსავლის სამართლიანი განაწილებითაც შეიძლება ეფექტიანი იყოს.

7.კომენტარი გაუკეთეთ ან ახსენით: ა)"თუ ყველას ყველას ერთნაირი შემოსავალი ექნება,ცხადია,ეს არ გამოიწვევს სიხარულისა და კმაყოფილების ერთნაირ გრძნობას." ბ)"თანასწორობა-უმაღლესი სიკეთეა;რაც უფრო მდიდარი ვხდებით მით მეტი თანასწორობის უფლება შეიძლება მივცეთ საკუთარ თავს". გ)"ბრბო დაესევა პურს და მის მისაღებად ,ჩვეულებრივ,პურის საცხობებს ანგრევს". დ)"ამერიკულ საქველმოქმედო სისტემაში ჩვენ ვემხრობით უცნაურ თვალსაზრისს:ქირავნობით მუშაობა და დახმარების მიღება ურთიერთს გამორიცხავენ".ე)"საბოლოო ანგარიშით,ზოგიერთი თავისუფლება შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს,ვიდრე ყოველი ადამიანის გაჭირვებისაგან გათავისუფლება". ვ)"კაპიტალიზმი და დემოკრატია,მართლაც ქმნიან ყველაზე წარმოუდგენელ შეხამებას.შესაძლოა ამიტომ სჭირდებიან ისინი ერთმანეთს,რომ,რაიმე რაციონალური მარცვალი შეიტანონ თანასწორობის,და რაღაც ადამიანურობის ეფექტიანობის ცნებაში ".

8.რაში მდგომარეობს არსებითი განსხვავება სოციალური დახლვევისა და სახელმწიფო დახმარების პროგრამებს შორის? როგორია ძირითადი კრიტიკული შენიშვნები შემოსავლის დონის შენარჩუნების ამერიკული სისტემის მიმართ?

9.ქვემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია საშემოსავლო გადასახადის სამი გეგმა. ა) თითოეული გეგმისათვის განსაზღვრეთ ძირითადი დახმარების სიდიდე, დახმარების შემცირების კოეფიციენტი, და შემოსავალი, რომელიც მთლიანად გამოიყენება სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად. ბ) რომელი გეგმაა ყველაზე ძვირადღირებული? ყველაზე იაფი? რომელი გეგმა უფრო მეტად უწყობს ხელს სიღარიბის შემცირებას? რომელი ყველაზე ნაკლებად? რომელი გეგმა ყველაზე უფრო ასუსტებს შრომითი საქმიანობის სტიმულებს? რომელი ყველაზე ნაკლებად?

გ) გამოიყენეთ საკუთარი პასუხები ბ) პუნქტის კითხვებზე და კომენტარი გაუკეთეთ შემდეგ მტკიცებას: "ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის დილემა შემდეგში მდგომარეობს: არ შეიძლება, ერთი მხრივ, ოჯახები სიღარიბის დონეზე მაღლა ამოსწიო და, მეორე მხრივ, იმავდროულად შრომითი საქმიანობის სტიმულები შეინარჩუნო და მინიმუმამდე დაიყვანო პროგრამის ღირებულება".

N1 გეგმა			N1 გეგმა			N1 გეგმა		
ჯამაგირი (დოლ)	ნსმ-ს სუბსიდია (დოლ)	მთლიანი შემოსავალი (დოლ)	ჯამაგირი (დოლ)	ნსმ-ს სუბსიდია (დოლ)	მთლიანი შემოსავალი (დოლ)	ჯამაგირი (დოლ)	ნსმ-ს სუბსიდია (დოლ)	მთლიანი შემოსავალი (დოლ)
0	4000	4000	0	4000	4000	0	8000	8000
2000	3000	5000	4000	3000	7000	4000	6000	10000
4000	2000	6000	8000	2000	10000	8000	4000	12000
6000	1000	7000	12000	1000	13000	12000	2000	12000

10.ბავშვის მამა ვალდებულია შეინახოს იგი, მიუხედავად იმისა დაქორწინებულია თუ არა იგი მის დედაზე. გარდა ამისა, იმავდროულად

1.Andrew Schotter.Free Market Economics New York:St.Martin's press.1985.ud.30-31

შრომითი საქმიანობის სტიმულები შეინარჩუნო და მინიმუმამდე დაიყვანო პროგრამის ღირებულება".

შრომისუნარიანი მარტოხელა დედა ვალდებულია იმუშაოს, რათა თავისი ბავშვი შეინახოს. თქვენ ეთანხმებით ამას? როგორ ჩავრთოთ ეს "პრინციპები" საქველმოქმედო პროგრამაში. რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას რეალურ ცხოვრებაში ასეთი პროგრამის გატარებისას?

ბოლო შტრიხი

საქველმოქმედო სისტემის რეფორმა: ოჯახებისადმი დახმარების 1983წ.კანონი

ამასწინათ ფედერალურმა მთავრობამ ცვლილებები შეიტანა არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამაში, რათა უზრუნველყოს ისინი, ვისაც სახელმწიფოს დახმარება სჭირდება კომპლექსური შესაძლებლობებით, სწავლების, ბავშვის მოვლისა და სამედიცინო მომსახურების პირობების ჩათვლით და სტიმული მისცეს მათ გადასვლას შრომით საქმიანობაზე. როგორია ამ კანონის ძირითადი დებულებები? რას ამბობენ ამ კანონის შესახებ მისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები?

ოჯახებისადმი დახმარების 1988წ. კანონი, მოწმობს, ამერიკის საქველმოქმედო სისტემის ყველაზე უფრო ფართო რეფორმაზე უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. ეს კანონი რთულია და დაწვრილებით შემუშავებული; აქ მოცემულია მის ძირითად დებულებათა მოკლე მიმოხილვა.[1]

1.პროგრამა"სამუშაო ადგილები და ძირითადი პროფეს-იები".თითოეულმა შტატმა უნდა შეიმუშაოს "სამუშაო ადგილებისა და ძირითად პროფესიათა" (საძპ) პროგრამა, რომლითაც არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამით მშობლებს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს საერთო განათლება, აიმაღლოს კვალიფიკაცია, გაიაროს

1.ეს მოკლე მიმოხილვა საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციებს ეყრდნობა.

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები; გათვალისწინებულია ასევე პროფესიული სწავლება,შრომითი საქმიანობისადმი მზადება და სამუშაოზე მოწყობა. შტატებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვთა შენახვის დახმარებები და სამუშაო ადგილები და ძირითადი პროფესიების პროგრამის მონაწილეთა სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება.

2.**გამონაკლისები.** დედები, რომლებიც დახმარებას არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამით ღებულობენ, და რომელთაც სამ ან ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მოცემული შტატის გადაწყვეტილებით) ამ კანონის მოქმედების დიაპაზონში არ ხვდებიან. გამონაკლისია ასევე ორსული ქალები, ორსულობის ოთხი თვიდან დაწყებული, 16 წლამდე ასაკის მოსწავლეები და მშობლები, რომელთა დახმარება აუცილებელია სახლში, ავადმყოფების ან ოჯახის შრომისუუნარო წევრთა მოვლისათვის.

3.**შტატების ფედერალური სუბსიდიები.** ფედერალური მთავრობა ცალკეულ შტატებს თანაბრად აძლევს სუბსიდიებს საძპ-ის პროგრამის დანახარჯების დასაფარავად.

4.**შტატების სხვა მომსახურებები.** შტატებმა, როგორც მინიმუმი, დამატებით კიდევ ორი მომსახურება უნდა შესთავაზონ შემდეგი სიიდან: სამუშაოს ძიებაში დახმარება, სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, დასაქმების უზრუნველყოფა საზო-გადოებრივ სამუშაოებზე ან ხელფასის სუბსიდირება იმათთვის, ვინც დახმარებაზე ცხოვრებას მიატოვებს და მუშაობას დაიწყებს.

5.**საშუალო სკოლის დამთავრება.** 20 წელზე ნაკლები ასაკის მშობლები, რომლებიც დახმარებით ცხოვრობენ, ვალდებული არიან საშუალო ან მასთან გათანაბრებული სკოლის დამთავრების ატესტატი აიღონ.

6.**ბავშვების დახმარება გარდამავალ პერიოდში და მედიკერის პროგრამა.** 1990 წ. აპრილიდან შტატებმა ბავშვებს დახმარებები უნდა გაუწიონ და უნდა უზრუნველყონ იმ ოჯახების

სამედიცინო მომსახურება, რომლებიც დახმარებებზე ცხოვრებას წყვეტენ და მუშაობას იწყებენ. ამოცანა იმაშია, რომ დახმარებიდან შრომით საქმიანობაზე გადასვლა შემსუბუქდეს და ამით დახმარებით ცხოვრების გაგრძელების მცდელობა შესუსტდეს.

7.საქველმოქმედო დახმარებები სრულ,ბედნიერ ოჯახებზე.1990 წლიდან დაწყებული შტატებმა უნდა უზრუნველყონ ცალკეული სრული ოჯახები, როდესაც ოჯახის მთავარი მარჩენალი უმუშე-ვარი რჩება. ამ ღონისძიებების მიზანი ოჯახის დაშლის დაბრკო-ლების შექმნაა, რასაც ხელს უწყობდა არასრული, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამა. როდესაც ოჯახებისადმი დახმარების კანონს იღებდნენ, 24 შტატი არასრულ, ბავშვიან ოჯახებზე დახმარების პროგრამით მხოლოდ არასრულ ოჯახებს ეხმარებოდა.

8.მომუშავეებზე დახმარება.1994 წლიდან დაწყებული, სრული, ბედნიერი ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც საქველ-მოქმედო დახმარებას იღებდა, ვალდებული იყო კვირაში 16 საათით უფასოდ ემუშავა შტატის მიერ შემოთავაზებულ სამუშაოზე.

9.მისაცემლების შეწყვეტა ბავშვების შენახვაზე. ოჯახებისადმი დახმარების კანონი იმ მშობელთა პასუხისმგებ-ლობას აძლიერებს,რომლებმაც თავიანთი შვილები დატოვეს. 1994 წლიდნ დამქირავებლებს წინადადება ეძლევათ გადასახ-დელები დააკავონ ბავშვების შესანახად,მათი დამტოვებელი მუშების ხელფასიდან.

10.დანახარჯები. გაანგარიშებულია, რომ დასახული ღონისძიებები ფედერალურ მთავრობას პირველი ხუთი წელიწადი 3,3 მლრდ დოლ. დაუჯდება. იმდენად, რამდენადაც ყველაზე უფრო ძვირი ღონისძიებები თანდათანობით იქნება შემოღებული, იგულისხმება, რომ დანახარჯები 6,8 მლრდ დოლარს მიაღწევს პირველი შვიდი წლის მანძილზე.

ოჯახების დახმარების კანონის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ამ კანონის თანახმად, არასრულ, ბავშვიან ოჯახებზე დახმარების პროგრამით გათვალისწინებული პირდაპირი მისაცემლები შეიძ-ლება უფრო ქმედითი ღონისძიებებით

შეიცვალოს, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიულ მომზადებას, დახმარების სხვადასხვა ფორმებს და იმ მშობლების შრომით საქმიანობაზე გადასვლას, რომლებიც დახმარებას იღებდნენ. ოჯახებზე დახმარების კანონი, აღნიშნავენ მისი მომხრეები, ადამიანებს დაეხმარება თავიანთი თავისა და ოჯახების სიღარიბისა და დახმარებების სამყაროდან გამოგლეჯაში. ისინი, ასევე მიიჩნევენ, რომ ეს კანონი ოჯახებს განამტკიცებს, ვინაიდან უმუშევარ მამას ოჯახის დატოვების სურვილი არ გაუჩნდება,საქველმოქმედო დახმარების მიღების საბაბით.

ამ კანონის ზოგიერთი მოწინააღმდეგე ამტკიცებს, რომ ახალ პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით ფედერალურ ხარჯებს, თითქოს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, თუკი ისინი უბრალოდ გამოყენებული იქნებოდა არასრული, ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამით არსებული ფულადი დახმარებების გადიდებისათვის. ისინი ასევე უარს ამბობენ იმის საწინააღმდეგოდ, რომ ამ კანონით მშობლები ვალდებული არიან რომ სწავლის გამო დედები მოწყვეტილი იქნებიან ბავშვებისაგან, ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების პერიოდში და იმითაც,რომ სავალდებულო შრომა დამსჯელ და დამამცირებელ ხასიათს ატარებს.

ჩარლზ მურეი, ვინც ოჯახებზე დახმარების კანონს კონსერ-ვატიული პოზიციებიდან აკრიტიკებდა, ამტკიცებდა, რომ იგი დანახარჯების გადიდებას გამოიწვევს დახმარებებზე. სამუშაოს დაკარგვით ზოგიერთ მარტოხელა დედებს დახმარებაზე გადასვლის მეტი სტიმული ექნებათ, ვიდრე, მაშინათვე შეუდგნენ მეორე სამუშაოს, თუ კი იგი გამოიძებნება. ეს მათ საშუალებას მისცემს, ახალი სამუშაოს გამოჩენისთანავე დახმარების უფლება მიიღონ გარდამავალ პერიოდში დახმარების პროგრამებიდან და მედიკეიდიდან. გარდა ამისა, ზოგიერთ მუშას თავის სასარგებლოდ შეუძლია სამუშაოს "დაკარგვა", როდესაც ამ პროგრამებით დახმარებათა მიღების ვადა ამოიწურება. ამგვარად, ისინი ისევ დაიწყებენ საქველმოქმედო დახმარებათა მიღებას, რაც თავის მხრივ, მათ უფლებას მისცემს გარდამავალი პერიოდისა და მედიკეიდის

პროგრამებით დახმარებაზე, ახალი სამუშაოს მოძებნიდან ერთი წლის განმავლობაში.

მაგრამ, ამ კრიტიკული შენიშვნის მიუხედავად, ოჯახებზე დახმარების კანონის განხილვისას კონგრესი იმ საერთო დასკვნამდე მივიდა, რომ კანონი სარგებლობას იმათ მოუტანს, ვისაც დახმარება სჭირდება და ქვეყნის ძირითადი საქველმოქმედო პროგრამებისადმი საზოგადოებრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

თავი ოცდამეთვრამეტე

სამუშაო ძალის ბაზრის პრობლემები: პროფკავშირული მოძრაობა, დისკრიმინაცია და იმიგრაცია[1]

ამ თავში ჩვენ შევეხებით სამუშაო ძალის სამ მთავარ პრობლემას:პროფკავშირულ მოძრაობას, დისკრიმინაციას და იმიგრაციას. თუმცა ეს პრობლემები ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არ არიან, მაგრამ ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია თავისთავად. ამ თავის საკმაოდ დიდი ნაწილი მიძღვნილია ორგანიზებული სამუშაო ძალის, კოლექტიური ხელშეკრულებებისა და პროფკავშირული მოძრაობის ეკონომიკური შედეგების საკმაოდ დაწვრილებითი განხილვისადმი. როგორია პროფკავშირული მოძრაობის წარსულში ზრდისა და ახლანდელი დაქვეითების მიზეზები? რა გავლენას ახდენენ პროფკავშირები ხელფასზე, ეფექტიანობასა და მწარმოებლურობაზე,შემოსავლების განაწილებასა და ინფლაციაზე? შემდგომ ჩვენ მიუბრუნდებით სამუშაო ძალის ბაზრის მეორე მნიშვნელოვან ასპექტს და განვიხილავთ დისკრიმინაციის პრობლემას. როგორია დისკრიმინაციის მასშტაბები და მისი დანახარჯები? დაბოლოს, ჩვენ განვიხილავთ აშშ-ში უცხოელი მუშების იმიგრაციის პრობლემას. რამდენი ადამიანი ცხოვრობს ყოველწლიურად ლეგალურად და არალეგალურად აშშ-ში. როგორია ასეთი მოზღვავების ეკონომიკური შედეგები?

ამერიკული პროფკავშირული მოძრაობის მოკლე ისტორია

თითქმის 17 მლნ მუშა (სამუშაო ძალის 14,5%), პროფკავშირის წევრია. მაგრამ შიშველი სტატისტიკა, ალბათ ვერ შეაფასებს

1.ლექტორის არჩევანის მიხედვით ამ თავის სამივე თემა შეიძლება ცალ-ცალკე იქნას განხილული.

პროფკავშირების მნიშვნელობას. ხელფასის განაკვეთები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მუშაობის პირობები ფირმებსა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, რომლებიც მოცული არაა პროფკავშირებით,პროფკავშირებით მოცული დარგების ანალოგიური მახასიათებლების ზეგავლენას ექვემდებარება.პროფკავშირები ამერიკული კაპიტალიზმის უდაოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

მოდით, გავაანალიზოთ მუშათა მოძრაობა აშშ-ში. ამისათვის საჭიროა განვიხილოთ სახელმწიფო პოლიტიკა პროფკავშირებში გაერთიანებული მუშების მიმართ, რამდენადაც შრომითი კანონმდებლობა და პროფკავშირების ზრდა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ამერიკაში მუშათა მოძრაობის მიმართ ეროვნული პოლიტიკის დამოკიდებულების თვალსაზრისით გამოყოფენ სამ ეტაპს: მუშათა მოძრაობის ჩახშობის (1790-1930წწ.), მისი მხარდაჭერის (1930-1947წწ.) და მუშათა მოძრაობაში ჩარევის (1947 წლიდან დღემდე) ეტაპებს. მართალია ეს ქრონოლოგია გარკვეული ზომით პირობითია, მაგრამ აღნიშნული სამი ფაზა ჩვენი გამოკვლევის საუკეთესო ორიენტირია.

ჩახშობის ფაზა (1790-1930წწ.)

პროფკავშირებს ამერიკაში თითქმის 200 წლის ისტორია გააჩნია. მეწაღლეები, პოლიტიკოსები, მბეჭდაკები და სხვა კვალიფიციური ხელოსნები მეტნაკლებად მუდმივ კავშირებში გაერთიანდნენ 1790-იანი წლების დასაწყისში. როგორც 38-1 ნახაზი გვიჩვენებს,1930-იან წლებამდე პროფკავშირებში გაერთიანება შედარებით ნელა მიმდინარეობდა და სპორადულ ხასიათს ატარებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ასე დიდი ხნის წინათ დაიწყო. ამ პროცესის ნელი განვითარება ორი მიზეზით აიხსნება:1) პროფკავშირების მიმართ სასამართლოთა მტრული დამოკიდებულებით და 2) ამერიკის ბიზნესის მიერ პროფკავშირების აღიარების და მასთან ხელშეკრულების დადებისადმი მკაფიოდ გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებით.

პროფკავშირები და სასამართლოები.1930-იან წლებამდე ფედერალური მთავრობის ურთიერთობა პროფკავშირებთან კანონმდებლურად არ იყო გაფორმებული. რამდენადაც არ არსებობდა პროფკავშირების მიმართ საეროო ეროვნული კურსი, პროფკავშირებსა და ადმინისტრაციას შორის კონფლიქტების გადაჭრის უფლება მინიჭებული ჰქონდათ სასამართლოებს. და,როგორც

წესი,სასამართლოებს მტრული პოზიცია ეჭირათ პროფკავშირების მიმართ, რაც უკანასკნელებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. ასეთ მტრობას ორი მიზეზი გააჩნდა. ჯერ ერთი,მოსამართლეთა უმეტესობა მესაკუთრეთა კლასიდან იყო გამოსული. მეორე,სასამართლოები თავისი ბუნებით კონსერვატული ინსტიტუტებია, რომლებსაც დაკისრებული აქვს საკუთრების დადგენილი უფლებების დაცვა. XIX-ს და XX-ს პირველ ათწლეულებში პროფკავშირები არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ:ისინი ცდილობდნენ მშრომელებისათვის უფლებების მოპოვებას ადმინისტრაციის არსებული უფლებების ხარჯზე.

სასამართლოთა მტრულმა დამოკიდებულებამ პირველად ხორცი შეისხა დანაშაულებრივი შეთანხმების. დოქტრინაში. ეს კონცეფცია, რომელიც XX-ს ბოლოს ამერიკულმა სასამართლოებმა ინგლისური სამოქალაქო სამართლიდან ისესხეს, მუშათა გაერთიანებას ხელფასის მომატების მიზნით დანაშაულებრივ შეთანხმებად, და მაშასადამე, არაკანონიერად აცხადებდა. მართალია, უფრო მოგვიანებით თვით პროფკავშირები სასამართლოთა მიერ კანონიერ ორგანიზაციებად იქნა მიჩნეული, მაგრამ, მათ მიერ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოყენებული მეთოდები-გაფიცვები, პიკეტირებები, და ბოიკოტის გამოცხადება კი-ჩვეულებრივ, უკანონოდ ითვლებოდა. და XX- ს. დასასრულს მოსამართლეები იყენებდნენ, როგორც ანტიტრესტულ კანონებს, ისე სასამართლო მითითებებს მუშათა მოძრაობის შესაფერხებლად.

მართალია, კონგრესმა 1890წ. მიიღო შერმანის კანონი (თავი 34) მონოპოლიათა ზრდის აშკარა ხელის შეშლის მიზნით, მაგრამ სასამართლოები კანონის ბუნდოვანი ფორმულირებების განმარტებისას პროფკავშირების შექმნას დანაშაულებრივ შეთანხმებას უდარებდნენ ვაჭრობის შესაზღუდად და ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამგვარად იყენებდნენ მოცემულ კანონს.

უფრო მარტივი, მაგრამ პროფკავშირების საწინააღმდეგოდ ასევე ეფექტიანი ღონისძიება სასამართლო მითითება იყო. სასამართლო ანუ ამკრძალავი მითითება სასამართლოს განკარგულებაა, რაც ისეთი ქმედების ჩადენას კრძალავს, რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მესამე პირებს. სასამართლოთა დამოკიდებულება პროფკავშირებისადმი ისეთი იყო, რომ დამქირა



ნახ.38-1.პროფკავშირების წევრთა რაოდენობის ზრდა და შემცირება

პროფკავშირის წევრთა რაოდენობის ყველაზე დიდი ზრდა აბსოლუტური გამოხატულებით 1935 წ. შემდეგ მოხდა.მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში პროფკავშირებში ორგანიზებულ მუშათა რაოდენობა შემცირდა პროცენტული შეფარდებით სამუშაო ძალის საერთო რაოდენობასთან,ხოლო უკანასკნელ წლებში შემცირდა აბსოლუტური გამოხატულებითაც (US Bureau of the Census and Bureau of Labor Statistics).

ვებლებს არაფერი უღირდათ სასამართლო მითითების მიღება, რომელიც პროფკავშირებს გაფიცვების, პიკეტირების და ბოიკოტის გამოცხადების დაჟინებით მოთხოვნას უკრძალავდა. ასეთ იარაღს მოკლებული პროფკავშირები, პრაქტიკულად უძლური აღმოჩნდნენ იმ სტატუსისა და უფლებების მისაღებად, რასაც ისინი ელტოდნენ.

შევაჯამოთ:1790-დან 1930 წლამდე სასამართლოები დანაშაულობრივი შეთანხმების დოქტრინას, შერმანის კანონს, სასამართლო მითითებებს, პროფკავშირების ზრდის შესაფერხებლად იყენებდნენ.

ადმინისტრაციის ანტიპროფკავშირული ქმედებები. მეწარმეთა თანამეგობრობამ, რაც თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი პროფკავშირებისადმი, მისი ძირისგამომთხრელი რიგი ღონისძიებები შეიმუშავა. პროფკავშირებთან ბრძოლის საოცრად მარტივი ხერხი პროფკავშირების მხარდამჭერ მუშათა გამოვლენასა და განთავისუფლებაზე დაიყვანებოდა. გარდა ამისა, მრავალი დამქირავებელი თავის მოვალეობად თვლიდა კოლეგებისათვის შეეტყობინებინა, რომ განთავისუფლებული მუშები-"მეამბოხეები"და"პროფკავშირული აგიტატორებია"და,"არ ღირს მათი დაქირავება". დისკრიმინაციულ განთავისუფლებათა შეხამება შავ სიაში შეტანასთან, საბედისწეროს ხდიდა მუშებისათვის პროფკავშირების ორგანიზაციის შესახებ ფიქრსაც კი, ვინაიდან დღის წესრიგში დგებოდა მუშაობის შესაძლებლობა ახლა და მომავალში.

პროფკავშირების დასათრგუნავად ადმინისტრაციის სხვა მძლავრი იარაღია ლოკაუტი-თავისებური გაფიცვა დამქირავებელთა მხრივ. რამდენიმე კვირის მანძილზე საწარმოს დახურვით დამქირავებლები ხშირ შემთხვევაში ახერხებდნენ მუშების იძულებას, მათი პირობების მიღებაში და პროფკავშირის ორგანიზების ნებისმიერი მცდელობის აღკვეთაში. გაიხსენეთ, რომ XVIII ს.დასასრულსა და XIXს. დასაწყისში მუშებს არ გააჩნდათ ანგარიშები ბანკებში ან მრავალმილიონიანი საგაფიცვო ფონდები, რომლის იმედიც შეიძლება ჰქონოდათ ასეთ საგანგებო გარემოებებში.

იქ სადაც მუშები პროფკავშირის ორგანიზებაში გაბედულებას იჩენდნენ, ხშირად ცხარე ბრძოლები წარმოიშობოდა. ქვები, ხელკეტები, საფანტის სასროლი თოფები და მრავალი სხვა, წინ უძღოდა კოლექტიურ ხელშეკრულებებს. ამერიკელ მუშათა მოძრაობის ყველაზე ბნელი ფურცლები დაკავშირებულია მუშებსა და ადმინისტრაციის მიერ დაქირავებულ შერეიკბრეხერებს შორის მკაცრ შეტაკებებთან. ასეთ შეტაკებათა მაგალითია 1892წ. ქ.ჰომსტედის გაფიცვა, 1894 წ. გაფიცვები პულმანის ქარხნებში და ხოცვა-ულეტა ლუდლოუში 1914წ. უფრო ნაკლებდრამატული შეტაკებები აქა იქ ახლაც წარმოიშობა.

მაგრამ, ადმინისტრაცია ხშირად იყენებდა "თავის ქალის გატეხვაზე"უფრო დახვეწილ ტაქტიკას."ყვითელი ვალდებულება"-პროფკავშირებთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მახვილგონივრული საშუალებაა, რაც ადმინისტრაციამ მოიგონა. ასეთი კონტრაქტით დაქირავნების პირობებში შედიოდა მუშათა თანხმობა პროფკავშირში არშესვლის თაობაზე. ხშირ შემთხვევაში მუშებს

არჩევანი არ რჩებოდათ:არ მოაწერ კონტრაქტს-დარჩები უმუშევარი.„ყვითელი ვალდებულების“დარღვევისას დამქირავებელს შეეძლო მუშისათვის სარჩელის წარდგენა, ხოლო სასამართლოს კი მისი დაჯარიმება ან თავისუფლების აღკვეთაც კი.

უკანასკნელი საშუალების სახით დამქირავებელს შეეძლო თავისი მუშები ისეთი სიკეთით აღევსო, როგორიცაა ჯგუფური დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები, აქციების ფლობა და მოგებაში მონაწილეობა, რათა ისინი დარწმუნებულიყვნენ, რომ დამქირავებლები არანაკლებ ზრუნავენ მუშათა ინტერესებზე, ვიდრე“გარეშე ადამიანებისაგან“ორგანიზებული პროფკავშირები. პატერნალიზმის შემდგომი ნაბიჯი იყო მომუშავეთა მოზიდვა ფირმის მართვაში ანუ კომპანიის ინიციატივით პროფკავშირების ე.ი.“მარიონეტული“ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც იმედოვნებდნენ მუშებისათვის ამნაირად ხელი შეეშალათ ნამდვილ პროფკავშირებში გაერთიანებისათვის. <u>პატერნალიზმი</u> და პროფკავშირები,[1] რომლებიც კომპანიის ინიციატივით იქმნებოდა, განსაკუთრებით ეფექტიანი ღონისძიება იყო, რაც პროფკავშირების ზრდას აფერხებდა 1920-იან წლებში.[1]

ეკონომიკური ტრედ-უნიონიზმის ევოლუცია. მუშათა მოძრაობა XIXს. არა მხოლოდ ნელა ვითარდებოდა, არამედ სხვადასხვა თეორიულ საფუძველზეც შენდებოდა. XIXს. შუახანებში ამერიკული მუშათა მოძრაობა ექსპერიმენტებს აჭარებდა ტრედ-უნიონიზმის სხვადასხვა ფორმით, რომელთა საფუძველი მარქსიზმი, რეფორმიზმი და სხვა “იზმები“იყო. მაგრამ ასეთი პროფკავშირები, როგორც წესი, აყვავდებოდა რამოდენიმე წლის განმავლობაში, რამდენადაც შინაგანი წინააღმდეგობა არსებობდა მოკლევადიან პოლიტიკურ ამოცანათა სფეროში მუშების ინტერესებსა (ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება) და პროფკავშირულ ხელმძღვანელთა ხანგრძლივვადიან უტოპიურ მიზნებს შორის (მწარმოებელთა კოოპერატივები, მუშათა პარტიის შექმნა).

1.ხანგრძლივი გაფიცვის დროს 1902წ.ქვანახშირის მრეწველობაში მაღაროთსამმართველოს წარმომადგენელმა ჯორჯ ფ.ბერმა გააკეთა კლასიკური განცხადება.რომელიც ახასიათებდა პატერნალიზმის პრინციპს: „მუშა აგიტატორები კი არ იშრუნებენ მშრომელებზე და დაიკავენ მათ უფლებებს.არამედ ქრისტიანები.რომელთაც ღმერთმა ოაკისი უსასრულო სიბრძნით დაავალა საკუთრების გასკარგვა ამ ქვეყანაში“.

შემდგომ, 1886წ. შეიქმნა მუშათა ახალი ორგანიზაცია-შ რ ო - მ ის ა მ ე რ ი კ უ ლ ი ფ ე დ ე რ ა ც ი ა (შაფ), რომელიც მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელობდა შემდგომი 50 წლის მანძილზე. სემუელ გომპერსის ხელმძღვანელობით მუშათა მოძრაობამ კონსერვატული პოზიცია დაიკავა, რასაც, დღესაც დიდი გავლენა გააჩნია.[1] "ამერიკელ მუშათა მოძრაობის მამამთავარი"გომპერსი, სამ მთავარ იდეას ქადაგებდა:1)პრაქტიკული ეკონომიკური ტრედ-უნიონიზმი, 2)პოლიტიკურ საკითხებში მუშათა ნეიტრალიტეტი და 3)ყოველი პროფკავშირის ან ხელოსნების გაერთიანების ავტონომია.

1.ეკონომიკური ტ რ ე დ-უ ნ ი ო ნ ი ზ მ ი. გომპერსი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ „უსაფრთხო და გონივრული"ე კ ო ნ ო მ ი კ უ - რ ი ტ რ ე დ - უ ნ ი ო ნ ი ზ მ ი-ამერიკული მუშათა მოძრაობის ერთადერთი გზაა.იგი დაჟინებით უარყოფდა კაპიტალიზმის დამხობის ხანგრძლივვადიან იდეალისტურ გეგმებს. გომპერსი ზიზღით ეკიდებოდა ინტელექტუალებსა და თეორეტიკოსებს, ხაზს უსვამდა რა, რომ პროფკავშირები უნდა მისდევდნენ მოკლევადიან პრაქტიკულ ეკონომიკურ ამოცანებს:ხელფასის მომატებას,სამუშაო დღის შემცირებას,შრომის პირობების გაუმჯობესებას.ერთ-ერთი მეცნიერის სიტყვებით გომპერსი თვლიდა, რომ ამერიკელ მუშას უნდა მისცე „პური კარაქით ახლავე, და არა ღვეზელი ოდესღაც,იმქვეყნად."[2]

2.პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ნ ე ი ტ რ ა ლ ი ტ ე ტ ი. რაც შეეხება პოლიტიკას, გომპერსის რწმენით,სახელმწიფომ ცხვირი არ უნდა ჩაყოს "მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობაში",ასევე კოლექტიურ

1.ეს როდი ნიშნავს,რომ ყველა პროფკავშირი კონსერვატიული გზით წავიდა,მას შემდეგ,რაც გომპერსმა დაიწყოგ ეკონომიკური ტრედ-უნიონიზმის ღირსებების დაცვა.1905წ. დაარსებულ ორგანიზაციას-„მსოფლიოს ინდუსტრიული მუშები"-უკიდურესი რევოლუციური პოზიცია ეჭირა პროფკავშირული მოძრაობის მემარცხენე ფრთაში.ხოლო 30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი-წლების დასაწყისში მთელ რიგ პროფკავშირებში, რაც დარგობრივ პროფკავშირთა კონგრესს მიეკუთვნებოდა, კომუნისტები შეეიდნენ.1949 და 1950 წლებში დარგობრივ პროფკავშირთა კონგრესიდან გაირიცხა 11 პროფკავშირი, რომელთა ხელმძღვანელობაში კომუნისტები უმრავლესობას შეადგენდნენ.

2.Charles C.Killingsworth.Organized Labor in a Free Enterprise Economy//Walter Adams (ed.).The Structure of American Industry.3d ed.New York:The Macmillan Company,1961.გვ.570.

ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებულ საკითხებში. მართალია, გომპერსი აღიარებდა, რომ სახელმწიფოს ჩარევამ მუშაობა სასარგებლოდ შეიძლება ხელი შეუწყოს პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას, მაგრამ იგი ასევე დარწმუნებული იყო, რომ მთავრობის ანტიპროფკავშირულ პოლიტიკას შეეძლო მთელი მუშათა მოძრაობის განვითარების დათრგუნვა. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის იდეისადმი მხარდაჭერით, გომპერსი პროფკავშირებს ურჩევდა, რომელიმე პოლიტიკური პარტიისადმი შეერთებაზე თავის შეკავებას. იგი ამტკიცებდა,რომ ხანგრძლივვადიანი პოლიტიკური მიზნების გამოდევნებით მუშები უახლოეს ეკონომიკურ ამოცანებს დაკარგავენ,რომლებიც მათ უნდა გადაწყვიტონ. გომპერსი პროფკავშირებს არწმუნებდა,რომ პოლიტიკურ არენაზე ერთ მარტივ პრინციპს გაყოლოდნენ: არჩევნებზე მუშათა მეგობრები დაეკვალდოვებინათ და მტრები დაესაჯათ, მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციისა.

3.პროფკავშირების ავტონომია. დაბოლოს გომპერსი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ"პროფკავშირების ავტონომია", ე.ი. მოცემული პროფესიის მუშათა გაერთიანების პრინციპით კავშირების ორგანიზაცია მუშათა მოძრაობის ერთადერთი საიმედო საფუძველია. იგი ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა პროფესიაია წარმომადგენლების გამაერთიანებელ პროფკავშირებს დარაზმულობა არ ჰყოფნით, რაც ასე საჭიროა ძლიერი და ბრძოლისუნარიანი ეკონომიკური პროფკავშირებისათვის. ეს პროფკავშირები შემდგომში ერთ საერთოეროვნულ ფედერაციაში უნდა გაერთიანდნენ."ერთი კავშირი ყოველი პროფესიისათვის, რომელიც შეუერთდება ერთიან მუშათა მოძრაობას".

ამ ძირითად იდეებს-კონსერვატიულ ეკონომიკურ ტრედ-უნიონიზმს, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და კავშირში გაერთიანებას პროფესიული ნიშნის მიხედვით-გაბატონებული როლის თამაში ელოდა შაფ-ში და მთელს მუშათა მოძრაობაში ნახევარი საუკუნის მანძილზე. მართლაც, გომპერსის ხელმძღვანელობით შრომის ამერიკულმა ფედერაციამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია-უკიდურეს შემთხვევაში გარკვეულ პერიოდში. პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის შაფ-ი დაახლოებით 4 მლნ-მდე გაიზარდა. შემდგომ,1920-იან წლებში რიგი გარემოებების გამო შაფ-ი დაქვეითების გზას დაადგა (იხ.ნახ.38-1).დაცემის ერთ-ერთი ფაქტორი მეწარმეთა პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული სერიოზული კამპანია იყო. მრეწველთა ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობით მეწარმეები შეუპოვრად იბრძოდნენ ორგანიზებული მუშათა მოძრაობის აღმავალი ტალღის შესაჩერებლად.გარ-

და ამისა,მრავალმა ფირმამ თავიანთი მოსამსახურეები ადმინისტრაციის შემადგენლობაში შეიყვანა,შექმნა საკუთარი პროფკავშირები და მრავალი სხვა პატერნალისტური პროგრამები შესთავაზა მათ დასარწმუნებლად, რომ დამქირავებლები უკეთ არიან მომზადებული თავიანთ მომუშავეთა ინტერესების დასაცავად,ვიდრე პროფკავშირული ლიდერები. დაბოლოს,შაფ-ი ჯიუტად უჭერდა მხარს კავშირების ორგანიზებას პროფესიული ნიშნით ,არ ითვალისწინებდა რა ამასთან არაკვალიფიციურ მუშათა სულ უფრო მზარდ რაოდენობას,რომლებიც დასაქმებული არიან მასობრივი წარმოების სწრაფად გაფართოებად დარგებში, განსაკუთრებით საავტომობილო და ფოლადსამსხმელო მრეწველობაში.

მხარდაჭერის ფაზა (1930-1947 წწ.)

1930-იან წლებში მოხდა ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა,რამაც ააღორძინა მუშათა მოძრაობა. ყველაზე მთავარია ფედერალური მთავრობის დამოკიდებულების შეცვლა პროფკავშირებისადმი, რომელიც ადრე გულგრილი იყო, თუ მტრულს არ ვიტყვით, ხოლო ახლა კეთილგანწყობილია. გარდა ამისა, მოხდა მსხვილი სტრუქტურული ცვლილება მუშათა მოძრაობაში,რომელსაც თან ახლდა 1936წ. დარგობრივ პროფკავშირთა კომიტეტის (მოგვიანებით კონგრესის) შექმნა. ორივე ამ მოვლენამ და ასევე ეკონომიკის აყვავებამ 1940-იან, საომარ წლებში, ხელი შეუწყო პროფკავშირთა რიგების მნიშვნელოვან შევსებას.

1930-იანი წლების კანონები, რომლებიც მუშათა ინტერესებს იცავდა.30-იანი წლების დეპრესიის პირობებში ფედერალურმა მთავრობამ ორი კანონი მიიღო მუშათა ინტერესების დასაცავად. ამ კანონთა მიღება ნაწილობრივ მუშათა მოძრაობის შეუპოვარი პროტესტებით აიხსნებოდა, ადრე აღწერილი მეთოდების საპირისპიროდ, რომლებსაც სასამართლოები და საწარმოთა ადმინისტრაცია იყენებდა პროფკავშირების დასათრგუნავად. ამ კანონთა აღმოცენება ნაწილობრივ იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ დემოკრატიული მთავრობა შეცვალა რესპუბლიკურმა.ნაწილობრივ ისინი ფართოდ გავრცელებული მოსაზრების-რომ ძლიერი პროფკავშირები, რომლებმაც კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებით ხელფასის ზომატებას მიაღწიეს, ერთობლივ მოთხოვნას გაადიდებენ ან უკიდურეს შემთხვევაში მას უწინდელ

დონეზე შეინარჩუნებენ და "დიდ დეპრესიას"შეასუსტებენ-ასახვას წარმოადგენენ.

ნორის-ლაგარდიას 1932 წ.კანონი.ნორის-ლაგარდიას 1932წ.კანონმა ბევრი გააკეთა პროფკავშირების ზრდისათვის ორი ყველაზე უფრო ეფექტიანი ანტიპროფკავშირული ღონისძიების გაუქმებით. სახელდობრ: ამ კანონმა 1) გააძნელა დამქირავებელთათვის სასამართლო მითითებათა მიღება,რომლებიც პროფკავშირების წინააღმდეგ იყო მიმართული; 2) ბათილად გამოცხადდა "ყვითელი ვალდებულებანი".

ვაგნერის 1935წ. კანონი.სამი წლის შემდეგ,1935წ. ფედერალურმა მთავრობამ უფრო ქმედითი ზომები მიიღო, რაც სტიმულს აძლევდა პროფკავშირულ მოძრაობას. ვაგნერის 1935წ. კანონი (ოფიციალურად ეწოდება "ეროვნული კანონი შრომითი ურთიერთობების შესახებ") მშრომელებს "ორმაგი უფლების"გარანტიას აძლევდა: პროფკავშირებში გაერთიანებისა და დამქირავებლებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლებას.კანონში ჩამოთვლილი იყო ზოგიერთი "არაპატიოსანი მეთოდები"რასაც დამქირავებლები შრომით ურთიერთობებში იყენებდნენ.

კანონი აწესებდა:

1) დამქირავებლებს აეკრძალათ მუშებისათვის პროფკავშირებში გაერთიანების უფლება; 2) უკანონოდ ეცნოთ პროფკავშირები, რომლებიც კომპანიის ინიციატივით შეიქმნებოდა; 3) დამქირავებლებს აკრძალვოდათ ანტიპროფკავშირული დისკრიმინაცია ქირავნობისას, განთავისუფლებისა და თანამდებობაზე დაწინაურების შემთხვევაში; 4) უკანონოდ ეცნოთ ნებისმიერი მუშის დისკრიმინაცია, რომელიც სარჩელს წარადგენდა ან ჩვენებას აძლევდა მოცემული კანონის შესაბამისად; 5) დაევალდებულებიათ დამქირავებლები პატიოსნად ეწარმოებინათ მოლაპარაკება საწარმოს მომუშავეთა მიერ ორგანიზებულ პროფკავშირთან.

ვაგნერის კანონი უდაოდ "თავისუფლების დიდი ქარტია"იყო მშრომელთათვის.

შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველო (შუეს) დაარსდა ვაგნერის კანონის შესაბამისად და მინიჭებული აქვს შრომით ურთიერთობებში უპატიოსნო პრაქტიკის გამოძიების,უკანონო ქმედებათა შეწყვეტის მითითების და მუშებს შორის კენჭისყრის მოწყობის უფლებამოსილება, იმის გადასაწყვეტად, წარმოდგენილი იქნებიან თუ არა პროფკავშირით და სახელდობრ რომლით.

ვაგნერის კანონის მიზანი იყო პროფკავშირების ზრდის დაჩქარება,რასაც იგი წარმატებით უწყობდა ხელს. საბიმედო დაცვამ, რომელსაც იგი ნორის-ლაგარდიას კანონთან ერთად ასრულებდა

მშრომელთა გაერთიანებებისათვის, მთავარი როლი ითამაშა პროფკავშირთა რიგების 1935წ. 4-დან, 15მლნ-მდე გაფართოებაში 1947 წლისათვის.

დარგობრივი პროფკავშირები: დპკ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1920-იან წლებში შაფ-ის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი ამ ორგანიზაციის მიერ კონვეიერებზე მომუშავე არაკვალიფიციურ მუშათა მზარდი მასების პროფკავშირებში გაერთიანებაზე უარისთქმა იყო. მართალია, შაფ-ის ლიდერთა უმეტესობა ამჯობინებდა არაკვალიფიციურ მომუშავეთა უგულებელყოფას, მაგრამ მყვირალა უმცირესობა ჯონ ლ. ლუისის ხელმძღვანელობით ამტკიცებდა, რომ საამქროს პრინციპით ჩამოყალიბებული პროფკავშირები, მასობრივი წარმოების განვითარებად დარგებში ასობით ათასი მუშის ორგანიზების არაეფექტიან საშუალებას წარმოადგენდა. ლუისის და მის მიმდევართა განცხადების თანახმად ორგანიზების საფუძველი უნდა გახდეს არა ს ა ა მ ქ რ ო, ა რ ა მ ე დ დ ა რ გ ო ბ რ ი ვ ი პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი, ე.ი. არა ის პროფკავშირები, რომლებიც კვალიფიციურ მუშათა მხოლოდ განსაზღვრულ კატეგორიებს აერთიანებენ, არამედ პროფკავშირები, რომლებიც მოიცავენ ყველა მუშას-როგორც კვალიფიციურს, ისე არაკვალიფიციურს-მრეწველობის მოცემულ ან გამჭოლ დარგებში.[1] 1936წ. ამ კონფლიქტმა კრიტიკულ სტადიას მიაღწია და ლუისმა და მისმა მომხრეებმა თავიანთი პროფკავშირები შაფ-ის შემადგენლობიდან გამოიყვანა (იმავდროულად ისინი გაირიცხნენ).

შაფ-იდან გამოსულმა პროფკავშირებმა **დარგობრივ პროფკავშირთა კონგრესი (დპკ)** ჩამოაყალიბა.[2] დპკ-მ დიდ წარმატებას მიაღწია საავტომობილო და ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშათა გაერთიანებაში. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ შაფ-იც ასევე წავიდა პროფკავშირების დარგობრივი პრინციპით ორგანიზების გზით.1940 წლისათვის პროფკავშირთა წევრების საერთო რაოდენობა დაახლოებით 9 მლნ მუშას შეადგენდა.

---

1. 30-6 და 30-7 ნახაზებზე შედარებულია მეთოდები,რომლებსაც საამქრო და დარგობრივი პროფკავშირები იყენებდნენ ხელფასის გასადიდებლად.

2.ითარგმნება როგორც წარმოებით პროფკავშირთა კონგრესი (წპკ).მაგრამ აქ გამოყენებული თარგმანი უფრო ზუსტია და უფრო სრულად შეესაბამება ამ ორგანიზაციის ფორმირების პრინციპს.

ჩარეევის ფაზა (1947 წლიდან დღემდე)

1930-იანი წლების შრომითი კანონმდებლობა,რომელიც მშრომელთა ინტერესებს იცავდა, დარგობრივ პროფკავშირთა ჩამოყალიბება, მსქელფარე ეკონომიკური აყვავება საომარ წლებში-ყველაფერი ეს ხელს უწყობდა პროფკავშირების სწრაფ ზრდას (იხ.ნახ. 38-1). პროფკავშირთა რაოდენობრივი და ფინანსური მომძლავრების კვალობაზე, სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ უკვე შეუძლებელი იყო ისინი სუსტ პარტნიორებად ან ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებებში უიღბლოებად ჩაეთვალათ. ისევე როგორც 1870-იან,1880-იან წლებშიც მონოპოლიების მზარდმა სიმძლავრემ საზოგადოება მათზე კონტროლის დაწესებით შეაგულიანა. პროფკავშირული მოძრაობის აღმავლობამ 1930-იან და 1940-იან წლებში, მისი რეგულირების მოთხოვნა გამოიწვია. ეს დაწოლა გაძლიერდა მაშინათვე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და კრიტიკულ წერტილს ტაფტ-ჰარტლის 1947 წ.კანონის მიღებით მიაღწია.

ტაფტ-ჰარტლის 1947წ. კანონი ,ოფიციალურად იწოდება, როგორც "შრომითი ურთიერთობების რეგულირების კანონი".ამ გულდასმით შემუშავებული კანონმდებლური აქტის დებულებები შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს: 1) დებულებები, რომლებიც პროფკავშირების მხრივ განსაზღვრულ "უპატიოსნო ქმედებებს"ასახელებენ და კრძალავენ; 2) დებულებები, რომლებიც პროფკავშირების საშინაო ცხოვრებას არეგულირებენ; 3)დებულებები, რომლებიც კოლექტიური ხელშეკრულებების დადების პროცედურას განსაზღვრავენ და მათ ფაქტობრივ ხარჯებს აკონტროლებენ; 4) დებულებები გაფიცვებზე კონტროლის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ერის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

1.პროფკავშირების უპატიოსნო ქმედებანი.ვაგნერის კანონში ჩამოთვლილია რიგი "უპატიოსნო ქმედებანი შრომით ურთიერთობებში"საწარმოს ადმინისტრაციის მხრივ. ტაფტ-ჰარტლის კანონის ძირითადი სიახლე ისაა, რომ მასში ჩამოთვლილია "უპატიოსნო ქმედებანი შრომით ურთიერთობებში"პროფკავშირების მხრივ. აი ისინი, რომლებსაც ეძღვნება ამ კანონის ყველაზე უფრო სადაო განყოფილებები: ა) პროფკავშირებს ეკრძალებათ მომუშავეთა იძულება, თავიანთ რიგებში შესვლის თაობაზე; ბ) ეკრძალება გ ა ფ ი ც ვ ე ბ ი უ ფ ლ ე ბ ა - მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა თ ა გ ა მ ო (ერთ საწარმოს პროფკავშირებს შორის კამათი იმის შესახებ, რომელ მაიგანს აქვს განსაზღვრული სამუშაოს შესრულების უფლება); ეკრძალება ასევე მეორადი

ბოიკოტები (საქონლის შეძენაზე ან სხვა პროფკავშირის ან მუშათა სხვა ჯგუფის მიერ წარმოებული საქონლის გამოყენებაზე უარისთქმა) და ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ი ს ზოგიერთი გ ა ფ ი ც ე ვ ე ბ ი (გაფიცვები რომელიმე სხვა პროფკავშირისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომელიც აღიარებას ელოდება დამქირავებლის მხრიდან ან სხვა რაიმე მიზანს მისდევს); გ) პროფკავშირებს ეკრძალებათ მეტისმეტი ან დისკრიმინაციული საწევრო შესატანები; დ) კანონი განსაკუთრებით კრძალავს ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ებ ი ს პ რ ა ქ ტ ი კ ა ს მ ა ს ზ ე მ ო ო თ ხ ო ვ ნ ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, ე.ი. გამოძალვის შენიღბულ ფორმას, როცა პროფკავშირი ან მისი წევრები ფულს იღებენ მათ მიერ შეუსრულებელი სამუშაოსათვის; ე) პროფკავშირებს უფლება არა აქვთ უარი უთხრან ადმინისტრაციასთან პატიოსან მოლაპარაკებებს.

2.პროფკავშირების მართვა. ტაფტ-ჰარტლის კანონმა ასევე შემოიღო პროფკავშირის საშინაო ცხოვრების კონტროლი: ა) პროფკავშირები ვალდებულნი არიან შრომითი ურთიერთობების ეროვნულ სამმართველოს ფინანსური ანგარიშგებები წარუდგინონ და თავის წევრებს გააცნონ იგი; ბ) პროფკავშირებს ეკრძალებათ ფედერალური არჩევნების კანდიდატებისადმი ფინანსური დახმარება-საერთო, პირველად და ყრილობებზე არჩევისას; გ) თავდაპირველად პროფკავშირულ მოღვაწეებს ხელი უნდა მოეწერათ ჩვენებებზე იმის შესახებ, რომ ისინი კომუნისტური პარტიის წევრები არ არიან.

3.კონტრაქტის შინაარსი. ტაფტ-ჰარტლის კანონის სხვა მუხლები კოლექტიური ხელშეკრულებების დადების ფაქტობრივი პროცედურის და დადებული შეთანხმებების შინაარსის კონტროლს გულისხმობს. ა) კატეგორიულად იკრძალება დ ა ხ უ რ უ ლ ს ა წ ა რ მ ო თ ა გახსნა (ფირმების, რომლებიც სამუშაოზე მხოლოდ პროფკავშირის წევრებს ღებულობენ), რომელთა კომერციული საქმიანობა რამდენიმე შტატზე ვრცელდება; ეს ნიშნავს, რომ დახურული საწარმოს შესახებ პირობა არ შეიძლება შეტანილ იქნას ხელშეკრულებაში. ბ) კოლექტიურ ხელშეკრულებაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას, რომ საქველმოქმედო და საპენსიო ფონდები, თუკი ისინი არსებობენ, უნდა გამოყოფილ იქნან პროფკავშირის დანარჩენი ფონდებისაგან და ერთობლივად უნდა განკარგონ პროფკავშირებმა და ადმინისტრაციამ. გ) კოლექტიური ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს მუხლს კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი ს ვ ა დ ა მ დ ე შ ე წ ყ ვ ე ტ ი ს შ ე ს ა ხ ებ,რომელიც ითვალისწინებს მუშებისა და ადმინისტრაციის მიერ 60 დღით ადრე

მეორე მხარის გაფრთხილებას მოქმედი შეთანხმების შეცვლის ან გაუქმების განზრახვის შესახებ.

4."გაფიცვები,რომლებიც საფრთხეს უქმნიან ერის კეთილ-დღეობას". დაბოლოს ტაფტ-ჰარტლის კანონში შემუშავებულია დიდი გაფიცვების თავიდან აცილების მექანიზმი, რომლებიც ძირს უთხრიან ეკონომიკას და ამით საფრთხეში აგდებენ ერის ჯანმრთელობას ან კეთილდღეობას. ეს მექანიზმი პრეზიდენტს საშუალებას აძლევს ასეთი გაფიცვის 80 დღით გადავადების სასამართლო ბრძანებების მიღების შესახებ,ვნებების"გასაცივებლად". ამ პერიოდში შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველო მუშათა შორის ატარებს გამოკითხვას მათთვის დამქირავებლის უკანასკნელი წინადადების მისაღებობის თაობაზე. თუ უკანასკნელი წინადადება არ მიიღება,პროფკავშირი იწყებს გაფიცვას. მთავრობისათვის ერთადერთი გამოსავალია-მოცემული დარგის საგანგებო მდგომარეობაში გადაყვანა, მაგრამ ეს ღონისძიება საეჭვოა კანონის თვალსაზრისით.

ლენდრამ-გრიფინის 1959 წ.კანონი. პროფკავშირთა საშინაო ცხოვრების სახელმწიფო რეგულირება გაძლიერდა 1959წ.შექმნილი ლენდრამ-გრიფინის კანონის წყალობით (ოფიციალური სახელწოდება-"კანონი შრომით ურთიერთობათა შესახებ ანგარიშგებისა და შრომით ურთიერთობებში დარღვევათა გახსნის შესახებ"). იგი მოითხოვს,რომ პროფკავშირული თანამდებობის პირთა არჩევნები რეგულარულად და განსაზღვრულ ვადებში ტარდებოდეს,ფარული კენჭისყრით; ყოფილ პატიმრებსა და კომუნისტებს ეზღუდებათ პროფკავშირში ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩევა. უფრო მეტიც,პროფკავშირულმა თანამდებობის პირებმა მთელი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ პროფკავშირთა ფულად საშუალებებსა და საკუთრებაზე. ოფიციალურმა პირებმა,რომლებიც ფულად სახსრებს განკარგავენ, ხელი უნდა მოაწერონ ვალის ვალდებულებას; პროფკავშირის სახსრების გაფლანგვა განიხილება,როგორც სახელმწიფო დანაშაული; მკაცრი შეზღუდვები შემოაქვთ პროფკავშირების მიერ სესხის თავის წევრებსა და თანამდებობის პირებზე მიცემაზე. კანონის მიზანი ისიცაა,რომ თავიდან აიცილოს პროფკავშირის ლიდერთა ხელყოფა,რომელთაც დიქტატორული მიდრეკილება გააჩნიათ, ყოველი მუშის უფლებებზე,დაესწროს პროფკავშირის კრებებს,მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და წამოაყენოს კანდიდატები პროფკავშირულ თანამდებობებზე. კანონი უფლებას აძლევს მუშას სარჩელი წარუდგინოს პროფკავშირს იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი დაარღვევს ამ უფლებებს. კანონი პროფკავშირის მდივანს ფართო უფლებებს ანიჭებს ნებისმიერ დარღვევათა განხილვაში.

პროფკავშირული მოძრაობის დაქვეითება

1955წ.,როცა შაფ და დპკ გაერთიანდა, ამერიკელ მუშათა მოძრაობის ერთიანობა ფორმალურად აღდგენილიქნა. კონფრონტაციის შეწყვეტისათვის, რაც თითქმის 20 წელს გრძელდებოდა, ორ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ-ერთი, პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის დაბრკოლებებმა,რასაც მუშათა მოძრაობა მისთვის ხელსაყრელი 1930-იანი წლების პერიოდის შემდეგ აწყდებოდა,მისი ლიდერები დაარწმუნა,რომ მუშათა მოძრაობის ერთიანობა პროფკავშირთა პოლიტიკური ზეგავლენის განმტკიცების პირველი აუცილებელი ნაბიჯია. მეორე, და ეს ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, საჭიროა შეუპოვარი ერთობლივი ძალისხმევა პროფკავშირულ მოძრაობაში იმ ფირმათა და დარგების ჩასაბმელად, რომლებიც ჯერჯერობით არ არიან ამ მოძრაობაში.

მაგრამ შაფ და დპკ შერწყმის შემდეგდროინდელი პერიოდი არ გამოირჩეოდა პროფკავშირების აღორძინებით. მათი რიცხოვნული ზრდა ჩამორჩებოდა სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდას. მაშინ როდესაც 1950-იანი წლების შუახანებში პროფკავშირებში მუშათა 25% შედიოდა, ახლა მათი რიცხვი-15%-ზე ნაკლებია. მართლაც უკანასკნელ წლებში პროფკავშირის წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 1980წ. 22 მლნ-ზე მეტი მუშა პროფკავშირის წევრი იყო, ხოლო 1988წ. ეს ციფრი 17 მლნ-მდე დაეცა.

რატომ მოხდა ეს? ამ საკითხში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება, მაგრამ უნდა განვიხილოთ ორი შესაძლო ახსნა. ისინი ურთიერთს ავსებენ იმ გაგებით, რომ ყოველი მათგანი პროფკავშირის წევრთა რაოდენობის შეფარდებითი შემცირების ამა თუ იმ ასპექტს ასახავს.

1.სტრუქტურული ცვლილებები. ტრადიციული თვალსაზრისი, რასაც ჩვენ სტრუქტურულ ცვლილებათა ჰიპოთეზას ვუწოდებთ, იმაზე დაიყვანება, რომ მოხდა მრავალი სტრუქტურული ცვლილება,როგორც ამერიკის ეკონომიკაში,ისე სამუშაო ძალის შემადგენლობაში,რაც არახელსაყრელად აისახა პროფკავშირის წევრთა რაოდენობის დინამიკაში.ეს თვალსაზრისი რიგ ურთიერთდაკავშირებულ დაკვირვებებს ემყარება. ჯერ-ერთი,სამომხმარებლო მოთხოვნამ და, მაშასადამე, დასაქმებამაც იმ დარგებიდან გადაინაცვლა, რომლებიც პროფკავშირთა "ციტადელებს"წარმოადგენდა.საერთოდ რომ ვთქვათ, ქვეყნის დარგობრივ

სტრუქტურაში გადანაცვლება მიმდინარეობს საქონელთა წარმოებიდან (სადაც პროფკავშირებს ძლიერი პოზიცია ეჭირათ) მომსახურებაზე (სადაც პროფკავშირების პოზიციები სუსტი იყო). დარგობრივი სტრუქტურის ამ ცვლილებებს შესაძლოა ხელს უწყობდა კონკურენციის გაძლიერება იმპორტის მხრივ, მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა საავტომობილო და ფოლადსამსხმელო. მზარდმა კონკურენციამ იმპორტული საქონლების მხრიდან ამ დარგებში დასაქმების, და მაშასადამე, პროფკავშირის წევრთა რაოდენობის შემცირებაც გამოიწვია. მეორე,უკანასკნელ წლებში დასაქმების გადიდებაში განსაკუთრებით დიდი წილი ქალებზე,ახალგაზრდებზე და არასრული სამუშაო დღით დასაქმებულებზე მოდიოდა, ე.ი. ისეთ ჯგუფებზე, რომლებიც, ძნელად ექვემდებარებიან ორგანიზებას, ვინაიდან,ისინი არც ისე მტკიცედ არიან დაკავშირებული დანარჩენ სამუშაო ძალასთან. მესამე, მრეწველობის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და შუა დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში,სადაც მუშათა "ორგანიზება"ძნელია-გადაადგილების ხანგრძლივვადიანმა ტენდენციამ,რომელიც ენერგორესურსებზე ფასების მომატების შედეგი გახდა,შესაძლოა ხელი შეუშალა პროფკავშირების რიგების ზრდას.

მეოთხე,და საკმაოდ პარადოქსული ახსნა ისაა,რომ პროფკავშირთა რაოდენობის შეფარდებითი რიცხოვნული შემცირება ნაწილობრივ დაკავშირებულია იმ წარმატებებთან,რასაც პროფკავშირებმა ხელფასში არსებითი უპირატესობით მიაღწიეს,ამერიკელ და უცხოელ მუშებთან შედარებით,რომლებიც პროფკავშირების წევრები არ არიან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფკავშირის წევრთა ასეთი მაღალი ხელფასის გამო, მეწარმეები, რომლებიც პროფკავშირებში გაერთიანებულ სამუშაო ძალას იყენებენ, მომუშავეებს მანქანებით შეცვლიან და სუბსაიჯარო ხელშეკრულებებს დადებენ მიმწოდებლებთან, რომლებიც დაკავშირებული არ არიან პროფკავშირულ მოძრაობასთან, გახსნიან ახალ, პროფკავშირებით მოუცველ საწარმოებს ნაკლებად განვითარებულ სამრეწველო რაიონებში და გამოიყენებენ უფრო დაბალხელფასიან ქვეყნებში დამზადებულ მაკომპლექტებელ ნაწილებს. ეს ღონისძიებები ზღუდავენ პროფკავშირებით მოცულ დარგებში დასაქმების გაფართოების შესაძლებლობებს, იმ დარგებთან შედარებით, რომლებიც პროფკავშირებში არ შედიან. ასევე შეიძლება ვიფიქროთ-და ეს ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, რომ პროდუქციის გამოშვების მოცულობა და დასაქმება "არაპროფკავშირულ"ფირმებში და დარ-

გებში, რომელთაც წარმოების დაბალი ხარჯები გააჩნიათ, გაფართოვდება "პროფკავშირულ"ფირმებსა და დარგებში გამოშვებისა და დასაქმების ხარჯზე,რომლებშიც წარმოების დანახარჯები მაღალია. მოკლედ , შესაძლოა, პროფკავშირთა წარმატებებმა, მაღალი ხელფასის მიღწევით, შეცვალეს მრეწველობის სტრუქტურა პროფკავშირის წევრთა რაოდენობისა და მათი დასაქმების საზიანოდ.

2. ადმინისტრაციის მხრიდან ოპოზიციის ჰიპოთეზა. უფრო გვიანდელი თვალსაზრისი ისაა, რომ ადმინისტრაციის მზარდი ოპოზიცია პროფკავშირების მიმართ, მათი ზრდის მთავარი დაბრკოლება იყო. ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ ათწლეულში პროფკავშირებმა თავიანთი მუშებისათვის დიდ წარმატებებს მიაღწიეს ხელფასის სფეროში,პროფკავშირების გარეთ დარჩენილ მუშებთან შედარებით და ამის შედეგად ფირმებმა,სადაც პროფკავშირის წევრები მუშაობენ,ნაკლები მოგების მიღება იწყეს.ამის პასუხად ჩამოყალიბდა პროფკავშირების ოპოზიცია ადმინისტრაციის მხრიდან; გარკვეული დროის შემდეგ იგი უფრო აგრესიული გახდა. ადმინისტრაციის ერთ-ერთი მეთოდი შრომითი ურთიერთობის სფეროში კონსულტანტი-სპეციალისტების მოზიდვაში მდგომარეობს, რომელთა ამოცანა აქტიური ანტიპროფკავშირული კომპანიის ჩატარება იყო,პროფკავშირებში გაერთიანებისაგან მუშათა ჩამოშორების მიზნით და უკვე შესულთა დარწმუნებაში მათი პროფკავშირების უფლებამოსილების გაუქმების აუცილებლობაში. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია "ინკორპორეიტედის საწარმოთა ადმინისტრაციის"სახელწოდებით თავის 1984წ. გამოშვებულ ბროშურაში ტრაბახობდა,რომ ადმინისტრაციის 20 ათასზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო მის სემინარს თემაზე "როგორ შევინარჩუნოთ პროფკავშირში შეუსვლელი საწარმოს სტატუსი"და "პროფკავშირის უფლებამოსილებათა გაუქმების პროცედურა".

ამტკიცებენ ასევე, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანონო ანტიპროფკავშირულ ღონისძიებათა გამოყენება. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება იმ მუშათა გამოვლენა და სამუშაოდან გათავისუფლება, რომლებიც აქტიურად იცავენ პროფკავშირებს, თუმცა ეს ვაგნერის კანონით აკრძალულია. ასეთი ანტიპროფკავშირული პოლიტიკის შეხამებამ პროფკავშირების რიგების ზრდის ტემპებთან და შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველოს დადგენილებათა ანტიპროფკავშირული ხასიათის გაძლიერებამ მუშათა მოძრაობის შეფარდებითი და აბსოლუტური დაქვეითება გამოიწვია.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება

მიუხედავად პროფკავშირული მოძრაობის დაქვეიოებისა, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება ადმინისტრაციასა და მუშებს შორის ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ელემენტია. არსებული მონაცემებით,ახლა აშშ-ში დადებულია თითქმის 200 000 კოლექტიური ხელშეკრულება.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პროცედურა

გარეშე დამკვირვებლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება გამოიყურება,როგორც ადმინისტრაციასა და მუშებს შორის მშფოთვარე შეჯახება,რომელიც ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ ხდება. საგაზეთო ცნობებით შეიძლება წარმოვიდგინოთ ,რომ მუშები და ადმინისტრაცია თავიანთ უთანხმოებებს მხოლოდ გაფიცვების, პიკეტირების და ხშირ შემთხვევაში იძულებითი ქმედებების გზით წყვეტენ.

ასეთი წარმოდგენა არასწორია. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება-გაკილებით ნაკლებდრამატული პროცედურაა,ვიდრე ბევრს მიაჩნია. მნიშვნელოვანი კონტრაქტების დადების შესახებ მოლაპარაკებებში პროფკავშირთა წარმომადგენლების სახით გამოდიან ადგილობრივი და საერთოეროვნული დონის თანამდებობის პირები, იურისტები და სწავლული ეკონომისტები. ადმინისტრაციას წარმოადგენენ ფირმის სტრატეგიის განმსაზღვრელი უმაღლესი რანგის თანამდებობის პირები, რომლებიც ქარხნებს მართავენ,საკადრო საკითხების,შრომითი ურთიერთობების სპეციალისტები, იურისტები და ფირმის ეკონომისტები. როგორც წესი, მოლაპარაკებებზე ინიციატივას პროფკავშირი იღებს საკუთარ თავზე, თავისი მოთხოვნების წარდგენით, რომლებიც განსაზღვრულ შესწორებათა ფორმას იღებს უკვე არსებული შრომითი შეთანხმების მიმართ. შემდგომ განიხილება ამ მოთხოვნაოა პლუსები და მინუსები. ჩვეულებრივ მიიღება კომპრომისული გადაწყვეტილებები, რაც ახალ შრომით შეთანხმებაში შეიტანება. გაფიცვები,პიკეტირება და იძულებითი ქმედებანი უდაოდ გამონაკლისია და არა წესი. ხელშეკრულებათა თითქმის 95% მუშაობის შეუწყვეტლად იდება. საყოველთაოდ მიღებულია, რომ უკანასკნელ წლებში მუშებსა და ადმინისტრაციას შორის უთანხმოებაოა გამო მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ყოველწლიურად მიელი სამუშაო დროის 0,2% იკარგება. <u>მუშები</u>

<u>და ადმინისტრაცია არაჩვეულებრივ უნარს ინენენ კომპრომისებისა და თანხმობის მიმართ.</u> მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის გაფიცვებისა და შეჯახებების შესახებ ინფორმაციები გაზეთის პირველ კაბადონს იკავებენ, მაშინ როდესაც შრომითი შეთანხმებების მშვიდობიან განახლებებს რამდენიმე სტროფს ძლივს უთმობენ, და ისიც მე-5 კაბადონში.

შრომითი შეთანხმება

კოლექტიური შეთანხმებები სხვადასხვაგვარი ფორმისაა. ზოგიერთი მათგანი საოცრად მოკლეა,და ორ სამ დაბეჭდილ გვერდს მოიცავს; სხვები განსაკუთრებით დაწვრილებითია და წვრილად დაბეჭდილი 200-300 გვერდისაგან შედგება. ზოგიერთი შეთანხმება ეხება მხოლოდ ადგილობრივ პროფკავშირებს და ერთ საწარმოს; სხვები ხელფასის სიდიდეს,სამუშაო დღის ხანგრძლივობას,მუშაობის პირობებს აწესებენ მრეწველობის რიგი დარგებისათვის." საშუალო"ან"ტიპობრივი"შრომითი შეთანხმებები არ არსებობს.

საქმის მეტისმეტად გამარტივების რისკით შეიძლება ითქვას,რომ კოლექტიური ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ოთხ სფეროს მოიცავს:1) პროფკავშირის აღიარების და სტატუსის ხარისხი,და ასევე ადმინისტრაციის პრეროგატივები; 2) ხელფასის სიდიდე და სამუშაო დღის ხანგრძლივობა; 3) შრომითი სტაჟი და დასაქმების გარანტია; 4) შრომითი დავის დარეგულირების პროცედურა.

პროფკავშირის სტატუსი და ადმინისტრაციის პრეროგატივები. პროფკავშირები აღიარების სხვადასხვა ხარისხით სარგებლობენ ადმინისტრაციის მხრივ.პროფკავშირების მხრივ მჯობინებათა წესი ასეთია: 1) საწარმო,რომელიც სამუშაოზე მხოლოდ პროფკავშირის წევრს ღებულობს; 2) საწარმო,რომელშიც ყველა მომუშავეები განსაზღვრული ვადის განმავლობაში პროფკავშირში უნდა შეივიდნენ; 3) საწარმო, რომელშიც მუშაობა შეუძლიათ არა მხოლოდ პროფკავშირის წევრებს.

მანამ, ვიდრე საწარმოები, რომლებიც სამუშაოდ მხოლოდ პროფკავშირის წევრებს ღებულობენ ტაფტ-ჰარტლის კანონით აიკრძალებოდა, ისინი ყველაზე მეტ გარანტიებს უზრუნველყოფდა პროფკავშირებისათვის. ჯერ კიდევ ასეთ საწარმოში შესვლამდე მუშა პროფკავშირის წევრი უნდა გამხდარიყო. ხოლო ისეთი საწარმოს სტატუსი,რომელშიც ყველა მისი მომუშავე პროფკავშირის წევრია, მეწარმეს უფლებას აძლევს

სამუშაოდ პროფკავშირის არაწევრები დაიქირავოს იმ პირობით, რომ გარკვეული პერიოდის, მაგალითად 30 დღის განმავლობაში, ისინი პროფკავშირში შევლენ ან სამუშაოდან წავლენ. დაახლოებით 20 შტატმა მიიღო ე.წ. შრომის უფლების კანონი, რომლის მიხედვითაც, პროფკავშირის სავალდებულო წევრობა, და მაშასადამე, ხემოთხსენებული საწარმოებიც უკანონოდ ცხადდება. არსებობს საწარმოები, სადაც,პროფკავშირის წევრებსაც და არაწევრებსაც ქირაობენ. პროფკავშირის არაწევრები ვალდებული არ არიან მასში შევიდნენ;მათ შეუძლიათ განუსაზღვრელი დროით იმუშაონ,პროფკავშირის გარეთ დარჩენით. დაბოლოს, უნდა გავიხსენოთ საწარმოები, რომლებიც სამუშაოზე არ ღებულობენ პროფკავშირის წევრებს. ასეთ საწარმოებში საერთოდ არ არის პროფკავშირი და დამქირავებელი შეგნებულად ცდილობს დაიქირავოს ისეთი მუშები,რომელთაც პროფკავშირის ორგანიზების ან მასში შესვლის ნაკლები მიდრეკილება გააჩნიათ.

პროფკავშირების სტატუსის საკითხში მედლის მეორე მხარეა ადმინისტრაციის პროგრამათა პრობლემა.საწარმოთა ბევრ ხელვძღვანელს ეშინია,რომ კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების სფეროს გაფართოებამ დროთა მსვლელობაში შესაძლოა ისეთ წერტილს მიაღწიოს,როცა ზოგიერთი ფუნდამენტური მმართველობითი გადაწყვეტილებები მიღებული იქნება ერთობლივად,მუშებისა და ადმინისტრაციის მიერ.მეწარმეები ვარაუდობენ,რომ ეს მათ „ხელფეხს შეუკრავს“ იმდენად,რომ საფრთხეს შეუქმნის საწარმოს ეფექტიან მუშაობას.ამასთან დაკავშირებით,ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნით,ზოგიერთი შეთანხმებები მათსა და მუშებს შორის ისეთ მუხლებს შეიცავს,რომლებშიც მითითებულია,რომ გარკვეული გადაწყვეტილებები მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ მიიღება.ადმინისტრაციის პრერეგატივები ჩვეულებრივ მოიცავენ ისეთ პრობლემებს,როგორიცაა საწარმოთა სიდიდე და ადგილმდებარეობა,საქონელთა ნომენკლატურა,წარმოებაში გამოყენებული მოწყობილობისა და მასალების სახეები, და წარმოებითი კალენდარული გეგმები.ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ადმინისტრაცია წყვეტს ქირავნობის,სხვა სამუშაოზე გადაყვანის,დისციპლინის,გათავისუფლებისა და თანამდებობაში დაწინაურების საკითხებს,მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება საერთო პრინციპის-შრომითი სტაჟის-შესაბამისად,ხოლო პროფკავშირს შეუძლია ისინი სადაო გახადოს,შრომითი დავის დარეგულირების პროცედურის გამოყენებით.

ხელფასის სიდიდე და სამუშაო დღის ხანგრძლივობა.ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულების მთავარი პუნქტია ხელფასის სიდიდე და სამუშაო დღის ხანგრძლივობა.ხელფასის თაობაზე მოლაპარაკების დროს მუშებიც და ადმინისტრაციაც პრაგმატიზმისა და შემთანხმებლობისაკენ მიდრეკილებას ავლენენ.მუშები,ხელფასის გადიდების მოითხოვნით-ხოლო ადმინისტრაცია ამისადმი წინააღმდეგობის გაწევით,- ხშირ შემთხვევაში სცილდებიან შემდეგ კრიტერიუმებს ან „ამოსავალ წერტილებს“: 1)„როგორ ხელფასს ღებულობენ სხვები“; 2)გადახდის შესაძლებლობა; 3)ცხოვრების ღირებულება; 4)მწარმოებლურობა.თუ ძირითადი განაკვეთები მოცემულ ფირმაში უფრო დაბალია ვიდრე სხვა ანალოგიურებში,პროფკავშირს შეუძლია დაჟინებით მოითხოვოს ხელფასის მომატება,სხვა ფირმების მიერ გაცემულ ხელფასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. თუ ფირმამ მაღალი მოგება მიიღო,პროფკავშირს ასევე შეუძლია მოითხოვოს ხელფასის მომატება იმ საფუძველზე,რომ ფირმას მეტი შესაძლებლობები გაუჩნდა ასეთი დანამატის შემოსაღებად.უკანასკნელ წლებში პროფკავშირმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ხელფასსა და ცხოვრების ღირებულებას შორის შესაბამისობის დაწესებაში.არსებული წყაროებით პროფკავშირის ყველა წევრთა 40%-მდე ცხოვრების ღირებულების ზრდის შესწორების ერთ-ერთი ზეგავლენაში ხვდება. დაბოლოს პროფკავშირები მოლაპარაკებას აწარმოებენ თავიანთი „სამართლიანი წილის“თაობაზე ფირმის დამატებით შემოსავლებში,რაც დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებასთან.

ხელფასის სიდიდის განსაზღვრის ამ ოთხ კრიტერიუმს სხვა მხარეებიც გააჩნია.მაგალითად,ცხოვრების ღირებულების შესწორების საკითხი პროფკავშირის მიერ დღის წესრიგში დგება მხოლოდ ფასების სწრაფი ზრდის შემთხვევაში,მაგრამ პროფკავშირები ჩვეულებრივ უგულებელყოფენ ამ კრიტერიუმს სტაბილური ან შემცირებადი ფასების პირობებში.ანალოგიურად, პროფკავშირი ფირმის მიერ გადახდის შესაძლებლობას მნიშვნელოვან არგუმენტად თვლის მხოლოდ მის მიერ მაღალი მოგების მიღების შემთხვევაში.ადმინისტრაციის მიდგომა ხელფასის თაობაზე მოლაპარაკების დროს სხვადასხვა კრიტერიუმისადმი ასევე არ განსხვავდება პრინციპულად.

სამუშაო დღის ხანგრძლივობა,ზეგანაკვეთური მუშაობის,სადღესასწაულო დღეებისა და შვებულების ანაზღაურება,ასევე დამატებითი მისაცემლები-ჯანმრთელობის დაზღვევა და საპენსიო უზრუნველყოფა-

მნიშვნელოვანი „ეკონომიკური“ პრობლემებია, რომლებიც მოლაპარაკების პროცესში განიხილება.

შრომითი სტაჟი და დასაქმების გარანტიები. დასაქმების გარანტიების არარსებობა კაპიტალისტურ ეკონომიკაში, ასევე ანტიპროფკავშირული დისკრიმინაციის შიში დამქირავებელია მხრივ მუშებისა და პროფკავშირების შეფიქრიანებას იწვევს. ხუსტად ფორმულირებული და დაწვრილებით შემუშავებული დებულებები, რომლებიც დასაქმების გარანტიებს შეეხება და შრომით შეთანხმებაია უმრავლესობაშია მოცემული ამ შეშფოთებას ასახავს. პროფკავშირები მოითხოვენ თანამდებობაზე დაწინაურებას და სამუშაოზე აღდგენას მ ო მ უ შ ა ვ ი ს შ რ ო მ ი თ ი ს ტ ა ჟ ი თ. უფრო დიდი სტაჟით მომუშავე პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა დაწინაურდეს და სამუშაოდან გათავისუფლდეს ყველაზე ბოლოს, ხოლო სამუშაოზე პირველ რიგში იქნას აღდგენილი.

შრომითი დავის დარეგულირების პროცედურა. ძნელია წარმოიდგინო, რომ ყველაზე დაწვრილებით შემუშავებულ და ამომწურავ შრომით შეთანხმებაში შეიძლება გაითვალისწინო პრობლემა, რომელიც წარმოიშობა მისი მოქმედების მანძილზე. რა მოხდება თუ მუშები ორშაბათ დილით სამუშაოზე მოსვლისას დაინახავენ, რომ რაღაც მიხეხით, მაგალითად, ტექნიკური გაუმართაობის გამო ქარხანა დაკეტილია? ან უთანხმოება ადმინისტრაციასა და პროფკავშირს შორის შეიძლება აიმოკენდეს იმის გამო, შეესაბამება თუ არა გახსნილ ვაკანსიას, უფრო დიდი სტაჟისა და თანამდებობაზე დაწინაურების პრეტენზიის მქონე ადამიანი. უთანხმოებანი მსგავს შემთხვევაში შეუძლებელია გაითვალისწინო ყველაზე დეტალიზებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში, ამიტომ ისინი უნდა გადაიჭრას შრომით დავათა დარეგულირების პროცედურის გამოყენებით. პრაქტიკულად ყოველ კოლექტიურ ხელშეკრულებაში გაითვალისწინება გარკვეული <u>პროცედურა სადაო საკითხების დარეგულირებისათვის</u>, რომლებიც მოცემული ხელშეკრულების მოქმედების დროს წარმოიშობა.

მუშათა მოძრაობის ისტორიისა და იმ კანონების გაცნობით, რომელიც მას შეეხება ასევე კოლექტიურ ხელშეკრულებებზე გარკვეული წარმოდგენის მიღების შემდეგ, მოდით განვიხილოთ ტრედ-უნიონიზმის ეკონომიკური ასპექტი.

პროფკავშირების გავლენა ეკონომიკაზე

დადებითია თუ უარყოფითი პროფკავშირების გავლენა ეკონომიკაზე? ამ მნიშვნელოვან საკითხს კუპასუხებთ რამდენიმე პრობლემის

განხილვით.'ხეგავლენას ახდენენ თუ არა პროფკავშირები ხელფასის გადიდება'ხე?ადიდებენ თუ არა ეკონომიკურ ეფექტიანობას?მეწნაკლებად თანაბრად ნაწილდება თუ არა ხელფასი პროფკავშირების 'ხეგავლენით?ხელს უწყობენ თუ არა ისინი ინფლაციას? მკითხველი უნდა გავაფრთხილოთ,რომ მნიშვნელოვანი გაურკვევლობა და უთანხმოება არსებობს ამ კითხვებ'ხე პასუხებში.

უპირატესობები ხელფასში პროფკავშირის წევრებისათვის

30-ე თავში მოტანილი სამივე მოდელი (იხ.ნახ. 30-5,30-6,30-7 და მათი თანმხლები ახსნა-განმარტებები) გვიჩვენებს,რომ პროფკავშირს შეუძლია ხელი შეუწყოს ხელფასის გადიდებას. სინამდვილეში კი გაიზარდა თუ არა ხელფასი პროფკავშირთა ხელშეწყობით? ერთი შეხედვით ეს საკითხი გულუბრყვილოდ გამოიყურება და მასზე უდაოდ დადებითად უნდა ვუპასუხოთ.მიუხედავად საავტომობილო და ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშათა,ავიაკომპანიების მოსამსახურეთა და სხვა დარგების მომუშავეთა 80-იანი წლების ხმამაღლა რეკლამირებული „დაომობისა" გარნა ჩვენ ხშირად არ ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ ცალკეული პროფკავშირები როგორ წარმატებით აღწევენ ხელფასის მომატებას? და განა ზედაპირული შეხედვითაც ცხადი არ ხდება,რომ პროფკავშირის წევრის ხელფასი უფრო მაღალია ვიდრე არაწევრისა? შრომის სამინისტროს მონაცემებით,პროფკავშირის წევრების საშუალო ყოველკვირეული ხელფასი 1988წ. 480 დოლარი იყო,ხოლო არაწევრებისა- 385.

მიუხედავად ამისა საღი მსჯელობისას შეიძლება სხვა მოსაზრებებიც წარმოიშვას.მაგალითად, ცნობილია, რომ აშშ-ში არსებობს ხელფასის გადიდების ხანგრძლივვადიანი ტენდენცია (ნახ.30-2). ამიტომ საკითხის არსი არა მხოლოდ იმაშია, პროფკავშირები წარმატებით აღწევენ თუ არა ხელფასის მომატებას,არამედ,მეტადრე,სხვაში-ეს მომატება მეტია,ნაკლები, თუ თითქმის იმ თანხის ტოლი ,რასაც უზრუნველყოფდა ბაზრის ძნელადმოსახელთებელი,შეუმჩნეველი მუშაობა? საავტომობილო მრეწველობაში ხელფასმა ზრდა იწყო ჯერ კიდევ პროფკავშირის ორგანიზებამდე 1938-1941წლებში, და უდაოდ,არსებითად მოიმატებდა უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში, მაშინაც კი,თუ დარგი პროფკავშირით არ იქნებოდა მოცული.გარდა ამისა, როგორც ისტორია მოწმობს,ყველაზე ადვილი იყო პროფკავშირებში

უფრო აყვავებული დარგების მომუშავეთა მოზიდვა. მრეწველობის მრავალ ახლანდელ მაღალხელფასიან „პროფკავშირულ" დარგს ისეთივე მაღალი ხელფასი გააჩნდა მათში პროფკავშირთა ორგანიზებამდე. და ისევ შესაფერის მაგალითად გამოდგება საავტომობილო მრეწველობა. ამრიგად, შეიძლება დავსვათ კითხვა: ის ფაქტი,რომ პროფკავშირში გაერთიანებული მუშები უფრო მაღალ ხელფასს ღებულობენ,ვიდრე არაწევრი მუშები, არის თუ არა ამ გაერთიანების შედეგი? ან პირიქით, ხელფასის მომატება, რასაც პროფკავშირის დამსახურებად თვლიან, ხელსაყრელი საბაზრო ძალების ზემოქმედებით აისახება?

მიუხედავად ამ კითხვებისა,პრაქტიკული გამოკვლევები ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს,რომ <u>პროფკავშირები მართლაც ადიდებს მისი წევრების ხელფასს არაწევრებთან შედარებით.</u> თუმცა,ხელფასზე ამ დამატების სიდიდე განსხვავებულია პროფესიის,მრეწველობის დარგის,რასობრივი კუთვნილებისა და სქესისაგან დამოკიდებულებით.[1] არსებობს მტკიცებები, რომ პროფკავშირის წევრთა ხელფასის წანამატი გაიზარდა 1970-იან წლებში.ამრიგად,ადრინდელი გამოკვლევები გვიჩვენებს,რომ 1923-1958 წლებს შორის პერიოდში ხელფასის საშუალო განსხვავება პროფკავშირის წევრთა და არაწევრთა შორის დაახლოებით 15-20% შეადგენდა; უფრო გვიანდელ ნაშრომებში აღნიშნულია,რომ ეს განსხვავება 1970-იან წლებში გაიზარდა 20-30%-მდე.[2] კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ეს საშუალო ციფრებია,და რომ ისინი არსებითად იცვლება პროფესიისა და მრეწველობის დარგებისაგან დამოკიდებულებით.უფრო მეტიც,ხელფასის გაყინვამ და შემცირებამ („ხელფასში დათმობა"),რაც პროფკავშირის წევრებს შეეხო 1980-იანი წლების დასაწყისსა და შუახანებში,ალბათ შეამცირა ხელფასისადმი 20-30%-იანი დანამატი.შრომის ეკონომიკის სპეციალისტები ვარაუდობენ,რომ 1980-იანი წლების ბოლოსათვის პროფკავშირის წევრთა ხელფა-

---

1.C.J.Parsley.Labor Vnion Effects of Wage Gains:a Survey of Recent Literature//Journal of Economic Literature.1980-გვ.1-311.

2.Daniel J.B Mitchell.Vnions.Wages and Inflation.Washington.D.C.:The Brookings Institution,1980. იხ.ასევე:Richard B. Freeman.James L.Medoff. What Do Vnions Do?New York: Basic Book.Inc..Publishers,1984.ოაკი 13-14.

სის დანამატები,მეტადრე,10-15%-იან დონეს დაუბრუნდება. პროფკავშირის წევრთა ხელფასში უპირატესობების შეფასებები,ალბათ,შემცირებულია,რამდენადაც უკანასკნელნი გაცილებით მეტ დამატებით მისაცემლებს ღებულობენ,ვიდრე ის მუშები,რომლებიც პროფკავშირებს არ მიეკუთვნებიან. ეს ნიშნავს,რომ პროფკავშირის წევრები,უფრო ხშირად, ვიდრე არაწევრები- ღებულობენ პენსიებს კერძო საწარმოებიდან,სამედიცინო და სტომატოლოგიური ხარჯების დაზღვევას, ანაზღაურებულ შვებულებას და საავადმყოფოს ფურცელს და ა.შ. იმ შემთხვევებში,როცა ასეთი დამატებითი მისაცემლებით სარგებლობს როგორც პროფკავშირის წევრები,ისე არაწევრები, პირველები უფრო მეტ დახმარებას იღებენ.ამიტომ პროფკავშირის წევრთა უპირატესობები ხელფასში (ხელფასი პლუს დამატებითი მისაცემლები) მთლიანად უფრო მეტია,ვიდრე ზემოაღნიშნული 10-15%.

ეკონომისტები ასევე აღიარებენ,რომ <u>პროფკავშირები არავითარ ან ძალზე არაარსებით გავლენას ახდენენ ყველა მშრომელთა-პროფკავშირის როგორც წევრთა,ისე არაწევრთა რეალური ხელფასის საშუალო დონეზე</u>. პირველი შეხედვით ეს ორი დასკვნა-პროფკავშირებს უპირატესობა გააჩნიათ ხელფასში,მაგრამ გავლენას ვერ ახდენენ რეალური ხელფასის საშუალო დონეზე-შეიძლება შეუთავსებელი მოგეჩვენოს. მაგრამ ასეც უნდა იყოს, ვინაიდან პროფკავშირის წევრები ხელფასის წანამატს ღებულობენ პროფკავშირის არაწევრთა ხარჯზე. როგორც მალე დავინახავთ,პროფკავშირის წევრებისადმი უფრო მაღალი ხელფასის დაწესებამ შეიძლება ნაკლები რაოდენობის მუშათა დაქირავება გამოიწვიოს. დაუსაქმებელი მუშები დაიწყებენ სამუშაოს ძებნას პროფკავშირებში არაორგანიზებული სამუშაო ძალის ბაზარზე.ამის შედეგად სამუშაო ძალის მიწოდება გაიზრდება და გამოიწვევს ხელფასის შემცირებას პროკავშირებში გაუერთიანებელი სამუშაო ძალის ბაზარზე.წმინდა შედეგი ის იქნება,რომ ხელფასის საშუალო დონე არ შეიცვლება. მჭიდრო კავშირი მწარმოებლურობასა და რეალური ხელფასის საშუალო დონეს შორის,რაც 30-1 ნახაზზეა ნაჩვენები,სამართლიანად გულისხმობს,რომ პროფკავშირებს მთლიანად მშრომელთა რეალური ხელფასის გადიდების მართლაც ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ. მაგრამ 30-1 ნახაზი გვიჩვენებს გასაშუალებულ დამოკიდებულებას და საკუთარი შეოავსებადია იმასთან,რომ მუ-

შათა გარკვეული ჯგუფები (პროფკავშირის წევრები) შედარებით უფრო მაღალ ხელფასს იღებენ,თუ იმავდროულად სხვა მუშები (პროფკავშირის არაწევრები) უფრო დაბალ რეალურ ხელფასს ღებულობენ.

ეფექტიანობა და მწარმოებლურობა

რა ზეგავლენას ახდენს პროფკავშირები ეფექტიანობასა და მწარმოებლურობაზე-დადებითს თუ უარყოფითს? როგორია მისი ზეგავლენა შრომითი რესურსების განთავსებაზე? რამდენადაც ამის გარშემო დიდი გაუგებრობაა,სასარგებლოა ზოგიერთი მეთოდის განხილვა, რომელთა წყალობით პროფკავშირებს,როგორც დადებითი,ისე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ეფექტიანობაზე. თავდაპირველად განვიხილოთ უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზემოქმედება.არსებობს სამი ძირითადი მეთოდი,რომელთა გამოყენებითაც პროფკავშირები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ეფექტიანობაზე.

1.სამუშაო ძალის რაოდენობის შენარჩუნების პრაქტიკა და ზუსტი გრაფიკით მუშაობა.ზოგიერთი პროფკავშირი მართლაც აფერხებს მწარმოებლურობის ზრდას, „სამუშაოს შექმნის“და „სამუშაო ძალის რაოდენობის შენარჩუნების“პრაქტიკის გამოყენებითა და მანქანებისა და მოწყობილობების დანერგვის დამუხრუჭებით ,რომლებიც ხელს უწყობს პროდუქციის გამოშვების გადიდებას.მწარმოებლურობის შემცირების ასეთი პრაქტიკა ხშირად გამოიყენებოდა ტექნოლოგიაში ცვლილებათა საწინააღმდეგოდ.მუშები და ადმინისტრაცია შეთანხმდნენ სამუშაო ძალის ისეთ რაოდენობაზე,რომელიც გონივრული და აუცილებელი იყო შრომითი შეთანხმების დადების მომენტში. მაგრამ გამოჩნდებოდა შრომადამზოგავი ტექნოლოგია და მუშათა ასეთი რაოდენობა აღარ იყო საჭირო. პროფკავშირი უარს ამბობდა სამუშაო ძალის შესაძლო დაკარგვის წინააღმდეგ. მაგალითად,მრავალი წლის განმავლობაში ცეცხლფარეშთა და მეშანქანეთა პროფკავშირებმა შესძლეს ცეცხლფარეშთა ადგილის შენარჩუნება საორთქლმავლო ბრიგადის შემადგენლობაში,თუმცა მისი ფუნქციები მოიხსნა დიზელურ თბომავალზე გადასვლასთან დაკავშირებით.ანალოგიურად, მღებავთა პროფკავშირის წევრები ზოგჯერ თავს იკავებდნენ საჭურის (პულვერიზატორი) გამოყენებისაგან,ხოლო ზოგ შემთხვევაში ამცირებდნენ საღები ფუნჯის სიფართეს.უფრო მოგვიანებით მბეჭდავთა პროფკავშირი ეწინააღმდეგებოდა კომპიუტერების დანერგვას წიგნის

აწყობის პროცესში.ოდესღაც მუსიკოსთა პროფკავშირი დაჟინებით მოითხოვდა მეტისმეტად დიდი ინსტრუმენტული ორკესტრების შენარჩუნებას და იმასაც, რომ დაქირავებლებს ორკესტრის-პროფკავშირის წევრი-მადუბლირებელი შემადგენლობისთვისაც გადაეხადა ხელფასი, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი პროფკავშირებში გაუერთიანებული მუსიკოსებისაგან შემდგარ ორკესტრებს სამუშაოს შესთავაზობდნენ

უფრო ზოგადი სახით შეიძლება ვამტკიცოთ,რომ პროფკავშირები პასუხს აგებენ წესრიგის დამყარებისა და წარმოების ეფექტიანობისათვის არახელსაყრელი პრაქტიკისათვის.მაგალითად,წესის მიხედვით,მუშა შეიძლება სამუშაოზე დაწინაურდეს მისი შრომითი სტაჟის შესაბამისად,და არა სამუშაოს უკეთ შესრულების გამო.გარდა ამისა პროფკავშირებს შეუძლიათ შეზღუდვები ზოგიერთი სახის სამუშაოებზე, რომელთა შესრულება მუშებს შეუძლიათ.მაგალითად, მგლინავს ან კალატოზს შეიძლება აეკრძალოს მარტივი სადურგლო სამუშაოთა შესრულება, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მის ძირითად სამუშაოსთან.ასეთ შემთხვევაში მსგავსი წესების შესრულება ნიშნავს სამუშაო ადგილებზე თავისუფალი და გამოუყენებელი დურგლების არსებობას.დაბოლოს ხშირად ამტკიცებენ,რომ პროფკავშირები ხლუდავენ ადმინისტრაციის პროგრამებს მუშაობის გრაფიკის შედგენაში, საწარმოო დავალებათა განაწილებაში და მრავალ გადაწყვეტილებათა თავისუფალ მიღებაში,რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებას.

2.გაფიცვები. პროფკავშირთა მეორე საშუალება,რომლის გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეფექტიანობაზე-გაფიცვებია. თუ პროფკავშირსა და ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკება ჩიხში შედის,იწყება გაფიცვა,და წარმოება ჩერდება გაფიცვის ვადით. საწარმოს არაფერი ექნება გასაყიდი,იგი დაკარგავს მოგებას, ხოლო მუშები თავიანთ შემოსავლებს.

გაფიცვების შესახებ სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს,რომ ისინი შედარებით იშვიათია,ხოლო მასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანაკარგები შედარებით ნაკლები.საერთო შეფასებებით ახლა ყოველდღიურად 80 ათ.კოლექტიური ხელშეკრულება იდება, ხოლო გაფიცვების რაოდენობა ჩვეულებრივ, დაახლოებით 5 ათასია.უფრო მეტიც, გაფიცვათა დიდი ნაწილი სულ რამოდენიმე დღე გრძელდება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, გაფიცვისაგან დაკარგული ყოველწლიური საშუალო სამუშაო დრო მთელი სამუშაო დროის 0,2%-ია. ყოველ

მუშაზე გაანგარიშებით ეს დანაკარგი 4 საათია წელიწადში,ანუ 5 წუთზე ნაკლები კვირაში.[1]

უნდა დავუმატოთ,რომ ეკონომიკური "სარალი გაფიცვებთან დაკავშირებით შეიძლება მეტი ან ნაკლებიც იყოს, იმ დანახარჯებზე,რაც სამუშაო დროის დანაკარგებითაა გამოწვეული. დანახარჯები შეიძლება მეტი იყოს,თუ მოიშლება წარმოება ფირმებში რიმლებიც არ გაფიცულან. მაგალითად,ხანგრძლივი გაფიცვა ფოლადსამსხმელო მრეწველობაში ან ტრანსპორტზე სერიოზულ ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს წარმოებასა და დასაქმებაზე ეკონომიკის მრავალ დარგსა და სექტორებში.მეორე მხრივ,დანახარჯები შეიძლება იმაზე ნაკლები იყოს,რაც სამუშაო დროის დაკარგვითაა გამოწვეული, ვინაიდან გაუფიცავ ფირმებს შეუძლიათ გაადიდონ პროდუქციის გამოშვება და ამით გაფიცულ ფირმათა წარმოებითი დანაკაგების კომპენსირება მოახდინონ.მაგალითად,თუ „ჯენერალ მოტორზ-ის"პროდუქციის გამოშვება მცირდება მუშაობა გაფიცვის გამო, ავტომანქანის მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ფირმებს„ფორდს"და „კრაისლერს",რომლებიც დასაქმებისა და პროდუქციის გამოშვების გადიდებით უპასუხებენ.მარტივალია გაფიცვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს „ჯენერალ მოტორზს"და მის მომუშავეებს, მაგრამ საზიგადოება მოლიანად თითქმის ან საგსებით ვერ იგრძნობს დასაქმების, წარმოების რეალური მოცულობისა და შემოსავლების შემცირებას.

3.შრომითი რესურსების არარაციონალური განთავსება.მესამე და უფრო დახვეწილი ინსტრუმენტი,რითაც პროფკავშირებს შეუძლიათ ეფექტიანობაზე უარყოფითი ზემოქმედება, ესაა თვით პროფკავშირის წევრთა უპირატესობა ხელფასში. ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა 38-2 ნახაზი. მასზე გამოსახულია (სიმარტივისათვის) მოთხოვნის ერთნაირი მრუდები, შრომითი საქმიანობის განსაზღვრულ სახეობაზე სამუშაო ძალის-პროფკავშირში გაერთიანებული და გაუერთიანებელი ბაზრისათვის.[2] თუ თავდაპირველად პროფკავშირი არ იარსებებდა,მაშინ ხელფასის განაკვეთი დამოკიდებული იქნებოდა სამუშაო ძალის დაქირავებაზე კონკურენტულ საფუძველზე და ,ვთქვათ იგი W_n-ის ტოლი იქნებოდა. ახლა ვიგულისხმოთ რომ პირველ სექტორში აღმოცენდა პროფკავშირი და მან ხელფასის

1.Marten Estey. The Unions.3d ed.New York:Harcout Brace Iowanovich. Inc..1981.გვ.140.

2.განსაკუთრებული შენიშვნა:ჩვენს მაგალითებში იგულისხმება წმინდა კონკურენცია საქონელია და. რესურსების ბაზრებზე.

გადიდება W_n-დან W_u-მდე შეძლო.ამის შედეგად რიგი მუშა -N_1N_2-დაკარგავს სამუშაოს იმ სექტორში,სადაც პროფკავშირის წევრები მუშაობენ,გამოიწვევს ხელფასის შემცირებას W_n-დან W_s-მდე.

გავიხსენოთ,რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდები მუშათა ზღვრულ პროდუქტს ასახავენ ფულად ფორმაში,ანუ,სხვა სიტყვებით, მუშათა წილს ეროვნულ პროდუქტში ეს ნიშნავს,რომ A + B + C



ნახ.38-2.პროფკავშირის წევრთა ხელფასში უპირატესობის გავლენა შრომითი რესურსების განთავსებაზე.

უფრო მაღალი Wu ხელფასი,რომელსაც პროფკავშირმა პირველ სექტორში მიაღწია,მისგან N1N2 რაოდენობის მუშას გამოდევნის.ამ მუშებისათვის სამუშაოს მე-2 სექტორში მიცემა ,იქ ხელფასის Wn-დან Ws-მდე შემცირებას გამოიწვევს.A + B + C ადგილი მიუთითებს პროდუქციის მოცულობის ამასთან დაკავშირებულ დანაკარგზე.პროფკავშირში შემავალ სექტორში.მაშინ როცა პროფკავშირში არმყოფი სექტორის წარმოების ნამატი.ქხოლოდ D + E-ს წარმოადგენს. მაშასადამე.პროდუქციის მოცულობის წმინდა დანაკარგი B-ს ტოლია. ეს იმაზე მიუთითებს. რომ პროფკავშირის წევრთა ხელფასში უპირატესობა შრომითი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებას გამოიწვევს.

დაშტრიხული ადგილი „პროფკავშირულ"სექტორში გვიჩვენებს ეროვ- ნული პროდუქტის მოცულობის შემცირებას, რაც ა სექტორში დასაქმების N_1N_2-ით შემცირებითაა გამოწვეული. A + B + C იმ მუშათა ზღვრული პროდუქტის ჯამია ფულად გამოსახულებაში (მთელი წილი ეროვნულ პროდუქტში), რომლებიც გამოდევნილ იქნენ პროფკავშირის

ჩარევით ხელფასის მომატებით W_n-დან W_u-მდე .ხოლო ამ მუშებისათვის „არაპროფკავშირულ“მე-2 სექტორში შეთავაზებული სამუშაოები გამიოწვევს ეროვნული პროდუქტის გადიდებას,რაზედაც მეთითებს DE დაშტრიხული ადგილი. ის გარემოება,რომ A+B+C ადგილი მეტია D+T-ზე, მიუთითებს ეროვნული პროდუქტის წმინდა დანაკარგზე. სხვა სიტყვებით,რამდენადაც A=D, და C=E, პროფკავშირის წევრებისათვის ხელფასის გადიდებით განპირობებული წმინდა დანაკარგი B-ს ტოლია.რამდენადაც ახლა მუშაობა იგივე რაოდენობა პროდუქციის ნაკლებ რაოდენობას აწარმოებს,ნათელია,რომ შრომითი რესურსები არარაციონალურად ნაწილდება და არაეფექტიანად გამოიყენება.

თუ ამას რამდენადმე სხვა თვალსაზრისით განვიხილავთ, შეიძლება ითქვას,რომ N_1N_2 მუშათა გადაადგილების შემდეგ. პროფკავშირებში გაერთიანებული სექტორიდან პროფკავშირის არქონე სექტორში, მუშები მიიღებენ ზშ(P)-ს ტოლ ხელფასს ორივე სექტორში. მაგრამ,მუშათა ზშ(P)-პროფკავშირის წევრებისათვის უფრო მაღალი იქნებაც იდრე არაწევრებისათვის. ეკონომიკა ყოველთვის ღებულობს ეროვნული პროდუქტის უფრო დიდ მოცულობასიროდესაც ნებისმიერი შრომითი რესურსი ზშ(P)-ს გამოყენების დაბალი დონის სექტორიდან, მისი უფრო მაღალი დონით გამოყენების სექტორში გადაადგილდება. მაგრამ პროფკავშირის არსებობისას და თავის სექტორში ხელფასის W_u დონეზე შენარჩუნების შესაძლებლობების პირობებში ეს გადანაწილება მე-2 სექტორიდან პირველში არ მოხდება.

ეკონომისტთა მონაცემები პროდუქტთა დანაკარგების,შრომითი რესურსების არაეფექტიანი განთავსების გამო,რაც დაკავშირებული იყო პროფკავშირის წევრებისათვის ხელფასის მომატებასთან,მოწმობს,რომ იგი არც ისე დიდია. თავის გამოკვლევაში ალბერტ რისმა დაადგინა,რომ პროფკავშირის წევრთა ნამატი 15%-ია და გაიანგარიშა,რომ ეროვნული პროდუქტის მოცულობის დანაკარგი დაახლოი0,14%- ანუ 1%-ის მხოლოდ 1/7-ია.[1]ხუსტად ასევე, ფრიმენისა და

1.Albert Rees.The Effects of Unions of Resource Allocation//The Journal of Law and Economics.1963.ოქტომბერი.გვ.69-78.ახლახანს რობერტ დე ფინამ გაიანგარიშა,რომ პროფკავშირის წევრების ხელფასისადმი 15%-იანი წანამატი გამოიწვევს პროდუქციის მხოლოდ 0.08-0,09%-იან დანაკარგს.იხ.:Robert H.DeFina.Unions.Relative Wages.and Economic Efficiency//Journal of Labour Economics 1983.ოქტომბერი.გვ.408-429.

მედოვის შეფასებით, „ხელფასის ნამატი პროფკავშირის მონოპოლიური პოლიტიკის ხარჯზე ეკონომიკას მთლიანი ეროვნული პროდუქტის 02-04% უჯდება.“[1] 1988წ.ამ ციფრმა დაახლოებით 10-20 მლრდ დოლარს ანუ ერთ კაცზე 40-დან 80 დოლარამდე მიაღწია.

დადებითი ზემოქმედება. სხვა ეკონომისტები თვლიან, რომ საბოლოო ანგარიშში პროფკავშირებს პოზიტიური წვლილი შეაქვთ მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

1. მართვის ეფექტიანობა' შოკის ეფექტი. თქვენ გახსოვთ, რომ ცნება "შოკის ეფექტი"შეტანილი იყო 30-ე თავში, მინიმალური ხელფასის პრობლემის განხილვისას. შოკის ეფექტი იმაშია, რომ ხელფასის მომატებამ, რასაც პროფკავშირი აღწევს, შეიძლება ფირმები აიძულოს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის უფრო სრულყოფილი მეთოდები დანერგონ და ეფექტიანობის ამაღლებას მიაღწიონ. შრომითი რესურსების არარაციონალური განთავსების ანალიზი (ნახ.38-2) შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ ერთი ნაბიჯით წინ და დავამტკიცოთ, რომ პროფკავშირის წევრების ხელფასში უპირატესობა პროფკავშირში შემავალ ფირმებს სტიმულს მისცემს, დაარქარონ შრომის კაპიტალით შეცვლა (თავი 29) და ეძიონ დანახარჯების შემცირების (მწარმოებლურობის გამადიდებელი) ტექნოლოგიები. ეს ნიშნავს, რომ დანახარჯების გადიდების გამო პროფკავშირის წევრებისთვის ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით, დამქირავებლები იძულებული იქნებიან დანახარჯები შეამცირონ უფრო მეტი რაოდენობის მოწყობილობის გამოყენებით და წარმოების სრულყოფილი მეთოდების ძიებით, რომლებიც ნაკლებ რესურსებს და კაპიტალს მოითხოვენ პროდუქციის ერთეულზე. პრაქტიკულად, საქონელთა საკმაოდ კონკურენტულ ბაზარზე პროფკავშირით მოცული ფირმა, ვისი სამუშაო ძალის დანახარჯები, ვთქვათ 10-15%-ით უფრო მაღალია, პროფკავშირებში არშემავალი კონკურენტებისაზე, უბრალოდ ვერ გაუძლებს, თუ არ გაზრდის მწარმოებლურობას. მოკლედ, პროფკავშირის წევრთა ხელფასი ადმინისტრაციას აიძულებს ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომლებიც გაზრდიან შრომის მწარმოებლურობას.

2. საშუშაო ძალის დენადობის შემცირება. ფრიმენმა და მედოვმა[2] ყურადღება მიაქციეს იმას, რომ პროფკავშირები საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ფირმათა მწარმოებლურობის გადიდე-

---

1.Richard B.Freeman.James L.Medoff.What Do Unions Do?გვ.57.

– 2.იქვე,თავი მე-11.

ბას, სამუშაო ძალის დენადობაზე და დასაქმების გარანტიებზე ზემოქმედების წყალობით. ამ აკრძალვათა მოსაზრებით, პროფკავშირთა დადებითი ზეგავლენა მწარმოებლურობაზე ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ "პროფკავშირები"კოლექტიური ხმის ფუნქციას ასრულებენ, შრომითი დავის, მუშაობის პირობების გაუმჯობესების და ა.შ. გადაწყვეტისას. ეს ნიშნავს,რომ თუ მუშათა ჯგუფი უკმაყოფილოა ქირავნობით, მას ორი შესაძლო საშუალება გააჩნია უთანხმოების გამოსახატავად:„ნებაყოფლობითი გათავისუფლების მექანიზმი" და "სიტყვიერი კონტაქტების მექანიზმი". ნებაყოფლობითი გათავისუფლების მექანიზმი გულისხმობს სამუშაო ძალის ბაზრის გამოყენებას-სამუშაოს მოცემული ადგილიდან წასვლა უკეთესის ძიების მიზნით-"კუდი" დამქირავებლების და მუშაობის კუდი პირობების საწინააღმდეგო საშუალებათა სახით. ამ მეთოდისაგან განსხვავებით, სიტყვიერი კონტაქტების მექანიზმი მოიცავს მუშათა მოლაპარაკებებს დამქირავებლებთან შრომის პირობების გაუმჯობესებისა და შრომითი სადაო საკითხების გადაწყვეტის გამო. ტრადიციული მუშისათვის შეიძლება საკმაოდ სარისკო იყოს დამქირავებელზე თავისი უკმაყოფილების გამოხატვა, ვინაიდან უკანასკნელებს შეუძლიათ იგი სამუშაოდან გათავისუფლონ, როგორც "მეამბოხე". მაგრამ პროფკავშირებს შეუძლიათ კოლექტიური ხმით, ადმინისტრაციის მიმართ პრობლემებისა და პრეტენზიების განხილვისას, დაუნებით მოითხოვონ მათი დადებითად გადაწყვეტა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პროფკავშირებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სამუშაო ძალის დენადობის შემცირებას ორი გზით: ჯერ ერთი, პროფკავშირები იყენებენ სიტყვიერი კონტაქტების მექანიზმს სამუშაოდან ნებაყოფლობითი განთავისუფლების მექანიზმის ნაცვლად. ისინი ეფექტიანად არეგულირებენ წარმოებით კონფლიქტებს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში მუშების მიერ "გადაწყდებოდა" ნებაყოფლობითი განთავისუფლებისა და სამუშაო ადგილის გამოცვლის გზით. მეორე, პროფკავშირის წევრთა ხელფასში უპირატესობა აჩერებს მათ სხვა სამუშაოზე გადასვლისაგან. უფრო მაღალი ხელფასი პროფკავშირებით მოცულ ფირმებს მუშაობის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს. თავიანთ რიგ გამოკვლევებში ფირმენი და მედოვი ამტკიცებენ,რომ პროფკავშირები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს სამუშაო ძალის დენადობის შემცირებას 31-დან 65%-მდე.[1]

1.Richard B.Freeman.James L.Medoff.What Do Unions Do?.გვ.6.

სამუშაო ძალის დენადობის შემცირება სხვადასხვა გზებით იწვევს ეფექტიანობის გადიდებას. ჯერ-ერთი ამ შემცირების შედეგად იზრდება მუშათა გამოცდილება, და მაშასადამე, მათი მწარმოებლურობაც. მეორე, მცირდება ფირმის ხარჯები ახალი მუშების მიღებაზე, გამოსაცდელი ვადით და მთლიანად სამუშაო ძალის დაქირავებაზე. დაბოლოს, დენადობის შემცირება შეაგულიანებს დამქირავებლებს უფრო ხალისით დააბანდონ კაპიტალი თავიანთი მუშების სწავლებაზე (და მაშასადამე, მწარმოებლურობაშიც). თუ მაგალითად, მუშა სამუშაოს ტოვებს ერთი წლის სწავლების შემდეგ, დამქირავებელი არავითარ მოგებას არ მიიღებს მისი შრომის მწარმოებლურობის გადიდებისაგან, სწავლების შედეგად დენადობის შემცირება ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ დამქირავებლები მეტ მოგებას მიიღებენ სწავლების ნებისმიერი სახეობისაგან, რასაც ისინი შესთავაზებენ და ამიტომ უფრო მეტი ხალისით ამაღლებენ თავიანთ მუშათა კვალიფიკაციას.

3.მუშაობის სტაჟი და არაორგანიზებული სწავლება. მრავალ შემთხვევაში მომუშავეთა მომზადება, რაც მათ მწარმოებლურობას ადიდებს, არაორგანიზებულად ხორციელდება. კვალიფიციურ მუშებს შეუძლიათ ნაკლებკვალიფიციურებს აუხსნან, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ ფუნქციებს, სამუშაო ადგილზე, სასადილო შესვენებისა, ან ოამბაქოს მოწევის დროს, მაგრამ უფრო კვალიფიციურ და გამოცდილ მუშას შეუძლია კიდევაც არ მოისურვოს თავისი ცოდნა გაუზიაროს ნაკლებკვალიფიციურ და გამოუცდელ მუშას, თუ უკანასკნელს შეუძლია შემდგომში მისთვის კონკურენციის გაწევა. მაგრამ იმის გამო, რომ პროფკავშირთა დაკონებული მოთხოვნით თანამდებობაზე დაწინაურების საკითხის განხილვის ან გათავისუფლებისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა შრომით სტაჟს ენიჭება, ასეთი საფრთხე არ არსებობს. გამოცდილი მუშები დაცულობის გამო მეტი ხალისით გადასცემენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახალბედებს და დამხმარე მუშებს. არაორგანიზებული სწავლება ამაღლებს სამუშაო ძალის ხარისხსა და მწარმოებლურობას მოცემულ ფირმაში.

განსხვავებები გამოკვლევათა შედეგებში. ჩატარებულია საკმაოდ ბევრი გამოკვლევა მწარმოებლურობაზე პროფკავშირთა სეგავლენის განსაზღვრისათვის. ამ გამოკვლევებში მოცემულია მცდელობა, შრომის ხარისხში, კაპიტალურ მოწყობილობათა რაოდენობაში, განსხვავებები და სხვა ფაქტორები-გარდა პროფკავშირებისა, რომლებმაც შეიძლება ხელავლენა მოახდინონ მწარმოებლურობაში განსხვავებაზე, შეფასებულ იქნას

ერთ მუშაზე გაანგარიშებით. სამწუხაროდ ამ ნაშრომია საგულველ ზე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, ვინაიდან ერთი ავტორები ამტკიცებენ, რომ პროფკავშირები დადებით ზეგავლენას ახდენენ შრომის მწარმოებლურობაზე, ხოლო მეორენი კი, რომლებიც სხვა მეთოდოლოგიას ან სხვა მონაცემებს იყენებენ, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეს გავლენა უარყოფითია. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიცოდეთ, რომ დღეისათვის არ არსებობს საერთოდ მიღებული მოსაზრება პროფკავშირების შრომის მწარმოებლურობაზე ყოველმხრივი ზემოქმედების თაობაზე.[1]

შემოსავლების განაწილება.

პროფკავშირები თავისთავს ეგალიტარულ ძალად, ე.ი. ისეთ ინსტიტუტად თვლიან, რომელიც ეკონომიკურ თანასწორობას აძლიერებს.ხოლო სინამდვილეში პროფკავშირები ამცირებენ თუ არა უთანასწორობას შემოსავლების განაწილებაში? მართალია ამ საკითხში ერთიანი მოსაზრება არ არსებობს, მაგრამ ყველაზე უფრო დამაჯერებელი ფაქტები მოწმობენ, რომ პროფკავშირები ამცირებენ ამ უთანასწორობას.

უთანასწორობის გაძლიერება. ზოგიერთი ეკონომისტი იყენებს რა შრომითი რესურსების არარაციონალური გადანაწილების ანალიზს (იხ.ნახ.38-2) იმ დასკვნამდე მიდის, რომ პროფკავშირები ადიდებენ შემოსავლების უთანასწორობას. მარტივად რომ ვსაუბრობთ, ისინი ამტკიცებენ, რომ პროფკავშირების არარსებობისას კონკურენცია გაათანაბრებდა ხელფასს ბაზრის ამ ორ სექტორში ან ქვეგანყოფილებაში W_n დონეზე. მაგრამ პროფკავშირის წევრია უფრო მაღალი ხელფასი პირველ სექტორში ხელს უწყობს მუშაობა გადაადგილებას, რომლებიც იძულებული არიან სამუშაო ეძებონ პროფკავშირში არშემავალ სექტორში. ამის შედეგად მცირდება ხელფასი ამ სექტორში. ნაცვლად ხელფასში თანასწორობისა W_n დონეზე, ჩვენ ვხედავთ უფრო მაღალ W_u ხელფასს პროფკავშირის წევრებისთვის და უფრო დაბალ Ws-ს პროფკავშირის არაწევრებისათვის. პროფკავშირები, ცხადია, ხელს უწყობენ შემოსავლების უთანაბრობის გაძლიერებას. უფრო მეტიც, თვით ფაქტი, რომ მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი მუშები უფრო ფართოდ არის მოცული

1.მრავალი ამ ნაშრომიაგანი განხილულია გამოკვლევაში:Campbell P. McConnell. Stanley L.Breu.Contemporary Labor Economics.თავი №-7.

პროფკავშირებით ვიდრე ნაკლებკვალიფიციური, დაბალანაზღაურებადი მუშები, ასევე გვისვენებს, რომ ხელფასში უპირატესობა, რასაც პროფკავშირებმა მიაღწიეს, აძლიერებს დაშორიშორებას შემოსავლებში.

თანამდებობაში დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობები. მაგრამ არსებობს ასევე პროფკავშირთა პოლიტიკის სხვა ასპექტებიც ხელფასის თვალსაზრისით, რომლებიც იმაზე მიუთითებენ, რომ პროფკავშირები ხელს უწყობენ შემოსავლების განაწილებაში მეტ და არა ნაკლებ თანასწორობას. რა ხერხებს იყენებენ პროფკავშირები ხელფასის გასათანაბრებლად?

1.ერთიანი ხელფასი ერთი ფირმის ფარგლებში. პროფკავშირების არსებობისას დამქირავებლები ცდილობენ მუშებს განსხვავებული ხელფასები გადაუხადონ ერთიდაიგივე სამუშაოსათვის.ხელფასის ეს განსხვავებები აიხსნება,განსხვავებით მუშაობის ხარისხში,სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობაში,და ასევე დამქირავებლის კეთილგანწყობით. პროფკავშირები,პირიქით, ტრადიციისამებრ იბრძვიან ერთიანი ხელფასისათვის ყველა მუშისათვის,რომლებიც მოცემული სახის სამუშაოს ასრულებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მაშინ,როცა პროფკავშირში არშემავალი ფირმები ხელფასის განაკვეთებს უწესებენ <u>ცალკეულ მუშებს</u>, პროფკავშირები მუშათა სოლიდარობის გამო ცდილობენ,რომ განაკვეთები დაწესდეს <u>მოცემული სახის სამუშაოსათვის</u>.იმ ზომით,რა ზომითაც ეს გამოუვათ, ხელფასისა და შემოსავლების დიფერენციაცია მოიხსნება, რაც ემყარება ზემდგომი პირების მიერ ამა თუ იმ შრომის ეფექტიანობის შეფასებას.ერთიანი განაკვეთების ასეთი პოლიტიკის მნიშვნელოვანი თანამდევი შედეგია ის ფაქტი,რომ ზანგების,სხვა ეროვნული უმცირესობებისა და ქალების დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში პროფკავშირების არსებობის პირობებში მცირდება.

2.ერთიანი ხელფასი ხვადასხვა ფირმებში.პროფკავშირები ცდილობენ ხელფასის ერთიანი განაკვეთების დაწესებას მოცემული პროფესიული თანრიგებისათვის არა მხოლოდ ფირმის <u>შიგნით</u>,არამედ <u>სხვადასხვა</u> ფირმებშიც. ასეთი პოლიტიკის მიზეზი სავსებით ცხადია.არსებითმა განსხვავებამ შრომის ანაზღაურებაში კონკურენტ ფირმებს შორის შეიძლება პროფკავშირებს ხელფასში უპირატესობათა შენარჩუნების შესაძლებლობა წაართვას.მაგალითად,თუ ოლიგოპოლიაში შემავალი ოთხი ფირმიდან ერთ-ეროს უფლება მისცეს პროფკავშირის წევრებისათვის უფრო დაბალი ხელფასის მიცემაზე,მაშინ,შესაძლოა პროფკავშირისათვის ძნელი აღმოჩნდეს დანარჩენ სამ ფირმაში თავისი წევრებისათვის ხელფასში უპირატესობათა შენარჩუ-

ნება. განსაკუთრებით ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში მაღალი ხელფასის მქონე ფირმები ძლიერ დაწოლას ახდენენ პროფკავშირებ'ხე, ითხოვენ რა მის შემცირებას დაბალი ხელფასის მქონე ფირმათა დონე'ხე.ასეთ პრობლემათა თავიდან ასაცილებლად,პროფკავშირები ცდილობენ „ხელფასი გამოიტანონ კონკურენციის სფეროდან" სხვადასხვა ფირმებში განაკვეთების გათანაბრების გზით და ამით შეამცირონ ხელფასში დაშორიშორების ხარისხი.

როგორია პროფკავშირების საქმიანობის წმინდა ზეგავლენა განაწილებაზე? მართალია,საკითხი სადაოა,მაგრამ ფრიმენი და მედოვი,სტატისტიკურ მონაცემთა გამოყენებით იმ დასკვნამდე მივიდნენ,რომ ხელფასის ეფექტი, რაც 38-2 ნახაზზეა ნაჩვენები,ადიდებს შემოსავლების უთანასწორობას დაახლოებით 1%-ით,მაგრამ ხელფასის განაკვეთების გათანაბრება ფირმის შიგნით და სხვადასხვა ფირმებში,ამცირებს უთანასწორობას დაახლოებით 4%-ით. პროფკავშირთა საქმიანობის წმინდა შედეგი შემოსავლების უთანასწორობის 3%-მდე შემცირებაში მდგომარეობს.იმის გათვალისწინებით,რომ მუშათა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ირიცხება პროფკავშირებში,ავტორები ამტკიცებენ,რომ უთანასწორობის 3%-ით შემცირება საკმაოდ მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.[1]

პროფკავშირები და ინფლაცია

ახლა,მოდით შეძლებისდაგვარად გავერკვეთ რთულ და სადაო საკითხებში იმის შესახებ,შეუძლიათ თუ არა პროფკავშირებს ასწიონ ნომინალური ხელფასის საშუალო დონე და ამით დანახარჯების,ანუ,უფრო ზუსტად,ხელფასის გადიდებით განპირობებული ინფლაცია.

ორი მოდელი. ჩვენ გავეცანით ინფლაციის ორ განზოგადებულ მოდელს,უფრო სწორედ, მოთხოვნის ინფლაციისა და დანახარჯების გადიდებით გამოზვეული ინფლაციის მოდელს (იხ.ნახ. 11-6ბ, 11-6გ, და ასევე 11-8). მოთხოვნის ინფლაციის მოდელი გვიჩვენებს,რომ ერთობლივი მიწოდების მოცემული მოცულობის პირობებში მოთხოვნის

1.Richard B.Freeman.James L.Medoff.What Do Unions Do?

გვ.90-93:სხვა ნაშრომები,რომლებიც აქ იყო ციტირებული. იხ. ასევე:Nguyen T.Quan.Unionism and the Size Distribution of Earnings//Industrial Relations.1984.გვ.270-277.

გადიდება გამოიწვევს ფასების უფრო მაღალ დონეს. მოდელის კეინსურ ვარიანტს ერთობლივი მოთხოვნის გადიდება,მისი ნებისმიერი კომპონენტების: მოხმარების,ინვესტიციების,სახელმწიფო ხარჯების ან მოთხოვნის გადიდების ხარჯზე,საგარეო ბაზარზე გადააქვს. მონეტარისტთა მტკიცებით, ერთობლივი მოთხოვნის გადიდება მხოლოდ ფულადი მასის გადიდებით აიხსნება (თავი მე-18).მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ინფლაციის მიზეზი ან ბიძგი წარმოიშობა საქონლურ ბაზარზე,მოთხოვნის სფეროში,რაც შემდგომში სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და ნომინალური ხელფასის გადიდებას იწვევს. მნიშვნენლოვანია ისიც,რომ მოთხოვნის ინფლაციის თეორიის შესაბამისად, ხელფასის გადიდება ინფლაციის შედეგი ან სიმპტომია და არა მიზეზი. ხელ'ფასის გადიდება ინფლაციის მიზეზი კი არ არის, არამედ, მეტადრე ჭარბი ერთობლივი მოთხოვნის შედეგია.ხელფასის გადიდება უბრალოდ ხელს უწყობს ინფლაციას და არ იწვევს მას.

ინფლაციის, დანახარჯების ზრდით გამოწვეული მოდელები,უშვებენ,რომ ხელფასის გადიდება პროფკავშირთა ზეგავლენით,ინფლაციის მიზეზია.უფრო ზუსტად,მე-19 თავში მოტანილი განტოლებიდან ვიცით,რომ,თუ ნომინალური ხელფასის გადიდება შრომის მწარმოებლურობის ზრდას აჭარბებს, მაშინ შრომის ერთეულის დანახარჯები იზრდება. იმ პირობებში, როდესაც დანახარჯები შრომის ანაზღურებაზე წარმოების მთელი დანახარჯების 3/4-ია, შეიძლება ველოდოთ,რომ საქონელთა ფასები გაიზრდება შრომის ერთეულზე დანახარჯთა საკარაუდო გადიდების შესაბამისად. როგორც 11-8 ნახაზი გვიჩვენებს,ერთობლივი მიწოდების AS_1-დან AS_2-მდე შემცირება იწვევს ფასების დონის შემცირებას.ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს,რომ ნომინალური ხელფასის გადიდება პროფკავშირების ზეგავლდენით, რაც შრომის მწარმოებლურობის ზრდას აჭარბებს,შეიძლება ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილების მიზეზი გახდეს.

წინასწარი დასკვნები. აღნიშნულიდან რომელი თვალსაზრისია სწორი? ნომინალური ხელფასის გადიდება უბრალოდ ახლავს ინფლაციას და ხელს უწყობს მას, როგორც მოთხოვნის ინფლაციის მიმდევრები აღნიშნავენ? თუ ხელფასის მომატება პროფკავშირთა ზემოქმედებით ინფლაციის წყაროა,როგორც ამტკიცებენ დანახარ-

ჯების ზრდით გამოწვეული ინფლაციის მიმდევრები? რამდენადაც ამ კითხვაზე ერთიანი პასუხი არ არსებობს,სპეციალისტთა უმრავლესობა პროფკავშირების მიერ ხელფასის დაწესებას მიიჩნევს როგორც ინფლაციის ხელშემწყობ ფაქტორს. 1960-იანი წლების გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ პროფკავშირების მიერ ხელფასის დაწესება შეთავსებადია ფასების სტაბილურ დონესთან. და შეიძლება საკმაო დაბეჯითებით ვამტკიცოთ,რომ სწრაფად განვითარებადი ინფლაციის ძირითადი აფეთქებები აშშ-ში იწყებოდა ან ერთობლივი მოთხოვნის გადიდებით,ან მიწოდების მექანიზმის სერიოზული მოშლით, რომელთაც თითქმის ან საერთოდ არ ჰქონდათ არანაირი დამოკიდებულება ხელფასის მომატებასთან. ასე,მაგალითად, 1970-იან წლების „დიდი ინფლაციის" წყარო ერთი მხრივ იყო სახელმწიფო სამხედრო ხარჯების გადიდება 1960-იანი წლების ბოლოს და მეორე მხრივ-მიწოდების მექანიზმის მოშლა,რაც დაკავშირებული იყო ნავთობის კარტელის ნექო-ს საქმიანობასთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტთან. შესაძლოა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება,რომ დანახარჯების ზრდით განპირობებული ინფლაციის მოდელის შესაბამისად,ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილება,რასაც თან ახლავს შრომის ერთეულზე პროფკავშირების მიერ პროვოცირებული დანახარჯების გადიდება,იწვევს პროდუქციის მოცულობის შემცირებას და უმუშევრობის გადიდებას. ხოლო ეს კი ხელს უშლის პროფკავშირებს მოითხოვონ, ხელფასის გადიდება (ნახ.11-8). ამრიგად, შრომის ერთეულზე დანახარჯთა გადიდება არ გამოიწვევს ხანგრძლივ ინფლაციას ,თუ მხოლოდ შეთანხმებული ფინანსური და ფისკალური ღონისძიებები არ გამოიწვევენ ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას, პროდუქციის მოცულობის შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის პასუხად, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ხელფასის გადიდებით განპირობებული ინფლაციით (ნახ.19-7ბ).ამრიგად, ყველაზე უფრო გონივრული დასკვნა ისაა,რომ პროფკავშირები <u>საეჭვოა იყოს</u> ინფლაციის პირველმიზეზი.სხვა სიტყვებით,პროფკავშირებს,როგორც ჩანს, <u>არ შეუძლიათ</u> გამოიწვიონ ინფლაციის თავდაპირველი აფეთქებები ან ინფლაციის არსებული დონის დიდი ზრდა სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად.

პროფკავშირული მოძრაობისა და კოლექტიური ხელშეკრულებების დადების მიმოხილვის დასრულების შემდეგ,მოდით განვიხილოთ კიდევ ორი ფაქტორი, რაც სამუშაო ძალის ბაზარზე ზემოქმედებს აშშ-ში. თავდაპირველად ჩვენ გავაანალიზებთ დისკრიმინაციის პრობლემას სამუშაო ძალის ბაზარზე,ხოლო შემდგომ, იმიგრაციის საკამათო პრობლემას.

დისკრიმინაცია

37-ე თავში აღვნიშნავდით, რომ შავკანიანი და ესპანურენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლები და ქალები სიღარიბის არაპროპორციულად დიდ ტვირთს აკარებენ.მოსახლეობის ამ ჯგუფების დაბალი შემოსავლები სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირების შედეგია.ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ბაზრის განხილვა დისკრიმინაციის თვალსაზრისით.

ეკონომიკური დისკრიმინაცია სწარმოებს იმ შემთხვევაში,როცა ეროვნული უმცირესობების ქალებს ან მუშებს,ერთნაირი უნარით, განათლებით,კვალიფიკაციით და გამოცდილებით, ეპყრობიან როგორც დაბალი ხარისხის ადამიანებს სამუშაოზე დაქირავებისას,განსაზღვრული პროფესიის შეთავაზების,თანამდებობაზე დაწინაურების ან ხელფასის გადიდების დროს. დისკრიმინაციას ასევე აქვს ადგილი იმ შემთხვევებში,როდესაც ქალებისა და ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი ვერ ხდება განათლება და პროფესიული სწავლება. 38-1 ცხრილში წარმოდგენილია შერჩევითი მონაცემები რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ. ასეთივე მონაცემები არსებობს ქალთა დისკრიმინაციის შესახებაც. მაგალითად,სრული კვირით მომუშავე ქალთა ყოველკვირეული ხელფასი მამაკაცთა ხელფასის მხოლოდ 70%-ია.

დისკრიმინაციის მასშტაბები

როგორც 38-1 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, დისკრიმინაციის ჩვენეულმა განმარტებამ შეიძლება სხვადასხვა ფორმები მიიღოს.ჩვენი შემდგომი მსჯელობები ეხება რასობრივ დისკრიმინაციას,მაგრამ ,ისინი მისაღებია ქალთა დისკრიმინაციის მიმართაც.

1.დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში,ნიშნავს,რომ ‘ხანგებს და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს თეთრკანიანებ

ცხრ.38-1.1987წ.შერჩევითი მონაცემები დისკრიმინაციისა და შესაძლებლობათა უთანასწორობის შესახებ

შერჩევითი მონაცემები	თეთრები	ზანგები
შემოსავალი	32274	18089
ოჯახების საშუალო შემოსავალი (დოლ.)		
ღარიბი ოჯახების ხვედრი წილი (%)	8,2	29,9
50000 და მეტი დოლ. შემოსავლის მქონე ოჯახების ხვედრი წილი(%)	24,4	9,5
უმუშევართა ხვედრი წილი(სამოქალაქო დარგებში) (%)		
მონიფული მამაკაცები [1] (%)	4,8	11,6
მონიფული-ქალები [1] (%)	4,6	11,6
ახალგაზრდები [2] (%)	15,5	34,4
ქალიშვილები [2] (%)	13,4	34,9
განათლება		
25 და მეტი წლის ადამიანთა ხვედრი წილი,რომელთაც საშუალო სკოლის 4 და მეტი კლასი დაამთავრეს (%)	77,0	63,4
25 და მეტი წლის ადამიანთა ხვედრი წილი,რომელთაც კოლეჯის 4 და მეტი კურსი დაამთავრეს (%)	20,5	10,7
განანილენბა პროფესიების მიხედვით,(%) სამოქალაქო დარგებში დასაქმებულთა რიცხვის მიმართ		
მმართველობითი სამუშაო და პროფესიული საქმიანობა (ექიმები,მასწავლებლები,ექილები და ა.შ.)	25,7	15,1
მუშაობა მომსახურების სფეროში	12,2	23,1

[1] 20წ. და მეტი ხნის
[2] 16-დან 19წლამდე

წყაროები:Statistical Abstract of tne United States.1989:Economic Reporrt of the President.1989 (Washington):Employment and Earnings.1988.იანვარი.

ზე ნაკლებს უხდიან ერთიდაიგივე სამუშაოსათვის. დისკრიმინაციის ეს სახეობა თანდათან კარგავს მნიშვნელობას,რამდენადაც თვალშისაცემია და აშკარად არღვევს ფედერალურ კანონმდებლობას.

2.დისკრიმინაცია სამუშაოზე დაქირავებისას, ნიშნავს, რომ უმუშევრობა ყველაზე მეტად ეხება ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში ზანგებს ყველაზე ბოლოს ღებულობენ სამუშაოზე და პირველებს ათავისუფლებენ. ამიტომ უკანასკნელ 15-20 წელიწადს უმუშევრობა ზანგებს შორის თითქმის ორჯერ მეტი იყო თეთრკანიანებთან შედარებით (ცხრ. 38-1).

3.დისკრიმინაცია ადამიანისეული კაპიტალის სფეროში, გულისხმობს,რომ ინვესტიციათა მოცულობა ზანგების განათლებასა და სწავლებაზე ნაკლებია თეთრკანიანების ამ მაჩვენებელთან შედარებით.ზანგების განათლების ნაკლები მოცულობა და უფრო დაბალი ხარისხი (ცხრ.38-1) ნიშნავს,რომ უკანასკნელები მოკლებულია თავიანთი მწარმოებლურობის გადიდებას და უკეთეს სამუშაოზე პრეტენზიებს. სამწუხაროდ, ეს, როგორც ჩანს,მოჯადოებული წრეა. ბევრი ზანგი ღარიბია იმიტომ, რომ ცოტა სახსრების აბანდებენ ადამიანისეულ კაპიტალში. სიღარიბის გამო მათ მნიშვნელოვნად ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ განათლებასა და სწავლებაზე ინვესტირებისათვის.მათ ნაკლები სტიმული აქვთ ადამიანისეულ კაპიტალში ფულის დასაბანდებლად. შრომის ანაზღაურებაში,სამუშაოზე დაქირავებისას და პროფესიის შერჩევისას დისკრიმინაციის გამო ზანგები მოგების ნაკლებ ნორმას ღებულობენ განათლებასა და სწავლებაში კაპიტალდაბანდებისაგან.

პროფესიული სეგრეგაცია: გადატვირთვის მოდელი

დისკრიმინაციის უკანასკნელი ფორმა-პროფესიული სეგრეგაცია განსაკუთრებით შესამჩნევია ამერიკის ეკონომიკაში.ქალთა არაპროპორციულად დიდი რაოდენობა მიეკუთვნება პროფესიათა :მედდების,სახელმწიფო სკოლების მასწავლებლების,საკანცელარიო მომუშავეების და მაღაზიების გამყიდველების შეზღუდულ წრეს. ზანგებისათვის ხელმისაწვდომია დაბალანაზღაურებად სამუშაოთა: მრეცხავების, მეეზოვეებისა და მსახურების სანიტრებისა და ა.შ. შეზღუდული წრე.

პროფესიული დისკრიმინაციის გავლენა მომუშავის სტატუსზე და მის შემოსავლებზე შეიძლება ვაჩვენოთ მიწოდებისა და მოთხოვნის მარტივ მოდელზე, რაც ეფექტიანობაზე პროფკავშირების ზემოქმედების შედეგების ანალიზისათვის გამოყენებულის ანალოგიურია. გავაკეთოთ შემდეგი გასამარტივებელი დაშვებები.

1.სამუშაო ძალა შედგება მამაკაცებისა და ქალების (თეთრკანიანების ან ზანგების) თანაბარი რაოდენობისაგან,ვთქვათ,6-6 მლნ მამაკაცისა და ქალისაგან.

2.ეკონომიკა შედგება საქმიანობის სამი სახეობისაგან,რომლებსაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ერთნაირი მრუდი გააჩნიათ,როგორც ნაჩვენებია 38-1 ნახაზზე.

მამაკაცები და ქალები (თეთრკანიანები და ზანგები) ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან მათი პროფესიული პოტენციალის თვალსაზრისით;მათ თანაბარი ზომით შეუძლიათ ხელი მოკიდონ ნებისმიერ საქმიანობას აღნიშნული სამი სახეობიდან.

ახლა,ვივარაუდოთ, რომ არარაციონალური დისკრიმინაციის შედეგად, 6 მლნ ქალი გამოირიცხა X და Y პროფესიებიდან და თავმოყრილ იქნა Z პროფესიაში. მამაკაცები თანაბრად განაწილდნენ X და Y პროფესიებზე,ე.ი. ყოველ მათგანში მუშაობს 3-3 მლნ მამაკაცი, რომლებიც ერთნაირ OM-ხელფასს ღებულობენ (სამუშაო ძალის გადადენის დაბრკოლებათა არსებობისას,მამაკაცების ნებისმიერი სხვა განაწილება X და Y პროფესიებს შორის გამოიწვევდა დაშორიშორებას ხელფასში,რაც სამუშაო ძალის გადაადგილებას გამოიწვევდა საქმიანობის დაბალანასლაურებადი სფეროებიდან მაღალანასლაურებადში, სანამ თანასწორობა არ დამყარდებოდა ხელფასში).მეორე მხრივ, ქალებმა თავი მოიყარეს Z პროფესიაში და ამ პროფესიული სეგრეგაციის შედეგად გაკილებით უფრო დაბალ OW ხელფასს ღებულობენ.დისკრიმინაციის შემთხვევაში ეს „წონასწორობითი“ სიტუაციაა.დისკრიმინაციის გამო ქალებს <u>არ შეუძლიათ</u> X და Y პროფესიებში გადასვლა,უფრო მაღალი ხელფასისაკენ ლტოლვით.

ახლა ვივარაუდოთ,რომ კანონმდებლობაში ან საზოგადოებრივ კლიმატში ძირეული ცვლილებების გამო დისკრიმინაცია მოისპო. რა მოხდება? უფრო მაღალი ხელფასით მოხიდული ქალები Z-დან X და Y-ში გადავლენ. უფრო ზუსტად, 1 მლნ ქალი გადავა X-ში და მეორე მილიონი Y-ში,ხოლო 4 მლნ დარჩება Z-ში. მაშინ ყოველ პროფესიაში 4-4 მლნ მუშა იქნება, ყველა ერთნაირი (OB)ხელფასით.თანაბარი ხელფასი ნულზე დაიყვანს სამუშაო ძალის შემდგომი გადანაწილების სტიმულს. ეს

ახალი არადისკრიმინაციული წინასწორობა იქნება აშკარად ქალთა სასარგებლოდ,რომლებიც ახლა უფრო მაღალ ხელფასს ღებულობენ და მამაკაცთა საზიანოდ,რომლებიც უფრო დაბალ ხელფასს ღებულობენ.თავდაპირველად,დისკრიმინაციის წყალობით მამაკაცები იგებდნენ ქალების ექსპლოატაციისაგან,დისკრიმინაციის შეწყვეტა კი ასწორებს ამ მდგომარეობას.

მაგრამ,ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია.არის წმინდა მოგებაც



ნახ.38-3. პროფესიული დისკრიმინაციის მარტივი ეკონომიკური სქემა

საქმიანობის ერთ სფეროში ქალთა კონცენტრაციის გამო მამაკაცები უფრო მაღალ OM ხელფასს ღებულობენ, X და Y პროფესიებში,ხოლო OW დაბალი ხელფასს Z პროფესიაში.დისკრიმინაციის გაუქმება ათანაბრებს ხელფასს OB დონეზე და გამოიწვევს ეროვნული პროდუქტის წმინდა მოცულობის გადიდებას.

საზოგადოებისათვის.გავიხსენოთ,რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდი ასახავს მის მიერ შექმნილი ზღვრულ პროდუქტს ფულად გამოხატულებაში (თავი 29-ე) ანუ,სხვა სიტყვებით,მუშათა წვლილს ეროვნულ პროდუქტში.[1] 38-3 ნახაზი მკაფიოდ გვიჩვენებს ეროვნული პროდუქტის მოცულობას-პროდუქტის ზღვრული ანუ დამატებითი მოცულობის საბაზრო ღირებულების გადიდებას- თითო მლნ ქალთა მოდენით X და Y პროფესიებში,და ასევე ეროვნული პროდუქტის მოცულობის შემცი-

1.ეს წმინდა კონკურენციას გულისხმობს საქონელთა და რესურსების ბაზარზე.

რებას,რაც გამოწვეულია 2 მლნ ქალის წასვლით Z პროფესიიდან. ამ მონაცემთა შესწავლით დავინახავთ,რომ დისკრიმინაციის გარეშე ეროვნული პროდუქტის ორი დამატებითი მოცულობის ჯამი დანაკარგებზე მეტია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ Z პროფესიიდან წასულმა ქალებმა, სადაც მათი წილი ეროვნულ პროდუქტში უმნიშვნელო იყი, სამუშაო X და Y პროფესიებში მიიღეს, ეროვნულ პროდუქტში საკმაოდ დიდი წელილის შეტანით. დასკვნა: <u>დისკრიმინაციის გარეშე საზოგადოება იგებს შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანი განთავსებით.</u> დისკრიმინაცია გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლის შემცირებული რაოდენობის განაწილებაზე. ეს ნიშნავს,რომ დისკრიმინაციას ეკონომიკა ისეთ მდგომარეობაში მიჰყავს,რაც შეესაბამება მის წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდის შიგნით მდებარე წერტილს.

დისკრიმინაციის დანახარჯები

დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეობის არსებობისას ძნელია შევაფასოთ მასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანახარჯები. მაგრამ ერთ-ერთი შეფასებით,[1] თუ ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებაია დახმარებით მოხერხდა ზანგებს შორის უმუშევარობის დაყვანა თეთრკანიანთა შორის უმუშევრობის დონემდე, და თუ ზანგი მუშებისათვის უზრუნველყოფილი იქნება განათლებისა და პროფესიული სწავლებისადმი ხელმისაწვდომობა, რაც საკმარისი იქნება ზანგებისა და თეთრების საშუალო მწარმოებლურობის გათანაბრებისათვის, ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობა გაიზრდებოდა დაახლოებით 4%-ით. მაგალითად, 1988წ. რასობრივი დისკრიმინაციის მხოლოდ ეკონომიკური დანახარჯები თითქმის 181 მლრდ დოლარი იყო.

დამატებები

უნდა დავუმატოთ კიდევ ორი მნიშვნელოვანი მოსაზრება დისკრიმინაციის პრობლემის გამო.

1.იხ.Joint Economic Comitee.The Cost of Racial Discrimination.Washington.1980.

შესადარისი ღირებულების დოქტრინა.პირველი მოსაზრება ეხება სახელმწიფო პოლიტიკას.პროფესიული სეგრეგაციის ყოვლისმომწვდომმა რეალობამ შესადარისი ღირებულების პრობლემა წარმოშვა. შრომის ანაზღაურების შესახებ 1963წ.კანონმა,რომელიც დამქირავებლებს ავალდებულებდა ერთნაირი სამუშაოსათვის მამაკაცებისა და ქალებისათვის ერთნაირი ხელფასის გადახდას, ვერანაირი დახმარება ვერ აღმოუჩინა ბევრ ქალს, რამდენადაც პროფესიული სეგრეგაცია ზღუდავდა მათ ხელმისაწვდომობას სამუშაოთა იმ სახეობებისადმი,რასაც მამაკაცები ასრულებდნენ. <u>შესადარისი ღირებულების არსი</u> იმაშია,რომ მდივნებად,მეედებად,კანტორის მოსამსახურეებად მუდმივად მომუშავე ქალებმა,იგივე ხელფასი უნდა მიიღონ,როგორც მამაკაცებმა-თვითმცლელთა მძღოლებმა ან მშენებლობის მუშებმა,თუკი მათი კვალიფიკაციის დონე,შპრომის დაძაბულობა და პასუხისმგებლობა ამ შესადარ სამუშაო ადგილებზე ერთნაირია.

თუმცა შესადარისი ღირებულების იდეა მეტისმეტად მიმზიდველია,მაგრამ იგი საწინააღმდეგო მოსაზრებებსაც იწვევს. მაგალითად,სამუშაოთა სხვადასხვა სახეების ნებისმიერი შედარება მათი შედარებითი ღირებულების თვალსაზრისით, აუცილებლად სუბიექტურ,და მაშასადამე,თვითნებურ ხასიათს ატარებს,რაც უსამართლო კამათისა და სასამართლო საქმეთა ფართო შესაძლებლობებს ქმნის.ჯერ-ერთი,ხელფასის განაკვეთების დაწესება ბიუროკრატიული თუ ადმინისტრაციული გზით,და არა მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისად,არ შეიძლება ეფექტიანი იყოს დიდი ხნის მანძილზე.ეს ნიშნავს,რომ,იმ ზომით,რა ზომითაც მოცემული სახეობის სამუშაოს საანგარიშო ღირებულება მისი საბაზრო ანუ წონასწორობითი ღირებულებისაგან გადაიხრება,წარმოიქმნება სამუშაო ძალის უკმარისობა ან სიჭარბე.უფრო მეტიც,არ შეიძლება ისე მოხდეს,რომ ქალებისათვის ხელფასის მომატებამ კიდევ უფრო მეტი ქალები მოიზიდოს ტრადიციულ „ქალთა პროფესიებში“ და ამით პროფესიული სეგრეგაციის ვადები გაზარდოს? შესადარისი ღირებულების დოქტრინა შეიძლება ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემაბრკოლებელი ლოდი გახდეს მომავალში.

არადისკრიმინაციული ფაქტორები.ზანგებისა და თეთრების, და ასევე მამაკაცებისა და ქალების საშუალო შემოსავლების განსხვავებები მხოლოდ დისკრიმინაციით როდი აიხსნება. მკვლევართა უმრავლესობა ამტკიცებს,მაგალითად,რომ მამაკაცებისა და ქალების ჯამაგირებში განსხვავება ნაწილობრივ დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზე, რომლებიც დისკრიმინაციულ ხასიათს არ ატარებენ.მაგალითად,მთელი ისტორიის

მანძილ'ხე გათხოვილი, ბავშვიანი ქალის შრომითი სასიცოცხლო ციკლი შედგებოდა პირველი შვილის დაბადებამდე მუშაობის უწყვეტი პერიოდისაგან,მისი შემდგომი 5-10 წლის პერიოდისაგან, როცა ქალი არ მუშაობდა ან არასრულ სამუშაო დღეს მუშაობდა ბავშვის დაბადებასა და მის მოვლასთან დაკავშირებით, და შემდგომი პერიოდისაგან,როდესაც დედას უკვე თითქმის 40 წელი უსრულდებოდა. საბოლოოდ გათხოვილი ქალები, საშუალოდ,გაკილებით ნაკლებ შრომით გამოცდილებას აგროვებენ, ვიდრე იმავე ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცები. მაშასადამე,საშუალოდ ქალთა შრომის მწარმოებლურობა ნაკლებია, და ამიტომ ისინი უფრო დაბალ საშუალო ხელფასს ღებულობენ.უფრო მეტიც, ოჯახური დატვირთულობის გამო, ქალებს ნაკლებად ახასიათებთ ადგილიდან ადგილ'ხე გადასვლა სამუშაოს ძებნაში,ვიდრე მამაკაცებს. მართლაც, გათხოვილმა ქალმა შეიძლება უარი თქვას კარგ სამუშაოზე და ქმარს გაჰყვეს სხვა ადგილ'ხე,სადაც იგი სამსახურს იშოვის. ხოლო ზოგიერთი გათხოვილისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა სპეციალობით მუშაობა, არამედ მისი ადგილმდებარეობა და მუშაობის მცოცავი გრაფიკი. ქალებს შეუძლიათ საქმიანობის კონცენტრირება ისეთ სამუშაოებზე,როგორიცაა:ავადმყოფების მოვლა ან მასწავლებლობა დაწყებით სკოლაში,ვინაიდან ეს პროფესიები სახლში უფრო ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. დაბოლოს,უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში სამუშაო ძალა უმეტესწილად ქალების ხარჯ'ხე შეივსო,ვიდრე მამაკაცებისა. ქალთა სამუშაო ძალის მიწოდების ეს მნიშვნელოვანი ზრდა მაითვის საშუალო ხელფასის გადიდების დაბრკოლება გახდა.ყოველივე ეს ნიშნავს,რომ განსხვავება ქალთა და მამაკაცთა გასამრჯელოს შორის ნაწილობრივ დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზე,რომელთაც მჭიდრო კავშირი არა აქვთ დისკრიმინაციასთან.ეს ასევე ნიშნავს,რომ მომავალში განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ხელფასში შემცირდება,ვინაიდან ახლა კოლეჯებში უფრო მეტი ქალები სწავლობენ,რომლებიც სამსახურს ფერტილურ ასაკში არ მიაჩოვებენ და ცდილობენ უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნას,სპეციალობით.

იმიგრაცია

იმიგრაციის პრობლემა დიდი ხნის მანძილზე ბურუსით იყო მოცული.ადამიანთა რა რაოდენობას უ და დაერიოს ამერიკაში გადასახლების ნება? როგორ გადაწყდეს არალეგალური მიგრანტების საყოველთაოდ ცნობილი პრობლემა? მოდით გარკვეული შუქი მოვფინოთ ამ პრობლემას. ამისათვის: 1)მოკლედ მიმოვიხილოთ

აშშ-ში იმიგრაციის ისტორია და იმიგრაციული პოლიტიკა, 2)წარმოვადგინოთ იმიგრაციის ეკონომიკური შედეგების სქემატური მოდელი და 3)ეს მარტივი მოდელი შევავსოთ მოსაზრებებით,რომლებიც შეეხება სამუშაო ძალის მიგრაციასთან დაკავშირებულ აშკარად გამოხატულ დანახარჯებსა და სარგებლობებს.

ისტორია და პოლიტიკა

ამერიკის,როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიის პირველი 140 წლის მანძილზე იმიგრაცია მასში ფაქტობრივად შეუფერხებელი იყო. საეჭვო, როდია რომ უცხოელ მუშათა დიდი მოდენა ამერიკაში, სადაც სამუშაო ძალის ნაკლებობა შეინიშნებოდა,არსებითი წვლილი იყო მისი ეკონომიკის განვითარებაში. მაგრამ იმიგრანტების უზარმაზარი ნაკადი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მკვეთრად შემცირდა თვით ომის გამო,და აგრეთვე 1920-იან წლებში მიღებული კანონების ძალით, რომლებიც იმიგრაციას ზღუდავდნენ.მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიხსნა იმიგრაციული შეზღუდვები და ლ ე გ ა ლ უ რ ი მ ი გ რ ა ნ ტ თ ა ყოველწლიური მოდენა დაახლოებით 250 ათასს შეადგენდა 1950-იან წლებში,320ათ.-1960-იან წლებში და 500 ათ. და მეტს 1970-იან და 1980-იანი წლების დასაწყისში.

მაგრამ ეს არაზუსტი მონაცემებია, ვინაიდან არ მოიცავენ ცნობებს ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი მ ი გ რ ა ნ ტ თ ა შ ე ს ა ხ ე ბ. შეფასების თანახმად, უკანასკნელ წლებში აშშ-ში არალეგალურად ყოველწლიურად შემოდის 500 ათ.-ზე მეტი უცხოელი,უმეტესობა მექსიკიდან,კარიბის ზღვის აუზიდან და ლათინური ამერიკიდან. მიუხედავად არალეგალური იმიგრანტების ასეთი ყოველწლიური დიდი მოდენისა, მათი საერთო რაოდენობა აშშ-ში დაახლოებით 3,5-5 მლნ კაცს შეადგენს (შეფასებები მერყეობს 2-დან 12 მლნ-მდე). მრავალი მიგრანტი აშშ-ში ჩამოდის ერთი წლით,რათა გამოიმუშავოს „მრგვალი თანხა“ და დაბრუნდეს სამშობლოში.

მოქმედი საირიგაციო კანონებით,მხოლოდ 270 ათას ადამიანს შეუძლია ჩამოსვლა აშშ-ში,ამასთან,ყოველი ქვეყნისთვის დგინდება „ჭერი“ 20 ათასი კაცის რაოდენობით. გარდა ამისა, ოჯახების გაერთიანების შესახებ კანონის დებულებები აშშ მოქალაქეებს ნებას რთავს განუსაზღვრელი რაოდენობის პირდაპირი ნათესავები-ცოლი,ქმარი,ბავშვები და მშობლები მიიღონ.უფრო მეტიც, კანონი დამატებით ნებას რთავს 50 ათ. პოლიტიკური ემიგრანტის

შესვლას.პრეზიდენტს და კონგრესს „კორექტივის შეტანა“ შეუძლიათ ამ ციფრში,მისი გადიდებით,რასაც ისინი ხშირად აკეთებდნენ კიდეც. ამიტომ 1980წ.თითქმის140 ათ.პოლიტიკური ემიგრანტი შევიდა აშშ-ში, კუბიდან და ჰაიტიდან.მოლიანად, უკანასკნელ პერიოდში 500-დან 600 ათასამდე ლეგალური ემიგრანტი ყოველწლიურად შედიოდა აშშ-ში.

იმიგრაცია და იმიგრაციული პოლიტიკა ყოველთვის დიდ კამათს იწვევდა სხვადასხვა საკითხებზე,რომლებიც ძირითადში არალეგალურ იმიგრანტებს შეეხებოდა.უარესდება თუ არა ამერიკელ მუშათა მდგომარეობა სამუშაო ძალის



ნახ. 38-4. იმიგრაციის მარტივი ეკონომიკური სქემა

საშუშაო ძალის მიგრაცია აშშ-ში.მაღალი შემოსავლის ქვეყანაში,მექსიკიდან.სადაც შემოსავლები დაბალ დონეზეა.გაზრდის ეროვნული პროდუქტის მოცულობას და მეწარმეთა შემოსავლებს,და ასევე შეამცირებს ხელფასის საშუალო დონეს აშშ-ში. მექსიკაში ეს გამოიწვევს საპირისპირო შედეგებს. ამერიკის ეროვნული პროდუქტის ნამატი cbdf მეტია მექსიკის ეროვნული პროდუქტის მოცულობის FDBC დანაკარგზე;ამასადამე, ეროვნული პროდუქტის წმინდა მოცულობა მთელს მსოფლიოში გაიზრდება.

ბაზარზე იმის გამო,რომ უცხოელი მუშები თანხმდებიან დაბალ ხელფასზე და შრომის ცუდ პირობებზე? არალეგალური იმიგრანტები ახალ ტვირთს აკისრებენ თუ არა განათლების ამერიკულ სისტემას და შემოსავლების შენარჩუნებას, რაც უდაოდ მძიმე ტვირთად აწვება შტატების,მუნიციპალურ, და მთელი ქვეყნის ხაზინას? ცხადია ყველა ეს კითხვა მნიშვნელოვანია-და მათზე პასუხების მოძებნა ძნელია,მაგრამ,ალბათ, კამათის ყველაზე უფრო მთავარი საკითხია კონკურენცია დასაქმების სფეროში.ერთნი ამტკიცებენ,რომ ყოველი არალეგალური იმიგრანტი,რომელსაც სამუშაო ადგილი უკავია, მას ამერიკელ მუშას ართმევს, ხოლო სხვები, აღნიშნავენ, რომ არალეგალური იმიგრანტები ისეთ სამუშაოს ასრულებენ,რომელზეც ამერიკელები არ თანხმდებიან,და ისინი არ ზრდიან უმუშევრობას მკვიდრ მოსახლეობას შორის.

იმიგრაციის ეკონომიკური ასპექტები

იმიგრაციის ეკონომიკური შედეგების შესახებ საჭირო წარმოდგენის მიღება შეიძლება გადატვირთულობის მოდელის რამდენადმე შეცვლილი ვარიანტის გამოყენებით,რომელიც ქალთა დისკრიმინაციას შეეხება (ნახ. 38-3). 38-4 ნახაზზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა აშშ-ში აღნიშნულია D_u სიმბოლოთი,მარცხენა დიაგრამაზე,ხოლო სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მექსიკაში-D_m -ით მარჯვენა დიაგრამაზე.აშშ-ში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა უფრო მაღალია,ალბათ,კაპიტალური მოწყობილობის დიდი რაოდენობისა და უფრო მოწინავე ტექნოლოგიების გამო,რომლებიც ხელს უწყობენ შრომის მწარმოებლურობის გადიდებას (გავიხსენოთ 29-ე თავიდან,რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდი ემყარება სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტის შესახებ მონაცემებს ფულად გამოხატულებაში). ამასთან, დავუშვათ,რომ მექსიკაში არ კმარა არც ისეთი რთული მანქანები, მოწყობილობები და ტექნოლოგიები,და აქედან გამომდინარეობს სამუშაო ძალაზე სუსტი მოთხოვნაც.ვივარაუდოთ ასევე,რომ მიგრაციამდე სამუშაო ძალის რაოდენობა აშშ-ში და მექსიკაში შეადგენდა, შესაბამისად,Oc-ს და OC-ს , და ორივე ქვეყანაში არსებობს სრული დასაქმება.

შემდგომ, თუ დავუშვებთ,რომ 1)მიგრაცია არ იწვევს არავითარ დანახარჯებს,2)მიგრაციის ერთადერთი მიზეზია ხელფასში განსხვავება და 3)არც იმ,და არც ამ ქვეყანაში კანონები არ აფერხებს

იმიგრაციას, მაშინ მუშები მექსიკიდან წავლენ აშშ-ში მანამ,სანამ,ხელფასი ორივე ქვეყანაში არ დაწესდება ერთნაირ W_e დონეზე. ასეთ შემთხვევაში Fc (=fc) მილიონობით მუშა ემიგრაციით წავა აშშ-ში მანამ,სანამ წონასწორობა არ დამყარდება. შევნიშნავთ,რომ,მართალია აშშ-ში ხელფასის დონე დაეცემა W_u-დან W_e-მდე,მაგრამ ეროვნული პროდუქტის მოცულობა (ხღვრული პროდუქტის მოცულობების ჯამი ფულად გამოხატულებაში,რაც სამუშაო ძალითაა შექმნილი) გაიზრდება Oabc-დან Oadf-მდე. მექსიკაში ხელფასის საშუალო დონე გაიზრდება W_m-დან W_e-მდე,მაგრამ ეროვნული პროდუქტის მოცულობა OABC-დან OADF[1]-მდე შემცირდება.იმის დამახსოვრებით,რომ ეროვნული პროდუქტის Cbdf მატება აშშ-ში მეტია მექსიკაში FDBC დანაკარგზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა,რომ ეროვნული პროდუქტის რეალური მოცულობა მთელ მსოფლიოში გაიზარდა. ისე როგორც დისკრიმინაციული დაბრკოლებების მოსპობა რასობრივი და სქესობრივი ნიშნით ადიდებს ეკონომიკის ეფექტიანობას ერთი ქვეყნის მასშტაბით, საკანონმდებლო დაბრკოლებათა მოსპობა სამუშაო ძალის საერთაშორისო გადადენისათვის,ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას მთელ მსოფლიოში.მთელი მსოფლიო იგებს უბრალოდ იმიტომ,რომ მიგრაციის თავისუფლება საშუალებას აძლევს ადამიანებს,გადავიდნენ იმ ქვეყნებში,სადაც მათ უფრო წონადი წვლილის შეტანა შეუძლიათ მსოფლიო წარმოებაში. ვიმეორებთ:მიგრაცია ეფექტიანობას ზრდის.იგი საშუალებას აძლევს მსოფლიოს,მეტი ეროვნული პროდუქტი აწარმოოს იგივე მოცულობის რესურსებით.

ჩვენი მოდელი ასევე გულისხმობს, რომ იმიგრანტების ეს მოდენა გაზრდის საწარმოთა ან კაპიტალისტთა შემოსავლებს აშშ-ში და შეამცირებს მათ მექსიკაში. ჩვენ ახლახანს აღვნიშნეთ,რომ ეროვნული პროდუქტის მოცულობა აშშ-ში მიგრაციამდე Oabc-ს ტოლი იყო.ხელ-

---

1.რა მოუვა ხელფასის ფონდს (ხელფასის განაკვეთი, გამრავლებული მუშათა რაოდენობაზე) ყოველ ამ ქვეყანაში.დამოკიდებულია საშუშაო ძალაზე მოთხოვნის ელასტიურობაზე.თუ აშშ-ში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ელასტიურია ხელფასის WuWe დიაპაზონში,ხელფასის ფონდის აბსოლუტური მოცულობა გაიზრდება.პირიქით.თუ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა არაელასტიურია ხელფასისWuWe დიაპაზონში,ხელფასის ფონდის აბსოლუტური მოცულობა შემცირდება.საერთო შემოსავლების (ხელფასის) ასეთივე დამოკიდებულება საშუშაო ძალაზე მოთხოვნის ელასტიურობისაგან არსებობს მექსიკაშიც.

ფასის საერთო ფონდი აკ (ხელფასის განაკვეთები,გამრავლებული მუშათა რაოდენობაზე)- $OW_{u}bc$-სი.დარჩენილი $W_{u}ab$ სამკუთხედი „ბიზნესის“ ანუ კაპიტალისტთა შემოსავალია. ასეთივე მსჯელობები მისაღებია მექსიკისთვისაც. ჩვენი ანალიზი გვიჩვენებს,რომ შეუფერხებელი იმიგრაცია გაზრდის ბიზნესის შემოსავლებს აშშ-ში $W_{u}ab$-დან $W_{e}ad$-მდე,ხოლო მექსიკაში შეამცირებს მათ $W_{m}AB$-დან $W_{e}AD$-მდე. ბიზნესი აშშ-ში იგებს იმიგრაციისაგან,ხოლო მექსიკის ბიზნესს იმიგრაცია ზიანს აყენებს.ჩვენ ინტუიტიურად ამას ველოდით;ამერიკა ღებულობს „იაფ“სამუშაო ძალას,ხოლო მექსიკა მას კარგავს. ეს დასკვნა ისტორიულ ფაქტს ემთხვევა:ამერიკელი მეწარმეები არაიშვიათად ძალზე აქტიურად ქირაობდნენ იმიგრანტებს.

გართულება და მოდიფიკაცია

ჩვენი მოდელი აშკარად შეიცავს რიგ გასამარტივებელ დაშვებებს და იმავდროულად უშვებს ზოგიერთ მნიშვნელოვან წვრილმანებს. ამიტომ, მოდით გავთავისუფლდეთ ზოგიერთი დაშვებებისაგან და ვნახოთ თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი ჩვენს დასკვნებზე.

1.მიგრაციის დანახარჯები. სამუშაო ძალის საერთაშორისო გადადენა განსაზღვრულ დანახარჯებს იწვევს, ამასთან, არა მხოლოდ აშკარას ან უშუალოს-გამგზავრებასა და სხვა ადგილზე ნივთების გადატანაზე, არამედ, ასევე ფარულ ანუ დამატებით დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია შემოსავლის დაკარგვასთან გადასვლის დროს და მიმღებ ქვეყანაში მოწყობასთან. კიდევ უფრო ძნელადაღსარიცხი დანახარჯები დაკავშირებულია ახალი კულტურის, ენის, კლიმატისადმი და ა.შ. ადაპტაციასთან. პოტენციალურმა იმიგრანტმა ყველა ასეთი <u>დანახარჯები</u> უნდა აწონ-დაწონოს და შეადაროს მოსალოდნელ <u>სარგებლობებთან,</u> რასაც მოიტანს უფრო მაღალი ხელფასი მიმღებ ქვეყანაში. თუ სარგებლობები ჭარბობენ დანახარჯებს, მაშინ ემიგრირება მომგებიანია. თუ დანახარჯები სარგებლობებს ჭარბობენ, მაშინ ემიგრირება საჭირო არაა. 38-4 ნახაზზე ნაჩვენები ორი სქემა, მიგრაციის დანახარჯების არსებობა ნიშნავს, რომ სამუშაო ძალის გადადენა მექსიკიდან აშშ-ში არ აღწევს იმ დონეს, როცა მოხდება ხელფასის გათანაბრება. ხელფასი აშშ-ში უფრო მაღალი რჩება, ვიდრე მექსიკაში. უფრო მეტიც, ემიგრაციისაგან მოგება მთელი მსოფლიოსთვის მცირდება.

2.ფულადი გზავნილებები და უკუნაკ დები. ბევრი მიგრანტი თავის გადასვლას დროულად თვლის. მათ უნდათ უფრო მდიდარ ქვეყანაში გადასვლა, განსაზღვრული თანხის დაგროვება შეუპოვარი შრომით და ყაირათიანობით და სახლში დაბრუნება და საკუთარი საქმის წამოწყება. სანამ ემიგრანტები მიმღებ ქვეყანაში იმყოფებიან, ისინი ხშირად უგზავნიან დიდ ფულად გზავნილებებს სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს. ეს იწვევს მიგრაციისაგან წმინდა სარგებლობის გადანაწილებას მიმღებ და გამშვებ ქვეყნებს შორის. ამერიკაში მომუშავე მექსიკელების ფულადი გზავნილებები იმას იწვევენ, რომ ამერიკის ეროვნული პროდუქტის მოცულობის ნამატი და მექსიკის ეროვნული პროდუქტის მოცულობის დანაკარგი 38-4 ნახაზზე ნაჩვენებზე ნაკლებია.

მიმდინარე უკუნაკადებმა ანუ ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებამ, დროის განმავლობაში შეიძლება შეცვალოს სარგებლობათა და დანაკარგების თანაფარდობა. მაგალითად, თუ აშშ-ში ემიგრირებული მექსიკელი მუშები სოლიდურ სამუშაო კვალიფიკაციას ანუ გამოცდილებას შეიძენენ მმართველობის სფეროში,ხოლო შემდგომ სახლში დაბრუნდებიან, მათი გაზრდილი ადამიანისეული კაპიტალი შესაძლოა არსებით წვლილს შეიტანს მექსიკის ეკონომიკურ განვითარებაში. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს რომ, ემიგრანტები,კვალიფიკაციის შეძენის შემდეგ არ ცდილობენ სახლში დაბრუნებას. ფაქტობრივად 1960-იან წლებში აშშ-მ სხვა ქვეყნებზე მეტად მოიგო "ტვინის გადენისაგან", რამდენადაც სპეციალისტები და მაღალკვალიფიციური მუშები ტოვებენ დასავლეთ ევროპას და სხვა ქვეყნებს, რომლებსაც უფრო მაღალი ხელფასი და სამუშაოს მიღების უფრო ხელსაყრელი პირობები იზიდავს შეერთებულ შტატებში.

3.სრული დასაქმება უმუშევრობის წინააღმდეგ. ჩვენი მოდელი გულისხმობს სრულ დასაქმებას, როგორც მიმღებ, ისე გამშვებ ქვეყანაში. მექსიკელი მუშები ტოვებენ დაბალანაზღაურებად სამუშაოს და თითქმის მაშინათვე ღებულობენ მაღალანაზღაურებადს აშშ-ში. მაგრამ მრავალ შემთხვევაში არა დაბალი ხელფასი "გამოაგდებს" ემიგრანტებს სამშობლოდან, არამედ ქრონიკული უმუშევრობა ან არასრული დასაქმება. მრავალი, ყველაზე უფრო დაბალგანვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელია მოსახლეობისა და სამუშაო ძალის სიჭარბე; მუშები ან უმუშევარი რჩებიან, ან იმდენად მცირედ დასაქმებული არიან, რომ მათი ზღვრული პროდუქტის მოცულობა ფულადი გამოსახუ-

ლებით ნულის ტოლია. და ისევ ამ გარემოების აღიარება გაჭლენას ახდენს ჩვენს მსჯელობებ'ზე მოგებებსა და 'ხარალ'ზე. უფრო 'ხუსტად, მექსიკა იგებს (და არა აგებს) ასეთი მუშების ემიგრაციისაგან, ვინაიდან ამ უმუშევრებს არავითარი წვლილი არ შეაქვთ მექსიკის ეროვნულ პროდუქტში და ცხოვრობენ დანარჩენი მუშების ხარჯ'ზე ,ტრანსფერტული გადასახდელებით. დანარჩენ მექსიკელთა კეთილდღეობა გაიზრდება ამ ტრანსფერტულ გადასახდელთა თანხით, თუ უმუშევრები წავლენ აშშ-ში. პირიქით, თუ მექსიკელი მუშა ემიგრანტები სამუშაოს ვერ იშოვიან აშშ-ში და საარსებო საშუალებებს ტრანსფერტულ გადასახდელთა სახით მიიღებენ, მომუშავე ამერიკელთა ხარჯზე, მაშინ მკვიდრ ამერიკელთა რეალური შემოსავლები შემცირდება.

4.ფისკალური ასპექტები. როგორ ზეგავლენას ახდენენ იმიგრანტები საგადასახადო შემოსულობებზე და სახელმწიფო ხარჯებზე მიმღებ ქვეყანაში? მართალია, მონაცემები მკრთალი და საკამათოა, მაგრამ საერთო თვალსაზრისი იმაზე დაიყვანება, რომ იმიგრანტებს გარკვეული წვლილი შეაქვთ მიმღები ქვეყნის ფისკალურ სისტემაში. იმიგრანტებს შორის არაპროპორციულად დიდია საკმაოდ ახალგაზრდა ადამიანები,უმეტეს შემთხვევაში მარტოხელა ახალგაზრდა მამაკაცები ძალების გაფურჩქვნის ასაკში, რომელიაც გარკვეული განათლება მიიღეს სამშობლოში. ცხადია, მაღალკვალიფიციური იმიგრანტები, რომლებიც უკვე მიმღები ქვეყნის ენა'ზე ლაპარაკობენ, ალბათ, დიდ გადასახადებს გადაიხდიან. ნაკლებკვალიფიციურ მუშებს, მაგალითად, პოლიტიკურ ემიგრანტებს ჰაიტიდან ან ცენტრალური ამერიკიდან სახელმწიფოებრივი ან საქველმოქმედო მხარდაჭერა დასჭირდებათ რამდენიმე თვის განმავლობაში, ენის შესწავლისა და ასიმილირებისათვის. ამასთან ერთად, მექსიკიდან ან კარიბის აუზიდან არალეგალური ემიგრანტები, ალბათ, გადასახადის წმინდა გადამხდელები იქნებიან.

ზოგიერთმა მკვლევარმა შენიშნა,რომ ძალზე ცოტა არალეგალური იმიგრანტი იღებს უმუშევრობის დახმარებას, საქველმოქმედო მისაცემლებს, სასურსათო ტალონებს ან უფასო საშედიცინო დახმარებას. ზოგიერთები, მართალია სარგებლობენ უფასო სახელმწიფო საავადმყოფოებით და თავიანთ შვილებს სახელმწიფო სკოლებში აგზავნიან, მაგრამ,ამასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები, როგორც ჩანს, უსაშვნელია. რაც შეეხება საგადასახადო შემოსულობებს, არალეგალურ იმიგრანტთა უმრავლესობა, ცხადია, იხდის სოციალური უზრუნველყოფის გადასახადს და ფედერალურ საშემოსავლო გადასახადს, რაც მათი ხელფასიდან დაიკავება, თუმცა, ასეთ იმიგრანტთა დიდი ნაწილი კანონით გათვალისწინებულზე ნაკლებ თანხას იხდის.

ცხადია, რომ სოციალური უზრუნველყოფის დახმარებათა გავრცელების სფერო არალეგალურ იმიგრანტებს შორის ძალზე შეზღუდული ეს დახმარება ჩვეულებრივ მხოლოდ უმუშევრებს ეძლევა, ხოლო არალეგალურ იმიგრანტთა უმრავლესობა მუშაობს. რიდესაც ისინი არ მუშაობენ, დახმარებებისადმი მიმართვაზე მათ აფერხებს გამეღავნებისა და დეპორტაციის შიში. ამრიგად, პირდაპირი დანახარჯები არალეგალური იმიგრანტების სოციალური უზრუნველყოფისათვის უმნიშვნელოა.1

ეკონომიკური და გარეშეეკონომიკური ფაქტორები

იმიგრაციის ეკონომიკური ასპექტების ზედაპირული ანალიზიდანაც კი ჩანს, რომ მას ახლავს საკმაოდ რთული პრობლემები. რასაკვირველია, ბევრია დამოკიდებული თვით იმიგრანტების მახასიათებლებსა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შეიძლება წარმოვიდგინოთ მრავალი სარგებლობა, რასაც აშშ-ს ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა მოუტანს იმ პირობებში, თუ 1) იმიგრანტები ახალგაზრდა, განათლებული და კვალიფიციური ადამიანებია და 2) ამერიკის ეკონომიკაში სრული დასაქმებაა და იგი მყარი ზრდის მდგომარეობაში იმყოფება. ამერიკელებისათვის სარგებლობები ნაკლებია, თუ 1) იმიგრანტები არაკვალიფიციური და უმეცარი ადამიანებია და 2) ამერიკის ეკონომიკა სტაგნაციას და უმუშევრობის მაღალ დონეს განიცდის". ტვინის გადენა" 1960-იან წლებში და კუბის ციხეებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების კარებების გახსნა 1980-იან წლებში - აი ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ეპიზოდი ამერიკული იმიგრაციის ისტორიაში.

იმიგრაციის პრობლემა ასევე რთულდება მრავალი გარეშეეკონომიკური ფაქტორებით. ხელს უწყობს თუ არა იმიგრანტების მოდენა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, რასობრივ პრობლემათა გამწვავებას? იმიგანტების კონცენტრაცია

1.Walter Fogel.Illegal Alien Workers in the United States//Industrial Relations.1977.ოქტომბერი.გვ.255. იმ ზომით.რა ზომისაც არალეგალური იმიგრანტები გამოდეენიან ამერიკელ მუშებს.ეაი შეუძლიათ არაპირდაპირი დანახარჯები დააკისრონ ქვეყნის საქველმოქმედო პროგრამებს.ასევე შემოსავლების დონის შენარჩუნების პროგრამებს.

ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ნიუ-იორკი, მაიამი- წარმოშობს თუ არა სოციალურ დაძაბულობას და ამაღალებს თუ არა დამნაშავეობას? ან შესაძლოა ამერიკა სულაც არ იქნება ამერიკა იმიგრანტთა ახალი ნაკადების გარეშე?

რეზიუმე

1.1930-იან წლებამდე პროფკავშირული მოძრაობა ნელა და არათანაბრად ვითარდებოდა სასამართლოებისა და მეწარმეთა მხრივ მტრობის გამო.

2.1886 წლიდან დპკ-ს ორგანიზებამდე 1936 წელს, ამერიკელ მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელობდა შაფ. მისი თეორიული პოსტულატები არსებითად ემთხვეოდა სემიუელ გომპერსის პოზიციას: ეკონომიკური ტრედ-უნიონიზმი, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და საამქრო პროფკავშირები.

3.პროფკავშირებმა სწრაფი განვითარება იწყეს 1930-იან და 1940-იან წლებში. დარგობრივ პროფკავშირებზე გადასვლა 1936 წ. დპკ-ს ჩამოყალიბებიდან, ამ განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელთა დაცვის კანონებსაც, რომლებიც ფედერალურმა მთავრობამ მიიღო 1930-იან და ასევე 1940-იან წლებში, ანუ ომთან დაკავშირებული აყვავების პერიოდში.

4. ნორის-ლაგარდიას 1932წ. კანონმა გააუქმა "ყვითელი ვალდებულებები" და მკვეთრად შეზღუდა სასამართლო მითითებების გამოყენება შრომით საკამათო საკითხებში. ვაგნერის 1935 წ. კანონი - მშრომელთა "თავისუფლების დიდი ქარტია" - მუშებს ადმინისტრაციასთან კოლექტიური ხელშეკრულებების ორგანიზების და დადების უფლების გარანტიას აძლევდა.

5.ტაფტ-ჰარტლის 1947წ. კანონმა გამოიწვია კოლექტიური ხელშეკრულების დადების სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის პრაქტიკის, სამთავრობო რეგულირების პრაქტიკით შეცვლა. კანონი ა)კრძალავს გარკვეულ "უპატიოსნო ქმედებებს" პროფკავშირების მხრიდან; ბ) არეგულირებს პროფკავშირების ცხოვრების ზოგიერთ საშინაო ასპექტებს; გ) კონტროლს უწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შინაარსს; დ) განსაზღვრავს გაფიცვების შესახებ საკითხის დარეგულირების პროცედურას",რომელიც საფრთხეს უქმნის ერის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

6. ლენდრამ-გრიფინის 1959წ. კანონი მიმართული იყო შიდაპროფკავშირული ცხოვრების, განსაკუთრებით პროფკავშირების ფულად სახსრებთან და პროფკავშირსა და მის წევრებს შორის დამოკიდებულებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებაზე.

7.1950-იანი წლების შუახანებიდან პროფკავშირულმა მოძრაობამ შედარებითი დაქვეითება განიცადა. შრომის ეკონომიკის ზოგიერთი სპეციალისტი ამას ეროვნული წარმოების სტრუქტურისა და სამუშაო ძალის დემოგრაფიული შედგენილობის ცვლილებებს მიაწერს, რომლებმაც ხელი არ შეუწყვეს პროფკავშირების ზრდას. როგორც სხვები ამტკიცებენ მეწარმეები, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ პროფკავშირებში მუშათა გაერთიანება გამოიწვევს მოგებათა შემცირებას, უფრო აქტიური აგიტაცია იწყეს პროფკავშირში მათი შესვლის საწინააღმდეგოდ.

8.მუშები და ადმინისტრაცია "თანაარსებობენ" კოლექტიური ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად. ასეთი შრომითი შეთანხმებები მოიცავენ ოთხ მთავარ განყოფილებას: ა) პროფკავშირის სტატუსი და ადმინისტრაციის პრეროგატივა; ბ) ხელფასის სიდიდე და სამუშაო დღის ხანგრძლივობა; გ) შრომითი სტაჟი და დასაქმების გარანტიები; დ) შრომითი სადაო საკითხების დარეგულირების პროცედურა

9.დღეისათვის პროფკავშირების წევრთა ხელფასი 10-15%-ით მაღალია ვიდრე პროფკავშირის არაწევრებისა, რომლებიც იგივე სამუშაოს ასრულებენ. საეჭვოა ჩავთვალოთ, რომ პროფკავშირებს შეუძლიათ ყველა მშრომელის საშუალო ხელფასის გადიდება.

10. არსებობს უთანხმოება იმის გამო, რომ პოზიტიურია თუ ნეგატიური პროფკავშირების წმინდა ზემოქმედება შრომითი რესურსების განთავსების ეფექტიანობასა და მწარმოებლურობაზე. ის ვინც თვლის, რომ პროფკავშირების ზეგავლენა უარყოფითია, ასახელებენ: ა)არაეფექტიანობას, რაც დაკავშირებულია პროფკავშირების მიერ დაწესებულ სამუშაო ძალის რაოდენობის შენარჩუნების პრაქტიკასთან, მიუხედავად მასზე მოთხოვნისა და მუშაობის პროფკავშირების მიერ დადგენილი წესებისა; ბ) ეროვნული პროდუქტის დანაკარგებს გაფიცვების გამო და გ) შრომითი

რესურსების არარაციონალურ განთავსებას პროფკავშირის წევრების მიერ ხელფასში უპირატესობათა მიღების შედეგად. საპირისპირო თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ ა) შოკის ეფექტის წყალობით პროფკავშირების მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ აჩქარებს ტექნიკურ პროგრესს და წარმოებრივი პროცესების მექანიზაციას; ბ) კოლექტიური ხმის სახით პროფკავშირები ხელს უწყობენ მწარმოებლურობის გადიდებას, სამუშაო ძალის დენადობის შემცირებით; გ) დასაქმების სერიოზული გარანტიები, რასაც პროფკავშირის წევრებს თავაზობენ, აძლიერებს მათ მზადყოფნას, თავიანთი პროფესიული გამოცდილებები გადასცენ ნაკლებგამოცდილ მუშებს.

11. ისინი, ვინც თვლის, რომ პროფკავშირები ადიდებენ შემოსავლების უთანასწორობას, ამტკიცებენ, რომ: ა) პროფკავშირში მუშების გაერთიანებით იზრდება მათი წევრების ხელფასი, მაგრამ მცირდება პროფკავშირის არწევრებისა და ბ) ყველაზე უფრო ძლიერი პროფკავშირები აერთიანებენ მაღალანაზღაურებად კვალიფიციურ მუშებს, ხოლო დაბალკვალიფიციური, დაბალანაზღაურებადი მუშების გამაერთიანებელი პროფკავშირები შედარებით სუსტია. სხვა ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ პროფკავშირები ხელს უწყობენ შემოსავლების მეტ თანასწორობას, ვინაიდან ისინი ა) მიისწრაფიან ერთიანი ხელფასისკენ, ფირმის შიგნით ერთნაირი სამუშაოსთვის და ბ) მიისწრაფიან ფირმათაშორისო ერთიანი ხელფასისკენ.

12.მოთხოვნის ინფლაციის მოდელი გულისხმობს, რომ ხელფასის ზრდა ხელს უწყობს ინფლაციას, მაგრამ მისი მიზეზი როდია. პირიქით, დანახარჯების ზრდით განპირობებული ინფლაციის თეორიის თვალსაზრისით, პროფკავშირის წევრების ხელფასის გადიდება შეიძლება გამოიწვიოს ფასების დონის გადიდებამ. მაგრამ ეკონომისტთა უმეტესობა ინფლაციის ძირითად მიზეზად არ მიიჩნევს ხელფასის დაწესებას პროფკავშირების მიერ.

13.ზანგების და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შემოსავალი თეთრებისაზე დაბალია, ხოლო ქალების შემოსავლები მამაკაცებისაზე დაბალი. ეს განსახვავებები ნაწილობრივ დაკავშირებულია დისკრიმინაციასთან შრომის ანაზღაურებაში, სამუშაოზე დაქირავებისას, ადამიანისეული კაპიტალისა და პროფესიულ სფეროებში.

14. გადატვირთულობის მოდელი პროფესიული სეგრეგაციის მიმართ გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ თეთრკანიან მამაკაცებს უფრო მაღალი ხელფასის მიღება ზანგებისა და ქალების ხარჯზე. მოდელი ასევე გვიჩვენებს, რომ დისკრიმინაცია იწვევს წმინდა დანაკარგებს ეროვნული პროდუქტის მოცულობაში.

15.მიწოდებისა და მოთხოვნის უბრალო ანალიზი გვიჩვენებს, რომ ღარიბი ქვეყნიდან მდიდარში მიგრაცია ა) ზრდის ეროვნულ შემოსავალს, ბ) ამცირებს ხელფასის საშუალო დონეს გ) ზრდის ბიზნესის შემოსავლებს მიმღებ ქვეყანაში. გამშვები ქვეყნისთვის შედეგები საპირისპირო ხასიათს ატარებენ, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთლიანად მსოფლიოში პროდუქციის საერთო გამოშვება იზრდება.

ტერმინები და ცნებები

დანაშაულებრივი შეთანხმების დოქტრინა
შრომის ამერიკული ფედერაცია (შაფ)
სასამართლო მითითება
დისკრიმინაციული განთავისუფლება
შავ სიაში შეტანა
ლოკაუტი
კომპანიის ინიციატივით შექმნადი პროფკავშირები
ლენდრამ-გრიფინის 1959წ. კანონი
ეკონომიკური ტრედ-უნიონიზმი
ნორის-ლაგარდიას 1932წ.კანონი
ვაგნერის 1935წ. კანონი
შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველო
საამქრო და დარგობრივი ტრედ-უნიონიზმი
დარგობრივ პროფკავშირთა კონგრესი (დპკ)
ტაფტ-ჰარტლის 1947წ. კანონი
გაფიცვა უფლებებისა და ვალდებულებათა გამო
მეორადი ბოიკოტი
სოლიდარობის გაფიცვა
სამუშაო ძალის რაოდენობის შენარჩუნების პრაქტიკა მიუხედავად მასზე მოთხოვნისა
საწარმო, რომელიც სამუშაოზე მხოლოდ პროფკავშირის წევრებს იღებს

სტრუქტურული ცვლილებათა ჰიპოთეზა და ადმინისტრაციის მხრიდან ოპოზიციის ჰიპოთეზა.
საწარმო, რომელშიც ყველა მომუშავე პროფკავშირის წევრი უნდა იყოს
შრომის უფლების კანონები
საწარმო, რომელშიც მუშაობა შეუძლიათ არა მხოლოდ პროფკავშირის წევრებს
საწარმო, რომელიც სამუშაოდ არ იღებს პროფკავშირის წევრებს
დამატებითი მისაცემლები
შრომითი სტაჟი
კოლექტიური ხმა
ნებაყოფლობითი გათავისუფლების მექანიზმი და სიტ-ყვიერი კონტაქტების მექანიზმი
დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში, სამუშაოზე დაქირავების, პროფესიის შერჩევის, ადამიანისეული კაპიტალის სფეროში
პროფესიული სეგრეგაცია
შესადარისი ღირებულების დოქტრინა
ლეგალური და არალეგალური იმიგრანტები
ფულადი გზავნილება
უკუნაკადები

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. მოკლედ აღწერეთ დათრგუნვის (ჩახშობის),მხარდაჭერისა და ჩარევის ფაზები, ამერიკელ მუშათა მოძრაობაში.

2. ამტკიცებდნენ, რომ ტაფტა-ჰარტლის კანონი მიღებული იყო სამი მთავარი მიზნის მისაღწევად: ა) მუშებსა და ადმინისტრაციას შორის კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისას შესაძლებლობათა თანასწორობის აღსადგენად, წარმოებაში მშვიდობის შესანარჩუნებლად; ბ)"ნეიტრალების" ე.ი.მესამე მხარის დასაცავად, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება არ გააჩნიათ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის მოცემულ დავასთან; გ) ცალკეულ მუშათა უფლებების დასაცავად პროფკავშირებთან მათს ურთიერთობაში. განიხილეთ მოცემულ თავში აღწერილი კანონის დებულებები და დააკავშირეთ ყოველი მათგანი ყოველ ამ სამ მთავარ მიზანთან.

3. სტრუქტურულ ცვლილებათა ჰიპოთეზისა და ადმინისტრაციის მხრიდან ოპოზიციის გამოყენებით, ახსენით შედარებითი დაქვეითება ამერიკულ პროფკავშირულ მოძრაობაში. რომელი ახსნაა თქვენი აზრით უფრო დამაჯერებელი?

4.თავი წარმოიდგინეთ ახლად ორგანიზებული ადგილობრივი პროფკავშირის წევრად, რომელიც პირველად აწარმოებს მოლაპარაკებას დამქირავებელთან. შეადგინეთ იმ პუნქტების სია,რომელთა შეტანა თქვენ აუცილებლად გინდათ შრომით ხელშეკრულებაში. მოცემულ მომენტში არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ახსენით რა მოსაზრებებს მოიტანთ ხელფასის მომატების შესახებ თქვენი მოთხოვნის დასაცავად?

5.კომენტარი გაუკეთეთ: "კოლექტიური ხელშეკრულების დადება მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამართლებრივ ასპექტებს"?

6.როგორ ფასდება პროფკავშირის წევრთა ხელფასზე დანამატის სიდიდე? ახსენით:"მართალია,პროფკავშირის წევრები უფრო მაღალ ხელფასს ღებულობენ, ვიდრე არაწევრი მუშები, მაგრამ პროფკავშირებმა ვერ შეძლეს ყველა ამერიკელი მუშის საშუალო ხელფასის გადიდება."

7.კომენტარი გაუკეთეთ შემდეგ მტკიცებებს: ა) გადაწყვეტილებათა მიღებაში ადმინისტრაციის შეზღუდვით პროფკავშირები აფერხებენ ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის გადიდებას; ბ) როგორც "კოლექტიური ხმა", პროფკავშირები ხელს უწყობენ მწარმოებლურობის გადიდებას, სამუშაო ძალის დენადობის შემცირებით, მართვის ეფექტიანობაზე ზემოქმედებით და მუშებისათვის გარანტიების გადიდებით".

8. "პროფკავშირების წევრებისათვის ხელფასის ყოველი მომატება იწვევს საკალდებულო დანახარჯებს საზოგადოებისათვის. ეს დანახარჯები შრომითი რესურსების განთავსების ეფექტიანობის შემცირებაში მდგომარეობს". ახსენით ამ მტკიცების არსი. თქვენ მას ეთანხმებით?

9. აღწერეთ სხვადასხვა მეთოდები რომელთა დახმარებითაც პროფკავშირებს შეეძლებათ შემოსავლების განაწილების შეცვლა. მოგვეცით მტკიცების შეფასება: "პროფკავშირები ეგალიტარული ინსტიტუტების პრეტენზიას აცხადებენ, მაგრამ მათი საქმიანობის შედეგად შემოსავლების უთანასწორობა ამერიკელ მუშებს შორის ძლიერდება".

10.გამოიყენეთ ინფლაციის ორივე კონცეფცია-მოთხოვნის ინფლაციისა და დანახარჯების ზრდით განპირობებული ინფლაციის-საკითხის განხილვისას იმის შესახებ, ხელფასის დაწესება პროფკავშირების მიერ არის თუ არა ინფლაციის მიზეზი. მოგვეცით შეფასება:"ხელფასის განსაზღრა პროფკავშირების მიერ ხელს უწყობს ინფლაციას და წინანდელ დონეზე ინარჩუნებს მას, მაგრამ მის მიზეზს არ წარმოადგენს".გამოიყენეთ 19-7 ბ ნახაზი შემდეგი მტკიცების ასახსნელად: "პროფკავშირთა მოღვაწეობა შეიძლება ინფლაციის მიზეზი გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მტკიცედ იცავს სრული დასაქმების შენარჩუნების პოლიტიკას."

11.შეადარეთ თეთრებისა და ფერადკანიანთა ეკონომიკური მდგომარეობა და ახსენით არსებული განსხვავება. გამოყავით ეკონომიკური დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეები. ყველა აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორ თვლით, შემოსავლების უთანასწორობა შეამცირებს განათლების სისტემისა და პროფესიული მომზადების გაფართოებას ამერიკაში თუ ხელს უწყობს მას? ახსენით.

12.მიწოდებისა და მოთხოვნის მარტივი ანალიზის გამოყენებით ახსენით პროფესიული სეგრეგაციის ანუ "გადატვირთვის" ზემოქმედება მამაკაცებისა და ქალების ხელფასის შეფარდებით განაკვეთებსა და შემოსავლებზე. ვინ აგებს და ვინ იგებს პროფესიული სეგრეგაციის გაუქმების შედეგად? მამაკაცებისა და ქალების ხელფასებს შორის განსხვავება-არა დისკრიმინაციის ნიშანია, არამედ, მეტადრე, შრომითი სტაჟის განსხვავებისა და რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღებისა, რაც განათლებასა და პროფესიულ მომზადებას ეხება." თქვენ ეთანხმებით?

13.გამოიყენეთ მიწოდებისა და მოთხოვნის მარტივი მოდელი მოგებისა და ზარალის განსაზღვრისათვის, რაც მოსახლეობის მიგრაციასთანაა დაკავშირებული დაბალშემოსავლიანიდან მაღალშემოსავლიან ქვეყნებში. ახსენით როგორ 'ხემოქმედებენ თქვენს დასკვნებზე ა) უმუშევრობა; ბ) ფულადი გზავნილებები მიმღები ქვეყნიდან, გ) მიგრანტების უკუნაკადები სამშობლოში, დ) მიგრანტების პირადი თავისებურებები. თუ მიგრანტები მაღალკვალიფიციური მუშებია, აქვს თუ არა გამომშვებ ქვეყანას ემიგრანტების გადასახადით დაბეგვრის რაიმე საფუძველი "ტვინის გადენისათვის"?

14.თუ ადამიანი იწონებს სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას აშშ ფარგლებში, მისგან თანმიმდევრული საქციელი იქნება თუ არა სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილების შეხლუდვათა მოწონება?

15.მოგვეცით მტკიცების შეფასება:"თუ ჩვენ მოვახდენდით 1 მლნ არალეგალური იმიგრანტების დეპორტირებას ამერიკიდან, მაშინ უმუშევართა საერთო რაოდენობა ქვეყანაში 1 მლნ-ით შემცირდებოდა."

ბოლო შტრიხი

საიმიგრაციო კანონმდებლობის რეფორმა: სიმპსონ-როდინოს 1986წ.კანონი

ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც 1970-იანი წლების დასასრულისა და 1980-იანი წლების ფართომასშტაბიანი არალეგალური იმიგრაციით აღმოცენდნენ, ამერიკელთა პროტესტი და არალეგალურ იმიგრანტთა მოდენის შეჩერების მოთხოვნა გამოიწვიეს. ამ მოთხოვნის სამართლიანობის აღიარებით, კონგრესმა 1986წ. მიიღო სიმპსონ-როდინოს კანონი-საიმიგრაციო პოლიტიკაში ცვლილებებისა და იმიგრაციაზე კონტროლის შესახებ.

სიმპსონ-როდინოს კანონი მრავალ სხვასთან ერთად მოიცავდა შემდეგ დებულებებს: 1) აშშ-ში მცხოვრები შეზღუდული რაოდენობის არალეგალური იმიგრანტებისათვის ამნისტიისა და საბოლოო ანგარიშში მოქალაქეობის მიღებას; 2) სანქციების შემოღებას 1987წ.1ივნისიდან იმ მეწარმეთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაიქირავეს უსაბუთო მუშები და 3) მიგრირებადი სასოფლო-სამეურნეო მუშებისთვის, მალფუძადი კულტურების მოსავლის ასაღებად, აშშ-ში დროებით სამუშაოზე შემოსვლის ნებართვის მიცემა.

კანონის დებულებები თანდათანობით იქნება შემოღებული,ამიტომ სამუშაო ძალის ბაზარზე მათი საბოლოო ზემოქმედება გარკვეულ პერიოდში უმნიშვნელო იქნება. მიუხედავად ამისა ეკონომისტები მსჯელობენ კანონის სამი ძირითადი დებულების შესაძლო შედეგების შესახებ.

ამნისტია. არსებითად, სიმპსონ-როდინოს კანონის დებულებები, რომელთაც ამნისტია ეხება,ამერიკაში არალეგალურ მუშებს ლეგალურად აქცევენ. იმდენად, რამდენადაც ამნისტირებულთა უმრავლესობა უკვე მონაწილეობდა ამერიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათი სტატუსი არსებითად არ დაეტყობა სამუშაო ძალის მიწოდებას და ამიტომ საეჭვოა ხელფასისა და

დასაქმების დონის შეცვლა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ,როგორც კანონის ზოგიერთი მოწინააღმდეგე ამტკიცებს,ახლანდელი არალეგალური იმიგრანტებისათვის ამნისტიის გამოცხადება სტიმული იქნება ამერიკის საზღვრების გადაკვეთის მოსურნეთათვის. ეს ნიშნავს, რომ მომავალ არალეგალურ ემიგრანტებს იმედი ექნებათ კონგრესი მომავალშიც გამოაცხადებს კიდევ ერთ ამნისტიას.

სანქციები მეწარმეთა საწინააღმდეგოდ. კანონის დებულების თანახმად, თუ მეწარმე შეგნებულად დაიქირავებს არალეგალურ იმიგრანტებს, იგი ჯარიმას იხდის 250-დან 2000 დოლარამდე, ყოველ მუშაზე. მეორად დარღვევაზე ჯარიმა 2000-დან 5000 დოლარამდე იზრდება ყოველ მუშაზე და მესამეზე -3000-დან 10000 დოლარამდე. შემდგომი დარღვევისას დამქირავებელს 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით, შეიძლება ველოდოთ, რომ დამქირავებელთა წინააღმდეგ სანქციის აუცილებელი გამოყენება შეამცირებს არალეგალურ იმიგრანტთა მოზღვავებას შეერთებულ შტატებში, რამდენადაც შემცირდება ან გაქრება მათ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა. ეს ნიშნავს, რომ დიდი ჯარიმების საფრთხემ ფაქტობრივად უნდა შეამციროს არალეგალურ მუშათა დაქირავების მიმზიდველობა,სამუშაო ძალის ამ სახეობაზე მოთხოვნის დაწევით. ამასთან, ზოგიერთი შეფასებით, ამ კანონის მიღებით, მომუშავე არალეგალურ იმიგრანტთა რაოდენობა საბოლოოდ 15-25%-ით შემცირდება.

დროებითი სასოფლო-სამეურნეო მუშები.მრავალი არალეგალური სასოფლო-სამეურნეო მომუშავე ამნისტიაში მოყოლას ამ კანონით ამჯობინებდა. მათი უმეტესობა, როგორც ჩანს, თავის სამსახურის შეთავაზებას გააგრძელებს-სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახით-უკიდურეს შემთხვევაში დროის გარკვეულ მონაკვეთში. გარდა ამისა, კანონი დროებით იმიგრანტებს-"სტუმრად მყოფ მუშებს"-ქვეყანაში მალფუჭადი კულტურების მოსავლის ასაღებად შესვლის საშუალებას აძლევს. ამიტომ კანონმა საეჭვოა ზეგავლენა მოახდინოს სამუშაო ძალის მიწოდებაზე სოფლის მეურნეობაში. მოგვიანებით, როდესაც ახალი კანონის რთულ დებულებებში ყველა გაერკვევა,მისი ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე, დამქირავებელთათვის დამატებით დანახარჯებზე დაიყვანება. ეს დანახარჯები დაკავშირებული იქნება არალეგალურ მუშათა გულდასმით შემოწმებასთან და საჭირო დოკუმენტაციის შემოღებასთან, და არა სამუშაო ძალის დეფიციტთან ან ხელფასის გადიდებასთან.

თავი ოცდამეცხრამეტე

საერთაშორისო ვაჭრობა:შედარებითი უპირატესობები და პროტექციონიზმი

ჩვენ ბევრჯერ აღვნიშნეთ, რომ ამერიკის ეკონომიკა ღია ეკონომიკაა, რომელიც მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან საერთაშორისო და ფინანსურ ურთიერთობათა რთული ქსელითაა დაკავშირებული. მე-7 ნაწილში ჩვენ დაწვრილებით აღვწერთ და გავაანალიზებთ ამ ურთიერთობებს და შევაფასებთ მათთან დაკავშირებულ პრობლემებს და უპირატესობებს. ამასთან, დამატებით განვიხილავთ განსაკუთრებულ სიძნელეებსაც, რასაც განვითარებადი ქვეყნები აწყდებიან.

მოცემული თავის მიზანია რამდენიმე, ფუძემდებლური მნიშვნელობის საკითხის გამოკვლევა. ჯერ-ერთი, მოკლედ განვიხილავთ საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას და მის სპეციფიკურ თავისებურებებს. მეორე, შემოვიღებთ შედარებით უპირატესობათა ცნებას საერთაშორისო სპეციალიზაციისა და ვაჭრობის მონაწილე ქვეყნებისათვის მისი ურთიერთხელსაყრელობის დასადგენად .მესამე, შევისწავლით სავაჭრო ბარიერების, ისეთების, როგორიცაა ტარიფები და საიმპორტო ქვოტები-ეკონომიკურ მნიშვნელობას. შემდგომ, დავასახელებთ და კრიტიკულად შევაფასებთ პროტექციონიზმის სასარგებლო არგუმენტებს, მოკლედ განვაზოგადებთ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ევოლუციას. დაბოლოს, უკანასკნელ წლებში აღორძინებული პროტექციონიზმის გამოკვლევით, აღვნიშნავთ ამ მოვლენის მიზეზებს, მოვიტანთ მაგალითებს და გავაშუქებთ მასთან დაკავშირებულ დნახარჯებს.

საერთაშორისო ვაჭრობის როლი

კითხვა, რასაც ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, შემდეგში მდგომარეობს: დიდია თუ არა საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, და მის დამახასიათებელი ნიშნები,არის თუ არა ისინი იმდენად სპეციფიკური,რომ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ?

მოცულობა და სტრუქტურა

39-1 ცხრილში მოტანილია რიგი ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის

მიახლოებითი მონაცემები. შეზღუდული რესურსული პოტენციალის და ვიწრო საშინაო ბაზრის მქონე ბევრ ქვეყანას უბრალოდ უნარი არ შესწევს, საკმარისი ეფექტიანობით აწარმოოს საშინაო მოხმარებისათვის საჭირო ყველა საქონელი. ასეთი ქვეყნებისათვის ექსპორტი სასურველ საქონელთა მიღების ერთ-ერთი გზაა და ამიტომ მან შეიძლება მათი ეეპ-ის 25-30 და უფრო მეტ პროცენტსაც მიაღწიოს. სხვა ქვეყნებს, მაგალითად, აშშ და ყოფილ სსრკ-ს მდიდარი და ფართოდ დივერსიფიცირებული რესურსული ბაზა და ტევადი საშინაო ბაზარი გააჩნიათ და ამიტომ ნაკლებდამოკიდებული არიან საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ცხრილი 39-1.სასაქონლო ექსპორტის ხვედრი წილი ცალკეული ქვეყნების ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში 1988 წ.

	ექსპორტი	
ქვეყანა	ეეპ-ის ხვედრი წილი(%)	საერთო მოცულობა (მლრდ დოლ.)
ნიდერლანდები	45	79
კანადა	28	90
გერ	27	243
დიდი ბრიტანეთი	23	107
ახალი ზელანდია	22	6
იტალია	16	98
საფრანგეთი	17	125
იაპონია	11	211

წყარო:The World Bank.World Development Report.1988.

1.მოცულობა.აშშ საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა, როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი გამოხატულებით.39-2 ცხრილი ექსპორტისა და იმპორტის არსებით ზრდას ასახავს დოლარებში,უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ჩაინიშნეთ, რომ 1960 წლიდან ამერიკულ საქონელთა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი ეეპ-ის დაახლოებით 11 და 13%-ია. მაგრამ, საინტერესოა აღვნიშნოთ,რომ პროცენტული თვალსაზრისით აშშ ხვედრი წილი მთლიანად საერთაშო-

რისო ვაჭრობაში მუდმივად მცირდება. ასე, მაგალითად, 1947წ. აშშ უზრუნველყოფდა მთელი მსოფლიო ექსპორტის 1/3-ს,დღეანდელი 1/10-ის ნაცვლად. საერთაშორისო ვაჭრობა სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე აშშ-ში. მაგრამ ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტური სიდიდის თვალსაზრისით აშშ მსოფლიოს ყველაზე უფრო მსხვილი საგაჭრო ქვეყანაა.

ცხრ.39-2.საგარეო ვაჭრობა აშშ ეკონომიკაში 1960-1988 წწ.*; (მლრდ დოლ.)

		1960		1970		1988
	მოცულობა	ეეპ-ის ხვ.წილი (%)	მოცულობა	ეეპ-ის ხვ.წილი (%)	მოცულობა	ეეპ-ის ხვ.წილი (%)
საქონელთა და მომსახურების ექსპორტი	29,9	5,8	68,9	6,8	518,7	10,7
საქონელთა და მომსახურების იმპორტი	24,0	4,7	60,5	6,0	611,9	12,6
წმინდა ექსპორტი	5,9	1,1	8,5	0,8	-93,2	1,9

*ეროვნული ანგარიშების მონაცემებით. წყარო:Departament ofCommer.e.

2.დამოკიდებულება. არ შეიძლება დავუშვათ, რომ აშშ დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკაზე. აშშ თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სხვა ქვეყნებზე ისეთი პროდუქტების იმპორტით, როგორიცაა, კაკაო, ყავა, სანელებლები, ჩაი, აბრეშუმის ნედლეული, ნიკელი, კალა, ნატურალური კაუჩუკი, ალმასები. ცალკეულ შემთხვევებში ჩატარებული დაკვირვება საშინაო ბაზარზე იმპორტულ საქონელთა მკაცრ კონკურენციას ასახავს.იაპონური ტელეკამერები და ვიდეომაგნიტოფონები, ფრანგული და იტალიური ღვინოები, ინგლისური ველოსიპედები, იაპონური მოტოციკლები და ავტომანქანები-შხოლოდ ზოგიერთი მაგალითებია, რომლებიც მოცემულ დებულებას ადასტურებენ. უცხოური ავტომანქანების გაყიდვა ამერიკულ ბაზარზე სტაბილურად იზრდებოდა და ახლა მათ წილად აშშ-ში მთელ გაყიდვათა 25% მოდის. ამერიკელთათვის საყვარელი გასართობი-ბეისბოლი-მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო-

ვანწილად ამ თამაშისათვის საჭირო ხელთათმანის იმ-პორტზეა დამოკიდებული.

ცხრ. 39-3. აშშ-ს სასაქონლო ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი მუხლები 1988წ.(მლრდ დოლ.)

ექსპორტი	მოცულობა	იმპორტი	მოცულობა
ქიმ.მრეწ.პროდ.	20,5	ავტომანქანები	47,9
კომპიუტერები	17,4	ნავთობი	42,9
მარცვალი	10,5	ტანსაცმელი	20,5
ენერგეტიკული მოწყობილობა	8,4	საოჯახო საქონელი	16,1
ავტომანქანები	7,5	კომპიუტერები	14,9
თვითმფრინავები	7,5	თუჯი და ფოლადი	11,0
ხანგრძლივი სარგებლობის სამომხმარებლო საქონელი	6,6	ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	9,9
ფერადი ლითონები	6,4	კავშირგაბმულობის საშუალებები	8,1
ქაღალდი	6,0	ნახევარგამტარები	7,8
ნახევარფაბრიკატები	5,4	სათამაშოები და სპორტსაქონელი	7,2

წყარო:Departament of Comerce

მთელი რიგი ამერიკული დარგები უცხოურ ბაზარზეა დამო-კიდებული. ეს ეხება თითქმის მთელ სოფლის მეურნეობას.ასე მაგალითად, ბრინჯის, ხორბლის, ბამბის და თამბაქოს ექსპორტი 1/4-დან 1/2-მდე მერყეობს. ქიმიური, საავიაციო, საავტომობილო, ჩარხთსამშენებლო, ქვანახშირის მრეწველობა, კომპიუტერების წარმოება-აი ამერიკული დარგების ის მცირე ჩამონათვალი, რომელთა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი

3.ვაჭრობის სტრუქტურა.7-6 ცხრილი აშშ საქონლური ვაჭრობის სტრუქტურის საერთო სურათს გვიჩვენებს.ეს ცხრილი ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.ჯერ ერთი,1988 წ.საქონელთა იმპორტი აშშ-ში არსებითად სჭარბობდა ექსპორტს. მეორე, ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა და არა სუსტადგანვითარებულ ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. მესამე, აშშ ყველაზე მნიშვნე-

ლოვანი სავაჭრო პარტნიორია კანადა. აღვნიშნავთ, რომ კანადაში მიდის აშშ ექსპორტის 23%; თავის მხრივ, კანადაზე მოდის ამერიკის იმპორტის 19%. მეოთხე, აშშ-ს არსებითი დისბალანსი გააჩნია იაპონიასთან ვაჭრობაში. აშშ იმპორტი მნიშვნელოვნად ჭარბობს ექსპორტს ამ ქვეყანაში. დაბოლოს, ამერიკის დამოკიდებულება ნავთობის იმპორტზე,ამ უკანასკნელის ექსპორტზე გადამეტებას იწვევს ნექო-ს წევრ ქვეყნებთან ვაჭრობაში.

4.წარმოების დონე.წმინდა ექსპორტის ანუ განსხვავება ქვეყნის ექსპორტის ღირებულებასა და მის იმპორტს შორის მრავალმხრივ გაელენას ახდენს ეროვნული შემოსავლის დონეზე, დაახლოებით ისევე, როგორც საშინაო ხარჯების სხვადასხვა სახეობათა მერყეობა. ამერიკის ექსპორტისა და იმპორტის მნიშვნელოვან ცვლილებებს ძალზე სერიოზული ძვრები შეუძლიათ შემოსავლის, დასაქმებისა და ფასების დონეებში ქვეყნის შიგნით.

ამის გათვალისწინებით, აუცილებელი როდია საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობაზე შევჩერდეთ ისეთი სახელმწიფოსათვის,როგორიცაა ნიდერლანდები, იაპონია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, რომელთა საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობები, ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მნიშვნელოვანი თავისებურებები

საერთაშორისო ვაჭრობას ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი გააჩნია, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

1.განსხვავებები მობილურობაში. უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების მობილურობა (გადაადგილების უნარი) ქვეყნებს შორის არსებითად დაბალია, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ამერიკელ მუშებს, მაგალითად, თავისუფლად შეუძლიათ გადავიდნენ აიოვას შტატიდან კალიფორნიაში ან მენიდან ტეხასში. თუ მუშებს გადასვლა სურთ, მათ ამის გაკეთება შეუძლიათ. ქვეყნებს შორის საზღვრის გადაკვეთა კი-სულ სხვა საქმეა. საიმიგრაციო კანონები, რომ არაფერი ვთქვათ, ენობრივ და კულტურულ ბარიერებზე-მკაცრ შეზღუდვებს უყენებენ სამუშაო ძალის ქვეყნებს შორის მიგრაციას. განსხვავებები საგადასახადო კანონმდებლობაში, სახელმწიფო რეგულირების სხვა ღონისძიებებში, საქმიან პრაქტიკაში და რიგი სხვა ინსტიტუციონალური ბარიერები, ეროვნული საზღვრების იქით რეალური კ პიტალის მიგრაციას ზღუდავენ.

საერთაშორისო ვაჭრობა გამოდის რესურსების საერთაშორისო მობილურობის შემცვლელის სახით. თუ ადამიანისეულ და მატერიალურ რესურსებს ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილება არ შეუძლიათ, მაშინ საქონელთა და მომსახურების მოძრაობა ეფექ-ტიანად ავსებს ამ ხარვეზს.

2.ვალუტა. ყველა ქვეყანა სხვადასხვა ვალუტას იყენებს.ამასთან დაკავშირებით,ამერიკულმა ფირმამ რომელიც აშშ-ში "ჰონდას" და "იაგუარის"ავტომანქანებს ყიდის, იენები ან ფუნტი სტერლინგები უნდა შეიძინოს იაპონელ და ბრიტანელ მწარმოებლებთან ანგარიშის გასასწორებლად. ანალოგიური სავალუტო გაცვლის თანმხლები შესაძლო გართულებები, განხილული იქნება მე-40 თავში.

3.პოლიტიკა. საერთაშორისო ვაჭრობა პოლიტიკურ ჩარევასა და კონტროლს ექვემდებარება, რომლებიც შესამჩნევად განსხვავდებიან შიდა ვაჭრობაში გამოყენებული მახასიათებლებისაგან. ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

ვაჭრობის ეკონომიკური საფუძველი

რატომ ვაჭრობენ ქვეყნები? რა არის ქვეყნებს შორის ვაჭრობის საფუძველი? ზოგადი სახით, საერთაშორისო <u>ვაჭრობა ის საშუალებაა, რომლის მეშვეობით ცალკეულ ქვეყნებს სპეციალიზაციის განვითარება, საკუთარი რესურსების მწარმოებლურობის გადიდება, და ამგვარად, წარმოების საეროო მოცულობის გაზრდა შეუძლიათ</u>. სუვერენულ სახელმწიფოებს,ისევე როგორც ცალკეულ პირებს და ქვეყნის რეგიონებს,მოგების მიღება შეუძლიათ ნაკეთობათა სპეციალიზაციის ხარჯზე,რომელთა წარმოება მათ ყველაზე უფრო მაღალი შეფარდებითი ეფექტიანობით შეუძლიათ ,შემდგომ იმ საქონელზე გაცვლით, რომელთა ეფექტიანი წარმოება ამ ქვეყნებში გაძნელებულია.

აღნიშნული, საკმაოდ სამართლიანია მსოფლიო ვაჭრობის მიმართ და განსახილველი გაგებით ეს საკითხი შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. საკითხის-"თუ რატომ ვაჭრობენ ქვეყნები?"-უფრო სიღრმისეული გამოკვლევის საფუძველია ორი გარემოება. ჯერ-ერთი, ეკონომიკური რესურსები-ბუნებრივი, ადამიანისეული, საინვესტიციო საქონლები-მსოფლიოს ქვეყნებს შორის არაოანაბრად ნაწილდება; ქვეყნები არსებითად განსხვავდებიან ეკონომიკური რესურსებით უზრუნველყოფით. მეორე, სხვადასხვა საქონელთა ეფექტიანი წარმოება

განსხვავებულ ტექნოლოგიებს, ან რესურსების კომბინაციებს მოიიხოვს.

ამ ორ გარემოებათა ხასიათი და ურთიერთზემოქმედება შეიძლება ადვილად ვაჩვენოთ. იაპონიას, მაგალითად, დიდი და კარგად განათლებული სამუშაო ძალა გააჩნია; კვალიფიციური შრომა იაფია, ვინაიდან იგი უხვადაა. ამასთან დაკავშირებით იაპონიას ეფექტიანად (დაბალი დანახარჯებით) შეუძლია სხვადასხვაგვარ საქონლთა წარმოება,რისთვისაც კვალიფიციური შრომის დიდი რაოდენობაა საჭირო. ფოტოკამერები, რადიომიმღებები და ვიდეომაგნიტოფონები-მსგავს შ რ ო მ ა ტ ე ვ ა დ საქონელთა მხოლოდ ზოგიერთი მაგალითებია. პირიქით, ავსტრალიას დიდი მწვანე სივრცეები-მაგრამ არასაკმარისი ადამიანისეული რესურსები და კაპიტალი გააჩნია,და ამიტომ იაფად შეუძლია ისეთი "მ ი წ ა ტ ე ვ ა დ ი" საქონლების წარმოება, რიგორიცაა ხორბალი, მატყლი, ხორცი. ბრაზილიას ნაყოფიერი ნიადაგები და ტროპიკული კლიმატი გააჩნია,იქ მოდის დიდი რაოდენობის ნალექები და უხვადაა არაკვალიფიციური სამუშაო ძალა,ანუ ყავის იაფად საწარმოებელი ყველა აუცილებელი პირობა. მრეწველურად განვითარებული ქვეყნები უშვებენ სტრატეგიულ მდგომარეობაში იმყოფებიან სხვადასხვაგვარი კ ა პ ი ტ ა ლ ტ ე ვ ა დ ი საქონლების, მაგალითად, ავეროსანქანების, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების, მანქანების და ქიმიკატების წარმოების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა, რითაც ქვეყნები სხვადასხვა საქონელს აწარმოებენ , შესაძლოა შეიცვალოს და მართლაც იცვლება დროის მანძილზე. რესურსებისა და ტექნოლოგიის განაწილების ძვრებმა შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში საქონელთა წარმოების შეფარდებითი ეფექტიანობის ამაღლება გამოიწვიოს. მაგალითად, უკანასკნელი 40-50 წლის მანძილზე ყოფილ სსრკ-ში არსებითად გაიზარდა სამუშაო ძალის ხარისხი და მნიშვნელოვნად გადიდდა ძირითადი ფონდების საერთო მოცულობა. ამიტომ, რუსეთი, რომელსაც ნახევარი საუკუნის წინათ უპირატესად სასოფლო-სამეურნეო საქონელი და ნედლეული გაჰქონდა, ახლა დამმუშავებელი მრეწველობის დიდი რაოდენობის ნაკეთობათა ექსპორტიორია. ზუსტად ასევე, ახალმა ტექნოლოგიებმა, რომლებიც ხელს უწყობენ სინთეზური ბოჭკოების, ხელოვნური კაუჩუკის წარმოებას, რადიკალურად შეცვალეს რესურსების სტრუქტურა, რაც ამ საქონელთა დასამზადებლადაა საჭირო, და ამრიგად, მათი წარმოების შეფარდებითი ეფექტიანობაც. მოკლედ რომ ვიტქვათ, ერთიანულ ეკონომიკათა ევოლუციის კვალობაზე შეიძლება სამუშაო ძალის რაოდენობა და ხარისხი, კაპიტალის მოცულობა და შედგენილობა შეიცვალოს, ახალი ტექნოლოგიები აღმოცენდეს. შეიძლება შეიცვალოს მიწისა და ბუნებრივი

რესურსების მასშტაბებიც კი. ამ ცვლილებათა კვალობაზე, სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქონელია წარმოების შედარებითი ეფექტიანობა შეიცვლება.

სპეციალიზაცია და შედარებითი უპირატესობები

ახლა შემოვიღოთ შედარებითი უპირატესობის ცნება და იგი საერთაშორისო სპეციალიზაციის და ვაჭრობის საფუძვლების ანალიზისათვის გამოვიყენოთ.

ძირითადი პრინციპი

შედარებით უპირატესობათა კონცეფციის საფუძვლის ძირითადი იდეა განხილულია მე-3 თავის განყოფილებაში "ბოლო შტრიხი", რასაც ჩვენ ისევ მოვუბრუნდებით. იმ მაგალითში ჩვენ დავინახეთ, რომ ბუღალტერს შეუძლია საკუთარი სახლის შეღებვის ხარჯების შემცირება, თუ კი იგი საბუღალტრო საქმეში დასპეციალდება და თავისი შემოსავლის ნაწილს მღებავის დასაქირავებლად გამოიყენებს. ანალოგიურად, მღებავს შეუძლია საგადასახადო დეკლარაციის ხარჯების შემცირება, სამღებრო საქმეზე დასპეციალებით და საგადასახადო დეკლარაციათა შესავსებად ბუღალტრის მოწვევით. სპეციალიზაციისა და გაცვლის სარგებლობები იმის გამო წარმოიშობა, რომ ბუღალტერს შედარებითი უპირატესობა გააჩნია საბუღალტრო საქმეში, მაშინ როცა მღებავს შეფარდებითი უპირატესობა გაჩნია სახლების ღებვაში. მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტერი, პროფესიონალ მღებავზე უფრო კარგად ართმევს თავს, როგორც საბუღალტრო, ისე სამღებრო სამუშაოებს, სპეციალიზაცია შედარებითი უპირატესობებით სარგებლობას მოუტანს ყოველ მათგანს. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ სპეციალიზაცია და ვაჭრობა დანახარჯებს ამცირებენ აუცილებელი პროდუქტებისა და მომსახურების მიღებისას.

ორი იზოლირებული ქვეყანა

დავუშვათ, რომ მსოფლიო ეკონომიკა შედგება მხოლოდ ორი ქვეყნის-მაგალითად აშშ და ბრაზილიისაგან. ვიგულისხმოთ, რომ ყოველ მათგანს შეუძლია როგორც ხორბლის, ისე ყავის წარმოება, მაგრამ განსხვავებული ეკონომიკური ეფექტიანობით. დავუშვათ,

ნახაზი 39-1.აშშ და ბრაზილიის წარმოებრივი შესაძლებლობები.



წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფეები გვიჩვენებს, ყავისა და ხორბლის წარმოების საეარაუდო მოცულობას აშშ-სა და ბრაზილიაში. ორივე ქვეყნის წარმოებრივი შესაძლებლობები წარმოდგენილია წრფეთა სახით, რამდენადაც იგულისხმება დანახარჯთა მუდმივობა. განსხვავებანი წარმოების დანახარჯთა თანაფარდობაში-1ხ = 1ყ-ს აშშ-სათვის და 1ხ = 2ყ-ს ბრაზილიისათვის-ორი წრფის დახრილობის სხვადასხვა კუთხით ელინდება.

ასევე, რომ აშშ და ბრაზილიის საშინაო წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდები ყავისა და ხორბლის წარმოებაში 39-1 ა და 39-1 ბ ნახაზზე გამოსახულს შეესაბამებიან. გამოვყოთ წარმოებრივ შესაძლებლობათა ამ მრუდების დამახასიათებელი ნიშნები.

1.მუდმივი დანახარჯები. ჩვენ განზრახ გამოვსახეთ "მრუდები" წრფეთა სახით, განსხვავებით ჩაზნექილი ტიპის მრუდისაგან, რაც წარმოებრივ შესაძლებლობათა საზღვრებს ასახავს (იხ.თავი მე-2). ეს ნიშნავს, რომ სინამდვილეში ჩვენ მზარდ დანახარჯთა კანონი შეეცვალეთ მუდმივი დანახარჯების შესახებ ვარაუდით. ეს გამარტივება მნიშვნე-

ლოვნად შეამსუბუქებს შემდგომ ანალიზს. დანახარჯების ზრდის პირობებში ორი ქვეყნის შედარებითი დანახარჯები ყავისა და ხორბლის მოყვანაში, შეიცვლება წარმოების მოცულობის შეცვლის კვალობაზე. შეიძლება შედარებითი უპირატესობებიც კი შეიცვალოს. ვარაუდი მუდმივი დანახარჯების შესახებ საშუალებას გვაძლევს მთელი ანალიზი დავასრულოთ შედარებით დანახარჯთა ახალი თანაფარდობების გამოყენების გარეშე, წარმოების მოცულობის ყოველი ცვლილების შემთხვევაში. მუდმივი დანახარჯების ვარაუდი ზეგავლენას არ მოახდენს ანალიზის შედეგების სამართლიანობაზე. მოგვიანებით ჩვენს მსჯელობებში აღვნიშნავთ უფრო რეალისტურ ვარაუდს მზარდ დანახარჯთა შესახებ.

2.განსხვავებები დანახარჯებში. აშშ და ბრაზილიის წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფეები ერთმანეთს არ ემოხვევიან, რაც რესურ-სების სტრუქტურასა და ტექნოლოგიური პროგრესის დონეებში გან-სხვავებებთანაა დაკავშირებული. სხვა სიტყვებით, ორი ქვეყნის ყავისა და ხორბლის წარმოებითი დანახარჯები სხვადასხვაა. 39-1 ა ნახაზზე ნაჩვენებია, რომ სრული დასაქმების პირობებში აშშ-ს შეუძლია ხორბლის წარმოება გაზარდოს 30 ტონით, თუ უარს იტყვის 30 ტ ყავის წარმოებაზე. სხვა სიტყვებით, წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდის დახრილობა შეადგენს-1(=-1/1);ეს ნიშნავს, რომ ყოველ მსხვერპლად გაღებულ ტონა ყავაზე შეიძლება 1 ტონა ხორბლის მიღება. ე.ი. აშშ-ში ქვეყნის შიგნით გაცვლის თანაფარდობა ანუ **დ ა ნ ა ხ ა რ ჯ თ ა თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა** მოცემული ორი პროდუქტისათვის 1ტ ხორბალია 1ტ ყავაზე (ანუ 1ხ=1ყ). არსებითად, აშშ-ში შეიძლება ერთი ტონა ხორბალი ერთ ტონა ყავაში "გაიცვალოს" რესურსების, ხორბლის წარმოებიდან ყავის წარმოებაზე გადატანით. ჩვენი ვარაუდი მუდმივ დანახარჯთა შესახებ, ნიშნავს, რომ გაცვლის ანუ დანახარჯთა ეს კოეფიციენტი სამარილიანია აშშ წარმოებრივ შესაძლებლობათა გრაფიკზე ყველა შესაძლო გადაადგილებებისათვის.

ბრაზილიის წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფე 39-1 ბ ნახაზზე გვიჩვენებს გაცვლის, ,ანუ დანახარჯთა სხვა თანაფარდობას. ბრაზილიამ მსხვერპლად უნდა გაიღოს 20ტ ყავა, 10ტ ხორბლის მისაღებად. ამრიგად, წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდის დახრილობა არის მინუს 2 (=-2/1). ეს ნიშნავს, რომ ბრაზილიაში ორი საქონლის შიდა

დანახარჯების თანაფარდობა 1ტ ხორბლის შეფარდებაა 2ტ ყავასთან (ანუ 1ხ=2ყ).

3.თვითუზრუნველყოფა .თუ აშშ და ბრაზილიის ეკონომიკა დახურულია და დამოუკიდებლად აკმაყოფილებს აუცილებელ პროდუქტებზე საკუთარ მოთხოვნებს, მაშინ თითოეულმა მათგანმა უნდა აირჩიოს წარმოების განსაზღვრული სტრუქტურა თავიანთ წარმოებრივ შესაძლებლობათა გრაფიკის შესაბამისად. დავუშვათ, რომ გამოშვების ოპტიმალური სტრუქტურა ბრაზილიისათვის 8ტ ხორბალი და 4ტ ყავაა, რაც 39-1 ბ ნახაზზეა ნაჩვენები. ეს არჩევანი ასევე ასახულია 39-4 ცხრილის პირველ სვეტში.

შედარებითი უპირატესობები, როგორც სპეციალიზაციის ორიენტირი

თუ მხედველობაში მივიღებთ დანახარჯების თანაფარდობათა განსხვავებას, წარმოიშობა კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე წესი ან პრინციპი, რომელთა დახმარებითაც შეიძლება განისაზღვროს, თუ რა მიმართულებით უნდა განვავითაროთ სპეციალიზაცია აშშ-სა და ბრაზილიაში? დიახ, არსებობს. ესაა შ ე დ ა რ ე ბ ი თ უ პ ი რ ა ტ ე ს ობ ა თ ა პ რ ი ნ ც ი პ ი, რომლის მიხედვითაც <u>პროდუქციის საერთო გამოშვება ყველაზე მეტი იქნება მაშინ, როდესაც ყოველი საქონელი იწარმოება იმ ქვეყანაში, სადაც ფარული დანახარჯები ნაკლებია</u>. ვაჩვენოთ ეს მაგალითზე. აშშ-ში ხორბლის დანახარჯები უფრო დაბალია, ე.ი. აშშ-მ უარი უნდა თქვას მხოლოდ 1ტ ყავაზე, 1ტ ხორბლის საწარმოებლად, მაშინ როცა ბრაზილიამ 1ტ ხორბლის საწარმოებლად უარი უნდა თქვას 2ტ ყავის წარმოებაზე. ამრიგად, <u>აშშ-ს შედარებითი (ღირებულებითი) უპირატესობა გააჩნია ხორბლის წარმოებაში და უნდა დასპეციალდეს სწორედ მის წარმოებაზე</u>. მსოფლიო ეკონომიკა (აშშ და ბრაზილია) აშკარად არაეკონომიურად ხარჯავს რესურსებს, თუ განსაზღვრული პროდუქტი (ხორბალი) მწარმოებლის მიერ (ბრაზილია) მაღალი დანახარჯებით იწარმოება, მაშინ, როდესაც იგი შეიძლება დაბალი დანახარჯებით გვეწარმოებინა (აშშ). თუ ბრაზილია ხორბლის მოყვანას დაიწყებს, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკამ უარი უნდა თქვას უფრო მეტი რაოდენობის ყავაზე, ვიდრე 1ტ ხორბლის წარმოებისთვისაა საჭირო.

მეორე მხრივ, ყავის წარმოების დანახარჯები უფრო დაბალი აქვს ბრაზილიას, ე.ი. ბრაზილიამ მსხვერპლად უნდა გაიღოს მხოლოდ 1/2 ტ ხორბალი 1ტ ყავის წარმოებისათვის, მაშინ, როცა აშშ უარი უნდა თქვას 1ტ ხორბალზე 1ტ ყავის საწარმოებლად. ბრაზილიას ყავის წარმოების შედარებითი უპირატესობა გააჩნია, და ამიტომ იგი მასზე უნდა დასპეციალდეს. მსოფლიო რესურსები რაციონალურად ისევ არ იქნება გამოყენებული, თუ ყავას დაამზადებს მაღალი დანახარჯების მქონე მწარმოებელი (აშშ) და არა დაბალი დანახარჯებისა (ბრაზილია). თუ აშშ ყავას მოიყვანდა, მაშინ მსოფლიო ეკონომიკას უარი უნდა ეთქვა ხორბლის უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე საჭიროა ყოველი ტონა ყავის მისაღებად. მეურნეობის რაციონალური გაძღოლა-განსაზღვრული რაოდენობის შეზღუდული რესურსების გამოყენება წარმოების ყველაზე მეტი საერთო მოცულობის მისაღებად-კონკრეტული საქონლის იმ ქვეყნის მიერ წარმოებას მოითხოვს, რასაც დაბალი ფარული დანახარჯები, ანუ სხვა სიტყვებით შედარებითი უპირატესობები გააჩნია. ჩვენს მაგალითში აშშ-მ უნდა აწარმოოს ხორბალი, ხოლო ბრაზილიამ ყავა.

39-4 ცხრილის მე-2 სვეტში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ წარმოების სპეციალიზაცია შედარებით უპირატესობათა პრინციპის შესაბამისად, მართლაც იძლევა საშუალებას მოცემული რესურსებით მოელმა მსოფლიომ მეტი პროდუქცია მიიღოს. მხოლოდ ხორბალზე დასპეციალებით აშშ-ს 30ტ. პროდუქციის წარმოება შეუძლია ყავის წარმოებაზე თავის დანებებით. ზუსტად ასევე, თუ მთლიანად ყავაზე დასპეციალდება, ბრაზილიას შეუძლია 20 ტ ყავის წარმოება და ხორბლის წარმოების მიტოვება. შევნიშნავთ, რომ მსოფლიო ამ შემოხვევაში მიიღებს უფრო მეტ-30ტ ხორბალს 26 (=18+8) ტონასთან შედარებით და მეტ-20ტ ყავას, 16 (=12+4) ტონასთან შედარებით, ვიდრე თვითუზრუნველყოფის, ანუ არასპეციალიზებული წარმოების პირობებში.

ვაჭრობის პირობები

მაგრამ ორივე ქვეყნის მომხმარებლებს სურთ ჰქონდეთ, როგორც ყავა ისე ხორბალი.სპეციალიზაცია ამ ორი პროდუქტით ვაჭრობის ან გაცვლის მოთხოვნილებას წარმოშობს. როგორი იქნება ვ ა ჭ რ ო ბ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი? როგორი გასაცვლელი ურთიერთობით ივაჭრებენ ხორბლით და ყავით აშშ და ბრაზილია? რამდენადაც აშშ-ში

1ხ = 1ყ, მათ 1 ტონაზე მეტ ყავა უნდა მიიღონ ყოველ ექსპორტირებულ ხორბალზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ ვერ მოიგებს ბრაზილიური ყავის სანაცვლოდ ხორბლის ექსპორტით. სხვა სიტყვებით, მსოფლიო ბაზარზე აშშ-ებმა უკეთესი ფასი (ყველაზე მეტი) უნდა მიიღოს საკუთარ ხორბალზე, იმასთან შედარებით, რასაც ისინი ქვეყნის შიგნით მიიღებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჭრობა არახელსაყრელი იქნება. ამის ანალოგიურად, რამდენადაც ბრაზილიისათვის 1ხ = 2ყ, მას 2 ტონაზე ნაკლები ყავის ექსპორტირებით 1ტ ხორბლის მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ბრაზილიას უნდა შეეძლოს მსოფლიო ბაზარზე ხორბლისათვის უფრო დაბალი ფასი გადაიხადოს, ვიდრე ქვეყნის შიგნით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ მოისურვებს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობას. ამრიგად, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ საერთაშორისო გაცვლის კოეფიციენტი ანუ ვაჭრობის პირობები, სადღაც 1ხ = 1ყ და 1ხ = 2ყ-ს შორის იქნება.

მაგრამ, უფრო ზუსტად, ამ ფარგლებში (1ხ = 1ყ ,აშშ-ს დანახარჯები და 1ხ = 2ყ -ბრაზილიისა) სად იქნება მოთავსებული მსოფლიო გაცვლის ფაქტობრივი კოეფიციენტი? ეს კითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც გაცვლის კოეფიციენტი ანუ ვაჭრობის პირობები განსაზღვრავს, თუ როგორ ნაწილდება საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლობები ორ ქვეყანას შორის.ცხადია, აშშ ამჯობინებს 1ხ = 2ყ დონესთან მიახლოებულს, მაგალითად, 1ხ = 1 3/4ყ-ს. ამერიკელებს მეტი ყავის მიღება უნდათ ყოველ ტონა ხორბალზე, რასაც ისინი გაიტანენ. ზუსტად ასევე, ბრაზილიელებისათვის სასურველია 1ხ = 1ყ-სთან მიახლოებული დონე, მაგალითად, 1ხ = 1 1/4ყ-ს ბრაზილია ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები ყავა გაიტანოს საზღვარგარეთ ყოველ ტონა ხორბალში, რასაც იგი სანაცვლოდ მიიღებს.

ფაქტობრივად, გაცვლის კოეფიციენტი, რომელიც ზედა და ქვედა ზღვრებს შორის თავსდება, დამოკიდებულია ამ ორ საქონელზე მსოფლიო მოთხოვნის თანაფარდობასა და მის მიწოდებაზე. თუ ყავაზე მსოფლიო საერთო მოთხოვნა მის მიწოდებაზე ნაკლებია, ხოლო ხორბალზე მოთხოვნა მის მიწოდებაზე ბევრად მაღალი, მაშინ ყავის ფასი დაბალი იქნება, ხოლო ხორბლისა მაღალი. გაცვლის კოეფიციენტი ამ შემთხვევაში 1ხ = 2ყ-სთან ახლოს წესდება, რასაც უპირატესობას აშშ-ები ანიჭებენ. მსოფლიო მოთხოვნისა და მიწოდების

ცხრილი 39-4.საერთაშორისო სპეციალიზაცია შედარებით უპირატესობათა შესაბამისად და ვაჭრობით მიღებული მოგება (ჰიპოთეზური მონაცემები;ტ.)

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)=(4)-(1)
ქვეყანა	ნარმოების მოცულობა სპეციალიზაციამდე	ნარმოების მოცულობა სპეციალიზაციის შემდეგ	ექსპორტის(-) და იმპორტის(+) მოცულობა	მოცულობა ვაჭრობის შემდეგ	მოგება სპეციალიზაციისა და ვაჭრობისაგან
აშშ	18 ხორბალი 0 ყავა	30 ხორბალი 0 ყავა	-10 ხორბალი +15 ყავა	20 ხორბალი 15 ყავა	2 ხორბალი 3 ყავა
ბრაზილია	8 ხორბალი 4 ყავა	0 ხორბალი 20 ყავა	+10 ხორბალი 15 ყავა	10 ხორბალი 5ყავა	2 ხორბალი 1 ყავა

საპირისპირო თანაფარდობის დროს კოეფიციენტი 1ხ = 1ყ-სთან ახლოს წესდება-რაც ყველაზე უფრო ხელსაყრელია ბრაზილიისათვის.

ვაჭრობით მიღებული მოგება

შევთანხმდეთ, რომ საერთაშორისო გასაცვლელი კოეფიციენტი, ანუ ვაჭრობის პირობები, მართლაც 1ხ=1 1/2 ყ-ს შეადგენს. ვაჭრობა ასეთ პირობებში საშუალებას იძლევა ანალიზში (წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფის დამატებით) სავაჭრო შესაძლებლობათა წრფე შევიტანოთ. ეს ჩანს 39-2 ნახაზიდან. ისევე როგორც წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფე გვიჩვენებს არჩევანის ვარიანტებს, რომლებიც ეკონომიკას სრული დასაქმების დროს გააჩნია, ერთი პროდუქტის წარმოების გაფართოებისას მეორის წარმოებაზე გამოყენებული რესურსების გადასროლის ხარჯზე, სავაჭრო შესაძლებლობათა წრფე არჩევანის ვარიანტებს გვიჩვენებს, რომლებიც ქვეყანას გააჩნია ერთ პროდუქტზე დასპეციალებისა და მისი გაცვლით (ექსპორტირება) მეორე პროდუქტის მისაღებად. 39-2 ნახაზზე ნაჩვენებია წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფეები; ამასთან, იგულისხმება რომ, ორივე ქვეყანა საკუთარი უპირატესობების შესაბამისად სპეციალდება და ამიტომ აშშ მხოლოდ ხორბალს აწარმოებს (გ წერტილი 39-2 ბ ნახაზ'ხე).

ახლა აშშ შებოჭილი არაა შინაგანი წარმოებრივი შესაძლებლობების წრფით და მსხვერპლად არ უნდა გაიღოს 1ტ ხორბლის წარმოება ყოველი ტონა ყავისათვის, როგორც ეს მოხდებოდა, თუ ისინი წარმოებრივ

შესაძლებლობათა წრფის მიმართულებით გადაიწევდა ზევით, C წერტილიდან. ამიერიდან, ბრაზილიასთან ვაჭრობის მეშვეობით აშშ-ს WC' წრფის მიმართულებით გადაადგილებით, ბრაზილიაში ექსპორტირებულ ყოველ ტონა ხორბალზე შეუძლია 1 1/2 ტ ყავის მიღება. ზუსტად ასევე, ბრაზილია, ნაცვლად იმისა, რომ C წერტილიდან ქვევით იმოძრაოს, თავისი საშინაო წარმოებრივი შესაძლებლობის მრუდზე და იძულებით მსხვერპლად გაიღოს 2ტ.ყავის წარმოება 1ტ ხორბალზე, ახლა მხოლოდ 1 1/2 ტ ყავის ექსპორტირება შეუძლია ყოველი ტ ხორბლისათვის, თავის სავაჭრო შესაძლებლობათა CW' წრფეზე ქვევით მოძრაობით. სპეციალიზაციამ და ვაჭრობამ ხორბლისა და ყავის გაცვლის ახალ თანაფარდობამდე მიგვიყვანა, რაც წარმოდგენილია ქვეყნის სავაჭრო შესაძლებლობათა წრფით. ეს ახალი თანაფარდობა უფრო სრულყოფილია ორივე ქვეყნისათვის, თვითუზრუნველყოფის პირობებში გაცვლის თანაფარდობასთან შედარებით, რომელიც ყოველი ქვეყნის წარმოებრივ შესაძლებლობათა წრფით არის ნაჩვენები. ხორბლის წარმოებაზე დასპეციალებით და მისი ბრაზილიურ ყავაზე გაცვლით აშშ-ს 1ტ- ე მეტი ყავის მიღება შეუძლია 1ტ ხორბალში. იმნაირადვე, ყავაზე დასპეციალებით და ამერიკულ ხორბალზე მისი გაცვლით ბრაზილიას შეუძლია 1ტ ხორბლის მიღება 2ტ-ზე ნაკლებ ყავაში.

გადამწყვეტი მომენტი ისაა, რომ შედარებითი უპირატესობების შესაბამისად დასპეციალებით და იმ პროდუქტებზე საკუთარი სპეციალიზაციის შედეგების გაცვლით, რითაც თვითუზრუნველყოფა ნაკლებეფექტიანია, აშშ და ბრაზილიასაც შეუძლიათ ხორბლისა და ყავის წარმოების ისეთი დონის მიღწევა, რაც მათ წარმოებრივ შესაძლებლობებს აჭარბებს. შედარებითი უპირატესობების პრინციპზე დამყარებული სპეციალიზაცია ხელს უწყობს მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიან განაოვსებას და, როგორც ხორბლის, ისე ყავის წარმოების გადიდებას და ამიტომაა იგი ხელსაყრელი, ორივე ქვეყნისათვის. ამ დებულების დასაზუსტებლად დავუშვათ, რომ 1ხ=1,1/ 2 ყავას ვაჭრობის პირობებში აშშ 10 ტ. ხორბლის ექსპორტს ახდენს ბრაზილიაში, ხოლო ბრაზილიას, თავის მხრივ, 15 ტ. ყავა გააქვს აშშ-ში. როგორ შეეფარდებიან ერთმანეთს ხორბლისა და ყავის ახალი მოცულობები, რომლებიც ახლა გააჩნია პროდუქციის ოპტიმალური სტრუქტურის მქონე ორ ქვეყანას, რაც სპეციალიზაციამდე დავაჭრობამდე არსებობდა? 39-2 ა ნახაზზე A წერტილი გვიჩვენებს,რომ აშშ-მ იავდაპირველი არჩევანი 18 ტ ხორბალისა და 12 ტ ყავაზე შეაჩერა. ახლა, მხოლოდ ხორბლის 30 ტონის წარმოებისა



ნახ.39-2. საკაჭრო შესაძლებლობათა წრფეები და ვაჭრობით მიღებული მოგება.

საერთაშორისო სპეციალიზაციისა და ვაჭრობის გამოყენებით აშშ და ბრაზილიას შეუძლიათ წარმოების ისეთი მოცულობების გადაჭარბება,რაც მათი საშინაო წარმოებრივი შესაძლებლობების მრუდებით განისაზღვრება.მაგალითად,აშშ შეუძლია საშინაო წარმოებრივი შესაძლებლობების წრფეზე A წერტილიდან A' წერტილამდე გადაადგილება საკაჭრო შესაძლებლობასა წრფეზე.სუსტად ასევე,ბრაზილიას შეუძლია B წერტილიდან B'წერტილამდე გადაადგილდეს.

და შემდგომ 10 ტ ხორბლის 15 ტ.ყავაზე გაცვლით აშშ თავის განკარგულებაში იღებს 20 ტ ხორბალს და 15 ტ ყავას. ხორბლისა და ყავის ახალი, უფრო სრულყოფილი შეხამება ნაჩვენებია A'წერტილით. ანალიზში ვაჭრობის შეტანამდე არსებულ მონაცემებთან, კერძოდ, 18ტ. ხორ-

ბლისა და 12ტ ყავასთან შედარებით, ვაჭრობისაგან მოგება აშშ-სათვის 2ტ ხორბალი და 3ტ ყავაა. ანალოგიურად, წარმოვიდგინოთ რომ, პროდუქციის გამოშვების ოპტიმალური სტრუქტურა ბრაზილიაში სპეციალიზაციამდე და ვაჭრობამდე 4ტ ყავა და 8 ტ ხორბალია (B წერტილი). ახლა, ყავაზე დასპეციალებით, ე.ი. მხოლოდ 20 ტ. ყავის წარმოებით,ბრაზილიას შეუძლია 5 ტ ყავისა და 10 ტ ხორბლის შეხამებას მიაღწიოს, 15 ტ საკუთარი ყავის ექსპორტის ხარჯზე 10 ტ ამერიკული ხორბლის სანაცვლოდ. ეს ახალი სიტუაცია ნაჩვენებია B' წერტილით 39-2 ბ ნახაზზე. ბრაზილიისათვის ვაჭრობით მიღებული მოგება 1 ტ ყავა და 2 ტ ხორბალია.

<u>სპეციალიზაციისა და ვაჭრობის შედეგად ორივე ქვეყანას თითოეული სახის საქონლის დიდი რაოდენობა გააჩნია.</u> ეს მაჩვენებლები 39-4 ცხრილში გაერთიანებულია, რომლებიც ყურადღებით შესწავლას იმსახურებს.

ის ფაქტი,რომ A' და B' წერტილები უფრო სრულყოფილ სიტუაციას ასახავენ A და B წერტილებთან შედარებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გაიხსენეთ მე-2 თავიდან, რომ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია გავიდეს თავის წარმოებრივ შესაძლებლობათა ფარგლებს გარეთ:1) საკუთარი რესურსების რაოდენობის გადიდებისა და ხარისხის სრულყოფის ხარჯზე, ან 2) ტექნიკური პროგრესის შედეგების გამოყენების ხარჯზე. ახლა, ნაპოვნია მესამე ხერხი-საერთაშორისო ვაჭრობა, რომლის დახმარებით ქვეყანას შეუძლია წარმოების ვიწრო მასშტაბების დაძლევა, რომლებიც შეზღუდულია წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდით. საერთაშორისო სპეციალიზაციის ეფექტი უკეთესი ხარისხის დიდი მოცულობის რესურსების ფლობას ან სრულყოფილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას შეედრება.

მზარდი დანახარჯები

საერთაშორისო ვაჭრობის პრინციპების მკაფიოდ ჩამოსაყალიბებლად ჩვენ გამოვიყენეთ რიგი გასამარტივებელი დაშვებები. უხვსიტყვიანობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ შეგნებულად შემოვიფარგლეთ ორი პროდუქტით და ორი ქვეყნით.მაგალითები,მეტი ქვეყნებისა და პროდუქტების მონაწილეობით,ანალოგიურ დასკვნებს იძლევა. მაგრამ, მუდმივი დანახარჯების ვარაუდი არსებითი გამარტივებაა. ამიტომ აქ შევხერდებით რათა ხაზი გავუსვათ მზარდი დანახარჯების დიდ

მნიშვნელობას (რაც წარმოებრივ შესაძლებლობაია ჩახნექილ მრუდს წარმოადგენს) ჩვენი ანალიზისათვის.

დავუშვათ,რომ მუდმივი დანახარჯების წინა მაგალითის ანალოგიურად აშშ და ბრაზილიას თავიანთ წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდზე ისეთი მდებარეობა უჭირავთ, რომ დანახარჯია თანაფარდობები თავდაპირველად, შესაბამისად, შეადგენს 1ხ=1ყ და 1ხ=2ყ-ს. უწინდებურად, შედარებითი უპირატესობები იმაზე მიუთითებენ, რომ აშშ ხორბლის წარმოებაზე უნდა დასპეციალდეს, ხოლო ბრაზილია ყავისაზე. მაგრამ, ახლა აშშ მიერ ხორბლის წარმოების გადიდების კვალობაზე, მათი დანახარჯების თანაფარდობა 1ხ=1ყ <u>დაცემას დაიწყებს</u>: ე.ი. მათ 1ტ ყავაზე მეტის გაღება მოუწევთ მსხვერპლად დამატებით 1ტ ხორბლის მისაღებად. რესურსები კი მთლიანად ურთიერთშეცვლადი რიდია ალტერნატიული გამოყენებისათვის, როგორც ეს მუდმივი დანახარჯების შემთხვევაში იგულისხმებოდა. ხორბლის წარმოების გადიდებისათვის სულ უფრო ნაკლები, შესაფერისი რესურსები გამოიყენება. ეს კი იწვევს დანახარჯების ზრდას-ყავის სულ უფრო მეტი რაოდენობის წარმოებაზე უარის თქმას ყოველი დამატებითი ხორბლისათვის. ზუსტად ასევეა ბრაზილია, 1ხ=2ყ მდგომარეობიდან დაწყებული იგი სულ უფრო აფარიოებს ყავის წარმოებას. მაგრამ თანდათანობით ირკვევა,რომ დანახარჯების 1ხ=2ყ-ს თანაფარდობა ზრდას იწყებს. ერთი ტონა ხორბლის წარმოებაზე უარისთქმა გამოანთავისუფლებს რესურსებს, რომლებიც საკმარისია 2ტ-ზე ნაკლები ყავის საწარმოებლად, ვინაიდან ეს რესურსები ნაკლებად გამოსადეგია ყავის საწარმოებლად.

აქედან გამომდინარეობს, რომ დანახარჯების თანაფარდობის, აშშ-სათვის შემცირებისა და ბრაზილიისათვის გადიდების კვალობაზე, მიღწეული იქნება წერტილი, სადაც დანახარჯების თანაფარდობა ორ ქვეყანაში გათანასწორდება, მაგალითად,1ხ=1 1/2 ყ-ს დონეზე. ამ სიტუაციაში სპეციალიზაციისა და ვაჭრობის გაღრმავების საფუძვლის განმსაზღვრელი-დანახარჯთა თანაფარდობის განსხვავება-ამოწურავს თავისთავს, და შემდგომი სპეციალიზაცია ეკონომიკურად მიზანშეუწონელი იქნება. და რაც მთავარია, დანახარჯთა გამოთანაბრების ეს წერტილი შეიძლება მიღწეულ იქნას, თუ აშშ განაგრძობს ცოტა რაოდენობის ყავის წარმოებასაც ხორბალთან ერთად, ხოლო ბრაზილია ცოტა ხორბლის გამოშვებას ყავასთან ერთად. <u>მზარდი დანახარჯების პირველხარისხოვანი ეფექტი ისაა, რომ ისინი ხელს უშლიან სპეციალიზაციას</u>. ამ მიზეზით, ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქცია პირდაპირ კონკურენციას უწევს ანალოგიურ ან ხუსტად ისეთ იმპორტულს.

კიდევ ერთხელ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

თავისუფალი ვაჭრობის მომხრე არგუმენტები ოდითგანვეა ცნობილი. ასე მაგალითად, 1776 წ. ადამ სმითმა ამ საკითხის გამო შემდეგი აღნიშნა:

> ოჯახის საღად მოაზროვნე უფროსის ძირითადი წესია-არასოდეს სახლში არ დააშზადოს ის, რისი ყიდვაც, სახლში დაშზადებულზე იაფია. თერძი არ ცდილობს ფეხსაცმლის შეკერვას, არამედ მეწაღისაგან იძენს მას. მეწაღე არ ცდილობს თავისთვის ტანსაცმლის შეკერვას, არამედ ქირაობს თერძს. ფერმერი არ ცდილობს არცერთის დაშზადებას, არამედ ამ ხელოსნების მომსახურებით სარგებლობს. თითოეული მათგანი თავისთვის ხელსაყრელად თვლის, საკუთარი წარმოება ისეთნაირად გამოიყენოს, როდესაც იგი ზოგიერთი უპირატესობით სარგებლობს მეზობლების წინაშე და თავისი პროდუქტის ნაწილით ანუ რაც იგივეა, ამ პროდუქტის ფასით ყოველივე ის შეიძინოს, რაც დასჭირდება."

თანამედროვე ენაზე საკითხი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შემდეგ დამაჯერებელ დასკვნამდე დაიყვანება. <u>თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე, რაც შედარებითი დანახარჯების პრინციპს ემყარება, მსოფლიო ეკონომიკას რესურსების უფრო ეფექტიანი განთავსება და მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონის მიღწევა შეუძლია</u>. ყოველი ქვეყნის რესურსების სტრუქტურა და ტექნოლოგიური ცოდნის დონე განსხვავებულია. მაშასადამე, ყოველ მათგანს შეუძლია განსაზღვრული საქონლები სხვადასხვა რეალური დანახარჯებით აწარმოოს. თითოეულმა ქვეყანამ ის პროდუქტები უნდა აწარმოოს, რომელთა დანახარჯები შედარებით დაბალია სხვა ქვეყნებისაზე და ისინი იმ პროდუქტებზე გაცვალოს, რომლებზედაც იგი სპეციალდება, რისი წარმოების დანახარჯები მოცემულ ქვეყანაში უფრო მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. თუ ყოველი ქვეყანა ასე მოიქცევა, მსოფლიოს შეუძლია გეოგრაფიული და ადამიანისეული სპეციალიზაციის უპირატესობების სრულად გამოყენება. ე.ი. მსოფლიო და ყოველი თავისუფლად მოვაჭრე ქვეყანა დიდ რეალურ შემოსავალს მიიღებს არსებული რესურსების გამოყენებით. პროტექციონიზმი-ბარიერები თავისუფალი ვაჭრობის გზაზე-ამცირებს და სპობს კიდევაც სპეციალიზაციის სარგებლობებს. თუ ქვეყნებს თავისუფალი ვაჭრობა არ შეუძლიათ, მაო რესურსები უნდა გადაისროლონ ეფექტიანი (დაბალი დანახარჯებით) გამოყენებიდან, არაეფექტიანზე თავისი სხვადასხვაგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

თავისუფალი ვაჭრობის თანამდევი სარგებლობა იმაშია, რომ უკანასკნელი სტიმულს აძლევს კონკურენციას და ხელუდავს მონოპოლიას. უცხოურ ფირმათა მხარდი კონკურენცია ადგილობრივ ფირმებს ყველაზე უფრო დაბალი დანახარჯების წარმოებრივ ტექნოლოგიებზე გადასვლას აიძულებს. იგი ფირმებს ასევე სიახლეთა დანერგვას კარნახობს, რათა ხელში ეჭიროთ ტექნიკური პროგრესის მაჯისცემა, პროდუქციის ხარისხის ამაღლებითა და წარმოების ახალი მეთოდების გამოყენებით, და ამრიგად, ზემოქმედება მოახდინონ ეკონომიკურ სრდაზე. თავისუფალი ვაჭრობა მომხმარებლებს პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტიდან არჩევანის შესაძლებლობას აძლევს. მიზეზები, რომელთა მიხედვითაც უპირატესობა თავისუფალ ვაჭრობას უნდა მიეცეს, არსებითად, იგივეა, რითაც სტიმული უნდა მიეცეს კონკურენციას. ამიტომ, გასაკვირი როდია, რომ ეკონომისტთა უმეტესობა თავისუფალ ვაჭრობას ეკონომიკურად დასაბუთებულ მოვლენად მიიჩნევს.

სავაჭრო ბარიერები

მიუხედავად თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ არსებული მრავალი არგუმენტებისა, სინამდვილეში მას მრავალი ბარიერი აბრკოლებს.

1.ბაჟები.ბაჟები იმპორტულ საქონელთა სააქციზო გადასახდელია; ისინი შემოაქვთ შემოსავლის მისაღებად ან დაცვის მიზნით. ფ ი ს კ ა ლ უ რ ი ბ ა ჟ ე ბ ი, როგორც წესი, იმ ნაკეთობის მიმართ გამოიყენება, რომელიც ქვეყნის შიგნით არ იწარმოება (მაგ.,ამერიკისთვის ესაა კალა, ბანანი და ყავა). ფისკალური ბაჟის განაკვეთები, როგორც წესი, მცირეა და მათი მიზანია ფედერალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობებით უზრუნველყოფა. პ რ ო ტ ე ქ ც ი ო ნ ი ს ტ უ ლ ი ბ ა ჟ ე ბ ი გამიზნულია ადგილობრივი მოსახლეობის დასაცავად უცხოური კონკურენციისაგან. მართალია პროტექციონისტული ბაჟები არასაკმარისად მაღალია უცხოურ საქონელთა იმპორტის შესაწყვეტად, მაგრამ, ისინი უცხოურ მწარმოებლებს მაინც არახელსაყრელ კონკურენტულ მდგომარეობაში აყენებენ საშინაო ბაზარზე ვაჭრობისას.

2.იმპორტული ქვოტები.იმპორტული ქვოტების დახმარებით საქონელთა მაქსიმალური მოცულობები დგინდება, რომლებიც შეიძლება იმპორტირებულ იქნას დროის რაღაც პერიოდში. ხშირ შემთხვევაში ისინი საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხებისათვის უფრო ეფექტური

საშუალებაა, ვიდრე ბაჟები. მიუხედავად მაღალი ბაჟებისა, ზოგიერთი ნაკეთობა შეიძლება იმპორტირებულ იქნას შედარებით დიდი რაოდენობით. დაბალი იმპორტული ქვოტები კი მილიანად კრძალავს საქონლის იმპორტს განსაზღვრული რაოდენობის ზევით. შემდგომში, პროტექციონი მის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ პროტექციონისტულ ტარიფებს.

3.არასატარიფო ბარიერები. არასატარიფო ბარიერებში პროდუქციის ხარისხის გაუმართლებელი სტანდარტების შექმნისა და მისი უსაფრთხოების ანუ საბაჟო პროცედურებში ბიუროკრატიული აკრძალვების ლიცენზირების სისტემა იგულისხმება. ასე მაგალითად, იაპონია და ევროპული ქვეყნები ხშირ შემთხვევაში ლიცენზიებს მოითხოვენ იმპორტიორებისაგან. ლიცენზიათა შეზღუდვით შესაძლებელია იმპორტის ეფექტიანი შეფერხება. სწორედ ასე მოიქცა ინგლისი ქვანახშირის იმპორტის აკრძალვით.

4.ნებაყოფლობითი საექსპორტო შეზღუდვები. ისინი სავაჭრო ბარიერების შედარებით ახალი ფორმებია. ამ შემთხვევაში უცხოური ფირმები "ნებაყოფლობით" ზღუდავენ საკუთარი ექსპორტის მოცულობას განსაზღვრულ ქვეყნებში. ექსპორტიორები ნებაყოფობით თანხმდებიან საექსპორტო შეზღუდვებზე (რომლებიც იმპორტული ქვოტების ანალოგიურია),უფრო მკაცრი სავაჭრო ბარიერების თავიდან აცილების იმედით. მაგალითად, იაპონელი ავტომშენებლები,ამერიკის მიერ უფრო მაღალი ტარიფების ან დაბალი საიმპორტო ქვოტების შემოღების შიშით, აშშ-ში მათი ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვის შემოღებაზე დათანხმდნენ.

მოტივაცია: განსაკუთრებულ ინტერესთა ეფექტი

ბაჟები და ქვოტები რატომ გამოიყენება. მსოფლიო პრაქტიკაში, თუ კი ცნობილია, რომ ისინი ხელს უშლიან თავისუფალ ვაჭრობას, და ამრიგად, ეკონომიკურ ეფექტიანობას ამცირებენ? მაშინ, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობისაგან ქვეყნები მთლიანად იგებენ, ცალკეული დარგები და რესურსების მიმწოდებელია ჯგუფები შეიძლება დაზარალდნენ. შედარებით უპირატესობათა ჩვენს მაგალითში სპეციალიზაცია და ვაჭრობა არახელსაყრელად მოქმედებს ყავის მწარმოებლებზე აშშ-ში და ხორბლისაზე ბრაზილიაში. ადვილი გასაგებია მეწარმეთა შესაბამისი წარმოებით დასაქმებული ჯგუფები რატომ ცდილობენ თავიანთი ეკონომიკური პოზიციების შენარჩუნებას

ან გაუმჯობესებას, თავისუფალი ვაჭრობის მავნე ‘ხეგავლენისაგან’ დასაცავად, ტარიფების შემოღებაში მთავრობის დარწმუნებას. განსაკუთრებულ ინტერესია ეფექტი (იხ.თავი 33-ე)-ანუ “რენტი-სადმი გამოდეკნებით“ გამოწვეული ქცევის კონცეფცია-ძალ’ხე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

> იმპორტული ფასდაკლებისა და საექსპორტო სუბსიდიების პირდაპირი სარგებლობებით, როგორც წესი, ბევრი როდი სარგებლობს, მაგრამ თითოეულ მის მიმღებს დიდი პირადი ინტერესი გააჩნია. აქედან გამომდინარეობს ენერგიული პოლიტიკური საქმიანობის ძლიერი სტიმული.
>
> მაგრამ მსგავსი პოლიტიკის დანახარჯებმა შეიძლება დიდად გადააჭარბონ ყველა სარგებლობებს. საზოგადოებას შეუძლია წელიწადში 40-50 ათასი დოლ. დახარჯოს სამუშაო ადგილის შენარჩუნებაზე, რომელიც მომუშავეს ხელფასის და სხვა მისაცემლების სახით ამ თანხის მხოლოდ ნახევარს მოუტანდა. გარდა ამისა, პროტექციონიზმის დანახარჯები აშშ-ში ძალზე გაფანტულია-50 შტატსა და თითქმის 240 მლნ მოსახლეობას შორის. რამდენადაც დანახარჯები, რაც ყოველ მომუშავეს აწევს, უმნიშვნელო და ხანდახან შეუმჩნეველიც კია, პროტექციონისტული ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობა დაბალ დონეზე არსებითად ნაკლებია, ვიდრე მათ მისალებად დაწოლა.1

უნდა დავუმატოთ ისიც, რომ პროტექციონიზმის დანახარჯები დაფარულია, რამდენადაც ტარიფები და ქვოტები საქონელთა ფასებშია შეტანილი. ამრიგად, პოლიტიკური მოღვაწეები ნაკლებ პოლიტიკურ შეზღუდვებს აწყდებიან პროტექციონისტული სანქციების მიღების მოთხოვნის მხარდაჭერისას.

შემდგომ, ამ თავში, ჩვენ განვიხილავთ სპეციფიკურ არგუმენტებსა და მტკიცებებს,რაც პროტექციონიზმის გასამართლებლად გამოყენება.

ტარიფების შემოღების ეკონომიკური შედეგები

ახლა მიწოდებისა და მოთხოვნის უმარტივესი ანალიზი ყველაზე უფრო გავრცელებული სავაჭრო ბარიერების-დამცავი ბაჟების გამოყენების ეკონომიკური შედეგების გამოსაკვლევად წარმართოთ. 39-3 ნახაზზე Dd და Sd წრფეები პროდუქტის საშინაო მოთხოვნასა და მიწოდებას გვიჩვენებენ, რომლის წარმოებაშიც აშშ-ებს შედარებითი უპირატესობები გააჩნიათ, მაგალითად, კასეტიანი მაგნიტოფონების

1.Economic Report of the President,1982.გვ.177.

წარმოება. მსოფლიო ვაჭრობის არსებობის პირობებში საშინაო ფასები და წარმოების მოცულობები, შესაბამისად, OPd და Oq-ა.

ნახ.39-3. პროტექციონისტული ბაჟების შემოღების ეკონომიკური შედეგები



PwPt-ს ტოლი ბაჟი შიდა მოხმარებას შეამცირებს Od-დან Oc.-მდე-ადგილობრივი წარმოებელები მეტი პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობას მიიღებენ (Ob.Oa-სთან შედარებით) უფრო მაღალი ფასებით (OPt, OPw-სთან შედარებით). უცხოური ექსპორტიორები იზარალებენ, ვინაიდან აშშ-ში ნაკლებ პროდუქციას გაყიდიან (bc.ad-სთან შედარებით). ნახაზის ცენტრში დაშტრიხული ფართობი ამერიკელი მომხმარებლების მიერ ბაჟების სახით გადახდილ თანხას გვიჩვენებს.

დავუშვათ, რომ ქვეყნების ეკონომიკა ღიაა მსოფლიო ვაჭრობისათვის, და რომ იაპონელმა მეწარმეებმა, რომელთაც შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ კასეტიანი მაგნიტოფონების წარმოებაში და მსოფლიო ბაზარზე დომინირებენ, საკუთარი პროდუქციის გაყიდვა იწყეს ამერიკაში. ამასთან, დავუშვათ რომ, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში თავისუფალი ფასი არ შეიძლება განსხვავდებოდეს უმცირესი მსოფლიო ფასისაგან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში OPw-ს ტოლია. OPw-ს შემთხვევაში საშინაო მოხმარება არის Od, საშინაო წარმოება-Oa, ხოლო მათ შორის განსხვავება ad იმპორტის მოცულობას გვიჩვენებს.

პირდაპირი შედეგები. ახლა ვიგულისხმოთ, რომ აშშ ყოველ იმპორტირებულ მაგნიტოფონზე P_wP_t ბაჟს შემოიღებს. ეს საშინაო

ფასის OP_w-დან OP_1-მდე გაზრდას გამოიწვევს და მოელი რიგი შედეგები ექნება.

ჯერ-ერთი, მაგნიტოფონების მოხმარება აშშ-ში Od-დან Oc-მდე დაეცემა, რამდენადაც უფრო მაღალი ფასი მყიდველებს აიძულებს ზევით გადაადგილებას მოთხოვნის მრუდზე. ამერიკელი მომხმარებლები, ცხადია, ბაუის შემოღებით იზარალებენ; ისინი PwPt-თი მეტს გადაიხდიან ყოველ შესყიდულ ~~Oc მაგნიტოფონზე, რაც მათ ახლა Pt ფასი~~ დაუჯდებათ.

გარდა ამისა, ბაუი მომხმარებლებს აიძულებს, შესაძენი მაგნიტოფონების რაოდენობის შემცირებით და თავიანთი დანახარჯების მისამართის შეცვლით ნაკლებსასურველი საქონლის შესყიდვაზე.

მეორე, ამერიკელი მწარმოებლები ,რომლებზეც ბაუი არ ვრცელდება, უფრო მაღალ OPt ფასს მიიღებენ საქონლის ერთეულზე. რამდენადაც ეს ახალი ფასი უფრო მაღალია ბაუის შემოღებამდე არსებულზე, ანუ მსოფლიო OPw ფასზე, ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც მაგნიტოფონებს უშვებდა, ზევით გადაიწევს თავისი Sd მიწოდების მრუდზე, სამამულო წარმოების Oa-დან Ob-მდე გაზრდით. ადგილობრივი მწარმოებლები ისარგებლებენ, როგორც უფრო მაღალი ფასით, ისე გაყიდვათა გაზრდილი მოცულობით. ეს გვიხსნის ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესს ლობისტურ საქმიანობაში, დამცავი ბაუის მხარდასაჭერად. მაგრამ საზოგადოების თვალსაზრისით ადგილობრივი წარმოების გაფართოება (ab სიდიდ-ით) იმ ფაქტს ასახავს, რომ ბაუმა მაგნიტოფონების ადგილობრივ მწარმოებლებს საშუალება მისცა რესურსები სხვა უფრო ეფექტიანი დარგებიდან მოეზიდა.

მესამე, იზარალებენ იაპონელი მწარმოებლები. მართალია მაგნიტოფონების ფასი PwPt სიდიდით გაიზარდა, მაგრამ ეს განსხვავება აშშ მთავრობას გადაერიცხება და არა იაპონელ მწარმოებლებს! მსოფლიო ფასი ბაუის დაწესების შემდეგ, და მაშასადამე, იაპონელ მწარმოებელთა ჯალობითი შემოსავალი OPw დონეზე შენარჩუნდება, მაშინ, როცა ამერიკული იმპორტის (იაპონური ექსპორტის) მოცულობები ad-დან bc-მდე დაეცემა.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ დაშერიხული მართკუთხედი ბაზრის ცენტრში ბაუით გამოწვეულ შემოსავლებს გვიჩვენებს. კერძოდ, ბაუისგან მიღებული მთლიანი შემოსავლები განსაზღვრება საქონლის ერთეულის PwPt ბაუის, იმპორტირებული მაგნიტოფონების bc რაოდენობაზე გამრავ-

ლებით. ბაჟისგან მიღებული ეს შემოსავლები, არსებითად, მომხმარებლისგან შემოსავლის გადანაწილებაა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ხელგაჯლენას ვერ ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე; ამის შედეგად სახელმწიფო იქმენს იგებს, რამდენსაც მომხმარებელი კარგავს.

არაპირდაპირი ზეგავლენა .არსებობს ბაჟის შემოღების სხვა,უფ-რო ნაკლებშესამჩნევი შედეგები, რომლებიც მოთხოვნისა და მიწოდების მარტივი მოდელის ფარგლებს სცილდებიან. აშშ-ში მაგნიტოფონების შემცირებული გაყიდვის გამო ახლა იაპონია ნაკლებ დოლარებს მიიღებს ამერიკულ საქონელთა შესაძენად. ე.ი. ამერიკულ საექსპორტო დარგებში, რომლებიც შედარებით უპირატესობას იძლევა-წარმოება შემცირდება და რესურსები გამოთავისუფლდება .საქმე ეხება მაღალეფექტიან დარგებს, რაზედაც მათი უპირატესობები და მსოფლიო ბაზარზე საქონელთა გაყიდვის მაოი უნარი მოწმობს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბაჟები ხელს უწყობენ შედარებით არაეფექტიანი დარგების ექსპანსიას, რომლებსაც შედარებითი უპირატესობა არ გააჩნიათ და არაპირდაპირ, შედარებით ეფექტიანი დარგების შეკვეცას იწვევენ, რომელთაც შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ. ეს ნიშნავს, რომ ბაჟები რესურსების არასწორი მიმართულებით გადანაწილების მიზეზი ხდება, რაც გასაკვირი როდია. ცნობილია, რომ სპეციალიზაცია და თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობა, რომელიც შედარებით უპირატესობებს ემყარება, მსოფლიო რესურსების ეფექტიან განაწილებას და მსოფლიო წარმოების რეალური მოცულობის გაფართოებას იწვევს. დამცავი ბაჟის მიზანია-მსოფლიო ვაჭრობის შემცირება. აქედან გამომდინარე მომხმარებლებისა და ასევე უცხოური და ადგილობრივი მწარმოებლებისათვის თავისი სპეციფიკური შედეგების გარდა, ბაჟები მსოფლიო წარმოების რეალურ მოცულობებს ამცირებს.

მოსაზრებები პროტექციონიზმის სასარგებლოდ: კრიტიკული მიმოხილვა

მარტალია სასწავლო აუდიტორიებში თავისუფალი ვაჭრობის დამცველები ჭარბობენ, მაგრამ კონგრესის დარბაზებში ზოგ შემთხვევაში პროტექციონისტები დომინირებენ. რა არგუმენტები მოაქვთ პროტექციონისტებს საგაჭრო ბარიერების გასამართლებლად? რამდენად საფუძვლიანია ეს არგუმენტები?

თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა

ამ არგუმენტს მეტადრე, სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი აქვს,ვიდრე ეკონომიკური: დამცავი ბაჟები იმ დარგების შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვისაა საჭირო, რომლებიც სტრატეგიულ საქონელსა და მასალებს უშვებენ, და რომლებიც ქვეყნის თავდაცვის ან ომის საწარმოებლად არის აუცილებელი. ამტკიცებენ, რომ არასტაბილურ მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკურმა მიზნებმა (თვითუზრუნველყოფა) უპირატესობა უნდა მოიპოვოს ეკონომიკურზე (მსოფლიო რესურსების განთავსების ეფექტიანობა).

ეროვნული უშიშროების გაძლიერებას, ერთი მხრივ, და წარმოებითი ეფექტიანობის შესუსტებას, მეორე მხრივ, თან ახლავს რესურსების გადანაწილება სტრატეგიული დარგების სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ამ პროცესის დანახარჯებისა და სარგებლობების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს. ეკონომისტს მხოლოდ ყურადღების მიქცევა შეუძლია იმაზე, რომ ბაჟის შემოღება თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, გარკვეულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

თუმცა, შეიძლება დაეთანხმო კიდევაც იმ აზრს, რომ რაკეტების დასამიზნებელი სისტემების ექსპორტირება ყოფილი საბჭოთა კავშირიდან საუკეთესო იდეა არ იქნება, მაგრამ თვითუზრუნველყოფის სასარგებლო მოსაზრებები ყველაზე სერიოზულ კრიტიკას იმსახურებენ. ალბათ, პრაქტიკულად ყველა ქალაქს პირდაპირ თუ არაპირდაპირ თავისი წვლილი შეაქვს ეროვნულ უშიშროებაში. შეიძლება კი დავასახელოთ დარგი, რასაც, თუნდაც მცირე წვლილი <u>არ შეეტანოს</u> მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში? მაგრამ თუ ამ კრიტიკულ შენიშვნასაც უკუვაგდებთ-ნუთუ არ არსებობს სტრატეგიული დარგების საჭირო სიმძლავრის უზრუნველყოფის, ბაჟებზე უფრო სრულყოფილი საშუალება? თვითუზრუნველყოფის მიღწევა ბაჟების დახმარებით, დანახარჯებს წარმოშობს უფრო მაღალი საშინაო ფასების სახით, დაცული დარგების პროდუქციაზე. გაზრდილი თავდაცვისუნარიანობის დანახარჯები სავალდებულო წესით იმ მომხმარებლებს შორის ნაწილდება, რომლებიც ამ დარგების პროდუქციას იძენენ. პრაქტიკულად, ყველა ეკონომისტი სწორად მიიჩნევს, რომ სტრატეგიული დარგების პირდაპირი სუბსიდიები, რომლებიც საერთო საგადასახადო შემოსულობებიდან ფინანსდება, ამ დანახარჯთა უფრო თანაბარ განაწილებას იწვევს.

შიდა დასაქმების გადიდება

ლოზუნგი „გადაარჩინეთ ამერიკული სამუშაო ადგილები", რაც ბაჟების დასაცავად გამოიყენება, სულ უფრო ძლიერდება ეკონომიკის დაქვეითების კვალობაზე. იგი მაკროანალიზს ემყარება. ერთობლივი დანახარჯები ღია ეკონომიკაში სამომხმარებლო ხარჯების (C), კაპიტალდაბანდებების (I), სახელმწიფო ხარჯების (G), და წმინდა ექსპორტისაგან (Xn) შედგება. წმინდა ექსპორტი ,ექსპორტსა (X) და იმპორტს (M) შორის განსხვავებაა. ერთობლივი ხარჯების გადიდება იმპორტის (M) შემცირებს შედეგად მასტიმულებელ ზეგავლენას ახდენს საშინაო ეკონომიკურ განვითარებაზე, რამდენადაც შემოსავლებისა და დასაქმების მკვეთრ ზრდას იწვევს. მაგრამ ასეთ პოლიტიკას სერიოზული დეფექტები გააჩნია.

1.იმპორტის გადიდება სამუშაო ადგილების გარკვეულ შემცირებას იწვევს ამერიკაში, მაგრამ, იმავდროულად სამუშაო ადგილებსაც ქმნის. იმპორტმა უკანასკნელ წლებში ხელი შეუწყო სამუშაო ადგილების ნაწილის ლიკვიდაციას ამერიკის ფოლადსამსხმელო და საფეიქრო მრეწველობაში, მაგრამ წარმოიშვა საქმიანობის სხვა სახეები, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად,"ჰონდებით" და იმპორტული ელექტრომოწყობილობით ვაჭრობასთან. ამრიგად, მართალია იმპორტული შეზღუდვები ცვლიან დასაქმების სტრუქტურას, მაგრამ სინამდვილეში, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენენ ან საერთოდ ვერ ახდენენ გავლენას დასაქმების დონეზე.

2.ცხადია, ერთდროულად ყველა ქვეყანას როდი შეუძლია წარმატების მიღწევა იმპორტული, შეზღუდვების შემოღებით.ერთი ქვეყნის ექსპორტი სხვა ქვეყნის იმპორტია. იმ ზომით,რა ზომითაც ერთი ქვეყნის ექსპორტის გადამეტება იმპორტზე,შესაძლოა მისი ეკონომიკის მასტიმულებელი იყოს,იმპორტის გადამეტებამ ექსპორტზე სხვა ეკონომიკაში უმუშევრობის პრობლემას ამწვავებს. გასაკვირი როდია, რომ ბაჟებისა და იმპორტული ქვოტების შემოღება ქვეყანაში სრული დასაქმების მისაღწევად, "მეზობლის გაკოტრების" პოლიტიკად იწოდებოდეს. მისი დახმარებით ქვეყნის საშინაო პრობლემები სავაჭრო პარტნიორების განადგურების ხარჯზე წყდება.

3.ბაჟებისა და ქვოტებისაგან დაზარალებული ქვეყნები, ცხადია, საპასუხო ქმედებებს მიმართავენ, სავაჭრო ბარიერების ახალი გადიდებით, რაც საბოლოოდ, ვაჭრობას იმ ზომაზე ააბზარავს, რომ იგი ყველა ქვეყნისთვის არახელსაყრელი აღმოჩნდება. გასაკვირი როდია

რომ სმუტ-ჰაულის 1930 წ. კანონი ბაჟების შესახებ, რომელმაც არსებულზე მაღალი ბაჟები დააწესა, მტკივნეულად შეეხო ქვეყანას. ამ კანონმა ნაცვლად ამერიკული ეკონომიკის სტიმულირებისა, დაზარალებული ქვეყნების მხრივ საპასუხო შეხლუდვათა სერიების მხოლოდ პროვოცირება მოახდინა.ამან საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომი შემცირება გამოიწვია და ხელი შეუწყო ყველა ქვეყანაში შემოსავლებისა და დასაქმების დონის შემცირების ტენდენციათა გამოვლენას.

4.და უკანასკნელი. ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით ექსპორტის: იმპორტზე გადამეტება საშინაო დასაქმების სტიმულირების სახით, წარუმატებლობისთვისაა განწირული. უნდა გვახსოვდეს რომ: სწორედ ამერიკული იმპორტის მეშვეობით გამოიმუშავებენ დოლარებს უცხ. სახელმწიფოები, რომლებითაც ისინი ამერიკული ექსპორტის საგნებს იძენენ. ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით, ექსპორტის განსახორციელებლად ქვეყანამ იმპორტს უნდა მიმართოს. მაშასადამე, ხანგრძლივვადიანი მიზანი სავსებით არაა საშინაო დასაქმების გაზრდა, არამედ, უკეთეს შემთხვევაში მუშების დისლოკაციის ადგილის შეცვლაა საექსპორტო დარგებიდან, დაცულ დარგებში, რომლებიც საშინაო ბაზარზეა ორიენტირებული. ეს გადაადგილება რესურსების ნაკლებეფექტიან განთავსებას გამოიწვევს. ბაჟები გზას ულობავენ რესურსებს იმ დარგებისაკენ, რომლებშიც წარმოება იმდენად ეფექტიანია, რომ შედარებით უპირატესობას უზრუნველყოფს. არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ ანტიციკლურ ღონისძიებათა შერჩევისას გონივრული, დროული ფულადი და საგადასახადო პოლიტიკა ბაჟებითა და ქვოტებით მანიპულირებაზე უმჯობესია.

ამრიგად, მტკიცება, რომ ბაჟები ზრდის წმინდა ექსპორტს და ამიტომ ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის-არასწორი გზისკენ ბიძგებას ნიშნავს.

საერთო დასაქმება ეკონომიკაში საშინაო პირობებით და რეგულირების მაკროეკონომიკური ღონისძიებებით განისაზღვრება და არა საგაჭრო ბარიერებით და ვაჭრობის მასშტაბებით. აშშ-ში ახლანდელი ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, საგარეო საგაჭრო დეფიციტისა და შედარებით ღია ბაზრის პირობებში 15 მლნ-ზედ სამუშაო ადგილი შეიქმნა. იმავდროულად ევროპის თანამეგობრობაში, მიუხედავად საგარეო ვაჭრობის აქტიური სალდოსი, პრაქტიკულად არავითარი დამატებითი სამუშაო ადგილი არ შექმნილა. დასაქმების ერთნაირი დონე შეიძლება მიღწეულიქსას, როგორც თავისუფალი ვაჭრობის საერთოდ არარსებობის, ისე მისი არსებობის პირობებშიც. მაგრამ, სინამდვილეში საგარეო ვაჭრობის გარეშე, ქვეყნისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო უარესი იქნება, ვინაიდან მას თავისი წარმოებითი შესაძლებლობების-საგარეო ვაჭრობის მეშვე-

ობით ჭარბი საქონლის სხვა საქონელში გადაყვანის უნარის-ქარისთვის გატანება მოუწევს.1

დივერსიფიკაცია სტაბილურობის მიზნით

ცნობილია ბაჟების გამართლების სხვა არგუმენტიც: დივერსიფიკაციის აუცილებლობა სტაბილურობისათვის. ამოსავალი მომენტი აქ ისაა, რომ მაღალსპეციალიზებული ეკონომიკის შემოსავლები, მაგალითად, კუვეიტის ნავთობის ეკონომიკისა ან შაქრის წარმოებაზე ორიენტირებული კუბის სახალხო მეურნეობისა, დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო ბაზრებზე. ომები, ციკლური მერყეობები, ნეგატიური ცვლილებები მრეწველობის სტრუქტურაში, ასეთ ეკონომიკურ სისტემათა გარდაქმნის მსხვილმასშტაბიან და ხშირ შემთხვევაში მტკივნეულ პროცესებს იწვევენ. აქედან, თითქოსდა გამომდინარეობს, რომ ქვოტებითა და ბაჟებით დაცვა აუცილებელია ამ ქვეყნებში მრეწველური დივერსიფიკაციის სტიმულირებისათვის და, როგორც შედეგი, მსოფლიო ბაზრებზე ერთი ან ორი სახეობის პროდუქტის კონიუნქტურისაგან დამოკიდებულების შემცირებისათვის. ეს დაეხმარება საშინაო ეკონომიკას საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენათა ზეგავლენისაგან, საზღვარგარეთ წარმოების დაქვეითებისაგან, ერთ ან ორ კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნისა და მათი მიწოდების შემთხვევითი მერყეობისაგან დაცვაში, საშინაო სტაბილურობის მიღწევით.

ზემოთაღნიშნულში ჭეშმარიტების ნაწილიც არის. მაგრამ არსებობს ასევე სერიოზული შეზღუდვები და ხარვეზებიც. ჯერ-ერთი, ამ არგუმენტს სუსტი, ან საერთოდ არ გააჩნია დამოკიდებულება აშშ და სხვა განვითარებული ქვეყნების მიმართ. მეორე, დივერსიფიკაციის ეკონომიკური დანახარჯები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს; მაგალითად, მონოკულტურულ ეკონომიკებში, დამმუშავებელი მრეწველობა შეიძლება უკიდურესად არაეფექტიანი აღმოჩნდეს.

ახალი დარგების დაცვა

ხშირ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ დამცავი ბაჟები საჭიროა ახალი დარგებისათვის, სამამულო მრეწველობაში დამკვიდრების

1.Economic Report of the President.1988.

უხრუნველსაყოფად. ახალი ეროვნული ფირმების დროებით დაცვა უფრო მომწიფებული და ამის გამო მოცემული მომენტისათვის უფრო ეფექტიანი უცხოური ფირმების მკაცრი კონკურენციისაგან, განვითარებად დარგებს მომძლავრებისა და ეფექტიან მწარმოებლებად გადაქცევის საშუალებას აძლევს. პროტექციონიზმის სასარგებლო ეს არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობის საწინააღმდეგო საეჭვო მოსაზრებას ემყარება. წინააღმდეგობა იმაშია, რომ მომწიფებული უცხოური კონკურენციის პირობებში არც ერთ დარგს არ ჰქონია და არც არასოდეს ექნება ხანგრძლივვადიან ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა, რომლებიც წარმოების გაფართოებასა და ეფექტიანობის გადიდებაზეა მიმართული. ახალგაზრდა დარგების ბაჟების დახმარებით დაცვა მსუფლიო რესურსების არსებული არასწორი განთავსების კორექტირებას ახდენს, რაც ისტორიულად ეკონომიკური განვითარების დონეებში განსხვავებათა გამო ჩამოყალიბდა სამამულო და უცხოურ მრეწველობაში.

კონგლომერატები. მართალია პოზიცია ლოგიკურად სწორია, მაგრამ აუცილებელია შემდეგი შენიშვნის გაკეთება. ჯერ-ერთი, მსგავს არგუმენტებს დამოკიდებულება არა აქვთ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან, ისეთებთან, როგორიცაა აშშ. მეორე, სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში ძალზე ძნელია იმ ახალდაბა-დებული დარგების განსაზღვრა, რომელთაც ეკონომიკური სიმწიფის მიღწევა შეუძლიათ და ამიტომ დაცვას იმსახურებენ. მესამე, მოხუცი ჯარისკაცებისაგან განსხვავებით, დამცავი ბაჟები შეიძლება არ გაქრეს, არამედ, მეტადრე, შენარჩუნებულიქნას მრეწველური სიმწიფის მიღწევის დროსაც კი. დაბოლოს, ეკონომისტთა უმეტესობა თვლის რომ, თუ განვითარებად დარგებს დაცვა სჭირდებათ, ამისათვის, ბაჟებზე უფრო მისაღები ხერხები არსებობს. პირდაპირ სუბსიდირებას, მაგალითად, ის უპირატესობა გააჩნია, რომ იგი უფრო ღიად გვიჩვენებს, რომელ დარგს მიეცემა დახმარება და რა ზომით.

„ამოსუნთქვის“ვარიანტი. უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა დარგებისადმი დახმარების აუცილებლობის არგუმენტაცია რამდენადმე შეიცვალა. მოულოდნელი გაძლიერებული უცხოური კონკურენციის გამო ამერიკული მრეწველობის წარმომადგენლებმა შესაძლებლობა მიიღეს ამტკიცონ, რომ იგი დაცვას საჭიროებს “ყლუპი ჰაერის“ მისაღებად, მოდერნიზაციის ჩატარებისა და უფრო კონკუ-

რენტუნარიანად გადაქცევის მიზნით. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ პროტექციონიზმი, მოგების გაზრდით და ამით მოდერნიზაციის საშუალებების გადიდებით, იმავდროულად ხსნის მოდერნიზაციის აუცილებლობის საკითხის სიმწვავეს. დარგის ეფექტიანობის ამაღლების ნაცვლად პროტექციონიზმმა შეიძლება მისი შემდგომი დაქვეითება გამოიწვიოს.

უფრო მეტიც, მსგავსი პროტექციონისტული ღონისძიებები შესაძლოა სხვა დარგებისათვის იმის მანიშნებელი აღმოჩნდეს, რომ მათაც ანალოგიური დაცვის იმედი ჰქონდეთ ძლიერი კონკურენციის შემთხვევაში, იმპორტის მხრიდან. მაშასადამე, სხვა დარგებსაც შეუძლიათ პროდუქტის ხარისხის სრულყოფისა და წარმოებრივ დანახარჯთა მინიმიზების ინტერესის დაკარგვა.

დემპინგისაგან დაცვა

აღნიშნავენ, რომ ტარიფები საჭიროა ასევე ამერიკულ ფირმათა დასაცავად უცხოელი მწარმოებლებისაგან, რომლებიც ამერიკულ ბაზარზე თავიანთ ჭარბ პროდუქციას დემპინგური ფასებით ასაღებენ, თვითღირებულებაზე დაბლა. არსებობს ორი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება უცხოური ფირმები დაინტერესებული იყვნენ თავიანთი საქონლის გაყიდვით თვითღირებულებაზე დაბლა. ჯერ-ერთი, მათ დემპინგის გამოყენება შეუძლიათ ამერიკელ კონკურენტთა დასათრგუნავად, მონოპოლიური მდგომარეობის ხელში ჩასაგდებად და ფასების შემდგომ გასადიდებლად. მეორე, დემპინგი შეიძლება წარმოადგენდეს საფასო დისკრიმინაციას-სხვადასხვა კლიენტებისათვის სხვადასხვა ფასების დაწესების რთულ ფორმას. საკუთარ მოგებათა მაქსიმიზების მიზნით უცხოელ გამყიდველს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს თავისი პროდუქციის, მონოპოლიზებულ საშინაო ბაზარზე მაღალი ფასებით რეალიზების და ჭარბი პროდუქციის აშშ-ში დაბალ ფასებში გაყიდვის შესახებ. წარმოების ჭარბი მოცულობები შესაძლოა აუცილებელიც იყოს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებისათვის მსხვილმასშტაბიანი წარმოების პირობებში.

იმის გამო, რომ დემპინგი საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს, ამერიკული სავაჭრო კანონმდებლობიი იგი აკრძალულია. იმ შემთხვევებში, როცა დემპინგი ზიანს აყენებს ამერიკულ ფირმებს, ფედერალურ მთავრობას "ანტიდემპინგური ბაჟები" შემოაქვს შესაბამის საქონელზე. მაგრამ აშშ-ში

იმპორტირებულ საქონელთა საერთო მოცულობასთან შედარებით, დემპინგის გამოყენების რეგისტრირებული შემთხვევები უმნიშვნელოა. ამიტომ დემპინგი არ შეიძლება გამართლებული იყოს ფართოდ გავრცელებული, მუდმივმოქმედი ბაჟების არსებობისათვის. გარდა ამისა, დემპინგის გამოყენების ბრალდებები გულდასმით უნდა შემოწმდეს მათი საფუძვლიანობის განსაზღვრისათვის. უცხოელი მეწარმეები ხშირად ამტკიცებენ, რომ დემპინგში უსაფუძვლო ბრალდებებს და ანტიდემპინგურ ბაჟებს ამერიკელები კანონიერი ვაჭრობის შეზღუდვისათვის იყენებენ." მართლაც, ზოგიერთი უცხოური ფირმები ხანდახან განსაზღვრულ საქონელს უფრო დაბალი დანახარჯებით აწარმოებენ, ვიდრე მათი ამერიკელი კონკურენტები. მაშასადამე, ის რაც ერთი შეხედვით დემპინგად შეიძლება შეფასდეს, სინამდვილეში, უმეტესწილად შედარებით უპირატესობათა პრინციპის მოქმედების შედეგია. ანტიდემპინგურ კანონმდებლობათა ბოროტად გამოყენებამ შეიძლება იმპორტის ფასი გაზარდოს, ხოლო კონკურენცია ამერიკულ ბაზარზე შეზღუდოს. კონკურენციის შესუსტება ამერიკულ ფირმებს საშუალებას მისცემს ფასები მომხმარებელთა ხარჯებზე მაღლა ასწიონ. მაგრამ დემპინგის დროსაც კი,ამერიკელი მომხმარებლები იგებენ საქონელზე დაბალი ფასების გამო,იმავე ზომით-უკიდურეს შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში-რა ზომითაც ისინი იგებენ ამერიკელ მწარმოებლებს შორის ფასების ომით.

იაფი უცხოური სამუშაო ძალა

ასევე ამტკიცებენ, რომ სამამულო ფირმები და მუშები დამანგრეველი კონკურენციისაგან გამიჯნული უნდა იყვნენ იმ ქვეყნების მხრიდან, სადაც ხელფასი დაბალია. თუ ისინი დაცული არ იქნებიან, მაშინ იაფი იმპორტი გაავსებს ამერიკულ ბაზრებს და ფასები ამერიკულ საქონელზე-ამერიკელ მუშათა ხელფასთან ერთად-შემცირდება და ცხოვრების დონე დაეცემა.

ეს არგუმენტი შეიძლება უარყოფილ იქნას რამოდენიმე დონეზე. ჯერ-ერთი, ამ არგუმენტის ლოგიკა გვკარნახობს, რომ მდიდრებსა და ღარიბებს შორის ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელი არ არის, მაგრამ ეს ასე როდია. სოფლის მეურნეობის ღარიბ მუშას სალათის ან პამიდორის შეგროვება შეუძლია მდიდარი მიწათმფლობელისათვის და ორივე მოიგებს გარიგებისაგან. და განა ამერიკელი მომხმარებლები არ იგებენ, როცა ისინი ტაივანში დამზადებულ ჯიბის რადიომიმღებს

12 დოლარად შეიძენენ, ხარისხით ანალოგიური ამერიკულის 20 დოლარად ყიდვის ნაცვლად?

მეორე, გავიხსენოთ, რომ ვაჭრობის შემოსავლები დამოკიდებულია შედარებით უპირატესობებზე. დავუბრუნდეთ 39-1 ნახაზს. დავუშვათ, რომ აშშ-ს და ბრაზილიას დაახლოებით თანაბარი სამუშაო ძალა გააჩნია. წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდების მდებარეობით ჩანს, რომ ამერიკული სამუშაო ძალა აბსოლუტური გამოხატულებით უფრო მწარმოებლურია, ვინაიდან მას მეტი ორივე სახეობის პროდუქციის წარმოება შეუძლია. უფრო მაღალი მწარმოებლურობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკელ მუშათა ხელფასი და ცხოვრების დონე უფო მაღალი იქნება. მეორე მხრივ, ბრაზილიის უფრო ნაკლებმწარმოებლური სამუშაო ძალა უფრო დაბალ ხელფასს მიიღებს. თუ პროტექციონიზმის მომხრეთა მოსაზრებებს გავყვებით, მაღალი სასიცოცხლო სტანდარტების შესანარჩუნებლად ამერიკამ არ უნდა ივაჭროს ბრაზილიასთან. დავუშვათ, რომ ამერიკა არ ივაჭრებს ბრაზილიასთან. გაიზრდება თუ არა ამით ხელფასი და ცხოვრების დონე აშშ-ში? პასუხია გაბედული "არა". ყავის მისაღებად ახლა ამერიკას თავისი სამუშაო ძალის ნაწილის გადაყვანა მოუწევს ხორბლის შედარებით ეფექტიანი წარმოებიდან, ყავის წარმოების შედარებით ნაკლებეფექტიან დარგში. ამის შედეგად ამერიკის სამუშაო ძალის საშუალო მწარმოებლურობა დაეცემა, ისე როგორც ხელფასი და ცხოვრების დონე. მართლაც დაიწევს სამუშაო ძალის ცხოვრების დონე ორივე ქვეყანაში, იმიტომ, რომ სპეციალიზაციისა და ვაჭრობის გარეშე მათ ნაკლები პროდუქცია ექნებათ. შეადარეთ 39-4 ცხრილის მე-4 სვეტი პირველს ანუ A' და B' წერტილები A და B-ს 39-2 ნახაზზე,ამ დებულების დასამტკიცებლად.

ზოგიერთი შედეგები

პროტექციონიზმის დამცავი არგუმენტები ბევრია, მაგრამ ყველა ისინი დასაბუთებული როდია. შესაბამის პირობებში მრეწველობის ახალგაზრდა დარგების დაცვის აუცილებლობის არგუმენტები, სამართლიანი გამონაკლისია, რასაც ეკონომიკური გამართლება გააჩნია. თვითუზრუნველყოფის სასარგებლო არგუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას პროტექციონიზმის დასასაბუთებლად სამხედრო-პოლიტიკური პოზიციებიდან. მაგრამ ორივე ეს არგუმენტი სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს. ორივე ისინი უგულებელყოფენ

ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას მრეწველური განვითარებისა და სამხედრო თვითუზრუნველყოფის წახალისებისათვის. სხვა არგუმენტების უმეტესობა მნიშვნელოვანწილად ემოცი-ური მოწოდებებია, რომლებიც ნახევარ სიმართლესა და მონაჭორხეა დაფუძნებული.

არსებობს ასევე დამაჯერებელი ისტორიული ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ რომ თავისუფალი ვაჭრობა აყვავებასა და ზრდას იწვევს, ხოლო პროტექციონიზმი საპირისპიროს. აი რამდენიმე მაგალითი.

1.აშშ კონსტიტუცია ცალკეულ შტატებს ბაჟის აღებას უკრძალავს, ამერიკის, თავისუფალი ვაჭრობის უზარმაზარ ზონად გადაქცევით.

2.დიდი ბრიტანეთის ქმედებებს უფრო თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის დასაცავად მე-19 საუკუნის შუახანებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მისი ინდუსტრიალზაციისა და_ განვითარების საშუალებას.

3.პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში "საერთო ბაზრის" შექმნამ, როგორც ჩვენ მალე დავინახავთ, დიდად შეუწყო ხელი წევრ ქვეყნებს შორის ბაჟების გაუქმებას. ეკონომისტები აღიარებენ, რომ თავისუფალი ვაჭრობის ასეთი ზონის შექმნა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რამაც დასავლეთ ევროპის აყვავება უზრუნველყო უკანასკნელ ათწლეულებში.

4.მთლიანად, ბაჟებს შემცირების ტენდენცია 30-იანი წლების შუახანებიდან ომისშემდგომი მსოფლიო ეკონომიკის ზრდის სტიმული გახდა.

5.როგორც უკვე აღვნიშნეთ, სმუტ-ჰაულის კანონის შესაბამისად 1930წ. შემოღებულმა ბაჟებმა და მის მიერ წარმოშობილმა საპასუხო ზომებმა 30-იანი წლების "დიდი დეპრესია" გაამწვავეს.

6.სუსტადგანვითარებული ქვეყნების გამოკვლევები უმეტეს შემთხვევებში გვიჩვენებენ, რომ ის ქვეყნები, რომლებიც თავიანთი სამამულო მრეწველობის დასაცავად იმპორტულ შეზღუდვებს ეყრდნობოდნენ, უფრო ნელი ზრდით კმაყოფილდებოდნენ, იმათთან შედარებით, რომლებიც უფრო ღია ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდნენ.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა

როგორც 39-4 ნახაზზეა ნაჩვენები, ბაჟები აშშ-ში ხან იზრდებოდა,

ხან მცირდებოდა[1] ისტორიულად, ამერიკა, როგორც წესი, მაღალი ბაჟის ქვეყანა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ბაჟის შესახებ სმუტა-ჰაულის 1930წ. მიღებული კანონით აშშ-ში ისტორიაში ყველაზე უფრო მაღალი ბაჟები წესდებოდა.

თუ ბაჟები ეკონომიკურად არასასურველია, კონგრესი რაზომ იყენებდა მათ ასეთი მონდომებით? როგორც ამ თავში უკვე აღინიშნა, პასუხი ბაჟის დაწესებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ რეალიებში იმალება, უფრო ზუსტად, განსაკუთრებულ ინტერესთა შედეგებთან. სამამულო მწარმოებელთა მცირე ჯგუფი, ვინც დიდ ეკონომიკურ მოგებას ღებულობს ბაჟებისგ და ქვოტებისაგან, კარგად ანაზღაურებადი და კარგად ინფორმირებული ლობისტებისაგან, ენერგიულად იბრძოლებს პროტექციონისტულ სანქციათა შემოღებისათვის. მომხმარებელთა უმეტესობა, რომელთაგან თითოეული გარკვეულად იზარალებს, მთლიანად საქმეში ჩაუხედავი და ინდიფერენტული დარჩება .საზოგადოებამ შეიძლება მხარი დაუჭიროს ამ პოლიტიკას არა მხოლოდ ენერგიულად გატარებული პოლიტიკის წყალობით, არამედ, ასევე ციფრების აშკარა დამახინჯებასთან დაკავშირებით (შეამცირეთ იმპორტი და გაქრება უმუშევრობა ქვეყნის შიგნით) და პროტექციონისტების პატრიოტული მოწოდებებით ("შეიძინეთ ამერიკული"). ბაჟების მიერ მოტანილი სარგებლობები საზოგადოებას წარედგინება. ნეგატიური შედეგები კი, რომლებზედაც ეკონომისტები მიუთითებენ, გაურკვევლად და მთელს ეკონომიკაში მეტისმეტად მიმოფანტულად გამოიყურებიან. ამასთან, საზოგადოებრიობა, თითქოსდა დაუყონებლივ და მკაფიოდ გამოხატული სახით, მეტადრე, ვერ შეამჩნევს განმარტების მცდარობას: "თუ ქვოტა იაპონურ ავტომანქანებზე შეინარჩუნებს მოგებას და დასაქმებას ამერიკულ საავტომობილო მრეწველობაში, მაშინ, როგორ უნდა აღმოჩნდეს იგი საზიანო ეკონომიკისათვის მთლიანად?"როცა ამას კიდევ დაემატება ურთიერთმხარდაჭერის პრაქტიკა (თავი 33)-"შენ მხარი დაუჭირე ბაჟებს X დარგისათვის ჩემს შტატში, ხოლო მე იგივეს გავაკეთებ Y დარგისათვის შენს

---

1. ბაჟის საშუალო დონე ამცირებს მის როლს,ვინაიდან გვიჩვენებს,რომ ზოგიერთი საქონელი არ ხვდება ამერიკულ ბაზარზე სწორედ დიდი ბაჟის გამო.გარდა ამისა,საშუალო ფორმები ნიღბავენ მაღალი ბაჟების არსებობას ცალკეულ საქონელთა შემოტანაზე:მაჯის საათებზე,ფაიფურზე,ქუდებზე,ხაფეიქრო ნაწარმზე,მატყლზე, ღვინოებზე,საიუველირო ნაწარმზე,მინის ჭურჭელზე,ხის ნაკეთობებზე და ა.შ.

შტატში,"-მაშინ, დამცავი ბაჟები და ქვოტები შეიძლება მოგვევლინოს როგორც შედეგი.



ნახ.39-4.საბაჟო გადასახდელები აშშ-ში 1820-1988წწ.

ამერიკული ბაჟების დონე მათი არსებობის მანძილზე არსებითად შეიცვალა.დაწყებული ურთიერთვაჭრობის შესახებ 1934წ.კანონიდან,დაიხახა საბაჟო დაბეგვრის შემცირების ტენდენცია (აშშ ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით).

კანონი ურთიერთექვივალენტური ვაჭრობის შესახებ და გენერალური შეთანხმება

პირველი კანონი, რომელმაც ბაჟების დონის შემცირების ტენდენცია გამოიწვია, 1934წ კანონი იყო,ურთიერთ საგაჭრო შეთანხმების შესახებ.

1.მოლაპარაკების წარმართვის უფლებამოსილება.კანონი ურთიერთექსკლუზიური ვაჭრობის შესახებ პრეზიდენტს უფლებამოსილებას აძლევდა მოლაპარაკება ეწარმოებინა და ხელშეკრულება დაედო უცხოურ სახელმწიფოებთან, არსებულთან შედარებით ბაჟების 50%-მდე შემცირების თაობაზე. ტარიფების შემცირება დამოკიდებული იყო სხვა ქვეყნების ურთიერთდათმობაზე,რაც მიმართული იყო ამერიკულ ექსპორტზე ბაჟის შემცირებაზე.

2.ბაჟების საერთო შემცირება.თუ ბაჟები შემცირდებოდა, მაშინ ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმის შესახებ დებულებით, იგი შეეხებოდა არა განსაზღვრულ ქვეყანას, რომელიც აშშ-სთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, არამედ საყოველთაო ხასიათს მიიღებდა.მაგრამ ურთიერთვაჭრობის შესახებ კანონმა სათავე დაუდო მხოლოდ ორმხრივ მოლაპარაკებას (ორ ქვეყანას შორის). ეს მიდგომა გაფართოვდა 1947წ., როდესაც აშშ-ს ჩათვლით გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ხელი მოაწერა 23-მა ქვეყანამ. იგი ემყარება სამ კარდინალურ პრინციპს: 1) თანაბარი არადისკრიმინაციული რეჟიმი ყველა მონაწილე ქვეყნისათვის; 2) ბაჟების შემცირება მრავალმხრივი მოლაპარაკების გზით; 3) საიმპორტო ქვოტების გაუქმება .არსებითად, გენერალური შეთანხმება სხვა არაფერია, თუ არა სატარიფო ბარიერების შესახებ, მრავალმხრივ საფუძველზე მოლაპარაკებათა წარმართვის ფორუმი .ახლა ამ შეთანხმებაში 100 ქვეყანა მონაწილეობს და იოტისოდენა ეჭვიც კი არ არსებობს, რომ იგი ვაჭრობის ლიბერალიზაციის ტენდენციების განვითარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი ეგიდით ,ომისშემდგომ პერიოდში მოლაპარაკებათა სამი რაუნდი ჩატარდა სავაჭრო ბარიერების შესამცირებლად.

1986წ. ურუგვაიში ჩატარდა მოლაპარაკებათა მე-8 რაუნდი შეთანხმების ფარგლებში."ურუგვაის რაუნდის" დღის წესრიგში შეტანილ იქნა შემდეგი წინადადებები: 1) სავაჭრო ბარიერებისა და სუბსიდიების გაუქმება სოფლის მეურნეობაში; 2) ბარიერების მოხსნა მომსახურებით ვაჭრობაზე (მომსახურება'ზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის დაახლოებით 20%); 3) შეზღუდვის გაუქმება უცხოურ ინვესტიციებზე; 4) საერთაშორისო საფუძველზე საპატენტო, საავტორო უფლებების, სავაჭრო მარკის უფლებების დანერგვა.

ეკონომიკური ინტეგრაცია

ვაჭრობის ლიბერალიზაციის მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკური ინტეგრაცია-ორი და მეტი ქვეყნის ბაზრების გაერთიანება იყო თავისუფალი ვაჭრობის ზონაში. ეკონომიკური ინტეგრაციის მაგალითებია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ამერიკა-კანადის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საერთო ბაზარი. ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა ანუ როგორც მას უწოდებენ "საერთო ბაზარი". იგი 1958 წელს ჩამოყალიბდა და 13 დასავლეთევროპულ ქვეყანას აერთიანებს.

მიზნები."საერთო ბაზარი "გამოდის: 1) ყველა საქონელზე ბაჟებისა და საიმპორტო ქვოტების თანდათანობითი გაუქმების წინადადებით, რომლებითაც ერთმანეთის შორის ვაჭრობს 13 მონაწილე ქვეყანა; 2) ყველა საქონლის მიმართ ბაჟების საერთო სისტემის დაწესებით, რომლებსაც "საერთო ბაზრის" არაწევრი ქვეყნებისაგან ღებულობენ; 3) საბოლოო ანგარიშში კაპიტალებისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობის მიღწევით "საერთო ბაზრის" ფარგლებში და 4) რიგი ეკონომიკური ასპექტების მიხედვით საერთო პოლიტიკის შემუშავებით, რომლებიც ურთიერთხელსაყრელ ინტერესებს იწვევს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, შეუხლუდავი საქმიანი პრაქტიკის და ა.შ. მიხედვით. ეს მიზნები მოლიანად უნდა ყოფილიყო რეალიზებული 1992 წელს.

შედეგები."საერთო ბაზრის" შექმნის გამომწვევ მოტივებს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათი ჰქონდათ. ძირითადი ეკონომიკური მოტივი, ცხადია, მონაწილე ქვეყნების მიერ თავისუფალი ვაჭრობისაგან უპირატესობების მიღება იყო. ძალზე რთულია იმის განსაზღვრა, თუ "საერთო ბაზარი" თავისი აყვავებისა და ზრდის გამო რამდენადაა ვალში, სწორედ ეკონომიკური ინტეგრაციის წინაშე; მაგრამ ერთი ცხადია: ინტეგრაცია ქმნის მასობრივ ბაზრებს, რაც ასე აუცილებელია "საერთო ბაზრის" ქვეყნების დარგებისათვის წარმოების მასშტაბებში ეკონომიის მისაღწევად. მსხვილმასშტაბიანი ბაზრებისათვის დამახასიათებელი უფრო ეფექტიანი წარმოება ევროპის ქვეყნების მრეწველობის დარგებს უფრო დაბალი დანახარჯების მიღწევის შესაძლებლობას აძლევს, რაც ისტორიულად მიუწვდომელი იყო ჯერ, განცალკევებული ბაზრების პირობებში.

მესამე ქვეყნებზე სეგავლენა, ისეთებზე, როგორიცაა აშშ, გაურკვეველია. ერთი მხრივ,მშვიდობისმოყვარე და აყვავებადი "საერთო

ბაზარი“ მონაწილე ქვეყნებს ამერიკული ექსპორტის უფრო ხელსაყრელ პოტენციურ მყიდველებად ხდის. მეორე მხრივ, ამერიკული ფირმები ისეთ ბაჟებს აწესებენ, რომლებიც კონკურენციას აძნელებენ “საერთო ბაზრის“ ფარგლებში. მაგალითად,“საერთო ბაზრის“ შექმნამდე ამერიკელი, ფრანგი და დასავლეთგერმანელი ავტომობილების ერთნაირ ბაჟს იხდიდნენ თავიანი ნაკეთობათა გაყიდვისას, ვთქვათ, ბელგიაში. მაგრამ “საერთო ბაზრის“წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღებით ბელგიური ბაჟები დასავლეთგერმანულ “ფოლკსვაგენებზე“ და ფრანგულ “რენოებზე“, ნულზე დავიდა. იმავდროულად, ამერიკელი “შევროლესა“ და “ფორდების“ მიმართ ისევ მოქმედებს საგარეო ტარიფი. ეს, ცხადია, ამერიკულ და სხვა ქვეყნების ფირმებს, რომლებიც “საერთო ბაზარში“ არ შედიან, ერთობ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გაუქმება ერთ-ერთი მოტივია, რომელმაც აშშ შეაგულიანა,“ გენერალური შეთანხმებით“უფრო თავისუფალი ვაჭრობის მომხრედ გამოსულიყო. მართლაც, ტარიფების შემცირების თვალსაზრისით, ე.წ.“კენედის რაუნდის“ (1967 წ.) და “ტოკიოს რაუნდის“ (1979 წ.) მოლაპარაკებები შედეგიანი აღმოჩნდა. კერძოდ, სამრეწველო საქონელთა იმპორტული ბაჟები ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 5%-ს შეადგენდა, 30-იან წლებთან შედარებით, როდესაც,თავისი პიკის დროს ბაჟებმა საშუალოდ 50%-ს მიაღწიეს.

ამერიკა-კანადის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეკონომიკური ინტეგრაციის მეორე და უფრო ახალი მაგალითია ამერიკა-კანადის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა პრეზიდენტ რეიგანისა და პრემიერ-მინისტრ მალრუნის მიერ 1988წ. მიუხედავად იმისა, რომ 1988წ. აშშ-სა და კანადას შორის საქონელბრუნვის მოცულობის 3/4 ბაჟით არ იბეგრებოდა, ეს შეთანხმება ერთობ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: იგი მსოფლიოში უბაჟო ვაჭრობის უმსხვილეს ზონას ქმნის. შეთანხმების დებულებით სავაჭრო შეხლუდვათა ყველა სახეობები, ისეთები, როგორიცაა ბაჟები, ქვოტები და არასატარიფო ბარიერები, მოხსნილი იქნება ათწლეულის განმავლობაში. კანადელი მეწარმეები საკუთარზე 10-ჯერ უფრო დიდ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას მიიღებენ, მაშინ, როცა ამერიკელი მომხმარებლები მოიგებენ კანადურ საქონელზე ფასების შემცირებით. თავის მხრივ, კანადასაც მოუწევს საკუთარი ბაჟის უფრო მეტი შემცირება აშშ-თან შედარებით, რამდენადაც კანადური ბაჟი ამერიკულზე უფრო მაღალია. კანადური ბაჟის შემცირება ამერიკელ მწარმოებლებსა და კანადელ მომხმარებლებს დაეხმარება.

7-6 ცხრილიდან ჩანს, რომ კანადა-აშშ-ს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ზუსტად ასევე, აშშ კანადური ექსპორტის ძირითადი მყიდველია. მაშასადამე, პოტენციური სარგებლობები ამერიკა კანადის შეთანხმებისაგან, მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისათვის. გაანგარიშებულია, რომ შეთანხმების მთლიანად ამოქმედებით ყოველი ქვეყანა მისგან 1-დან 3-მლრდ-ამდე დოლარ ყოველწლიურ შემოსავალს მიიღებს.

ამერიკა-კანადის შეთანხმებას გლობალური მნიშვნელობა აქვს.ასე მაგალითად, მოელიან, რომ იგი დაარქარებს ბაჟების მრავალმხრივ შემცირებას "გენერალური შეთანხმების" ფარგლებში. მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნები, რომლებიც გაერთიანებული არ არიან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით, არ მოისურვებენ შედარებით ნაკლებხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ თავიანთი საქონლის აშშ-სა და კანადაში გაყიდვისას. ამასთან დაკავშირებით ამერიკა-კანადის შეთანხმება ორივე ქვეყანას მომგებიან პირობებში აყენებს სავაჭრო ბარიერების შემცირების შესახებ მოლაპარაკებების წარმართვისას "საერთო ბაზრის" ქვეყნებთან. მსხვილ ჩრდილოამერიკულ ბაზარზე თავისუფალი გასვლა ისევე მნიშვნელოვანია "საერთო ბაზრის" ქვეყნებისათვის, როგორც ამერიკისა და კანადისათვის ევროპულზე გასვლა. დაბოლოს კანადასთან შეთანხმებამ ზეგავლენა იქონია აშშ-სა და მექსიკას შორის სერიოზული მოლაპარაკების დაწყებაზე, მათ შორის სავაჭრო ბარიერების შემცირებისა ან მოხსნის შესახებ.

პროტექციონიზმის აღორძინება

მიუხედავად ტარიფების შემცირების ან გაუქმების შესამჩნევი პროგრესისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამისი დასტურია ადრე ხსენებული "ურუგვაის რაუნდის" დღის წესრიგი. წარსულში, მოლაპარაკებები "გენერალური შეთანხმების" ფარგლებში დამმუშავებელი მრეწველობის ნაწარმს შეეხებოდა, მაშინ, როცა საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების სხვა ასპექტები ყურადღების გარეშე რჩებოდა."გენერალური შეთანხმების" მხედველობის გარეშე დარჩენილ დარგებს მიეკუთვნება სოფლის მეურნეობა ,მომსახურებები (მაგალითად, ტრანსპორტი, დაზღვევა, საბანკო საქმე) და საერთაშორისო ინვესტიციები, პატენტები და საავტორო უფლებები, ასევე "გენერალური შეთანხმების"სისტემაში მრავალი განვითარებადი (არა წევრი) ქვეყნის ინტეგრირების პრობლემა. მაგრამ კიდევ უფრო საშიში მოვლენაა-პროტექციონისტული დაწოლის მძლავრი განახლება 1980-იან წლებში. არასატარიფო პრობლემები ერთერთი სერიოზული

საკითხია: ხშირდება იმპორტული ქაღალდების და ექსპორტის ინვოისებური შეხლუდვის შემთხვევები.

მიზეზები. პროტექციონიზმის ხელახალი შეტევა რიგი ფაქტორებით აიხსნება. ჯერ ერთი, დამცავ ღონისძიებათა შემოღებისათვის ბრძოლა ნაწილობრივ საპასუხო რეაქციაა წარსულში სავაჭრო ბარიერების შემცირებაზე. მრეწველობის დარგები და ის მუშები, რომელთა მოგება და სამუშაო ადგილები ვაჭრობის ლიბერალიზაციისაგან დაზარალდა, პროტექციონიზმის აღდგენას ცდილობენ. ამასთან მჭიდრო კავშირშია ისიც, რომ ამერიკული ეკონომიკა ბევრად უფრო ღიაა, ვიდრე 10 წლის წინათ (ცხრილი 39-2), და ამიტომ უფრო მეტი ფირმები და მუშები შეიძლება დაექვემდებარონ გაძლიერებული უცხოური კონკურენციის არახელსაყრელ ზემოქმედებას. მეორე, სხვა ქვეყნები მართლაც სერიოზული კონკურენტები გახდნენ ამერიკელი მწარმოებლებისათვის. 70-80-იანი წლების ბოლოს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები იაპონიაში და დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვან ნაწილში, აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებლებს აჭარბებდნენ. ამის შედეგი იყო მოკეთულ ქვეყნებში პროდუქციის ერთეულზე შრომის უფრო დაბალი დანახარჯები და იქიდან იმპორტირებული პროდუქციის შედარებით დაბალი ფასები. გამოვლინდა ასევე კონკურენცია ე.წ. "ახალი ინდუსტრიული ქვეყნების"მხრიდან,ისეთების,როგორიცაა კორეა, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური. დაბოლოს, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკული იმპორტი მნიშვნელოვნად ჭარბობდა ექსპორტს. მზარდი იმპორტი უარყოფით ზეგავლენას ახდენდა წარმოებასა და დასაქმებაზე სამამულო მრეწველობის იმ დარგებში, რომელთა პროდუქცია უშუალო კონკურენციას უწევდა იმპორტულ საქონელს. დაზარალებული დარგები და მუშათა ჯგუფები სახელმწიფო მხარდაჭერას ცდილობენ სავაჭრო ბარიერების დაწესებით.მყარი საგარეო სავაჭრო დეფიციტი,მართლაც მოხერხებული არგუმენტია პროტექციონისტურ ღონისძიებათა შესარბილებლად,დაზარალებული დარგებისადმი დახმარების აღმოჩენის მიზნით. უფრო მეტიც, სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა უზრუნველყო იმ წინადადებათა საზოგადოებრივი მხარდაჭერა, სავაჭრო პარტნიორთა მიმართ საპასუხო სანქციების გატარების შესახებ, რომლებიც ამერიკულ საქონელთა გაყიდვას ზღუდავენ ივაციანთ საშინაო ბაზარზე.

მაგალითები. მაშინ ,როცა აშშ-ი თავის თავზე აიღო საკაჭრო ბარიერების შემცირებაზე ზემოქმედების ვალდებულებები "გენერალური შეთანხმების" მეშვეობით, სინამდვილეში, უკანასკნელ ათწლეულში მიღწეულ იქნა ვაჭრობის შეზღუდვის რიგი ღონისძიებები. ასე მაგალითად,

1981წ. მიღწეულია "ნებაყოფლობითი" ხელშეკრულება იაპონიასთან, რომლითაც იხღუდება იაპონური ავტომანქანების ექსპორტი აშშ-ში. ხელშეკრულების ვადა 1985 წელს ამოიწურა. 1982 წელს კი დაწესებულია შაქრის საიმპორტო ქვოტები, რომელმაც პოტენციურად სერიოზული პრობლემები შექმნა ცენტრალური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდადაა დამოკიდებული აშშ-ში შაქრის ექსპორტზე. 1982წ. აშშ-მ "ნებაყოფლობითი" ხელშეკრულება დადო "საერთო ბაზართან", რომლის თანახმადაც ქვოტა დაწესდა აშშ-ში ევროპული ფოლადის ექსპორტზე. ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყნებმა გადასინჯეს ქსოვილების საერთაშორისო ხელშეკრულება ნაკლებგანვითარებული ქვეყნებიდან მისი იმპორტის გამკაცრების მიზნით.

პროტექციონისტული განწყობილებები ასევე გადაისინჯება ვაჭრობის შესახებ უკანასკნელ წინადადებებში. მაგალითად, 1987 წ. კონგრესს განსახილველად წარედგინა კანონმდებლობა სავაჭრო პარტნიორთა საპასუხო სატარიფო სანქციების შესახებ, რომელთაც აქტიური სავაჭრო ბალანსი გააჩნიათ აშშ-სთან. პრეზიდენტის ვეტოს შიშით კონგრესმა საბოლოოდ, უარყო ეს წინადადება. ასეა თუ ისე 1988წ. კომპლექსურ სავაჭრო კანონში, არის წინადადებები, რომლებიც "არაპატიოსანი ვაჭრობის"შემთხვევათა გამოძიების პროცედურას აიღებენ იმ ქვეყნების მიმართ, სადაც იგი მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში (ბაჟები, ქვოტები, არასატარიფო ბარიერები, დემპინგი). მაგრამ ადმინისტრაცია განსაზღვრავს, ღირს თუ არა, და თუ ღირს, რანაირად უნდა მოხდეს რეაგირება ასეთ პრაქტიკაზე. ბოლო მაგალითი: კონგრესის ორივე პალატამ მოიწონა 1988 წ. კანონი ქსოვილისა და ტანსაცმლის შესახებ,რომელსაც პრეზიდენტის 1988წ. ვეტო დაედო. ეს კანონი ითვალისწინებდა ქსოვილის იმპორტის ზრდის შეზღუდვას 1%-მდე წელიწადში. მაგრამ, ბედის ირონიით ამერიკულ საფეიქრო მრეწველობას საჭირო მოწყობილობის თითქმის ნახევარი შემოაქვს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა ამერიკული ბაჟები მთლიანად, უმნიშვნელოა, მაგრამ აშშ-ში შენარჩუნებულია მაღალი ბაჟები ცალკეულ ნაკეთობაზე და რაოდენობრივი შეზღუდვები (ქვოტები) საქონელთა მცირე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან ნომენკლატურაზე: ხორცისა და რძის პროდუქტები, თამბაქო, ხილეულის წვენები, მოტოციკლები და საშარეულოს მოწყობილობანი სერიოზულ შეზღუდვათა ობიექტებია. გარდა ამისა, დამატებით დაცვის მიმართავდა უკანასკნელ პერიოდში ფეხსაცმლის მრეწველობა, ნარხთ- და გემთმშე-

ნებლობა, სპილენძსადნობი მრეწველობა, მეღვინეობა, ბიჟუტერიის მწარმოებლები და სხვ.

დანახარჯები. რა უჯდება პროტექციონისტული ღონისძიებები აშშ მომხმარებელს? სავაჭრო შეზღუდვების გამო მომხმარებელთა დანახარჯები შეიძლება გაანგარიშებულ იქნას, დაცულ საქონელთა ფასებზე მათი ზემოქმედების განსაზღვრით. კერძოდ, პროტექციონიზმი პროდუქტების ფასების ზრდას იწვევს სამი სხვადასხვა გზით. ჯერ-ერთი, იზრდება იმპორტული პროდუქტების ფასი (ცხრილი 39-3). მეორე, საიმპორტო საქონელზე უფრო მაღალი ფასები ზოგიერთ მომხმარებელს გადართავს უფრო ძვირი ადგილობრივი საქონლის შეძენაზე. დაბოლოს, სამამულო საქონელთა ფასები შეიძლება იმპორტის მხრივ კონკურენციის შესუსტებით გაიზარდოს.

გამოკვლევები მოწმობენ, რომ ბაჟით დაცული პროდუქტების დანახარჯები მომხმარებლებისათვის, საოცრად დიდია. ბაჟით დაცულ ნაკეთობათა 31 კლასის შესწავლით დადგინდა, რომ მომხმარებელთა ყოველწლიური საერთო დანახარჯები პროტექციონისტული ღონისძიებებისაგან, დაახლოებით 82 მლრდ დოლარია წელიწადში.[1] განსაკუთრებით დიდია სავაჭრო შეზღუდვების ყოველწლიური დანაკარგები სამკერვალო მრეწველობის პროდუქციის (27 მლრდ დოლ.), ნავთობპროდუქტების (6,9 მლრდ დოლ.), ავტომანქანების (5,8 მლრდ დოლ.), რძის პროდუქციის (5,5 მლრდ დოლ.) მომხმარებელთათვის. ანალოგიური დიდი დანახარჯები იმაზე მიუთითებენ, რომ სავაჭრო ბარიერები სამუშაო ადგილების შენარჩუნების ერთობ ძვირადღირებული ხერხია. კერძოდ, შეფასებითი მონაცემებით, სავაჭრო ხელშეკრულებათა დანახარჯები ყოველ შენარჩუნებულ სამუშაო ადგილზე 750 ათასი დოლარია ნახშირბადოვანი ფოლადის წარმოებაში, 550 ათასი, ლითონის ნაწარმის გამოშვებაში, 220 ათასი რძის მრეწველობაში, 240 ათასი ფორთოხლის წვენის წარმოებაში, 200 ათასი შუშის მრეწველობაში. რამდენადაც ხელფასი ამ თანხათა მხოლოდ ნაწილია, პროტექციონიზმი, საეჭვოა საჩუქრად ჩაითვალოს.

1.Cletus C.Coughlin et al.Protectional Trade Policies:A Survey of Theory.Evidence and Rationale//Federal Reserve Bank of St.Louis Review.1988..იანვარი-თებერვალი.გვ.17-18.

სხვა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საიმპორტო შეზღუდვები უმეტესწილად უფრო დაბალშემოსავლიან ოჯახებს შეეხება, ვიდრე მაღალშემოსავლიანებს.[1] იმის გათვალისწინებით, რომ ბაჟებსა და ქვოტებს ბევრი აქვთ საერთო გაყიდვის გადასახადთან, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ეს სავაჭრო შეზღუდვები ნეგატიურ შედეგებს იწვევენ. მაგალითად, გამოვლინდა, რომ პროტექციონიზმის დანახარჯები, რომლებსაც მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფები ეწევა (10 ათას დოლარზე ნაკლები შემოსავალი წელიწადში), 7-ჯერ ჭარბობენ ყველაზე უფრო მაღალშემოსავლიანი ჯგუფების დანახარჯებს (60 ათას დოლარზე მეტი შემოსავალი წელიწადში).

მაგრამ შესაძლოა ამერიკელ მეწარმეთა მიერ მიღებული სარგებლობები და ბაჟებით სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლები ერთად აღებული ჭარბობდეს სავაჭრო პროტექციონიზმის შედეგად ყოველი მომხმარებლის წილად მოსულ დანახარჯთა ტვირთს? პასუხი არის მტკიცე "არა". გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სავაჭრო შეზღუდვების სარგებლობები ერთიორად იფარება მათი დანახარჯებით, რომლებიც მომხმარებლებს გადაეკისრება.[2] უფრო მეტიც, სავაჭრო ბარიერებისაგან წმინდა დანაკარგები აჭარბებენ სტატისტიკური გამოკვლევებით განსაზღვრულ დანაკარგებს. მიზეზი აქ ორია. ჯერ ერთი, ბაჟები და ქვოტები მრავალ ძვირადღირებულ, რაოდენობრივად ძნელადაღსარიცხავ თანამდევ ეფექტებს წარმოშობენ. მაგალითად, ფოლადის იმპორტის შეზღუდვებმა მკვეთრად გაზარდეს მისი ფასები ამ პროდუქციის ყველა ამერიკელი მყიდველისათვის, კერძოდ, ამერიკელი ავტომშენებლებისათვის. მათი წარმოების დანახარჯები გაიზარდა, ხოლო პროდუქცია ნაკლებკონკურენტუნარიანი გახდა მსოფლიო ბაზარზე. მეორე, მეწარმეები ეკონომიკურ რესურსებს დიდი რაოდენობით იყენებენ კონგრესზე ზემოქმედების, პროტექციონისტული კანონების გატანისა და შენარჩუნების მიზნით. იმ ზომით, რა ზომითაც ეს ძალისხმევები რესურსებს უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოცანებისაგან ჩამოაშორე-

---

1.The Consumer Cost of U.S.Trade Restraints//Federal Reserve Bank of New York Quarterly Review.1981.შეშოდგომა.გვ.1-12.

2.Cletus C.Coughlin et al.Protectional Trade Policies:A Survey of Theory.Evidence and Rationale.გვ.19.

ბენ, საზოგადოება თავის თავზე იღებს საგაჭრო შეზღუდვებთან დაკავშირებული დანახარჯების დამატებით ტვირთს. გავიმეოროთ: ავტორიტეტული გამოკვლევები მოწმობს, რომ სარგებლობები, რომლებსაც დაცული დარგები საგაჭრო ბარიერების დაწესებით მიიღებენ, ეკონომიკისათვის მთლიანად უფრო მაღალი დანახარჯების ფასად მიიღწევა.

რეზიუმე

1.საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნების უმრავლესობისათვის მნიშვნელოვანია, როგორც რაოდენობრივ, ისე ყველა სხვა ასპექტებში. საერთაშორისო ვაჭრობა აშშ-სათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია რამდენიმე მიზეზის გამო: ა) ამერიკული ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტური სიდიდეები აჭარბებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ანალოგიურ მონაცემებს; ბ) ზოგიერთი სახის საქონელთა და მასალების მიხედვით, რომლებიც შეუძლებელია მიღებულიქნას ქვეყნის შიგნით, აშშ, მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობაზე; გ) ცვლილებებმა წმინდა ექსპორტში, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს საშინაო წარმოებისა და შემოსავლის დონეებზე.

2.საერთაშორისო და საშინაო ვაჭრობა ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ: ა) რესურსები საერთაშორისო დონეზე ნაკლებმობილურია, ვიდრე ქვეყნის შიგნით; ბ) ყოველი ქვეყანა საკუთარ ვალუტას იყენებს; გ) საერთაშორისო ვაჭრობა უფრო ექვემდებარება პოლიტიკურ კონტროლს.

3.მსოფლიო ვაჭრობის საფუძველი საბოლოო ჯამში ორი გარემოებაა: ა) ეკონომიკური რესურსები ქვეყნებს შორის არათანაბრად ნაწილდება; ბ) სხვადასხვა საქონელთა ეფექტიანი წარმოება განსაზღვრულ ტექნოლოგიებს ან რესურსების განსაზღვრულ კომბინაციებს მოითხოვს.

4.ურთიერთხელსაყრელი სპეციალიზაცია და ვაჭრობა ნებისმიერ ორ ქვეყანას შორის შესაძლოა მანამ, სანამ ნებისმიერი ორი პროდუქტისათვის დანახარჯების საშინაო თანაფარდობები განსხვავდებიან. შედარებით უპირატესობათა საფუძველზე დასპეციალებით ქვეყნებს მეტი რეალური შემოსავლის მიღება შეუძლიათ რესურსების ფიქსირებული სიდიდის შემთხვევაში. ვაჭრობის პირობები განსაზღვრავს, თუ როგორ

განაწილდება მსოფლიო წარმოების ეს ნამატი მოვაჭრე ქვეყნებს შორის. მზარდი დანახარჯები ზღუდავენ სპეციალიზაციისა და ვაჭრობისაგან მიღებულ სარგებლობებს.

5.სავაჭრო ბარიერები გამოდის დამცავი ბაჟების, ქვოტების ,არასატარიფო ბარიერებისა და ექსპორტის "ნებაყოფლობითი" შეზღუდვების სახით. მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი გვიჩვენებს,რომ ბაჟები ფასების მომატებას იწვევენ და იმ საქონელთა მოცულობას ამცირებენ, რომლებზედაც ისინი ვრცელდება. უცხოური ექსპორტიორები დაინახავენ,რომ მათ საქონელთა გაყიდვა შემცირდა. მაგრამ ადგილობრივი მწარმოებლები იგებენ ფასების შემცირებისა და გაყიდვათა გადიდებისაგან. ბაჟები საშინაო და მსოფლიო რესურსების არაეფექტიან განთავსებას იწვევენ.

6.განსაზღვრულ შემთხვევებში დამცავ ღონისძიებათა ყველაზე უფრო ძლიერ არგუმენტებად მრეწველობის განუვითარებლობასა და თავდაცვითი დარგების თვითუზრუნველყოფაზე მითითება გამოდის. სხვა არგუმენტების უმეტესობა, პროტექციონიზმის სასარგებლოდ, ნახევარსიმართლე და ემოციური მოწოდებები ან არასწორი სტატისტიკებია, რომლებიც, როგორც წესი, ხაზს უსვამენ სავაჭრო ბარიერების შემოღების დაუყონებლივ ეფექტს და უგულებელყოფენ ხანგრძლივვადიან შედეგებს. კიდევ მრავალი ისტორიული მაგალითის მოტანა შეიძლება, რომლებიც გვიჩვენებს, რომ, როცა თავისუფალი ვაჭრობა სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას, პროტექციონიზმი ამ პროცესს ხელს არ უწყობს.

7.ურთიერთსავაჭრო ხელშეკრულების შესახებ 1934 წ. კანონმა საფუძველი ჩაუყარა ამერიკული ბაჟების შემცირების ტენდენციას. 1947წ. შეიქმნა გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ: ა) ყველა მონაწილე ქვეყნისათვის არადისკრიმინაციული რეჟიმის გამოყენების სტიმულირების მიზნით; ბ) ბაჟების დონის შემცირებისათვის; გ) იმპორტული ქვოტების გაუქმებისათვისხ.

8.ეკონომიკური ინტეგრაცია ვაჭრობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ყველაზე მკაფიო მაგალითია ევროპის "საერთო ბაზარი", რომელშიც გაუქმებულია საშინაო სავაჭრო ბარიერები, გამოიყენება ბაჟების საერთო სისტემა მესამე ქვეყნების მიმართ და გათვალისწინებულია სამუშაო ძალისა და კაპიტალების თავისუფალი მოძრაობა.

9.უკანასკნელ წლებში შეინიშნება პროტექციონიზმის აღორძინება, მაგრამ ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ პროტექციონისტული პოლიტიკის დანახარჯები აჭარბებენ მის სარგებლობებს.

ტერმინები და ცნებები

შრომატევადი "მიწატევადი"და კაპიტალტევადი საქონლები
დანახარჯთა თანაფარდობა
შედარებით უპირატესობათა პრინციპი
ვაჭრობის პირობები
სავაჭრო შესაძლებლობათა წრფე
იმპორტული ქვოტები
არასატარიფო ბარიერები
ნებაყოფლობითი საექსპორტო შეზღუდვები
სმუტ-ჰაულის 1930წ. კანონი
დემპინგი
ურთიერთ სავაჭრო შეთანხმებათა 1934 წ.კანონი
ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმი
გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ
ეკონომიკური ინტეგრაცია
ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა ("საერთო ბაზარი")
ამერიკა-კანადის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.რა მსგავსებაა საშინაო და საგარეო ვაჭრობას შორის? რით განსხვავდებიან ისინი?

2.დავუშვათ, რომ მთელი თავისი რესურსების X საქონლის წარმოებაზე გამოყენებით ა ქვეყანას შეუძლია X -ის 80 ერთეულის წარმოება .მთელი თავისი რესურსების Y საქონლის წარმოებაში გამოყენებით, მას შეუძლია გამოუშვას 40 ერთეული Y. ანალოგიური მონაცემები ბ ქვეყნისათვის 60X და 60Y -ია. დანახარჯების მუდმივობის გაითვალისწინებით, გვიჩვენეთ რომელი პროდუქციის წარმოებაზე უნდა

დასპეციალდეს თითოეული ქვეყანა? რატომ? გვიჩვენეთ ვაჭრობის პირობების საზღვრები.

3.აშშ-ს დიდ ბრიტანეთზე უფრო ეფექტიანად შეუძლია X საქონლის წარმოება. მაგრამ მას X საქონელი დიდი ბრიტანეთიდან შემოაქვს.ახსენით, რატომ.

4.წარმოიდგინეთ ეკონომისტის პოზიცია თავისუფალი ვაჭრობის საკითხში. ამ პოზიციიდან გამომდინარე ახსენით,რატომ არსებობს ხელოვნური სავაჭრო ბარიერები საერთაშორისო ვაჭრობაში?

5.დახატეთ საშინაო მოთხოვნისა და მიწოდების დიაგრამა იმ პროდუქტისათვის, რომლის წარმოებაში აშშ-ს შედარებითი უპირატესობები გააჩნიათ. გვიჩვენეთ იმპორტის გავლენა საშინაო ფასებზე და რაოდენობითი პარამეტრები. შემდგომ, გვიჩვენეთ დამცავი ბაჟები, რომლებიც შეამცირებენ (დაახლოებით სანახევროდ) სავარაუდო იმპორტს. მიუთითეთ მოცემული ტარიფის რაოდენობრივ-საფასო შედეგები: ა) ადგილობრივი მომხმარებლებისათვის, ბ) ადგილობრივი მწარმოებლებისათვის და გ) უცხოური ექსპორტიორებისათვის.

6.სატარიფო დაცვის ყველაზე უფრო საფუძვლიანი არგუმენტები, იმავდროულად ყველაზე უფრო სუსტი ადგილია. როგორია ეს არგუმენტები? რატომაა ისინი სუსტი ადგილები? მოგვეცით სავაჭრო ბარიერების, ისეთების, როგორიცაა ბაჟები და იმპორტული ქვოტები-დაწვრილებითი შეფასება, სრული დასაქმების მიღწევისა და შენარჩუნების საშუალებათა სახით.

7.ქვემოთ მოტანილია იაპონიის და ჰავაის კუნძულების წარმოებრივ შესაძლებლობათა ცხრილი. დავუშვათ, რომ სპეციალიზაციასა და ვაჭრობაში იაპონიისათვის ოპტიმალური სასაქონლო სტრუქტურა ბ ვარიანტია, ხოლო ჰავაის კუნძულებისათვს ბ.

ა) შედარებით დანახარჯია თანაფარდობები მოითხოვს თუ არა ორი ქვეყნის მიერ სპეციალიზაციის განვითარებას? თუკი დიახ, მაშინ, რომელი პროდუქტი უნდა აწარმოოს თითოეულმა ქვეყანამ? ბ)როგორი იქნება რადიომიმღებისა და ანანასის წარმოების საერთო ნამატი, ასეთი სპეციალიზაციისაგან? გ) ვაჭრობის პირობებში რა საზღვრები არსებობს? დავუშვათ, რომ ვაჭრობის ნამდვილი პირობებია 1 რადიომიმღები ა 1 1/2 ერთეულ ანანასში, და, რომ 4 ანანასი 6 რადიომიმღებში იცვლება. როგორი იქნება მოგება სპეციალიზაციისა და ვაჭრობისაგან თითოეული ქვეყნისათვის?დ) შეგიძლიათ თუ არა დაასკვნათ ამ მაგალითიდან, რომ სპეციალიზაცია, შედარებით უპირატესობათა შესაბამისად, მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას გამოიწვევს? ახსენით.

პროდუქ-ტი	იაპონიის წარმოებრივი შესაძლებლობები					
	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
რადიომიმ-ღებები (ათ.ცალი)	30	24	18	12	6	0
ანანასები (ათ.ცალი)	0	6	12	18	24	30
პროდუქტი	პაპაის კუნძულების წარმოებრივი შესაძლებლობები					
	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
რადიომიმ-ღებები (ათ.ცალი)	10	8	6	4	2	1
ანანასები (ათ.ცალი)	0	4	8	12	16	20

8.მოგვეცით შემდეგი გამონათქვამების დაწვრილებითი შეფასება: ა) "დამცავი ბაჟები ხღუდავენ მისი შემომღები ქვეყნის, როგორც ექსპორტს, ისე იმპორტს." ბ) "დამცავი ბაჟების ფართო გამოყენება ძირს უთხრის მსოფლიო ბაზრის მიერ რესურსების ეფექტიანი განთავსების უნარს." გ)"უცხოური ფირმები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ამერიკის ბაზარზე დემპინგური ფასებით ყიდიან, სინამდვილეში ამერიკელებს ასარუქრებენ". დ)"ტექნიკური პროგრესის მთელ მსოფლიოში გავრცელების სისწრაფის გათვალისწინებით, თავისუფალი ვაჭრობა აუცილებლად წარმოშობს სტრუქტურულ დისპროპორციებს, უმუშევრობას და საგადასახდელო ბალანსის პრობლემას ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში." ე) თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია გააუმჯობესოს ადგილობრივი წარმოების ეფექტიანობა. მხოლოდ ფირმა "ფოლკსვაგენმა"აიძულა დეტროიტი, გამოეშვა მცირელიტრაჟიანი ავტომანქანები და ფოლადის გამოდნობის ჟანგბად-კონვერტორული ხერხის გამოყენებაში მხოლოდ უცხოელთა წარმატებებმა აიძულა ამერიკული ფოლადსამსხმელო კორპორაციები მოდერნიზაციის ჩატარებისათვის." ვ)"ხანგრძლივვადიანი ტენდენციის თვალსაზრისით საგარეო ვაჭრობა გავლენას არ ახდენს დასაქმების საერთო დონეზე."

9.1981-1985წწ. იაპონია დათანხმდა ნებაყოფლობით საექსპორტო შეზღუდვებზე, რომლებმაც იაპონური ავტომანქანების ამერიკული იმპორ-

ების 10%-ით შემცირება გამოიწვიეს. იქვენი ვარაუდით როგორი იყო მოკლევადიანი შედეგები ამერიკის და იაპონიის საავტომობილო მრეწველობისათვის? თუ ეს შეზღუდვები მუდმივი გახდება, როგორი იქნება ხანგრძლივვადიანი შედეგები: ა) რესურსების განთავსებისათვის, ბ) დასაქმების დონისათვის, გ) ფასების დონისათვის და დ) ცხოვრების დონისათვის ორივე ქვეყანაში?

10."წარმოების მასშტაბებით გამოწვეული ეკონომიის" 24-ე თავში მოცემული ანალიზის გამოყენებით, ახსენით, "საერთო ბაზარმა" რატომ მისცა ევროპის მრეწველობის მრავალ დარგებს საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებით კონკურირების შესაძლებლობა. ახსენით მტკიცება:"ეკონომიკური ინტეგრაცია "ორმაგ ცხოვრებას .ეწევა". მას შეუძლია სტიმული მისცეს ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას და იმავდროულად სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნას მესამე ქვეყნებთან ვაჭრობას."

11.როგორია პროტექციონისტული პოლიტიკის პლუსები და მინუსები? შეადარეთ ისინი.

12.ახსენით 1987 წ.ჩატარებული გამოკვლევების შემდგომი დასკვნები, 1984 წ.შემოღებული საიმპორტო შეზღუდვების შედეგების შესახებ,რომლებმაც შეამცირეს აშშ იმპორტი:ფოლადსამსხმელო მრეწველობაში დასაქმება შემცირდა 14 ათასი კაცით; ფოლადსამსხმელო მრეწველობის მიმწოდებელ დარგებში დასაქმება გაიზარდა 2,8 ათასი კაცით; ფოლადის მომხმარებელ ამერიკულ კომპანიებში სამუშაო ადგილების დანაკარგებმა 52 ათასი შეადგინა.[1]

ბოლო შტრიხი

სანთლების მწარმოებელთა 1845 წ.პეტიცია

ფრანგმა ეკონომისტმა ფრედერიკ ბასტიამ (1801-1850) გაანადგურა პროტექციონიზმის მომხრეები, მათი არგუმენტების აბსურდულ დასკვნამდე ლოგიკური დაყვანით.

1.Artur T.Denzau.How Import Restraints Reduce Emploument//Washington University Certer for the Study of American Business.Formal Publication 80. 1987წ. ივნისი.

სანთლების,ლამფების,სასანთლეების,საგზაო ლამფების, სანთლებისათვის ცხიმის მწარმოებელთა, კანიფოლის, სპირტის და ყოველივე იმის დამამზადებელთა პეტიცია, რაც განათებასთანაა დაკავშირებული.

<u>ბატონ დეპუტატთა პალატის წევრებს.</u>

ბატონებო! თქვენ სწორ გზაზე დგეხართ. თქვენ უარყოფთ აბსტრაქტულ თეორიებს და მცირე მნიშვნელობას აძლევთ სიიაფეს და სიუხვეს. თქვენი ძირითადი საზრუნავია-მწარმოებლის ინტერესი. თქვენ ცდილობთ იგი გაანთავისუფლოთ გარეშე კონკურენციისაგან და შეინარჩუნოთ ეროვნული ბაზარი ეროვნული მრეწველობისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, მოგაწოდოთ შესანიშნავი შესაძლებლობა, გამოვიყენოთ თქვენი... (როგორ შეიძლებოდა მისთვის გვეწოდებია?) თეორია?არა-არასწორია! არაფერია უფრო მცდარი, ვიდრე თეორია. თქვენი დოქტრინა? თქვენი სისტემა? თქვენი პრინციპები? მაგრამ თქვენ ბოლომდე არ გიყვართ დოქტრინები; სისტემები თქვენში სიძულვილს იწვევს, ხოლო რაც შეეხება პრინციპებს, თქვენ მოლიანად უარყოფთ მათ საზოგადოებრივ ეკონომიკაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიტყვით-თქვენს პრაქტიკას თქვენს უთეორიო და უპრინციპო პრაქტიკას.

ჩვენ ვიტანჯებით აუტანელი კონკურენციისაგან უცხოური კაპიტალის მხრიდან, რომელიც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ბევრად უფრო მომგებიან პირობებშია სინათლის წარმოებისას, ვიდრე ჩვენ. მან სინათლით მთლიანად დატბორა ჩვენი ეროვნული ბაზარი,ზღაპრულად დაბალ ფასებში. როგორც იგი გაიღება, ჩვენი ვაჭრობა კვდება-ყველა მომხმარებელი მას მიმართავს; და სამამულო წარმოების დარგი, რომელსაც უთვალავი განშტოებები გააჩნია, უეცრად სრულ დაქვეითებაში აღმოჩნდება. ეს კონკურენტია... სხვა არავინ, თუ არა მზე.

ჩვენ უმორჩილესად გთხოვთ თქვენ: ინებოთ გამოსცეთ კანონი, რომელიც უბრძანებს ყველა ფანჯრის, შემინული სახურავის, მანსარდების, ფანჯრების ილუმინატორების დახურვას შინაგანი დარაბებით, ფარდებით, შტორებით,და ასევე ამოივსოს ხვრელები და ღრიჭოები და სხვა მისთ., რომლებიც სახლებში მზის სხივების შემოსაღწევად გამოიყენება, რითაც დიდი ზარალი ადგება, ყოველგვარი ქების ღირს ნაკეთობებს, რომლებითაც (ჩვენ თავს ვიმშვიდებდით ასეთი იმედებით) ჩვენ სამსახურს ვუწევდით ქვეყა-

ნასრომელმაც მადლობის ნიშნად არ უნდა დაგვტოვოს უთანასწორო ბრძოლაში.

თუ თქვენ დაჯურავთ ბუნებრივი შუქის რაც შეიძლება მეტ ხელმისაწვდომობას და შექმნით ხელოვნური განათების მოთხოვნას, რომელი ფრანგი მეწარმე არ იქნება აღფრთოვანებული?

თუ თქვენ მეტ ცხიმს გამოიყენებთ სანთლებისათვის, მაშინ მეტი პირუტყვი და ცხვარი გვეყოლება; ამის შედეგად ჩვენ მოწმენი გავხდებით ხელოვნური საძოვრების, ხორცის, მატყლის, ტყავის და რაც მთავარია-ნაკელის გადიდებისა, რომელიც მთელი სოფლის მეურნეობის სიმდიდრის საფუძველია.

იგივე შენიშვნა შეეხება ნაოსნობას. ათასობით გემები გაემართება ვეშაპებზე სანადიროდ; და მოკლე დროში ჩვენ ისეთი ფლოტი გვეყოლება, რომელსაც საფრანგეთის ღირსების დაცვა შეეძლება, დააჯილდოვებს რა ჩვენს, მთხოვნელთა, სანთლების მწარმოებელ-ქვემორე ხელისმომწერთა და სხვათა პატრიოტულ მისწრაფებებს..

კეთილი ინებეთ და დაფიქრდით, ბატონებო, და თქვენ დარწმუნდებით,რომ მართლაც არ არსებობს არც ერთი ფრანგიც კი ნახშირის მდიდარი მრეწველიდან დაწყებული,ყველაზე მოკრძალებული ასანთით მოვაჭრემდე,ვისი ხვედრი არ შემსუბუქდებოდა ამ პეტიციის წარმატებით.

1.ციტირებულია შეპოკლებით შემდეგი გამოცემის მიხედვით:Frederic Bastia.Economic Sophism.Edinburg:Oliver and Boyd,Tweeddale Court.1873 ..გვ.49-53.

თავი მეორმოცე

ვალუტის კურსი, საგადასახდელო ბალანსი და ვაჭრობის "კრიზისი"

39-ე თავში განვიხილეთ შედარებითი უპირატესობები, როგორც მსოფლიო ვაჭრობის მთავარი ეკონომიკური საფუძველი და გავაშუქეთ სხვადასხვა ბარიერის ზეგავლენა თავისუფალ ვაჭრობაზე. მე-40 თავში, ჯერ-ერთი, მკითხველს გავაცნობთ საერთაშორისო ვაჭრობის სავალუტო ანუ ფინანსურ ასპექტებს. რანაირად იცვლება სხვადასხვა ქვეყნის ვალუტები ერთმანეთზე ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დროს? მეორე, გავაანალიზებთ და ავხსნით ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს. რა იგულისხმება "ხელსაყრელ" და "არახელსაყრელ" სავაჭრო ბალანსში? როგორია საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი და დადებითი სალდოს მნიშვნელობა? მესამე, განვიხილავთ ვალუტის გასაცვლელი კურსების სისტემებს, რომლებიც მოვაჭრე ქვეყნების მიერ გამოიყენებოდა და სათანადოდ შევაფასებთ მათ. ამ მიზნის განსახორციელებლად თავდაპირველად განვიხილავთ მცურავ და ფიქსირებულ სავალუტო კურსებს, ხოლო შემდგომ გავეცნობით სისტემებს, რომლებიც ისტორიულ პრაქტიკაში გვხვდებოდა. რაშია ამ "კრიზისის" მიზეზი? როგორია მისი ეკონომიკური შედეგები და დაძლევის გზები?

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება

მე-4 და 39-ე თავებში აღინიშნა, რომ საერთაშორისო გადასახდელების საშინაოსაგან განმასხვავებელი ნიშანია ორი სხვადასხვა ეროვნული ვალუტის გამოყენება. ასე, მაგალითად, როდესაც ამერიკული ფირმები თავიანთ საქონელს ბრიტანულ კომპანიებზე ყიდიან, დოლარის მიღებას ცდილობენ. მაგრამ, ბრიტანელ იმპორტიორებს მხოლოდ ფუნტი სტერლინგი გააჩნიათ. ამრიგად, პრობლემა ისაა, რომ სტერლინგები დოლარებზე გაიცვალოს ამერიკული საექსპორტო ოპერაციის განსახორციელებლად. მე-4 თავში ჩვენ გავიგეთ, რომ პრობლემა წყდება <u>სავალუტო ბაზრების</u> დახმარებით, სადაც დოლარი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრიტანული ფუნტების, იაპონური იენების, გერმანული მარკების, იტალიური

ლირების და ა.შ. შესაძენად,და პირიქით. საგალუტო ბაზრები, რასაც მხარს უჭერენ ნიუ-იორკის, ლონდონის, ციურიხის და სხვ. წამყვანი ბანკები, ხელს უწყობენ ამერიკულ ექსპორტსა და იმპორტს.

ამერიკული საექსპორტო ოპერაციები

წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკელი ექსპორტიორი ბრიტანულ ფირმას მიჰყიდის 30 ათასი დოლარის კომპიუტერს. დავუშვათ, რომ გასაცვლელი ანუ იენის დოლარზე გასაცვლელი (ან გადასაყვანი) კურსი (ფასი) 2 დოლარია 1 ფუნტ სტერლინგზე.[1] ეს ნიშნავს, რომ ბრიტანელმა იმპორტიორმა 15 ათასი ფუნტი უნდა გადაუხადოს ამერიკელ ექსპორტიორს მოცემულ შემთხვევაში. შევავჯამოთ, თუ რა ხდება მოცემულ შემთხვევაში, ჩვეულებრივი საბანკო ბალანსების თვალსაზრისით (ნახ.40-1), მე-3 ნაწილში გამოყენებულის ანალოგიურად.

ა)ამერიკული კომპიუტერების ასანაზღაურებლად ბრიტანელი მყიდველი ლონდონის ბანკის მიმდინარე ანგარიშიდან მოხსნის 15 ათ. ფ. სტ. ეს ფაქტი ასახვას პოვებს ლონდონის ბანკის ბალანსის მარჯვენა ნაწილში, მიმდინარე ანგარიშზე 15 ათ. ფ. სტ.-ს გატარებით. ბ) შემდეგ, ბრიტანული ფირმა ამ 15 ათ. ფ. სტ. ჩეკს გაუგზავნის ამერიკელ ექსპორტიორს. მაგრამ სირთულე ისაა, რომ ამერიკულმა საექსპორტო ფირმამ თავის მოსამსახურეებს და მასალების მიმწოდებლებს, ისევე როგორც გადასახადებიც, დოლარებში უნდა გადაუხადოს და არა ფუნტებში. ამიტომ ექსპორტიორი 15 ათ. სტერლინგიან ჩეკს (ანუ ლონდონის ბანკის ფულად გზავნილებას) რომელიმე მსხვილ ამერიკულ ბანკს (ნიუ-იორკში) მიყიდის, რომელიც უცხოური ვალუტის დილერია. ამერიკულ ფირმას ნიუ-იორკის ბანკში 30 ათ. დოლ. მიმდინარე ანგარიში ეხსნება, 15 ათ.ფ.სტ. სანაცვლოდ. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მივაქციოთ 30 ათ. დოლარის გატარებას ნიუ-იორკის ბანკის მიმდინარე ანგარიშებში.

გ) ხოლო როგორ მოექცევა ნიუ-იორკის ბანკი 15 ათ. ფ. სტ.-ს? თავის მხრივ, იგი მას ადეპონირებს კორესპონდენტ-ბანკში შემდგომი გაყიდვისათვის. ამრიგად, ლონდონის ბანკის ბალანსის პასიურ ნაწილში გამოჩნდება 15 ათ. სტერლ .ნიუ-იორკის ბანკის ეს 15

1.მე-4 თავში (ის.წიგნი პირველი) მოკლედ ახსნილია გასაცვლელი (საკალუტო) კურსების განსაზღვრა.

აა.ფ. სტერლ. (30 აა.დოლ.) აქციაა. გამარტივებისათვის დავუშვათ, რომ ასეთი ბანკი-კორესპონდენტია იგივე ბანკი, რომელშიც ბრიტანულმა ფირმამ 15 აა.ფ.სტერლ. გხავრილება გააფორმა.

ლონდონის ბანკი ნიუიორკის ბანკი

აქტივი	პასივი	აქტივი	პასივი
	ბრიტანული იმპორტის მიმდინარეანგარიში ა) -15000 ფ.სტ.	დეპოზიტი ლონდონის ბანკში გ) + 15000 ფ.სტ..(30000 დოლ)	ამერიკული ექსპორტის მიმდინარე ანგარიში ბ) + 30000 დოლ.
	ნიუ-იორკის ბანკის დეპოზიტი გ) + 15000 ფ.სტ.		

ნახაზი 40-1.ამერიკული საექსპორტო ოპერაციების დაფინანსება

ამერიკული საექსპორტო ოპერაცია ქვნის უცხოურ მოთხოვნას დოლარებზე.ამ მოთხ-ნის დაკმაყოფილება ადიდებს უცხოური ვალუტის მარაგს აშშ ბანკებში.

აღვნიშნოთ ყველაზე უფრო არსებითი მომენტები. ჯერ-ერთი, ამერიკული ექსპორტი დოლარებზე მოთხოვნას წარმო-შობს უცხოეთში, ხოლო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, თა-ვის მხრივ, უცხოური ვალუტის, მოცემულ შემთხვევაში, ფუნ-ტი სტერლინგის მიწოდებას იწვევს, რომლებიც ამერიკული ბანკების განკარგულებაში იმყოფებიან და ამერიკელ მყიდველ-ებს მიეცემათ. მეორე, ამერიკული ექსპორტის (ბრიტანული იმპორტის) დაფინანსება, ამცირებს ვალუტის მიწოდებას (მიმდინარე ანგარიშებზე) დიდ ბრიტანეთში და ადიდებს მას აშშ-ში, ნავაჭრის სიდიდით.

ამერიკული საიმპორტო ოპერაციები

მაგრამ რჩება კითხვა: ნიუ-იორკის ბანკები რაკომ არ ავლენენ დოლარის დაიმობის სურვილს ფუნტ სტერლინგებზე? როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს,ნიუ-იორკის ბანკი უცხოურ ვალუტათა ოპერაციების დილერია; იგი საკომისიოთი შეისყიდის-და ასევე

საკომისიოთი ყიდის-ფუნტებს დოლარებზე. ჩვენ ახლახანს ვაჩვენეთ, რომ ნიუ-იორკის ბანკი ფუნტებს დოლარებში იძენს ამერიკულ საექსპორტო ოპერაციათა განსახორციელებლად. ახლა განვიხილოთ, თუ როგორ გაყიდის იგი ფუნტებს დოლარებში. ამერიკული იმპორტის (ბრიტანული ექსპორტის) დაფინანსების ოპერაციების გასაადვილებლად, კერძოდ, დავუშვათ, რომ ამერიკულ სავაჭრო კონცერნს სურს ბრიტანული ფაბრიკის 15 ათ.ფ.სტ. შალის ნაწარმის იმპორტირება. ისევ გამოვიყენოთ კომერციული ბანკის ჩვეულებრივი საბალანსო ანგარიშები ჩვენი მსჯელობების განსაზოგადებლად (ნახ.40-2).

ა)იმის გამო, რომ ბრიტანულმა ექსპორტიორმა ფირმამ თავისი ვალდებულებები ფუნტებში უნდა გადაუხადოს და არა დოლარებით,ამე-

ლონდონის ბანკი **ნიუ-იორკის ბანკი**

აქტივი	პასივი	აქტივი	პასივი
	ბრიტანული იმპორტის მიმდინარე ანგარიში ბ) +15000	დეპოზიტი ლონდონის ბანკში ა)-15000 ფ.სტ.(30000 დოლ.)	ამერიკელი იმპორტიორის მიმდინარე ანგარიში ა)-30000 დოლ.
	დეპოზიტი ნიუ-იორკის ბანკში ა) -1500დოლ.		

ნახაზი 40-2.ამერიკული საიმპორტო ოპერაციების დაფინანსება

ამერიკული საიმპორტო ოპერაციები ამერიკულ მოთხოვნას ქმნიან უცხოურ ვალუტაზე.ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ამცირებს უცხოური ვალუტის ნარაგებს ამერიკულ ბანკებში.

რიკელმა იმპორტიორმა დოლარები,ფუნტებზე უნდა გაცვალოს. ეს მას შეუძლია გააკეთოს ნიუ-იორკის ბანკში, 15ათ.ფ. სტერლინგის, 30 ათ. დოლარად შეძენით. შესაძლოა ამერიკელი იმპორტიორი იგივე 15 ათ.ფ. სტერლინგს იყიდის, რომელიც ნიუ-იორკის ბანკმა შეიძინა წინა ამერიკული საექსპორტო ოპერაციის მსვლელობაში. როგორც 40-2 ნახაზზეა ნაჩვენები, ეს ყიდვა ამცირებს ამერიკელი იმპორტიორის მიმდინარე ანგარიშს ნიუ-იორკის ბანკში 30 ათ.დოლარით. და, ცხადია, ნიუ-

იორკის ბანკი გამოეთხოვება თავის დეპოზიტურ ანაბარს ლონდონის ბანკში (15 ათ.ფ.სტ.)

ბ) ამერიკელი იმპორტიორი ახლახანს მიღებულ 15 ათ.ფ.სტ.-ს ჩეკს უგზავნის ბრიტანულ ფირმას, რომელიც ადეპონირებს მას ლონდონის ბანკში. მიაქციეთ ყურადღება დეპოზიტს 15 ათ.ფ.სტ. ოდენობით, ბალანსის პასიურ ნაწილში (იხ.ნახ. 40-2).

ჩაინიშნეთ, რომ ამერიკული იმპორტი ქმნის საშინაო მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე (მოცემულ შემთხვევაში სტერლინგზე) და, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ამცირებს უცხოური ვალუტის მარაგებს ამერიკულ ბანკებში. უფრო მეტიც, ამერიკული საიმპორტო ოპერაციები ვალუტის მარაგებს ადიდებენ დიდ ბრიტანეთში და ამცირებენ მას აშშ-ში.

ამ ორი ოპერაციის შეხამება ააშკარავებს შემდეგ მომენტს. ამერიკული ექსპორტი (მოცემულ შემთხვევაში კომპიუტერების) ამერიკული ბანკების განკარგულებაში გადასცემს, ანუ მათთვის "გამოიმუშავებს" უცხოური ვალუტის მარაგს, ხოლო ამერიკული იმპორტი (მაგალითად ბრიტანული შალის ნაწარმის) ამ ფულზე მოითხოვნას ქმნის. ე.ი. ფართო გაგებით, ნებისმიერი ქვეყნის ექსპორტი აფინანსებს ანუ "ანაზღაურებს" მის იმპორტს. დიდი ბრიტანეთის მიერ შალის ნაწარმის ექსპორტი საშუალებას აძლევს მას გაზარდოს დოლარების მარაგი, რაც შემდგომ კომპიუტერების ექსპორტთან დაკავშირებულ დოლარებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიყენება.

პოსტსკრიპტუმი. მართალია, ჩვენი მაგალითები ექსპორტთან და იმპორტთანაა დაკავშირებული, მაგრამ ასევე მუდმივად წარმოიშობა მოთხოვნა ფუნტ სტერლინგებზე და მათი მიწოდება ისეთ ოპერაციებში, რაც დაკავშირებულია მომსახურებასთან და უცხოური ინვესტიციებზე სარგებლისა და დივიდენდების გაცემასთან. ამრიგად, ამერიკელებს ფუნტი სჭირდებათ არა მხოლოდ იმპორტის დასაფინანსებლად, არამედ, ასევე ბრიტანელებისაგან სადაზღვევო და სატრანსპორტო მომსახურებაია შესაძენად ლონდონში, შვებულების გასატარებლად, აშშ-ს ბრიტანულ ინვესტიციებზე დივიდენდებისა და სარგებლის გასაცემად და დიდ ბრიტანეთში ახალ ფინანსურ ინვესტიციათა და კაპიტალურ დაბანდებათა განსახორციელებლად.

ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი

ახლა უფრო სრულად წარმოვიდგინოთ საერთაშორისო ოპერაციათა მიელი სპექტრი, რაც ამა თუ იმ ვალუტაზე მოითხოვნასა და მიწოდებას

წარმოშობს. საერთაშორისო საგაჭრო და ფინანსურ ოპერაციათა ეს მრავალფეროვნება ასახულია აშშ ს ა გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ო ბ ა ლ ა ნ ს შ ი . ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მუხლები აფიქსირებს ყველა ოპერაციას, რომელთაც ადგილი აქვს ქვეყნის რეზიდენტებს შორის (მომხმარებელთა, მეწარმეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა ჩათვლით) და ასევე ~~ყველა~~ სხვა ქვეყნის რეზიდენტებს შორისაც. ეს ოპერაციები მოიცავს საქონლურ ექსპორტსა და იმპორტს, ტურისტების დანახარჯებს, საკრანსპორტო და სადაზღვევო მომსახურებათა შეძენასა და გაყიდვას და ა.შ. სხვა სიტყვებით, აშშ საგადასახდელო ბალანსი გვიჩვენებს წონასწორობას ყველა გასაცვლებსა და შემოსავლებს შორის, რომელთაც აშშ იღებს უცხო ქვეყნებისაგან და, ყველა გადასახდელისაგან, რასაც იგი ეწევა .აშშ 1988წ. საგადასახდელო ბალანსის გამარტივებული ვარიანტი ნაჩვენებია 40-1 ცხრილში .მისი ანალიზი გვიჩვენებს აშშ საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების მდგომარეობას.

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში

40-1 ცხრილის ზედა ნაწილი ზოგად წარმოდგენას იძლევა საქონლითა და მომსახურებით აშშ ვაჭრობაზე მიმდინარე პერიოდში, და ამიტომაც მიიღო მან "მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო პ ე რ ა ც ი ა თ ა ა ნ გ ა რ ი შ ი ს" სახელწოდება .პირველი და მეორე პუნქტები ,შესაბამისად, გვიჩვენებს ამერიკულ საქონლურ ექსპორტს და იმპორტს 1987წ. მიაქციეთ ყურადღება ,რომ ჩვენ ამერიკული ექსპორტი აღვნიშნეთ <u>პლუსი</u> ნიშნით, ხოლო იმპორტი <u>მინუსით</u>. ეს იმით აიხსნება, რომ ამერიკული საქონლური ექსპორტი (და ექსპორტის მსგავსი სხვა ოპერაციები) გამოდის, როგორც კრედიტი, ვინაიდან ისინი ქმნიან (გამოიმუშავებენ) უცხოურ ვალუტას. როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების საკითხის გამოკვლევისას, ნებისმიერი, ექსპორტის მსგავსი ოპერაციები, რომლებიც უცხოელებს რაღაც გადასახდელების გადახდას ავალდებულებს აშშ-სათვის, უცხოური ვალუტის მარაგს ქმნის ამერიკულ ბანკებში. და პირიქით, ამერიკული იმპორტი (და მისი ანალოგიური ოპერაციები) დ ე ბ ე ტ ად ითვლება, ვინაიდან ამის შედეგად უცხოური ვალუტა იხარჯება. ჩვენ უკვე -აღვნიშნეთ, რომ ამერიკული იმპორტი ამერიკელებს ავალდებულებს რაცა მათ მთელს მსოფლიოს

ცხრილი 40-1.აშშ საგადასახდელო ბალანსი 1987წ. (მლრდ დოლ.)

	მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში	
(1)	აშშ საქონლური ექსპორტი	251
(2)	აშშ საქონლური იმპორტი	--410
(3)	საგარეო ვაჭრობის ბალანსის სალდო	—-159
(4)	მომსახურების ექსპორტი აშშ-დან	70
(5)	მომსახურების იმპორტი აშშ-ში	--72
(6)	საქონელთა და მომსახურების ბალანსის სალდო	—161
(7)	წმინდა შემოსავალი ინვესტიციებისაგან	+14
(8)	წმინდა ფულადი გზავნილებანი	-—14
(9)	მიმდინარე ოპერაციების ბალანსის სალდო	—161
	კაპიტალთა მოძრაობის ანგარიში	
(10)	კაპიტალთა მოდენა აშშ-ში	+180*
(11)	კაპიტალთა გადენა აშშ-დან	--74
(12)	კაპიტალთა მოძრაობის ბალანსი	+106
(13)	მიმდინარე ოპერაციათა და კაპიტალთა მოძრაობის ბალანსი	--55
(14)	ოფიციალური რეზერვები	+55
		0

აქ არსებობს განსხვავება სტატისტიკურ მონაცემებში,რაც 22 მლრდ დოლარია,და ძირითადში კაპიტალის გაუთვალისწინებელი მოდენაა

წყარო:Survey of Current Business.1988.გვ.41

"გადაუხადონ", რაც ამერიკის განკარგულებაში მყოფ უცხოური ვალუტის მარაგს ამცირებს.

საგაჭრო ბალანსი. 40-1 ცხრილის პირველი და მე-2 პუნქტები გვიჩვენებს,რომ 1987წ. საქონლურმა ექსპორტმა 251 მლრდ დოლარის რაოდენობით აშშ-ს არ "გამოუმუშავა" საკმარისი უცხოური ვალუტა 410 მლრდ დოლ. ხავაჭრო იმპორტის დასაფინანსებლად. ამრიგად, საქონლური ვაჭრობის ბალანსი ანუ უბრალოდ ს ა ვ ა ჭ რ ო ბ ა ლ ა ნ -

ს იგვიჩვენებს განსხვავებას, ქვეყნის საქონლურ ექსპორტსა და იმპორტს შორის. თუ ექსპორტი მეტია იმპორტზე, იქმნება "საქონლური ექსპორტის დადებითი სალდო". თუ იმპორტი მეტია ექსპორტზე, წარმოიშობა <u>საგარეო სავაჭრო დეფიციტი,</u> ანუ "სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო". როგორც მე-3 პუნქტიდან ჩანს, 1987წ. აშშ-ში საგარეო სავაჭრო დეფიციტი 159 მლრდ დოლარი იყო.

საქონელთა და მომსახურების ბალანსი. მე-4 პუნქტი გვიჩვენებს, რომ აშშ-ს არა თუ ექსპორტში გააქვს ავტომანქანები და კომპიუტერები, არამედ, სატრანსპორტო და სადაზღვევო, ტურისტულ და საბროკერო მომსახურებასაც სთავაზობს სხვა ქვეყნების რეზიდენტებს. მომსახურებათა გაყიდვა ანუ "ექსპორტი" 1987წ. 70 მლრდ-ს აღწევდა. მე-5 პუნქტი გვიჩვენებს, რომ ამერიკელები ყიდულობენ ან ანალოგიური მომსახურებები უცხოელებისაგან "შემოაქვთ". მომსახურებათა იმპორტმა 1987 წ 72 მლრდ შეადგინა.

საქონელთა და მომსახურების ბალანსი,რომელიც 40-1 ცხრილის მე-6 პუნქტშია წარმოდგენილი, გვიხსნის განსხვავებას საქონელთა და მომსახურების ექსპორტსა (პუნქტები 1 და 4) და იმპორტს (პუნქტები 1 და 4) შორის.1987წ.საქონელთა და მომსახურების ექსპორტი იმპორტს 161 მლრდ დოლარით ჩამორჩა.

მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი. მე-7 პუნქტში ნაჩვენებია, რომ 1987წ. აშშ წმინდა კრედიტორი იყო. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აშშ-მ უცხოეთში უფრო მეტის ინვესტირება მოახდინა, ვიდრე უცხო ქვეყნებმა ამერიკაში. ამრიგად, ინვესტიციის წმინდა შემოსავლები, რაც სარგებლისა და დივიდენდების სახითაა გადახდილი საზღვარგარეთ დაბანდებულ ამერიკულ კაპიტალზე, უფრო მეტია, ვიდრე ამერიკელების მიერ 1987წ. სარგებლისა და დივიდენდების სახით ამერიკაში ინვესტირებულ კაპიტალზე გადახდილი თანხა. 40-1 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ამერიკულმა წმინდა ინვესტიციებმა 14 მლრდ დოლ. შეადგინა უცხოურ ვალუტაში,ე.ი. სწორედ ასეთი შემოსავალი მოუტანა ქვეყანას,უცხოეთში მათ მიერ დაბანდებული ფულადი კაპიტალის მომსახურების ექსპორტმა. მე-8 პუნქტი ასახავს აშშ-დან, როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივი სახსრების გაგზავნას, სხვა ქვეყნებში. მასში შედის უცხო ქვეყნებზე დახმარება, უცხოეთში მცხოვრებ ამერიკელთა პენსიები, ემიგრანტების ფულადი გზავნილები უცხოეთში მცხოვრებ ნათესავებზე. საინტერესოა, რომ ეს გზავნილებანი "საგარეო გადასახდელებია" და უცხოური ვალუტის არსებულ მარაგს ამცირებენ.

მიმდინარე ანგარიშების მიხედვით ყველა ოპერაციათა შეჯამებით მივიღები საგადასახდელო ბალანსს მიმდინარე ოპერაციებისათვის (40-1 ცხრილის მე-9 პუნქტი). 1987 წ.აშშ-ს მიმდინარე ბალანსის 161 მლრდ დოლ. დეფიციტი გააჩნდა. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის საიმპორტო ოპერაციებმა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით (პუნქტები მე-2 და მე-8) უცხოური ვალუტის დიდ რაოდენობასე შექმნეს მოთხოვნა, რითაც საკუთარი საექსპორტო ოპერაციების უზრუნველყოფა (მუხლები 1,4 და 7) შეძლეს.

კაპიტალთა მოძრაობის ანგარიში

ფულადი კაპიტალების ანგარიში კაპიტალთა იმ ნაკადებს ასახავს, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალური და ფულადი აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1987 წ. მაგალითად, "ჰონდა" ან "ნისანი" ამწყობ საამქროს იძენს აშშ-ში. ინვესტიციებს შეიძლება ასევე ფინანსური ხასიათი გააჩნდეს; მაგალითად, ნავთობის მდიდარი არაბი შეიხი "ჯენერალ მოტორზ"-ის აქციებს ან ხანგრძლივვადიან სახაზინო ვალდებულებებს შეიძენს. ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი ოპერაციები აშშ-ს უცხოური ვალუტის მარაგებს ადიდებენ. ისინი, ამიტომ შემოსავლის ანუ შემოსულობათა მუხლებია და პლუსით აღინიშნებიან. აშშ აქციებისა და ობლიგაციების ექსპორტს ახდენს, და ამგვარად, უცხოურ ვალუტას მოიპოვებს. 40-1 ცხრილის მე-10 პუნქტი გვინვენებს, რომ 1987 წ. მოცემულმა ოპერაციებმა 180 მლრდ დოლარს მიაღწიეს.

იმავდროულად,ამერიკელები ინვესტირებას ახდენენ უცხოეთში.მაგალითად,რომელიღაც კომპანიას შეუძლია ჰონკონგში ან სინგაპურში ჯიბის რადიომიმღების ან ვიდეომაგნიტოფონის ასაწყობი ქარხნის შეძენა; მდიდარ ამერიკელს ასევე შეუძლია იტალიური ფეხსაცმლის ფაბრიკის აქციების შეძენა, ხოლო ამერიკულ ბანკს ხორცის გადამმუშავებელი ფაბრიკის მშენებლობის დაფინანსება არგენტინაში. მსგავს ოპერაციებს ერთი საერთო ნიშანი გააჩნიათ: ყველა ისინი ხარჯავს ან ამცირებს უცხოური ვალუტის მარაგს. ამიტომ, ჩვენ მათ წინ ვსვამთ "მინუს" ნიშანს იმის შესახსენებლად, რომ ყველა ისინი უცხოეთში სახსრების გადახდასთან დაკავშირებული სადებეტო ოპერაციებია. 40-1 ცხრილის მე-11 პუნქტი გვინვენებს, რომ 1987წ. განხორციელდა 74 მლრდ დოლარის ასეთი ოპერაცია. მე-7 და მე-8 პუნქტების მონაცემთა გაერთიანების შედეგად მიღებული კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ბ ა ლ ა ნ ს ი პლუს 106 დოლარია.

სხვა სიტყვებით, 1987 წ.ამერიკას კაპიტალია მოძრაობის ანგარიშის დადებითი სალდო გააჩნდა ამ თანხ[illegible]ოდენობით.

ურთიერთკავშირები

მიმდინარე ოპერაციათა და კაპიტალია მოძრაობის ბალანსები ურთიერთდაკავშირებულია. არსებითად ისინი ერთიმეორის ასახვაა. მიმდინარე ოპერაციების მიხედვით ბალანსის დეფიციტი იმაზე მიუთითებს, რომ საქონელთა და მომსახურების ამერიკული ექსპორტი არასაკმარისია საქონელთა და მომსახურების იმპორტის ასანაზღაურებლად. როგორ უნდა მოხდეს ამ დეფიციტის დაფინანსება? აშშ-მ ან სესხი უნდა აიღოს უცხოეთში, ან უარი თქვას ზოგიერთი აქტივების საკუთრებაზე უცხოელთა სასარგებლოდ,რაც ასახულია კაპიტალთა მოძრაობის ბალანსში.ამ მოვლენის ასახსნელად მოვიტანთ უბრალო ანალოგიას. დავუშვათ,რომელიმე წელს ოქვენი ხარჯები შემოსავლებზე მეტია. როგორ დააფინანსებთ თქვენს დეფიციტს? პასუხი-ზოგიერთი აქტივის გაყიდვით ან სესხის აღებით. შეიძლება რომელიმე უძრავი ქონების (მანქანის ან სტერეო სისტემის) გაყიდვით, რაც თქვენ გაგაჩნიათ. ან შეიძლება სესხი მიიღოთ თქვენ[illegible] ოჯახის ან ბანკისაგან. ანალოგიურად, როდესაც ქვეყანა მიმდინარე ოპერაციების მიხედვით დეფიციტს წააწყდება, ეს ნიშნავს, რომ მისი ხარჯები უცხოურ საქონელსა და მომსახურებაზე (მის ექსპორტზე), შემოსავლებზე მეტია. მან რაღაცნაირად უნდა დააფინანსოს მიმდინარე ოპერაციების ეს დეფიციტი. მაგრამ როგორ? პასუხი: აქტივების გაყიდვით ან სესხის აღებით, ანუ ვალებში ჩაყარდნით. სწორედ ეს აისახება კაპიტალთა და კრედიტის მოძრაობის ბალანსის დადებით სალდოში. კაპიტალებისა და კრედიტების მოძრაობის ბალანსის აქტივი, რაც 106 მლრდ დოლარია (პუნქტი-12), იმაზე მიუთითებს, რომ 1987წ. ამერიკელებმა უძრავი ქონება (შენობები, სასოფლო-სამეურნეო მიწები) "გაყიდეს"და მსოფლიო მასშტაბით ისეთი სესხები მიიღეს, რაც 161 მლრდ დოლ. მიმდინარე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლადაა საჭირო.

დასკვნა:მიმდინარე ოპერაციათა მიხედვით საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი კაპიტალთა მოძრაობის ხარჯზე კაპიტალის

1.ეოცემულ შემთხვევაში ჩვენ ისედაელობაში ვიღებთ ტრანსფერტულ გადასახდელებს (პუნქტი-8).

მოდენით ფინანსდება. და პირიქით, ქვეყნის მიმდინარე საგადასახ-
დელო ბალანსის აქტივს თან ახლავს კაპიტალის წმინდა ეკუთვნა
კაპიტალთა და კრედიტების მოძრაობის ბალანსის მიხედვით. უკა-
ნასკნელ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსის ჭარბი სახსრები
უძრავი ქონების საყიდლად ან სხვა ქვეყნებისათვის სესხის მისაწო-
დებლად იქნება გამოყენებული.

ოფიციალური რეზერვები

სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები უცხოური ვალუ-
ტის დიდ რაოდენობას ინარჩუნებენ, რომელთაც ო ფ ი ც ი ა ლ უ -
რ ი რ ე ზ ე რ ვ ე ბ ი ეწოდება და კაპიტალთა მოძრაობის მიხედ-
ვით მიმდინარე ოპერაციების დაუბალანსებლობის დარეგულირები-
სათვის გამოიყენება. მაგალითად, 1987წ. კაპიტალთა მოძრაობის
ბალანსის აქტივი გაცილებით ნაკლები იყო მიმდინარე ოპერაცი-
ათა ბალანსის პასივზე. ამიტომ გაერთიანებული ანგარიშების
მიხედვით (პუნქტი-13) აშშ-ს წმინდა დეფიციტი 55 მლრდ
დოლარი იყო.სხვა სიტყვებით, აშშ-მ საერთაშორისო ვაჭრობასა
და ფინანსურ ოპერაციებში ნაკლები უცხოური ვალუტა გამოიმუ-
შავა, ვიდრე დახარჯა. უცხოური ვალუტის შემოსულობათა ეს
ნაკლებობა უცხოური ვალუტის ბალანსიდან გამოიქვითა, რაც
ცენტრალური ბანკის განკარგულებაში იმყოფება. კერძოდ, 55
მლრდ დოლ."პლუს"ნიშნით ოფიციალური რეზერვების მუხლში
(ნახ.40-1,პუნქტი-14) ის თანხაა, რითაც აშშ საავალუტო მარაგი
შემცირდა. რატომ "პლუს" ნიშანი? იმიტომ, რომ იგი კრედიტს
(შემოსავალს), ანუ "ექსპორტის ტიპის" ოპერაციას აღნიშნავს,
რამდენადაც უცხოური ვალუტის მიწოდებას გვიჩვენებს.

ხშირ შემთხვევაში, მიმდინარე ოპერაციათა და კაპიტალთა
მოძრაობის ბალანსს შორის ურთიერთკავშირი 40-1 ცხრილში გამო-
სახულის საპირისპიროა. ე.ი. მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის
დეფიციტი კაპიტალთა მოძრაობის ბალანსის აქტივზე ნაკლებია. ამის
შედეგად ცენტრალურ ბანკში უცხოური ვალუტის მარაგები იზრდება.
ეს საგადასახდელო ბალანსის ერთიერთ მუხლში "მინუს" ნიშნით
აისახება. მოცემული ოპერაცია სადებეტო ანუ იმპორტული ტიპის
ოპერაციაა, რამდენადაც უცხოური ვალუტის დახარჯვას გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახდელო ბალანსის ყველა სამი
ელემენტი-მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშები, კაპიტალთა მოძრაობისა
და ოფიციალური რეზერვები-ჯამში ნულის ტოლი უნდა იყოს.

გამოყენებული უცხოური ვალუტის ყოველ ერთეულს (როგორც ჩვენი "მინუსიანი"მუხლები გვიჩვენებს-ე.ი. გადასახდელები, ანუ დებეტური ოპერაციები) ამერიკის საერთაშორისო ოპერაციებში საკუთარი წყარო უნდა გააჩნდეს (პლუსიანი" მუხლები-ე.ი. შემოსულობანი,ან საკრედიტო ოპერაციები).

საგადასახდელო ბალანსების დეფიციტები და აქტივები

მართალია საგადასახდელო ბალანსები ყოველთვის დაბალანსებული უნდა იყოს, მაგრამ ეკონომისტები და პოლიტიკური მოღვაწეები ხშირ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსების აქტივებისა და პასივების შესახებ ლაპარაკობენ. ამასთან,მათ მხედველობაში აქვთ მიმდინარე ოპერაციათა და კაპიტალების მოძრაობის ბალანსი, რაც 40-1 ცხრილის მე-13 პუნქტშია ნაჩვენები. თუ ამ სიდიდეს უარყოფითი მნიშვნელობა გააჩნია, მაშინ საგადასახდელო ბალანსის სალდო უარყოფითია, როგორც, მაგალითად, აშშ-ში 1987წ. ეს ნიშნავს, რომ 1987წ. აშშ-მ ნაკლები უცხოური ვალუტა მიიღო ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციებისაგან, ვიდრე დახარჯა. აშშ-მ ვერ გამოისყიდა თავისი დანახარჯები მსოფლიო ვაჭრობასა და ფინანსების სფეროში და ამიტომ უცხოური ვალუტის საკუთარი ოფიციალური რეზერვები შეამცირა. თუ მიმდინარე ოპერაციებისა და კაპიტალების მოძრაობის ბალანსები დადებითი იქნებოდა, მაშინ აშშ-ს საგადასახდელო ბალანსს აქტიური სალდო ექნებოდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ აშშ-მ საკუთარი უცხოური ვალუტის გამომუშავება მოახერხა "ექსპორტის ტიპის" ოპერაციებისაგან,"იმპორტის ტიპის" ოპერაციათა ასანაზღაურებლად. ამის შედეგად იგი უცხოური ვალუტის მარაგს-ე.ი. თავის ოფიციალურ რეზერვებს გაადიდებს.

სხვა სიტყვებით, ოფიციალური რესერვების შემცირება (რაც დადებითი მნიშვნელობითაა გამოსახული, 40-1 ცხრილის ოფიციალური რეზერვების მუხლში), ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის მასშტაბებს გვაჩვენებს; ოფიციალური რესერვების ზრდა კი (უარყოფითი მნიშვნელობა ოფიციალური რესერვების მუხლში) საგადასახდელო ბალანსის აქტიურ სალდოს.

დეფიციტები და აქტივები: ცუდია თუ კარგი?

საგადასახდელო ბალანსის პრობლემის განხილვისას ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ დეფიციტები და აქტივები. ახლა უნდა ვუპასუხოთ კითხვას, რამდენად სასურველია ისინი. დეფიციტი განა ყოველთვის ცუდია-როგორც ეს თვით ტერმინებიდან გამომდინარეობს? საგადასახდელო ბალანსის აქტივები სასურველია თუ არა, როგორც თვით დასახელება გულისხმობს? პასუხი ორთავე კითხვაზე ასეთია: სავალდებულო არაა. მაგალითად, საქონლური ვაჭრობის დიდ დეფიციტს, რასაც უკანასკნელ წლებში წააწყდა აშშ,ხშირ შემთხვევაში"არახელსაყრელ"მოვლენად განიხილავენ, რამდენადაც საბაბს იძლევა ვამტკიცოთ,რომ ამერიკელი მეწარმეები, შესაძლოა კონკურენტუნარიანობას კარგავენ მსოფლიო ბაზარზე. ამერიკული მრეწველობა, როგორც ჩანს, საქონელთა რეალიზაციის სიძნლეებს აწყდება უცხოეთში და იმავდროულად მას მძლავრი კონკურენცია უპირისპირდება იმპორტულ საქონელთა სახით. მეორე მხრივ, სავაჭრო დეფიციტი აშკარად არაა არახელსაყრელი ამერიკელ მომხმარებელთა თვალსაზრისით, რომლებიც მეტ საქონელს იღებენ იმპორტის ხარჯზე, ვიდრე ექსპორტში აგზავნიან.

ანალოგიურად, აქტივის ან საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის სასურველობა დამოკიდებულია:1) მათ გამომწვევ გარემოებებზე; 2) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მათ სტაბილურობაზე. მაგალითად, აშშ და ნავთობის იმპორტიორი სხვა ქვეყნების საგადასახდელო ბალანსების დეფიციტებმა, რაც ნექოს ქვეყნების მიერ 1973-1974 და 1979-1989 წწ., ნავთობის ფასების დრამატული აწევით იყო გამოწვეული, უაღრესად დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინეს, რამდენადაც აშშ აიძულეს რიგი ღონისძიებების მიღებაში ნავთობის იმპორტის შესამცირებლად.

ნებისმიერი ქვეყნის ოფიციალური რეზერვები შეზღუდულია. ამიტომ, საგადასახდელო ბალანსების მყარი ანუ ხანგრძლივი დეფიციტები, რაც მათი რეზერვების ხარჯზე უნდა დაფინანსდეს, აუცილებლად გამოიწვევს რეზერვების გამოფიტვას. ამ შემთხვევაში ქვეყანას სპეციალურ ღონისძიებათა მიღება მოუწევს საგადასახდელო ბალანსის კორექტირებისათვის. ამ ღონისძიებებმა შეიძლება გამოიწვიონ მტკივნეული გარდაქმნა მაკროეკონომიკურ დონეზე, სავაჭრო ბარიერების და ანალოგიურ შეზღუდვათა გამოყენება ან ეროვნული ვალუტის საერთაშორისო ღირებულების შეცვლა.

სავალუტო სისტემები და საგადასახდელო ბალანსის კორექტირება

საგადასახდელო ბალანსის როგორც მასშტაბები, ისე მისი დეფიციტის ან აქტივის სტაბილურობა და ასევე ქვეყნის მიერ მათ დასაფინანსებლად მიღებულ ღონისძიებათა ხასიათი დამოკიდებულია სავალუტო კურსების გამოყენებულ სისტემაზე. არსებობს ვალუტის კურსების ორი, დიამეტრალურად საპირისპირო სისტემა: 1) მოქნილი ანუ მცურავი სავალუტო კურსების სისტემა, როცა ეროვნულ ვალუტათა ერთმანეთზე გასაცვლელი კურსები მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრება და 2) მკაცრად ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემა, რომლის დროსაც მოთხოვნისა და მიწოდების მერყეობათა შედეგად ვალუტის კურსების ცვლილებებს უცხოური ვალუტათა ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა და სხვა მექანიზმები აფერხებს.

თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსები

თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსები მოთხოვნისა და მიწოდების შეუფერხებელი თამაშით განისაზღვრება. განვიხილოთ კურსი,ანუ ფასი რითაც ამერიკული დოლარები შეიძლება გაიცვალოს, ვიქვათ, ფუნტ სტერლინგებზე. როგორც 40-3 ნახაზზეა ნაჩვენები, ფუნტებზე მოთხოვნა დაეცემა, ხოლო ფუნტების მიწოდება-გაიზრდება. რატომ?

ფუნტზე შემცირებადი მოთხოვნა, რაც DD წრფითაა გამოხატული, გვიჩვენებს, რომ, თუ ამერიკელებისთვის ფუნტი გაიაფდება, მათთვის ბრიტანული საქონელიც გაიაფდება. ეს ამერიკელებს აიძულებს გააფართოვონ ბრიტანულ საქონელზე მოთხოვნა, და მაშასადამე, ფუნტებზეც, რომელთა დახმარებით მათი შეძენა შეიძლება.

ფუნტების SS მიწოდება ეცემა იმის გამო ,რომ ფუნტის, დოლარებში გამოხატული ფასის გაზრდის (ე.ი. დოლარის ფუნტით გამოხატული ფასი ეცემა) ბრიტანელებს მეტი ამერიკული საქონლის შეძენის მიდრეკილება გაუჩნდებათ. მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ ფუნტებზე დოლარებით სულ უფრო მაღალი ფასების პირობებში ინგლისელებს უფრო მეტი ამერიკული დოლარების და ამიტომ ყოველ ფუნტზე მეტ ამერიკულ საქონელთა მიღება შეეძლებათ. ამრიგად, ამერიკული



სახაზი 40-3. უცხოური ვალუტის ბაზარი

ფუნტზე ამერიკული მოთხოვნა იმიტომ ეცემა,რომ ფუნტების გაიაფების კვალობაზე.ბრიტანულ საქონელთა და მომსახურებების ყველა სახეობები იაფი ხდება ამერიკელებისათვის.ფუნტი სტერლინგების მიწოდება ამერიკელებისთვის იზრდება.რამდენადაც დოლარებით ფუნტის უფრო მაღალი ფასის დროს ბრიტანელებს მეტი ამერიკული საქონლისა და მოსახურების ყიდვა მოუნდებათ.მოთხოვნისა და მიწოდების მრუდთა გადაკვეთა განსაზღვრავს სავალუტო პარიტეტს.

საქონელი ბრიტანელებისათვის გაიაფდება, რაც მათ მეტი ამერიკული საქონლის შეძენის სტიმულს მისცემს. ამერიკული საქონლის შეძენით ისინი სავალუტო ბაზარს ფუნტებს აწვდიან, რამდენადაც ამერიკული ნაწარმის შესაძენად მათ ფუნტები დოლარებზე უნდა გაცვალონ.

ფუნტებზე მოთხოვნისა და მიწოდების გადაკვეთის წერტილი ფუნტის ფასებს განსაზღვრავს დოლარებში. ამ მომენტში წონასწორობითი სავალუტო კურსი 2 დოლარია 1ფ.სტ-ზე.

ვალუტის გაუფასურება და გაძვირება. სავალუტო კურსი, რასაც თავისუფალი საბაზრო ძალები განსაზღვრავს, შეიძლება შეიცვალოს და მართლაც ხშირად იცვლება. როცა ფუნტის ფასი დოლარებში, მაგალითად, 1 ფუნტზე 2-დან 3 დოლარამდე იზრდება, ამბობენ, რომ დოლარის ღირებულება შემცირდა, ანუ დოლარი გ ა უ ფ ა ს უ რ დ ა ფუნტთან მიმართებაში. უფრო ფართო სახით ვალუტის გაუფასურება ნიშნავს, რომ ერთი ერთეული რომელიმე უცხოური ვალუტის



ნახაზი 40-4.ვალუტის გაძვირება და გაიაფება.

უცხოური ვალუტის ფასის გადიდება დოლარებში,დოლარის ინტერნაციონალური ღირებულების დაცემის ტოლფასია (დოლარი უფასურდება).უცხოური ვალუტის ფასის გადიდება დოლარებში,ასევე ნიშნავს,დოლარის ფასის შემცირებას უცხოურ ვალუტაში.ე.ი. უცხოური ვალუტის ინტერნაციონალური ღირებულება იზრდება დოლართან მიმართებაში (უცხოური ვალუტა ძვირდება).

(ფუნტის) შესაძენად საჭირო გახდება ეროვნული ვალუტის (დოლარის) მეტი რაოდენობა,და პირიქით,როცა ფუნტის ფასი დოლარებში ეცემა-მცირდება 2 -დან 1 დოლარამდე 1 ფუნტისათვის, დოლარის ფასი იზრდება, ანუ დოლარი ძვირდება ფუნტთან შეფარდებით. საერთო სახით ვალუტის გაძვირება ნიშნავს, რომ, რომელიმე უცხოური ვალუტის (ფუნტის) შესაძენად საჭირო იქნება ნაკლები ეროვნული ვალუტის (დოლარის) დახარჯვა.

მიაქციეთ ყურადღება, ჩვენს მაგალითში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, როდესაც დოლარი უფასურდება, ფუნტი აუცილებლად ძვირდება, და პირიქით. როდესაც დოლარისა და ფუნტის კურსი იცვლება 1 ფუნტისათვის 2-დან 3 დოლარამდე, მაშინ, მეტი დოლარი იქნება საჭირო 1 ფუნტის საყიდლად და ამიტომ დოლარი გაუფასურდება. მაგრამ, ახლა, დოლარის შესაძენად, უკვე ნაკლები ფუნტის დახარჯვა იქნება საჭირო. ე.ი. თავდაპირველი კურსის დროს 1 დოლარის

საყიდლად საჭირო იყო 1/2 ფ.სტ.ახალი კურსით 1დოლარის შესაძენად საჭიროა სულ 1/3 ფ.სტ. ამის შედეგად ფუნტი გაძვირდა დოლართან შედარებით. <u>თუ დოლარი გაუფასურდება ფუნტთან მიმართებაში, მაშინ, ფუნტი დოლარიან შეფარდებით ძვირდება, და პირიქით, თუ დოლარი გაძვირდება ფუნტთან შედარებით, მაშინ ფუნტი გაუფასურდება დოლარის მიმართ.</u> ეს კანონზომიერებები ზოგადი სახით მოცემულია 40-4 ნახაზზე.

ვალუტის კურსის განმსაზღვრელი ფაქტორები. ფუნტის მოთხოვნისა და მიწოდების წრფეები რატომაა განლაგებული ისე, როგორც 40-3 ნახაზზე? სხვა სიტყვებით, რა ძალებს შეუძლიათ ფუნტებზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების შეცვლა და ამით დოლარის გაძვირება ან გაუფასურება? მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ცვლილებები მომხმარებელთა გემოვნებაში. ნებისმიერი ცვლილებები მომხმარებელთა გემოვნებაში ან სხვა ქვეყნის ნაწარმისადმი ერთგულებაში, შეცვლიან მოთხოვნასა და მიწოდებას ამ ქვეყნის ვალუტაზე, და ასევე მის სავალუტო კურსს. მაგალითად, თუ ამერიკელთა ტექნოლოგიური მიღწევები კომპიუტერების წარმოებაში მათ ტექნიკას ბრიტანელი მომხმარებლებისა და მრეწველობისათვის უფრო მიმზიდველს გახდის, მაშინ ისინი მეტი ამერიკული კომპიუტერების შეძენით, მეტ ფუნტებს მიაწვდიან სავალუტო ბაზრებს და დოლარის კურსი გაიზრდება. და პირიქით, თუ ინგლისური ბუკლე უფრო პოპულარული გახდება აშშ-ში, მაშინ ფუნტზე მოთხოვნა გაიზრდება და დოლარის კურსი შემცირდება.

შეფარდებითი ცვლილებები შემოსავლებში. თუ ერთი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა უსწრებს მის გადიდებას სხვა ქვეყნებში, მაშინ, მისი ვალუტის კურსი, როგორც ჩანს, შემცირდება. ქვეყნის იმპორტი პირდაპირ კავშირშია მისი შემოსავლის დონესთან .მაგალითად,შემოსავლების გადიდების კვალობაზე აშშ-ში, ადგილობრივი მომხმარებლები მეტ უცხოურ და სამამულო საქონელს შეიძენენ. თუ აშშ ეკონომიკა სწრაფად ფართოვდება, მაშინ ბრიტანულ საქონელთა ამერიკული ექსპორტი, და მაშასადამე, ამერიკაში ფუნტზე მოთხოვნა გაიზრდება. ფუნტის ფასი დოლარებში გადიდდება, რაც დოლარის გაუფასურებას ნიშნავს.

ფასების შეფარდებითი ცვლილება. თუ საშინაო ფასების დონე აშშ-ში სწრაფად იცვლება, ხოლი დიდ ბრიტანეთში უცვლელია, მაშინ ამერიკელი მომხმარებლები ძებნას დაუწყებენ შედარებით უფრო იაფ ბრიტანულ საქონელს, და ამით ფუნტზე მოთხოვნას გაადიდებენ. და

პირიქით, ბრიტანელებს ამერიკულ საქონელთა შეძენის ნაკლები მიდრეკილება ექნებაი და შეამცირებენ ფუნტის მიწოდებას. ფუნტებ'ხე მოთხოვნის ზრდისა და მიწოდების შემცირების ეს შეხამება დოლარის გაუფასურებას გამოიწვევს.

სარგებლის შეფარდებითი რეალური განაკვეთები. დავუშვათ, აშშ ინფლაციის მოთოკვის მიზნით "ძვირი ფულის" პოლიტიკას გაატარებს, როგორც ეს მაგალითად, 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში მოხდა. ამის შედეგად სარგებლის რეალური განაკვეთები-ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით კორექტირებული სარგებლის განაკვეთები-აშშ-ში უფრო გაიზარდა სხვა ქვეყნებთან შედარებით. მალე ბრიტანელი კერძო პირები დარწმუნდნენ, რომ აშშ ფინანსური სახსრების დაბანდების მიმზიდველ ადგილად გადაიქცა. ამერიკულ ფინანსურ აქტივებზე მოთხოვნის ეს გადიდება ინგლისური ფუნტების მიწოდების გაფართოებას ნიშნავდა და ამიტომ დოლარის ღირებულება გაიზარდა.

სპეკულაცია. დავუშვათ, მოსალოდნელია, რომ ამერიკული ეკონომიკა ა) უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე ბრიტანული; ბ) უფრო ძლიერ ინფლაციას წააწყდება, ვიდრე დიდი ბრიტანეთი; გ) სარგებლის უფრო დაბალი რეალური განაკვეთი ექნება,ვიდრე დიდ ბრტანეთს. ეს პროგნოზები საშუალებას მოგვცემენ ვივარაუდოთ, რომ მომავალში დოლარის კურსი დაეცემა, ხოლო ფუნტისა კი, პირიქით, გაიზრდება. მაშასადამე, დოლარის მფლობელები შეეცდებიან ფუნტებში მის გადაყვანას. ეს გაცვლა, ცხადია, დოლარის კურსის დაცემას და ფუნტის კურსის გადიდებას გამოიწვევს. დოლარის გაუფასურება, და ფუნტის გაძვირება იმდენად სწარმოებს, რამდენადაც, სპეკულანტები თავიანთ ქმედებებში იქიდან გამოდიან, რომ ეს ცვლილებები ვალუტათა ღირებულებებში მართლაც მოხდება.

მოქნილი სავალუტო კურსები და საგადასახდელო ბალანსი. მოქნილი სავალუტო კურსების მომხრეები თვლიან, რომ მას უდაო ღირსება გააჩნია: <u>მოქნილი სავალუტო კურსები ავტომატურად ისეთნაირად კორექტირდებიან, რომ საბოლოო ანგარიშში ქრება საგადასახდელო ბალანსების დეფიციტები და აქტივები.</u> ეს შეიძლება ავხსნათ SS და DD წრფეთა დახმარებით 40-5 ნახაზზე, რომლებიც 40-3 ნახაზის მოთხოვნისა და მიწოდების წრფეებს შეესაბამებიან. წონასწორობითი სავალუტო კურსი (2დოლ. = 1ფ.სტ.) გულისხმობს, რომ საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი და დადებითი სალდო არ

არსებობს.2დოლ =1 ფ.სტ,საკალუტო კურსის პირობებში ამერიკელებისათვის ინგლისურ საქონელთა იმპორტის, ბრიტანული სატრანსპორტო და სადაზღვევო მომსახურებათა ანაზღაურების, აშშ-ში ბრიტანულ ინვესტიციებზე სარგებლისა და დივიდენდების გადახდისათვის საჭირო ფუნტების რაოდენობა,ფუნტების იმ რაოდენობის ტოლია, რასაც ბრიტანელები მიაწვდიან საქონელთა და მომსახურების ამერიკული ექსპორტის, ბრიტანეთში ამერიკული ინვესტიციების სარგებლისა და დივიდენდების გადახდილი თანხის სახით. მოკლედ, ოფიციალურ რეზერვებში არავითარი ცვლილება (იხ.ცხრილი 40-1) არ მოხდება.

დავუშვათ, ამერიკელთა სამომხმარებლო გემოვნებები შეიცვალა და მათ მეტი ბრიტანული ავტომანქანების შეძენა გადაწყვიტეს. ან ფასების დონე აშშ-ში გაიზარდა დიდ ბრიტანეთთან შედარებით; სარგებლის განაკვეთები აშშ-ში დაეცა დიდ ბრიტანეთთან შედარებით. ნებისმიერი ეს მოვლენა, ან ყველა ერთად, ამერიკელთა მოთხოვნის გადიდებას გამოიწვევს ბრიტანულ ფუნტზე DD-დან, ვთქვათ, D'D'.-მდე 40-5 ნახაზ'ზე. ეტყობა, რომ <u>ვალუტის თავდაპირველი კურსის</u> 2დოლ. = 1ფ.სტ. დროს ამერიკის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი ab-ა .ე.ი. ამ პირობებში ამერიკელები ფუნტების ab უკმარისობას განიცდიან. ექსპორტის ტიპის ამერიკული ოპერაციები xa რაოდენობის ფუნტების მიღების საშუალებას იძლევიან, მაგრამ იმპორტის ტიპის ოპერაციათა დაფინანსებისათვის ამერიკელებს xb ფ.სტ. დასჭირდებათ. იმის გამო, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თავისუფალი კონკურენციის ბაზართან,ეს უკმარისობა შეცვლის ვალუტის კურსს (ფუნტის ფასს

დოლარებში) 2 დოლ. = 1ფ.სტ.-დან, ვთქვათ,3 დოლ. = 1ფ.სტ.-მდე,ე.ი. დოლარის კურსი <u>დაეცემა.</u>

მოცემულ ეტაპზე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ <u>საკალუტო კურსი ერთობ სპეციფიკური ფასია, რომელიც ყველა საშინაო (ამერიკულ) ფასებს, სხვა ქვეყნის (დიდი ბრიტანეთის) ფასებთან აკავშირებს.</u> საკალუტო კურსის შეცვლა, მაშასადამე, ცვლის ფასებს ყველა ბრიტანულ საქონელზე ამერიკელებისათვის და ყველა ამერიკულ საქონელზე პოტენციური ბრიტანელი მყიდველისათვის. კერძოდ, საკალუტო კურსის ეს ცვლილებები ზეგავლენას მოხდენენ ამერიკული იმპორტისა და ექსპორტის შეფარდებით მიმზიდველობაზე ისეთნაირად, რომ



ნახაზი 40-5.კორექტირება მოქნილი საგალუტო კურსების, ;;ფიქსირებული საგალუტო კურსებისა და ოქროს სტანდარტის პირობებში.
მოქნილი სავალუტო კურსების მოქმედების შემთხვევაში აშშ სავაჭრო დეფიციტი 2დოლ. = -1ფ.სტ.კურსის პირობებში კორექტირებული იქნება კურსის გადიდებისგზით 3 დოლ. = 1 ფ.სტ-მდე. ფიქსირებული კურსების დროს ფუნტების ab უკმარისობა კომპენსირებული იქნება საგალუტო რეზერვებიდან. ოქროს სტანდარტის დროს დეფიციტი გამოიწვევს სამონეტო ფასების დონეთა და შემოსავლების შეცვლას, რომლებიც ფუნტებზე (D'D') მოთხოვნას მარცხნივ გადაადგილებენ, ხოლო (SS) მიწოდებას კი მარჯვნივ. 2 დოლ. = 1ფ.სტ.პარიტეტული კურსის შენარჩუნებით.

წონასწორობას აღადგენს აშშ საგადასახდელო ბალანსში. ფუნტის ფასის შეცვლა დოლარებში 2-დან 3 დოლ.-მდე ამერიკელისათვის ნიშნავს, რომ ავტომანქანა "ტრიუმფი" 9 ათ.ფ.სტ. ღირებულებით,რაც მას ადრე 18 ათ. დოლ.,უჯდებოდა, ახლა 27 ათასი დაუჯდება. სხვა ბრიტანული საქონელი ამერიკელებისათვის ასევე გაძვირდება. ამრიგად, ბრიტანულ საქონელთა და მომსახურების ექსპორტი შემცირდება. გრაფიკულად ეს 40-5 ნახაზზე b წერტილიდან c-სკენ გადაადგილებით გამოიხატება.

პირიქით, დიდი ბრიტანეთის თვალსაზრისით სავალუტო კურსი, ე.ი. დოლარის ფასი ფუნტებში დაეცა (1/2-დან 1/3 ფ. სტერლ-მდე).ფუნტის საერთაშორისო ღირებულებამ <u>აიწია.</u> ადრე ბრიტანელები ერთი ფუნტისათვის მხოლოდ 2 დოლ. იღებდნენ, ახლა კი 3 დოლ. მიიღებენ. ამერიკული საქონელი, მაშასადამე, გაიაფდა ბრიტანელთათვის და, როგორც შედეგი, დაისახა ამერიკული ექსპორტის ზრდის ტენდენცია

დიდ ბრიტანეთში. 40-5 ნახა'ხ'ზე ეს გამოსახულია a-დან c -წერტილისაკენ გადაადგილებით. ორივე ზემოთ აღნიშნული ცვლილება-ამერიკული იმპორტის შემცირება დიდი ბრიტანეთიდან და მისი ექსპორტის გადიდება დიდ ბრიტანეთში-სწორედ ისაა, რაც საჭირო იყო აშშ საგადასახდელო ბალანსის გამოთანაბრებისათვის. მოკლედ, სავალუტო კურსების თავისუფალი მერყეობები უცხოური ვალუტის მოთხოვნისა და მიწოდების გადაადგილებებზე რეაგირებით, ავტომატურად აკორექტირებს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტებს და აქტივებს.

ნაკლოვანებები. მართალია მოქნილ სავალუტო კურსს გადასახდელთა დაუბალანსებლობის ავტომატური აღმოფხვრის ტენდენცია გააჩნია, მაგრამ მას ზოგიერთი სერიოზული პრობლემის გამოწვევაც შეუძლია.

1.ვაჭრობის განუსაზღვრელობა და შემცირება. მოქნილი სავალუტო კურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკებსა და განუსაზღვრელობებს შეუძლიათ სავაჭრო ნაკადების მოშლა. მოვიტანოთ მაგალითი. დავუშვათ, ამერიკელი დილერი კონტრაქტს დებს 10 ავტომანქანა "ტრიუმფის" შეძენაზე 90 ათ.ფ.სტ., თანხით. მიმდინარე სავალუტო კურსის მიხედვით, ვოქვათ, 2 დოლ = 1ფ.სტ.,ამერიკელი იმპორტიორი ითვალისწინებს ამ მანქანებისათვის 180 ათ.დოლ. გადახდას. მაგრამ, თუ მიწოდების სამთვიანი ვადის მანძილზე სავალუტო კურსი შეიცვლება 3 დოლარამდე 1ფ.სტ.-ზე,მაშინ კონტრაქტით დაოქმული გადასახდელები 90 ათ.ფ.სტ., 270 ათ.დოლარი გახდება. დოლარებში ფუნტის ფასის ამ გაუთვალისწინებელმა გადიდებამ შესაძლოა დაგეგმილი მოგება, არსებით ზარალად გადააქციოს. სავალუტო კურსის შესაძლო არახელსაყრელ ცვლილებათა თავიდანვე გათვალისწინებით, ამერიკელ იმპორტიორს შეიძლება უბრალოდ არც კი მოუნდეს საკუთარ თავზე ამ საქმესთან დაკავშირებული რისკის აღება. ამიტომ ამერიკული ფირმა მხოლოდ სამამულო მარკის ავტომანქანების გაყიდვით იზღუდება, და ამის შედეგად მოცემული სახეობის საქონელი საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი არ გახდება.

იგივე მსჯელობა ვრცელდება ინვესტიციებზეც. დავუშვათ, 3 დოლ. = 1ფ.სტ.,სავალუტო კურსის დროს ამერიკული ფირმა ბრიტანულ საწარმოში 30 ათ.დოლ. (ანუ 10 ათ.ფ.სტ.)"ინვესტირებას ახდენს. იგი 10%-იან შემოსავალს ითვალისწენებს, ე.ი. 3 ათ.დოლ. (ანუ 1 ათ.ფ.სტ.)"მოგებას ელოდება. დავუშვათ,ეს მოლოდინი სწორი აღმოჩნდება იმ გაგებით, რომ ბრიტანული ფირმა პირველ წელს 1 ათ.ფ.სტ.-ს

მიიღებს ინვესტირებულ 10 ათ.ფ.სტერლინგ'ხე. მაგრამ, დავუშვათ, რომ წლის განმავლობაში დოლარის ღირებულება გაიზრდება 2 დოლარამდე 1ფ.სტ.-ხე. აბსოლუტური შემოსავალი ახლა მხოლოდ 2 ათ.დოლ. (და არა 3 ათ.დოლ.) იქნება და მოგების ნორმა მოსალოდნელი 10%-დან მხოლოდ 6 2/3%-მდე (2 ათ დოლ.: 30 ათ. დოლ.-ზე) დაეცემა. ინვესტიციები ბუნებით სარისკო საქმეა. სავალუტო კურსების შეცვლასთან დაკავშირებულმა დამატებითმა ცვლილებებმა შესაძლოა პოტენციური ამერიკელი ინვესტორი სარისკო უცხოური პროექტებისაგან ჩამოაშოროს.[1]

2.ვაჭრობის პირობები. ქვეყნის ვაჭრობის პირობები გაუვარესდება მისი ვალუტის საერთაშორისო ღირებულების დაცემით. მაგალითად, დოლარებში ფუნტის ფასის გადიდება იმის მანიშნებელი იქნება, რომ ამერიკელებმა საქონელთა და მომსახურების მეტი მოცულობა უნდა გაატანინონ დიდი ბრიტანეთიდან განსაზღვრული დონის იმპორტის დასაფინანსებლად.

3.არასტაბილურობა. სავალუტო კურსების თავისუფალმა მერყეობამ შეიძლება ასევე მადესტაბილიზებელი ზეგავლენა მოახდინოს საშინაო ეკონომიკაზე. თავდაპირველად კურსების მნიშვნელოვანი მერყეობა სტიმულს აძლევს, ხოლო შემდგომ დეპრესიულ ზეგავლენას ახდენს საექსპორტო საქონლის მწარმოებელ დარგებზე. თუ ამერიკული ეკონომიკა სრული დასაქმების პირობებში ფუნქციონირებს, და მისი ვალუტის საერთაშორისო ღირებულება იზრდება, როგორც ჩვენს მაგალითში, ინფლაციის ტენდენციები გამოვლინდება. ეს ორი მიზეზით აიხსნება. ჯერ-ერთი, გაიზრდება მოთხოვნა ამერიკულ

1.გარკვეული დანახარჯებისა და <u>უხერხულობების</u> პირობებში მოვაჭრეს შეუძლია ნაწილობრივ შეამციროს საავალუტო კურსების არახელსაყრელ მერყეობათა რისკი "ფიუჩერსულ ბაზრებზე"დაზღვევის გზით. მაგალითად, ავტომანქანების ამერიკელ იმპორტიორს შეუძლია საჭირო რაოდენობის ფუნტი სტერლინგები მიმდინარე საავალუტო კურსით 2 დოლ..1ფ. სტერლინგად შეიძინოს, რათა ისინი მის განკარგულებაში იყოს სამი თვის შემდეგ, როცა ინგლისურ ავტომანქანებს მიაწვდიან. საბწუხაროდ ეს მთლიანად ვერ აღმოფხვრის საავალუტო რისკებს. დაეუშვათ,მიწოდების სამივეიან პერიოდში ფუნტის ფასი დოლარებში დაეცა (დოლარი გაძვირდა),ხოლო კონკურენტმა იმპორტიორმა ფირმამ არ დააზღვია უცხოური ვალუტის მის მიერ შეძენა. ეს ნიშნავს, რომ კონკურენტი "ტრიუმფების"საკუთარ პარტიას უფრო დაბალ ფასში შეიძენს და საფასო კონკურენციაში დაამარცხებს პირველ იმპორტიორს.

საქონელ'ხე, ე.ი. გაიზრდება წმინდა ექსპორტის ხვედრი წილი მთლიან დანახარჯებში, რაც მოთხოვნის ინფლაციას გამოიწვევს. მეორე, ფასები მთელ ამერიკულ იმპორტ'ხე, აიწევს. პირიქით, დოლარის გაძვირება ექსპორტს შეამცირებს და იმპორტს გაზრდის, რაც უმუშევრობას გამოიწვევს. სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით, მოქნილი სავალუტო კურსების მიღებამ შეიძლება საგადასახადო და ფულადი პოლიტიკის გამოყენება გააძნელოს სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის მისაღწევად. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებს შეეხება, რომელია ექსპორტი და იმპორტი ეეპ-ის 20-30%-ს აღწევს (იხ.ცხრილი 39-1).

ფიქსირებული სავალუტო კურსები

მეორე პოლუსზე ის ქვეყნებია, რომლებიც ხშირად აფიქსირებდნენ ან თავიანთ სავალუტო კურსებს "ამაგრებდნენ", მოქნილი კურსების სისტემისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებათა დასაძლევად. ფიქსირებული კურსების სისტემასთან დაკავშირებული შედეგებისა და პრობლემების გასაანალიზებლად, დავუშვათ,რომ აშშ და დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირონ 2 დოლ. = 1ფ.სტ. სავალუტო კურსს.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ მთავრობა დოლარის ღირებულების ფუნტის განსაზღვრული რაოდენობისადმი გათანაბრებით, დეკრეტით არ აკანონებს ფუნტის მოთხოვნისა და მიწოდების სტაბილურობას. რამდენადაც, მოთხოვნა და მიწოდება დროში იცვლება, სავალუტო კურსის სტაბილიზებისათვის სახელმწიფო პირდაპირ თუ არაპირდაპირ უნდა ჩაერიოს სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში. კიდევ ერთხელ განვიხილოთ 40-5 ნახაზი. დავუშვათ, რომ ფუნტებზე აშშ მოთხოვნა DD-დან D'D'-მდე გაი'ხარდა, ხოლო აშშ საგადასახდელო ბალანსის ab დეფიციტი გადიდდა. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს (2 დოლ. = 1ფ.სტ.) სავალუტო კურსს, რაც წონასწორობიოზე (3 დოლ. = 1ფ.სტ) დაბალია. აშშ-ს როგორ შეუძლია ფუნტების უკმარისობის კომპენსირება, რაც მისი საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს ასახავს? უბიძგოს სავალუტო კურსს ზევით,წონასწორობის დონემდე? პასუხი ცხადია: საჭიროა საბა'ხრო მოოხოვნის ან მიწოდების ან ეროის და მეორის იმგვარი შეცვლა, რომ შესაბამისი გრაფიკები უწინდებურად გადაიკ-ვეთებოდნენ 2 დოლ. = 1 ფ.სტ., კურსის დროს. არსებობს ამ ამოცანის გადაჭრის რამდენიმე ხერხი.

1.რეზერვების გამოყენება.სავალუტო კურსის განმტკიცების ყველაზე მისაღები ხერხია,ბაზრით მანიპულირება ოფიციალური რეზერვების დახმარებით. ცნობილია, რომ სავალუტო რეზერვები,უცხო ქვეყნის ვალუტათა უბრალო მარაგებია,რაც ცალკეულ სახელმწიფოებს გააჩნიათ. როგორ იქმნება რეზერვები? მოხერხებულობისათვის ვივარაუდოთ, რომ წარსულში სჭარბობდა შებრუნებული საბაზრო სიტუაცია, როდესაც, მეტადრე ფუნტი სტერლინგების ნამეტობა გააჩნდათ, ვიდრე ნაკლებობა და აშშ მთავრობას შეეძლო იგი "დაეზოგა".ე.ი. წინათ აშშ მთავრობა დოლარებს ხარჯავდა ჭარბი ფუნტების შესაძენად, რომელთა არსებობა საფრთხეს უქმნიდა 2 დოლ. = 1ფ.სტ., სავალუტო კურსის შემცირებას, ვთქვათ, 1 დოლ. = 1ფ.სტ.-მდე. ამ დროისათვის, თავისი რეზერვებიდან ფუნტების ნაწილის გაყიდვით აშშ მთავრობას შეეძლო ფუნტების მიწოდების წრფის ისე გადაადგილება, რომ მას 40-5 ნახაზზე D'D' გადაეკვეთა b წერტილში, ამასთან 2 დოლ. = 1ფ.სტ. სავალუტო კურსის შენარჩუნებით.

სხვა სიტყვებით, რეზერვების სახით, როგორც წესი, ოქრო გამოიყენება. მაშასადამე, ჩვენს მაგალითში აშშ მთავრობას ფუნტის მიღება შეუძლია დიდ ბრიტანეთზე ოქროს გარკვეული რაოდენობის მიყიდვით, რომელიც მას გააჩნია. ამრიგად შეძენილი ფუნტები შეიძლება მარაგების გადიდებისათვის იქნას გამოყენებული, რაც დაგროვილია ამერიკული ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციების მეშვეობით, ე.ი. ფუნტის მიწოდების წრფის მარჯვნივ გადასაადგილებლად 2 დოლ. = 1ფ.სტ. სავალუტო კურსის შენარჩუნების მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რეზერვები საკმარისი იყოს ფუნტების მიწოდების საჭირო გადიდების მისაღწევად. თუ საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი და დადებითი სალდო მეტნაკლებად შემთხვევით წარმოიშობა და დაახლოებით ერთნაირია, მაშინ არავითარი პრობლემები არ იქნება. ე.ი. საგადასახდელო ბალანსის შარშანდელი აქტივი დიდ ბრიტანეთთან, ფუნტების რეზერვს გაზრდის, რაც აშშ-ს გააჩნია, და ეს რეზერვი შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ წლის დეფიციტის "დასაფინანსებლად". მაგრამ თუ აშშ მყარ და მასშტაბურ დეფიციტს აწყდება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რეზერვების პრობლემა შესაძლოა უკიდურესად სერიოზული გახდეს და ფიქსირებული სავალუტო კურსებისაგან უარის თქმის აუცილებლობა გამოიწვიოს.თუ საკმაო რეზერვების არმქონე ქვეყანა, სავალუტო კურსების სტაბილურობის შენარჩუნებას

ფიქრობს,მაშინ იგი უკიდურეს შემთხვევაში უნდა დათანხმდეს არჩევანის ნაკლებმიმზიდველ ალტერნატიულ ვარიანტებს. გავაანალიზოთ ისინი.

2.სავაჭრო პოლიტიკა.პოლიტიკურ ალტერნატივათა ერთერთი ანაკრები მოიცავს სავაჭრო და ფინანსურ ნაკადებზე პირდაპირი კონტროლის შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ფუნტი სტერლინგის უკმარისობის შემთხვევაში აშშ-ს შეუძლია წავიდეს 2 დოლ. = 1ფ.სტ. კურსის შერბილებაზე იმპორტის შეფერხებისა (ამით ფუნტზე მოთხოვნის შემცირებით) და ექსპორტის წახალისების (ამით ფუნტის მიწოდების გადიდებით) ხარჯზე. კერძოდ, იმპორტი შეიძლება შემცირდეს ბაჟებისა და იმპორტული ქვოტების შემოღებით (იხ. თავი 39). ზუსტად ასევე შეიძლება ამოვიღოთ სპეციალური გადასახადები სარგებლისა და დივიდენდებისაგან, რასაც ამერიკელები უცხოური კაპდაბანდებებისაგან ღებულობენ. მეორე მხრივ, ამერიკის მთავრობას შეუძლია სუბსიდიები გამოუყოს ზოგიერთ ამერიკულ საექსპორტო საქონელს, და ამრიგად, გაზარდოს ფუნტების მიწოდება.

ძირითადი პრობლემა, რაც ამ ღონისძიებათა გამოყენებისას წარმოიშობა ისაა რომ, ისინი მსოფლიო ვაჭრობის მოცულობას ამცირებენ, მისი სტრუქტურისა და სავაჭრო კავშირების დეფორმირებას იწვევენ, ეკონომიკურ მიზანშეწონილებაში დარღვევების შეტანით. ე.ი.ბაჟები, ქვოტები და მსგავსი ღონისძიებები შეიძლება შემოღებულ იქნას მხოლოდ ეკონომიკურ მოგებათა და სარგებლობათა გარკვეული წილის ხარჯზე, რასაც თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობისაგან ღებულობენ, შედარებით უპირატესობათა გამო. ეს შედეგები არ უნდა იქნას უგულებელყოფილი. შეგახსენებთ, რომ სავალუტო, ანუ სავაჭრო შეზღუდვათა შემოღებას შეუძლია საპასუხო ღონისძიებების გამოწვევა სხვა ქვეყნების მხრივ, რომლებსაც იგი შეეხება.

3.სავალუტო კონტროლი: რაციონირება. მეორე ალტერნატივაა სავალუტო კონტროლი ანუ რაციონირება. სავალუტო კონტროლის პირობებში აშშ მთავრობა ცდილობს თავი გაართვას ფუნტების უკმარისობის პრობლემას, ამერიკელ ექსპორტიორთა მიერ მიღებული მოელი ფუნტების მისთვის მიყიდვის მოთხოვნის წამოყენებით. შემდგომ, მთავრობა, თავის მხრივ, გაანაწილებს ანუ ფუნტების ამ უმნიშვნელო მარაგების (xa, 40-5 ნახაზზე) რაციონირებას მოახდენს სხვადასხვა იმპორტიორებს შორის, რომელთაც xb რაოდენობის ფუნტი სტერლინგები სჭირდებათ. ამნაირად, ამერიკის მთავრობა ზღუდავს

იმპორტს უცხოური ვალუტის იმ რაოდენობით, რომლის ამოგებაც შესაძლებელი გახდა ამერიკის ექსპორტისაგან .აშშ-ში ab რაოდენობის ფ. სტ.-ზე მოითხოვნა უბრალოდ დაუკმაყოფილებელი რჩება. სახელმწიფო სპობს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს, იმპორტის შეზღუდვის ხარჯზე, ექსპორტის სიდიდით.

სავალუტო კონტროლის სისტემას მრავალი ნაკლოვანება გააჩნია .ჯერ-ერთი, როგორც სავაჭრო შეზღუდვები (ბაჟები, ქვოტები, საექსპორტო სუბსიდიები), ისე სავალუტო კონტროლიც შლის საერთაშორისო ვაჭრობის უკვე ჩამოყალიბებულ კავშირებს, რომლებიც შედარებით უპირატესობებს ემყარებიან. მეორე, უმნიშვნელო სავალუტო რესურსების რაციონირების პროცესი დაკავშირებულია ცალკეულ იმპორტიორთა დისკრიმინაციაზე. რაციონირების პროცესი ისეთ სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს, როგორიც სამართლიანობისა და ფავორიტიზმისაა. მესამე, კონტროლის ღონისძიებები ხელყოფენ სამომხმარებლო არჩევანის თავისუფლებას: ამერიკელები ,რომლებიც "სკოტჩს" ამჯობინებდნენ, შეიძლება იძულებული გახდნენ "ბურბონები" შეიძინონ.

ზოგიერთი ამერიკელი იმპორტიორის საქმიან შესაძლებლობებს ზიანი მიადგება სახელმწიფოს მიერ იმპორტის შეზღუდვით. დაბოლოს, შესაძლოა პრობლემები წარმოიშვას ყველა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისას. საბაზრო ძალებმა, ისეთებმა, როგორიცაა მოთხოვნა და მიწოდება, შესაძლოა ამერიკელი ექსპორტიორები, რომელთაც ვალუტა მეტისმეტად სჭირდებათ, აიძულოს მისთვის ოფიციალური კურსით (2 დოლ. = 1ფ.სტერლ.) გათვალისწინებულზე მეტი გადაიხადონ;ეს ხელს შეუწყობს უცხოური ვალუტის არალეგალურ ოპერაციათა წარმოშობის პირობებს"შავ ბაზარზე".

4.საშინაო მაკროეკონომიკური რეგულირება.სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნების უკანასკნელი იარაღია საშინაო საგადასახადო და ფულადი პოლიტიკის ისეთი გამოყენება, როცა ფუნტების უკმარისობა ისპობა. კერძოდ, შემზღუდველი საგადასახადო და ფულადი ღონისძიებები შეამცირებენ აშშ ეროვნულ შემოსავალს დიდი ბრიტანეთისასთან შედარებით. რამდენადაც იმპორტის მასშტაბები პირდაპირ დამოკიდებულია ეროვნული შემოსავლის დონეზე, ეს მოთხოვნის შეზღუდვას გამოიწვევს ბრიტანულ ნაწარმზე, და მაშასადამე, ფუნტ სტერლინგზეც. იმ ზომით, რა ზომითაც ეს შემაფერხებელი ღონისძიებები ამერიკულ ბაზარზე ფასების დონის შემცირებას გამოიწვევენ ბრიტანულთან შედარებით, სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელთა ამერიკელი მყიდველები თავიანთ მოთხოვნას

ბრიტანული საქონლებიდან ამერიკულზე გადართავენ, რაც ასევე შეხლუდავს ფუნტებზე მოთხოვნას. დაბოლოს,"რესტრიქციული"ფულადი პოლიტიკა ანუ "ძვირი ფულის პოლიტიკა სარგებლის განაკვეთის გადიდებას გამოიწვევს აშშ-ში დიდ ბრიტანეთთან შედარებით, და მაშასადამე, ფუნტზე ამერიკულ მოთხოვნას შეამცირებს დიდ ბრიტანეთში ფინანსური ინვესტიციებისათვის. უკანასკნელისათვის ამერიკულ საქონელზე უფრო დაბალი ფასები, სარგებლის მაღალი განაკვეთები აშშ-ში, ამერიკულ საქონელია ბრიტანულ იმპორტს გაზრდის და სტიმულს მისცემს ბრიტანულ საფინანსო ინვესტიციებს აშშ-ში. ერთიც და მეორეც ფუნტი სტერლინგის მიწოდებას გაადიდებს. ფუნტზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ზრდის შეხამება, ცხადია, აშშ-ს საგადამხდელო ბალანსის თავდაპირველ დეფიციტს მოსპობს. 40-5 ნახაზზე მოცემული პირობებით, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ მოთხოვნისა და მიწოდების ახალი მრუდები გადაიკვეთებიან რომელიღაც ახალ წონასწორობით წერტილზე ab წრფეზე, სადაც სავალუტო კურსი შენარჩუნებულია 2 დოლ. = 1 ფ.სტ. დონეზე.

ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნების ეს საშუალება მიმზიდველი როდია. აშშ-საოვის სავალუტო კურსის სტაბილურობის "საფასურია"წარმოების მოცულობების შემცირება, უმუშევრობა და ფასების ჭერები, სხვა სიტყვებით დაქვეითება! საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორების და საშინაო სტაბილიზაციის მიღწევა -ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანაა.

დასკვნა. ფიქსირებული სავალუტო კურსის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მისი გამოყენება ამცირებს საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსებთან დაკავშირებულ რისკს და განუსაზღვრელობას. ფიქსირებული სავალუტო კურსების გამოყენება ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციების გაფართოებას გამოიწვევს. მაგრამ ფიქსირებული სავალუტო კურსების მქონე სისტემათა სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ორ ურთიერთდამოკიდებულ პირობაზე: 1) საკმარისი რეზერვების არსებობიაზე და 2) საგადასახდელო ბალანსის უმნიშვნელო დეფიციტისა და აქტივების შემთხვევითი აღმოცენებაზე. დიდ და მუდმივ დეფიციტებს შეუძლიათ ქვეყნის რეზერვების ნულზე დაყვანა. არასაკმარისი რეზერვებით ქვეყანა არჩევანის ნაკლებხელსაყრელ ვარიანტებს აწყდება. ერთი მხრივ, მან უნდა გადაწყვიტოს ადაპტაციის მტკივნეული და არაპოპულარული მაკროეკონომიკური ღონისძიებები ინფლაციისა და დაქვეითების ფორმით. მეორე მხრივ, შესაძლოა ამ ქვეყანას პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკისა და

სავაჭრო კონტროლის გამოყენებამ მოუწიოს, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების მოცულობას ხლუდავენ.

სავალუტო კურსების საერთაშორისო სისტემები

მოქნილი და ფიქსირებული სავალუტო კურსების ტიპებზე დაყრდნობით, მოკლედ განვიხილოთ სავალუტო კურსების სამი სხვადასხვა სისტემა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ახლო წარსულში გამოიყენებოდა. 1879-1934წწ. პირველი მსოფლიო ომის ორი წლის გამოკლებით, სჭარბობდა ფულადი სისტემა, რასაც ოქროს სტანდარტი ეწოდება. მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან 40-იანი წლების შუახანებში და 1971 წლამდე კი ე.წ. ბრეტონ-ვუდის სისტემა. ეს ორი სისტემა ფიქსირებულ სავალუტო კურსებს ემყარებოდა. თუმცა უკანასკნელი სავალუტო კურსების პერიოდულ კორექტირებას ითვალისწინებდა. 1971წლიდან, არსებითად თავისუფლად მერყეევი ანუ მცურავი კურსების სისტემა მოქმედებდა.ამასთან,მან მართვადი მცურავი სავალუტო კურსების სახელწოდება მიიღო, რამდენადაც სახელმწიფოები ხშირად ერეოდნენ სავალუტო ბაზრების ფუნქციონირებაში, საკუთარ ვალუტათა საერთაშორისო ღირებულების შეცვლისათვის. მოდით განვიხილოთ ეს სამი სისტემა ზემოთ ჩამოთვლილი რიგის მიხედვით.

ოქროს სტანდარტი: ფიქსირებული სავალუტო კურსები

ოქროს სტანდარტის სისტემა ფიქსირებული სავალუტო კურსების არსებობას ითვალისწინებს. მისი ფუნქციონირებისა და თანმიმდევრობითი კრახის რეტროსპექტული ანალიზი მნიშვნელოვანია ფიქსირებული კურსის მქონე სისტემათა ზოგიერთი ფუნქციების, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გასაგებად. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ზოგიერთი ეკონომისტი მხარს უჭერს ფიქსირებულ სავალუტო კურსებს, ხოლო სხვები მოუწოდებენ საერთაშორისო ოქროს სტანდარტისადმი დაბრუნებას.[1]

1.მოცემულ ეტაპზე შესაძლოა თქვენ ისევ დაგჭირდეთ 17 თავის ბოლო უტრიხის გადაკითხვა,სადაც მოტანილია ოქროს სტანდარტის ყველა "მომხრე"და "მოწინააღმდეგე" მოსაზრებები.

პირობები. როგორც წესი, ქვეყანაში ოქროს სტანდარტი არსებობდა, თუ კი იგი შეასრულებდა სამ პირობას:

1. ადგენდა საკუთარი ფულადი ერთეულის განსაზღვრულ ოქროშემცველობას.

2. მხარს უჭერდა მკაცრ თანაფარდობას საკუთარ ოქროს მარაგებსა და ფულის საშინაო მიწოდებას შორის.

3. არ ეწინააღმდეგებოდა ოქროს თავისუფალ ექსპორტსა და იმპორტს.

თუ ყოველი ქვეყანა თავისი ფულადი ერთეულის ოქროშემცველობას აწესებს, მაშინ სხვადასხვა ეროვნულ ვალუტებს ფიქსირებული თანაფარდობა ექნებათ ერთმანეთის შორის. მაგალითად, აშშ თავისი დოლარის ღირებულებას, ვთქვაო, ოქროს 25 გრანს[2] უტოლებს, ხოლო დიდი ბრიტანეთი ფუნტ სტერლინგს ოქროს 50 გრანს. ეს ნიშნავს, რომ ბრიტანული ფუნტი 50/25 დოლარი ღირს, ანუ, უფრო მარტივად, 1ფ.სტ. = 2 დოლ.

ოქროს მიმოქცევა. ახლა თუ ერთი წუთით გადაუხვევთ ქვეყნებს შორის ოქროს შეფუთვის, დაზღვევისა და ტრანსპორტირებისაგან, ვალუტის კურსი, ოქროს სტანდარტის პირობებში იგივე იქნება-2 დოლ. = 1 ფ.სტ., და აქის მიზეზი ნათელია: ამერიკაში არავინ გადაიხდის 1 ფ.სტ.-ზე, 2 დოლარზე მეტს, ვინაიდან 50 გრანი ოქროს ყიდვა აშშ-ში ყოველთვის შეიძლება 2 დოლარად, გაიგზავნოს იგი დიდ ბრიტანეთში და გაიყიდოს 1 ფ.სტ.ზე. ბრიტანელებიც ასევე არ გადაიხდიან 1 ფუნტზე მეტს 2 დოლარზე. ხოლო, როდესაც ინგლისში 50 გრანი ოქროს შეძენა შეიძლება 1 ფუნტად, რატომ უნდა გაიგზავნოს იგი აშშ-ში და 2 დოლარად გაიყიდოს?

ცხადია, პრაქტიკაში, ყურად უნდა ვიღოთ შეფუთვის, დაზღვევის და გადაგზავნის ღირებულება. მაგრამ ეს ხარჯები უმნიშვნელოა ოქროს ყოველ 50 გრანზე. მაგალითად, თუ დანახარჯები 3 ცენტი იქნება 50 გრანი ოქროსათვის, მაშინ ამერიკელები, რომელთაც ფუნტის შეძენა სურთ, მეტადრე 2,03 დოლარს გადაიხდიან 1 ფუნტისაფვის ,ვიდრე 50 გრან ოქროს შეიძენენ და მას გაიტანენ 1 ფუნტის მისაღებად. რატომ? იმიტომ, რომ 50 გრანი ოქრო მათ 2 დოლარს პლუს 3 ცენტი დაუჯდებათ, მისი გადაგზავნის გამო დიდ ბრიტანეთში -1 ფუნტში გასაცვლელად. ამ სავალუტო კურსს (2,03 დოლ.), რომლის გადამეტებისას ოქროს გადენა იწყება აშშ-დან,

---

1.1 გრანი უდრის 0,0648 გრამს.რედ.

ოქროს საექსპორტო წერტილი ეწოდება. პირიქით, სავალუტო კურსი უნდა დაეცეს 1,97 დოლარამდე, მანამ, სანამ ოქრო დაიწყებს შემოსვლას აშშ-ში. ინგლისელები, რომლებსაც დოლარის შეძენა სურთ, დათანხმდებიან 1 ფუნტის სანაცვლოდ 1,97 დოლარის მიღებას, იმიტომ, რომ ინგლისში შეძენილი 50 გრანიანი ოქროს აშშ-ში გაყიდვით მიღებული 2 დოლარიდან 3 ცენტი გამოქვითული იქნება ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად. ამ სავალუტო კურსს-1,97 დოლარს-რომლის ქვემოთაც ოქრო იწყებს გადადენას აშშ-ში, .ოქროს საიმპორტო წერტილი ეწოდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ოქროს სტანდარტის პირობებში ოქროს გადადენა ქვეყნებს შორის ფიქსირებული სავალუტო კურსების დაწესებას გამოიწვევს ნებისმიერი ოპერაციებისათვის.

საშინაო მაკროეკონომიკური კორექტირებები. 40-5 ნახაზი გვიხსნის რეგულირების მექანიზმს, რომელიც დამახასიათებელია ოქროს სტანდარტის სისტემისათვის. დავუშვათ ,რომ თავდაპირველად ფუნტ სტერლინგებზე მოთხოვნა და მიწოდება გამოსახულია DD და SS წრფეთა სახით და მათი გადაკვეთის a წერტილი ფიქსირებულ სავალუტო კურსს ემთხვევა .სახელდობრ: აშშ-მ დაადგინა, რომ 25 გრანი ოქრო შეესაბამება 1 დოლარს, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა კი განსაზღვრა ფუნტი სტერლინგის ოქროშემცველობა 50 გრანი ოქროთი. ამრიგად, მიღებული სავალუტო კურსი ოქროს სტანდარტის პირობებში 2 დოლ. = 1 ფ.სტ., ტოლია. დავუშვათ, რომ, რაღაც მიზეზით ამერიკელებმა მეტი უპირატესობა მიანიჭეს ბრიტანულ საქონელს ფუნტზე მოთხოვნის D'D'-სკენ გადაადგილებით. 40-5 ნახაზიდან ჩანს, რომ სახეზეა ფუნტების ab უკმარისობა, რაც აშშ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს ნიშნავს.

რა მოხდება შემდგომ? გაიხსენეთ: ოქროს სტანდარტით დაწესებული,თამაშის წესები, სავალუტო კურსს საშუალებას აძლევს გადაიწიოს 2 დოლ. = 1 ფ.სტ., ფიქსირებული თანაფარდობისაგან; სავალუტო კურსი არ შეიძლება გადიდდეს ახალ 3 დოლ. = 1 ფ.სტ. პარიტეტამდე c წერტილში, როგორც ეს მკურავი კურსის პირობებში მოხდებოდა. რაც უნდა მოხდეს, ისაა რომ სავალუტო კურსი გადიდდება რამოდენიმე ცენტით, ამერიკულ საექსპორტო წერტილამდე, რომლის მიღწევისთანავე ოქრო გადენას იწყებს აშშ-დან დიდ ბრიტანეთში. გაიხსენეთ, რომ ოქროს სტანდარტი მონაწილეთაგან ფიქსირებული თანაფარდობის შენარჩუნებას მოითხოვს, მიმოქცევაში ფულის რაოდენობასა და მაი ოქროს მარაგებს შორის. ამიტომ ოქროს გადენა

აშშ-დან დიდ ბრიტანეთში ამერიკაში ფულის მიწოდების შემცირებას და დიდ ბრიტანეთში ფულის მასის ექსპანსიას გამოიწვევს. სხვა თანაბარ პირობებში ,ეს აშშ-ში ერთობლივი მოთხოვნის, და, მაშასადამე, ეროვნული წარმოების რეალური მოცულობების,დასაქმებისა და ფასების დონის შემცირებას გამოიწვევს. ფულის მიწოდების შემცირება ასევე გამოიწვევს სარგებლის განაკვეთების ამაღლებას.საპირისპირო სიტუაციას ექნება ადგილი დიდ ბრიტანეთში. ოქროს მოდენა გაზრდის ფულის მიწოდებას, რაც ერთობლივი მოთხოვნის, ეროვნული შემოსავლის,დასაქმებისა და ფასების ზრდის მიზეზი გახდება. ფულის გაზრდილი მიწოდება სარგებლის განაკვეთებს შეამცირებს დიდ ბრიტანეთში.

ყველა ეს მაკროეკონომიკური გადაადგილებები რა ზეგავლენას მოახდენს 40-5 ნახაზით აღწერილ სიტუაციაზე? შემოსავლებისა და ფასების დაცემა ერთობ შეამცირებს ბრიტანულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას, და, მაშასადამე, ფუნტებზე ამერიკულ მოთხოვნასაც შეასუსტებს. სარგებლის შედარებით უფრო დაბალი განაკვეთები დიდ ბრიტანეთში, ამ ქვეყანას ნაკლებმიმზიდველს გახდის ამერიკული ინვესტიციებისათვის, რაც ასევე შეამცირებს ფუნტებზე მოთხოვნას. ყველა ამ მიზეზით D'D' მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. ანალოგიურად, შემოსავლებისა და ფასების ზრდა დიდ ბრიტანეთში, ბრიტანულ მოთხოვნას გააფართოვებს ამერიკულ საქონელსა და მომსახურებაზე, ხოლო სარგებლის უფრო მაღალი ამერიკული განაკვეთები ბრიტანელებს შთააგონებს, მეტი ინვესტირება მოახდინონ აშშ-ში. ყველა ეს პროცესი გაზრდის ფუნტების მიწოდებას აშშ-ში,SS მრუდის მარჯვნივ გადაადგილებით 40-5 ნახაზზე. მოკლედ რომ ვთქვათ, საშინაო მაკროეკონომიკური გადაადგილებები აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში, რაც გამოწვეულია ოქროს საერთაშორისო გადაადგილებით, ფუნტ სტერლინგებზე მოთხოვნისა და მიწოდების ახალ მრუდებს წარმოშობს, რომლებიც განსაზღვრულ წერტილში გადაიკვეთებიან a და b-ს შორის.

მიაქციეთ ყურადღება პრინციპულ განსხვავებას შეგუების მექანიზმებში, თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსის, ფიქსირებული კურსისა და ოქროს სტანდარტის პირობებში. მცურავი კურსის დროს შეგუების ტვირთი თვით ვალუტის კურსს აწევს. ამის საპირისპიროდ, ოქროს სტანდარტი იწვევს ცვლილებებს ცალკეული ქვეყნების საშინაო ფულად მასაში, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლილებებს

აჩქარებენ ფასების დონეში, ეროვნული წარმოების რეალურ მოცულობებში, დასაქმებისა და სარგებლის ნორმებში.

შეფასება. ოქროს სტანდარტის სისტემას შემდეგი უპირატესობები გააჩნია. 1.სტაბილური სავალუტო კურსები ხელს უწყობენ განუსაზღვრელობისა და რისკის შემცირებას და ამით სტიმულს აძლევენ საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას. 2.ოქროს სტანდარტი ავტომატურად გამოაითანაბრებს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტებსა და აქტივებს. თუ წარმოიშობა აშშ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი, როგორც ეს ნავარაუდევია ამერიკული მოთხოვნის DD-დან D'D'-სკენ გადაადგილებაში 40-5 ნახაზზე, ოქროს გარდაუვალი მიმოქცევა ფუნტზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდთა გადაადგილებას გამოიწვევს, მათ განმეორებით გადაკვეთამდე 2 დოლ. = 1 ფ.სტ., ფიქსირებული სავალუტო კურსის შესაბამის წერტილში. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი, რაც ფუნტი სტერლინგების თავდაპირველი ab მოცულობის უკმარისობითაა გამოწვეული, მოისპობა. ჩაინიშნეთ, რომ ოქროს სტანდარტის წესები ამ შეგუების ღონისძიებებს ავტომატურს გახდის; არანაირი დისკრიმინაციული ღონისძიებები არ გატარებულა. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ოქროს სტანდარტის მომხრე ეკონომისტები ,როგორც წესი, ბოლომდე არ ენდობიან სახელმწიფოს დისკრეციულ, ე.ი.მოქნილ პოლიტიკას, რაც დამოკიდებული არაა საკანონმდებლო ორგანოებზე და ეკონომიკური პირობებისაგან დამოკიდებულებით იცვლება.

ოქროს სტანდარტს ასევე ორი ნაკლოვანება გააჩნია. 1.ოქროს სტანდარტის მთავარი ნაკლი, როგორც შეგუების ჩვენეულ ღონისძიებათა ანალიზიდან ირკვევა, ისაა, რასაც იგი თვითონ წარმოშობს. ოქროს სტანდარტის ქვეყნები, უნდა შეურიგდნენ შეგუების შინა ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც ისეთ ნაკლებსასურველ ფორმებს ღებულობენ, როგორიც უმუშევრობა და შემოსავლების შემცირებაა, ერთი მხრივ, და ინფლაცია, მეორე მხრივ. ოქროს სტანდარტზე შეთანხმებული ქვეყნები (ფიქსირებული სავალუტო კურსი), მზად უნდა იყვნენ დაექვემდებარონ მაკროეკონომიკური გარდაქმნების კურსს. როგორც ჩვენი მაგალითი ნაჩვენებ მიუთითებს, ოქროს სტანდარტის დროს ქვეყნის ფულადი პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად ვალუტის მოთხოვნასა და მიწოდებაში ცვლილებებით განისაზღვრება. თუ აშშ, მაგალითად, დაქვეითებისაკენ უკვე მოძრაობდა, ოქროს დაკარგვა ოქროს სტანდარტის პირობებში, მხოლოდ შეამცირებს მის ფულად მასას და გაამწვავებს პრობლემას. ოქროს სტანდარტის

საერთაშორისო სისტემის დროს ქვეყნებმა უარი უნდა თქვან დამოუკიდებელი ფულადი პოლიტიკის გატარებაზე.

2.ოქროს სტანდარტი შეიძლება ფუნქციონირებდეს მხოლოდ მანამ, სანამ ერთერთი მონაწილე არ ამოწურავს თავის ოქროს მარაგებს. ამრიგად, თუ აშშ ოქროს მწარმოებელი იქნებოდა და მის მყარ გადენას წააწყდებოდა, იგი იძულებული შეიქნებოდა, რომელიღაც ეტაპზე უარი ეთქვა ოქროს სტანდარტზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ სიტუაციაში ოფიციალური რეზერვების სახით გამოდის ოქრო, და მსოფლიოს ქვეყნებს შეუძლიათ ფიქსირებული სავალუტო კურსის მოთხოვნები შეასრულონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ასეთი რეზერვები გააჩნიათ.

კრახი."30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ",რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ნაოელი გახადა ოქროს სტანდარტის კრახი. ეროვნული წარმოებისა და დასაქმების მაჩვენებელია გაუარესების კვალობაზე, კეთილდღეობის აღორძინება დაზარალებული ქვეყნების უპირველესი ამოცანა გახდა.გაიხსენეთ 39-ე თავიდან, რომ პროტექციონისტული ღონისძიებები-მაგალითად, სმუტ-ჰაულის ტარიფები აშშ-ში შემოღებულ იქნა ისეთ პირობებში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნები წმინდა ექსპორტის გაზრდას ცდილობდნენ, რათა ამით სტიმული მიეცათ საკუთარი ეკონომიკისათვის. და ყოველი ქვეყანა შიშობდა, რომ მასში მიმდინარე ეკონომიკური აღმავლობის პროცესები საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის წარმოშობით შეწყდებოდა, რაც ოქროს გადენას და საქმიანი აქტიურობის შემდგომ შეფერხებას გამოიწვევდა. მართლაც, ოქროს სტანდარტის ზოგიერთმა ქვეყანამ საკუთარი ვალუტის ოქროს მიმართ დევალვირება იწყო, რათა საკუთარი ექსპორტი უფრო მიმზიდველი გაეხადათ, ხოლო იმპორტი კი ნაკლებხელსაყრელი. ამ დევალვაციებმა დანაღმეს ოქროს სტანდარტის არსებობის ძირითადი პირობა, და იგი დაიშალა.

ბრეტონ-ვუდის სისტემა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ "30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ"ოქროს სტანდარტის სისტემის კრახი გამოიწვია. მან ასევე უბიძგა ქვეყნებს სავაჭრო ბარიერების შექმნისაკენ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად აფერხებდნენ საერთაშორისო ვაჭრობას. მსოფლიო ვაჭრობაზე ასევე დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა. ამიტომ სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის

დასასრულისათვის მსოფლიო ვაჭრობა და ფულადი სისტემა ნანგრევებად იქცა.

მსოფლიო სავალუტო სისტემის შექმნის მიზნით 1944წ. ბრეტონ-ვუდში, ნიუ ჰემპშირის შტატში (აშშ) მოწვეულ იქნა მოკავშირე ქვეყნების საერთაშორისო კონფერენცია. აქ მიღწეულ იქნა შეთანხმება, ბმული რეგულირებადი სავალუტო კურსის სისტემის შექმნის შესახებ, რომელსაც არაიშვიათად ბ რ ე ტ ო ნ - ვ უ დ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ს უწოდებენ. ახალ სისტემას უნდა შეეინარჩუნებია ოქროს სტანდარტის უწინდელი სისტემის (ფიქსირებული სავალუტო კურსების) უპირატესობები, ნაკლოვანებათა აღმოფხვრით (საშინაო მაკროეკონომიკური შეგუების მტკივნეული პროცესები). შემდგომ კონფერენციაზე შეიქმნა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ა ვ ა ლ უ ტ ო ფ ო ნ დ ი (სსფ),რომელსაც ახალი სავალუტო სისტემა უფრო ქმედითუნარიანი უნდა გაეხადა. ამ მსოფლიო სავალუტო სისტემამ, რომელიც შედარებით ფიქსირებულ სავალუტო კურსებს ემყარებოდა და სსფ-ს მიერ იმართებოდა, ზოგიერთი მოდიფიკაციებით 1971 წლამდე იარსება. სსფ ახლაც უმნიშვნელოვანეს ადგილს იჭერს საერთაშორისო ფინანსებში. უკანასკნელ წლებში მან მთავარი როლი ითამაშა სუსტად განვითარებული ქვეყნების დავალიანების პრობლემათა შესუსტებაში (თავი 14).

სსფ და ბმული სავალუტო სისტემები. რას წარმოადგენდა ბრეტონ-ვუდის ვალუტათა ბმული კურსების რეგულირებადი სისტემა? რატომ წარმოიშვა იგი? რამ გამოიწვია მისი დაშლა? თავდაპირველად განვიხილოთ მეორე საკითხი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ "30-იანი წლების დიდი დეპრესიის"დროს მრავალი ქვეყანა ვალუტათა დ ე ვ ა ლ ვ ა ც ი ი ს პრაქტიკას მიმართავდა საშინაო დასაქმების სტიმულირების მიზნით. მაგალითად, თუ აშშ-ში უმუშევრობა გაიზრდებოდა, მას შეეძლო დოლარის დევალვირება, ფუნტი სტერ-

---

1.აქ რაციონალური სიტყვა უნდა ითქვას ტერმინოლოგიაზე .ადრე. მოცემულ თავში ჩვენ აღვნიშნავდით. რომ დოლარი ძვირდებოდა (უფასურდებოდა). როცა მისი საერთაშორისო ღირებულება იზრდებოდა (მცირდებოდა) სავალუტო ბაზარზე დოლარის მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილებათა შედეგად. ტერმინები "დევალვირება"და "რევალვირება" სახელმწიფოს მიერ მიღებულ ქმედებათა შედეგად ვალუტის საერთაშორისო ღირებულების შესაბამისი გადიდების ან შემცირების გამოსახატავად გამოიყენება.

ლინგის ფასის აწევით დოლარებში, 2,50-დან, ვთქვათ, 3 დოლარამდე 1 ფ.სტ.-ში. ეს აქცია ამერიკულ საქონელს გააიაფებდა ბრიტანულთან შედარებით, ხოლო ბრიტანულს კი გააძვირებდა ამერიკულთან შედარებით, ამერიკული ექსპორტის გადიდებით და იმპორტის შემცირებით. ამის შედეგად მიღებული წმინდა ექსპორტის ნამატი, რასაც კიდევ უფრო გაზრდიდა მულტიპლიკატორის ეფექტი, ხელს შეუწყობდა წარმოების მოცულობათა და დასაქმების გადიდებას აშშ-ში. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ ყოველ ქვეყანას ამ თამაშში მონაწილეობის შესაძლებლობა გააჩნია და უმრავლესობამ ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა მასში. ამით გამოწვეულმა დევალვაციათა ერთმანეთის მოქიშპე სერიებმა არავის მოუტანა სიკეთე; პირიქით, მათ ხელი შეუწყვეს მსოფლიო ვაჭრობის შემდგომ ძირის გამოთხრას. ამიტომ ბრეტონ-ვუდის ქვეყნები-კონფერენციის მონაწილეები იმ საერთო დასკვნამდე მივიდნენ, რომ ომისშემდგომმა საგალუტო სისტემამ სავალუტო კურსების საყოველთაო სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს, როცა შესაძლოა დამანგრეველი დევალვაციის თავიდან აცილება.

როგორი იყო ბმული რეგულირებადი სავალუტო კურსების სისტემა? ჯერ ერთი, ოქროს სტანდარტის ტრადიციების შენარჩუ-ნებით-სსფ-ს წევრ ყოველ ქვეყანას უნდა დაედგინა საკუთარი ფულადი ერთეულის ოქროშემცველობა (დოლარული) და ამით განესაზღვრა სავალუტო პარიტეტი საკუთარ და სხვა მონაწილე ქვეყნების ვალუტებს შორის. შემდგომ, ყოველ ქვეყანას უცვლელად უნდა შეენარჩუნებინა საკუთარი ვალუტის კურსი, ნებისმიერ სხვა ვალუტებთან.

მაგრამ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს ვალდებულებები? ფიქსირებული სავალუტო კურსების ანალიზიდან ვიცით,რომ ქვეყნებმა სავალუტო რეზერვები სავალუტო ბაზრების ფუნქციონირებაში ჩასარევად უნდა გამოიყენონ.დავუშვათ,მაგალითად,რომ ბრეტონ-ვუდის სისტემაში დოლარი "მიბმული "იყო ბრიტანულ ფუნტ სტერლინგთან 2 დოლ. = 1ფ.სტ., თანაფარდობით, რომ ფუნტზე ამერიკული მოთხოვნა დროებით იზრდება DD-დან D'D'-მდე (იხ. ნახ. 40-5), რის შედეგადაც ბმული კურსების პირობებში ფუნტების ab უკმარისობა წარმოიშობა.

როგორ შეუძლიათ აშშ-ებს 2 დოლ. = 1 ფ.სტ., კურსის საკუთარი ვალდებულებების შენარჩუნება, თუკი ახალი წონასწორობითი კურსი 3 დოლ. = 1 ფ.სტ.-ს ტოლი იქნება? პასუხი: აშშ-ს შეუძლია დამატებითი ფუნტები სავალუტო ბაზარზე გადაისროლოს, ფუნტის მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებით DD-ს გადაკვეთამდე, ხ წერტილში, და ამგვარად, 2 დოლ. = 1 ფ.სტ.-ს სავალუტო კურსის შენარჩუნებით.

სად იშოვის აშშ მისთვის საჭირო ფუნტებს? ბრეტონ-ვუდის სისტემის პირობებში ამის სამი მთავარი წყარო არსებობდა. ჯერ ერთი, იმ დროს აშშ-ს შესაძლოა ფუნტი "მასტაბილიზებელ ფონდში"ჰქონოდა, რაც სავალუტო ბაზარზე წინათ წარმოშობილი საპირისპირო სიტუაციის შედეგად იქმნება. შესაძლოა, ოდესღაც აშშ მთავრობამ დოლარები დახარჯა ფუნტების შესაძენად, რომელთა ნაშეტი საფრთხეს უქმნიდა ვალუტის კურსის შემცირებას 2 დოლ. = 1 ფ.სტ.-დან, ვიქვათ, 1 დოლ. = 1 ფ. სტ.-მდე. მეორე, აშშ მთავრობას შეეძლო ოქროს გარკვეული ნაწილი დიდი ბრიტანეთისთვის მიეყიდა ფუნტ სტერლინგებზე. გარიგებათა ფულადი ამონაგები შემდგომ სავალუტო ბაზარზე მოხვდება ფუნტების გასაფართოებლად. დაბოლოს, ფუნტების საჭირო რაოდენობა შეიძლება მიღებულიქნას სსფ-ს სესხის სახით. ბრეტონ-ვუდის სისტემაში შემავალი ქვეყნები ვალდებული იყვნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ სსფ-ში მათი ეროვნული შემოსავლის, მოსახლეობის რაოდენობის და ვაჭრობის მოცულობის შესაბამისად. ამრიგად, საჭირო შემთხვევაში აშშ-ს შეეძლო მოკლევადიანი კრედიტის აღება სსფ-ში ამ თანხის საკუთარი ვალუტით ანაზღაურებით.

საგადასახდელო ბალანსის ფუნდამენტური დარღვევები: შეთანხმებათა კორექტირება. ფიქსირებული სავალუტო კურსების ბრეტონ-ვუდის მსგავსი სისტემა კარგად ფუნქციონირებს მანამ, სანამ ცალკეული ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის დადებითი და უარყოფითი სალდოები მეტნაკლებად შემთხვევით წარმოიშობა და სიდიდით დაახლოებით თანაბარია. თუ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შარშანდელი აქტივი საკმარის ნამატს აძლევს სავალუტო რეზერვებს მოცემული წლის საგადასახდელო ბალანსის დასაფინანსებლად, მაშინ არანაირი პრობლემა არ წარმოიშობა.

მაგრამ რა მოხდება თუ აშშ, მაგალითად,"სერიოზულ დისბალანსს"წააწყდება საგარეო ვაჭრობასა და ფინანსებში, როდესაც ლაპარაკია საგადასახდელო ბალანსის მსხვილმასშტაბიან მუდმივ დეფიციტზე? ამ შემთხვევაში, ცხადია, აშშ საბოლოო ანგარიშში ამოწურავს საკუთარ რეზერვებს, და მაშასადამე,ვერ შეძლებს ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნებას.

ბრეტონ-ვუდის სისტემის შესაძლებლობა, საგადასახდელო ბალანსის სერიოზული დეფიციტების დევალვაციის გზით, ანუ ქვეყნის ფიქსირებული სავალუტო კურსის "მოწესრიგებული"შემცირების ხარჯზე დარეგულირებაში მდგომარეობდა. ბრეტონ-ვუდის სისტემის პირობებში სსფ თითოეული მონაწილე ქვეყანას ფონდის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, ვალუტის ღირებულების 10%-ით შეცვლის უფლებას აძლევდა საგადასახდელო ბალანსის სიღრმისეული მოშლის კორექტირების მიზნით. სავალუტო კურსების უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები ფონდის დირექტორთა საბჭოს სანქციას მოითხოვდა. სავალუტო კურსის დიდი ცვლილებების ნებართვის მოთხოვნით ფონდი ვარაუდობდა ქვეყნების ვალუტათა თვითნებური დევალვაციის შეზღუდვას, რომლებიც მის გამოყენებას ცდილობდნენ საკუთარი ეკონომიკის განვითარების სწრაფი სტიმულის სახით. ჩვენს მაგალითში დოლარის დევალვაცია ამერიკულ ექსპორტს გაზრდიდა და იმპორტს შეამცირებდა, საგადასახდელო ბალანსის მუდმივი დეფიციტის გამოთანაბრებისადმი ხელის შეწყობით

სავალუტო კურსების რეგულირებადი შეთანხმების სისტემის შემოღების მიზანი მსოფლიო სავალუტო სისტემის შექმნა იყო, რაც განასახიერებდა, როგორც ფიქსირებადი სავალუტო კურსების (ისეთს, როგორიცაა ოქროს სტანდარტის ძველი მსოფლიო სისტემა), ისე თავისუფლად მერყეევი სავალუტო კურსების სისტემის საუკეთესო თვისებებს. რისკისა და განუსაზღვრელობის შემცირებით, სავალუტო კურსების მოკლევადიანი სტაბილურობა-ფიქსირებული სავალუტო კურსები-ალბათ სტიმულს მისცემდა ვაჭრობას და ხელს შეუწყობდა მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას. სავალუტო კურსების პერიოდულმა რეგულირებამ-შეთანხმების რეგულირებამ, რაც სსფ-ს მეშვეობით ხორციელდება ქვეყნის გადახდისუნარიანობის მუდმივი ანუ ხანგრძლივვადიანი გადაადგილების საფუძველზე, უზრუნველყო ისეთი მექანიზმი, რომლის დახმარებითაც საგადასახდელო ბალანსების მყარი დისბალანსი-შესაძლოა დაძლეულ იქნას წარმოებისა და ფასების უმტკივნეულო ცვლილებათა გარეშე.

ბრეტონ-ვუდის სისტემის მსხვრევა. ბრეტონ-ვუდის სისტემა საერთაშორისო რეზერვების სახით ოქროსა და დოლარის გამოყენებას ითვალისწინებდა. ოქროს, როგორც გაცვლის საერთაშორისო საშუალების გამოყენება ადრეული პერიოდის ოქროს სტანდარტის სისტემაში მისი როლიდან გამომდინარეობს. ჯერ ერთი, მეორე მსოფლიო ომიდან აშშ ყველაზე უფრო მძლავრი ეკონომიკით გამოვიდა თავისუფალი მსოფლიოს ქვეყნებს შორის. მეორე, აშშ-მ ოქროს დიდი რაოდენობა დააგროვა და 1934-1971 წწ. პერიოდში ოქროს შესყიდვისა და უცხოურ ფინანსურ ორგანიზაციებზე მისი მიყიდვის პოლიტიკას ატარებდა 1 უნცია ოქროზე 35 დოლ. ფიქსირებული ფასით.[1] ამრიგად, დოლარი ოქროზე გადაიყვანებოდა წარდგენისთანავე; დოლარი განიხილებოდა, როგორც ოქროს შემცვლელი და ამიტომ "ისეთივე კარგად ითვლებოდა, როგორც ოქრო".

დოლარის როგორც მსოფლიო სავალუტო რეზერვების შემადგენელი ნაწილის გამოყენების თვით იდეა თავისთავში დილემის ჩანასახებს შეიცავდა. გავაანალიზოთ სიტუაცია, თუ როგორ ვითარდებოდა იგი 50-60-იან წლებში. ოქროს-როგორც მსოფლიო ფულის პრობლემა-ოქროს რაოდენობაში მდგომარეობდა. მსოფლიო ფულის მარაგების ზრდა დამოკიდებულია ახლად მოპოვებული ოქროს მოცულობაზე, რომლისგანაც გამოირიცხება სპეკულაციის, მრეწველური ან საიუველირო მიზნით გადანახული რაოდენობა. სამწუხაროდ, ოქროს მარაგების ზრდა ჩამორჩებოდა საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების სწრაფად გაფართოებად მასშტაბებს. ამიტომ დოლარმა თავისი მნიშვნელობით მსოფლიო სავალუტო რეზერვის მზარდი როლი შეიძინა. კითხვა: მსოფლიოს ქვეყნები როგორ ღებულობენ დოლარებს სარეზერვო ვალუტის სახით? პასუხი: აშშ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შედეგად. სამი ოთხი წლის გამოკლებით, აშშ საგადასახდელო ბალანსი 50-60-იან წლებში,ძირითადში, უარყოფითი იყო. ეს დეფიციტი მზარდი უცხოური დოლარული აუარებით ფინანსდებოდა (ხოლო როგორც გახსოვთ 1971 წლამდე დოლარი "ისეთივე კარგი იყო როგორც ოქრო"). უცხოელთა ხელში მყოფი დოლარების რაოდენობის ზრდის კვალობაზე აშშ-ს ოქროს რეზერვები თანდათან იფიტებოდა, სხვა ქვეყნები კი იძლეოდნენ შეკითხვას: ნუთუ დოლარი

1.1 უნცია = 28.3 გრამ ოქროს.-მთარგმნელის შენიშვნა.

მართლაც"ისეთივე ჯრგი ეოროგორც ქრო?"დოლარის ქროში შექცევადობის უნარის შენარჩუნება აშშ-ს მიერ სულ უფრო საეჭვო ხდებოდა და ამიტომ საეჭვო იყო თვით დოლარის, როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის საზოგადოდ მიღებული როლი. აქედან დილემა: „...დოლარის, როგორც სარეზერვო საშუალების სტატუსის შენარჩუნებისათვის აუცილებელია აშშ საგადასახდელო ბალანსისდეფიციტისაღმოფხვრა.მაგრამ დეფიციტის ლიკვიდაცია სისტემისათვის დამატებითი დოლარული რეზერვების წყაროს ამოწურვის მანიშნებელი იქნებოდა".[1] აშშ-ს უნდა შეეკვეცა ან აღმოეფხვრა საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი დოლარისათვის მსოფლიო ვალუტის სტატუსის შესანარჩუნებლად. მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი შეანელებდა საერთაშორისო რეზერვების ანულიკვიდობის ზრდას და ამიტომ საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების შეზღუდვას გამოიწვევდა.

ეს პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დადგა 70-იანი წლების დასაწყისში. საგადასახდელო ბალანსის მყარი და მზარდი დეფიციტის გამო პრეზიდენტმა რ.ნიქსონმა 1971წ. 15 აგვისტოს შეაჩერა დოლარის ოქროში კონვერტირება. ეს შეჩერება ოქროს დოლარზე გაცვლის პოლიტიკის დასასრული გახდა, როდესაც 35 დოლარი 1 უნცია ოქროზე იცვლებოდა და რამაც 37 წელს იარსება. ახალმა პოლიტიკამ კავშირი გაწყვიტა ოქროსა და დოლარის ინტერნაციონალურ ღირებულებას შორის, დოლარის "ცურვაში"გაშვებით და საბაზრო ძალებისადმი მისი ღირებულების განსაზღვრის უფლების მიცემით. დოლარის თავისუფალმა მერყეობამ ფიქსირებული კურსების ბრეტონ-ვუდის ძველ სისტემას ამერიკული მხარდაჭერა წაართვა და სამგლოვიარო ზარით მისი გარდაცვალება გვაუწყა.

მართვადი ცურვა

ამ ხნის განმავლობაში აღმოცენებული ვალუტის კურსების აღწერა არც ისე იოლია. ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი, როგორც მართვადი მცურავი სავალუტო კურსების განსაზ-

---

1.Delbert A.Snider. Introduction to International Economics.7th ed.Homewood,III.:Richard D.Irwin.Inc.,1979.გვ.352.

ღვრა. ერთი მხრივ, საზოგადოდ მიღებულია, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ცვალებადი პირობები სავალუტო კურსების მუდმივ შეცვლას მოითხოვს, საგადასახდელო ბალანსის მყარი უარყოფითი ან დადებითი სალდოების თავიდან ასაცილებლად; მეორე მხრივ, სავალუტო კურსების მოკლევადიანმა ცვლილებებმა, რომლებიც შესაძლოა გაძლიერდეს ყიდვა-გაყიდვის სპეკულიაციური ოპერაციებით,შეიძლება მისი ნაწილობრივი და მნიშვნელოვანი მერყეობები გამიწვიოს, რომლებიც სერიოზულად მოშლიან სავაჭრო და ფინანსურ ნაკადებს. ამიტომ, არსებობს საერთო შეთანხმება,რომ სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმა უცხოური ვალუტა უნდა შეიძინონ და გაყიდონ მისი კურსების მსგავს მერყეობათა შესარბილებლად. სხვა სიტყვებით, ცენტრალურმა ბანკებმა უნდა "მართონ"თავიანთი ქვეყნების ვალუტის კურსის მოკლევადიანი სპეკულაციური ცვლილებები, მოახდინონ მათი სტაბილიზება. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტები დაფიქსირებულია სსფ-ში შემავალი წამყვანი ქვეყნების ჯგუფის მიერ 1976წ. ამრიგად, იდეალში, ახალი სისტემა სავალუტო კურსებს არა მხოლოდ საგადასახდელო ბალანსების დაუბალანსებლობის გამოთანაბრების საჭირო მოქნილობას მიანიჭებს, არამედ უზრუნველყოფს კიდევაც, მათ მოკლევადიან სტაბილურობას საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების შენარჩუნების მიზნით.

მართლაც, ახლანდელი სავალუტო სისტემა რამდენადმე რთულია, წინა პარაგრაფში აღწერილზე. მაშინ, როდესაც წამყვანი ვალუტები, ისეთები, როგორიცაა ამერიკული და კანადური დოლარები, იაპონური იენა,ბრიტანული ფუნტი სტერლინგი, მერყეობენ ან ცურავენ მოთხოვნისა და მიწოდების შეცვლილი პირობების შესაბამისად, ევროპის "საერთო ბაზრის"ქვეყნების უმეტესობა კი თავიანთი ვალუტების მიბმას ცდილობს ერთმანეთისადმი. უფრო მეტიც,ბევრი სუსტად განვითარებული ქვეყანა საკუთარ ვალუტას რომელიმე წამყვან, მრეწველურად განვითარებული ქვეყნის ვალუტას მიაბამს. ასე მაგალითად, ორმოცამდე სუსტად განვითარებულმა ქვეყანამ საკუთარი ვალუტა დოლარს „მიაბა". დაბოლოს, ზოგიერთი ქვეყნები თავიანთი ვალუტის ღირებულებას სხვა ვალუტათა "კალათას" ან ჯგუფს აბამენ.

რამდენად ეფექტიანად მუშაობს მარცვადი მცურავი კურსების სავალუტო სისტემა? თუმცა ამ სისტემის გამოცდილება ისტორიული თვალსაზრისით ძალზე ხანმოკლეა და ამიტომ საკმარისი

როდია საბოლოო შეფასებისათვის, მაგრამ სისტემას როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგებიც გააჩნია.

„მომხრეები“.სისტემის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მისი ხანმოკლე არსებობის პერიოდში იგი კარგად ფუნქციონირებდა, ბევრად უფრო კარგად, ვიდრე ვარაუდობდნენ.

1.ვაჭრობის ზრდა. ჯერ-ერთი, საავალუტო კურსების მერყეობებმა არ გამოიწვიეს მსოფლიო ვაჭრობისა და ფინანსების შეკვეცა, რასაც სკეპტიკოსები ვარაუდობდნენ.მართლაც მსოფლიო ვაჭრობის ფიზიკური მოცულობა მართვადი მცურავი საავალუტო კურსების პირობებში, დაახლოებით იგივე ტემპებით იზრდებოდა, როგორც ფიქსირებული საავალუტო კურსების დროს წინა ოთხი ათწლეულის მანძილზე.

2.შერყევების მართვადობა. მომხრეები ამტკიცებენ, რომ მართვადმა ცურვამ მკაცრი ეკონომიკური შერყევები გადაიტანა,რომლებიც ერთ-ეროი ავტორიტეტული პირის მოსაზრებით,არაერთხელ გატეხავდა წელში ფიქსირებული კურსების რეჟიმს[1].კერძოდ, ისეთმა დრამატულმა მოვლენებმა,როგორიცაა საოფლო-სამეურნეო წარმოების მსოფლიო დაქვეითება 1971-1974წწ.,ნავთობის ფასების უპრეცედენტო ზრდა 1973-1974წწ.,მსოფლიო სტაგფლაცია 1974-1976 და 1981-1983წწ.,საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების სერიოზული დაუბალანსებლობა გამოიწვიეს. ცნობილია,რომ მოქნილმა საავალუტო კურსებმა გააადვილეს ამ ძვრებისადმი შეგუების პროცესი საერთაშორისო მასშტაბით,მაშინ,როცა ანალოგიური მოვლენები აუტანელ ზეგავლენას მოახდენდნენ ფიქსირებული კურსების სისტემაზე.

„მოწინააღმდეგეები“. ბევრი მნიშვნელოვანი არგუმენტი არსებობს იმ საავალუტო კურსების სისტემის სასარგებლოდ, რომელიც მეტი სტაბილურობით ხასიათდება. ისინი ვინც ფიქსირებული საავალუტო კურსების მომხრედ გამოდიან, ახლანდელი სისტემის პრობლემებს ხედავენ.

1.ცვალებადობა და შეგუება. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს მართვადი საავალუტო კურსები მეტისმეტად არამყარია .ისინი

1.Mordechai E. Kreinin.U.S.Foreign Economic Policy:AnOverview //Jornal of Economic Issues.1980.გვ.715

მაშინაც კი იცვლებოდნენ, როდესაც მოცემული ქვეყნის შესაბამისი ეკონომიკური და ფინანსური პირობები ერთობ სტაბილური იყო. კრიტიკოსთა მოსაზრებით, მართვადმა ცურვამ თავი ვერ გაართვა საგადასახდელო ბალანსის დისბალანსს, როგორც ამას ფიქსირებული სავალუტო კურსები შეძლებდნენ (ვარაუდით). ამრიგად, უკანასკნელ წლებში აშშ სავაჭრო ბალანსი მუდმივ დეფიციტს განიცდიდა, მაშინ როცა დასავლეთ გერმანიას და იაპონიას მყარი დადებითი სალდო გააჩნდათ. დოლარის, იენის, მარკის საერთაშორისო ღირებულების ცვლილებებმა ვერ გამოასწორეს ეს დისბალანსები.

2.არასისტემა? სკეპტიკოსები თვლიან, რომ მართვადი ცურვა არსებითად "სისტემა არაა".ე.ი. ის წესები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც საკუთარი ვალუტის კურსის მიმართ ყოველი ქვეყნის ქცევას განსაზღვრავენ, არასაკმაოდ მკაფიო და სავალდებულოა სისტემის ქმედითუნარიანად გადაქცევისათვის ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით. საერთოდ, ცალკეული ქვეყნები გვერდს ვერ აუვლიან სავალუტო ბაზრების ფუნქციონირებაში ჩარევის ცდუნებას, არა უბრალოდ მათი ვალუტის მოკლევადიანი ან სპეკულაციური მერყეობის შერბილების მიზნით, არამედ საკუთარი, ქრონიკულად სუსტი ვალუტისადმი სერიოზული დახმარების აღმოსაჩენად.სხვა შემთხვევაში ისინი გვერდს ვერ აუვლიან საკუთარი ვალუტის ღირებულებით მიზანდასახული მანიპულირების ცდუნებას საშინაო სტაბილეზების მისაღწევად. მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს საფრთხე, რომ დროთა განმავლობაში სერიოზული აქცენტი გაკეთდება სავალუტო კურსების "მართვაზე", ვიდრე"თავისუფალ ცურვაზე", რამაც შეიძლება ახლანდელი სისტემის ფატალური კრახი გამოიწვიოს.

მაგალითი. 1976წ. იაპონია,იენის კურსის შესამცირებლად, სავალუტო ბაზრების საქმიანობაში ჩარევაში დაადანაშაულეს. მიზანი რასაც ამ შემთხვევაში თითქოსდა იაპონია მისდევდა, ვაჭრობაში უპირატესობის მიღება იყო, საკუთარი ექსპორტის გაიაფების ხარჯზე. იაპონიის ექსპორტის სტიმულირება იენის კურსის ხელოვნური შემცირებით, უმუშევრობის შემცირებისა და იაპონიის ზრდის ტემპების გადიდებისკენ იყო მიმართული, ვისი ეკონომიკაც ამ პერიოდში გაფერმკრთალდა.

შეიძლება სხვა მაგალითის მოტანა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სავალუტო კურსები უმეტესწილად "მართვადი"იყო, ვიდრე"მცურავი". 1987წ. მრეწველურად განვითარებული წამყვანი ქვეყნების "შვიდეულმა"-აშშ-მ, დასავლეთ გერმანიამ, იაპონიამ, დიდმა

ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ და კანადამ-გადაწყვეტილება მიიღეს დოლარის კურსის სტაბილიზაციის შესახებ. წინა ორი წლის განმავლობაში იგი სწრაფად ეცემოდა აშშ საგადასახდელო ბალანსის დიდი დეფიციტის გამო. მართალია,აშშ სავაჭრო დეფიციტი ისევ დიდი იყო, მაგრამ დოლარის შემდგომი გაუფასურება, საერთო მსაზრებით დამღუპველი იქნებოდა "შვიდეულის" ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. ამიტომ დოლარის ღირებულების შენარჩუნების ინტერესებისათვის "შვიდეულის"ქვეყნების სავალუტო ბაზრებზე, მათ დოლარები დიდი რაოდენობით შეისყიდეს. 1987 წლიდან,"შვიდეულის"ქვეყნები პერიოდულად მიმართავდნენ სავალუტო ინტერვენციას დოლარის შეფარდებითი სტაბილურობის მიღწევის მიზნით. ეს ხომ არაა მრეწველურად განვითარებული ქვეყნების მიერ მოქნილი სავალუტო კურსების სისტემის სერიოზული ნაკლოვანების აღიარება?

„ნაფიცთა სასამართლო"ღღემდე ვერ მიეიდა საერთო მოსაზრებამდე და ვერ გამოიტანა მართვადი ცურვის ვერანაირი მკაფიო შეფასება:"მოქნილმა სავალუტო კურსებმა ვერ შეძლეს ვერც მის მომხრეთა ყველაზე უფრო გაბედული ოცნების რეალიზება და ვერც მოწინააღმდეგეთა შიშის დადასტურება. მაგრამ, ისინი მრეწველურად განვითარებულ წამყვან ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკისათვის სრული აფეთქებასაშიში ორი ათწლეულის გაელაში დაეხმარნენ".[1]

საგარეო ვაჭრობის "კრიზისი"?

80-იან წლებში ამერიკული იმპორტი შესამჩნევად გაიზარდა ექსპორტთან შედარებით. 40-6 ნახაზი მოცემულ ტენდენციებს ასახავს და სასაქონლო ვაჭრობის დეფიციტის ამის შედეგად გამოწვეულ ზრდას გვიჩვენებს. იგი 1980წ. დაახლოებით 25 მლრდ დოლარიდან 160მლრდ-მდე გაიზარდა 1987წ. აშშ მიმდინარე ოპერაციების ბალანსი ანალოგიურ მკვეთრ დაცემას გვიჩვენებს. 1980წ. აშშ მიმდინარე ოპერაციების აქტიური სალდო 2 მლრდ დოლარზე მეტი იყო,1987წ. კი იგი დეფიციტური გახდა და 100 მლრდ-ს მიაღწია.

1.Richard E.Caves,Ronald W.Jones. World Trade and Payments.3d ed.Boston:Little,Brown and Company.1981.გვ.471.

როგორია საგარეო ვაჭრობის ასეთი უზარმაზარი დეფიციტის მიზეზები? რა ღონისძიებებს შეუძლია ამ ე.წ. საგარეო ვაჭრობის კრიზისის გადალახვა?

სავაჭრო დეფიციტის მიზეზები

საზოგადოდ ცნობილია აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის სამი მთავარი მიზეზი. ჯერ ერთი, 1980-1989წწ. პერიოდში დოლარის კურსი მკვეთრად გაიზარდა ამერიკის ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტასთან შედარებით. უფრო მეტიც, დოლარის ღირებულების მკვეთრმა დაცემამ 1985 და 1986 წლებში არ გამოიწვია სავაჭრო დეფიციტის დაუყოვნებლივი შემცირება. მეორე, აშშ ეკონომიკა მასთან მოვაჭრე, მრეწველურად განვითარებულ სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდა. დაბოლოს, უზარმაზარი ვალებით დამძიმებულმა სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა შეკვეცეს ამერიკულ საქონელთა შეძენა.

დოლარის ცეკვა. როგორც 40-7 ნახაზზეა ნაჩვენები 1980-1985 წწ. პერიოდში დოლარის ინტერნაციონალური ღირებულების მკაფიოდ გამოხატული აღმავლობა შეინიშნებოდა. აქ დოლარის ღირებულება შედარებულია ათი სხვა ვალუტის ღირებულებასთან (შეწონილია ყოველ ქვეყანასთან ვაჭრობის მოცულობის მიხედვით)1984წ. ბოლოსათვის დოლარი 65%-ით მეტი იყო 1980წ. მის საშუალო ღირებულებაზე და ყველაზე უფრო მაღალ დონეზე იმყოფებოდა 1973წ. მცურავი სავალუტო კურსის შემოღების დროიდან. როგორც თქვენ გახსოვთ (ნახ.40-4), ძლიერი (ამაღლებული) დოლარი ნიშნავს, რომ ამერიკელებს სხვა ქვეყნის ვალუტა უფრო იაფი უჯდებათ, და პირიქით, დოლარი უფრო ძვირი ღირს უცხოელებისათვის.

აღნიშნულის გამო, უცხოური საქონელი ამერიკელებისათვის უფრო გაიაფდა და ამიტომ მისი იმპორტი იზრდება. პირიქით, ამერიკული საქონელი გაძვირდა უცხოელებისათვის და მისი ექსპორტი ეცემა.

მაგრამ 1980-დან 1985 წლამდე პერიოდში დოლარის ღირებულება რატომ გაიზარდა? ყველაზე ზოგადი სახით შეიძლება ითქვას, რომ სარგებლის რეალური განაკვეთები აშშ-ში-სარგებლის ნომინალური განაკვეთები ინფლაციის ტემპების გამოკლებით-გაიზარდა სხვა ქვეყნებთან შედარებით.სარგებლის მაღალმა რეალურმა განაკვეთებმა აშშ



სახა'სი 40-6. აშშ საქონლური ექსპორტი და იმპორტი და სავაჭრო ბალანსი უკასასკნელ წლებში აშშ სავაჭრო ბალანსის მკვეთრი 'სრდა აღირი'შნებოდა



ნახა'სი 40-7.დოლარის ინტერსაციონალური ღირებულება

1980-1985 წლებში დოლარის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა წამყვან ვალუტებთან შედარებით.ამის შედეგად ამერიკული იმპორტის გადიდებისა და ექსპორტის შემცირების ტენდენცია დაისახა.1985-1987წწ.დოლარის კურსი მკვეთრად შემცირდა, მაგრამ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი შესარჩუნებულია.

უცხოელთა საინვესტიციო საქმიანობის ეროერთ მიმზიდველ ადგილად

გადააქცია. ამის შედეგად, კაპიტალურ დაბანდებებზე გამიზნულ დოლარებზე მოთხოვნა გაიზარდა, ხელი შეუწყო რა მისი ღირებულების გადიდებას.

ახლა ჩვენ უნდა ვიკითხოთ, ამერიკაში სარგებლის რეალური განაკვეთები რატომ იყო შედარებით მაღალი. ამ კითხვის პასუხი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ჯერ ერთი, ზოგიერთი ეკონომისტი სარგებლის მაღალი განაკვეთის მიზეზად ფედერალური ბიუჯეტის მნიშვნელოვან დეფიციტს ასახელებს 80-იან წლებში. სახელმწიფო, რომელიც სესხს იღებს თავისი დეფიციტის დასაფინანსებლად, ფულზე მოთხოვნას ზრდის, რაც ხელს უწყობს სარგებლის განაკვეთის მკვეთრ ნახტომს. მეორე, 1979წ. ინფლაციის ალაგმვის მცდელობისას აშშ-მ კურსი შეცვალა უფრო მკაცრი ფულადი პოლიტიკის მიმართულებით. ამან სარგებლის განაკვეთების გადიდება გამოიწვია,ფულის მიწოდების შემცირების გამო, მასზე მოთხოვნასთან შედარებით. არაპირდაპირ, ინფლაციის უფრო დაბალი დონე უცხოურ ინვესტორთა მაღალ მოთხოვნას ინარჩუნებდა დოლარებზე, ვინაიდან დაბალი ინფლაცია ნიშნავს მოგების უფრო მაღალ რეალურ ნორმას აშშ ინვესტიციებში.

1985 წლისათვის ბიუჯეტურმა დეფიციტმა აშშ-ში 122 მლრდ დოლარს მიაღწია. შემდგომ ურთიერთქმედებაში შევიდა ორი ფაქტორი, რომლებიც ოკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხელს უწყობდა დოლარის ღირებულების მკვეთრ შემცირებას. ჯერ-ერთი, მრეწველურად განვითარებულმა ხუთმა ქვეყანამ-აშშ-მ, დასავლეთ გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იაპონიამ-გადაწყვიტეს დოლარის ქვევით წაბიძგება, აშშ დიდი საგარეო სავაჭრო დეფიციტის უარყოფითი სალდოსა და იაპონიისა და სხვა ქვეყნების დადებითი სალდოს გამოთანაბრების მიზნით. კერძოდ, დოლარის ღირებულების შესამცირებლად ეს ხუთი ქვეყანა შეთანხმდა. გაეზარდათ დოლარის მიწოდება სავალუტო ბაზარზე. მეორე, აშშ-ში მკვეთრად გაიზარდა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა, რაც [illegible] ფასის მზარდი მოცულობის ანაზღაურებაზე მოდის. იენაზე, ფუნტზე და სხვა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ამ გაფართოებამ, თავის მხრივ,მოცემულ ვალუტაზე ღირებულება გაზარდა დოლარის მიმართ.რიგორც 40-7 ნახაზზეა ნაჩვენები, 1985-1988წწ დოლარის ღირებულება მკვეთრად დაეცა სხვა ვალუტების მიმართ.

დოლარის კურსის ძლიერ დაცემის მიუხედავად 1985-დან 1987 წლამდე, აშშ საგარეო ვაჭრობის დაუბალანსებლობა ისევ რჩებოდა. რატომ? ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ იაპონიამ და სხვა უცხოურმა

იმპორტიორებმა უცბად როდი ასწიეს საქონელთა ფასები დოლარებში იმავე ზომით, რა ზომითაც დოლარის ინტერნაციონალური ღირებულ ება დაეცა. ამიტომ გარკვეული დროის მანძილზე იმპორტი აშშ-ში იზრდებოდა, ჭარბობდა რა ექსპორტს. გარდა ამისა, გაიხსენეთ, რომ 1987 წ "შვიდეულის" ქვეყნები შეთანხმდნენ შეეჩერებინათ დოლარის ღირებულების დაცემა. აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის შემცირება მხოლოდ 1988წ. მეორე ნახევარში დაიწყო.

ამერიკის ეკონომიკის სწრაფი ზრდა. საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის მეორე მიზეზი ის იყო, რომ აშშ-ში ეკონომიკური აღმავლობა 1980-1982წწ. წარმოების მსოფლიო დაქვეითების შემდეგ, უფრო ენერგიული იყო, ვიდრე მისი სავაჭრო პარტნიორებისა. ასე მაგალითად, ამერიკის ეკონომიკის ზრდის ტემპები 1983წ. ევროპულს 2-ჯერ, ხოლო 1984წ. 3-ჯერ აჭარბებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტემპებში განსხვავება 1985-1988 წწ.შემცირდა, აშშ მაინც წინ უსწრებდა ამ მაჩვენებლით ევროპულ ქვეყნებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც, საშინაო მოხმარების მსგავსად, ქვეყნის მიერ უცხოურ საქონელთა შესყიდვა (მისი იმპორტი) პირდაპირ კავშირშია ეროვნული შემოსავლის დონესთან. აშშ ეროვნული შემოსავლის სწრაფი ზრდის გამო, იმპორტიც ასევე სწრაფად ფართოვდებოდა. ეროვნული შემოსავლის შენელებული ზრდა სხვა ქვეყნებში, მათი იმპორტის (ამერიკის ექსპორტის) ნელ ზრდას ნიშნავდა.

ექსპორტი სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში. აშშ უზარმაზარი საგარეო სავაჭრო დეფიციტის მესამე ფაქტორი, მისი ექსპორტის მკვეთრი გადიდება გახდა სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების საგარეო დავალიანების წარმოშობის მნიშვნელოვანი მიზეზი საგარეო ვაჭრობის მსხვილი დეფიციტის დაფინანსების პრაქტიკა გახდა, ინდუსტრიული ქვეყნებიდან აღებული სესხების დახმარე-ბით.ვალის გადავადებისა და გარდაქმნის შემადგენელი ნაწილის სახით 80-იან წლებში სუსტადგანვითარებული ქვეყნები შეთანხმდნენ შეემცირებინათ სავაჭრო ბალანსების დეფიციტები. ასე მაგალითად, მათ შეამცირეს იმპორტი ფულადი და საგადასახდელო პოლიტიკის გამკაცრებით, ეროვნული შემოსავლის ზრდის შეზღუდვის მიზნით. იმპორტის ეს შემცირება, ნაწილობრივ ამერიკულ საქონელს, ე.ი. ამერიკულ ექსპორტსაც შეეხო. ბევრი სუსტადგანვითარებული ქვეყანა, სახელმწიფო დეკრეტებით საკუთარი ვალუტების დევალვირებას მიმართავდა, ანუ სხვა სიტყვებით, საკუთარ ვალუტათა გასაცვლელ კურსს

ამცირებდა. დევალვაცია ზღუდავს მათ იმპორტს და სტიმულს აძლევს ექსპორტს. ამრიგად, სუსტადგანვითარებული ქვეყნები ნაკლებს ყიდულობენ და მეტს მიყიდიან მას.

აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის შედეგები

როგორია აშშ საგარეო ვაჭრობის კრიზისის შედეგები? საგარეო სავაჭრო დეფიციტი, როგორც უარყოფით, ისე დადებით მომენტებსაც იწვევს.

ერთობლივი მოთხოვნის უძრაობა. საგარეო სავაჭრო დეფიციტი-ხოლო უფრო ზუსტად, უარყოფითი წმინდა ექსპორტი-ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს, და ამრიგად, ეროვნული წარმოებისა და დასაქმების რეალური მოცულობის დონესაც მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით. მართალია ეს ფაქტორი უმუშევრობას ინარჩუნებდა სრული დასაქმების დონეზე ქვევით, 80-იანი წლების საკმაოდ მნიშვნელოვან მანძილზე, მაგრამ იგი ხელს უწყობდა ინფლაციის შენერებას. ძლიერი (ძვირი) დოლარი ფასებს ამცირებს ყველა იმპორტულ საქონელზე. უფრო მეტიც, იმპორტის მოცულობის გადიდება ამცირებს ადგილობრივი წარმოების კონკურენტულ საქონელთა ფასებს.

სავაჭრო დეფიციტის შემაკავებელ გავლენას საკუთარ თავზე ძირითადში ის დარგები განიცდიან, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებული საექსპორტო ბაზრებზე, ან ყველაზე უფრო წარმატებით უწევენ კონკურენციას იმპორტს. ზოგიერთი პრობლემები, რასაც ამერიკელი ფერმერები, ავტომშენებლები და მეფოლადეები უკანასკნელ ათწლეულში აწყდებიან,დიდადაა დაკავშირებული ძლიერ დოლართან და საგარეო სავაჭრო დეფიციტთან.თავის მხრივ, ამ გართულებებმა მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი პოლიტიკური დაწოლის ზრდას პროტექციონისტულ ღონისძიებათა შემოღების სასარგებლოდ, რაზეც ლაპარაკი იყო 39-ე თავში. მათ ასევე ინტერესი გააძლიერეს მრეწველური პოლიტიკისადმი (იხ.34-ე თავის ბოლო შტრიხი), რაც მიმართული იყო "საკვანძო"დარგებისათვის სპეციალური დახმარებაზე, რასაც, როგორც ვარაუდობენ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამერიკის ინდუსტრიული უპირატესობისათვის.

აშშ მზარდი დავალიანება. საგარეო სავაჭრო დეფიციტი ასევე "არახელსაყრელად"ითვლება, რამდენადაც იგი უცხოელებისადმი ამერიკელთა მზარდი დავალიანებით ფინანსდება. საგარეო სავაჭრო დეფიციტი-ის ფაქტი, რომ ამერიკულ საქონელთა და მომსახურების

ექსპორტი არ ფარავს საქონელთა და მომსახურების იმპორტს-ნიშ-ნავს რომ, მისი დაფინანსებისათვის ამერიკამ ვალი უნდა აიღოს მთელი მსოფლიოსაგან. საერთაშორისო ვაჭრობაში ამერიკის "წინწაწევის ანაზღაურების"ეს უუნარობა ძირითადში განმარტება, როგორც მისი ეკონომიკის სისუსტის ნიშანი და ამიტომ იგი არასასურველია. მაგრამ ეკონომისტები იმაზე მიუთითებენ, რომ წარმოშობის მომენტში საგარეო ვაჭრობის დეფიციტი ანუ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშების ბალანსის დეფიციტი, აშკარად ხელსაყრე-ლია ამერიკელი მომხმარებლისათვის. საბოლოოდ, საგარეო სავაჭრო დეფიციტი ნიშნავს, რომ ამერიკელებს მეტი საქონელი და მომსახუ-რება შემოაქვთ მთელი მსოფლიოდან, ვიდრე გააქვთ დანარჩენ ქვეყნებში. საგარეო სავაჭრო დეფიციტი, ცხოვრების დონეს ამაღლებს ქვეყანაში, მისი აღმოცენების პერიოდში.

სავაჭრო ბალანსის დეფიციტთან დაკავშირებულია ის ფაქტი, რომ 1985წ.,პირველად 1914 წლიდან მოყოლებული აშშ წმინდა კრედიტო-რიდან წმინდა მევალედ გადაიქცა. ეს ნიშნავს, რომ აშშ-ს უცხოელთა მეტი ვალი აქვს, ვიდრე უცხოელებს ამერიკისა. გაიხსენეთ, რომ მიმდინარე ოპერაციების მიხედვით დეფიციტი უპირატესად აშშ-ში კაპიტალთა წმინდა მოდენით ფინანსდება. უხეშად რომ ვთქვათ, როდესაც აშშ ექსპორტი საკმარისი არაა იმპორტის ასანაზღაურებლად, განსხვავება უცხოური კრედიტების ხარჯზე, ანუ,სხვა სიტყვებით, ვალებში ჩაძვრომის ხარჯზე ფინანსდება.ამერიკის დიდი სავაჭრო დეფიციტის დაფინანსება, იმის მიზეზი გახდა, რომ უცხოელებმა ვალის მეტ ვალდებულებათა აკუმულაცია იწყეს ამერიკის აქტივებზე, ვიდრე ამერიკამ უცხოურ აქტივებზე: 1987წ.აშშ საგარეო ვალმა 368 მლრდ-ს მიაღწია, რამაც ქვეყანა უდიდეს მევალედ გადააქცია მსოფლიოში. ერთერთი შედეგი, რაც წმინდა მევალის სტატუსიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ ამერიკას უკვე არ შეუძლია შემდგომი დაფინანსებისა და სარგებლის წმინდა მოდენის იმედი ჰქონდეს (იხ.საგადასახდელო ბალანსის მე-7 პუნქტი 40-1 ცხრილში) საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში დეფიციტის დასაფინანსებლად. მეორე შედეგი ისაა, რომ ამერიკულ კორპორაციათა სულ უფრო მეტი ნაწილი უცხოელთა ხელში გადადის.

აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის ზეგავლენა მისი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკაზე პირდაპირ საწინააღმდეგოა. იაპონიის, დასავლეთ გერმანიის და დიდი ბრიტანეთის მიმდინარე ოპერაციათა ბალანსები აქტივებით იხურება. ეს ქვეყნები ინფლაციური ტენდენცი-ებისა და მათ საექსპორტოდ ორიენტირებული დარგების გაუგონარ

ზრდას აწყდება. ისინი ამერიკული ვალის დაფინანსებაში თავიანთ მონაწილეობას ადიდებენ.

80-იანი წლების შუახანებში დოლარის მომატებულმა კურსმა დამატებითი პრობლემები შექმნა იმ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთაც მნიშვნელოვანი გადაუხდელი დოლარული ვალი გააჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ კაპიტალი და სარგებელი დოლარებში გადაიხდება, მისმა გაძვირებამ გააძლიერა მათი რეალური საგადასახადო ტვირთი. ნავთობის იმპორტიორი ქვეყნებისათვის პრობლემა იმით რთულდება, რომ ნავთობის ფასები, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მიერ დოლარებში წესდება. ეს ნიშნავს, რომ დოლარის კურსის მომატება ნავთობის ფასის მომატების ტოლფასია. მოცემული პრობლემები ნაწილობრივ მოიხსნა, მაგრამ არ აღმოფხვრილა დოლარის ღირებულების შემცირებით 1985-1987წწ.

აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის შემცირების ღონისძიებები

სახელმწიფო პოლიტიკის რა ღონისძიებებს შეუძლია აშშ-ს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირება? უფრომეტად რეგულირების ორ სახეობას ასახელებენ: ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას და საზღვარგარეთ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ღონისძიებებს.

ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება.ზოგიერთი ეკონომისტი აღიარებს, რომ აშშ საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შენარჩუნების განმაპირობებელი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია ფედერალური ბიუჯეტის ყოველწლიური დიდი დეფიციტი. მოაქვთ მოსაზრებები, რომ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის მასშტაბების შემცირება დააქვეითებს სარგებლის რეალურ განაკვეთებს აშშ-ში,სხვა ქვეყნებთან შედარებით. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო მოთხოვნის შემცირება ფულად საშუალებებზე, რომლებიც ბიუჯეტის დაფინანსებისთვისაა საჭირო, სარგებლის საშინაო განაკვეთების შემცირებას გამოიწვევს, და ამრიგად, აშშ-ში ფინანსურ ინვესტიციებს ნაკლებმიმზიდველს გახდის უცხოელებისათვის. დოლარზე მოთხოვნა უცხოელთა მხრივ, ამიტომ დაქვეითდება და დოლარი გაუფასურდება. დოლარის გაიაფება ხელს შეუწყობს აშშ ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას,რის შედეგადაც გამოვლინდება საგარეო სავაჭრო დეფიციტის გამოთანაბრების ტენდენცია. ძნელი როდია შევნიშნოთ, რომ ეს სცენარი 20-2 ნახაზზე წარმოდ-

გენილის პირდაპირ საწინააღმდეგოა. მკითხველს ვურჩევთ მეხსიერებაში აღიდგინოს ამ ნახატის ანალიზი.

ნუთუ დოლარის "მართვადი" გაუფასურება, რასაც "შვიდეული"ახორციელებს, აშშ-ს სავაჭრო დეფიციტის შემცირებას გამოიწვევს ბიუჯეტური დეფიციტის შემცირების გარეშე? შესაძლებელია, მაგრამ ეს სადაო მომენტია. ამერიკის სავაჭრო პარტნიორები დაინტერესებული არ არიან, დოლარს 1988წ. დონეზე დაბლა დაქვეითების შესაძლებლობა მისცენ, თუ თვითონ ამერიკელები ვერ შეძლებენ საკუთარი ბიუჯეტური დეფიციტის შემცირებას. მართლაც, ეს ქვეყნები იმ საერთო მოსახრებამდე მივიდნენ, რომ ამერიკამ თავისი სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად "წესრიგი უნდა დამყარის საკუთარ სახლში". უფრო მეტიც, ამერიკელი პოლიტიკოსები შიშობენ, რომ დოლარის ღირებულების შემცირებას-ბიუჯეტური დეფიციტის შემცირებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია ინფლაციის დაჩქარება. 1989წ. დასაწყისში ამერიკული ეკონომიკა სრული დასაქმების მდგომარეობას უახლოვდებოდა. ამიტომ შეშფოთება გამოითქმებოდა იმის თაობაზე, რომ ამერიკულ საქონელზე წმინდა ექსპორტის ზრდით გამოწვეული დამატებითი დანახარჯები ინფლაციური ტენდენციების გაძლიერებას გამოიწვევდა.

ეკონომიკური ზრდა სხვა ქვეყნებში.აშშ საგარეო ვაჭრობის დეფიციტი შეიძლება შემცირდეს, თუ უცხო ქვეყნები თავიანთი ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ღონისძიებებს მიიღებენ. ეროვნული შემოსავლის დონის გადიდება უცხო ქვეყნებში, გაზრდის ამერიკულ ექსპორტზე მოთხოვნას. მრეწველურად განვითარებული ქვეყნების"შვიდეულმა"აღიარა სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს მქონე ქვეყნების ეკონომიკური ზრდა, როგორც მისი შემცირებისა და ამერიკის საგარეო სავაჭრო დეფიციტის შესუსტების ერთერთი საშუალება. კერძოდ, იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობებმა წამახალისებელი ფინანსური და ფულადი პოლიტიკის გატარება იწყეს ეროვნული შემოსავლის მკვეთრი გადიდებისა და ამით აშშ-ში წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის გაფართოების მიზნით.

სხვა "გადაწყვეტები".არსებობს სავაჭრო კრიზისის სხვა შესაძლო გადაწყვეტილებანი. განვიხილოთ ხუთი ვარიანტი.

იაფი ფულის პოლიტიკა.განსაზღვრულ პირობებში იაფი ფულის პოლიტიკა ამცირებს სარგებლის რეალურ განაკვეთებს და საგარეო ვაჭრობის დეფიციტს. ეს შემდეგნაირად წარმოებს. სარგებლის განაკვეთების შემცირება ასუსტებს დოლარზე საერთაშორისო მოთხოვნას, რაც დოლარს აუფასურებს. როგორც უკვე აღინიშნა, დოლარის

კურისის შემცირება ადიდებს ამერიკის ექსპორტს და ამცირებს მის იმპორტს (ცხრილი 17-4). მაგრამ თუ ეკონომიკა პრაქტიკულად სრული დასაქმების პირობებში მუშაობს, როგორც, მაგალითად, 1989წ., იაფი ფულის პოლიტიკას შეუძლია ბიძგი მისცეს საშინაო ინფლაციის განვითარებას.

დამცავი ბაჟები. იმპორტის შემცირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას დამცავი ბაჟები. მაგრამ, როგორც აღინიშნა, მსგავსი სტრატეგია სპეციალიზაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლიანობათა დაკარგვას გამოიწვევს. უფრო მეტიც, ეს სტრატეგია შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს. იმპორტის შემამცირებელი ბაჟების შემოღება სხვა ქვეყნებს საპასუხო ღონისძიებებზე უბიძგებს, რომლებიც ექსპორტის შემცირებას გამოიწვევენ. ასეთ შემთხვევაში საგარეო ვაჭრობის დეფიციტი არ გაქრება, არამედ, მეტადრე, ყველა სავაჭრო პარტნიორი დაზარალდება მათი სასიცოცხლო დონის დაკლემით.

დაქვეითება. შეიძლება ველოდოთ, რომ წარმოების დიდი დაქვეითება აშშ-ში იმპორტის შემცირებას , და შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შესუსტებას გამოიწვევს. ეროვნული შემოსავლის შემცირების კვალობაზე, იმპორტიც მცირდება. მაგრამ, ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ დაქვეითება-საგარეო ვაჭრობის დეფიციტის არასასურველი "გადაწყვეტაა," რამდენადაც, საზოგადოებისათვის დაქვეითების დანახარჯები (წარმოებრივი დანაკარგები) თვით საგარეო ვაჭრობის დეფიციტთან დაკავშირებულ დანახარჯებს აჭარბებენ.

აშშ კონკურენტუნარიანობის გაძლიერება. აშშ საგარეო ვაჭრობის დეფიციტი შეიძლება შემცირდეს დანახარჯების შემცირებისა და უცხოურ საქონელთან შედარებით ამერიკულ საქონელთა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე. უფრო ეკონომიურ ტექნოლოგიათა გამოყენებას, სრულყოფილი პროდუქციის შემუშავებას, მართვის უფრო ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას შეუძლიათ გარკვეული წვლილი შეიტანონ საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შესუსტებაში, საშინაო მოთხოვნის შემცირებით იმპორტულ საქონელზე და ამერიკულ ნაწარმზე მოთხოვნის გადიდებით უცხოეთში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ბედის ირონიით აშშ საგარეო ვაჭრობის მყარმა დეფიციტმა მოვლენათა მთელი ჯაჭვი გამოიწვია, რომელთა უკურეაქცია თვით საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირება გახდა. უხარმაზარი თანხები, რომლებიც ამერიკული დოლარების უცხოურ მფლობელობაშია, ცალკეულ უცხოელ მოქალაქეებს ან ფირმებს საშუალებას აძლევენ ამერიკული ქარხნები შეისყიდონ ან ახალი საწარმოები ააშენონ აშშ-ში. უფრო მეტიც, დოლარის ღირებულების დაკლემა სტიმულს

აძლევს უცხოურ ფირმებს წარმოება საკუთარი ქვეყნებიდან აშშ-ში გადაიტანონ. მოკლედ რომ ვთქვათ, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი ხელს უწყობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხრდას მრეწველურ ნაგებობათა და წარმოებით მოწყობილობათა ფორმით.უცხოელების კუთვნილმა ქარხნებმა საქონელთა მხარდა მიკუთვნილობის გამოშვება იწყესრომლებიც წინაალმდეგ შემთხვევაში უნდა შემოეტანათ. მაგალითად, ამერიკულ ქარხნებში გამოშვებულმა "ჰონდებმა" და"მაზდებმა"იაპონიიდან იმპორტირებული იგივე მარკის მანქანები შეცვალეს. ამის შედეგად, აშშ-ის უცხოურ საწარმოებში გამოშვებულ საქონელთა მიერ იმპორტის შეცვლის კვალობაზე, შეიძლება მისი საგარეო ვაჭრობის დეფიციტიც შემცირდეს.

რეზიუმე

1.ამერიკული ექსპორტი უცხოურ მოთხოვნას წარმოშობს დოლარებზე და უცხოური ვალუტის მიწოდებას აყალიბებს, რომელიც ამერიკელთა განკარგულებაში გადაეცემა. პირიქით,ამერიკული იმპორტი ერთდროულად მოთხოვნას ქმნის უცხოურ ვალუტაზე და დოლარის მიწოდებას იწვევს უცხოელებისათვის. ქვეყნის ექსპორტი უცხოური ვალუტის გამომუშავების საშუალებას იძლევა, რაც საჭიროა იმპორტის ასანაზღაურებლად.

2.საგადასახდელო ბალანსში თავს იყრის ყველა საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსური ოპერაციები მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. სავაჭრო ბალანსში ერთმანეთთანაა შეჯერებული საქონლური ექსპორტი და იმპორტი. საქონელთა და მომსახურების ბალანსის დახმარებით ერთმანეოთთან შეჯერდება, როგორც საქონელთა ისე მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. მიმდინარე ბალანსში შეიტანება არა მხოლოდ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის მონაცემები, არამედ ასევე წმინდა შემოსავალი ინვესტიციებიდან და წმინდა გზავნილებანი.

3. მიმდინარე ბალანსის დეფიციტი (აქტივი) მნიშვნელოვანწილად კაპიტალთა მოძრაობის ბალანსის აქტივით (დეფიციტით) კომპენსირდება. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი (აქტივი) მაშინ წარმოიშობა, როცა მიმდინარე ბალანსისა და კაპიტალთა მოძრაობის ბალანსის ჯამი უარყოფითია (დადებითია). საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი ოფიციალური რეზერვების ხარჯზე ფინანსდება. საგადასახდელო ბალანსის აქტივი ოფიციალური რეზერვების გადიდებაში ვლინდება. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ანუ

აქტივის მისაღებობა დამოკიდებულია მათი მიზეზებისა და ხანგრძლიობისაგან.

4.მოქნილი ანუ მცურავი სავალუტო კურსები უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნით განისაზღვრება. მცურავი კურსის დროს ვალუტა გაუფასურდება ან გაძვირდება გემოვნებაში ცვლილებების, შემოსავლების შეფარდებითი ცვლილებების, ფასების შეფარდებითი ცვლილებების, სარგებლის რეალური განაკვეთების ცვლილებებისა და სპეკულაციის შედეგად.

5.ფიქსირებული სავალუტო კურსების შენარჩუნება შესაბამის რეზერვებს მოითხოვს საგადასახდელო ბალანსის პერიოდული დეფიციტების დასაფარავად. თუ რეზერვები არასაკმარისია, ქვეყნებმა პროტექციონისტული ღონისძიებები უნდა გაატარონ, სავალუტო კონტროლი შემოიღონ,და საშინაო მაკროეკონომიკური ადაპტაციის არასასურველ პროცესებზე წავიდნენ.

6.ისტორიულად, ოქროს სტანდარტი სავალუტო კურსების სტაბილურობას უზრუნველყოფდა 30-იან წლებში მის დაცემამდეც კი. ამ სისტემის პირობებში ოქროს გადადენა ქვეყნებს შორის რაც საერთაშორისო წონასწორობის მიღწევის მიზნით ხორციელდება, ზოგიერთ შემთხვევებში არახელსაყრელ ცვლილებებს აჩქარებდა ფასების, შემოსავლებისა და დასაქმების დონეებში.

7.ბრეტონ-ვუდის სისტემის პირობებში ვალუტები ერთმანეთზე იყო მიბმული და ამიტომ სტაბილური რჩებოდნენ. მონაწილე ქვეყნები ვალდებული იყვნენ მხარი დაეჭირათ ამ სავალუტო კურსებისათვის მასტაბილიზებელი ფონდების, ოქროს ან სსფ-ს სესხების ხარჯზე. საგადასახდელო ბალანსების ხანგრძლივი ანუ მასშტაბური დეფიციტები ვალუტათა დევალვაციის ხარჯზე შეიძლებოდა აღმოფხვრილიყო, რაც სსფ-ს მიერ იყო სანქცირებული.

8.1971 წლიდან მოქმედებს რეგულირებადი მცურავი სავალუტო კურსების სისტემა. სავალუტო კურსები, როგორც წესი, საბაზრო ძალებით განისაზღვრება, თუმცა მთავობები სხვადასხვა პერიოდულობით ერევიან ამ პროცესში, საკუთარი ვალუტის კურსის შესაცვლელად.

9.1980-დან 1988 წლამდე აშშ საგარეო ვაჭრობის სწრაფად მზარდ დეფიციტს წააწყდა. ამის მიზეზი იყო: ა) დოლარის კურსის სწრაფი გადიდება 1980-1985წწ; ბ) ამერიკული ეკონომიკის შედა-

რებით სწრაფი ზრდა; გ) ამერიკულ საქონელთა შესყიდვის შემცირება სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში.

10.დიდი საგარეო სავაჭრო დეფიციტის შედეგები მრავალფეროვანია. იგი შემაკავებელ, ანტიინფლაციურ ზეგავლენას ახდენდა საშინაო ეკონომიკაზე. ამერიკის, ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში წარმოების, დასაქმებისა და მოგების შემცირება შეინიშნებოდა,რაც პოლიტიკურ დაწოლას წარმოშობდა პროტექციონისტული ღონისძიებების შემოღების სასარგებლოდ. აშშ მსოფლიოში უდიდეს მევალედ გადაიქცა. მაგრამ საგარეო ვაჭრობის დეფიციტი ამერიკელ მომხმარებელთა ცხოვრების დონის ამაღლებას ნიშნავდა.

11.დოლარის გადიდებულმა კურსმა 80-იანი წლების შუახანებში, რიგი სერიოზული პრობლემები დააყენა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების და განვითარებული სახელმწიფოების წინაშე, რომელთაც დოლარებში დიდი საგარეო დავალიანება გააჩნიათ.

12.საგარეო ვაჭრობის დეფიციტის პრობლემას ორი ძირითადი გადაწყვეტა აქვს: ა) ბიუჯეტური დეფიციტის შემცირება;ბ) სხვა ქვეყნების დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა. სხვა "გადაწყვეტებია"იაფი ფულის პოლიტიკა,დამცავი ბაჟები, აშშ კონკურენტუნარიანობის გადიდება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ტერმინები და ცნებები

საგადასახდელო ბალანსი
მოქნილი ანუ მცურავი სავალუტო კურსები
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში
ფიქსირებული სავალუტო კურსები
კრედიტი
ვალუტის გაუფასურება და გაძვირება
დებეტი
ოქროს სტანდარტი
სავაჭრო ბალანსი
საქონელთა და მომსახურების ბალანსი
საიმპორტო ოქროს წერტილები
მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი
ბრეტონ-ვუდის სისტემა

კაპიტალთა მოძრაობის ანგარიში
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ)
კაპიტალთა მოძრაობის ბალანსი
დევალვაცია
ოფიციალური რეზერვები
რეგულირებადი მცურავი სავალუტო კურსები
საგადასახდელო ბალანსის აქტივი და პასივი
დიდი "შვიდეული"
საგარეო ვაჭრობის კრიზისი

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.ახსენით, ავტომანქანების ამერიკელი იმპორტიორი რანაირად დააფინანსებს "რენოს"მიწოდებას საფრანგეთიდან. გვიჩვენეთ, როგორ შეიძლება დაფინანსდეს მოწყობილობის ამერიკული ექსპორტი იტალიაში. ახსენით მოცემული მტკიცება:"ამერიკული ექსპორტი ვალუტას "გამოიმუშავებს", რომელიცთ იმპორტის დასაფინანსებლად შეიძლება გამოიყენონ".

2."იენის ფასის გადიდება დოლარებში, აუცილებლად ნიშნავს დოლარის ფასის დაცემას იენებში". თქვენ ეთანხმებით ამ მტკიცებას? კომენტარი გაუკეთეთ მას და განავითარეთ შემდეგი დებულება:"სავალუტო კურსების უმნიშვნელოვანესი ნიშანი ისაა, რომ ისინი პირდაპირ კავშირს უზრუნველყოფენ მსოფლიოს ქვეყნებში წარმოებულ საქონელთა და მომსახურების ფასებს შორის".

3.მიუთითეთ, ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითში აღწერილი ყოველი ქმედებები შექმნის თუ არა მოთხოვნას ფრანგულ ფრანკზე ან მათ მიწოდებას სავალუტო ბაზარზე: ა) ამერიკელი იმპორტიორი ყიდულობს "ბორდოს" მარკის ღვინის პარტიას ბ) ფრანგული საავტომობილო ფირმა იღებს საამწყობო ქარხნის ლოს-ანჟელესში აშენების გადაწყვეტილებას. გ) ფრანგ მეწარმეს მანქანები გააქვს მაროკოში, ამერიკული სატვირთო გემით. დ) აშშ-ს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი უჩნდება საფრანგეთთან ოპერაციებში. ე) ამერიკული სახელმწიფო ობლიგაცია, რომელიც ფრანგ მოქალაქეს ეკუთვნოდა, ტირაჟში ოამაშდება.ვ).ფართო წრეებში დამკვიდრდა აზრი, რომ ფრანკის საერთაშორისო ღირებულება ახლო მომავალში გაიზრდება.

4.ახსენით, თუ რატომ მკირდება ამერიკული მოთხოვნა მექსიკურ პესოზე, ხოლო პესოს მიწოდება ამერიკელებზე იზრდება. იმ ვარაუდით, რომ მექსიკასა და აშშ-ს შორის ვალუტის მცურავი კურსები

მოქმედებს, მიუთითეთ, გამოიწვევს თუ არა ქვემოთ მოტანილი ყოველი სიტუაცია მექსიკური პესოს შემცირებას ან გადიდებას: ა) აშშ ცალმხრივი წესით ამცირებს ტარიფებს მექსიკურ ნაწარმზე. ბ) მექსიკა ძლიერ ინფლაციას წააწყდა. გ) გაუარესებული პოლიტიკური ურთიერთობები ამცირებენ ამერიკელი ტურისტების ნაკადს მექსიკაში. დ) ამერიკის ეკონომიკას წარმოების სერიოზული დაქვეითება მოელის. ე) გუბერნატორთა საბჭოს შემოაქვს ძვირი ფულის პოლიტიკა. ვ) მექსიკური საქონელი პოპულარული ხდება ამერიკაში. ზ) მექსიკის მთავრობა ამერიკულ ფირმებს კაპიტალის ინვესტირებას სთავაზობს ოავის ნავთობის საბადოებში. თ) შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მკვეთრად ეცემა აშშ-ში.

5.ეთანხმებით თუ არა შემდეგ მტკიცებებს:ა)ქვეყანა, რომლის ეკონომიკური ზრდა წინ უსწრებს წამყვანი სავაჭრო პარტნიორებისას, შეიძლება მისი ვალუტის საერთაშორისო ღირებულების დაცემას მოელოდეს.ბ) ქვეყანას, რომელშიც სარგებლის განაკვეთები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში, შეიძლება თავისი ვალუტის საერთაშორისო ღირებულების გადიდების იმედი ჰქონდეს. გ)ქვეყნის ვალუტა გაძვირდება, თუ ინფლაციის ტემპი მასში უფრო დაბალია, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაზე.

6."ექსპორტი ანაზღაურებს იმპორტს". მაგრამ 1987წ. მთელი მსოფლიო აშშ-ში 160 მლრდ დოლარით მეტი საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ახდენდა, ვიდრე მას გაჰქონდა. გადაწყვიტეთ ამ ორ მტკიცებათა ბუნებრივი შეუთავსებლობა.

7.მოგვეცით შემდეგი კითხვის პასუხები პირობითი ქვეყნის, სკორპიოს 1990წ საგადასახდელო ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც ქვემოთ მოტანილი ცხრილი შეიცავს (ყველაფერი მლრდ

საქონლური ექსპორტი	+40	წმინდა ფულადი გზავნილებანი	+10
საქონლური იმპორტი	-30	კაპიტალის მოდენა	+10
მომსახურების ექსპორტი	+15	კაპიტალის გადენა	-40
მომსახურების იმპორტი	-10	ოფიციალური რეზერვები	+10
წმინდა შემოსავლები-ინვესტიციებისაგან	-5		

დოლარებშია). როგორია სავაჭრო ბალანსის სიდიდე? როგორია საქონელთა და მომსახურების ბალანსი? როგორია მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი? როგორია კაპიტალთა მოძრაობის ბალანსი? დადებითია თუ უარყოფითი სკორპიოს საგადასახდელო ბალანსი? როგორ მიგაჩნიათ, სკორპიოში ფიქსირებული სავალუტო კურსები მოქმედებს, თუ მოქნილი? როგორ ზეგავლენას მოახდენს სკორპიოს საერთაშორისო ოპერაციები მის საშინაო ეკონომიკაზე: შემაკავებელ თუ მასტიმულებელს?

8.დაწვრილებით ახსენით საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი როგორ იქნება დარეგულირებული ა) ოქროს სტანდარტის ბატონობის პირობებში; ბ) ბრეტონ-ვუდის სისტემის დროს; გ) თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსების ბატონობისას. როგორია თითოეული სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები?

9.ზოგად ნიშნებში დაახასიათეთ საგარეო ვაჭრობის დიდ დეფიციტთან ან მიმდინარე ოპერაციების მიხედვით არსებულ დეფიციტთან დაკავშირებული ძირითადი დადებითი და უარყოფითი მომენტები:"მიმდინარე ოპერაციების მიხედვით დეფიციტი ნიშნავს,რომ ამერიკა მეტ საქონელსა და მომსახურებას მიიღებს უცხოეთიდან, ვიდრე საკუთარი ქვეყნიდან გაიტანს."ასეთი სიტუაცია რატომ შეიძლება დახასიათდეს, როგორც "არახელსაყრელი."

10.რას გულისხმობენ, როცა ლაპარაკობენ, რომ აშშ საგარეო ვაჭრობის კრიზისს განიცდის? როგორია ამ კრიზისის ძირითადი მიზეზები?

11.დოლარის საეროაშორისო ღირებულების გადიდებამ 80-იან წლებში რატომ გამოიწვია სერიოზული პრობლემები სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის; ნავთობის იმპორტიორი ქვეყნებისათვის?

12 დაასახელეთ და ახსენით დოლარის საერთაშორისო ღირებულების დაცემის ორი მიზეზი 1985-1987 წლებს შორის პერიოდში. აშშ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი რატომ რჩებოდა მნიშვნელოვანი დოლარის ღირებულების შემცირების დროსაც კი?

13.ახსენით, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება რანაირად შეუწყობს ხელს აშშ საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირებას.

ბოლო შტრიხი

ტოკიოში-150 დოლარად

1985 წ. ერთ დოლარად 262 იენის ყიდვა შეიძლებოდა;1988წ.-მხოლოდ 123-ის.ამრიგად,საქონელთა ფასები დოლარებში,იაპონიაში მკვეთრად ამაღლდა.

ტოკიო. იაპონელები ამას "ენდაკას" უწოდებენ: ყოვლისშემძლე იენა. თარგმანის ამერიკული ვარიანტია-ძარცვა შორ გზაზე. ჩარლზ ანდერსონმა სან-ფრანციისკოდან, ორი კაცის საუზმეში, ფრანგულ რესტორანში, პატარა საკურორტო ქალაქში 450 დოლარი გადაიხადა. ჯილ მარტინმა, ევანსტონიდან (ილინოისის შტატი), ტოკიოში 30 დოლ. გადაიხადა 10,5 დოლარიან ფირმა შანელის ფრჩხილების ლაქში.

კიტ სანდერსმა ჰონოლულუდან,15 დოლ. გადაიხადა ტოკიოში ერთ სირჩა საყვარელ კონიაკში."ღმერთმა დალახვროს-ამბობს სანდერსი-ეს იგივეა, რომ მაიძულებენ თავი მივანებო დალევას".

უკანასკნელ წელს ძლიერმა იენამ იაპონიაში იმდენად შეასუსტა დოლარის მსყიდველობითი უნარი, რომ ამერიკელი ტურისტის ნახვა აქ ისევე ძნელი იყო, როგორც საყიდლების ყიდვა "გინზას"უნივერსალურ მაღაზიაში. 123 იენის ტოლი დოლარის კურისის პირობებში, 1985 წლის 262 იენასთან შედარებით, საქმიანი მგზავრობები ინტენსიური რჩება, მაგრამ ტურიზმმა სერიოზული ზარალი განიცადა.

"ჩვენ ვხედავთ ბიზნესმენებს, მაგრამ არა ტურისტებს"-ამბობს დროთი გაზუელი, ავიაკომპანია "იუნაიტედ ეირლაინზის"45 წლის სტიუარდესა, რომელიც სიეტლი-ტოკიოს სვლაგეზზე მუშაობს.ჩვენ ვერ ვხედებით ტანმორჩილ მოხუცებს, რომლებიც ტურნეში მიემართებიან მაღაზიებში. აქ ცუდი ადგილია საყიდლებისათვის".

მართლაც, იაპონიაში ფასების პირველმა გაცნობამ შეესაძლოა შოკურ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს:154 დოლარი-ტაქსით ერთსაათიანი მგზავრობა აეროპორტ ნარიტადან ტოკიოს ცენტრამდე; 80 დოლ. ერთი კაცის საუზმე იაპონიის ეროვნულ რესტორანში; 4,06 დოლ.,ერთი ფინჯანი ყავა მდიდრულ რესტორან "ოკურაში".

ტურისტთა უმეტესობის პირველი რეაქციაა-ვაის წამოძახება, აღნიშნავს 30 წლის ლინდა ბაბკოვი ქ. ტალახასიდან (ფლორიდის შტატი). იგი უკვე ერთი წელია ტოკიოში ცხოვრობს მეუღლესთან ერთად,რომელიც ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს იკვლევს ამერიკული საბროკერო ფირმისათვის.

ქ.დანბერის მცხოვრებმა (კონეკტიკუტის შტატი) მაკსინ მორმა (70 წლის) იგივე განიცადა. იგი ერთი თვის წინათ ჩამოვიდა თავისი 26 წლის მეგობრის სანახავად, ვისი მეუღლეც აქვე მსახურობს ფირმა იბმ-ში. მორმა ათას დოლარზე მეტი დახარჯა და მხოლოდ "სამშვენისი"-ბრელოკი იყიდა გასაღებებისთვის, ლანგარი და სამზარეულოს ანაკრები."მე არც ისე ბევრი შევიძინე-რითაც შეიძლება დავიტრაბახო-აღნიშნა მორმა.

ამიტომ გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ადამიანები, რომლებსაც აქ შეხვდები-სიძნელეებს განიცდიან.

გნებავთ შეხედოთ ჩვენს ცარიელ საფულეებს? ტურისტის პირობაზე ჩვენ ძალზე ღარიბები ვართ, -აღნიშნა არტ სკანცმა ქ. ჰაილენდ-პარკიდან (ილინოისის შტატი), რომელიც თავის კოლეგებთან ერთად უნივერსალური მაღაზიის "მატსუიას" დელიკატურ განყოფილებაში სადილობდა. სკანცი, რომელიც ფირმა "კუეიკერ ოუტსში" მუშაობს, მოხიბლულია თავისი კომპანიის პროდუქციის ადგილობრივი ფასით."იგი სამჯერ გაიზარდა 15 წლიან პერიოდში-7 დოლარი ერთ შეფუთვაში-ამბობს იგი.

უცხოელების მომსახურე მაღაზიები, ტურისტული ავადმყოფობის სიმპტომებს განიცდიან. ტოკიოს მაღაზია "პიაში კიმონოში", შარშანდელთან შედარებით, ბრუნვა 10%-ით დაეცა, მიუხედავად კიმონოს ფასების სპეციალურად დაბალ დონეზე შენარჩუნებისა, ამერიკული შეკვეთების წასახალისებლად.

"სამწუხაროდ, ამერიკელი ტურისტები ახლა არც ისე ბევრია, როგორც წინათ, აღნიშნავს მმართველი ლუზი სავაგუჩი. ტოკიო ახლა მსოფლიოში ყველაზე ძვირი ქალაქია ჩამოსულებისათვის. ამ ქალაქში ერთი დღით ყოფნა ორი ადამიანისათვის 460 დოლ. ჯდება, სასტუმროს იაფი ოროთახიანი ნომრის, სამჯერადი კვების,ტრანსპორტისა და სხვა წვრილი ხარჯების ჩათვლით. ეს 91 დოლარით მეტია, ვიდრე მსოფლიოს მეორე-ყველაზე ძვირ ქალაქ-პარიზში და 202

დოლარით მეტი, ვიდრე ნიუ-იორკში. ტოკიოს მდიდრულ სასტუმრო "იმპერიალში" ოროთახიანი ნომერი 269,19 დოლარი ღირს: ლუქსი ნომერი-583,33 დოლ. ოროთახიანი ნომერი საშუალო კლასის სასტუმრო "ჰილტონში"1984 წ.60 დოლ.ღირდა,დღეს კი -191 დოლ.

როცა ფაიბს უყურებთ, თავს სულელად იგრძნობთ,-აღნიშნავს 82 წლის მარგარიტ იგანი, რომელიც აქ მეგობრის სანახავად ჩამოვიდა.

აი რამდენიმე მაგალითი:

ღამის ცხოვრებით ცნობილი კლუბის სტუმრობა ტოკიო როპონგის რაიონში 156 დოლარი ღირს.

ჭიქა ლუდი ტოკიოს კაფე"ჰარდ როკში "-8 დოლ. უმაღლესი ხარისხის 1 კგ. საქონლის ხორცი-243,90 დოლ. ერთი ბოთლი ვისკი"კატი სარკ" -40,66 დოლ. ნახევარი ფუნტი ყველი "ბრი" -12,07 დოლ.

აღსანიშნავია ხილის სიძვირეც. ტოკიოს სუპერმარკეტ "კინოკუნიაში" ბალის ერთ ფუნტზე ცოტათი მეტი, 120,95 დოლ., დაგიჯდებათ. ხუთი ცალი შეფუთული ატამი-40,65 დოლ.,ხოლო ორი ნესვი-165,85 დოლ. და თუ თქვენ ამერიკელი ტურისტი ხართ, საეჭვოა ასეთი ხარჯები გასწიოთ.

ეს საქონლები შრომაინტენსიური სოფლის მეურნეობის პროდუქტებია, მათ იაპონელები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იძენენ, საჩუქრად. ტოკიოში წამსვლელი ტურისტებისათვის გადარჩენის ყველაზე უნივერსალურ რჩევას 27 წლის დეკიდ სკოტი იძლევა, რომელიც აქ წელიწადნახევარია მუშაობს, ამერიკის საკონსულტაციო ფირმაში:"მე დიდი ხანია მივატოვე ყველაფრის ანგარიში დოლარებში. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის ტკივილს ვერ აიცდენთ."[1]

1.Julia Lawlor.$150 Takes You for a Ride in Tokyo //USA Today.1988

თავი ორმოცდამეერთე

ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები

ტიპიური ამერიკული ოჯახისათვის წლიური შემოსავალი 1987წ.საშუალოდ 30853 დოლ.) ძნელია იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 2/3 ღარიბად ცხოვრობს ან ამ ზღვარს უახლოვდება. ამერიკელთა უმეტესობას არ შეუძლია წარმოიდგინოს ის სიღარიბე, რაშიც პლანეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს, ვინაიდან ისინი დაკავებული არიან სიუხვესთან დაკავშირებული პრობლემებიდ.,-ისეთებით, როგორიცაა გარემოს გაჭუჭყიანება, ქალაქების ზრდა, მუშაობის მონოტონურობა, განკერძოება,-რომლებიც შრომას ახლავს მსხვილ საწარმოებში. მაგრამ, სინამდვილეში შიმშილის, სიღარიბის და ავადმყოფობისაგან იტანჯება მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მოსახლეობა.

ამ თავში, შევეცდებით რამოდენიმე ამოცანის გადაწყვეტას. ჯერ ერთი,გამოვყოფთ ღარიბ ანუ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს. მეორე, განვსაზღვრავთ მათი სიღარიბის მიზეზს, ეკონომიკური ზრდის დაბრკოლებებს. მესამე, განვიხილავთ სახელმწიფოს როლს ეკონომიკური განვითარების პროცესში. მეოთხე, ვაჩვენებთ საერთაშორისო ვაჭრობას,კერძო დაბანდებებს და ეკონომიკურ დახმარებებს თუ როგორ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას. მეხუთე, გავაანალიზებთ საგარეო დავალიანების პრობლემას, რასაც მრავალი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა აწყდება. დაბოლოს, დავახასიათებთ მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს "ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის" დასამყარებლად.

მდიდრები და ღარიბები

ისე როგორც ყოველ ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება შემოსავლებში ცალკეულ ოჯახებს შორის (იხ.თავი 37),-უდიდესი ეკონომიკური უთანასწორობა შეინიშნება მსოფლიოს ქვეყნების ოჯახებშიც.41-1 ცხრილის გამოყენებით შეიძლება შემდეგი სამი ჯგუფის გამოყოფა.

ჯერ-ერთი,გამოიყოფა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, რომელთაც მიეკუთვნება, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობა. თითოეულ მათგანში ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკა, რაც ძირითადი კაპიტალის მსხვილ რესურსებს, მოწინავე წარმოებით ტექნოლოგიებს, კვალიფიციურ შრომით რესურსებს ემყარება. როგორც 41-1 ცხრილის პირველ სვეტშია ნაჩვენები, ამ 19 ქვეყნის არსებითი მახასიათებელია ეეპ-ის მაღალი დონე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

მეორე, გამოიყოფა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების სხვა ჯგუფი (მაგ. კუვეიტი, საუდის არაბეთი), რომელიც, როგორც 41-1 ცხრილის პირველი სვეტიდან ჩანს, ასევე განსხვავდებიან ეეპ-ის ერთობ შეიამბეჭდავი დონით ერთ სულ მოსახლეზე, ნავთობის წყალობით. მაგრამ ეს ქვეყნები არ შეიძლება ინდუსტრიულად განვითარებულებს მივაკუთვნოთ.

მესამე, მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში, სუსტადგანვითარებული ანუ ეკონომიკურად ნამორჩენილია.ამ 97 ქვეყანას არ გაუვლია ინდუსტრიალიზაციის სტადია და მათი მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. განათლების დონე ამ ქვეყნებში დაბალია, უმუშევრობა მაღალი, მოსახლეობა სწრაფი ტემპებით იზრდება, ხოლო ექსპორტი ძირითადში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით (ყავა, ბანანი, შაქარი ბამბის ნედლეული) და ნედლეულითაა (სპილენძი, რკინის მადანი, კაუჩუკი) წარმოდგენილი. ძირითადი კაპიტალის რესურსები უკიდურესად მწირია, წარმოებითი ტექნოლოგიები ჩვეულებრივ, პრიმიტიული, შრომის მწარმოებლურობა საგრძნობლად დაბალი. ამ ქვეყნებში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 3/4 ნაწილი ცხოვრობს, სიღარიბე ფართოდაა გავრცელებული.

41-1 ცხრილში ღარიბი ქვეყნები დაყოფილია ორ კატეგორიად. პირველ მათგანში შედის 58 ქვეყანა "საშუალო შემოსავლით"(ეეპ-ის საშუალო დონე ერთ სულ მოსახლეზე 1270 დოლ. წელიწადში). ამ საკმაოდ ჭრელ ჯგუფში არიან ქვეყნები, რომლებშიც აღნიშნული მაჩვენებელი 450-დან 7410 დოლარამდე მერყეობს წელიწადში. მეორე კატეგორია წარმოდგენილია 39 ქვეყნით,"დაბალი შემოსავლებით"(ეეპ-ის დონე ერთ სულ მოსახლეზე 120-დან 450 დოლარამდე მერყეობს წელიწადში და საშუალოდ 270 დოლარს არ აჭარბებს).ძირითადი,"უღიბლოთა"ამ ჯგუფში ინდოეთი, ჩინეთი და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებია.

ცხრილი 41-1. ეეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე, მოსახლეობის რაოდენობა და ეკონომიკური ზრდის ტემპები

	ეეპ 1 სულ მოსახლეზე		მოსახლეობის რაოდენობა	
	(1)	(2)	(3)	(4)
	დოლ., 1986წ.	ზრდის საშ.წლ. ტემპები 1965-1986წწ. (%)	მლნ კაცი 1986წ.	ზრდის საშ.წლ. ტემპები 1980-1986წწ. (%)
ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები (19 ქვეყანა)	12960	2,3	742	0,6
ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები (4 ქვეყანა მაღალი შემოსავლით)	6740	1,8	19	4,2
ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები (97 ქვეყანა)	610	2,9	3761	2,0
მათ შორის საშუალო შემოსავლით (58 ქვეყანა)	1270	2,6	1268	2,3
დაბალი შემოსავლით (39 ქვეყანა)	270	3,1	2493	1,9

წყარო: World Bank. World Development Report. New York: Oxford University Press. 1988.

მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებს შორის განსხვავების კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩენისათვის შეიძლება რამდენიმე მარტივი შედარების მოტანა. ასე, მაგალითად, თუ 1986წ. აშშ-ში ეეპ-ი დაახლოებით 4,2 ტრილიონ დოლარს აღწევდა, 97 სუსტადგანვითარებული ქვეყნის მთლიანი ეეპ-ი 2,4 ტრილიონს არ აღემატებოდა. აშშ, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის 5% გააჩნია, მსოფლიო პროდუქციის თითქმის მეოთხედს აწარმოებს. კიდევ ერთი ფაქტი. მაგალითად, ფირმა "ჯენერალ მოტორზმა"-უმსხვილესმა ამერიკულმა კომპანიამ (1986 წ.მონაცემებით)-ამ წელს 103 მლრდ დოლ. პროდუქცია გაყიდა. ეს უფრო მეტია ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ეეპ-ი, თუ არ ჩავთვლით 22 ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს. დაბოლოს, უკანასკნელი შედარება. ეეპ-ის დონე ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ში 146-ჯერ მეტია, ვიდრე ეთიოპიაში-მსოფლიოს ყველაზე ულარიბეს ქვეყანაში.

ეკონომიკური ზრდა, დაქვეითება და განსხვავება შემოსავლებში

41-1 ცხრილის ჩვენეულ ანალიზს უნდა დაემატოს ორი მოსაზრება. ჯერ ერთი, ცალკეული სუსტადგანვითარებული ქვეყანა საგრძნობლად განსხვავდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებით დროთა განმავლობაში. ერთი მხრივ, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფმა-სინგაპურმა, ჰონკონგმა, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ 1960-1987წწ. პერიოდში რეალური ეეპ-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპების ერთობ მაღალ დონეს მიაღწია (8-9%). ამის შედეგად, ეეპ ერთ სულ მოსახლეზე მათში 5-ჯერ გაიზარდა. მეორე მხრივ,მაღალი დავალიანების მქონე, მრავალ სუსტადგანვითარებულ ქვეყანაში, და ასევე ცენტრალური აფრიკის უაღრესად ღარიბ სახელმწიფოებში 80-იანი წლების განმავლობაში რეალური ეეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე მცირდებოდა.

მეორე მოსაზრება 41-1 ცხრილის მე-2 სვეტიდან გამოდის. შეიძლება აღინიშნოს, რომ 1965-1986წწ. ერთ სულ მოსახლეზე ეეპ-ის ზრდის საშუალოწლიური ტემპები დაახლოებით ერთნაირი იყო, როგორც სუსტადგანვითარებულ,ისე ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის. მიუხედავად ამ მსგავსებისა, მოცემულ პერიოდში შემოსავლების განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, გაიზარდა. გამარტივების მიზნით, შეიძლება დავუშვათ, რომ, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში ეეპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ 2%-ით იზრდებოდა წელიწადში. რამდენადაც პირადი შემოსავლების აბსოლუტური სიდიდე განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად მაღალია, განსხვავება შემოსავლებში იზრდება. მაგალითად, თუ შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 400 დოლარია, მაშინ, მატების 2%-იანი ტემპები მას 8 დოლარს მიუმატებს. თუ შემოსავალი 4000 დოლარია, მაშინ 80 დოლარს. ამრიგად, აბსოლუტური განსხვავება შემოსავლებში გაიზრდება 3600-დან (4000 დოლ.-400 დოლ.) 3672 დოლარამდე (4080 დოლ.- 408 დოლ.).

შედეგები

შიშველი სტატისტიკა როდი ასახავს ყოველივე იმას, რასაც სიღარიბე მართლაც ნიშნავს ადამიანისათვის, რომელიც ასე განებივრებულია ჩვენს პლანეტაზე.

შევხედოთ აზიური ქვეყნის ხოფლის ტიპიურ "რთულ"ოჯახს. როგორც წესი, აზიური ოჯახი შედგება 10 და მეტი წევრისაგან, მშობლებთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და ზოგიერთ სხვა ნათესავთან ერთად. მათი შემოსავალი მოიცავს, როგორც ფულად შემოსულობებს, ისე "ნატურალურსაც"(ე.ი. ისინი მოიხმარენ მოწეული მოსავლის ნაწილს) და 150-დან 200 დოლარამდეა წელიწადში.ისინი ოჯარით იღებენ ერთოთახიან არიმიტიულ ნაგებობებს ესსვილ მამულში, რომლის მფლობელი უახლოეს ქალაქში ცხოვრობს. დედა, მამა, უფროსი შვილები მთელი დღე მუშაობენ მინდორში.მოზრდილთაგან არავინ იცის წერა და კითხვა. სასკოლო ასაკის ბავშვებიდან რეგულარულად მხოლოდ ერთი დადის სკოლაში, მაგრამ არც მას შეიძლება სწავლის გაგრძელების იმედი აქონდეს დაწყებითი სკოლის 3-4 კლასის შემდეგ. იკვებებიან ისინი მხოლოდ ერთხელ. დღეში, ამასთან, საკვები უკიდურესად ერთფეროვანია. იგი თითქმის არასოდეს არაა საკმარისი შიმშილის მუდმივი გრძნობის დასაწყნარებლად, რასაც ბავშვები განიცდიან. ბინაში არაა ელექტრობა, სანიტარული კეთილმოწყობილობანი, წყალი. ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა დაავადებები, მაგრამ კვალიფიციური ექიმები, შორს, ქალაქში ცხოვრობენ, სადაც მათი მომსახურებით მდიდარი ოჯახები სარგებლობენ. მძიმე მუშაობა მცხუნვარე მზის ქვეშ და უკეთესი ცხოვრების არავითარი იმედი. სამყაროს ამ ნაწილში ერთადერთ შვებას ფიზიკურ გადარჩენასთან ბრძოლაში ხალხის სულიერი ტრადიციები იძლევა".1

41-2 ცხრილში მოტანილია ზოგიერთი ჩამორჩენილი ქვეყნის განვითარების სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებლები. კონტრასტისათვის მოტანილია აშშ და იაპონიის ანალოგიური მაჩვენებლები. ციფრები თვალნათლივ ადასტურებენ ციტატაში მოტანილ მთავარ აზრს.

სიღარიბის დაძლევა

ეკონომიკურბი ზრდის დაჩქარების გზები, არსებითად ერთიდაიგივეა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის.

1.ბუნებრივი რესურსების არსებული მარაგები უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენებოდეს. ეს არა მხოლოდ უმუშევრობის აღმოფხვრას, არამედ, ასევე რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებასაც იწვევს.

2.უნდა შეიცვალოს (სახელდობრ-გაიზარდოს) წარმოებითი რესურსების მარაგები. ნედლეულისა და წარმოების საშუალებების გაფართოებით, შრომისა და ტექნოლოგიის უფრო ეფექტიანი გამოყენებით, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა მოახდენს საკუთარი

1.Michael P.Todaro.Economic Deveploment in the Third World.3d ed.New York. Longman,1985 გვ .4.

წარმოებრივი შესაძლებლობების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას (იხ. თავი 21). ცალკეულმა ქვეყნებმა რატომ მიაღწიეს წარმატებას ეკონომიკური ზრდის დაჩქარების გზაზე, მაშინ როცა, სხვები შორს ჩამორჩნენ? მიზეზები, როგორც შემდგომ დავინახავთ, სხვადასხვა მატერიალურ და სოციალურ-კულტურულ პირობებშია, რომლებშიც ისინი იმყოფებიან. ჩვენს გეგმებშია იმ დაბრკოლებათა შესწავლა, რომლებიც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, 1) ბუნებრივი რესურსების, 2) შრომითი რესურსების, 3) კაპიტალის რესურსების, 4) ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესების გზაზე არსებობენ. გარდა ამისა, ნაჩვენები იქნება სოციალურ, ინსტიტუციონალურ და კულტულრულ ფაქტორთა ნეგატიური როლი. დაბოლოს, გაანალიზებული იქნება სამთავრობო პოლიტიკისა და უცხოური დახმარების ზეგავლენა განვითარების პროცესებზე ამ ქვეყნებში.

ბუნებრივი რესურსები

ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში ბუნებრივი რესურსების როლის საერთო შეფასება საკმაოდ რთულია. ეს ძირითადად იმასთანაა დაკავშირებული, რომ მარგი წიაღისეულის მარაგების განაწილება მათ შორის ძალზე არათანაბარია. ზოგ ჩამორჩენილ ქვეყანას ბოქსიტების, კალის, სპილენძის, ვოლფრამის, ნიტრატების, ნავთობის და ა.შ. მრეწველური საბადოები გააჩნია. იშვიათ შემთხვევებში მათ თავიანთი ბუნებრივი რესურსების დახმარებით შეძლეს სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდების მიღწევა, მდიდარი ქვეყნებიდან მათი გადანაწილებით. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ნექო) ამის ბრწყინვალე მაგალითია. მეორე მხრივ, უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი რესურსები ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მრავალეროვნულ მსხვილ კორპორაციებს ეკუთვნის, ან მთლიანად მათ მიერ კონტროლდება. ამიტომ,რესურსების გამოყენებით მიღებული მთელი მოგება მთლიანად უცხოეთში გადადის. უფრო მეტიც,ფასების მნიშვნელოვანი მერყეობანი სუსტადგანვითარებული ქვეყნების მიერ ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და ნედლეულზე, ხელს უწყობს მათი ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობას.

ცხრილი 41-2.სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი

ქვეყანა	(1)ეუპ 1 სულ მოსახლეზე 1986წ .(დოლ)	(2)სიცოცხლის ხანგრძლივობა 1986წ.(წელი)	(3)ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ახალშობილზე 1986წ.	(4)მოზრდილთა განათლების დონე 1985წ.(%)	(5)კალორიის მოხმარება მოსახლ—ს ერთ სულზე1985წ.	(6)ენერგომოხმარება მოსახ—ს ერთ სულზე 1986წ.*
აშშ	17480	75	11	99	3862	7193
იაპონია	12480	78	6	99	2695	3186
ბრაზილია	1810	67	60	78	2675	830
მავრიტანია	420	47	127	17	2071	114
პაიტი	330	55	94	5	1784	50
ინდოეთი	290	57	94	43	2126	208
ბანგლადეში	160	51	135	33	1804	46
ეთიოპია	120	51	116	5	1704	21

ნავთობის ექვივალენტზე გადაყვანით (კგ).

წყარო:World Development Report,1988;Statistical Abstract of the United States.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ სხვა ქვეყნებს უბრალოდ არ გააჩნიათ მარგი წიაღისეულის საბადოები და სახნავი მიწებისა და ენერგეტიკული რესურსების უკმარისობას განიცდიან. მნიშვნელოვანია, რომ ღარიბი ქვეყნების უმეტესობა (ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში,აფრიკასა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში,სადაც ტროპიკული კლიმატი ჭარბობს. ცხელი ,ტენიანი კლიმატი ხელს არ უწყობს მაღალმწარმოებლურ შრომას, აქ ფართოდაა გავრცელებული დაავადებები ადამიანებს, ცხოველებსა და მცენარეებს შორის, ხოლო სარეველები და მავნე მწერები უბედურებაა სოფლის მეურნეობისათვის.

ცავისთავად, ბუნებრივი რესურსების უკმარისობა შესაძლოა ეკონომიკური ზრდის დაბრკოლება გახდეს. შეიძლება გავზარდოთ ძირითადი კაპიტალის მოცულობა, გავაუმჯობესოთ სამუშაო ძალის ხარისხი განათლებისა და პროფესიული მომზადების დახმარებით. მაგრამ ბუნებრივი რესურსების ბაზის გაფართოება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ მრავალი სუსტადგანვითარებული ქვეყნისათვის

უბრალოდ არარეალურია აშშ-ს, კანადის ან სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური განვითარების დონის გულში გავლებაც კი. მაგრამ, ისევ ფრთხილი უნდა ვიყოთ განზოგადებისას: მაგალითად, შვეიცარიამ, ისრაელმა და იაპონიამ, მიუხედავად ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობისა ,ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიეს.

შრომითი რესურსები

შრომითი რესურსების თვალსაზრისით მრავალი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნისათვის დამახასიათებელია: 1) მოსახლეობის სიჭარბე; 2) ფარული უმუშევრობა და სამუშაო ძალის არასრული გამოყენება; 3) შრომის დაბალი მწარმოებლურობა.

მოსახლეობის სიჭარბე. 41-1 ცხრილიდან (სვეტი-3) ჩანს, რომ ყველაზე უფრო მწირი ბუნებრივი რესურსებისა და კაპიტალის მქონე ქვეყნებს, ყველაზე მეტი მოსახლეობა გააჩნიათ.41-3 ცხრილში მოტანილია ცალკეულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები. ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში საშუალო და დაბალი შემოსავლებით, მოსახლეობა საშუალოდ 2%-ით იზრდება წელიწადში, განვითარებული ქვეყნების 0,6%-თან შედარებით."70-ის წესის თანახმად", მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპები მისი რაოდენობის გაორმაგებას სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში, დაახლოებით 35 წელიწადში უზრუნველყოფს. მარტივი სტატისტიკური გაანგარიშებები ნათელყოფენ, თუ მუდმივად რატომ იზრდება განსხვავება შემოსავლებში ერთ სულ მოსახლეზე,ქვეყნების ორ ჯგუფში.ზოგიერთ,ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდა უსწრებს სასურსათო მარაგების გადიდებას და პირადი მოხმარება სიღატაკის დონემდე ეცემა.უარეს შემთხვევებში მხოლოდ მაღალი სიკვდილიანობა,შიმშილისა და დაავადებების გამო,იძლევა იმის საშუალებას,რომ შემოსავლების სტატისტიკური მონაცემები შენარჩუნებულ იქნას გადარჩენისათვის ოდნავ საკმარის დონეზე.

ერთი შეხედვით,ცხოვრების დონის ამაღლება შეიძლება სამომხმარებლო საქონელთა და ,კერძოდ,სურსათის წარმოების უბრალო ფორსირებით,იქიდან გამომდინარე,რომ:

$$\text{ცხოვრების დონე მოსახლეობის ერთ სულზე} = \frac{\text{სამომხმარებლო საქონელთა(სურსათის) წარმოების მოცულობა}}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$

ნობის ზრდასაც.ეს უკანასკნელი,განსაკუთრებით თუ იგი მნიშვნელოვანია,შეუძლებელს გახდის ცხოვრების დონის ამაღლებას და არსებობის ღატაკურ დონემდე დაიყვანს მას.

მაგრამ წარმოების ზრდას ,ჩვეულებრივ,რატომ ახლავს თან მოსახლეობის ზრდა? ჯერ-ერთი,წარმოების ზრდის კვალობაზე 1) უფრო მაღალი პირადი მოხმარებისა და 2) სამედიცინო მომსახურებისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების შედეგად-რომელიც ყოველთვის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებით ხდება,-სიკვდილიანობა მცირდება.მეორე,შობადობა უწინდებურად მაღალი იქნება,ან გაიზრდება კიდეც,განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებით,სამედიცინო და სანიტარული პროგრამების განხორციელების შედეგად.სამწუხაროდ,ხატოვანი გამოთქმა "მდიდრებს-სიმდიდრე,ხოლო ღარიბებს-ბავშვები",ზუსტად ასახავს სიტუაციას მრავალ,ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში.მოკლედ რომ ვთქვათ, ცხოვრების დონის ამაღლებამ ერთ სულ მოსახლეზე,შეიძლება მოსახლეობის ზრდა გამოიწვიოს, რაც მხოლოდ მაშინ შეჩერდება, როცა ცხოვრების დონე კვლავ დაეცემა გადასარჩენად ძლივსძლივობით საკმარის დონემდე.

მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ, შესაძლოა ეეპ-ის საერთო მოცულობის ზრდის პირობებში, ეს უკანასკნელი ერთ სულ მოსახლეზე უცვლელი დატოვოს ან შეამციროს კიდევაც. გარდა ამისა, არსებობს უფრო ნაკლებცნობილი გარემოებები, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებას აფერხებენ მოსახლეობის ზრდის გამო. ჯერ-ერთი, ოჯახის სიმრავლე ამცირებს დაზოგვისადმი მის უნარს, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობებს ქვეყანაში. მეორე, რაც უფრო სწრაფია დემოგრაფიული ზრდა, მით უფრო ძნელია რეალური კაპიტალის შესაბამისი დონის შენარჩუნება ერთ სულ მოსახლეზე.თუ ინვესტიციათა ზრდის ტემპები შემცირდება,ყოველ მომუშავეზე სულ უფრო ნაკლები მანქანები და მოწყობილობები იქნება გარანტირებული და მათი მწარმოებლურობა დაეცემა.სინამდვილეში,ყველაფერი გაცილებით რთულია.სამომხმარებლო საქონელთა წარმოების ნებისმიერი გადიდება,რაც თავისთავად ამაღლებს ცხოვრების დონეს,ხელს უწყობს მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას,ამცირებს ერთ სულ მოსახლეზე უწინდელ დონეზე დატოვებს ან შეამცირებს კიდევაც. მესამე, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სოფლის მეურნეობისაგან დამოკიდე-

ცხრილი 41-3.დემოგრაფიული მაჩვენებლები ცალკეულ ქვეყნებში

ქვეყანა	მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.მილზე 1984წ.	მოსახლეობის საშუალო წლიური მატება 1873-1984წწ.
აშშ	69	0,9
პაკისტანი	365	2,8
ბანგლადეში	2082	2,7
ვენესუელა	56	2,7
ინდოეთი	670	2,1
პაიტი	608	1,7
კენია	113	4,2
ფილიპინები	575	2,7
საშუალოდ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში	101	1,7

წყარო:Statistical Abstracr of the United States,1989.

ბულების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სწრაფი დემოგრაფიული ზრდა ხელს შეუწყობს შეზღუდული ბუნებრივი რესურსების, მაგალითად, მიწის გამოფიტვას. შიმშილის კარგად ცნობილი მოვლენა აფრიკის ქვეყნებში, ნაწილობრივ, სხვა არაფერია, თუ არა მიწების ბუნებრივი ნაყოფიერების გამოფიტვის შედეგი, რომლებიც მეტისმეტად ინტენსიურად გამოიყენება. დაბოლოს, ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა სასოფლო ადგილებიდან უპრეცედენტო მიგრაციასთან ერთად, უამრავ პრობლემებს ქმნის სუსტადგანვითარებული ქვეყნების ქალაქებში (იხ.თავი-36). აუტანელი საბინაო პირობები მიყრუებულ ადგილებში, აუცილებელ სოციალურ მომსახურებათა არარსებობა, ჭარბი მოსახლეობა, სიბინძურე, დამნაშავეობა და მრავალი სხვა პრობლემა მწვავდება დემოგრაფიული ზრდით. ამ სიძნელეთა სრული ან ნაწილობრივი აღმოფხვრისათვის საჭიროა რესურსების გადატანა ეკონომიკური ზრდის პროგრამებიდან.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მთავრობათა უმეტესობა შობადობისადმი კონტროლს, მსგავსი დილემის გადაჭრის ეფექტიან საშუალებად მიიჩნევს, განსაკუთრებით, კონტრაცეპტაციის უკა-

ნასკნელ მიღწევათა შუქზე. მაგრამ ამ გზაზე დაბრკოლებები დიდია. ძალზე ძნელია ინფორმაციის გავრცელება კონტრაცეპტულ საშუალებათა გავრცელების შესახებ წერა-კითხვის უცოდინარ მოსახლეობაში. გლეხურ მეურნეობებში დიდი ოჯახები სამუშაო ძალის მთავარი წყაროა. გარდა ამისა, ოჯახში ბავშვების სიმრავლე შეიძლება მოხუცებულობის თავისებურ არაფორმალურ სოციალურ დაზღვევას ნიშნავდეს: რაც მეტია შვილები,მით მეტია ალბათობა რომელიმე მათგანის მიერ ხანდაზმული მშობლების მოვლისა. დაბოლოს, რელიგიური და სოციალ-კულტურული ტრადიციები აფერხებენ შობადობის შემცირების პროგრამების განხორციელებას იმ ქვეყნებში, სადაც შობდობისადმი კონტროლს შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოეცა. მაგალითად, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები მოსახლეობის ყველაზე უფრო მაღალი ზრდის ტემპების მქონე ქვეყნებს მიეკუთვნებიან. მაგრამ არსებობს ასეთი პოლიტიკის წარმატების რამდენიმე მაგალითი."ერთი შვილის"ჩინურმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, რაც 70-იან წლებში დაიწყო, მოსახლეობის ზრდის საშუალოწლიური ტემპების შემცირება განაპირობა 1965-1973 წწ.2%-დან,1989-1990 წწ.-1,3%-მდე, რამაც სურსათის წარმოების გადიდებასთან შეხამებით,არსებითად გაზარდა კვების პროდუქტების მოხმარების დონე.

გაფრთხილება. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყველა ქვეყანა მჭიდროდ დასახლებული როდია. ზუსტად ასევე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოსახლეობის დიდი რაოდენობა აუცილებლად ნიშნავს ეკონომიკურ ჩამორჩენილობას. მაგრამ, ამასთან, მოსახლეობის დიდ რაოდენობას და ზრდის მაღალ ტემპებს შეუძლიათ არსებითი დაბრკოლებები შექმნან ეკონომიკური განვითარების გზაზე; მრავალი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა დამძიმებულია დემოგრაფიულ ზრდასთან დაკავშირებული პროგრამებით.

უმუშევრობა და სამუშაო ძალის არასრული გამოყენება.უმუშევრობის სარწმუნო წყაროები ყოველთვის როდი არსებობს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნების უმეტესობისათვის დამახასიათებელია უმუშევრობაც, და სამუშაო ძალის არასრული გამოყენებაც. უ მ უ შ ე ვ რ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ შეიძლება ვილაპარაკოთ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი, რომელსაც შეუძლია და სურს მუშაობა, ვერ იშოვის სამუშაოს. ამ სიტუაციისაგან განსხვავებით, ა რ ა ს რ უ ლ ი დ ა ს ა ქ მ ე ბ ა შეინიშნება მაშინ, თუ მომუშავეებს იმდენი ხნით (საათი დღეში ან დღეები კვირაში) მუშაობა არ შეუძლიათ, რამდენიც მათ სურთ, ან,თუ

ისინი იძულებული არიან ისეთ სამუშაო ადგილებზე იმუშაონ, სადაც მათი შრომის ეფექტიანობა პოტენციურზე დაბალია.

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სწრაფად მზარდ ურბანიზებულ ზონებში უმუშევრობის დონე ერთობ მაღალია-შესაძლოა, 15-20%. ასეთი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია სასოფლო ადგილებიდან-ქალაქებში. მიგრაცია მოტივირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შოვნის <u>მოლოდინით.</u> მაგრამ მიგრაციის უხარმაზარი მასშტაბები ყველასათვის ასეთ სამუშაოს შოვნას ნაკლებშესაძლებელს ხდის. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობის მოდენა ქალაქებში, მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ სამუშაო ადგილების ზრდას, რაც დიდ უმუშევრობას წარმოშობს ქალაქებში. ამრიგად, მოსახლეობის სწრაფი ურბანიზაცია განაპირობებს იმას, რომ უმუშევრობის დონე ქალაქებში 2-3 ჯერ მაღალია, სოფლისაზე.

ასევე, სავსებით ცხადია, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების უმეტესობისათვის დამახასიათებელია სამუშაო ძალის მუდმივი დაუსაქმებლობა. მაგალითად, მრავალ მათგანში შრომის დანახარჯები სოფლის მეურნეობაში, იმდენად დიდია კაპიტალისა და ბუნებრივ რესურსებთან შედარებით, რომ პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას. ანალოგიურად-მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებლადაა დასაქმებული წვრილ-წვრილი ფარდულების მფლობელთა, ხელოსნების და ქუჩის მოვაჭრეთა სახით. მოთხოვნის უკმარისობის გამო მრავალი მათგანი უქმად ატარებს დროს საკუთარ ფარდულებში ან ქუჩაში. მართალია, მათ უმუშევრებს ვერ უწოდებ, მაგრამ ისინი სრულად როდი გამოიყენებიან.

შრომის დაბალი მწარმოებლურობა. სუსტადგანვითარებული ქვეყნების უმეტესობაში შრომის მწარმოებლურობა უკიდურესად დაბალია. როგორც ჩვენ მალე დაავინახავთ, ამ ქვეყნებში დაბანდებები <u>ფიზიკურ კაპიტალში</u> ადვილი როდია. ამიტომ მომუშავეები არასაკმაოდაა უზრუნველყოფილი მოწყობილობითა და ინსტრუმენტებით, და მათი შრომა დაბალი მწარმოებლურობისთვისაა განწირული. გარდა ამისა, ღარიბი ქვეყნების უმეტესობას არ შეუძლია საკმარისი საშუალებები დააბანდოს თავის <u>ადამიანისეულ კაპიტალში</u> (იხ.ცხრილი 41-2, სვეტები-4 და5); დანახარჯები ჯანდაცვასა და განათლებაზე ამ ქვეყნებში ერთობ უმნიშვნელოა. განათლების დაბალი დონე, შიმშილი, კვალიფიციური სამუშაო ძალის არარსებობა,განათლების სუსტი მატერიალური ბაზა-ყველაფერი ეს მოსახლეობას ნაკლებ მიმზიდველს

ხდის ეკონომიკური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეწარმეთა ენერგიული ფენის არარსებობას,რომელთაც კაპიტალის დაგროვებისა და ეკონომიკური ზრდის ორგანიზაციული წანამძღვრების შექმნის მიდრეკილება გააჩნიათ. გარდა ამისა, უკიდურესად შეზღუდულია იმ კადრების რესურსები, რომელთაც განვითარების ნებისმიერი პროგრამისთვის საჭირო ყოველდღიური კონტროლის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ.

ბედის ირონიით, მოსახლეობის მიგრაცია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებიდან, მართალია რაძდენადმე არბილებს მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას, მაგრამ ზოგიერთ ამ ქვეყანას ყველაზე უფრო მნიშვნელოვან (მაღალკვალიფიციურ) მომუშავეებს ართმევს. ხშირ შემთხვევაში ყველაზე უფრო კვალიფიციური პროფესიონალები შრომითი ეთიკის მაღალი დონით-ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები, მედდები-სუსტადგანვითარებული ქვეყნებიდან, ბედნიერების საძებრად უცხო ქვეყნებში მიემგზავრებიან. ეს ე.წ. "ტვინის გადენა"სამუშაო ძალის კვალიფიკაციის საერთო დონისა და შრომის მწარმოებლურობის შემცირების ფაქტორია.

კაპიტალის დაგროვება

ეკონომისტთა მოსაზრებით ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაპიტალის დაგროვება. ამ ფაქტორის როლი შემდეგი მოსაზრებით აიხსნება.

1.ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყველა ქვეყანა ინვესტიციურ საქონელთა: წარმოებითი ნაგებობების, მანქანებისა და მოწყობილობის, სოციალური ინფრასტრუქტურისა და ა.შ. დეფიციტს განიცდის. უდავოა, რომ შრომის ფონდშეიარაღების გადიდებას მკვეთრად შეუძლია გაზარდოს მისი მწარმოებლურობა, აამაღლოს ცხოვრების დონე. როგორც 21-ე თავში იყო ნაჩვენები, მჭიდრო კავშირი არსებობს ერთობლივ გამომუშავებასა (შრომის მწარმოებლურობა) და რეალურ შემოსავალს შორის ერთ დასაქმებულზე. იმისათვის, რომ ყოველმა მომუშავემ შემოსავლის სახით მეტი საქონელი და მომსახურება მიიღოს, ქვეყანაში ისინი მეტი უნდა იწარმოებოდეს ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით. შრომის მწარმოებლურობის გადიდების მთავარი გზაა ფონდშეიარაღების ზრდა. და მართლაც, ემპირიული გამოკვლევები ამტკიცებენ მნიშვნელოვან დადებით კავშირს კაპდაბანდებათა მოცულობასა და ეეპ-ს შორის სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში. საშუალოდ, კაპდაბანდებათა ხვედრი წილის 10%-ით გადიდება ეეპ-ში, ეკონომიკური ზრდის

ტემპების 0,1%-ით გადიდებას შეესაბამება.ასე, მაგალითად, ეეპ-ში კაპდაბანდებათა ხვედრი წილის გადიდება 10-დან 15%-მდე, რეალური ეეპ-ის 0,5%-ით ზრდას გამოიწვევს.[1]

2.ინვესტიციურ საქონელთა მოცულობის გადიდების აუცილებლობა დასამუშავებელი მიწის ფართობების გადიდების შეზღუდული შესაძლებლობებით აიხსნება. თუ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობა მიწის ახალი რესურსების მოზიდვით მცირეა, ალტერნატივას წარმოადგენს არსებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის უკეთესი უზრუნველყოფა მანქანა-მოწყობილობებით.

3.თავდაპირველად კაპიტალის დაგროვების პროცესმა შეიძლება კუმულიატივური ხასიათი მიიღოს. თუ ინვესტიციების გადიდების შედეგად პროდუქციის გამსწრები ზრდა დამყარდება მოსახლეობის ზრდასთან შედარებით, მაშინ დანაზოგების გადიდების შესაძლებლობა წარმოიშობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კაპიტალდაბანდებათა შემდგომ ზრდას. სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტალის დაგროვება თვით მათ მიერ არაა წახალისებული.

თავდაპირველად განვიხილოთ ინვესტირების საშინაო შესაძლებლობები ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

საშინაო ინვესტიციები. როგორ ხდება კაპიტალის დაგროვება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში (ან ნებისმიერ სხვაში)? პასუხი: დანაზოგებისა და ინვესტიციების გადიდებით. ქვეყნის მოსახლეობამ უნდა გაადიდოს დანაზოგები, სხვა სიტყვებით, თავი შეიკავოს მოხმარებისაგან, რესურსების გამოსათავისუფლებლად სამომხმარებლო საქონელთა წარმოებისაგან. ეს გამოთავისუფლებული რესურსები, ინვესტიციათა სახით უნდა წარიმართოს ინვესტიციურ საქონელთა საწარმოებლად. მაგრამ განვითარებადი ქვეყნებისათვის, დანაზოგების და კაპიტალდაბანდებათა წილის გადიდება გაცილებით ძნელია, ვიდრე განვითარებული სახელმწიფოებისათვის.

დანაზოგების გადიდების შესაძლებლობა. თავდაპირველად განვიხილოთ დანაზოგების პრობლემა. ამ თვალსაზრისით სიტუაცია სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია. დანაზოგების წილი ეეპ-ში, ისეთ უღარიბეს ქვეყნებში, როგორიც ეთიოპია, ბანგლადეში, უგანდა, ჰაიტი, და მადაგასკარია, 2-დან 5%-მდეა. ამ ქვეყნების მოსახლეობა ძალზე ღარიბად ცხოვრობს და

1.International Monetary Fund. World Economic Outlook.Washington.D.C. ,1989.ud.76.

თავიანთი შემოსავლების არსებით ნაწილს ვერ გადადებს. აღსანიშნავია, ამასთან, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ სხვა ქვეყნებში დანახარჯების ხვედრი წილი ეეპ-ში პრაქტიკულად იგივეა, როგორიც მრეწველურად განვითარებულ სახელმწიფოებში. მაგალითად, 1986 წ.მონაცემებით ინდოეთსა და ჩინეთში დანაზოგები, შესაბამისად, ეეპ-ის 21 და 32%-ია, მაშინ, როცა იაპონიაში-32%, დასავლეთ გერმანიაში-24%., აშშ-ში 15%. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ეეპ-ის მოცულობა იმდენად მცირეა, რომ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან, მათი დანაზოგების შეფარდებითი მაჩვენებლების ტოლობის დროსაც კი დანაზოგების აბსოლუტური სიდიდე მათში, უმნიშვნელოა. როგორც ჩვენ დავინახავთ, უცხოური კაპიტალისა და დახმარებების მოდენა საშინაო ინვესტიციების შემავსებელი საშუალებაა.

კაპიტალის გადენა. არსებობს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მრავალი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან გ ა ე დ ი ნ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი .ე.ი. მათ მაცხოვრებლებს თავიანთი ანაბრები ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გადაქვთ ან დანაზოგების ინვესტირებას ახდენენ. რატომაა ეს შესაძლებელი? ძირითადში იმიტომ, რომ მრავალი სუსტადგანვითარებული ქვეყნის მოქალაქეები ნაკლებსაიმედოდ თვლიან დანაზოგების დაბანდებას საკუთარ ქვეყნებში, ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულში, რამდენადაც, შესაძლო ექსპროპრიაციის, საგადასახადო სისტემის ცვლილებების, ინფლაციის დაჩქარების შედეგად ისინი თავიანთი დანაზოგებისა და უძრავი ქონების დაკარგვას რისკავენ. თუ პოლიტიკური კლიმატი რომელიმე, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში არასტაბილურია, არსებობს ალბათობა იმისა, რომ მეანაბრეები თავიანთ სახსრებს ოკეანის მიღმა გადაიტანენ "უსაფრთხო ნავთსაყუდელში", ახალი მთავრობის მიერ მათი კონფისკაციის შიშით. არანაკლები ზარალი შეიძლება ნახოს სუსტადგანვითარებულმა ქვეყანამ გალოპირებული ინფლაციისაგან (იხ.თავი 10). ფულადი სახსრების სხვა ქვეყნებში გადატანა, შეიძლება ასევე პირად შემოსავლებსა და მოგებაზე ადგილობრივი გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით განხორციელდეს. დაბოლოს, კაპიტალის ექსპორტი დაკავშირებულია სარგებლის უფრო მაღალ განაკვეთთან ან ინვესტირების ობიექტების უფრო ფართო არჩევანთან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

როგორიც არ უნდა იყოს კაპიტალის გაპარვის მიზეზები ჩამორჩენილი ქვეყნებიდან, გამოკვლევები გვიჩვენებს,რომ მისი მოცულობა საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 1974-1982 წწ. არგენტინის საგარეო სესხებმა დაახლოებით 33 მლრდ დოლ. შეადგინა. ამასთან, კაპიტალის გადენა ამ ქვეყნიდან, იმავე პერიოდში 15-27 მლრდ დოლარადაა შეფასებული. და, თუ უცხოური ინვესტიციები მექსიკაში 1976-1984წწ. 79 მლრდ დოლარი იყო, კაპიტალის ექსპორტი, იმავე პერიოდში 26-დან 54 მლრდ დოლარამდე მერყეობდა.[1]

მიავარი პრობლემა ისაა, რომ სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები იძლევიან, იმათ ხელში იყრის იავსკვინც ამ სახსრებს შემდგომში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში აბანდებს. ამის შედეგად, კაპიტალის იმპორტი სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში არ იწვევს კაპიტალშექმნის პროცესის დაჩქარებას, რაც ხელს შეუწყობს მათში შრომის მწარმოებლურობის გადიდებას.

დაბრკოლებები ინვესტირების გზაზე. კაპიტალშექმნის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან კაპიტალის დაგროვებას ამა თუ იმ პროდუქტის დაფინანსებისათვის საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაშიც კი. ასეთი სახის დაბრკოლებებიდან შეიძლება გამოვყოთ მთავარი-ინვესტორთა და ინვესტირების სტიმულების უკმარისობა.

სოციარია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთ ჩამორჩენილ ქვეყანაში სიმდელე ისეთ ხელმძღვანელთა არარსებობაა, რომლებიც მსად არიან საკუთარ თავზე აიღონ ახალ ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკი. ასეთი მდგომარეობა, ცხადია, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი საერთო დონის შედეგად ყალიბდება (ეს პრობლემა ადრე უკვე განხილული იყო).

მაგრამ მნიშვნელოვანი ფინანსური რეზერვებისა და აქტიური მეწარმეების არსებობის პირობებშიაც კი, შესაძლოა არ იყოს ინვესტირების ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც სტიმულებია. ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ასეთი სტიმულების არარსებობის მიზეზები მრავალფეროვანია. ესაა უკვე აღნიშნული პოლიტიკური არასტაბილურობაც და ინფლაციის მაღალი ტემპებიც. ამასთან, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები არასასოფლო სამეურნეო პროდუქციის საშინაო ბაზრის შევიწროებას (მოთხოვნის დაკმაყოფილებას) იწვევს. ეს უკიდურესად ართულებს სიტუაციას, განსაკუთრებით, თუ გავით-

---

1.Steven Plaut.Capital Flight and LDC Debet //Weekly Letter.Federal Reserve Bank of San Francisco.1988 გვ.1.

ვალისწინებთ, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს არავითარი შანსი არ გააჩნიათ მსოფლიო ბაზარზე კონკურენცია გაუწიონ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების შესაბამის დარგებს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმაღლესი და საშუალო რგოლის მმართველი პერსონალის არასაკმარისმა პროფესიულმა მომზადებამ შეიძლება არსებითად შეაფერხოს ინვესტირების პროცესი. დაბოლოს, მრავალ,ეკონომიკურად სუსტადგანვითარებულ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს ადექვატური ინფრასტრუქტურა, რაც კერძოწარმოებრივი კაპდაბანდების აუცილებელი პირობაა, საავტომობილო და რკინიგზების, ხიდების საშინელი მდგომარეობა გაზითა და ელექტროენერგიით ცუდი მომარაგება; დიდი ხნის წინათ აშენებული კომუნიკაციები და მოძველებული სახლები; განათლებისა და ჯანდაცვის მატერიალური ბაზის არარსებობა-ყველაფერი ეს არაფრით არ უწყობს ხელს შესაბამისი საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა გაცილებით სერიოზული პრობლემაა, ვიდრე მანქანებსა და მოწყობილობებში ჯერ კიდევ წარმოებრივი ინვესტირების დაწყებამდე ან მასთან ერთად მნიშვნელოვანი სახსრების დახარჯვის აუცილებლობა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული არაა წარმოებასთან და შესაძლოა მოგების მომცემი არ იყოს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მთლიან ინვესტიციათა 60% მშენებლობასა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იხარჯება და მხოლოდ 40% მოდის პირდაპირ წარმოებრივ კაპიტალდაბანდებებზე, დამმუშავებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ვაჭრობაში.[1] შესაძლოა ეს ციფრები ინვესტორთა ხვედრ წილს ამცირებს,რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უნდა წაიდეს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის შეიძლება გაცილებით მეტი მოცულობის ინვესტიციები გახდეს საჭირო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება.

მოცემული სიტუაციიდან გამოსავალია კაპიტალის <u>ნატურალურ ფორმაში</u> დაგროვების პოტენციური შესაძლებლობა ანუ ინვესტირების არასაფინანსო წყაროების გამოყენება. საჭირო ორგანიზაციული წანამძღვრების პირობებში კაპიტალის დაგროვება შეიძლება ჭარბი სასოფლო სამეურნეო სამუშაო ძალის

1.Artur Levis.The Theory of Economic Growth.Homewood,III.:Richard D.Irwin.Inc.,1955.გვ.210.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე წარმართვით.თუ ყოველ სოფელში,დაუსაქმებელი მუშები ხელს მოკიდებენ დასაშრობი არხების, ჭების, სკოლების, სანიტარული ობიექტებისა და გზების მშენებლობას, მაშინ კაპიტალის დაგროვება შეიძლება არსებითად სახალხო მოხმარების საქონელთა წარმოებისათვის ზიანის მიყენების გარეშე წავიდეს.ინვესტირების არასაფინანსო წყაროების გამოყენებისას შეიძლება გვერდი აუაროთ კაპიტალის დაგროვების ფინანსურ ასპექტებთან დაკავშირებულ სიძნელეებს.ინვესტირების ასეთი ხერხი მომხმარებლებისაგან არ მოითხოვს თავიანთი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის გადადებას დაზოგვისათვის,და ასევე დამოკიდებული არაა ინვესტირებისადმი მიდრეკილების მქონე მეწარმეთა კლასის არსებობაზე.ამრიგად, შესაბამისი ორგანიზაციული წანამძღვრების პირობებში დაფინანსების არასაფინანსო წყაროების გამოყენებამ შეიძლება არსებითად ხელი შეუწყოს ძირითადი კაპიტალის დაგროვებას.

ტექნიკური პროგრესი

ტექნიკური პროგრესი და კაპიტალის დაგროვება ხშირ შემთხვევაში მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგრამ ხანდახან სასარგებლოა ტექნიკური პროგრესის ანუ წარმოების ახალი მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების და კაპიტალშექმნის (კაპიტალის ღაგროვება) დამოუკიდებელი პროცესების განხილვა.

ეს განსაკუთრებით სამართლიანია ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკის მიმართ. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ტექნიკური პროგრესი არსებითად, როგორც ევოლუციური პროცესი განიხილებოდა, რომლის განმავლობაში მკვლევარები ტექნიკური ცოდნის ფარგლებს აფართოვებენ. ამისათვის ხორციელდება დაფინანსება და მოწყობილობის რთული სისტემების შექმნა,რაც ტექნიკური პროგრესის მიღწევებს შეესაბამება. მაგრამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში სურათი სხვანაირია. ტექნოლოგიის ჩამორჩენილობა მათ ტექნმიკური პროგრესის მოწინავე მიჯნისაგან გამოაცალკევებს. განვითარებული ქვეყნების მიერ დაგროვილი უზარმაზარი ტექნოლოგიური ცოდნა, შეიძლება ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მიერ გამოკვლევებზე არსებითი დანახარჯების გარეშე გამოყენებულიყო. მაგალითად, თესლბრუნვისა და კონტურული მიწათმოქმედების თანამედროვე გამოცდილების გამოყენება არ მოითხოვს დამატებით

კაპიტალდაბანდებებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ხრდის შრომის მწარმოებლურობას. შესაძლოა მარცვლეულის დიდი დანაკარგები ავიცილოთ, მხოლოდ ბეღლების სიმაღლის რამდენიმე დუიმით ამაღლებით. მსგავსი ტექნოლოგიური ცვლილებები შეიძლება ერთობ ტრივიალური მოგვეჩვენოს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობისათვის. მაგრამ ღარიბი სახელმწიფოებისათვის მწარმოებლურობის გადიდება ასეთ ცვლილებათა შედეგად შეიძლება შიმშილის შეწყვეტას და გადარჩენისათვის საკმარისი დონის მიღწევას ნიშნავდეს.

უმეტეს შემთხვევაში არსებული ან ახალი ტექნოლოგიური ცოდნის დანერგვა ახალ საინვესტიციო საქონელთა გამოყენებას ნიშნავს. მაგრამ, რაღაც საზღვრამდე ეს საქონლები შეიძლება კაპიტალის დაგროვების დაუჩქარებლად მოვიზიდოთ. თუ ყოველწლიური კაპიტალური დაბანდებები ადრე გამოყენებულთან შედარებით, ტექნოლოგიურად უფრო სრულყოფილ მოწყობილობაზე დაიხარჯება, მწარმოებლურობა შეიძლება ამაღლდეს ინვესტიციათა უცვლელობის პირობებშიც კი.მართლაც,ახალი ტექნოლოგიები შეიძლება იმდენად კ ა პ ი ტ ა ლ ტ ე ვ ა დ ი არ იყოს,რამდენადაც კ ა პ ი ტ ა ლ დ ა მ ზ ო გ ა ვ ი სასუქების ახალი სახეობა, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ქვეყნის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს,შეიძლება იმ სასუქებზე უფრო იაფი იყოს, რომელიც მოცემულ მომენტში გამოიყენება. ლიტონის, თითქოსდა ძვირი გუთანი, რომელიც 10 წელი გამოიყენება, ხანგრძლევვადიანი თვალსაზრისით უფრო იაფია,შედარებით იაფ მაგრამ ტექნოლოგიურად მოძველებულ ხის გუთანზე, რაც ყოველწლიურად უნდა შეიცვალოს.

მაგრამ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის პროგრესული ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ საკითხის განხილვისას რეალური მიდგომა უნდა შევინარჩუნოთ.ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ტექნოლოგიათა დანერგვა შედარებით შეზღუდული მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალისა და შედარებით ჭარბი ძირითადი კაპიტალის არსებობის პირობებში ხდება.ასეთი ტექნილოგიები, როგორც წესი,კაპიტალ-ან შრომადამზოგავია. პირიქით, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს ისეთი ტექნოლიოგიები სჭირდებათ, რომლებიც რესურსებისადმი მათი სიტუაციის შესაფერისი იქნებოდა, რომელიც არაკვალიფიციური სამუშაო ძალის სიჭარბით და ინვესტიციურ საქონელთა ძალზე შეზღუდული მარაგით ხასიათდება. შრომატევადი და კაპიტალდამზოგავი ტექნოლოგიები-ყველაზე უფრო შეესატყვისება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს. ეს ნიშნავს, რომ მრავალი მოწინავე ტექნოლოგია, რომელიც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გამოიყენება, ეკონო-

მიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში გამოუსადეგარია. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, რომ მრავალ, სუსტადგანვითარებულ ქვეყანაში არ არსებობს "ტრადიციული ეკონომიკის"პრობლემა (იხ.თავი 2), რომელიც ნებისმიერი ცვალებადობისადმი მგრძნობიარე რომია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია გლეხური მეურნეობისათვის, რაც ჭარბობს ბევრ სუსტადგანვითარებულ ქვეყანაში. ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის წარუმატებლობას, მხოლოდ შიმშილის პრობლემის გამწვავება შეუძლია. ამრიგად, მოცემულ ქვეყნებში შენარჩუნებულია წარმოების ტრადიციული მეთოდების გამოყენების ძლიერი ტენდენცია.

სოციო-კულტურული და ინსტიტუციონალური ფაქტორები

ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ხასიათის მიზეზებით აიხსნას. არსებითად, ეკონომიკური .ზრდა სოციალური და ინსტიტუციონალური ფაქტორია. ეკონომიკური ზრდა სწარმოებს არა მხოლოდ მატერიალური ბაზის ცვლილებებით, ე.ი. ახალ სატრანსპორტო საშუალებათა და კომუნიკაციათა, ახალი სკოლების, სახლების, ქარხნების და მოწყობილობების წყალობით, არამედ ასევე, ადამიანთა აზროვნებაში, მათს ქცევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში სერიოზული ძვრების წყალობითაც. ხშირ შემთხვევაში ადათ-წესებისა და ტრადიციებისაგან განთავისუფლება ეკონომიკური განვითარების მთავარი წანამძღვარია. შესაძლოა ეკონომიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი და რაოდენობრივი გაზომვისადმი ყველაზე ნაკლებად დაქვემდებარებული ფაქტორია გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ეკონომიკური ზრდა შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული,"რაც ცალკეულ ინდივიდებს ან სოციალურ ჯგუფებს სურთ, და მართლა სურთ თუ არა მაო უარი იქვან და დაძაბულად იმუშავონ ახლის დანერგვაზე".[1]

სოციო-კულტურული დაბრკოლებები. სოციოკულტურული ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდას აფერხებენ, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

1.Eugene Staley.The Future of Underdeveloped Countries (rev.ed.).New York:Frederick A.Praeger,1961.გვ.218

1.ზოგიერთ, ეკონომიკურად ყველაზე უფრო ნამორჩენილ ქვეყანას არ შეუძლია ერთიანი ეროვნული ეკონომიკის განვითარების პირობების შექმნა. ტომობრივი ურთიერთობებისადმი ერთგულება იმარჯვებს ეროვნული ერთიანობისაკენ მისწრაფებაზე. ტომებს შორის ომები აქვეითებს მათ ეკონომიკურ აქტიურობას ტომის შიგნით და წარმოებისა და ვაჭრობის ეფექტიანი სპეციალიზაციის შესაძლებლობებს არიმევს მათ.

2.რელიგიური ადათ-წესების დაცვამ შესაძლოა არსებითად შეზღუდოს სამუშაო დღის ხანგრძლივობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სახსრები, რაც შეიძლება ინვესტიციების სახით იქნას გამოყენებული,სხვადასხვა რელიგიური ცერემონიების გამართვას ხმარდება. მაგალითად, ინდოეთის სოფლის მაცხოვრებლები საეკლესიო წეს-ჩვეულებებზე კარგავენ თავიანთი პირადი შემოსავლის დაახლოებით 7%.[1]საერთოდ რომ ვთქვათ, რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებები ზოგ შემთხვევაში სამყაროს განუჭვრეტელობის რწმენას ეყრდნობიან იმ გაგებით, რომ არავითარი კავშირი ადამიანის ქცევასა და ცხოვრებაში მის ძალისხმევას შორის ერთი მხრივ, და მისგან გამომდინარე შედეგებს შორის,მეორე მხრივ, პრაქტიკულად არ არსებობს.

> თუ ადამიანს ასწავლიან, რომ ყველაფერი წინასწარაა ზემოდან განსაზღვრული, მაშინ, იგი შესაბამისად, საკუთარი ქმედებების შედეგებს თვით ქმედებებს არ უკავშირებს. ყველაფერს, რაც ხდება, იგი გარდაუვლად თვლის...
>
> ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყველაფერში ვლინდება: დანაზოგებსა და ინვესტირებაში, ხანგრძლივვადიანი პერსპექტივების მოფიქრებისას; ეს პირად ინიციატივაში ინერს თავს ოჯახის დაგეგმვისას. თუ ცხოვრების დონის გადიდება და გამდიდრება განიხილება, როგორც ბედისწერის ნაბოძები და არა, როგორც დაძაბული შრომის შედეგი, მაშინ დაზოგვისა და დაძაბული შრომის, სიახლეთა და მეწარმეობითი აქტიურობის ყოველგვარი აზრი იკარგება"[2]

3. საზოგადოების კასტური მოწყობის ფორმალური და არაფორმალური შენარჩუნება გამოიწვევს, შრომის განაწილებას ტრადიციული

1.Inder P.Nijhawan.Socio_Politicai Institutions.Cultural Values, and Attitudes: Their Impact on Indian Economic Development //j.S.. Uppal (ed.)India's Economic Problems.New Deli:Tata McGraw-Hill Publising Company.Ltd.,1975. გვ.31.

2.Inder P.Nijhawan. დასახელებული ნაშრომი.გვ.33.

კრიტერიუმებით და არა მისი მოხერხებულობებიდან გამომდინარე. ცხადია, ამისი შედეგი შრომითი რესურსების არასწორი განაწილებაა.

ინსტიტუციონალური დაბრკოლებები. ახლა განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი, ინსტიტუციონალური ხასიათის ფაქტორები. მრავალ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში ფარიოდაა გავრცელებული კორუფცია და მექრთამეობა. განათლებისა და სოციალური მომსახურების სფეროს ხელმძღვანელობა საკმაოდ ხშირად, ძალზე ცუდადაა მოგვარებული და პოლიტიკური მოსაზრებებით განისაზღვრება. საგადასახადო პოლიტიკა, როგორც წესი, თვითნებური, არასამართლიანი და მოუქნელია და მუშაობისა და ინვესტირების სტიმულებს აფერხებს. პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, საერთაშორისო პრესტიჟიდან გამომდინარე მიიღება, და არა ეკონომიკური განვითარების წახალისების მიზნით.

მაგალითად, ინდოეთში ბირთვული იარაღის გამოცდა 1974 წ., აშკარად სოციალურ პრიორიტეტებს ეხმიანებოდა.

სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში გაბატონებული დარგია სოფლის მეურნეობა. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისათვის ხელსაყრელი ინსტიტუციონალური გარემოს შექმნა ეკონომიკური ზრდის ნებისმიერი პროგრამის უმნიშვნელოვანესი პირობაა. პრაქტიკულად, ამ ჯგუფის ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწის რეფორმის ინსტიტუციონალურ საკითხებს. არსებითად, საჭირო რეფორმები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ, ყოველი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ზოგიერთ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში მიწის განსაკუთრებული კონცენტრაცია მდიდარი ოჯახების მცირე რაოდენობის ხელში მეტისმეტად ნეგატიური ფაქტორია, რაც ზემოქმედებას მოახდენს მოიჯარეთა საქმიანობაზე და წარმოების გაფართოებისა და ძირითადი კაპიტალის განახლების შემასუსტებელია.

მეორე მხრივ, მრავალ ქვეყანაში ოჯახებს მიწის იმდენად მცირე ნაკვეთები გააჩნიათ, რომ მათი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიით დამუშავების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს. მიწის რეფორმა იმითაც რთულდება, რომ მისი გატარებისას ხშირ შემთხვევაში არაეკონომიკური მიზანშეწონილებიდან გამოდიან, არამედ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებიდან. ბევრი ქვეყნისათვის აგრარული რეფორმა მწვავე პრობლემაა, რომელიც ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად უნდა გადაიჭრას.

დასკვნა: მანკიერი წრე

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენელი ქვეყნების ახლახანს აღწერილი ნიშნები, იმავდროულად მაიი სიღარიბის მიზეზი და შედეგია. ეს ქვეყნები სიღარიბის მანკიერ წრეში მოხვდნენ. ისინი ღარიბებად რჩებიან იმიტომ, რომ თავიდანვე ღარიბები იყვნენ. გავაანალიზოთ 41-1 ნახაზი. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყველა ქვეყნის ძირითადი ნიშანი დაბალი შემოსავალია ერთ სულ მოსახლეზე. ოჯახებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ დაზოგვის არც სტიმულები და არც შესაძლებლობები. უფრო მეტიც, დაბალი შემოსავლები ნიშნავს დაბალ მოთხოვნას. ამის შედეგად მწირი რესურსები, ერთი მხრივ, და სტიმულირების არარსებობა, მეორე მხრივ, ინვესტირებას აფერხებენ ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალში. ეს ნიშნავს, რომ შრომის მწარმოებლურობა დაბალი იქნება. ხოლო, რამდენადაც ხვედრი გამომუშავება განსაზღვრავს ყოველი მომუშავის შემოსავალს, პირადი შემოსავალიც დაბალია. მრავალი სპეციალისტი თვლის, რომ ამ მანკიერი წრის გარღვევა კაპიტალის დაგროვების გადიდებით, ეეპ-ში ინვესტიციის წილის, ვთქვათ, 10%-მდე გაზრდით შეიძლება. მაგრამ 41-1 ნახაზიდან გამომდინარეობს, რომ მრავალი სუსტადგანვითარებული ქვეყნის ისტორიული სინამდვილე-მოსახლეობის სწრაფი ზრდა-მეტადრე კაპიტალის დაგროვების დაჩქარების შესაძლო ყველა პოტენციური სარგებლობების ნულამდე დაყვანას გამოიწვევს. მაგალითად, ჰიპოთეზური მონაცემების გამოყენებით, დავუშვათ, რომ, რომელიმე, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის რეალური ეეპ-ი არ იზრდება. მიუხედავად ამისა, როგორღაც მოხერხდა ინვესტიციების დონის გადიდება ეეპ-ის 10%-მდე. ამის შედეგად, ეეპ-ი ზრდას დაიწყებს, ვთქვათ, 2,5%-ით წელიწადში. თუ ამ ქვეყნების მოსახლეობა სტაბილური იქნება, რეალური ეეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე, ასევე 2,5%-ით გაიზრდება წელიწადში. ამ შემთხვევაში, მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების დონე დაახლოებით 28 წელიწადში ორჯერ ამაღლდება. მაგრამ რა მოხდება თუ მისი მოსახლეობა 2,5%-ით გაიზრდება წელიწადში, როგორც, მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში?ასეთ პირობებში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე უცვლელი დარჩება და მანკიერი წრის გარღვევა ვერ მოხერხდება.

მაგრამ ვიყოთ ოპტიმისტები და ვივარაუდოთ,რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა არ იცვლება ან 2,5%-ზე მნიშვნელოვნად ნელა



ნახ. 41-1.“სიღარიბის მანკიერი წრე“

დაბალი სულადობრივი შემოსავალი ღარიბ ქვეყნებში ზღუდავს დანაზოგებისა და დაგროვების შესაძლებლობებს.ამის შედეგად შენარჩუნებულია შრომის დაბალი მწარმოებლურობა და დაბალი შემოსავლები.ამასთან, მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ შეიძლება უცბად ჩაყლაპოს შემოსავლის გადიდება ერთ სულ მოსახლეზე,და ამრიგად, ნულზე დაიყვანოს “სიღარიბის მანკიერი წრიდან“გამოსვლის შესაძლებლობა.

გაიზრდება წელიწადში. მაშინ, მოხდება რეალური შემოსავლის გადიდება ერთ სულ მოსახლეზე,და მაშასადამე,შესაძლებელი გახდება დანაზოგების,კაპდაბანდებათა და შრომის მწარმოებლურობის მყარი ზრდა,ასევე პირადი შემოსავლების შემდგომი გადიდება.მოკლედ რომ ვთქვათ, შემოსავლების, დანაზოგების, ინვესტიციების და შრომის მწარმოებლურობის გადიდების მიღწევა საშინაო წარმოების საფუძველზე თუ მოხდება, მაშინ სიღარიბის მანკიერი წრე შეიძლება გაირღვეს. ამოცანა მხოლოდ ეფექტიანი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოძებნაშია.

სახელმწიფოს როლი

ეკონომისტებს შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სახელმწიფოს როლის შესახებ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

აქტიური როლი

ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფოს როლი უკიდურეს შემთხვევაში საწყის სტადიაში, მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ეს მოთხოვნა მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური განვითარების სიმძიმეთა ხასიათიდან გამომდინარეობს, რომელსაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები აწყდებიან.

1.კანონიერება და წესრიგი. ზოგიერთი ულარიბესი ქვეყნის ნამდვილი უბედურებაა დამნაშავეობა და ტომებშორისი შეჯახებები, რაც საზოგადოების ყურადღებასა და რესურსებს მეურნეობრივი ამოცანებიდან სხვაგან გადაიტანს. მძლავრი და მყარი სახელმწიფო ხელისუფლება აუცილებელია კანონიერებისა და წესრიგის დასამყარებლად, ქვეყანაში მშვიდობისა და ერთიანობის მისაღწევად.

2.კერძო მეწარმეობის სისუსტე. მრავალ ქვეყანაში არ არსებობს მეწარმეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ენერგიული კლასი, რომელსაც კაპიტალის დაგროვებისა და წარმოების განვითარების შესაძლებლობა და სურვილი გააჩნია. ამრიგად, კერძო მეწარმეობას უნარი არ შესწევს ეკონომიკური ზრდის პროცესის წამყვანი ძალა გახდეს.

3.ინფრასტრუქტურა. ეკონომიკური ზრდის მრავალი სიძნელეები საზოგადოებრივ საქონელთა და მომსახურების დეფიციტით, სხვანაირად რომ ვთქვათ, ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარებით წარმოიშობა. სანიტარულ -ჰიგიენური და ძირითადი სამედიცინო პრობლემები, განათლება, მიწების დაშრობა და დაცვა,გზებისა და სხვა სატრანსპორტო-კომუნიკაციური სისტემების მშენებლობა-ყველა ამ არსებითად არასაბაზრო საქონლებსა და მომსახურებებს საზოგადოებისათვის უზარმაზარი თანამდევი სარგებლობები მოაქვთ. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ასეთ საქონელთა და მომსახურების წარმოება საკმარისი რაოდენობით.

4.იძულებითი დაგროვება და კაპიტალური დაბანდებები. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა საჭიროა დანაზოგებისა და ინვესტიციების პრობლემის გადასაწყვეტად, რაც კაპიტალის დაგროვებას ამუხრუჭებს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ხდება ისეც ,რომ მდგომარეობიდან გამოსვლის უზრუნველყოფა მხოლოდ

სახელმწიფოებრივ საგადასახადო ღონისძიებებს შეუძლიათ, რომ-ლებიც სტიმულს აძლევენ კაპიტალის დაგროვებას. აქ, პრინციპულ-ლად შესაძლოა ორი ალტერნატიული გზა. ჯერ ერთი, დაგროვების დონე შეიძლება გაიზარდოს გადასახადების გადიდებით. მხარდი საგადასახადო შემოსაულობანი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კაპიტალტევადი პროექტების განხორციელებაზე წარიმართება. ამასთან, ხშირ შემთხვევაში სამართლიანი და ეფექტიანი საგადა-სახადო სისტემის შექმნასთან, მის მკაფიო ფუნქციონირებასთან, საგადასახადო კანონმდებლობის მეტნაკლებად საყოველთაო დაც-ვასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები წარმოიშობა.

მეორე მეთოდი, ინფლაციის მეშვეობით დანაზოგების იძულებით სტიმულირებაში მდგომარეობს. სახელმწიფოს შეუძლია კაპიტალის დაგროვება დააფინანსოს ბრუნვაში ფულადი მასის გაშვებით და დამატებითი ფულის დახარჯვით ან ბანკებისათვის ობლიგაციების მიყიდვით და მიღებული შემოსავლის დახარჯვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ღონისძიებებით გამოწვეული ინფლაცია, არსებითად, ეკონომიკის თვითნებურ დამატებით დაბეგვრას ნიშნავს გადასახადე-ბით. დაგროვების მიზანშეწონილება ინფლაციის მეშვეობით, საეჭვოა რამოდენიმე მოსაზრების გამო. ჯერ ერთი, ინფლაცია ,არაიშვიათად კაპიტალდაბანდებათა სტრუქტურას ამახინჯებს, სახსრების წარმოებითი ობიექტებიდან მდიდრული სახლების მშენებლობამზე, ძვირფასი ლითო-ნების ან უცხოური ფასიანი ქაღალდების შეძენაზე .გადატანით, ფასების ზრდისაგან დაცვის მი'ხნით. მეორე, მნიშვნელოვანმა ინფლაციამ შეიძლება ნებაყოფლობითი კერძო დანაზოგები შეამციროს, რამდენადაც სახსრების მეპატრონეებს არ სურთ გაუფასურებული ფულის ან აქციების დაგროვება, რომლებითაც გაუფასურებული დივიდენდები გადაიხდება. რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, ინფლაცია, როგორც წესი, სტიმულს აძლევს იმპორტის ზრდას და ანელებს ექსპორტს. ე.ი. აუარესებს მის საგადასახდელო ბალანსს.

5.სოციალურ მოწყობასთან დაკავშირებული ფაქტორე-ბი.სახელმწიფოს ყველაზე უფრო ფარიო შესაძლებლობები გააჩნია, ეკონომიკური ზრდის გზიდან ჩამოიშორიოს სოციალური მოწყობის ხასიათიდან გამომდინარე დაბრკოლებები. მოსახლეობის ზრდის შეფერ-ხება და მიწის რეფორმა-აი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომელთა გადაჭრა უაზრობაა, სახელმწიფოს ფარიო ჩარევის გარეშე და მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს წაახალისოს განვითარება, საზოგადოება შეაგუ-ლიანოს, უარი თქვას რელიგიურ ფატალიზმზე და შეიგნოს სოციალური აქტიურობის ღირებულება.

სახელმწიფო სექტორის პრობლემები

ყველაფერი ეს საშუალებას არ გვაძლევს თვალი დავხუჭოთ იმ პრობლემებსა და სიძნელეებზე, რომლებიც წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო წარმართავს ეკონომიკური განვითარების პროგრამას. როდესაც კერძო სექტორში უნარიანი მეწარმეები არ არიან, შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ მთავრობაში მოიძებნებიან ჭეშმარიტი ლიდერები? განა არაა იმის საშიშროება, რომ სახელმწიფო ბიუროკრატია არა თუ არ წაახალისებს, არამედ დაამუხრუჭებს დიდი ხნის ნანატრ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს? რა ვუყოთ ცენტრალიზებული დაგეგმვის ცნობილ მიდრეკილებას, ხელი შეუწყოს შიამბეჭდავ "მონუმენტურ"პროექტებს უფრო მიზანშეწონილი, მაგრამ ერთი შეხედვით ნაკლებმიმზიდველი პროგრამების ხარჯზე? და განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისას პოლიტიკური მოტივები რა მიზეზით არ ჭარბობენ ეკონომიკურს?

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე ეკონომიკური განვითარების სპეციალისტებმა გაცილებით ნაკლები ენთუზიაზმით იწყეს სახელმწიფოს პოტენციური როლის შეფასება ეკონომიკური განვითარების პროცესში. ეკონომიკურად ჩამორჩენილ მრავალ ქვეყანაში, სახელმწიფო რეგულირების არაკომპეტენტურობა და კორუფცია ყოველდღიურ რეალობად გადაიქცა. სამთავრობო ჩინოვნიკებს ახასიათებთ ჯიბის გასქელება დახმარების უცხოური ფონდებიდან. ხოლო პოლიტიკურ ლიდერებს,თავის მხრივ, მიდრეკილება აქვთ მონოპოლიური პრივილეგიები შესთავაზონ თავიანთ ნათესავებს, მეგობრებს, მომხრეებს. მაგალითად, პოლიტიკურ ხელმძღვანელს შეუძლია ახლობლებისთვის პროდუქციის განსაზღვრული სახეების წარმოების, ექსპორტირებისა და იმპორტირების განსაკუთრებული უფლებების მიცემა. მსგავსი მონოპოლიური პრივილეგიები საშინაო ფასების გადიდებას იწვევს შესაბამის საქონელზე და მსოფლიო ბაზარზე სუსტადგანვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობას ამცირებს. სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელები, ხშირ შემთხვევაში შეირჩევა არა საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, არამედ საჭირო კავშირების მიხედვით. ამიტომ, უკანასკნელ წლებში სახელმწიფო, უმეტესობის მიერ აღიქმება არა როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, არამედ, როგორც ეკონომიკური განვითარების დამმუხრუჭებელი.

შეიძლება ასევე აღვნიშნოთ, რომ ცენტრალიზებული დაგეგმვის საბჭოური მოდელი, რომელიც სახელმწიფოს ,ეკონომიკის მამოძ-

რავებელი ძალის როლს ანიჭებს, პრაქტიკულად, უკვე უარყოფილია.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბევრი ქვეყანა (აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩინეთი) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონკურენცია და პირადი ეკონომიკური დაინტერესება ეკონომიკის ზრდის ფუძემდებლური ფაქტორია. სულ უფრო მეტად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ მოქალაქეებმა საკუთარი ძალისხმევისათვის უფრო მეტი სარგებლობა უნდა მიიღონ-მხოლოდ ასე შეიძლება მათი შეგულიანება წარმოების გაფართოების ღონისძიებათა მისაღებად.

განვითარებული ქვეყნების როლი

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს რა დახმარების გაწევა შეუძლიათ ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ეკონომიკური განვითარების გზაზე? რა ზომით გამოიყენება ასეთი დახმარების სხვადასხვა არხები? საერთოდ რომ ვთქვათ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება:1) განვითარებულ პარტნიორებთან ვაჭრობის გადიდებით; 2) უცხოური აუნაზღაურებელი სუბსიდიებისა და განვითარებული სახელმწიფოების სესხებით; 3) კერძო კაპიტალის მოდენით, უფრო მდიდარი ქვეყნებიდან. განვიხილოთ ეს შესაძლებლობები მოცემული რიგითობით.

ვაჭრობის ზრდა

ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ აშშ და მრეწველურად განვითარებულ სხვა ქვეყნებს შეუძლიათ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების დახმარება მარტივი და ეფექტიანი გზით, საერთაშორისო სავაჭრო ბარიერების მოხსნით და ამით მათთვის საკუთარი ეროვნული შემოსავლის გადიდების შესაძლებლობის მიცემით, სავაჭრო ბრუნვის ზრდის მეშვეობით.

თუმცა ასეთ წინადადებებში გარკვეული აზრიც არის, მაგრამ სავაჭრო შეზღუდვათა მოხსნა არანაირად არ შეიძლება პანაკეად ჩაითვალოს. მართალია, რომ ზოგიერთი ღარიბი ქვეყნისათვის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საკმარისია საგარეო ბაზრები საკუთარი ნედლეულის გასატანად. მაგრამ ბევრი ქვეყნისათვის პრობლემაა არა იმდენად ფართო ბაზარზე გასვლა, არსებული წარმოებითი სიმძლავრეების გამოყენებისათვის ან ჭარბი ნედლეულის რეალიზებისათვის, რამდენადაც კაპიტალისა და ტექნიკური დახმარე-

ბების მიღება საექსპორტო წარმოების განვითარებისათვის. მეორე ამოცანის გადაჭრა გაცილებით რთულია.

შემდგომ, უნდა აღინიშნოს, რომ მჭიდრო კავშირები განვითარებულ ქვეყნებთან, სიძნელეების გარეშე არ წარმოებს. ბევრი სუსტადგანვითარებული ქვეყნისათვის ღრმა აზრს ინარჩუნებს ძველებური ხუმრობა:"როდესაც ძია სემას ფეხები სველი აქვს, დანარჩენ სამყაროს აცემინებს და ახველებს."მაგალითად, ეკონომიკურმა დაქვეითებამ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება კატასტროფულად იმოქმედოს ნედლეულის ფასებზე, და მაშასადამე, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების შემოსავლებზეც. მაგალითად, 1974წ. შუახანებში 1 ფუტი სპილენძი 1,52 დოლარი ღირდა, ხოლო 1975წ. იგი 53 ცენტამდე დაეცა. ცხადია, მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტაბილური ზრდა უფრო ნაკლებგანვითარებულ სახელმწიფოთა პროგრესის აუცილებელი პირობაა.

უცხოური დახმარება: სახელმწიფო სესხები და სუბსიდიები

„მანკიერი წრის"ჩვენეული კონცეფცია ითვალისწინებს, რომ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს კაპიტალის დაგროვება თამაშობს. უცხოეთიდან მოზიდული სახსრები-როგორც სახელმწიფო, ისე კერძო-შეიძლება თავდაპირველი დაგროვების და ინვესტიციების დამატება იყოს ქვეყნის შიგნით და ამ მანკიერი წრიდან გამოსვლის გადამწყვეტი ძალა გახდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების უმეტესობაში არასაკმაოდაა განვითარებული ინფრასტრუქტურა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ქვეყნები მწვავე პრობლემებს განიცდიან ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მორწყვა და ა.შ. იმავდროულად, ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებელი დონე, როგორც ეროვნული, ისე უცხოური კაპიტალის მოზიდვის წანამძღვარია. ამრიგად, სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში სახსრების მოდენის შესამსუბუქებლად საჭიროა სახელმწიფო დახმარების მოზიდვა უცხოეთიდან.

პირდაპირი დახმარება.აშშ დახმარებას უწევს სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს, როგორც პირდაპირ, რიგი სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობით, რომელთა მიზანია ეკონომიკური განვითარების წახალისება. 1976-1985წწ. ამერიკული დახმარება სუბსიდიებისა და სესხების ჩათვლით, საშუალოდ 9,4 მლრდ დოლარი

იყო წელიწადში. 1987წ. ამ ძირითადი დახმარების მოცულობამ 10 მლრდ-ს გადააჭარბა. ამ თანხის დიდი ნაწილი საერთაშორისო განვითარების სამმართველოს მეშვეობით იხარჯება. დახმარების გარკვეული წილი სასურსათო ნამეჭის განაწილების ფორმით ხორციელდება-"სურსათი მშვიდობისათვის"პროგრამის ფარგლებში. სხვა განვითარებული ქვეყნები უცხოური დახმარების ასევე მსხვილმასშტაბიან პროგრამებს აჭარებენ.1986 წ.უცხოური დახმარების საერთო მოცულობამ, რომელიც ყველა განვითარებულმა ქვეყანამ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს აღმოუჩინა, 36 მლრდ-ს გადააჭარბა. გარდა ამისა, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა (ნეკი) ამ მიზნებისათვის 5 მლრდ დოლ., ხოლო ყოფილმა სსრ კავშირმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა-კიდევ 4 მლრდ დოლ. გაგზავნეს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.აშშ აქტიურად მონაწილეობს **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის** (რგსბ) საქმიანობაში, რომელიც სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში ეხმარება. ეს ორგანიზაცია, რომელშიც თითქმის 150 სახელმწიფო მონაწილეობს, არა მხოლოდ სესხებს გასცემს, არამედ ობლიგაციებსაც ყიდის (რომელთა შემოსავლები სესხებს ხმარდება), და ასევე გარანტიებს სთავაზობს და კერძო სესხებს აზღვევს.

სპეციალურად უნდა გამოვყოთ ამ ბანკის ზოგიერთი დამახასიათებელი თავისებურება.

1.იგი, გარკვეული მოსაზრებით "უკანასკნელი"კრედიტორია; ეს ბანკი სესხებს იმ წარმოებითი პროექტებისათვის იძლევა, რომლებიც კერძო წყაროებით არ ფინანსდება.

2.აღნიშნული ბანკის მრავალი სესხი გამიზნულია საერთო განვითარების მიზნებისათვის-მრავალფუნქციური დამბების, სარწყავი სისტემების მშენებლობისათვის, სანიტარულ-ჰიგიენური და სამედიცინო პროგრამების განხორციელებისათვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ქსელების განვითარებისათვის. ამასთან, იგულისხმება, რომ ბანკს შეუძლია ინფრასტრუქტურის ისეთი დონის მიღწევა, რაც საჭიროა მსხვილი კერძო კაპიტალდაბანდებების მოსაზიდად.

3.ბანკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩამორჩენილ ქვეყნებზე ტექნოლოგიური ზემოქმედების საქმეში, ეკონომიკური განვითარების ყველა'სე უფრო მიზანშეწონილი მიმართულებების განსაზღვრაში დახმარებით.

ბანკს ორი ქალიშვილი ორგანიზაცია გააჩნია, რომლებიც აქტიურ როლს არ თამაშობენ. <u>საეროაშორისო ფინანსური კორპორაცია</u> კაპიტალდაბანდებებს ძირითადში ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკის კერძო სექტორში ახორციელებს. <u>განვითარების საეროაშორისო ასოციაცია</u> "რბილ სესხებს" (რომელთა დაფარვა

სავალდებულო არაა) სთავაზობს ყველაზე უფრო ღარიბ ქვეყნებს, ხსენებულ ბანკზე უფრო შეღავათიან პირობებში.

კერძო კაპიტალის მოდენა

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები სახსრებს ასევე ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების კერძო სექტორიდანაც ღებულობენ. ვინ ახორციელებს ამ ინვესტიციებს? პირველ რიგში მსხვილი კორპორაციები და კომერციული ბანკები. მაგალითად,"ჯენერალ მოტორზსა"და "კრაისლერს"შეუძლიათ ავტოსაამწყობო ქარხნის ან ავტონაწილების დამამზადებელი საწარმოს დაფინანსება მექსიკაში ან ბრაზილიაში. ან ,ვთქვათ, "ბენკ ოფ ამერიკას"ან"სიტიკორპს"შეუძლია სესხი შესთავაზოს არგენტინის ან ფილიპინების მთავრობას.

1950-1960წწ. განმავლობაში კერძო კაპიტალების მოდენა შედარებით მცირეა. 2-4 მლრდ ყოველწლიურად. მაგრამ 80-იანი წლებიდან, როდესაც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს თავს დაატყდა სავალო კრიზისი, კერძო კაპიტალების მოდენა ღარიბი ქვეყნების ეკონომიკაში მკვეთრად შემცირდა.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სავალო კრზისი

განვიხილოთ სავალო კრიზისის ფართოდ გახმაურებული პრობლემა.როგორია სუსტადგანვითარებული ქვეყნების ვალის საერთო სიდიდე? როგორია მისი მიზეზები? რა უნდა გაკეთდეს ვალის პრობლემის გადაჭრისათვის, თუ საერთოდ შეიძლება მისი გადაჭრა?

სესხის სიდიდე და დინამიკა

უკანასკნელ ორ ათწლეულში სუსტადგანვითარებული ქვეყნების საგარეო ვალი (ე.ი.უცხოური სახელმწიფოებისა და ფინანსური დაწესებულებებისადმი მათი დავალიანება) მრავალჯერ გაიზარდა. 41-2 ნახაზის შეხედვით, შეიძლება საერთო წარმოდგენა შეეიქმნათ მათი ხანგრძლივვადიანი დავალიანების შესახებ, უცხოური მთავრობებისა და კერძო კრედიტორებისადმი 1970 წლიდან. თუ ამას მოკლევადიან საგარეო დავალიანებებსაც

დავუმატებთ,მაშინ საგარეო ვალის საერთო მაჩვენებლები გაცილებით მეტი აღმოჩნდება.1982-დან 1987 წლამდე,საერთო დავალიანება 842-დან 1217 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.უკანასკნელი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყველა ქვეყნის ეეპ-ის დაახლოებით 39%-ს შეესაბამება. 41-4 ცხრილში ჩამოთვლილია ზოგიერთი, განსაკუთრებით მძიმე საგადასახადო ტვირთის მატარებელი ქვეყანა. ამასთან, ნაჩვენებია ვალის აბსოლუტური სდიდე და დავალიანების ეეპ-თან თანაფარდობა.

ცხრილი 41-4.დიდი საგარეო ვალის მქონე ქვეყნები(1986წ.)

ქვეყანა	საგარეო ვალის საერთო სიდიდე (მლრდ დოლ.)	საგარეო ვალის შეფარდება ეეპ-თან (%)
ბრაზილია	111	32
მექსიკა	102	63
არგენტინა	49	46
ვენესუელა	34	51
ფილიპინები	28	66
ინდონეზია	24	44
ნიგერია	22	44
ჩილე	21	101
ტაილანდი	18	27
კოლუმბია	15	37

წყარო: The World Bank.World Development Report,1988 .New York:Oxford University Press,1988. გვ.252-253,256-257.

გავიმეოროთ კიდეე ერთხელ:ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საგარეო ვალი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა.იგი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყველა ქვეყნის ეეპ-ის დაახლოებით 39%-ს შეესაბამება. 41-4 ცხრილში ჩამოთვლილია ზოგიერთი, განსაკუთრებით მძიმე საგადასახადო ტვირთის მატარებელი ქვეყანა. ამასთან, ნაჩვენებია ვალის აბსოლუტური სიდიდე და დავალიანების ეეპ-თან თანაფარდობა.

გავიმეოროთ კიდევ ერთხელ:ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საგარეო ვალი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა.მრავალ მათგანში იგი განსაკუთრებით დიდია როგორც აბსოლუტურად, ისე ეეპ-თან შეფარდებით.

კრიზისის მიზეზები

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 70-იან წლებში კაპიტალის მოდენა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში განვითარებული ქვეყნების კომერციული ბანკებიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ, იმავდროულად 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში-მსოფლიო ეკონომიკაში რიგი ურთიერთდაკავშირებული მოვლენები მოხდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა სუსტადგანვითარებული ქვეყნების მდგომარეობაზე და სავალო კრიზისის მიზეზი გახდა.

ჯერ-ერთი, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მიერ ნაკარნახევმა, ნავთობის ფასების მკვეთრმა გადიდებამ 1973-1974 და 1979-1980 წლებში, როდესაც ერთი ბარელის ფასმა 2,5-დან 35 დოლარამდე აიწია, ნავთობის იმპორტიორ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში საწვავზე, გაცილებით მეტის გადახდა გამოიწვია უწინდელთან შედარებით. ეს ქვეყნები თავიანთი საგადასახდელო ბალანსების მიმდინარე დეფიციტების გადიდებას წააწყდნენ, რომლის დაფინანსება ახალი სესხებით მოუხდათ. ამრიგად, ნავთობის იმპორტიორი, სუსტადგანვითარებული ქვეყნების საგარეო დავალიანება 1973წ. 130-დან, 700 მლრდ-მდე გაიზარდა 1982 წელს. ამასთან, სესხების სახსრები გამოყენებულ იქნა არა განვითარების მიზნებისათვის, არამედ სათბობსა და ენერგიაზე მზარდი დანახარჯების დასაფარავად.

მეორე, 80-იანი წლების დასაწყისში, მრეწველურად განვითარებულმა ქვეყნებმა, განსაკურთებით აშშ-მ თავიანთ საკრედიტო პოლიტიკაში, გადამწყვეტ ანტიინფლაციურ ღონისძიებებს მიმართეს. ძვირი ფულის ამ პოლიტიკამ არახელსაყრელი შედეგები გამოიწვია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის.ერთი მხრივ, შენელდა ეროვნული შემოსავლის ზრდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ასე, მაგალითად, 1980-1982 წწ აშშ-ში ადგილი ჰქონდა შესამჩნევ ეკონომიკურ დაქვეითებას, მიელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე. ამის შედეგად, მოცემულ



ნახ. 41-2.ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საგარეო ხანგრძლივვადიანი დავალიანების ზრდა 1970-1987 წწ.

1980 წლიდან დაწყებული ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საგარეო დავალიანება უცხო სახელმწიფოებისა და ფინანსური დაწესებულებებისადმი,მკვეთრად გაიზარდა.

ქვეყნებში მოთხოვნა სუსტადგანვითარებული ქვეყნებიდან შემოტანილ ნედლეულსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, შემცირდა. შესაბამისად, მკვეთრად დაეცა შემოსულობანი ექსპორტიდან, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ვალისა და სარგებლის გადასახდელად. მეორე მხრივ, ძვირი ფულის პოლიტიკამ. განვითარებულ ქვეყნებში სარგებლის განსხვავებების არსებითი გადიდება გამოიწვია. ამასთან, ცხადია, დავალიანების მომსახურების დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების დავალიანების გადიდებას კიდევ ერთი მიზეზი გააჩნდა.1981-1984წწ. პერიოდში მსოფლიო ბაზარზე დოლარის კურსის ზრდა შეინიშნებოდა. შესაბამისად, მოვალეები იძულებული იყვნენ მეტი გადაეხადათ ამერიკული მზა პროდუქციის იმპორტისათვის. ხოლო, რამდენადაც ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი დოლარებში იანგარიშება, ამ ქვეყნებს მეტი საქონლის ექსპორტირება უხდებოდათ ძირითადი ვალისა და სარგებლის გადასახდელ ყოველ დოლარზე.

1982წ. მექსიკა თავისი ვალის გადახდის შეჩერების ზღვარზე აღმოჩნდა და კრედიტორები იძულებული შეიქნენ გადახდის ვადა გაეგრძელებინათ მისთვის ახალი სესხის მიცემით. მექსიკურმა სავალო კრიზისმა ეკონომიკურად ჩამორჩენილი, მაღალი დავალიანების მქონე ბევრი ქვეყნისადმი კრედიტუნარიანობის ნდობის დაკარგვა გამოიწვია. ამის შედეგად, მოცემული ქვეყნებისადმი ნებაყოფლობით შეთავაზებული კერძო სესხების მოცულობა შემცირდა. ყველაფერ ამას ის გარემოებაც დაემატა, რომ 80-იან წლებში აშშ-მ ფედერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტი განიცადა (იხ.თავი 20). სახელმწიფო ამ დეფიციტს ობლიგაციების გაყიდვით აფინანსებდა, რამაც მსოფლიო ფინანსური სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი შთანთქა,რაც შეიძლებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს მოხმარებოდა.

ამრიგად, იმპორტულ პროდუქციაზე ფასების მკვეთრმა ზრდამ, საექსპორტო შემოსულობათა შემცირებამ, სარგებლის განაკვეთების გადიდებამ, დოლარის კურსის ზრდამ და კერძო სესხების შემცირებამ-ყველა ამ ფაქტორთა შეხამებამ-სავალო კრიზისი გამოიწვია. 1982-1983 წლებისათვის,ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბევრი ქვეყანა უძლური აღმოჩნდა საგარეო დავალიანების მორიგი გადახდისათვის.

ეკონომიკური შედეგები

ამის შემდგომ დადგა"უწესრიგო ძალისხმევათა"პერიოდი. კრედიტორი ქვეყნები საერთაშორისო საკალუტო ფონდთან თანამშრომლობით ცდილობდნენ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სავალო კრიზისის დაძლევას ცალკეულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების გზით. ამასთან, ბევრმა მათგანმა

ვალების გადავადება მოახერხა, რამაც შესაძლებელი გახადა სარგებლისა და ძირითადი ვალის ყოველწლიური გადასახდელების შემცირება. ამ დათმობათა სანაცვლოდ, სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს მკაცრი საშინაო ეკონომიის პროგრამებზე დათანხმება მოუხდათ საკუთარი კრედიტუნარიანობის ასამაღლებლად. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში ქვეყანას იმპორტი უნდა შეემცირებინა და ექსპორტი გაედიდებინა საგარეო ვაჭრობიდან დიდი შემოსავლის მიღების მიზნით, რასაც ვალის დასაფარავად იყენებდნენ. მაგრამ ექსპორტის გადიდება და იმპორტის შემცირება ცხოვრების დონის შემდგომ დაცემას იწვევს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამასთან, თუ ექსპორტის წმინდა შემოსულობები, ძირითადში, ვალის გადახდას მოხმარდება, სახსრები ეკონომიკური განვითარებისათვის თითქმის არ დარჩება.შემთხვევითი როდია, რომ, თუ 1980-1987 წწ.სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში რეალური ეეპ-ის ზრდის საშუალოწლიური ტემპები მთლიანად 3,9%-ს შეადგენდა, შესაბამისი მაჩვენებლები მაღალი დავალიანების მქონე ქვეყნებისათვის 1,1%-ს არ აჭარბებდა. აღნიშნულ პერიოდში რეალური ეეპ-ის დონე ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა.

სავალო კრიზისმა ასევე ნეგატიური უკუსემოქმედება მოახდინა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნების კომერციული ბანკები, რომლებსაც გადახდის იმედი არ ჰქონდათ, იძულებული შეიქნენ სუსტადგანვითარებული ქვეყნების ვალის ნაწილი ჩამოეწერათ. ასე მაგალითად,"სიტიკორპ"ბანკმა საკუთარი რეზერვები 3 მლრდ დოლარით გაიზარდა უიმედო ვალების დასაფარავად, იმ ვარაუდით, რომ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებზე გაცემული სესხების მეოთხედზე მეტი არ დაიფარებოდა. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეს დავალიანება შეიძლება საშიში აღმოჩნდეს განვითარებული ქვეყნების თვით საფინანსო-საბანკო სისტემისათვის.

არსებობს თუ არა გამოსავალი?

რა შეიძლება გაკეთდეს ეკონომიკურად სუსტადგანვითარებული ქვეყნების სავალო კრიზისის დასაძლევად ან უკიდურეს შემთხვევაში შესარბილებლად? ერთი მხრივ, ახლა სიტუაცია წარმატებით გვარდება,რამდენადაც,იგივე ეკონომიკური ფაქტორები,რომლებმაც თავის დროზე კრიზისი გამოიწვია,დღეს მისი შემსუბუქების

მიმართულებით მოქმედებს.ასე, მაგალითად, მოხდა ნავთობის ფასებიხ და სარგებლის განაკვეთების დაცემა, შემცირდა დოლარის კურსი, ხოლო ეკონომიკური უძრაობა, რომელმაც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები 80-იანი წლების დასაწყისში მოიცვა, მთლიანად აღმავლობით შეიცვალა. მაგრამ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების დავალიანება, უწინდებურად, მწვავე პრობლემად რჩება.

ჩიხიდან გამოსვლის ძიება შეიძლება ორი ძირითადი მიმართულებით. ისე როგორც წინათ, მიზნისკენ თანდათანობით წინ წაწევა შეიძლება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. მაგრამ ასეთი მიდგომისას კრიზისი, შესაძლოა ათეული წლობით გაგრძელდეს, რაც უწინდებურად გამორიცხავს არსებითი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში. პრინციპულად სხვა გზა სავალო ტვირთის შემსუბუქებაშია. ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მიერ გადაუხდელი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილის "პატიებაც"ხდება. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება პრობლემებსაც წარმოშობს. ცხადია ისიც, რომ კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული სესხების დაბრუნებაზე უარისთქმა ფინანსურ ზარალს აყენებს თვით ამ ბანკებს და მის აქციონერებს. თუკი "პატიებული"იქნება სახელმწიფო სესხების ვალები, იზარალებენ აშშ და სხვა განვითარებული ქვეყნების გადასახადის გადამხდელები. შემდგომ,ვალის ნებისმიერი მსხვილი "ჩამოწერა"გარდაუვლად აისახება და ერთობ ნეგატიურად, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ახალი კერძო სესხების შეთავაზების მზადყოფნაზე. საოცარი იქნება გვეფიქრა, რომ კრედიტორები, რომლებმაც სერიოზული ზარალი განიცადეს, ისევ ადვილად გაიმეტებენ საკუთარ სახსრებს. რაც შეეხება მოვალე ქვეყნებს, ვალის პატიება მათ შეიძლება აღიქვან, როგორც გაფრთხილება, მომავალშიც უარი განაცხადონ ვალის გადახდაზე. ამრიგად, ცხადია, დავალიანების პრობლემას გადაწყვეტა არ გააჩნია.

მსოფლიო ახალი წესრიგისაკენ? [1]

1.ამ განყოფილების მასალის ნაწილი აღებულია წიგნებიდან: The Challenge of the New International Economic Order.Ed.by Reubens E.P.Boulder.Colo.:WestviewPress.1981 თავი I:Michael P.Todaro.Economic Development in theThird World.გვ.559-565.

მიუხედავად კერძო კაპიტალბანდებათა და უცხოური დახმარებების მოდენისა, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები კმაყოფილი როდი არიან თავიანთი დამოკიდებულებით მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბსოლუტური განსხვავება ქვეყნების ამ ორ ჯგუფს შორის-თანდათანობით იზრდება. უფრო მეტიც, მართალია სუსტადგანვითარებულმა ქვეყნებმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას კი მიაღწიეს, მაგრამ ისინი თავიანთ თავს ეკონომიკური ხასიათის ნეოკოლონიალიზმის ზეგავლენის ქვეშ გრძნობენ. როგორც ამტკიცებენ, კერძო კაპიტალბანდებებიც და სახელმწიფო დახმარებაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციას, მდიდარი ქვეყნებისადმი მათი დამოკიდებულების გახანგრძლივებას ემსახურება. გასაკვირი როდია, რომ უკანასკნელ ათწლეულში, სუსტადგანვითარებული სახელმწიფოები სულ უფრო ენერგიულად გამოდიან მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ძირეული შეცვლისათვის, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას დააჩქარებდა, მსოფლიო შემოსავლის მათ სასარგებლოდ გადანაწილებით. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის[1] აუცილებლობის დასაბუთებასთან ერთად, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ინტერესთა გამომხატველები შემდეგ მოსაზრებებსა და წინადადებებს აყენებენ.

1.თამაშის წესები. მართალია ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში თავმოყრილია მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი,მაგრამ მათ ხმათა მესამედიც არ გააჩნიათ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკის იერსახეს განსაზღვრავენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ორგანი-ზაციები და პროგრამები,რომლებიც საერთო წესებსა და ნორმებს ადგენენ ისეთი სფეროების რეგულირებისათვის, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა ,ფინანსები, ინვესტიციები. მაგრამ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამ ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან. ასე, მაგალითად, მრეწველურად განვითარებული ქვეყნები, აკონტროლებენ სა-

---

1.ტერმინი "ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი"პირველად ეკონომიკური განვითარების პრობლემების შესახებ გაერის 1974 წ. დეკლარაციაში გამოჩნდა.

ერთაშორისო საგალუტო ფონდს, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის დასაფინანსებელ სახსრებს იძლევა. სუსტადგანვითარებული ქვეყნები თვლიან, რომ ეს წესები არასამართლიანი და არაკანონიერია, და მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში არსებული დაწესებულებები და პროგრამები მათ წინააღმდეგაა მიმართული.

2.საგაჭრო ბარიერები. ღარიბი ქვეყნების მტკიცებით, მდიდარი სახელმწიფოები მიუხედავად მათი განცხადებებისა, ამუხრუჭებენ მათს განვითარებას სხვადასხვა საგაჭრო ბარიერების, მაგალითად, ტარიფებისა და იმპორტული ქვოტების დადგენით, სუსტად განვითარებული ქვეყნების საექსპორტო ბაზრებისაგან იზოლირების მიზნით. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები თვლიან, რომ მოხვდნენ "22-ე ხრიკში"აღწერილ სიტუაციაში. თუ ისინი რაციონალურად გამოიყენებენ განვითარებული ქვეყნების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებებს, და ეფექტიან დამმუშავებელ მრეწველობას შექმნიან წარმოების მაღალი დანახარჯებით, წარმატებით გაუწევენ კონკურენციას განვითარებული ქვეყნების მრეწველობას. უკანასკნელები ამ სიტუაციაზე ახალი კონკურენციისაგან დასაცავად საგაჭრო ბარიერების შექმნით რეაგირებენ. ამიტომ სუსტსდგანვითარებული ქვეყნები პერიფერენციალური საბაჟო რეჟიმის შექმნის-ე.ი. განვითარებული ქვეყნების საქონელთან შედარებით სუსტადგანვითარებული ქვეყნების საქონელთა უფრო დაბალი ტარიფების მომხრედ გამოდიან. ეს საჭიროა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მრეწველური განვითარების წახალისებისათვის.

3.ექსპლუატაცია და დამოკიდებულება. ეს ქვეყნები ვარაუდობენ, რომ საგაჭრო კონტრაქტების, საგაჭრო ხელშეკრულებათა და კონცესიათა უმეტესობა ხელსაყრელია მრავალეროვნული კორპორაციებისათვის და ღარიბი ქვეყნების ხარჯზე მათი გამდიდრების საშუალებაა. ისინი ასევე ამტკიცებენ,რომ შემოსავლების ძირითადი ნაწილი მათი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისაგან, სხვის ხელში ხვდება. გარდა ამისა, სუსტადგანვითარებული ქვეყნები თავიანთი ეკონომიკის დივერსიფიცირებას, და შესაბამისად, უფრო მეტი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას ცდილობენ. მაგრამ კაპიტალის უცხოური დამბანდებლები ორიენტირს მრეწველობის იმ დარგებზე იღებენ, რომლებიც ყველაზე მომგებიანია მოცემულ მომენტში, ანუ საექსპორტო დარგებზე. მოკლედ რომ ვთქვათ,

მაშინ, როცა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები მსოფლიო ბაზრისაგან თავიანთი დამოკიდებულების შესამცირებლად იბრძვიან, უცხოური კერძო კაპიტალის მიდენა, არაიშვიათად უწყობს ხელს ამ დამოკიდებულების გადიდებას. "ეკსონი", "ალკოა", "იუსაიტედ ფრუტი" და მოგების გამოდევნებული სხვა კომპანიები, ცხადია, დიდად რიდი არიან დაინტერესებული ეკონომიკური დამოუკიდებლობით, ეკონომიკის დივერსიფიკაციით და სუსტადგანვითარებული ქვეყნების საერთო პროგრესით.

4. ვაჭრობის პირობები. წარმოადგენენ რა ნედლეულის (ბოქსიტები, ტყვია, სპილენძი, მარგანეცი) და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ყავა, კაკაო, ბამბა, კაუჩუკი, ჩაი, ხე-ტყე) ექსპორტიორებს, ეკონომიკურად სუსტადგანვითარებული ქვეყნები, მნიშვნელოვნად ექვემდებარებიან ფასების მკვეთრი მერყეობის გავლენას, რომლებიც ტიპიურია ამ პროდუქციის მაღალკონცენტრირებული ბაზრებისათვის. კერძოდ, შემოსავლების მნიშვნელოვანი არასტაბილურობა საექსპორტო შემოსულობებისაგან, უკიდურესად აძნელებს სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაგეგმვას და დაფინანსებას. უფრო მეტიც, ამ ქვეყნების მიერ ექსპორტირებული საქონლის ფასებს, ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში შემცირების ტენდენცია გააჩნია. მეორე მხრივ, მათ განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებული მზა პროდუქციის შემოტანა უხდებათ, რომლებიც მაღალ ფასებს აწესებენ თავიანთ საქონელზე. ეს სუსტადგანვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს ამტკიცონ, რომ ვ ა ჭ რ ო ბ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი დროთა მსვლელობაში, ამ ქვეყნებისათვის არახელსაყრელი მიმართულებით იცვლებიან. მაშინ, როცა იმპორტის ფასებს ზრდის ტენდენცია გააჩნიათ, ექსპორტის ფასები მთლიანად, მცირდება. ამრიგად, იმპორტულ საქონელთა მოცემული რაოდენობის შესაძენად, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს სულ უფრო მეტი საქონლის გატანა მოუწევთ.

ამ სავარაუდო უსამართლობის გამოსასწორებლად, ღარიბმა ქვეყნებმა ორი წინადადება წამოაყენეს. ჯერ ერთი, ისინი ცდილობენ ს ტ ა ბ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს ფ ო ნ დ ი ს დაწესებას სურსათისა და ნედლეულის დაახლოებით 20 ძირითადი საექსპორტო სახეობისათვის, რომლებსაც ამ ქვეყნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ფონდი გამოყენებული უნდა იქნას მოცემულ საქონელთა შესაძენად მსოფლიო ფასების დაცემისას, და პირიქით, მათი გასაღების გასადიდებლად მსოფლიო ფასების მომატებისას. ამრიგად, ფასებს სტაბილიზაციის ტენდენცია ექნე-

ბაო. მეორე წინადადება ფასების ინდექსაციას ეხება. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გაჩხრახული აქვთ თავიანთი საქონლური ექსპორტის ფასები ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან მათი იმპორტის ფასებს მიაბან, საკუთარი ექსპორტის მსყიდველობითი უნარის შესანარჩუნებლად.

5.სავალო ტვირთის შემსუბუქება. სუსტადგანვითარებული ქვეყნები მიზნად ისახავენ ასევე სავალო დამოკიდებულების შემსუბუქებას. ისინი თვლიან, რომ მათი ახლანდელი დავალიანება, მისი მასშტაბის გამო სერიოზული დაბრკოლებაა ეკონომიკური ზრდის გზაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების აყვავება ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ფულის გარკვეული ნაწილის ჩამოწერა ხელსაყრელი იქნება ყველასათვის. ასე, მაგალითად, 1987წ. შემოდგომაზე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ კონფერენციაზე დაახლოებით 24 ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის მთავრობებმა წინადადება წამოაყენეს საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისა და ახალი სესხების შესახებ.

6.დახმარება და გადანაწილება. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები მიიჩნევენ, რომ უცხოეთიდან მათთვის აქამდე აღმოჩენილი დახმარება არასაკმარისი და არაეფექტიანია. ამ დახმარების არასაკმარისობა იმაშია,რომ აღნიშნული მიზნებისათვის განვითარებული ქვეყნების მიერ ყოველწლიურად წარმართული სახსრების მოცულობა, მათი ეიპ-ის საერთო მოცულობის მხოლოდ 1/3%-ს შეადგენს (მართალია აშშ-ს პირველი ადგილი უკავია აღმოჩენილი დახმარებების აბსოლუტური მოცულობით-10 მლრდ-ზე მეტი 1987წ.-მაგრამ ამ დახმარებაზე ეიპ-ის მხოლოდ 1/4 % იხარჯება). დახმარების შეფარდებითი არაეფექტიანობა რიგი მიზეზებით აიხსნება. ჯერ-ერთი, ეს დახმარება ძირითადად დონორი ქვეყნისადმია მიბმული: ამერიკული დახმარება უნდა დაიხარჯოს ამერიკულ საქონელსა და მომსახურებაზე. ამრიგად, სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ მსოფლიო ბაზარს კაპიტალისა და ტექნიკური დახმარების ხელსაყრელი პირობების მიღების ძიებაში. მეორე, ინფლაცია მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს მიმღები ქვეყნისათვის დოლარული დახმარების ღირებულებას. მესამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დახმარების ნაწილი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საგარეო დავალიანების სარგებლის გადასახდელად უნდა იხარჯებოდეს, და მაშასადამე, არ შეიძლება გამოყენებულიქნას ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის.

მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგის პროგრამა, ყოველი განვითარებული ქვეყნის წინაშე აყენებს ამოცანას, თანდათანობით გაადიდონ თავიანთი დახმარება სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი და ამ დახმარების დონე ეუპ-ის 0,7%-მდე დაიყვანოს, როგორც ეს რეკომენდებული იყო 10 წლის მეტი ხნის წინათ. ეს უპირობო დახმარება ავტომატურად[1] უნდა აღმოჩენილ იქნას ხანგრძლივვადიან საფუძველზე. ბრანდტის გავლენიანმა კომისიამ ასევე მოიწონა ეუპ-ის 0,7% ორიენტირის სახით. ეს ნიშნავს დახმარების ახლანდელი მოკულობის გაორმაგებას, რაც სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს ეხლევათ ეკონომიკური განვითარების საჭიროებისათვის.

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი ცხარე კამათს იწვევს. ღარიბი ქვეყნების მტკიცებით, ამ პროგრამით წამოყენებული წინადადებები თანასწორობისა და სამართლიანობის იდეითაა გამსჭვალული. მაგრამ, მრავალი განვითარებული ქვეყნის ამ პროგრამის იდეა თანამედროვე მსოფლიოში შემოსავლებისა და სიმდიდრის რადიკალური გადანაწილების მოთხოვნამდე დაიყვანება, რაც სრულიად არ შედის მათ გეგმებში. ბევრი განვითარებული ქვეყანა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ეკონომიკურად ჩამორჩენილობისაგან "სწრაფი განკურნება"და ,რომ ღარიბმა ქვეყნებმა დაძაბული, მოთმინებითი შრომის და კაპიტალის თანდათანობითი დაგროვების იგივე გზა უნდა გაიარონ ,რომლითაც განვითარებულმა ქვეყნებმა იარეს უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე. თავისთავად იგულისხმება, რომ სტაგფლაცია და ეკონომიკური ზრდის სიფერმკრთალე, რომლებიც პერიოდულ ზიანს აყენებდნენ ქვეყნის განვითარებას უკანასკნელ წლებში, საეჭვოა ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიდნენ სიუხვისა და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების პრობლემათა გაგებისათვის.[2]

1.North-South:A Program for Survival.Cambridge .Mass.:MIT Press,1980..ამ კომისიას,რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ პრობლემათა ფართო წრეს შეისწავლის,ეილი ბრანდტი-გერმანიის ყოფილი კანცლერი ხელმძღვანელობდა.

2.ზოგიერთი ეკონომისტი მხარს უჭერს მოსაზრებას,რომ მთლიანად უცხოური დახმარების გაელენა „ეესამე სამყაროს"ქვეყნების განვითარებაზე „არ შეიძლება არსებითი იყოს და.ალბათ.ნეგატიურია".იხ.მაგ.:P.Bauer,B.Jamey.The Political Economy of Foreign Aid //Lloyds Bank Review.1981.ოქტომბერი.გვ.1-14.

რეზიუმე

1.მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებია (ერთ სულ მოსახლეზე დაბალი შემოსავლით).მაშინ როდესაც ზოგ მათგანში უკანასკნელ წლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შეინიშნებოდა,სხვებში-იგი უმნიშვნელო იყო,ან საერთოდ არ ჰქონდა ადგილი მას.

2.ბუნებრივი რესურსების თავდაპირველი დეფიციტი და არსებული მარაგების გადიდების შეზღუდული შესაძლებლობები სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზაზე.

3.მოსახლეობის რაოდენობა და მისი სწრაფი ზრდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე, შემოსავლების დაბალი დონის მიზეზია. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების გადიდება ხელს უწყობს მოსახლეობის სწრაფ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში ისევ ამცირებს პირად შემოსავლებს სიღარიბის დონემდე.

4.სუსტადგანვითარებული ქვეყნების უმეტესობის მოსახლეობა უმუშევრობისა და სამუშაო ძალის დაუტვირთაობის გამო ზარალობს. შრომის მწარმოებლურობა დაბალია ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალში არასაკმარისი ინვესტიციების შედეგად.

5.ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების დიდ ნაწილში ინვესტირებისა და დანაზოგების პროცესებთან დაკავშირებული სიძნელეები გადაულახავი დაბრკოლებებია კაპიტალის დაგროვებისათვის. ზოგიერთ, ყველაზე ღარიბ ქვეყანაში დანაზოგების და ინვესტიციების პროცესებთან დაკავშირებული სიძნელეები კაპიტალის დაგროვების გადაულახავი დაბრკოლებებია. ხშირ შემთხვევაში დაზოგვის შესაძლებლობები პრაქტიკულად არ არსებობს. ბევრი მეანაბრე ამჯობინებს თავისი სახსრები ამ ქვეყნიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გადაიტანოს, ვიდრე ქვეყნის შიგნით გამოიყენონ. მეწარმეობითი კლასის არარსებობა და ინვესტიციების სუსტი სტიმულები კაპიტალის დაგროვების სერიოზული დამამუხურჭებელია.

6.სოციალური და ინსტიტუციონალური ცვლილებები, განსაკუთრებით "განვითარების თავისუფლება", ეკონომიკური ზრდის არსებითი ფაქტორებია.

7.ცნება "სიღარიბის მანკიერი წრე"ეკონომიკური განვითარების მრავალ სიძნელეს გვიხსნის."ღარიბი ქვეყნები ღარიბად რჩებიან საკუთარი სიღარიბის მიზეზით". დაბალი შემოსავლები დანაზოგებისა და ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის დაგროვების პროცესს აფერხებენ, რაც თავის მხრივ, შრომის მწარმოებლურობისა და შემოსავლების ზრდას ამუხრუჭებს. მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ შეიძლება ამ მანკიერი წრის გარღვევის ყველა შესახლო მცდელობა ნულზე დაიყვანოს.

8.მეწარმეთა კლასის არარსებობა,ინფრასტრუქტურის გაუთვალისწინებლობა,"დანაზოგები-ინვესტიციების"დილემა და სიციალ-კულტურული ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება, ეკონომიკური ზრდის პროცესის სტიმულირებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას იწვევენ. ამასთან, კორუფციის ფართო გავრცელება და ეკონომიკის ცუდი მართვა ,სახელმწიფო რეგულირებას ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში შეფარდებით არაეფექტიანს ხდიან ეკონომიკურ ზრდაზე მისი ზემოქმედების თვალსაზრისით.

9.განვითარებული ქვეყნების ზემოქმედება შეიძლება საგაჭრო ბარიერების მოსპობას და სახელმწიფო და კერძო დახმარების შეთავაზებას ნიშნავდეს კაპიტალდაბანდებების სახით.

10.ისეთი ფაქტორების შეხამება, როგორიცაა ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, დოლარის გაუფასურება, საექსპორტო ფასების შემცირება და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების არასტაბილური კრედიტუნარიანობა, 80-იანი წლების დასაწყისში ხელს უწყობდა დავალიანებისადმი კრიზისული სიტუაციის წარმოშობას. საგარეო ვალის პრობლემები უწინდებურად სერიოზულია და მნიშვნელოვნად აფერხებენ ეკონომიკურ ზრდას.

11.ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები მოუწოდებენ ახალი, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შექმნას, რომლის წყალობითაც: ა) ისინი დიდ ავტორიტეტს იძენენ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში; ბ) ექნებათ პერეფერენციალური საბაჟო რეჟიმი; გ) გაზრდიან შემოსავლების წილს, რომლებსაც მრავალეროვნულ კორპორაციებთან იჯარის შესახებ კონტრაქტებისა და ხელშეკრულებებისაგან ღებულობენ; დ) გაუმჯობესდება ვაჭრობის პირობები; ე) ლიკვიდირე-

ბული ან გადასინჯული იქნება საგარეო დავალიანება; ვ) ავტომატურად გაიზრდება უცხოური დახმარებების მოდენა.

ტერმინები და ცნებები

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები
ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები
უმუშევრობა და სამუშაო ძალის გამოუყენებლობა
„ტვინის გადენა
კაპიტალის ნაშთი
ინფრასტრუქტურა
დაფინანსების არასაფინანსო წყაროები
კაპიტალდამზოგავი და კაპიტალტევადი ტექნიკური პროგ
რესი
„სამყაროს წინასწარ განუჭვრეტელობა“
„განვითარების თავისუფლება
აგრარული რეფორმა
„სიღარიბის მანკიერი წრე
განვითარების და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბან-
კი
ნეოკოლონიალიზმი
„მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი
პერეფერენციალური საბაჟო რეჟიმი
ვაჭრობის პირობები
სტაბილიზაციის ფონდი

კითხვები და სასწავლო დავალებები

1.როგორია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ძირითადი ნიშნები? ჩამოთვალეთ ეკონომიკური განვითარების ამ ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი ძირითადი გზები. დაასახელეთ და ახსენით დაბრკოლებები, რომელთაც ეს ქვეყნები აწყდებიან, სიღარიბის ზღუდეთა მსხვრევისას.“სიღარიბის მანკიერი წრის“ცნების გამოყენებით, დაწვრილებით აღწერეთ,რა შეიძლება მოვიმოქმედოთ სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტაბილურობისათვის.

2.ახსენით, რატომაა შესაძლებელი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების აბსოლუტური განსხვავების გადიდება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის,მიუხედავად იმისა,რომ ეეპ-ის ზრდის ტემპები ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულში.

3.ახსენით და შეფასება მიეცით შემდეგ მტკიცებებს:ა) "ამერიკულმა კაპიტალიზმმა გაიყვანა ეკონომიკური განვითარების გზა.ეკონომიკურად ჩამორჩენილმა ქვეყნებმა უნდა მისდიონ მას".ბ)" ეკონომიკური უთანასწორობა ხელს უწყობს დანაზოგების ზრდას,ხოლო დანაზოგები,ინვესტირების აუცილებელი პირობაა.მაშასადამე,შემოსავლების უფრო მეტი უთანასწორობა სტიმულს მისცემს კაპიტალის დაგროვებასა და ეკონომიკურ ზრდას".გ) "ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს დანაზოგების სიჭარბის შედეგად წარმოშობილი გართულებების ეშინიათ; ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები დანაზოგების უკმარისობით ზარალდებიან"; დ)"ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსი იმაშია, რომ იგი ადამიანისეული ფაქტორის უფრო მეტ ცვლილებას მოითხოვს, ვიდრე წარმოების მატერიალური პირობებისას"; ე) "უცხოური დახმარების ამერიკული პროგრამა თაღლითობაა. სინამდვილეში ეს ნეოკოლონიალიზმი, ე.ი. ის საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ,პოლიტიკური თვალსაზრისით დამოუკიდებელი ქვეყნები სრულ ეკონომიკურ დაქვემდებარებაში ჰყავთ"; ვ)"სიღარიბე და თავისუფლება არ შეიძლება ერთმანეთთან თანაარსებობდნენ; რომელიღაცამ უნდა იმარჯვოს"ზ)"ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების გზაზე ყველაზე სერიოზული დაბრკოლება ინვესტიციურ საქონელთა უკმარისობაა"; თ) "ერთ სულ მოსახლეზე ეეპ-ის მაღალი მაჩვენებლების ქვეყნები აუცილებლად როდი მიეკუთვნებიან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს."

4.ახსენით, მოსახლეობის ზრდას როგორ შეუძლია ეკონომიკური ზრდის შეფერხება. როგორ შეიძლება განისაზღვროს მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა რომელიმე ქვეყნისთვის? ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ღარიბ ქვეყნებში ფული-"წმინდა აქტივებია",ხოლო მდიდარში-"წმინდა დავალიანება". შეგიძლიათ თუ არა დაასაბუთოთ მოცემული მტკიცება? თუ იგი სწორია, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მზარდი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე არის თუ არა მოსახლეობის ზრდისადმი კონტროლის აუცილებელი წანამძღვარი?

5.ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ინვესტიციათა მნიშვნელოვანი ნაწილი თავდაპირველად ინფრასტრუქტურაში უნდა დაბანდდეს, რომლის განვითარება უშუალოდ და დაუყოვნებლივ არ იწვევს

საქონელთა და მომსახურების წარმოების გადიდებას. ასეთ დაბანდებებს რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ინფლაციურ პროცესებზე, რომლებიც კაპიტალის დაგროვების სახელმწიფო დაფინანსების შედეგია ფულის ემისიის მეშვეობით?

6."ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები სამეურნეო განვითარების სახელმწიფო რეგულირების მიდრეკილებას წარმოშობენ და არა ეკონომიკური პროცესების დეცენტრალიზაციისას".ეთანხმებით თუ არა ამ მტკიცებას? ახსენით თქვენი თვალსაზრისი.

7.რაშია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების"საკალო კიზისის"არსი? როგორ წარმოიშვა ასეთი სიტუაცია? ამ პრობლემის როგორ გადაწყვეტას გვთავაზობთ თქვენ?

8.რა პროდუქციის ექსპორტს ახდენენ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები? შეიძლება თუ არა შედარებით უპირატესობათა პრინციპის გამოყენება (იხ.თავი 39-ე) ამ ქვეყნების ექსპორტის ხასიათის ასახსნელად?

9.გამოყავით სუსტადგანვითარებული ქვეყნების მიერ შემოთავაზებული ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ძირითადი მომენტები. რომელ მოთხოვნას თვლით თქვენ ყველაზე გამართლებულად?

10.ეკონომიკურ ეფექტიანობას და შემოსავლების გლობალურ განაწილებას რანაირად დაეტყობა განუსაზღვრელი იმიგრაციის პოლიტიკა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ტარდება?

ბოლო შტრიხი

შიმშილი აფრიკის ქვეყნებში

შიმშილი აფრიკის ქვეყნებში აიხსნება არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ ასევე დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორებითაც.

აფრიკის ქვეყნებში შიმშილი არ შეიძლება ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვალოს. ფართოდ ცნობილმა მასობრივმა შიმშილმა, ეთიოპიაში 1984წელს, ერთი მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1987წ. გვალვამ ისევ აიძულა ეს ქვეყანა დახმარებისათვის მსოფლიო თანამეგობრობისთვის მიემართა.1987წ. სურსათით განსაკუთრებული დახმარება დასჭირდა ანგოლას, სადაც

სამოქალაქო ომი 12 წლის მანძილზე გრძელდებოდა. 1987წ.შემუშავებული მსოფლიო სასურსათო პროგრამის თანახმად ეთიოპიას, მოზამბიკს, მალავის, ანგოლას, სომალის და სუდანს 1988წ. 2,3 მლნ ტონა სურსათი სჭირდებოდა, რაც ორჯერ აჭარბებდა სურსათის ექსპორტიორი ქვეყნების შესაძლებლობებს. ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში თითქმის 10 მლნ ადამიანი შიმშილობს. ამ ტრაგიკული სიტუაციის ირონია იმაშია, რომ აფრიკის ქვეყნების უმეტესობა, დამოუკიდებლობის მიღების პერიოდში სურსათით თვითუზრუნველყოფილთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ახლა კი ამ ქვეყნების მოსახლეობის გადარჩენა სურსათის იმპორტისგანაა დამოკიდებული.

კატასტროფათა ფართოდ ცნობილი მიზეზია გვალვა.მაგრამ მთავარი მიზეზები,რომლებიც აფრიკულ ქვეყნებს საკუთარი მოსახლეობის გამოკვების საშუალებას არ აძლევს რთული და მრავალფეროვანია.ისინი ბუნებრივი,დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების შეხამებაში მდგომარეობს. ნალექების დეფიციტთან ერთად ამას მოსახლეობის ზრდა, ნიადაგის ფართოდ გავრცელებული ეროზია და სახელმწიფო პოლიტიკა ემატება, რომელიც სტიმულს არ აძლევს წარმოების ზრდას.

არახელსაყრელი ფაქტორი ისაა, რომ აფრიკაში მოსახლეობის ზრდა წინ უსწრებს სურსათის წარმოების გადიდებას. სახელდობრ, მოსახლეობა წელიწადში 3%-ით იზრდება, მაშინ, როცა სურსათის წარმოება-მხოლოდ 2%-ით. ეს პირქუში არითმეტიკა არსებითად ცხოვრების დონის დაცემას და შიმშილს ნიშნავს. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მონაცემებით 80-იან წლებში ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 70-იანი წლების ბოლოსათვის მიღწეული დონის სულ რაღაც 3/4-ს შეადგენდა.

ამასთან ერთად,მოსახლეობის ზრდა ხელს უწყობდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას აფრიკაში. სურსათზე მოთხოვნის გადიდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ხელს უწყობდა ტყეების გაჩანაგებას მიწათმოქმედებისათვის ახალი ფართობების გამოყენების მიზნით.ხშირ შემთხვევაში ხეები, რომლებიც ხელს უშლიდა უდაბნოთა ზრდას, იჩეხებოდა და ნაზი, ზედაპირული ნიადაგობრივი საფარი უდაბნოს ქარებით იცლებოდა. ხე-ტყის მუდმივი ნაკლებობა, რაც კიდევ უფრო მწვავდება მისი გაჩეხვით, იმას

იწვევს, რომ საქონლის ნაკელი, რომელიც ტრადიციულად, სასუქის სახით გამოიყენებოდა, სათბობზე მიდის. გარდა ამისა, ანეულის ქვეშ მიწების ყოფნის ტრადიციული ვადების შემცირებამ, სახნავის და საძოვრების მეტისმეტი ექსპლუატაცია, ანუ, სხვა სიტყვებით, ნიადაგის გამოფიტვა გამოიწვია. ტყეების გაჩეხვისა და მიწის სავარგულების მეტისმეტი ექსპლუატაციის შედეგად შემცირდა ნიადაგის მიერ ტენის შთანთქმის უნარი, დაეცა მათი პროდუქტიულობა და გვალვისადმი წინააღმდეგობის გაწევა. არსებობს ვარაუდი, რომ მიწის მიერ ტენის შთანთქმის უნარის დაცემა, ამცირებს აორთქლებას და, შესაბამისად, ნალექების რაოდენობასაც. ყველაფერი ეს იმით რთულდება, რომ მოსავლის შესანახი სიმძლავრეები არასაკმარისია. ამრიგად, კარგი მოსავლის შემთხვევაშიც კი მისი ნაჭარბის, შემდგომი წლებისთვის შენახვა საკმაოდ ძნელია.სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი აფრიკის ზოგიერთ ნაწილში ვირთხების და მწერების მიერ ნადგურდება ან უბრალოდ ფუჭდება.

საზოგადოდ მიღებული მოსაზრებით,აფრიკის ქვეყნებში შიმშილის წარმოშობას ხელს უწყობდა უგუნური სახელმწიფო პოლიტიკა.ჯერ-ერთი,აფრიკის ქვეყნების მთავრობები მთლიანად,უარს ამბობდნენ სოფლის მეურნეობაში ინვესტირებაზე,უპირატესობას აძლევდნენ რა მრეწველურ განვითარებას და სამხედრო პოტენციალის განმტკიცებას და განვითარებას.ზოგიერთი შეფასებით,აფრიკული ქვეყნების მთავრობები შეიარაღებაზე საშუალოდ 4-ჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ეთიოპიის ბიუჯეტის 40%-ზე მეტი არმიის შენახვაზე იხარჯება. მეორე, აფრიკული მთავრობები სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე დაბალი ფასების პოლიტიკას ატარებენ, ქალაქის მზარდი მოსახლეობის კვების იაფი პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის. მართალია, უცხოური დახმარება ხელს უწყობდა აფრიკული ქვეყნების მოსახლეობისათვის, სურსათის უკმარისობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, მაგრამ სპეციალისტები თვლიან, რომ ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით ეს პრობლემები შეუძლებელია ამგვარად გადაწყდეს. და მართლაც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სასურსათო დახმარების აღმოჩენამ შესაძლოა მხოლოდ დროებითი სიძნელეები მოხსნას. მაგრამ მსგავსი ღონისძიებები ძირს უთხრიან აფრიკულ ქვეყნებში სურსათით სრული თვითუზრუნველყოფის პირობების შექმნას ხანგრძლივ-

ვადიანი თვალსაზრისით. მიღებულია, რომ უცხოური სასურსათო დახმარება სპობს მხოლოდ დაავადების სიმპტომებს და არა მის მიზეზებს.

ყველაფერი ეს კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ ცენტრალური აფრიკის ქვეყნებს თვითონ აწუხებს შედარებით მაღალი და მზარდი საგარეო დავალიანება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ამ ქვეყნების ერთობლივი საგარეო დავალიანება 1976წ.21-დან, 1987წ. 138 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. დახმარების შემდგომი აღმოჩენის პირობად ამ ქვეყნებისაგან ეკონომიის რეჟიმის მკაცრ შესრულებას მოითხოვდნენ, რაც შემოსავლების დაცემას იწვევდა ერთ სულ მოსახლეზე. ამის ერთ-ერთი ტრაგიკული შედეგი ბავშვებისათვის სოციალური პროგრამების შემცირება იყო ბევრ აფრიკულ ქვეყანაში. არსებული მონაცემებით, 1987წ. მსოფლიოში 3 მლნ ბავშვი დაიღუპა "იმიტომ, რომ არ აღმოჩნდა 50 ცენტი მათი ვაქცინებისათვის".

შევაჯამოთ. მასობრივი შიმშილი, რასაც აფრიკის ბევრი ქვეყანა აწყდება, ბუნებრივი ხასიათის კერძო მიზეზებით, ნაწილობრივ თვით ამ ქვეყნების პოლიტიკითაა განპირობებული. გვალვა, მოსახლეობის მეტისმეტი სიმჭიდროვე, ეკონომიკური ვითარების გაუარესება, სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა არაადექვატურობა-ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს მასობრივი შიმშილის წარმოშობას. მსგავს მიზეზთა მთელი კომპლექსის არსებობა გვაიძულებს ვივარაუდოთ,რომ შიმშილი აფრიკაში არ შეწყდება გვალვის დამთავრების შემდეგაც კი.

ეკონომიკური ცნებებისა და ტერმინების ლექსიკონი

აბსტრაქცია-(abstraction) ეკონომიკური ანალიზიდან ისეთი ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტების გამორიცხვაა,რომელიც საქმეს არ შეეხება.

აბსცისთა ღერძი-(horizonal axis) ჰორიზონტალური ღერძი გრაფიკზე ან კოორდინატთა ბადეზე.

აგლომერაციით განპირობებული ეკონომია-(Economics of agglomeration) წარმოებისა და გასაღების დანახარჯების შემცირება,როგორც ფირმათა ერთმანეთთან შედარებით ახლოს განთავსების შედეგი.

აგრეგირება (Agregation)-ცალკეულ ერთეულთა ან მონაცემთა გაერთიანება ერთიან მაჩვენებელში.მაგალითად,ინდივიდუალურ საქონელთა და მომსახურების ყველა ფასი ქმნის ფასების საერთო დონეს,ან პროდუქციის ყველა ერთეულები აგრეგირდება რეალურ წმინდა ეროვნულ პროდუქტში.

ადამიანისეული კაპიტალის თეორია (theory of human capital)-კონცეფცია,რომლის თანახმადაც ხელფასში განსხვავება,ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირების განსხვავებათა შედეგია,ხოლო დაბალანაზღაურებად მუშათა შემოსაველები იზრდება ასეთ ინვესტიციათა მოცულობის გადიდების შედეგად.

ადაპტიური მოლოდინის თეორია (adaptive expectations theory)-კონცეფცია, რომლის თანახმად ადამიანები მომავალ მოვლენათა მოლოდინში (მაგალითად ინფლაციის) ,წარსულისა და აწმყოს მოვლენებით (მაგალითად,ინფლაციის დონეებით) ხელმძღვანელობენ და თავიანთ მოლოდინს მხოლოდ მოვლენათა განვითარების შესაბამისად ცვლიან.

ადმინისტრაციის მხრიდან ოპოზიციის ჰიპოთეზა (managerial-opposition hypotesis)-აშშ-ში პროფკავშირების მოძრაობის შედარებითი დაქვეითების ახსნა მზარდი და უფრო აგრესიული წინააღმდეგობით,რომელსაც მენეჯმენტი უწევს მას.

ადმინისტრაციის პრეროგატივები (managerial prerogatives)- პროფკავშირებსა და ფირმებს შორის კოლექტიურ ხელშეკრულებებში ხშირ შემთხვევებში დათქმადი განსაკუთრებული გადაწყვეტილებები,რომელთა მიღების უფლება მხოლოდ ფირმის ადმინისტრაციის პრეროგატივაა.

ავტორიტარული კაპიტალიზმი (autoritarian kapitalism)-ეკონომიკური სისტემა,რომლის დროსაც ძირითადი რესურსები კერძო საკუთრება-

შია,ხოლო მთავრობა ფართო მასშტაბით წარმართავს და არეგულირებს ეკონომიკურ პროცესს.

1934 წ კანონი ურთიერთ საგაჭრო შეთანხმებათა შესახებ (Reciprocal Trade Agreements Act of 1934)-ფედერალური კანონი,რომელმაც პრეზიდენტს სხვა ქვეყნებთან შეთანხმებების დადებისა და საბაჟო გადასახადების 50%-ით შემცირების უფლება მისცა იმ პირობით,თუ ეს ქვეყნები საბაჟო გადასახადს შეამცირებენ ამერიკულ საქონელზე;კანონი ასევე ითვალისწინებდა ამ შეთანხმებებში ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმის შესახებ მუხლის შეტანას.

1980 წ.კანონი დეპოზიტურ დაწესებულებათა დერეგულირებისა და მონეტარული კონტროლის შესახებ (Depository Institutions Deregulation and Monetary Control Act, DIDMCA)-ფედერალური კანონი,რომელმაც უფლება მისცა შემნახველ დაწესებულებებს,სხვებთან ერთად მიიღოს ისეთი ანაბრები,რომლებზედაც შეიძლება ჩეკის გამოწერა,გამოიყენოს ფედერალური სარეზერვო სისტემის უნაღდო ანგარიშსწორების მექანიზმი და მიიღოს სესხი ფედერალურ სარეზერვო ბანკებში;ამავე კანონით შემნახველ დაწესებულებებზე ერცელდებოდა საბანკო რეზერვების შესახებ ფედერალური სარეზერვო სისტემის მოთხოვნები;კანონი ითვალისწინებდა ასევე,სარგებლის მაქსმალური განაკვეთების თანდათანობით გაუქმებას,რომლებიც დეპოზიტურ ინსტიტუტებს შეუძლიათ გადაიხადონ შემნახველი და ვადიანი ანაბრების მიხედვით.

„ალკოას"საქმე (Alcoa case)-ფედერალურ სასამართლოებში ფირმა"ალკოას"1945 წელს განხილული საქმეები,რომლის შესახებ სასამართლოებმა დაადგინეს,რომ მონოპოლიური ძალაუფლების ფლობა-მიუხედავად იმისა თუ რამდენად რაციონალურად გამოიყენება ეს ძალაუფლება-ანტიტრესტული კანონების დარღვევაა;სასამართლოებმა ამით უარყვეს "გონივრული მიდგომის წესი",რომელიც გამოყენებული იყო "იუ.ს.სტილ"-ის საქმეში.

ამკრძალავი მითითება (cease-and-desist order) სასამართლოს ან სამთავრობო დაწესებულების (კომისიის ან სამინისტროს) განკარგულება,რომელიც კორპორაციას ან ცალკეულ პირს ავალდებულებს მეურნეობრივი საქმიანობის სპეციფიკური ფორმის შეწყვეტას.

ამერიკა-კანადის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (United States-Canadian Free-Trade Agreement)-რომელიც ხელმოწერილიქნა 1988 წ.და ითვალისწინებს 10 წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის ყველა საგაჭრო ბარიერის მოხსნას.

ამოღება, გადენა (Leakage)-პოტენციური დანახარჯები, რომლებიც ამოღებულია ნაკადიდან-"შემოსავლები-დანახარჯები": დანაზოგები,სა-

გადასახადო გადა-სახდელები და იმპორტი;სახსრების ამოღება,რომელიც კომერციული ბანკების სისტემის სასესხო პოტენციალს ამცირებს.

ამოღებისა და ინექციების მეთოდი (leakages-injectoins approach)-წონასწორობითი წეპ-ის განსაზღვრა მისი იმ მოცულობის გამოვლენით,რომლის დროსაც ამოღებათა სიდიდე ინექციათა ტოლია.

არგამომფიტველი დანახარჯები (nonexhaustive expenditure)-მთავრობის დანახარჯები,რომლებიც უშუალოდ არ იწვევენ ეკონომიკური რესურსების გამოყენებას ან საქონელთა და მომსახურების წარმოებას.

არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა (nondiscretionary fiscal policy)-საგადასახადო შემოსულობათა წმინდა მოცულობის გადიდება (შემცირება),რომელიც წეპ-ის გადიდებისას წარმოიშობა და ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილიზებას.

არაელასტიური მიწოდება (inelastic supply)-ასეთი მიწოდების კოეფიციენტი ეროზე ნაკლებია;ფასის პროცენტული ცვლილება მეტია მიწოდების მოცულობის პროცენტულ ცვლილებაზე.

არაელასტიური მოთხოვნა (inelastic demand)-ასეთი მოთხოვნის კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია;ფასის პროცენტული ცვლილება მეტია მოთხოვნის მოცულობის პროცენტულ ცვლილებაზე.

არაკონკურენტული ჯგუფები (noncompeting groups)-მუშათა ჯგუფები,რომლებიც ერთმანეთს შორის არ იბრძვიან სამუშაო ადგილისათვის,იმის გამო,რომ ერთი ჯგუფის მუშათა დაინტერესება და პროფესია არსებითად განსხვავდება მუშათა სხვა ჯგუფების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან.

არალეგალური იმიგრანტი (illegal immigrant)-პირი,რომელიც უკანონოდ შედის ქვეყანაში

არაპატიოსანი კონკურენცია (unfair competition)-ნებისმიერი პრაქტიკა,რომელიც გამოიყენება ფირმის მიერ მოწინააღმდეგის მოსასპობად ან დარგში ახალი ფირმის შესვლის ბლოკირებისათვის და საზოგადოების (ან მიწინააღმდეგის) მიერ ფასდება,როგორც ამ მიზნის მიღწევის მიუღებელი ხერხი.

არასაინვესტიციო გარიგება (noninvestment transaction)-აქციების, ობლიგაციების და წარმოების მეორეხარისხოვანი საშუალებების შეძენის ხარჯები.

არასატარიფო ბარიერები (nontariff bariers)-ყოველგვარი ბარიერები (საბაჟო გადასახადის გამოკლებით),რომლებსაც სახელმწიფოები აღმართავენ ქვეყნებს შორის ვაჭრობის შეფერხებისათვის:იმპორტული ქვოტები,სპეციალური ლიცენზიები,საქონელთა ხარისხის დაუსაბუთებელი სტანდარტები,საბაჟო პროცედურების ბიუროკრატიული გაჭიანურება და ა.შ

არასაფასო კონკურენცია (nonprice competetion)-ფირმის მიერ გამოყენებული ხერხები (გარდა საკუთარ პროდუქციაზე ფასების შემცირები-

სა),რომელთა დახმარებით ისინი ამ პროდუქციის გაყიდვაია მოცულობის გადიდებას ცდილობენ;ამ ხერხებს მიეკუთვნება კონკურენცია პროდუქტების დიფერენციაციის სფეროში,რეკლამა და გასაღების სტიმულირების ღონისძიებები.

არასაფინანსო ინვესტიციები (nonfinancial investment)-ინვესტიციები, რომლებიც საოჯახო მეურნეობებისაგან არ მოითხოვენ მათი ფულადი შემოსავლების ნაწილის დაზოგვას,მაგრამ,რომელთაოვისაც დამატებითი შრომა (სამომხმარებლო დოვლათის წარმოების სფეროს გარეთ) წარმოების საშუალებათა წარმოებაში გამოიყენება.

არასრულყოფილი კონკურენცია (imperfect competetion)-ყველა ბაზარი,გარდა წმინდა კონკურენტულისა;მონოპოლია, მონოპსონია,მონოპოლისტური კონკურენცია,ოლიგოპოლია,ოლიგოპსონია.

არჩევანის თავისუფლება (freedom of choice)-მატერიალური რესურსებისა და ფულის მესაკუთრეთა თავისუფალი უფლება,საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ან თავიდან მოიშორონ ისინი,მუშათა თავისუფალი უფლება,ხელი მოკიდონ შრომის ნებისმიერ სახეობას,რომელიც მათ შეუძლიათ.მომხმარებელთა თავისუფალი უფლება თავიანთი შემოსავლები იმ მიზნებისათვის დახარჯონ,რომლებსაც ისინი ამჯობინებენ (მათთვის საუკეთესო).

აქტივი (Asset)—ყველაფერი,რასაც ფულადი ღირებულება გააჩნია და ფირმის ან ცალკეული პირის საკუთრებაა.

აქტიური სალდო,საგადასახდელო ბალანსის აქტივი (balance of payments surplus)-მიმდინარე ოპერაციათა და კაპიტალების მოძრაობის ბალანსის აქტიური სალდო.

აღწერილობითი ეკონომიკური მეცნიერება (Descriptive economics)-შესაბამისი ეკონომიკური ფაქტების (მონაცემების) შეგროვება და სისტემატიზება.

აყვავებადი (განვითარებადი) დარგი (prosperous industry)-მზარდი დარგი.

ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი (New International Economic Order.NIEO)-განვითარებადი ქვეყნების მიერ წამოყენებულ წინადადებათა პაკეტი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან მათ ურთიერთობათა ძირეული ცვლილებების შესახებ.ამ წინადადებების მიზანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და მსოფლიო შემოსავლის მათ სასარგებლოდ გადანაწილება.

ბაზარი (market)-ნებისმიერი ინსტიტუტი,ან მექანიზმი,რომელიც კონკრეტული საქონლისა და მომსახურების მყიდველებს (მოთხოვნის წარმომდგენი) და გამყიდველებს (მიმწოდებლებს) აერთიანებს.

ბანკთა ბანკი (bankers bank)-ბანკი,რომელიც დეპოზიტური ინსტიტუტების ანაბრებს ღებულობს და სესხებს სთავაზობს მათ;ფედერალური სარეზერვო ბანკი.

ბანკი-ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი (member bank)-ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) წევრი კომერციული ბანკი;ყველა ეროვნული ბანკები (იხ.ეროვნული ბანკი) და შტატების ბანკები,რომლებიც ფსს-ს შეუერთდნენ.

ბარტერული ვაჭრობა (barter)-ერთი საქონლის ან მომსახურების მეორე საქონელსა და მომსახურებაზე ნატურალური გაცვლა.

ბაჟი (tariff)-გადასახადი იმპორტულ საქონელზე (აშშ-ში მხოლოდ ფედერალური მთავრობის მიერ დგინდება).

ბიუჯეტური ექსპანსიის პოლიტიკა (expansionary fiscal policy)-ერთობლივი მოთხოვნის გადიდება საქონელსა და მომსახურებაზე სამთავრობო ხარჯების გადიდების,საგადასახადო შემოსულობათა წმინდა მოცულობის შეეცირებისა ან ამ ორ ფაქტორთა გარკვეული შეხამების შედეგად.

ბრეტონ-ვუდის სისტემა (Bretton Woods sustem)-მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო სავალუტო სისტემა,რომლის ფარგლებში ხორციელდებოდა სავალუტო კურსების რეგულირების ღონისძიებები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხელს უწყობდა უცხოურ ვალუტათა კურსების სტაბილიზაციას,ხოლო ოქრო და დოლარი საერთაშორისო სავალუტო რეზერვის სახით გამოიყენებოდა.

ბუნებრივი მონოპოლია (natural monopoly)-დარგი,რომელშიც წარმოების მასშტაბების ზრდით გამოწვეული ეკონომია,იმდენად დიდია,რომ პროდუქტი შეიძლება წარმოებულიქნას ფირმის მიერ უფრო დაბალი საშუალო დანახარჯებით,ვიდრე მისი წარმოებით დასაქმებული იქნებოდა არა ერთი,არამედ,რამდენიმე ფირმა.

გადადენის სარგებლობები,თანამდევი ეფექტები (spillover benefits)-სარგებლობები რომლებსაც პროდუქტების არა მწარმოებლები და არა მომხმარებლები ღებულობენ,არამედ აუნაზღაურებლად იღებს მესამე მხარე (საზოგადოება მთლიანად).

გადადენის ხარჯები,თანამდევი ხარჯები (spillover cost)-პროდუქტის წარმოების დანახარჯები,რომელსაც ეწევიან არა მწარმოებლები და მომხმარებლები,არამედ მესამე მხარე (საზოგადოება მთლიანად),ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

გადასახადი (tax)-საოჯახო მეურნეობის ან ფირმის მიერ სახელმწიფოსთვის ფულის იძულებითი გადახდა (ან საქონელთა და მომსახურების გადაცემა) რომელთა სანაცვლოდ საოჯახო მეურნეობა ან ფირმა უშუალოდ არ ღებულობს საქონლებს ან მომსახურებებს.

გადასახადით დაბეგვრის საშუალო განაკვეთი (average tax rate)-გადახდილი გადასახადის საერთო თანხა,გაყოფილი გადასახადით

დასაბეგრ მთელ შემოსავალზე;საგადასახადო განაკვეთი გადასახადით დასაბეგრ მთელ შემოსავალზე.

გადასახადის ზღვრული განაკვეთი (marginal tax rate)-დამატებითი (გადასახადით დასაბეგრი) შემოსავლის წილი, რომლის გადახდაც აუცილებელია გადასახადის სახით.

გადახდისუნარიანობის თეორია (ability-to-pay principle)-კონცეფცია,რომლის თანახმად,ის ვისაც დიდი შემოსავალი (ან დიდი ქონება) გააჩნია უნდა დაიბეგროს აბსოლუტურად ან შეფარდებით უფრო დიდი გადასახადით,ვიდრე ის, ვისაც შემოსავალი (ან ქონება) ნაკლები აქვს.

გადასახადები და ტრანსფერტული გადასახდელები, როგორც ანტისტიმულები (tax-transfer disincentives)-შრომის,დანაზოგების,ინვესტირების, ინოვაციებისადმი და რისკის სტიმულების შესუსტება,რომელიც,როგორც ამტკიცებენ,მაღალი ზღვრული საგადასახადო განაკვეთების და ტრანსფერტულ გადასახდელთა პროგრამების შედეგია.

გადაწყვეტილებათა შეზღუდული რაოდენობის მცდარი კონცეფცია (fallacy of limited decisions)-მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ,რომ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა რაოდენობა შეზღუდულია,და მაშასადამე,თუ მთავრობა მეტ გადაწყვეტილებებს მიიღებს,კერძო ფირმებს მათი ნაკლები რაოდენობით მიღება მოუწევთ.

გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტი ბეკ (JointEconomic comittee JEC)-კომიტეტი,რომელიც შედგება სენატორებისა და წარმომადგენელთა პალატის წევრებისაგან,რომელიც დასაქმებულია ეროვნული მასშტაბის ეკონომიკურ პრობლემათა გამოკვლევებით.

გამოდევნის ეფექტი (crowding-out effect)-სარგებლის განაკვეთების გადიდება და ეკონომიკაში დასახული ინვესტიციების მოცულობის შემდგომი შემცირება,რომელიც გამოწვეულია ფედერალური სესხების გადიდებით ფულის ბაზარზე.

„გამოდევნებისა და გაქცევის თეორია“(pursuit and escape theory)-ეროვნულ შემოსავალში ხელფასის შეფარდებითი წილის სტაბილურობის ახსნა იმით,რომ მუშები ცდილობენ უფრო მაღალი ფულადი ხელფასის მიღებას (მასზე "გამოდევნება") კაპიტალისტთა ეკონომიკური მოგებების ხარჯზე,ხოლო კაპიტალისტები ცდილობენ თავიდან აიცილონ (-.გან "გაქცევა") თავიანთ მოგებათა შემცირება მუშათა შრომის მწარმოებლურობის ან წარმოებული პროდუქტების ფასის გადიდებით.

გამომფიტველი ხარჯები (exhaustive expenditures)-სამთავრობო ხარჯები,რომლებიც ეკონომიკური რესურსების უშუალო გამოყენებას და მთავრობის შიერ საქონელთა და მომსახურების შთანთქმას იწვევენ.რომლებიც ამ რესურსებისაგანაა ნაწარმოები;სამთავრობო შესყიდვები.

გამონაკლისის პრინციპი (exclusion principle)-იმ პირების ჩამოცილება,რომლებმაც არ გადაიხადეს,მათ მიერ მიღებული სარგებლობებისათვის.

გამსესხებელ-შემნახველი ასოციაცია (savings and loan assocation)-ფირმა,რომელიც ანაბრებს ღებულობს უპირატესად წვრილი ინდივიდუალური მეანაბრეებისაგან და სესხს აძლევს ძირითადში ცალკეულ პირებს სახლის თუ ბინის შესაძენად.

გამსესხებელ-შემნახელ ასოციაციებში ანგარიშების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (Federal Savings and Koan Insurance Corporation)-კორპორაცია,რომელმაც ფედერალური მთავრობის ჩარჯერი მიიღო გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებში ვალდებულებათა დასაზღვევად.

განაწილების ფაქტორი (allocative factor)-ეკონომიკური უნარი რესურსები გადაანაწილოს ისეთი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, რომელსაც შეძლებს მიწოდების ფაქტორი.

განვითარებადი ქვეყნები (lees developed countrics. LDCs)-აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყანა,რომელთათვისაც დამახასიათებელია წარმოების საშუალებათა უკმარისობა,ჩამორჩენილი ტექნოლოგია,წერა-კითხვის ცოდნის დაბალი,უმუშევრობის მაღალი დონე,მოსახლეობის სწრაფი ზრდა და სამუშაო ძალის დასაქმება ძირითადად სოფლის მეურნეობაში.

განზოგადება (generalization)-სტატისტიკური ან ალბათობითი მტკიცება;მტკიცება ერთობლიობათა ორ ან უფრო მეტ ფაქტებს შორის კავშირების ხასიათის შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესთა ეფექტი (special-interest effect)-ზემოქმედება სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღებაზე და რესურსების განაწილებაზე ეკონომიკაში, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ მცირე ჯგუფების ინტერესთა (მიზნების) დაცვაში,მთლიანად საზოგადოების ინტერესების საზიანოდ.

განსხვავებათა გამომთანაბრებლები (შრომის ანაზღაურებაში) (equalizing differences)-ხელფასის განსხვავებული დონეები,რომელსაც სხვადასხვა პროფესიის მმუშები ღებულობენ,რომლებიც პროფესიათა შორის არაფულადი განსხვავების კომპენსაციას ახდენენ.

განურჩევლობის მრუდი (indifference curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს ორი პროდუქტის სხვადასხვა კომბინაციებს,რომელთაც ერთნაირი სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს სარგებლობა გააჩნიათ მომხმარებლისათვის.

განურჩევლობის მრუდთა რუკა (indifference map)-განურჩეველობის რიგი მრუდები,რომელთა თითოეული შემადგენელი სარგებლიანობის სხვადასხვა სიდიდეა;ყველა ერთად კი ახასიათებს მომხმარებლის გემოვნებებს (მჯობინებებს).

გარანტირებული შემოსავალი (guaranteed income)-მინიმალური შემოსავალი,რომელსაც ოჯახი (ან ინდივიდი) მიიღებდა რეგატიური საშემოსავლო გადასახადის შემოღების დროს.

გარემოს გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზარი (market for pollition rights)-ბაზარი,სადაც გარემოს გაჭუჭყიანების უფლებათა საესებით არაელასტიური მიწოდება არსებობს და ასეთ უფლებაზე მოთხოვნა განსაზღვრავს ფასს,რომელიც მასზე უნდა გადიხადოს გარემოს გამჭუჭყიანებელმა.

გასამრჯელო (earnings)-ფულადი შემოსავალი,რომელსაც მუშა ღებულობს;ხელფასის განაკვეთის,მუშის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა ნამრავლის (გამომუშავებული დროის სიდიდის) ტოლია.

გაფიცვა (strike)-მუშაობის შეწყვეტა მუშათა ორგანიზებული ჯგუფის (პროფკავშირის) მიერ.

გაფიცვა უფლება-მოვალეობათა გამო (jurisdictional strike)-ერთი პროფკავშირის წევრთა ეაფიცვა,რომლებიც კონფლიქტში შეეიდნენ იმავე საწარმოს სხვა პროფკავშირთან. იმის თაობაზე,რომ,რომელი მათგანის წევრებმა უნდა შეასრულონ ამ საწარმოში კონკრეტული სამუშაო.

გაუთვალისწინებელი ინფლაცია (unanticipated inflation)-ინფლაციის დონე,რომელიც განსაზღვრული პერიოდისათვის მოსალოდნელზე უფრო მაღალი აღმოჩნდა.

გაცვლის განტოლება (equation of exchange)-განტოლება MV= PQ ,სადაც M-ფულის რაოდენობაა მიმოქცევაში,V-ფულის მიმოქცევის სიჩქარე შემოსავლების წრებრუნვაში. P-ფასების დონე,ხოლო Q-წარმოებულ მზა ნაკეთობათა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა.

გონივრული მიდგომის წესი (rule of reason)-კორპორაცია "იუ ს.სტილ-"ის წინააღმდეგ მიღებული და სასამართლო პროცესში გამოყენებული წესი იმის შესახებ,რომ ანტიტრესტული კანონმდებლობა უნდა გამოიყენოთ მხოლოდ იმ ფირმებისადმი,რომლებიც მეტისმეტად ზლუდავენ ეაჭრობას,და რომ ფირმის სიდიდე და მონოპოლისტური ძალაუფლება თავისთავად არ შედის წინააღმდეგობაში კანონთან.

გრემ-რადმენ-ჰოლინგსის 1985 წ.კანონი (Gramm-Rudman-Hollings Act)-ფედერალური კანონი,რომელიც მოითხოვდა ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ყოველწლიურ შემცირებას;მისი შესწორება 1993 წლისათვის მოითხოვდა,დაბალანსებულ ბიუჯეტს;კანონი მოითხოვს დანახარჯების ავტომატურ შემცირებას. იმ შემთხვევებში,როცა კონგრესი და პრეზიდენტი ვერ შეძლებენ შეთანხმებას ბიუჯეტური დეფიციტის დასახული შემცირების ხერხების შესახებ.

დაბალანსებული წლიური ბიუჯეტი (annualy balanced budget)-სამთავრობო ხარჯებისა და საგადასახადო შემოსულობათა ტოლობა წლის მანძილზე.

დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი (balanced budget multiplier)-სამთავრობო ხარჯების თანატოლი ნამატების (შემცირებების) ზემოქმედება,რომელიც დაკავშირებულია საქონელთა და მომსახურების შეძენასთან,ასევე წონასწორობით წეპ-ზე გადასახადის გადიდებასთან (შემცირებასთან),და მის გადიდებაში (შემცირებაში) გამოი-ხატება ამ თანატოლი ნამატების (შემცირებების) სიდიდით.

დაგგმილი ინვესტიციები (planned investment)-თანხები,რომელთა ინვესტირებასაც ფირმები გეგმავენ ან ვარაუდობენ.

დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება დზმ (marginal propensity to save. MPS)-დანაზოგების წილი საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების ნებისმიერი ცვლილების დროს (გადასახადების გადახდის შემდეგ);ტოლია დანაზოგების ცვლილების,შემოსავლების ცვლილებაზე განაყოფზე,გადასახადების გადახდის შემდეგ.

დაზოგვის პარადოქსი (paradox of thrift)-საზოგადოების მიერ მეტის დაზოგვის მცდელობა მას დაზოგვის იგივე ან ნაკლები მოცულობით შემოუბრუნდება.

დაზოგვის საშუალება (store of value)-აქტივი ან ფასეულობები,რომელსაც საჭიროებისა გამოყენებისათვის ინახავენ.

დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილება (average propensity to save. APS)-შემოსავლის წილი,რომელიც რჩება გადასახადის გადახდის შემდეგ,რასაც საოჯახო მეურნეობები ზოგავენ;მოხმარების მოცულობა,გაყოფილი შემოსავალზე,გადასახადების გადახდის შემდეგ.

დაზღვევადი რისკი (insyrabli risk)-მოვლენა (რომლის საშუალო გამეორებადობა შეიძლება საკმარისი სიზუსტით დავადგინოთ),რომელსაც შეუძლია ზარალი გამოიწვიოს და,თავის მხრივ,შეიძლება აეიცილოთ სადაზღვეეო პოლისის შეძენით.

დამატებითი მისაცემლები (fringe benefits: wage and salary supplements)-შრომის ანაზღაურება,გარდა ხელფასისა,რომელსაც მომუშაველი ღებულობენ თავიანთი დამქირავებლებისაგან,რაც მოიცავს პენსიების,დახმარებების სამედიცინო და სტომატოლოგიური დაზღვევის,მორიგი შვებულებისა და აკადმყოფობის გამო შვებულების ანაზღაურებას;სამუშაო ძალის დამქირავებელთა გადასახდელები სოციალური დაზღვევის,საპენსიო და ავადმოფობის შემთხვევაში დაზღვევის ფონდში და მუშათა საქველმოქმედო ფონდები;სამუშაო ძალაზე მეწარმის დანახარჯების ნაწილი.

დამატებული ღირებულება (vaule added)-ფირმის მიერ გაყიდული პროდუქტის ღირებულებას მინუს ნაკეთობათა (მასალების) ღირებულება,რომელიც ფირმამ შეიძინა და გამოიყენა მის საწარმოებლად;ტოლია ამონაგებისა,რომელიც მოიცავს ხელფასს,საიჯარო ქირის,სარგებლის და მოგების ექვივალენტს.

დამატებული ღირებულების გადასახადი,ДДВ (value-added tax, VAT)-ფირმის მიერ გაყიდულ საქონელთა ღირებულებასა და მის მიერ სხვა ფირმებისაგან შეძენილ საქონელთა ღირებულებას შორის განსხვავების გადასახდელი.

დამოუკიდებელი ცვლადი (independent variable)-ცვლადი,რომელიც სხვა რომელიმე (დამოკიდებული) ცვლადის შეცვლას იწვევს.

დამოუკიდებელი საქონლები (independent goods)-საქონლები (და მომსახურებები),რომელთა ფასებსა და მათზე მოთხოვნას შორის კავშირი არ არსებობს;მაგალითად,როდესაც ერთი საქონლის ფასი იზრდება ან მცირდება,ხოლო მოთხოვნა მეორე საქონელზე უცვლელი რჩება.

დამოუკიდებელი ცვლადი (dependent variable)-ცვლადი,რომელიც იწვევს რომელიმე სხვა (დამოუკიდებელი) ცვლადის შეცვლას.

დამცავი, პროტექციონისტული ბაჟი (protective tariff)-ბაჟი,რომელიც დაწესებულია საქონლის საშინაო მწარმოებლების დაცვის მიზნით,უცხოური მწარმოებლების კონკურენციისაგან.

დანაზოგები (saving)-შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ,რომელიც დახარჯულია არა სამომხმარებლო საქონელთა შეძენაზე;იგი გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლებისა და პირადი მოხმარების ხარჯების სხვაობის ტოლია.

დანაზოგების გრაფიკი (saving schedule)-გრაფიკი,რომელიც გვიჩვენებს საოჯახო მეურნეობათა მიერ დაგეგმილ დანაზოგთა მოცულობას (ანუ სახსრებს,რომლებიც გათვალისწინებული არაა სამომხმარებლო საქონელთა შესაძენად) შემოსავლების სხვადასხვა დონის დროს.გადასახადის გადახდის შემდეგ.

დანაზოგების მოცულობის შეცვლა (change in amount saved)-დანაზოგების მოცულობის გადიდება ან შემცირება გადასახადის გადახდის შემდეგ შემოსავლის გადიდების ან შემცირების შედეგად დანაზოგების უცვლელი შკალის (მრუდის) დროს;ერთი გრაფიკიდან (წერტილიდან) მეორეზე გადაადგილება დანაზოგების იმავე შკალაზე (მრუდზე).

დანაზოგების მრუდის, გრაფიკის შეცვლა (change in the saving schedule. curve)-დანაზოგების მრუდის გადაადგილებები,რომლებიც გამოწვეულია დანაზოგების მოცულობის გადიდებით ან შემცირებით,გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლების სხვადასხვა დონის დროს,რომლებიც წარმოადგენს

მოხმარებისა და დანაზოგების ფაქტორების შემოსავლებისაგან დამოუკიდებელ ცვლილებათა შედეგს;დანაზოგების მრუდის მოძრაობას ზევით ან ქვევით.

დანაშაულებრივი შეთანხმების დოქტრინა (criminal-conspiracy doctrina)-ოურიდიული დოქტრინა (ახლა მოძველებული),რომლის თანახმად მუშათა გაერთიანება პროფკავშირებში,ხელფასის მომატების მიზნით,დანაშაულებრივი შეთანხმება,და მაშასადამე,უკანონოა.

დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია (cost-push inflation)-ხელფასისა და ნედლეულის ფასების გადიდების შედეგად ერთობლივი მიწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაცია,რომელსაც თან ახლავს წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების (უმუშევრობის დონის გადიდება) შემცირება.

დანახარჯების მინიმიზების პრობლემა (economizing problem)-საზოგადოების მატერიალური მოთხოვნები უსაზღვროა,მაგრამ საქონელთა და მომსახურების საწარმოებელი რესურსები,რომლებიც ამ მოთხოვნას აკმაყოფილებენ,შეზღუდულია (იშვიათია);ნებისმიერი ეკონომიკის უუნარობა,აწარმოოს საქონელთა და მომსახურების განუსაზღვრელი რაოდენობა.

დანახარჯების საერთო თანხა (total spending)-ფირმის (ფირმათა ჯგუფის,ან მთლიანად ეკონომიკის) მიერ წარმოებულ საქონელთა (ან მომსახურების) საერთო რაოდენობა.

დანახარჯთა და სარგებლობათა ანალიზი (benefits-cost analysis)-დანახარჯებისა და სარგებლობათა შედარება გადაწყვეტილებათა მიღებისას იმის შესახებ,რესურსები გაგზავნილიქნას თუ არა საწარმოს მშენებლობაზე და რა რაოდენობით,ან განსაზღვრული საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად პროგრამის განსახორციელებლად.

დანახარჯთა და შედეგების ანალიზი (input-output analysis)-დანახარჯთა და შედეგების ცხრილის გამოყენება ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილებს (სექტორებს და დარგებს) შორის ურთიერთდამოკიდებულებების კვლევისა და ეკონომიკური პროგნოზებისა და გეგმების შესადგენად.

დანახარჯებისა და შედეგების ცხრილი(input-output table) -ცხრილი,რომელიც შეიცავს მწარმოებელი სექტორების (ვერტიკალზე,მარცხენა მხარეს),სამომხმარებლო სექტორების (ჰორიზონტალზე,მარცხენა მხარეს) ჩამონათვალს და ყოველ სექტორში გაწეულებს ციფრობრივ მონაცემებს იმის შესახებ,თუ მწარმოებლური სექტორის პროდუქცია როგორ ნაწილდებოდა მომხმარებელ სექტორებს შორის,ხოლო ყოველ სვეტში მონაცემებს იმის შესახებ,თუ პროდუქციის რა რაოდენობა მიიღო მომხმარებელმა სექტორმა მწარმოებლებისაგან განსაზღვრული პერიოდის (წლის) მანძილზე.

დარგი მზარდი დანახარჯებით (increasing-cost industry)-დარგი რომელშიც წარმოების გაფართოება განპირობებულია მასში ახალ ფირმათა

შესვლით,და ამასთან დაკავშირებით, მოხმარებულ რესურსებზე ფასების გადიდებით,და მაშასადამე,წარმოების ხარჯების გადიდებით,წარმოების დანახარჯთა ერუდის ზევით გადაადგილებით

დარგი მუდმივი დანახარჯებით (constant-cost industry)-დარგი რომელშიც წარმოების გაფართოება მასში ახალ ფირმათა გამოჩენით ზეგავლენას არ ახდენს მოხმარებული რესურსების ფასზედა ამიტომ,წარმოების დანახარჯების გრაფიკზეც (მრუდზეც).

დარგთაშორისი კონკურენცია (interindustry competetion)-ერთი ფირმის პროდუქციის კონკურენცია სხვა ფირმების (ან დარგები)ს მიერ წარმოებულ პროდუქციასთან

დარგობრივ პროფკავშირთა კონგრესი (Congres of Industrial Orgations)-1936 წ შექმნილი ორგანიზაცია,რომელიც აერთიანებს დარგობრივ პროფკავშირებს

დარგობრივი პროფკავშირი (industrial union)-პროფკავშირი,რომელიც თავის რიგებში იღებს განსაზღვრული დარგში (ან ფირმაში) დასაქმებულ მუშებს;ასეთი პროფკავშირის შემადგენლობაში ჭარბობს არაკვალიფიციური ან ნახევრადკვალიფიციური მუშები.

დარგობრივი რეგულირება (industrial regulations)-რეგულირების ტრადიციული სახეობა, რომელიც ეჭარება მთავრობის კონტროლს ცალკეული დარგების პროდუქციასა და მოსახურების ფასებზე; რეგულირების სახეობა რომელიც სოციალური რეგულირების საპირისპიროა

დარგში შესვლის ბარიერები (barrier to entry)-ნებისმიერი ქმედებანი, რომლებიც ხელოვნურად აბრკოლებენ დარგში ახალ ფირმათა შეღწევას.

დასაქმების დონე (emploument rate)-სამუშაო ძალის რაოდენობის პროცენტი,რომელიც დასაქმებულია ყოველ მოცემულ მომენტში.

დაუგეგმავი ინვესტიციები (unplanned investment)-ინვესტიციების ფაქტობრივი მოცულობა,მინუს მათი დაგეგმილი მოცულობა;ფირმის საქონლურ-მატერიალური რესურსების გადიდება ან შემცირება,რომელიც წარმოების მოცულობის,გაყიდვათა მოცულობაზე გადამეტების შედეგია.

დასაქმების შესახებ 1946 წ.კანონი (Employment Act of 1946)-ფედერალური კანონი,რომელიც ფედერალურ მთავრობას ავალდებულებდა ეკონომიკური სტაბილურობის (სრული დასაქმება,სტაბილური ფასები,ეკონომიკური ზრდა) შენარჩუნებას;ამ კანონით დაარსებულია პრეზიდენტის ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭო და კონგრესის გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტი.ასევე შემოღებულია პრეზიდენტის მიერ კონგრესისათვის ყოველწლიური ეკონომიკური ანგარიშის წარდგენის წესი.

დაშვება "სხვა თანაბარ პირობებში"(ceteris paribus .other things equal assomption)-დაშვება,რომლის თანახმად,სხვა ფაქტორები,გარდა საკვლევისა,უცვლელია.

დახმარება ბავშვიან და არასრულ ოჯახებს (Aid to Families with Dependent Children. AFDC)-შტატების მთავრობის მიერ განხორციელებული და ნაწილობრივ აშშ ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებული დახმარების პროგრამა იმ ოჯახებზე,რომლებშიც არასრულწლოვანი ბავშვები მოკლებული არიან ერთერთი მშობლის მატერიალურ მხარდაჭერას სიკვდილიანობის (ერთერთის),შრომისუუნარობის ან ოჯახიდან წასვლის შედეგად.

დახმარების შემცრების კოეფიციენტი (benefit-loss rate)-შრომითი შემოსავლის გადიდების პროცენტი,როცა ფულადი დახმარებები მცირდება "ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის"ფარგლებში.

დახურვის შემთხვევა (close-down case)-გარემოებები,რომლებიც ზარალს იწვევენ,რომელიც ფირმის მუდმივი ხარჯების საერთო მოცულობაზე მეტია,წარმოების ნებისმიერი მოცულობის შემთხვევაში;სიტუაცია,როცა ფირმა ხურავს წარმოებას,რამდენადაც მისი პროდუქციის ფასი ბაზარზე საშუალო ცვალებადი ხარჯების დონეზე ნაკლებია.

დახურული ეკონომიკა (closed economy)-ქვეყნის ეკონომიკა,რომელსაც არ შემოაქვს და არ გააქვს საქონელი და მომსახურება.

დებეტი (debit)-ჩანაწერები ბუღალტრულ ანგარიშში,რომელიც მოწმობს,რომ აქტივის ღირებულება (მაგალითად,უცხოური ვალუტის,რომელიც მოცემული ქვეყნის მოქალაქის კუთვნილებაა) შემცირდა.

დედუქცია (deduction)-მსჯელობათა ჯაჭვი გონებაგანჭვრეტიდან დასკვნამდე;მსჯელობათა მეთოდი,რომლის დახმარებითაც ჰიპოთეზის (დაშვების) სისწორე მოწმდება მისგან გამომდინარე დასკვნების,რეალურ ეკონომიკურ ფაქტებთან შედარების გზით.

დევალვაცია (devaluation)-ვალუტის დადგენილი ღირებულების შემცირება.

დეზინფლაცია (disinflation)-ინფლაციის ზრდის ტემპების შემცირება ან მისი სრული შეწყვეტა.

დემპინგი (dumping)-სხვა ქვეყანაში საქონლის გაყიდვა თვითღირებულებაზე დაბლა.

დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (Federal Deposit Insurance Corporation)-კორპორაცია,რომელსაც მიღებული აქვს ფედერალური მთავრობის ჩარტერი კომერციული ბანკების (ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკები,რომლებსაც ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ნება დართული აქვს ისარგებლონ ზოგიერთი პრივილეგიებით) დეპოზიტურ ვალდებულებათა დაზღვევაზე.

დეპოზიტური დაწესებულება (depository institution)-ფირმა,რომელიც ანაბრებს ღებულობს საწარმოებისა და ცალკეული პირებისაგან;კომერციული ბანკი,შემნახველ-გამსესხებელი ასოციაცია,ურთიერთშემნახველი ბანკი და საკრედიტო კავშირი.

დეფლაცია (deflation)-ფასების საერთო (საშუალო) დონის შემცირება ქვეყნის ეკონომიკაში.

დეფლირება (deflating)-რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობის გამოელენა ეპ-ის ღირებულების შემცირებით,რომელიც ისეთ წელსაა წარმოებული,როდესაც ფასების დონე საბაზისოზე მაღალი იყო.

დინამიური პროგრესი (dynamic progress)-დროის მანძილზე არსებული პროდუქტების წარმოების უფრო ეფექტიანი (უფრო იაფი) ტექნოლოგიისა და უფრო მაღალი ხარისხის საქონელთა წარმოების განვითარება;ტექნიკური პროგრესი.

დისკრიმინაცია ადამიანისეული კაპიტალის სფეროში (human-capital discriminati-on)-ზანგებისათვის (ან სხვა უმცირესობებისათვის), თეთრებისათვის ხელმისაწვდომი განათლებისა და კვალიფიკაციის უფლების ჩამორთმევა.

დისკრიმინაცია პროფესიის არჩევისას (occupational discrimination)-თვითნებური შეზღუდვები, რომლებიც ზანგებს (ან სხვა უმცირესობებს) ან ქალებს გზას უღობავს უფრო სასურველი ან უფრო მაღალანაზღაურებადი პროფესიისაკენ.

დისკრიმინაცია სამუშაოზე დაქირავებისას (emploument discrimination)-უპირატესობის მინიჭება თეთრებისათვის,სამუშაოზე დაქირავებისას,შავკანიანებთან (ან სხვა უმცირესობებთან) შედარებით და სამუშაოდან პირველრიგოვანი განთავისუფლება შავკანიანებისა, თეთრკანიანებთან შედარებით.

დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში (wage discrimination)- ზანგებისათვის (ან სხვა უმცირესობებისათვის) უფრო დაბალი ხელფასის დაწესება ერთსაირი სამუშაოსათვის, თეთრკანიანებთან შედარებით.

დისკრიმინაციული განთავისუფლება (discriminationary discharge) -იმ მუშათა განთავისუფლება,რომლებიც პროფკავშირების შექმნის მომხრე არიან.

დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა (discriminationary fiscal policy)-კონგრესის მიერ გადასახდების (საგადასახადო განაკვეთების) და სამთავრობო ხარჯების მოცულობის (საქონელთა და მომსახურების ხარჯების და ტრანსფერტულ გადასახდელთა პროგრამების) წინასწარმოფიქრეული შეცვლა,არაინფლაციური წეპ-ის წარმოების უსრულველყოფისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით.

დიფერენცირებული ოლიგოპოლია (differentiated oligopoly)-ოლიგოპოლია, რომელშიც ფირმები დიფერენცირებულ საქონელს აწარმოებენ.

დიფერენცირებული საქონელი (differentiated product)-პროდუქტი, რომელიც ფიზიკური ან სხვა პარამეტრებით განსხვავდება სხვა ფირმების ანალოგიური პროდუქტებისაგან;პროლუქტი,რომელიც ჰგავს მაგრამ სხვა პროდუქტების იდენტური არაა,და მაშასადამე,სრული შემცველელი არაა;პროდუქტი,რომელსაც მყიდველები ამჯობინებენ ერთი გამყიდველისაგან შეიძინონ,მიუხედავად იმისა ყველას ფასი ერთნაირია.

დიფერენციული ხელფასი (wage differential)-ვანსხვავება ერთი მუშის ან მუშათა ჯგუფის მიერ მიღებულ ხელფასსა და სხვა მუშების ან მუშათა სხვა ჯგუფების მიერ მიღებულ ხელფასს შორის.

„დიუპონის“ ცელოფანის საქმე“(Du Pont cellophane case)-კომპანია დიუპონის საწინააღმდეგოდ აღძრული საქმეანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევის შესახებ,რომლის მიხედვითაც აშშ უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა (1956 წ.), რომ, მართალია კომპანია “დიუპონი“(და ერთი ლიცენზიანტი) მონოპოლიას ფლობს ცელოფანის გასაღების ვიწროდ შეზღუდულ ბაზარზე,მაგრამ,მან მომნოპოლიზება არ გაუკეთა მსებუქი,შესაფუთი მასალების უფრო ფართო ბაზარს,მაშასადამე,უდანაშაულოა შერმანის კანონის დარღვევაში.

დოლარის გაუფასურება (deprecation of the dollar)-დოლარის კურსის შემცირება სხვა ვალუტის კურსთან მიმართებაში,როდესაც დოლარისათვის ნაკლებ უცხოურ ვალუტას იძლევიან.მაგალითად,თუ ბრიტანული ფ.სტერლ. ფასი 2-დან 3-დოლარამდე გაიზარდა.მაშინ დოლარის კურსი შემცირდა.

„დოლარული ხმები“(dollar votes)-“ხმები“,რომლებსაც ფაქტობრივად მომხმარებლები და მეწარმეები აძლევენ სხვადასხვა სახის,შესაბამისად, სამომხმარებლო და წარმოებითი დანიშნულების საქონელთა საწარმოებლად, როდესაც ისინი მათ ბაზარზე იძენენ.

ერთობლივი ეროვნული პროდუქტი,ეეპ (gross national product, GNP)-ქვეყანაში წლის განმავლობაში წარმოებულ ყველა საქონელთა და მომსახურების საბაზრო ღირებულება.

ეეპ-ის დეფლიატორი (GNP deflator)-ყველა მზა საქონლისა და მომსახურების ფასების ინდექსი,რომელიც გამოიყენება ფულადი (ნომინალური) ეეპ-ის კორელაციისათვის,რეალური ეეპის გაზომვის მიზნით.

ეეპ-ის განსაზღვრისადმი შემოსულობების ანუ შემოსავლების მიხედვით მიდგომა (income approach)-ეეპ-ის გაზომვის მეთოდი ყველა შემოსავლის შეჯამების გზით,რომელიც შექმნილია მზა საქონელთა და მომსახურებათა წარმოებაში.

ეეპ-ის განსაზღვრისადმი წარმოების,ანუ დანახარჯების მიხედვით მიდგომა (expenditures approach)-ეეპ-ის გაზომვის მეთოდი საქონელთა და მომსახურების წარმოებაზე გაწეულ ყველა დანახარჯთა შეჯამებით.

ეეპ-ის სიდიდის ჩამორჩენა (GNP gar)-პოტენციურ რეალურ ეეპ-ს მინუს ფაქტობრივი.რეალური ეეპ-ი

ერთობლივი მიწოდება (agregate supply. AS)-ცხრილი ანუ მრუდი,რომელიც გვიჩვენებს საქონელთა და მომსახურების საერთო რაოდენობას,რომელიც შეიძლება მიეწოდოს (წარმოებულიქნას) ფასების სხვადასხვა დონის პირობებში.

ერთობლივი მოთხოვნა (aggregate demand AD)-მაკროეკონომიკური მოდელი.რომელშიც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მაჩვენებლები გამოიყენებიან ფასების დონისა და რეალური წმინდა ეროვნული პროდუქტის განსაზღვრისა და ახსნისათვის.

ერთობლივი ხარჯები (aggregate expenditures)-გრაფიკი ან მრუდი,რომელიც გვიჩვენებს საქონელთა და მომსახურების რა რაოდენობაზე შეიძლება წარდგენილ იქნას მოთხოვნა (ან მათი რა მოცულობა შეიძლება შეძენილიქნას) ფასების სხვადასხვა დონის პირობებში.

ევროპის საერთო ბაზარი, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (European Common Market.European Economic Community)-13 ევროპული ქვეყნის ასოციაცია,რომელიც 1958 წ.შეიქმნა ვაჭრობაში საბაჟო ტარიფებისა და საიმპორტო ქვოტების თანდათანობითი გაუქმების,მის წევრებს შორის მესამე ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საერთო ტარიფების დაწესების.ასოციაციის ფარგლებში სამუშაო ძალის და კაპიტალების შემდგომი თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის.შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა პრინციპების შემუშავების მიზნით.

ელასტიური მიწოდება (elastic supply)-მიწოდება,რომლისთვისაც ელასტიურობის კოეფიციენტი ერთზე მეტია;ხოლო მიწოდების სიდიდის ცვლილების პროცენტი საქონლის ფასის ცვლილების პროცენტზე მეტია.

ელასტიური მოთხოვნა (elastic demand)-მოთხოვნა,რომლისთვისაც ელასტიურობის კოეფიციენტი ერთზე მეტია;მოთხოვნის სიდიდის ცვლილების პროცენტი მეტია საქონლის ფასის ცვლილების პროცენტზე.

ელასტიურობის კოეფიციენტი (elasticity coeficient)-პროდუქციის ფასების,და შესაბამისად,ფერმერთა შემოსავლების მკვეთრი წლიური მერყეობები.

ელასტიურობის ფორმულა (elasticity fopmula)-მოთხოვნის (მიწოდების) საფასო ელასტიურობა ტოლია:

მოთხოვნილი (მიწოდებული) პროდუქციის რაოდენობის პროცენტული ცვლილება

ფასის პროცენტული ცვლილება

რაც უდრის:

მოთხოვნილი (მიწოდებული) პროდუქციის რაოდენობისცვლილება	ფასების ცვლილება
მოთხოვნილი (მიწოდებული) პროდუქციის თავდაპირველი რაოდ.	თავდაპირველი ფასი

ეკონომიკა დაქვეითებადი საქმიანი აქტივობით (declinind economy)-ეკონომიკა,რომელშიც კერძო საშინაო ინვესტიციების წმინდა მოცულობა ნულზე ნაკლებია (კერძო საშინაო ინვესტიციათა მთლიანი მოცულობა საამორტიზაციო ანარიცხების საერთო თანხაზე ნაკლებია).

ეკონომიკური ანალიზი (economic analisys)-ეკონომიკურ კანონზომიერებათა გამოყვანა ეკონომიკური სინამდვილის შესაბამისი ფაქტებიდან.

ეკონომიკსი,ეკონომიკური მეცნიერება (Economics)-საზოგადოებრივი მეცნიერება ეკონომიკური რესურსების გამოყენების შესახებ,საზოგადოების განუსაზღვრელი მატერიალური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით.

ეკონომიკური დანახარჯები (economic costs)-იხ.ფარული დანახარჯები

ეკონომიკური ეფექტიანობა (economic eficiency)-შეფარდება იშვიათი რესურსების დანახარჯებსა და მათი გამოყენების შედეგად წარმოებულ საქონელთა და მომსახურების მოცულობას შორის;განსაზღვრული ღირებულების საქონელთა წარმოება რესურსების უმცირესი დანახარჯებით;საქონლისა და მომსახურების წარმოების უდიდესი მოცულობის მიღწევა განსაზღვრული ღირებულების რესურსების გამოყენებით.

ეკონომიკური ზრდა (economic growth)-1) წარმოებით სიმძლავრეთა გრაფიკზე (მრუდზე) ნაჩვენები გადიდება წარმოების გამოყენებული ფაქტორების რაოდენობის ზრდის ან ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის შედეგად;2) პროდუქციის რეალური მოცულობის (ეეპ),ან ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის რეალური მოცულობის გადიდება.

ეკონომიკური თეორია (economic theory)-ეკონომიკური სინამდვილის შესაბამისი კანონზომიერებების გამოყვანა;ეკონომიკური პრინციპი.

ეკონომიკური მოგება (economic profit)-ფირმის საერთო შემოსავალს მინუს მთელი მისი ფარული ხარჯები;ტერმინების "წმინდა მოგება"და "ზემოგება"-სინონიმი.

ეკონომიკური მოდელი (economic model)-სინამდვილის გამარტივებული სურათი.

ეკონომიკური ინტეგრაცია (economic integration)-თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობებს შორის და მათი სრული ან

ნაწილობრივი უსიფიკაცია:საგაჭრო ბარიერების ლიკვიდაცია ამ ქვეყნებს შორის;ყოველი ქვეყნის [illegible] დაახლოება ერთი დიდი (საერთო) ბაზრის შექმნის მიზნით.

ეკონომიკური პოლიტიკა (economic policy)-მოქმედების კურსი,რომლის მიზანია პრობლემის კორექტირება ან მისი წარმოშობის თავიდან აცილება.

ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთება (policy economics)-პოლიტიკის ფორმულირება, რომელიც ეკონომიკაში სასურველი შედეგების მიღწევის, ან არასასურველი მოვლენების აღმოცენების შეფერხების მიზანი გახდა.

ეკონომიკური პრინციპი, კანონი (economic principle, law)-ინდივიდებისა და ინსტიტუტების ეკონომიკური ქცევის მოტივაციისა და პრაქტიკის განზოგადება.

ეკონომიკური რეგულირება (economic regulation)-იხ. დარგობრივი რეგულირება.

ეკონომიკური რენტა (economic rent)-მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების საფასური,რომელთა გამოყენება მუდმივია (ე.ი."საკუთ-ბით არაელასტიურია").

ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის დილემა (stabilization policy dilemma)-საკრედიტო-ფულადი და ბიუჯეტური ბერკეტების გამოყენება უმუშევრობის დონის შესამცირებლად,ადიდებს ინფლაციის დონეს,ხოლო ამავე ბერკეტების გამოყენება ინფლაციის შესამცირებლად,ადიდებს უმუშევრობის დონეს.

ეკონომიკური ტრედუნიონიზმი (business unionism)-კონცეფცია ,რომლის თანახმად კროუკაეშირი მოწოდებულია შეზღუდოს თავისი საქმიანობა ისეთი პარქტიკული და მოკლეევადიანი ამოცანებით,როგორიცაა ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის,სამუშაო დროის შემცირებისათვის,შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის,მაგრამ თავის წინაშე არ უნდა დასახოს ისეთი ხანგრძლივევადიანი და იდეალისტური მიზნები,როგორიცაა კაპიტალისტური სისტემის შეცვლა.

ეკონომიკური ციკლი (business cycle)-ეკონომიკური აქტიურობის დონეში რიგი წლების განმავლობაში განმეორებადი აღმავლობები და დაქვეითებები.

ეკონომიკური წინასწარმეტყველება (economic perspective)-ინდივიდებისა და ინსტიტუტების უნარი ქიიღონ რაციონალური ან მიზანშეწონილი გადაწყვეტილებები,რომლებიც სარგებლობებისა და დანახარჯების გათვალისწინებას ემყარება,რაც შეიძლება მათი მოქმედების შედეგი აღმოჩნდეს.

ერთეული (ცალკეული) ელასტიურობა (unitary elasticity)-შემთხვევა, როდესაც ელასტიურობის კოეფიციენტი ერთის ტოლია;მოთხოვნის ან მიწოდების შეცვლის პროცენტის ტოლია.

ერთობლივი დანახარჯების მრუდი (agregate-expenditures curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს დანახარჯების საერთო მოცულობებს მზა საქონელთა და მომსახურების წარმოებაზე,რეალური წეპ-ის სხვადასხვა დონის პირობებში.

ერთობლივი დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის შედარებისმეთოდი (national output approach)-წონასწორობითი წეპ-ის გამოვლენა რეალური წეპ-ის მოცულობის განსაზღვრის გზით,რომლის დროსაც ერთობლივი ხარჯები ეროვნული პროდუქტის ტოლია.

ერთობლივი მიწოდების არასაფასო ფაქტორები (nonprice-level-determinants of aggregate supply)-ისეთი ფაქტორები,როგორიცაა რესურსების ფასები,მწარმოებლურობა და ეკონომიკურ-სამართლებრივი ბაზა,რომელთა შეცვლისას სწარმოებს ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილება.

ერთობლივი მოთხოვნის არასაფასო ფაქტორები (nonprice-level-determinants of aggregate demand)-ისეთი ფაქტორები,როგორიცაა მოხმარების,საინვესტიციო დანახარჯები,სამთავრობო ხარჯები და წმინდა ექსპორტის უზრუნველყოფის ხარჯები,რომელთა შეცვლისას სწარმოებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება.

ერთპიროვნული ფლობა (sole propritership)-არაკოორპორირებული ფირმა,რომელსაც ფლობს და წარმართავს ერთი პირი.

ეროვნულ ანგარიშთა შედგენა (national income accounting)-ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება;წარმოების საერთო მოცულობის და სხვა სტატისტიკურ მაჩვენებელთა გაზომვის (შეფასების) მეთოდი ქვეყნისათვის მთლიანად.

ეროვნული ბანკი (National bank)-კომერციული ბანკი,რომელსაც აშშ მთავრობის ჩარტერი გააჩნია.

ეროვნული ეკონომიკის მიზანი (domestic internal economic goal)-სრული დასაქმება უმნიშვნელო ან ნულოვანი ინფლაციის პირობებში.

ეროვნული კანონი შრომით ურთიერთობათა შესახებ (National Labor Relations Act)-ვაგნერის 1935 წ.კანონი.

ეროვნული შემოსავალი ეშ (National income NI)-საერთო შემოსავალი,რომელიც მიღებულია რესურსების მიმწოდებლების მიერ,ეეპ-ის წარმოებაში მათი წელილისათვის;ტოლია ეეპ-ისა,არაშემოსავლიანი ანარიცხების გამოკლებით.

ეროვნული წარმოების მოცულობა (national output)-წმინდა (ან მთლიანი) ეროვნული პროდუქტი;ქვეყანაში წარმოებულ მზა საქონელთა და მომსახურების საერთო რაოდენობა.

ექსპორტი (exports)-დანახარჯები ქვეყანაში წარმოებულ საქონელთა და მომსახურების შესყიდვაზე,რომელსაც ახორციელებენ სხვა ქვეყნების ცალკეული პირები,ფირმები და მთავრობები.

ექსპორტისა და იმპორტის დაფინანსება (financing exports and imports)-ექსპორტიორებისა და იმპორტიორების მიერ უცხოური საგალუტო ბაზრების გამოყენება ანაზღაურების მისაღებად ან საქონლისა და მომსახურების გადასახდელების განსახორციელებლად.რომლებსაც ისინი ყიდიან და ყიდულობენ სხვა ქვეყნებში.

ექსპორტის ოქროს წერტილი (gold export point)-უცხოური ვალუტის კურსი,რომლის ზევითაც (ოქროს საერთაშორისო სტანდარტის სისტემაში) მას არ იძენდნენ,არამედ ოქროს სხვა ქვეყანაში აგზავნიდნენ (ექსპორტში უშვებდნენ) გადასახადების გასასტუმრებლად.

ექსპორტის წმინდა მოცულობა (net exports)-ექსპორტს მინუს იმპორტი.

ექსპორტის წმინდა მოცულობის ეფექტი (net export effect)-წარმოდგენა იმის შესახებ,რომ პოლიტიკის (ფისკალურის) ცვლილების ზეიმქმედება გაძლიერდება (შესუსტდება) ექსპორტის წმინდა მოცულობის შემდგომი შემცირების შედეგად.მაგალითად,"ძვირი"("იაფი") ფულის პოლიტიკა გაზრდის (შეამცირებს) სარგებლის საშინაო განაკვეთებს და ამით გაზრდის (შეამცირებს) უცხოურ მოთხოვნას დოლარებზე.ამის შედეგად.დოლარის კურსი გაიზრდება (შემცირდება),რაც გამოიწვევს ამერიკული ექსპორტის წმინდა მოცულობის შემცირებას (გადიდებას).

ვაგნერის 1935 წ.კანონი (Wagner Act)-ფედერალური კანონი,რომელმაც დააფუძნა შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველო,პროფკავშირებს მეწარმეებთან კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების წარმოებისა და ორგანიზაციის უფლების გარანტია მისცა,განსაზღვრა და აკრძალა რიგი არაპატიოსანი ქმედებანი შრომით ურთიერთობებში.

ვადიანი ანაბარი (time deposit)-სარგებლის მომტანი ანაბარი დეპოზიტურ დაწესებულებაში,რომლის ამოღება შეანაბრეს შეუძლია უდანაკარგოდ,დადგენილ ვადაში ან მისი გასვლის შემდეგ,ან დროის განსაზღვრული პერიოდის ბოლოს.

ვალუტის მართვადი მცურავი კურსი (floating exange rate)-ვალუტის ისეთი კურსი,რომლის რეგულირებადი ცვლილება (ცურვა) საგადასახდელო ბალანსის სტაბილური დეფიციტებისა და აქტიური სალდოს აღმოფხვრის საშუალებას იძლევა და რომელიც კონტროლდება (რეგულირდება) მისი დღეღამური მერყეობის შემცირების მიზნით.

ვაჭრობის თავისუფლება(free trade)-ხელოვნური ბარიერების (მთავრობის მიერ დაწესებული) არსებობა სხვადასხვა ქვეყნის ცალკეულ პირებსა და ფირმებს შორის.

ვაჭრობის პირობები (terms of trade)-ერთი საქონლის გარკვეული ნაწილის მეორე საქონლის გარკვეულ ნაწილზე გაცვლის თანაფარდობა:საქონლის ან მომსახურების ფასი;ერთი საქონლის (მომსახურების) რაოდენობა,რო-

მელიც უნდა მისცეს.მეორე საქონლის (ან მომსახურების) ერთეულის შესაძენად.

ვერტიკალური გაერთიანება (vertical combination)-საწარმოთა ჯგუფი,რომ-ლებიც მსა პროდუქტის წარმოების სხვადასხვა სტადიებს ახორციელებენ და ერთი ფირმის საკუთრებას წარმოადგენენ.

ვერტიკალური შერწყმა (vertical merger)-ორი ან მეტი ფირმის შერწყმა,ერთ ფირმად,რომლებიც მსა პროდუქტის წარმოების სხვადასხვა სტადიებს ახორციელე-ბენ.

ვეტო ბიუჯეტური ხარჯების მუხლებზე (line-item veto)-აშშ პრეზიდენტისათვის,დანახარჯების ცალკეული მუხლების გაუქმების უფლების მიცემა კონგრესის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საგასაყლო ნაწილის დამტკიცებისას.

ზარალის მინიმიზების შემთხვევა (loss-minimizing case)- გარემოებე-ბი,რომლებიც იწვევენ ზარალს,რომლის სიდიდე საერთო მუდმივ ხარჯებსე ნაკლებია,როდესაც კონკურენტი ფირმა აწარმოებს პროდუქციას, რომელიც საერთო მოგების მაქსიმიზებას უზრუნველყოფს (ან მინიმალურ მოგებას),და როდესაც ფასი,რომლითაც ფირმას შეუძლია საკუთარი პროდუქციის გაყიდვა,საშუალო საერთო ხარჯებსე ნაკლებია,მაგრამ საშუალო ცვალებად ხარჯებზე მეტია.

ზეპირი კონტაქტების მექანიზმი (voice mechanism)-მეწარმეებთან მუშათა ურთიერთობის ფორმა პროფკავშირის შუამავლობით,შრომის პირობების გაუმჯობე-სებისა და საჩივრების გადაჭრის მიზნით.

ზღვრული ამონაგები,ზღვრული შემოსავალი (marginal revenue)-ფირმის ამონაგების საერთო სიდიდის ცვლილება მის მიერ წარმოებული პროდუქტის ერთი დამატებითი ერთეულის გაყიდვის შედეგად;ტოლია ამონა-გების საერთო სიდიდის ცვლილება,გაყოფილი გაყიდული პროდუქტის რაოდე-ნობის ცვლილებაზე (რომელზედაც წარდგენილია მოთხოვნა).

ზღვრული პროდუქტი (marginal product)-დამატებითი პროდუქტი,რო-მელიც წარმოებულია რესურსის დამატებითი ერთეულის გამოყენებით (ყველა სხვა გამოყენებული რესურსის რაოდენობა უცვლელი რჩება);ტოლია ამონაგე-ბის საერთო სიდიდე,გაყოფილი გამოყენებული რესურსის რაოდენობის ცვლილებაზე.

ზღვრული პროდუქტის (ფულად გამოხატულებაში) და რე-სურსის წარმოების ზღვრული ხარჯების ტოლობის წესი (marginal revenue product = marginal resourse cost MRP = MRC rule)-წესი,რომლის თანახმად ფირმამ,ეკონომიკური მოგების მაქსიმიზებისთვის (ან ზარალის მინიმიზებისთვის) უნდა გამოიყენოს რესურსის ისეთი რაოდენობა,რომლის დროსაც ზღვრული პროდუქტი ფულად გამოხატულებაში,ამ რესურსის გამოყე-ნების ზღვრული ხარჯების ტოლია.

ზღვრული სარგებლიანობა (marginal utility)-დამატებითი სარგებლიანობა, რომელსაც მომხმარებელი ამოიღებს საქონლის ან მომსახურების ერთი დამატებითი ერთეულისაგან;ტოლია სარგებლიანობის საერთო რაოდენობის ცვლილება გაყოფილი მოხმარების სიდიდის ცვლილებაზე.

ზღვრული შემოსავლის ზღვრულ ხარჯებთან შედარების პრინციპი (marginal-revenue_marginal-cost approach)-პროდუქციის მოცულობის განსაზღვრის პრინციპი,პროდუქციის დამატებითი ერთეულისაგან ზღვრული ამონაგების შედარების გზით,მათი წარმოების ზღვრულ დანახარჯებთან.

ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების ტოლობის წესი (marginal-revenue = marginal-cost rule,MR = MC rule)-წესი,რომლის თანახმად ფირმას მაქსიმუმამდე აჰყავს თავისი ეკონომიკური მოგება (ან მინიმუმამდე ზარალი),პროდუქციის ისეთ პირობებში წარმოებით,როდესაც ზღვრული შემოსავალი ზღვრული ხარჯების ტოლია,მაგრამ,ისე,რომ,ფასი რომლითაც იგი გაყიდის თავის პროდუქციას,საშუალო ცვალებადი ხარჯების ტოლია ან აჭარბებს მას.

ზღვრული ხარჯები (marginal cost)-პროდუქტის დამატებითი ერთეულის წარმოების ხარჯების ნამატი;ტოლია საერთო ხარჯების ცვლილებები გაყოფილი პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე (ხოლო მოკლევადიან პერიოდში სრული ცვალებადი ხარჯების ცვლილებები,გაყოფილი პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე).

თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსები (freely floating exsange rates)-სავალუტო კურსები,რომლებიც არ მოწესდება,და მაშასადამე,შეიძლება ამაღლდეს ან შეეცირდეს და რომლებიც განისაზღვრება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნით და მისი მიწოდებით.

თანასწორობისა (შემოსავლების) და ეფექტიანობის (ეკონომიკის) თანაფარდობა (equality vs.efficiency tradeoff)-კონცეფცია,რომლის თანახმად შემოსავლების უთანასწორობის შეცირებას თან ახლავს ეკონომიკური ეფექტიანობის შეცირება,ან ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდება მოითხოვს შემოსავლების უთანაბრობის გადიდებას.

„იაფი ფულის პოლიტიკა“ (easy money policy)-მიმოქცევაში ფულის მასის გადიდების პოლიტიკა.

იმპორტი (imports)-ცალკეული პირების,ფირმებისა და მოცემული ქვეყნის მთავრობის ხარჯები საქონელთა და მომსახურების შეძენაზე,რომლებიც სხვა ქვეყნებშია წარმოებული.

იმპორტული გარიგება (import transaction)-საქონელთა ან მომსახურების შესყიდვა,რომელიც ამცირებს უცხოური ვალუტის რაოდენობას მოცემული ქვეყნის ცალკეულ პირებზე,ფირმებზე და მთავრობაზე.

იმპორტული ოქროს წერტილი (gold import point)-ოქროს საერთაშორისო სტანდარტის მოქმედების პირობებში უცხოური ვალუტის კურსი,რომლის ქვემოთ იგი არ შეიძინება,და ამ ქვეყანაში ყიდვისთვის აუცილებელია მასში ოქროს იმპორტირება.

იმპორტული ქვოტა (import quota)-ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნიდან შემოსატანი საქონლების რაოდენობრივი ლიმიტი დროის განსაზღვრულ პერიოდში.

იმპორტულ შესყიდვათა ეფექტი (foreign purchases effect)-უკუკავშირი ქვეყნის წმინდა ექსპორტსა და მასში არსებულ ფასების დონეს შორის, ასევე ფასების დონეს შორის სხვა ქვეყნებში.

ინდივიდუალური მოთხოვნა (individual demand)-საქონელსა და მომსახურებაზე ცალკეული მყიდველის მოთხოვნის მრუდი.

ინდუსტრიული სამრეწველო პოლიტიკა (Industrial policy)-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება მთავრობის უშუალო მონაწილეობითა და აქტიური როლით მრეწველობის სტრუქტურისა და ორგანიზაციის ფორმირებაში,ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით.

ინდუქცია (induction)-დასკვნის მეთოდი,რომელიც წარმოადგენს მოძრაობის ფაქტებიდან განზოგადოებისაკენ.

ინექცია,შეშხაპუნება (inection)-დამატებითი სახსრები,რომლებიც"შემოსაელები-დანახარჯები"ნაკადში შეიყვანება:ინვესტიციები,საქონელთა და მომსახურების სამთავრობო შესყიდვები,ექსპორტი.

ინვესტიციათა გრაფიკი (investment schedule)-გრაფიკი,რომელიც გვიჩვენებს ფირმების მიერ დაგეგმილი ინვესტიციების მოცულობას მათი შემოსაელების ან წეპ-ის სხვადასხვა დონის დროს.

ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში (human capital investment)-ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიიღება მუშათა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისთვის (მათი კვალიფიკაციისა და უნარის ამაღლების გზით); დანახარჯები მუშათა განათლების,ჯანმრთელობის ან საბუშაო ძალის მობილურობის გადიდებაზე.

ინვესტიციების მრუდი (investment curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს ფირმების მიერ დაგეგმილ ინვესტიციებს (ორდინატთა ღერძზე) შემოსაელის (წეპ) სხვადასხვა დონის პირობებში (აბსცისათა ღერძზე).

ინვესტიციური მოთხოვნის გრაფიკი (investment-demand curve)-გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს სარგებლის განაკვეთისა და ინვესტიციათა მოცულობის დინამიკას სარგებლის სხვადასხვა განაკვეთების დროს.

ინვესტიციური საქონლები,წარმოების საშუალებები (capital goods)-იხ.კაპიტალი.

ინვესტიციათა ფაქტორები რომლებიც დაკავშირებული არაა სარგებელთან (noninterest determinants of investment)-ყველა ფაქტორი,გარდა სარგებლის განაკვეთისა,რომლებიც განსაზღვრავს საინვესტიციო ხარჯების დონეს.

ინფლაცია (inflation)-ფასების საერთო (საშუალო) დონის ამაღლება ეკონომიკაში.

ინფლაციური გარღვევა (inflationary gap)-სიდიდე,რომლითაც ერთობლივი დანახარჯების მრუდი უნდა გადაადგილდეს ქვევით,რათა წეგ-ი შეესაბამებოდეს არაინფლაციური წეგ-ის დონეს,რომელიც სრული დასაქმების დროს იწარმოება.

ინფლაციური მოლოდინი (inflationary expectations)-მუშების,ფირმებისა და მომხმარებელთა ეარაუდი იმის შესახებ,რომ მომავალში წარმოიშობა მნიშვნელოვანი ინფლაცია.

ინფრასტრუქტურა (infrastructure)-მთელი ეკონომიკისთვის ეს კაპიტალური ნაგებობებია,რომელთა გამოყენება ფირმების მიერ ჩვეულებრივ უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ (აეტომაგისტრალები,ხიდები,საქალაქო სატრანსპორტო სისტემები,წყალგამწმენდი ნაგებობები,წყალმომარაგების მუნიციპალური სისტემები,აეროპორტები). ფირმისათვის ეს,სამსახურები და ნაგებობებია, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის საწარმოებლად,რომელთა შექმნა საკუთარი ძალებით მას ძალზე ძვირი დაუჯდებოდა და ამიტომ უზრუნველყოფა სახელმწიფოს ან სხვა ფირმების მიერ (წყალმომარაგება,ელექტროენერგია, წარმოებრივი ნარჩენების,ტვირთების გადატანა,მეცნიერულ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები,საფინანსო და საბან-კო მომსახურება).

„იუ. ს.სტილის საქმე“ (U. S. Steel case)-ფედერალური მთავრობის მიერ კორპორაცია“იუ.ს.სტილ“-ის წინააღმდეგ აღძრული ანტიტრესტული საქმე,რომლის მიხედვითაც სასამართლოებმა (1920 წ.) დადგინეს,რომ კანონსაწინააღმდეგოა მხოლოდ ეაჭრობის ღაუსაბუთებელი შეზღუდვა,ხოლო ფირმის სიდიდე და მონოპოლიური ძალაუფლების ფლობა ანტიტრესტული კანონების დარღვევა არაა.

კანონი სრული დასაქმებისა და ეკონომიკის დაბალანსებული ზრდის შესახებ (1978 წ.) (Full Employment and Balanced Growth Act of 1978)-ფედერალური კანონი,რომელიც ავსებს დასაქმების შესახებ 1946 წ.კანონს და მთავრობას აეალდებულებს ეკონომიკისთვის,დააგეგმოს ხუთწლიანი მიზნები და შეიმუშაოს ამ მიზანთა მიღწევის გეგმები

კანონი გადასახადების შესახებ (1981 წ),ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით (Economic Recovery Tax Act of 1981 ERTA)-ფედერალური კანონი,რომელმაც შეამცირა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები, კაპიტალის ნაგატის გადასახადის განაკვეთები,შეამცირა ძირითადი ფონდების ჩამოწერის

ვადები. ნორმატიული კადები,შეამცირა კორპორაციათა მოგების გადასახადის განაკეთები და გაითვალისწინა გადასახადის გადამხდელთა"მცოცავი დაჯგუფების"კორექტირება,ინფლაციის გათვალისწინებით.

კანონი შრომის უფლების შესახებ (Right-to-work law)-ოც შტატში მიღებული კანონმდებლობა,რომელიც ამ შტატებში მუშებს უკრძალავს პროფკავშირში შესვლას,ეათთვის მოცემულ საწარმოში სამუშაოს შენარჩუნების სახით.

კანონიერი გადახდის საშუალება (legaql tender)-ყველა საშუალებები, რომლებიც მთავრობის დეკრეტით უნდა მიღებული იქნას ვალის გადასახდელად.

კანონით დადგენილი რეზერვი, დეპოზიტი (legal reserve, deposit)-ანაბრის მინიმალური სიდიდე,რომელიც უნდა ჰქონდეს დეპოზიტურ დაწესებულებას თავისი ოკრუგის ფედერალურ სარეზერვო ბანკში,ან ნაღდი ფულის სახით.

კაპიტალი (capital)-ადამიანის მიერ შექმნილი რესურსები რომლებიც საქონელთა და მომსახურების საწარმოებლად გამოიყენება;საქონლები,რომლებიც უშუალოდ არ აკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნილებას.ინვესტიციური საქონლები,წარმოების საშუალებები.

კაპიტალის გატანა (capital outflow)-ქვეყნის ფირმებისა და მოქალაქეების მიერ გაწეული ხარჯების ჯამი,რეალური აქტივებისა და ფასიანი ქაღალდების შესაძენად სხვა ქვეყნებში.

კაპიტალის გაქცევა (capital flight)-კაპიტალის გადატანა განვითარებადი ქვეყნებიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მისი ექსპროპრიაციის, გადასახადიო მაღალი დაბეგვრის,ინფლაციის თავიდან ასაცილებლად ან მისი ინვესტირების უფრო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

კაპიტალის დაგროვება ქვეყნის შიგნით (domestic capital formation)-ქვეყნის კაპიტალების მარაგების შევსება მასში წარმოებული პროდუქციის ნაწილის დაგროვების გზით.

კაპიტალთა მოძრაობის ანგარიში (capital account)-ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის განყოფილება,რომელშიც ფიქსირდება კაპიტალის მოდენა და გადენა.

კაპიტალების მოძრაობის ბალანსი (balance of current account)-კაპიტალის მოდენა ქვეყანაში,მისგან კაპიტალის გატანის გამოქვითვით.

კაპიტალის მოდენა (capital inflow)-ხარჯების ჯამი,რომელსაც ეწევა სხვა ქვეყნების მაცხოვრებლები მოცემული ქვეყნის მაცხოვრებლებისაგან ნივთობრივი და ფინანსური კაპიტალის შესაძენად.

კაპიტალის წმინდა გადადენა (net capital movement)-განსხვავება რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებსა და სესხებს შორის,რომელსაც ახორციელებენ და სთავაზობენ ერთი ქვეყნის ცალკეული პირები და ფირმები მსოფლიოს სხვა ქვეყნებს,და სხვა ქვეყნების ცალკეული პირებისა და ფირმების ინვესტიციებსა და სესხებს შორის მოცემულ ქვეყანაში;კაპიტალის მოდენას მინუს კაპიტალის გატანა.

კაპიტალდამზოგავი ტექნიკური პროგრესი (capital-saving technological advance)-ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა, რომელიც პროდუქტის დიდი რაოდენობის წარმოების საშუალებას იძლევა კაპიტალის მოცემული რაოდენობის დროს (ან პროდუქტის იმავე რაოდენობას კაპიტალის ნაკლები რაოდენობის დროს).

კაპიტალტევადი საქონელი (capital-intensive commodity)-პროდუქტი, რომლის წარმოებაში გამოიყენება შედარებით დიდი რაოდენობის საქონელი.

კაპიტალტევადი ტექნიკური პროგრესი (capital-using technological advance)-ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა,რომელიც დიდი რაოდენობის კაპიტალის გამოყენებას მოითხოვს.

კარტელი (cartel)-ფორმალური,წერილობითი ან ზეპირი სახის შეთანხმება ფირმებს შორის პროდუქტის ფასის,ინდივიდუალურ ფირმათა წარმოების მოცულობის ან პროდუქციის ბაზრის გეოგრაფიული განაწილების შესახებ.

კეინსელობა (Keynesianism)-ამერიკელ ეკონომისტთა უმეტესობის ფილოსოფიური,იდეოლოგიური და ანალიტიკური შეხედულებები,ასევე დასაქმების თეორიები და ეკონომიკის სტაბილიზაციის პრაქტიკული გზები,რომლებსაც ისინი იზიარებენ.

კეინსური ეკონომიკური თეორია (Keynesian economics)-მაკროეკონომიკური კონცეფციები,რომლებიც მიღებულია ეკონომისტთა უმრავლესობის (მაგრამ არა ყველას) მიერ,რომელთა თანახმად კაპიტალისტური ეკონომიკა თავისთავად არ უზრუნველყოფს საკუთარი რესურსების სრულ გამოყენებას და მათი სრული დასაქმების მისაღწევად შეიძლება გამოვიყენოთ ფისკალური და საკრედიტო ფულადი პოლიტიკა.

კეინსური მონაკვეთი (Keynesian range)-ერთობლივი მიწოდების მრუდის ჰორიზონტალური მონაკვეთი,რომელზედაც ფასის დონე უცვლელი რჩება,მაშინ როდესაც,რეალური ეროვნული პროდუქტი იცვლება.

კერძო საკუთრება (private property)-კერძო პირთა და ფირმების უფლება,შეიძინონ,ფლობდნენ,კონტროლი გაუწიონ,გამოიყენონ,გაყიდონ და ანდერძით დატოვონ მიწა,კაპიტალი და სხვა აქტივები.

კერძო სექტორი (private sector)-საოჯახო მეურნეობათა და ფირმების ერთობლიობა ქვეყანაში.

კერძო წონასწორობის ანალიზი (partial equilibrium analysis)-კონკრეტულ ბაზარზე წონასწორობითი ფასებისა და წარმოების წონასწორობითი მოცულობების ან დასაქმების დონეთა გამოკვლევა იმ დაშვებით,რომ ფასები,წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე ქვეყნის ყველა სხვა ბაზრებზე უცვლელი რჩება.

კერძოს თვისებების მთელზე გადატანის შეცდომა (fallacy of composition)-მცდარი დაშვება,რომლის თანახმადაც,ის რაც სწორია ინდივიდისთვის (კერძოსთვის),აუცილებლად სწორია ასევე ჯგუფისთ.ვისაც (მთელისთვის).

კვაზისაზოგადოებრივი ბანკი (quasi-public bank)-ბანკი,რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს,მაგრამ მთავრობა აკონტროლებს;თითოეული ფედერალური სარეზერვო ბანკი.

კვაზისაზოგადოებრივი,კვაზისახელმწიფო საქონელი (quasi-public good)-საქონელი ან მომსახურება,რომლებზედაც შეიძლება გავრცელდეს გამონაკლისის პრინციპი,მაგრამ,რომლებიც უზრუნველყოფენ გადადენის ისეთ დიდ სარგებლობებს,რომ მთავრობა წაახალისებს მათ წარმოებას რესურსების დეფიციტის წარმოშობის დაუშვებლობის მიზნით.

კლასიკური მონაკვეთი (Klassical range)-ერთობლივი მიწოდების მრუდის ვერტიკალური მონაკვეთი,რომელზედაც ეკონომიკა რესურსების სრული დასაქმებით ხასიათდება.

კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონი (law of diminishing marginal utility)-იმის კვალობაზე,თუ მომხმარებელი როგორ ადიდებს საქონლისა ან მომსახურების მოხმარებას,ყოველი დამატებითი ერთეული საქონლის ან მომსახურების ზღვრული სარგებლობა მცირდება.

კლებადი უკუგების კანონი (law of diminishing returns)-სიტუაცია,რომელსაც ცვალებადი რესურსის თანმიმდევრული თანაბარი ნამატები მუდმივ რესურსებს დაემატება მათი გამოყენების რაღაც გარკვეული დონის ზევით,ხოლო ცვალებადი რესურსის ზღვრული პროდუქტი მცირდება.

კლეიტონის 1914 წ.კანონი (Klayton Act)-ფედერალური ანტიტრესტული აქტი, რომელიც აძლიერებს შერმანის კანონის დებულებებს საქმიანობის,ფირმების მიერ მიღებული ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდების,უკანონოდ გამოცხადების გზით.

კოლექტიური ხმა (colective voice)-ფუნქცია,რომელსაც პროფკავშირი ასრულებს თავისი წევრების სახელით,როდესაც იგი ადმინისტრაციის წინაშე აყენებს მათ პრობლემებს,ადმინისტრაციას წარუდგენს მათ საჩივრებს და მისგან ამ პრობლემათა შესაბამისად გადაწყვეტასა და საჩივართა დაკმაყოფილებას აღწევს.

კონგლომერატული გაერთიანება (conglomerate combination)-საწარმოთა ჯგუფი,რომელიც ერთ ფირმას ეკუთვნის და სხვადასხვანაირი პროდუქტების

წარმოების ერთ ან მეტ სტადიას ახორციელებს (პროდუქტებისა,რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ).

კონგლომერატული შერწყმა (conglomerate merger)-ერთი დარგის ფირმის შერწყმა მეორე დარგის ფირმასთან (რომელიც არ წარმოადგენს არც მიმწოდებელს, არც კლიენტს და არც კონკურენტს).

კონცენტრაციის მაჩვენებელი (concentracion ratio)-ოთხი (ან სხვა რაოდენობის) უმსხვილესი გამყიდველის (ფირმის) წილი მოცემული დარგის გაყიდვათა საერთო მოცულობაში.

კონკურენტი საქონლები (competing goods)-ურთიერთშემცველელი საქონლები.

კონკურენტული დარგის მოკლევადიანი მიწოდების გრაფიკი (competitive industrus short-run supply curve)-წმინდა კონკურენტული დარგის ფირმათა მოკლეადიანი გრაფიკების შეთავსება;გრაფიკი რომელიც გვიჩვენებს პროდუქციის საერთო რაოდენობას,რომელსაც ერთი დარგის ფირმები მოკლეადიან პერიოდში მიაწვდიან გასაყიდად სხვადასხვა ფასებით.

კონკურენცია (competition)-ბაზარზე დიდი რაოდენობის დამოუკიდებელ მყიდველთა და გამყიდველთა არსებობა და მყიდველთა და გამყიდველთათვის ბაზარზე თავისუფალი გასელისა და დატოვების შესაძლებლობა.

კონტროლი უცხოურ ვალუტაზე(foreign exange control)-კონტროლი,რომელიც შეიძლება დააწესოს მთავრობამ მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა და ფირმათა მოთხოვნაზე უცხოურ ვალუტაზე და ვალუტის კურსებზე. საკუთარი საგარეო გადახახდელების შეზღუდვის მიზნით (საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის აღმოსაფხვრელად).

კონტროლი ხელფასსა და ფასებზე(wage-price controls)-პოლიტიკა ხელფასისა და ფასების სფეროში,რომელიც კანონმდებლური წესით ადგენს ხელფასისა და ფასების გადიდების მაქსიმალურად დასაშვებ სიდიდეს დროის რაიმე მონაკვეთში.

კონცეფცია,რომელიც რეკლამას კონკურენციის პოზიტიურ ფაქტორად აფასებს (procompetition view of advertisingb)-კონცეფცია,რომლის თანახმად, რეკლამა ფასდება,როგორც საქონელთა ურთიერთშეცვლადობის შესახებ მომხმარებელთა ინფორმირების საშუალება (ხოლო ასეთი ინფორმაცია ასუსტებს ფირმათა საბაზრო დიქტატს) და როგორც ბაზარზე ახალ ნაკეთობათა დანერგვის ხელშემწყობი მექანიზმი.

კომერციული ბანკი (commercial bank)-ფირმა,რომელსაც გააჩნია შტატის,მთავრობის ან ფედერალური მთავრობის ჩარტერი,საბანკო ოპერაციების ჩატარებაზე.

კომერციული ბანკების სისტემა (commercial banking system)-ყველა კომერციული ბანკისა და შემნახველ დაწესებულებათა ერთობლიობა.

კომპანიის ინიციატივით შექმნილი პროფკავშირი (company union)-მუშათა და მომსახურეთა ორგანიზაცია,რომელიც მეწარმის (კომპანიის) სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება და რომელიც არ იცავს მუშების ნამდვილ ინტერესს მეწარმესთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებისას.

კორპორაცია (corporation)-იურიდიული სუბიექტი (იურიდიული პირი), რომელსაც მიღებული აქვს შტატის ხელისუფალთა ან ფედერალური მთავრობის ჩარტერი და გამოცალკევებულია ინდივიდებისაგან,რომელთა საკუთრებასაც იგი შეადგენს.

კორპორაციათა მოგების გადასახდელი (corporate income tax)-კორპორაციათა წმინდა შემოსავლის (მოგების) გადასახდელი.

კორპორაციათა გაუნაწილებელი მოგება (undistributed corporate profits)-კორპორაციათა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ, რომლებიც განაწილებული არაა აქციონერებს შორის დივიდენდების ფორმით;კორპორაციათა და სხვა კერძო ფირმათა დანაზოგები.

კოუზის თეორემა (Coase theorem)-კონცეფცია,რომლის თანახმად თანამდევ ეფექტთა პრობლემები შეიძლება გადაიჭრას დაინტერესებულ მხარეებს შორის უსიტყვო შეთანხმებათა გზით.

კრედიტი (credit)-ჩანაწერი ბუღალტრულ ანგარიშში,რომელიც მოწმობს,რომ აქტივის ღირებულება (მაგალითად,უცხოური ვალუტის,რომელიც მოცემული ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაა) გაიზარდა.

ლაფერის მრუდი (Lafer curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს კავშირს საგადასახადო განაკვეთებსა და საგადასახადო შემოსულობებს შორის,რომელიც აელენს ისეთ საგადასახადო განაკვეთს (ნულოვანიდან 100%-იანამდე),რომლის დროსაც საგადასახადო შემოსულობები მაქსიმუმს აღწევენ.

ლეგალური იმიგრანტი (legal immigrant)-პირი,რომელიც ლეგალურად ჩამოდის ქვეყანაში.

ლეგალური კარტელის დახმარებით რეგულირების თეორია (legal cartel theory of regulation)-ჰიპოთეზა იმის შესახებ,რომ დარგებს თვითონ სურთ დაექვემდებარონ რეგულირებას,რამდენადაც ისინი მაშინ მიიღებენ დაკანონებული კარტელების შექმნის უფლებას,და იმას ცდილობენ, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკები ახორციელებდნენ ასეთ რეგულირებას კარტელებისადმი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის სანაცვლოდ.

ლენდრამ-გრიფინის 1959 წ.კანონი (Landrum_Griffin Act)-ფედერალური კანონი შრომით ურთიერთობებში ანგარიშებისა და დარღვევათა გახსნის შესახებ,რომელიც არეგულირებს პროფკავშირების არჩევნებსა და ფინანსურ საქმიანობას და მათი წევრების ზოგიერთი უფლებების გარანტიას იძლევა.

ლიდერობა ფასებში (price leadership)-ოლიგოპოლიის პირობებში ფირმების მიერ მათ წარმოებულ საქონელზე ფასების დაწესების არაოფიციალური

მეთოდი:ერთი ფირმა (ლიდერი) აცხადებს ფასების შეცვლას,ხოლო სხვა (რომლებიც ლიდერს მიჰყვებიან) ფირმები მაშინათვე აცხადებენ ფასების იდენტურ (ან დაახლოებით ასეთს) შეცვლას.

ლიკვიდობა (liquidity)-ფული ან სივთები,რომლებიც შეიძლება ადვილად და სწრაფად გადაიქცეს ფულად,უდანაკარგოდ ან მათი მსყიდველობითი უნარის უმნიშვნელო დანაკარგით.

ლიკვიდობის მჯობინებაზე დამყარებული სარგებლის თეორია (liquidity preference theory of interest)-თეორია,რომლის თანახმად,ლიკვიდობაზე მოთხოვნა (ფულის რაოდენობა,რომლის ფლობა სურთ ფინანსურ ფირმებს და საოჯახო მეურნეობებს) და ლიკვიდობის მიწოდება (არსებული ფულის რაოდენობა) განსაზღვრავს სარგებლის წონასწორობით განაკვეთს.

ლორენცის მრუდი (Lorehz curve)-მრუდი,რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ეკონომიკაში შემოსავლის განაწილების საილუსტრაციოდ;როდესაც მოცემულ მრუდს ამ მიზნით იყენებენ,ოჯახების ჯამობრივი პროცენტი (შემოსავლების მიმღებთა) იზომება აბსცისთა ღერძზე,ხოლო შემოსავლის ჯამობრივი პროცენტი-ორდინატთა ღერძზე.

მადეზინტეგრირებელი ძალები (deglomerative forces)-წარმოებისა და გასაღების ხარჯების გადიდება ქალაქების ზრდისა და ფირმათა და დარგების,ერთი რაიონის ფარგლებში კონცენტრაციის შედეგად. მარეგულირებელი უწყება (თკინრტლუთმ ტიკზყე)-ფედერალური მთავრობის ან შტატის ხელისუფლების მიერ შექმნილი უწყება (კომისია ან სამმართველო) ბუნებრივი მონოპოლიების მიერ დადგენილი ფასებისა და მის მიერ შეთავაზებული მომსახურების ან პროდუქციის გამოშვების კონტროლის მიზნით.

მარტივი მულტიპლიკატორი (simple ultiplier)-ისეთი ეკონომიკური მოდელის მულტიპლიკატორი რომელსაც ახასიათებს წმინდა საგადასახადო შემოსულობათა არარსებობა,იმპორტის არარსებობა,და ასევე ის,რომ ინვესტიციები აქ დამოკიდებული არაა შემოსავლის (წეპ) დონეზე;იგი უდრის 1 გაყოფილი დაზოგვისადმი ზღვრულ მისწრაფებაზე.

მასშტაბის უარყოფითი ეფექტი (diseconomies of scale)-ფაქტორები,რომლებიც ხანგრძლივევადიან პერიოდში ადიდებენ წარმოების საშუალო დანახარჯებს იმის კვალობაზე,თუ ფირმა როგორ აფართოებს თავისი საწარმოს წარმოების სიდიდეს).

მბრძანებლური ეკონომიკა (command economy)-ეკონომიკური სისტემის ორგანიზების წესი,რომლის დროსაც მატერიალური რესურსები სახელმწიფო საკუთრებაა,ხოლო ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა და კოორდინირება ხორციელდება ცენტრალური დაგეგმვის მეშვეობით.

მედიკეიდი (Medikaid)-ფედერალური პროგრამა აშშ-ში,რომელიც შტატებს ეხმარება ცალკეულ პირთა სამედიცინო ხარჯების დაფინანსებაში,რომლებიც ორი სხვა

პროგრამის მოქმედების არეალში ხვდებიან:სოციალური დაზღვევის დამატებითი პროგრამისა და არასრული,ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამებში.

მედიკერი (Medicare)-ფედერალური პროგრამა აშშ-ში,რომელიც ფინანსდება ხელფასის გადასახადის ხარჯზე და ითვალისწინებს:1) ხანდაზმულთა საეალდებულო დაზღვევას საავადმყოფო მკურნალობის შემთხვევაში და 2) ნებაყოფლობით,არაძვირ დაზღვევას,რომელიც უზრუნველყოფს ხანდაზმულებისათვის ამბულატორული მკურნალობის ხარჯების კომპენსაციას.

მეორადი ბოიკოტი (secondary boycott)-პროფკავშირის მიერ საქონლის შეძენაზე ან სხვა პროფკავშირის მიერ წარმოებული პროდუქტების მუშაობაში გამოყენებაზე უარის თქმა.

მესაკუთრეთა შემოსავალი (proprietors' income)-არაკორპორირებულ ფირმათა (ინდივიდუალურ მესაკუთრეთა და პარტნიორობათა) მფლობელების წმინდა შემოსავალი.

მეურნეობის დარგი (industry)-ფირმათა ჯგუფი (ან,ერთი ფირმა) რომელიც აწარმოებს იდენტურ ან მსგავს პროდუქტებს.

მეწარმეობის თავისუფლება (FREEDOM OF ENTERPRISE)-კერძო ფირმათა თავისუფალი უფლება,გამოიყენონ ეკონომიკური რესურსები საქონლეთა. საკუთარი არჩევანის მიხედვით საწარმოებლად და გაყიდოს წარმოებული საქონლები მათ მიერ შერჩეულ ბაზრებზე.

მეწარმეობითი მონოპოლია (business monopoly)-საბაზრო სიტუაცია, როდესაც ერთ ან რამდენიმე ფირმას უჭირავს გაბატონებული მდგომარეობა დარგში.

მზა ნაკეთობები (final goods)-საქონლები,რომლებიც ნაყიდია მათი საბოლოო გამოყენების და არა გადაყიდვის,გადამუშავების ან შემდგომი დამუშავების (მოცემული წლის განმავლობაში) მიზნით.

მზარდი დარგი (expanding industry)-დარგი,რომლის ფირმები ეკონომიკურ მოგებას ღებულობენ და წარმოების მოცულობა,მაშასადამე,შეიძლება იზრდებოდეს მასში ახალი დარგების შესვლის კვალობაზე.

მზარდი ეკონომიკა (expanding economy)-ეკონომიკა,რომელშიც კერძო საშინაო ინვესტიციების წმინდა მოცულობა ნულზე მეტია (ე.ი.კერძო საშინაო ინვესტიციების მთლიანი მოცულობა საამორტიზაციო ანარიცხების თანხაზე მეტია).

მზარდ ფარულ დანახარჯთა კანონი (law of increasing opportunity costs)-პროდუქტის წარმოების ზრდის კვალობაზე მისი ყოველი ახალი ერთეულის წარმოების ფარული ხარჯები-ზღვრული ხარჯები-იზრდება.

მთლიანი კერძო საშინაო ინვესტიციები (gross private domestic investment)-დანახარჯები ახლადწარმოებულ წარმოების საშუალებებზე:

ქანქანებზე.მოწყობილობებზე,ინსტრუმენტებზე და შენობებზე-ასევე საქონლურ-მატერიალურ მარაგებზე.

მთლიანი შემოსავლის მთლიან დანახარჯებთან შედარების პრინციპი (total-revenue_total-cost approach)-წარმოების მოცულობის დადგენის პრინციპი,რომლის დროსაც მიიღწევა ეკონომიკური მოგების მაქსიმუმი და ზარალის მინიმუმი,რომელიც ემყარება ერთობლივი ამონაგების (შემოსავლის) და ერთობლივი ხარჯების შედარებას წარმოების სხვადასხვა მოცულობის პირობებში.

მიზანთა დილემა (target dilemma)-პრობლემა,რომელიც წარმოიშობა იმის გამო,რომ სახელმწიფოს ფინანსურ უწყებებს არ შეუძლიათ ერთდროულად მოახდინონ მიმოქცევაში ფულის მასისა და სარგებლის განაკვეთების დონის სტაბილიზება.

მიზეზობრივი განპირობებულობა (causation)-მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;ერთი ან რამდენიმე მოვლენა ბადებს ან იწვევს სხვა მოვლენებს.

მიკროეკონომიკური ანალიზი (microeconomics)-ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი,რომელიც იკვლევს,ჯერ ერთი,ისეთ განცალკევებულ ეკონომიკურ ერთეულებს,როგორიცაა დარგები,ფირმები,საოჯახო მეურნეობები,და. მეორე,ცალკეულ ბაზრებს,კონკრეტულ ფასებს და კონკრეტულ საქონლებსა და მომსახურებებს.

მიმდინარე ანგარიში (checking account)-უვადო ანაბარი ან მოთხოვნამდე ანაბარი კომერციულ ბანკში ან შემსახველ დაწესებულებაში.

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში (current account)-ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის განყოფილება,რომელშიც ფიქსირდება მისი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები (საქონელთა და მომსახურების), წმინდა შემოსავალი ინვესტიციებიდან და ტრანსფერტულ გადასახდელთა წმინდა მოცულობები.

მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი (balance of current account)-ქვეყნის საქონელთა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა მისი საქონლებისა და მომსახურებათა ექსპორტის გამოკლებით,პლიუს,მისი წმინდა შემოსავალი,პლიუს ტრანსფერტულ გადასახდელთა სალდო.

მიმოქცევის საშუალება (medium of exange)-ფული,საქონელთა და მომსახურების გაცვლის მოხერხებული საშუალება.ბარტერულ გაცვლაზე გვერდის აელით;საშუალება,რომელსაც გამყიდველები ჩვეულებრივ იღებენ,ხოლო მყიდველები აძლევენ საქონელსა და მომსახურებაზე გადასახდელად.

მინიმალური ფასი (price floor)- იხ.ფასის ქვედა დონე.

მინიმალური ხელფასი (minimum wage)-ყველაზე დაბალი ხელფასი (მისი განაკვეთი),რომელსაც მეწარმეები კანონიერ საფუძველზე იხდიან ერთი საათის მუშაობისათვის.

მიღებული სიკეთის გადასახადით დაბეგვრის პრინციპი (benefits-received principle)-კონცეფცია,რომლის მიხედვითაც,ის პირები,რომლებიც სახელმწიფოსაგან რაღაც სიკეთეს ღებულობენ საქონლისა და მომსახურების სახით,უნდა გადაიხადონ გადასახადები,რომლებიც საჭიროა მათი წარმოების დასაფინანსებლად.

მიწა, ბუნებრივი რესურსები (land)-ბუნებრივი რესურსები ("ბუნების ნაბოძები სიკეთეები") რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონელთა და მომსახურების წარმოებისათვის.

მიწოდება (supply. S)-იხ.მიწოდების მრუდი.

მიწოდება ხანგრძლივვადიან პერიოდში (long-run supply)-გრაფიკი ან მრუდი,რომელიც გვიჩვენებს ფასებს,რომლებითაც წმინდა კონკურენციის პირობებში მოქმედი დარგი ხანგრძლივ პერსპექტივაში ბაზარს მიაწვდის მის მიერ წარმოებული პროდუქციის სხვადასხვა რაოდენობას.

მიწოდების არასაფასო ფაქტორები (nonprice determinants of supply)-ფაქტორები,ფასის გამოკლებით,რომლებიც განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობრივ პარამეტრებს.

მიწოდების გადიდება (increase in supply)-საქონელთა და მომსახურების გადიდე-ბა,რომელიც ბაზარს მიეწოდება ნებისმიერი ფასებით;მიწოდების მრუდის მარჯვენივ გადაადგილება.

მიწოდების გრაფიკი (supply schedule)-გრაფიკი,რომელიც გვიჩვენებს საქონელთა და მომსახურების რაოდენობას,რომლებსაც გამყიდველები გასაყიდად თავაზობენ განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.

მიწოდების ეკონომიკის თეორია (supply-side economics)-თანამედროვე მაკრო ეკონომიკური თეორიის ნაწილი,რომელიც იყენებს ცნებებს"დანახარჯები" და"ერთობლიები მიწოდება",ინფლაციისა და უმუშევრობის განმარტებაში.

მიწოდების ეკონომიკის მექანიზმის მოშლა (supply shock)-70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისის ერთერთი ეპიზოდი,რომელმაც ბიძგი მისცა წარმოების ხარჯების ზრდას,ერთობლიეი მიწოდების შემცირებას და სტაგფლაციას აშშ-ში.

მიწოდების კანონი (law of supply)-საქონლის ან მომსახურების მიწოდების სიდიდესა და ფასს შორის პირდაპირი დამოკიდებულება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

მიწოდების მრუდი (supply curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს საქონელთა ან მომსახურების რაოდენობას,რომელსაც გამყიდველები (გამყიდველი) სთავაზობენ გასაყიდად,სხვადასხვა ფასებში,განსაზღერული პერიოდის მანძილზე.

მიწოდების საერთო მოცულობა (total supply)-ყველა გამყიდველთა საქონლის ან მომსახურების მიწოდების მრუდი.

მიწოდების საფასო ელასტიურობა (price elasticity of supply)-საქონლის მიწოდების სიდიდის პროცენტული ცვლილების შეფარდება მისი ფასის პროცენტულ ცვლილებასთან;საქონლის მიწოდების სიდიდის რეაქცია მისი ფასის ცვლილებაზე.

მიწოდების სიდიდე,მიწოდებული რაოდენობა (quantity supplied)-მოცემული საქონლის ან მომსახურების რაოდენობა,რომელსაც -გამყიდველი თავაზობს გასაყიდად,კონკრეტული ფასით,განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

მიწოდების სრულყოფილი ელასტიურობა (perfect elasticity of supply)-შემთხვევა,როდესაც ფასის ცვლილება იწვევს საქონლის მიწოდების სიდიდის ცვლილებას;მიწოდების სიდიდე ერთნაირია ნებისმიერი ფასის დროს.

მიწოდების ფაქტორი (supply factor)-რესურსების არსებული რაოდენობის გადიდება,მისი ხარისხის გადიდება ან ტექნიკური ცოდნის გაფართოება, რომლებიც ეკონომიკისთვის ქმნიან საქონელთა და მომსახურების დიდი მოცულობის წარმოების შესაძლებლობას.

მიწოდების შემცირება (decrease in supply)-საქონლის ან მომსახურების მიწოდების შემცირება ნებისმიერი ფასის პირობებში;მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილება.მოთხოვნის შემცირება-საქონელსა და მომსახურებაზე. მოთხოვნის შემცირება,ნებისმიერი ფასის პირობებში;მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილება.

მმართველთა საბჭო (Boapd of Governors)-შეიდკაციანი -ჯგუფი,რომელიც ახორციელებს აშშ ფულადი საბანკო სისტემის ფუნქციონირების კონტროლსა და ზედამხედველობას;ოფიციალური სახელწოდება-ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო;ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველობა.

მობილურობის არარსებობა,იმობილურობა (immobility)-მუშის არნდომა ან უუნარობა შეიცვალოს ერთი გეოგრაფიული რაიონი ან ერთი პროფესია მეორე რაიონზე ან პროფესიაზე,ან დაბალანაზღაურებადი სამუშაო უფრო მაღალხელფასიანით;ანალოგიური დახასიათება გამოიყენება სხვა რესურსების მიმართ.

მოგება (profit)-ეკონომიკური მოგება ან ნორმალური მოგება;იმათი შემოსავალი ვინც ეკონომიკას მეწარმეობითი უნარით ან ნორმალური მოგებით უზრუნველყოფს.

მოგების სამართლიანი ნორმის უზრუნველმყოფელი ფასი (fair-return price)-პროდუქტის ფასი,რომელიც მწარმოებელს საშუალებას

აძლევს მიიღოს ნორმალური მოგება და რომელიც ამ პროდუქტის წარმოების საშუალო ხარჯების ტოლია.

მოგების მაქსიმიზების, რესურსების კომბინაციის წესი (profit-maximizing rule, combination of resources)-თითოეული რესურსის რაოდენობა,რომელიც ფირმამ უნდა გამოიყენოს,მისი ეკონომიკური მოგება რომ მაქსიმალური,ან ზარალი მინიმალური იყოს;რესურსების კომბინაცია,რომლის დროსაც ყოველ რესურსის ზღვრული პროდუქტი (ფულადი გამოხატულებით) ტოლია ამ რესურსის გამოყენების ზღვრული დანახარჯებისა (მისი ფასისა,თუ რესურსი კონკურენტულ საფუძველზე გამოიყენება).

მოგების მინიმიზების შემთხვევა (profit maximizing case)-გარემოებები, რომლებსაც ეკონომიკური მოგება მოაქვს კონკურენტი ფირმისთვის,როდესაც უკანასკნელი,პროდუქციის ისეთ მოცულობას აწარმოებს,რომლის დროსაც ეკონომიკური მოგება მაქსიმალურია და ზარალი მინიმალური,ე.ი.როდესაც ფასი,რომლითაც ფირმას შეუძლია თავისი საქონლის გაყიდვა,მისი წარმოების საერთო საშუალო დანახარჯებზე მაღალია.

მოთხოვნა (demand ,D)-იხ.მოთხოვნის მრუდი.

მოთხოვნისა და მიწოდების დამთხვევა (coincidance of wants)-ერთი და იგივე საგანი (საქონელი და მომსახურება) რომლის შეძენას ცდილობს ერთი მოვაჭრე,ხოლო მეორე კი.ცდილობს მის გასაღებას,ასევე ერთი და იგივე საგანი,რომლის შეძენასაც მეორე მოვაჭრე ცდილობს,ხოლო პირველი მის რეალიზებას ცდილობს.

მოთხოვნის არასაფასო ფაქტორები (nonprice determinants of demand)-ფაქტორები,ფასის გამოკლებით,რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნის რაოდენობრივ პარამეტრებს საქონელსა და მომსახურებაზე.

მოთხოვნის გადიდება (increase in demand)-საქონელთა და მომსახურების გადიდება,რომლებზედაც წარედგინება მოთხოვნა ნებისმიერი ფასებით;მოთხოვნის მრუდის გადაადგილება მარჯვნივ.

მოთხოვნის გრაფიკი (demand schedule)-გრაფიკი,რომელიც გვიჩვენებს განსაზღვრულ საქონელთა და მომსახურების რა რაოდენობის შეძენა შეუძლიათ მყიდველებს სხვადასხვა ფასით,დროის მოცემული პერიოდის ფარგლებში.

მოთხოვნის მართვა (demand managment)-ფისკალური და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გამოყენება ერთობლივი მოთხოვნის გადიდების ან შემცირების მიზნით.

მოთხოვნის ინფლაცია (demand-pull inflation)-ინფლაცია,რომელიც გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის გადიდებით.

მოთხოვნის კანონი (law of demand)-უკუდამოკიდებულება საქონლისა და მომსახურების ფასსა და მოთხოვნის სიდიდეს შორის გარკვეული პერიოდის მანძილზე.

მოთხოვნის მრუდი (demand curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს გაწ-სა'ღღერული საქონლისა და მომსახურების რა რაოდენობის შეძენა შეუძლიათ მყიდველებს სხვადასხვა ფასებით,დროის მოცემული პერიოდის ფარგლებში.

მოთხოვნის საერთო მოცულობა (total demand)-საქონლის ან მომსახურების ყველა მყიდველთა მოთხოვნის მრუდი.

მოთხოვნის საფასო ელასტიურობა (price elasticity of demand)-დარ-გის მიერ დადგენილი ფასის გადიდება მის პროდუქციაზე არ უნდა აჭარბებდეს საშუშაო ძალის დანახარჯებს ამ პროდუქტის წარმოება'ზე.

მოთხოვნის სიდიდე (quantity demanded)-მოცემული საქონლის ან მომსახურების რაოდენობა,რომლის შეძენაც სურს მყიდველს კონკურენტულ ფასში განსა'ღღერული პერიოდის განმავლობაში.

მოთხოვნის სრულყოფილი ელასტიურობა (perfect elasticity of demand)-შემთხვევა,როდესაც მოთხოვნის სიდიდის ცვლილებები არ მოითხოვს საქონლის ფასის შეცვლას;შემთხვევა,რომელიც მომხმარებლები მზად არიან შეიძინონ მთელ ბაზარ'ზე არსებული საქონელი უცვლელი ფასით.

მოთხოვნის ფაქტორი (demand factor)-ერთობლივი მოთხოვნის დონის გადიდება,რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას,რომლის შესაძლებლობას ქმნის ეკონომიკის წარმოებრივი პოტენციალის გადიდება.

მოკლევადიანი კონკურენტული წონასწორობა (short-run competentive equilibrium)-ფასის თანატოლობა,რომლითაც წმინდა კონკურენტული დარგის პროდუქტების საერთო რაოდენობა მიეწოდება მოკლევადიანი პერიოდის ფარგლებში,ფასი,რომლითაც მთელ ამ პროდუქციას წარედგინება მოთხოვნა,ამ ფასის,პროდუქტის საშუალო ცვალებად ხარჯებთან იმავდროულად თანატოლობის ან მათი გადამეტების პირობებში,ასევე,ამ ფასით მოთხოვნის მოცულობისა და მიწოდების თანდამთხვევის დროს.

მოკლევადიანი პერიოდი (short run)-პერიოდი,რომლის განმავლობაში პროდუქტის მწარმოებლებს შეუძლიათ შეცვალონ (გამოიყენონ) რესურსის გარკვეული ნაწილი,მაგრამ არა ყველა;პერიოდი,რომლის განმავლობაში,რესურსების ნაწილი-ქარხანა,საწარმო-წარმოადგენს მუდმივ რესურსებს,ხოლო მეორე ნაწილი-ცვალებად რესურსებს;პერიოდი,რომლის განმავლობაში დანახარჯთა ნაწილი ქმნის მუდმივ ხარჯებს,ხოლო მათი მეორე ნაწილი-ცვალებად დანახარჯებს;პერიოდი,რომელიც ძალზე მოკლეა,იმისათვის,რომ ფირმამ შეძლოს თავისი საწარმოს წარმოებითი სიმძლავრის შეცვლა,მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივია იმისათვის,რომ მან შეძლოს ამ წარმოებითი სიმძლავრის დატვირთვის ხარისხის შეცვლა;პერიოდი,რომელიც არასაკმაოდ ხანგრძლივია იმისათვის,რომ ფირმამ შეძლოს დარგში შესვლა და მისგან გამოსვლა.

მომსახურება (service)-ის რაც ხელშეუხებელია (არ ჩანს) და რომლის

ხანაცელოდ.მომხმარებელი.ფირმა ან მთავრობა ძალად არიან შესაიავაზონ რაიმე ფასეული.

მომხმარებლის სუვერენიტეტი (consumer sovereignty)-მომხმარებელია მიერ საქონელია და მომსახურების რაოდენობისა და სახეობათა ოპტიმუალი არჩევანი.რომლებიც იშვიათი რესურსებით იწარმოება.

მონეტარიზმი (monetarism)-ამერიკელ ეკონომისტთა უმცირესობის-კეინსელების ალტერნატიული ფილოსოფიური,იდეოლოგიური და ანალიტიკური შესედულებები:რესურსების დასაქმებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის თეორია.რომლის ქეაკუთხედია ფულის როლი.

მონეტარული წესი (monetary rule)-წესი.რომელიც ჩამოაყალიბეს მონეტარისტებმა;ფულის მასა ეიმოქცეევაში ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს რეალური ეეპ-ის პოტენციური ზრდის ტემპების ტოლი სიდიდით:ფულის მასა სტაბილურად უნდა იზრდებოდეს 3-დან 5%-მდე.

მონოპოლია (monopoly)-1) ბაზარი.რომელზეც გამყიდველთა რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა,რომ ყოველ მათგანს შეუძლია ზეგავლენა მონახდინოს მიწოდების საერთო მოცულობაზე და საქონლისა და მომსახურების ფასზე;2) მსხვილი დარგი,რომელშიც ფირმათა მცირე რაოდენობა კონტროლს უწევს მისი წარმოების მთელ ან დიდ ნაწილს (ნაწილობრივი მონოპოლია).

მონოპოლისტური კონკურენცია (monopolistic competetion)-ბაზარი, რომელზეც ბევრი ფირმა ყიდის დიფერენცირებულ პროდუქტს;ბაზარი,რომელში შეღწევაც თავისუფალია;ბაზარი.რომელზეც ფირმას გარკვეული კონტროლი გააჩნია მის მიერ წარმოებული საქონლის გასაყიდ ფასზე და რომელზეც მნიშვნელოვანი არასაფასო კონკურენცია მოქმედებს.

მონოპოლისტური კონკურენციის დანახარჯები (wastes of monopolistic competetion)-ეკონომიკური რესურსების დანაკარგი,რომელიც პროდუქციის ისეთი მოცულობის წარმოებითაა გამოწვეული,რომლის დროსაც ფასი,ზღვრულ დანახარჯებზე დაბალია,ხოლო საშუალო დანახარჯები,მინიმალურ საშუალო დანახარჯებზე დაბალია.

მონოპსონია (monopsony)-ბაზარი.რომელზეც საქონლის,მომსახურების ან რესურსის მხოლოდ ერთი გამყიდველი გამოდის.

მორალური ზემოქმედება (moral suasion)-დეკლარაციები.განცხადებები და მოწოდებები,რომლებიც ფედერალური სარეზერვო ბანკებიდან გამომდინარეობენ და რომელთა მიზანია კომერციული ბანკების სასესხო პოლიტიკაზე ზემოქმედება.

მოსალოდნელი ინფლაცია (anticipated inflation)-ინფლაციის დონე.რომელიც დროის მოცემულ პერიოდში მოსალოდნელის ტოლია.

მოსალოდნელობები (expecations)-მომხმარებელთა და ფირმის წარმოდგენები იმის შესახებ,თუ რა მოხდება ან როგორი პირობები ჩამოყალიბდება მომავალში.

მოსარგებლეთაგან მოსაკრებლის აკრეფა (user charge)-ფასი,რომელსაც შენობის ან ნაგებობის გამოყენებლები იხდიან და რომელიც მათი ექსპლოატაციის ყველა ხარჯებს ფარავს.

მოქნილი სავალუტო კურსი (flexible exange rate)-ვალუტის კურსი,რომელიც უცხოურ ფულზე მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრება და რომელიც შეიძლება თავისთავად გაიზარდოს ან შემცირდეს.

მოხმარების გრაფიკი (demand schedule)-გრაფიკი,რომელიც გაიჩვენებს საოჯახო მეურნეობათა დანახარჯებს სამომხმარებლო საქონელზე.შემოსავლების სხვადასხვა დონის დროს გადასახადების გადახდის შემდეგ.

მოხმარების მოცულობის ცვლილება (change in amount consumed)-სამომხმარებლო ხარჯების გადიდება ან შემცირება გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლის გადიდების ან შემცირების შედეგად.მოხმარების უცვლელი შკალის (მრუდის) დროს;ერთი გრაფიკიდან (წერტილიდან) მეორეზე.მოხმარების იმავე შკალაზე (მრუდზე) გადაადგილება.

მოხმარებისა და დანაზოგთა ფაქტორები,რომლებიც დაკავშირებული არაა შემოსავალთან (nonincome determinants of consumption and saving)-ყველა ფაქტორი,გარდა შემოსავლის დონისა გადასახადების გადახდის შემდეგ,რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სამომხმარებლო ხარჯებისა და დანაზოგების მოცულობაზე.

მოხმარებისადმი ზღვრული დამოკიდებულება,მზმ (marginal propensity to consume, MPC)-სამომხმარებლო საქონელზე დანახარჯების წილი შემოსავლის ნებისმიერი ცვლილების დროს გადასახადების გადახდის შემდეგ (წეპ);ტოლია მოხმარებაში ცვლილებები,გაყოფილი შემოსავლის ცვლილებაზე გადასახადების გადახდის შემდეგ.

მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მსმ (average propensity to consume,APC)-შემოსავლის წილი,რომელიც რჩება გადასახადების გადახდის შემდეგ,რომელსაც საოჯახო მეურნეობები ხარჯავენ სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე.

მოხუცებულობის,შრომისუუნარობის და ასევე დაზღვეული მარჩენალის სარჩენის დაზღვევა (Old Age, Survivors, and Disability HealthInsurance,OASDHI)-სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა აშშ-ში,რომელიც ხელფასის ფედერალური გადასახადიდან ფინანსდება,რასაც მეწარმეები,მუშები და მოსამსახურეები იხდიან და განკუთვნილია იმ შემოსავლების ასანაზღაურებლად,რომელსაც კარგავენ პენსიაზე გასვლის,მარჩენალის დაკარგვის ან შრომისუუნარობის დაკარგვის შედეგად.

მოძრაობა ერთიანი გადასახადისათვის (single-tax movement)-ჰენრი ჯორჯის მოძღვრების მიმდევართა მცდელობა,გააუქმონ ყველა გადასახადი,რეალურ შემოსავალზე 100%-იანი გადასახადის გამოკლებით.

მრეწველურად განვითარებული ქვეყნები (industriall advanced countries. IAC)-ისეთი ქვეყნები, როგორიცაა აშშ,კანადა, იაპონია, და დასავლეთ ევროპის ქვეყნები ,რომლებმაც უსრუნველყვეს საბაზრო ეკონომიკის განვითარება,რომელიც დამყარებულია დიდი რაოდენობის ტექნიკურად მოწინავე ძირითადი კაპიტალის დაგროვებასა და კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობაზე.

მსხვილი საწ. -მო, მსხვილი კომპანია (big business)-ფირმა,რომელიც აწარმოებს დარგის პროდუქციის საერთო მოცულობის დიდ ნაწილს ან მსხვილად ითვლება სიდიდის მიხედვით (დასაქმებულთა რაოდენობის,აქციის მფლობელთა,გაყიდვის მოცულობის ან მოგებათა ან აქტივების სიდიდით) ან ორივე ნიშანს ფლობს.'

მუდმივი რესურსი (fixed resoursc)-ფირმის მიერ გამოყენებული ნებისმიერი რესურსი,რომლის რაოდენობის შეცვლა მას არ შეუძლია.

მუდმივი ხარჯები (ПХЕD COST)-დანახარჯები,რომელთა სიდიდე მთლიანად არ იცვლება,როდესაც ფირმა არეგულირებს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას;მუდმივი რესურსების ღირებულება.

მულტიპლიკატორი (multiplier)-წონასწორობითი წეპ-ის ცვლილების შეფარდება ინვესტიციათა მოცულობის ცვლილებასთან ან ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის ნებისმიერი სხვა კომპონენტის ცვლილებასთან,ან საგადასახადო შემოსულობათა წმინდა მოცულობის ცვლილებასთან;რიცხვი, რომელ'ზეც უნდა გავამრავლოთ ერთობლივ დანახარჯთა გრაფიკის ნებისმიერი კომპონენტის ცვლილება,წონასწორობითი წეპ-ის შედეგრბრივი ცვლილების მისაღებად.

მულტიპლიკატორის ეფექტი (multiplier effect)-ზეგავლენა,რომელსაც ერთობლივი ხარჯების გრაფიკში ცვლილება ახდენს წონასწორობით წეპ-ზე (ზეგავლენა,რომელსაც მოხმარების გრაფიკში ცვლილება იწვევს ინვესტიციათა მოცულობაში,საგადასახადო შემოსულობათა წმინდა მოცულობაში,საქთავერობო ხარჯების მოცულობაში საქონელსა და მომსახურებაზე ან ექსპორტის მოცულობაზე).

მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (compensation to employees)-დაქირავებულ მუშაკებ'ზე გაცემული ხელფასი და ჯამაგირი პლიუს დამატებითი მისაცემლები.

მცურავი საკალუტო კურსი (floating exange curse)-მოქნილი საკალუტო კურსი.

მწარმოებლურობა (productivity)-პროდუქტის საშუალო მოცულობის,ანუ რეალური პროდუქციის მაჩვენებელი დახარჯული რესურსების ერთეულ'ზე,მაგალითად,შრომის მწარმოებლურობა შეიძლება გაიზომოს მუშაობის საათების გაყოფით რეალურად წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე.

მწარმოებლურობის შემცირება (productivity slowdow)-შრომის მწარმოებლურობის სრდის ტემპების შემცირება აშშ-ში,რომელიც უკანასკნელ წლებში შეინიშნება.

ნაადრევი ინფლაცია (premature inflation)-ინფლაცია,რომელიც წარმოიშობა ეკონომიკაში სარული დასაქმების მიღწევამდე.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ("ნექო") (Organisation of Petroleum Exporting Countries OPEC)-კარტელი,რომელიც შეიქმნა 1970 წელს ნავთობის მომპოვებელი 13 ქვეყნის მიერ ფასების კონტროლის მიზნით,რომლითაც ისინი ყიდიან ნედლ ნავთობს მის იმპორტიორებზე,და ნექოს წევრი ქვეყნების მიერ ექსპორტირებული ნავთობის მოცულობის გაკონტროლების მიზნით;ქვეყნების კარტელი,რომელთა წილად მოდის ნავთობის მსოფლიო ექსპორტის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ნათესი ფართობების შეზღუდვის პროგრამა (acreage-allotment program)-პროგრამა,რომელიც განსაზღვრავს მიწის საერთო რაოდენობას, რომელიც განკუთვნილია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სხვადასხვა სახეების წარმოებისათვის და ამ მიწას ანაწილებს ინდივიდუალურ ფერმებს შორის,რომელთათვისაც დამუშავებული ფართობის შეზღუდვა მხოლოდ ძალოვის დაწესებული ზღვარით,თავიანთი პროდუქციის ფასებზე დოტაციის მიღების საკალდებულო პირობა ხდება.

ნაწილობრივი რეზერვი (fractional reserve)-სარეზერვო ნორმა,რომელიც შეადგენს კომერციული ბანკის დეპოზიტურ ვალდებულებათა 100%-ს ნაკლებს.

ნებაყოფლობითი განთავისუფლების მექანიზმი (exit mechanism)-მუშის წასვლა სამუშაოს ერთი ადგილიდან და მეორის ძიება ჭარაგნობის პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ნებაყოფლობითი საექსპორტო შეზღუდვები (voluntary export restrictions)-ფირმის მიერ თავისი ექსპორტის შეზღუდვა გარკვეულ ქვეყნებში,ამ ქვეყნების მიერ სხვა საგაჭრო ბარიერების აღმართვის თავიდან ასაცილებლად.

ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი (negative income tax)-ფულადი სუბსიდიის შემოღების წინადადება

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია (New classical economics)-თეორია,რომლის თანახმად ფასების გაუთვალისწინებელ ცვლილებებს შეუძლიათ გამოიწვიონ მაკროეკონომიკური არასტაბილურობა მოკლევადიან პერიოდში;ხანგრძლივვადიან პერიოდში ეკონომიკა ინარჩუნებს სტაბილურობას ეროვნული პროდუქტის წარმოებისას,რომელიც რესურსების სრულ დასაქმებას უზრუნველყოფს ფასებისა და ხელფასის მოქნილობის წყალობით.

ნორის-ლაგარდიას 1932 წ.კანონი (Norris-LaGuardia Act)-ფედერალური კანონი,რომელმაც გააქრელა მეწარმეთა მიერ ფედერალურ სასამართლოებში

სასამართლო მიწერილობათა მიღება პროფკავშირთა წინააღმდეგ და ძალადაკარგულად გამოაცხადა "ყვითელი ეალდებულებები",ე.ი.პროფკავშირში შეუსვლელობის შესახებ მუშათა ვალდებულებები.

ნომინალური ეროვნული პროდუქტი (nominal national output)-წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ) მიმდინარე ფასებში,გაზომვის მომენტისათვის (ფასების დონის ცვლილების შესწორების გარეშე).

ნომინალური მოგება (normal profit)-სამეწარმეო შემოსავლის ნაწილი;გადასახდელები,რომლებიც ფირმამ უნდა გასწიოს სამეურნეო უნარის შეძენისა და შენარჩუნებისათვის;მინიმალური გასამრჯელო (შემოსავალი).რომლითაც მეწარმეობითი უნარი უნდა დაჯილდოვდეს,ფირმის მეწარმეობით საქმიანობაში მათი გამოყენების სტიმულირებისათვის;ფარული ხარჯები.

ნომინალური შემოსავალი (nominal income)-ფულის რაოდენობა,რომელსაც ცალკეული პირები ან პირთა ჯგუფები იღებენ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

ნორმალური საქონელი (normal good)-საქონელი,რომლის დიდი (მცირე) რაოდენობით შეძენისათვის მზადაა მყიდველი,ნებისმიერი ფასის პირობებში,როდესაც მისი შემოსავალი იზრდება (მცირდება).

ნორმატიული ეკონომიკური თეორია (Normative economics)-ეკონომიკური თეორიის მიმართულება,რომელიც დამყარებულია ადამიანთა შეფასებით მსჯელობებზე იმასთან დაკავშირებით,თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა;განმარტავს ეკონომიკური მიზნებისა და ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებს.

ოლიგოპოლია (oligopoly)-ბაზარი,რომელზეც რამდენიმე ფირმა ყიდის სტანდარტიზებულ ან დიფერენცირებულ საქონელს;ბაზარი,რომელზე შესვლაც სხვა ფირმებისათვის გაძნელებულია,სადაც პროდუქციის ფასების კონტროლი შეზღუდულია ფირმათა ურთიერთდამოკიდებულებით (იმ შემთხვევათა გარდა,როდესაც არსებობს შეთანხმება) და რომელზეც ჩვეულებრივ მოქმედებს ძლიერი არასაფასო კონკურენცია.

ოლიგოპოლია,რომელიც შეთანხმებას არ ემყარება (noncolusive oligopoly)-ოლიგოპოლია,რომელშიც ფირმები ერთობლივად და შეთანხმებით არ მოქმედებენ,ყოველი ფირმის ფასებისა და წარმოების მოცულობის დადგენის მიზნით ან ფირმებს შორის პროდუქციის გასაღების რაიონების განაწილების მიზნით.

ოლიგოპსონია (oligopsony)-ბაზარი,რომელზეც რამდენიმე მყიდველია.

ორდინატთა ღერძი (wertical axis)-ვერტიკალური ღერძი გრაფიკზე ან კოორდინატთა ბადეზე.

ორმაგი ანგარიში (double counting)-ეეპ-ის შემადგენლობაში შუალედურ საკეთობათა ღირებულების შეტანა;ერთი და იგივე საქონლის ან მომსახურების ერთჯერადზე მეტი აღრიცხვა.

ორმაგი დაბეგვრა (double taxation)-გადასახადით დაბეგვრა,როგორც კორპორაციათა წმინდა შემოსავლის (მოგების),ისე მისგან გადახდილი დივიდენ-დებისაგან,როდესაც ისინი საოჯახო მეურნეობათა პირად შემოსავლად გადაიქ-ცევიან.

ორმხრივი მონოპოლია (bilateral monopoly)-ბაზარი,რომელზეც ერთა-დერთ გამყიდველს (მონოპოლიას) წინ უდგას ერთადერთი მყიდველი (მონოპოლია).

ოპერაციები ღია ბაზარზე (open-market operations)-აშშ მთავრობის ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ.

ოფიციალური რეზერვები (official reserves)-უცხოური ვალუტა ქვეყნის ცენტრა-ლური ბანკის მფლობელობაში.

ოუკენის კანონი (Okun's Law)-დასკვნა იმის შესახებ,რომ უმუშევრობის მიმდინარე დონის 1%-ით გადაჭარბება,უმუშევრობის დონეზე,სრული დასაქმების პირობებში,გაზრ-დის ეკპ-ის ჩამორჩენას 2,5%-ით ქვეყნის პოტენციურ ეკპ-თან შედარებით.

ოქროს მიმოქცევა (gold flow)-ოქროს მოდენა ქვეყანაში ან ქვეყნიდან მისი გადენა.

პარიტეტის ინდექსი (parity ratio)-ფერმერთა პროდუქციის ფასების (ფასების ინდექსის) შეფარდება,იმ ფასებზე (ფასების ინდექსზე),რომლითაც ისინი არასასოფლო სამეურნეო პროდუქციას იძენენ;წარმოადგენს ფასების შენარჩუნების პოლიტიკის საფუძველს.

პარიტეტული ფასი (parity price)-სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ფასი,რო-მელიც ფერმერს საშუალებს აძლევს თავისი საქონლის ერთნაირ რაოდენობაზე წლიდან წლამდე ფულადი შემოსავალი მიიღოს,რომელიც საკმარისია ერთი და იგივე რაოდენობის არასასოფლო სამეურნეო საქონელთა და მომსახურების შესაძენად.

პარტნიორობა (partnership)-არაკორპორირებული (არააქციონირებული) ფირ-მა,-რომელსაც ფლობს და მართავს ერთი პირი.

პასივი (lability)-ფულადი ვალდებულება,ფირმის ან ცალკეული პირის დავალიანება.

პიკური ფასწარმოქმნა (peak pricing)-ფასების დაწესება ნაგებობათა ან მოწყობილობის გამოყენების ან საქონლისა და მომსახურებისათვის,უფრო მაღალ დონეზე,როდესაც მოთხოვნა მაღალია და უფრო დაბალ დონეზე,როდესაც მათზე მოთხოვნა დაბალია.

პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონელი (private good)-საქონელი ან მომსახურება,რომლის მიმართ გაჩინაკლისის პრინციპი

გამოიყენებოდა და რომლებითაც კერძო ფირმები აშარაგებენ იშათ.ეინც ᲘᲜᲐᲓᲐᲐ ᲨᲐᲘᲜᲔ გადახდისათ;ეის.

პირადი საშომხმარებლო ხარჯები (personal consumption expenditures)-საოჯ.ახო შეურნეობათა დანახარჯები ხანგრძლივი და მოკლეეადიანი სარგებლობის საქონელთა და მომსახურების შეძენა'ზე.

პირადი შემოსავლის განაწილება (personal distribution of income)-ეკონომიკურ მონაცემთა ორი რიგი,რომლებიც ერთი და იგივე მიმართულებით იცვლებიან; შემთხვევა,როდესაც ერთი ცვლადის გადიდებით (შემცირებით) იზრდება (მცირდება) მეორეც.

პოზიტიური ეკონომიკური თეორია (positive economics)-ფაქტების ან მონაცემთა ანალიზი ეკონომიკური ქცევის თაობაზე მეცნიერულ განზოგადებათა გამოყვანის მიზნით.

პოზიტიური კავშირი (positive relationship)-კავშირი ორ ცვლადს შორის,რომლებიც ერთი და იმავე მიმართულიებით იცვლებიან;მაგალითად,პროდუქტის ფასი და მიწოდების სიდიდე.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია (political fragmentation)-ძალზე დიდ საქალაქო არეალებში გამოცალკევებულ პოლიტიკურ ფორმირებათა (შტატების,საგ-რაფოების,ქალაქების და ა.შ.) მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობა,რომელთაც ხელისუფლების საკუთარი ორგანოები გააჩნიათ.

პოლიტიკური ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკური ციკლი (business cycle)-კონგრესის მიდრეკილება დესტაბილიზაცია შეიტანოს ეკონომიკაში გადასახადების შემცირებისა და სახელმწიფო ხარჯების გადიდების გზით,საარჩევნო კომპანიის პერიოდში და გადასახადების გადიდებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირების გზით,არჩევნების შემდეგ.

პოლიტიკა ხელფასისა და ფასების სფეროში (wage-price policy)-პროფკავშირებისა და ფირმების ქცევაზე ზემოქმედების სამთავრობო პოლიტიკა ხელფასისა და ფასების სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების შეგულიანების მიზნით,რომელიც უფრო შესაფერისი იქნება სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილური დონის უზრუნველყოფის ამოცანებთან.

პოტენციური კონკურენცია (potential competition)-დარგში ახალ ფირმათა შესვლის შესაძლებლობა.რომელიც მასში უკვე მოქმედი ფირმებისათვის მაღალ ეკონომიკურ მოგებას უზრუნველყოფს.

პროგრამა "სურსათი მშვიდობისათვის"(Food for peace program)-პროგრამა,რომელიც განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევდა შეესყიდათ ამერიკის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნაშეტი და გადაეხადათ საკუთარი ვალუტით (დოლარის ნაცვლად).

პროგრესიული გადასახადი (progressive tax)-გადასახადი,რომლის საშუალო განაკვეთი გადასახადის გადამხდელის შემოსავლის გადიდების

კვალობაზე იზრდება და მცირდება ამ შემოსავლის შემცირების კვალობაზე.

პროდუქციის მოცულობის ეფექტი (output effect)-რესურსების ფასის ცვლილების სემოქმედება პროდუქციის რაოდენობაზე,რომლის წარმოებასაც ფირმა ყველაზე ხელსაყრელად თვლის,და საბოლოო ზეგავლენა რესურსის რაოდენობაზე (და სხვა რესურსების რაოდენობაზე),რომელსაც ფირმა შენაცვლების ეფექტის შედეგების მხედველობაში მიღების (ან არმიღების) შემდეგ იყენებს.

პროპორციული გადასახადი (proportional tax)-გადასახადი,რომლის საშუალო განაკვეთი უცვლელი რჩება გადასახადის გადამხდელის შემოსავლის გადიდების ან შემცირების დროს.

პროფესიათა ლიცენზირება (occupational licensure)-მთავრობის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კანონები,რომლებიც მოითხოვენ,რომ ყოველმა მომუშავემ სპეციალური ბიროსაგან მიიღოს განსაზღვრული პროფესიაში შესვლის ნებართვა (ე.ი.,რომ იგი შეესაბამებოდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს).

პროფკავშირი (labor union)-მუშათა ჯგუფი,რომელიც ორგანიზაციაში გაერთიანებულია თავისი ინტერესების დასაცავად და თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ხელფასის მომატება,სამუშაო დროის შემცირება,შრომის პირობების გაუმჯობესება).

პროფკავშირები,რომლებიც მოიცავენ საწარმოს ან დარგის ყველა მუშას (inclusive unionism)-პროფკავშირის მიერ მიღებული პრინციპი,არ მაღლიოს ხელფასის მომატებას,მის შემადგენლობაში შემავალი მუშების რაოდენობის შეზღუდვის გზით;დარგობრივი პროფკავშირი.

პროფკავშირი,რომელში შესვლაც შეზღუდულია (exclusive unionism)-ზოგიერთი პროფკავშირის მიერ მიღებული სამუშაო ძალის მიწოდების შეზღუდვის პრაქტიკა მასში ახალი წევრების შესვლის დაუშვებლობის გზით,მასში უკვე შესულ მუშათა ხელფასის გადიდების მიზნით;პრაქტიკა,რომელიც ჩვეულებრივ,საამქრო პროფკავშირების მიერ ძალიან.

რაოდენობის გადიდების ეფექტი (quanity-increasing effect)-ზემოქმედება,რომელსაც კონკურენტულ ბაზარზე წონასწორობით სიდიდეზე ახდენს მოთხოვნისა ან მიწოდების შემცირება.

რაოდენობის შემცირების ეფექტი (quanity-decreasing effect)-ზემოქმედება,რომელსაც კონკურენტულ ბაზარზე წონასწორობით სიდიდეზე ახდენს მოთხოვნის ან მიწოდების შემცირება.

რაციონალური მოლოდინის თეორია (rational expectations theory)-ჰიპოთეზა,რომლის თანახმად,ფირმები და საოჯახო მეურნეობები ცდილობენ,რომ საკრედიტო-ფულადი და საბიუჯეტო პოლიტიკა რაღაც განსაზღვრულ ხედვას **მოახდენს ეკონომიკაზე,და,ხელმძღვანელობენ რა საკუთარი**

სარგებლობით,ზომებს იღებენ ამ პოლიტიკის არაეფექტიანად გადასაცევად.

რეგრესიული გადასახადი (regressive tax)-გადასახადი,რომლის საშუალო განაკვეთი მცირდება (იზრდება) გადასახადის გადამხდელის შემოსავლის გადიდების (შემცირების) კვალობაზე.

რეგულირების დილემა (dilemma of regulation)-პრობლემა,რომელსაც მარეგულირებელი უწყება აწყდება მონოპოლისტისათვის კანონით დაშვებული მაქსიმალური ფასის დაწესებისას: ერთი მხრივ,საზოგადოებრივად ოპტიმალური ფასი საშუალო თვითღირებულება'ზე ნაკლები აღმოჩნდება,რაც ან გააკოტრებს ფირმას ან მოითხოვს მის სუბსიდირებას;მეორე მხრივ,ფასი,რომელიც ფირმისათვის მოგების სამართლიან ნორმას უზრუნველყოფს,საშუალებას არ იძლევა მთლიანად აღმოიფხვრას რესურსების განაწილების დისბალანსი,რომელსაც მონოპოლიის არარეგულირებადი საქმიანობა წარმოშობს.

რეალური ბიუჯეტური დეფიციტი (actual deficit)-მოცემულ წელს ფედერალური მთავრობის ხარჯების,მის შემოსავალზე ფაქტობრივი გადამეტების თანხა.

რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (real gross national product)-ეეპ-ი,ფასების დონის ცვლილების გათვალისწინებით,მოცემული წლის ეეპ-ი გაყოფილი ამავე წლის ეეპ-ის დეფლიატორზე.

რეალური საკასო ნაშთების ეფექტი (real-balances effect)-ფასებს დონის ზრდას (შემცირებას),ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების (ან მსყიდველობითი უნარის) შემცირების (გადიდების) ტენდენცია გააჩნია,ფიქსირებული ფულადი გამოხატულებით,ხოლო,ამის შედეგად კი ეკონომიკაში საერთო ხარჯების მოცულობის შემცირებასაც (გადიდებასაც).

რეალური შემოსავალი (real income)-საქონელთა და მომსახურების რაოდენობა,რომლის ყიდვა შეუძლია ცალკეულ პირს ან პირთა ჯგუფს თავისი ნომინალური შემოსავლით,გარკვეული პერიოდის მანძილზე;ნომინალური შემოსავალი ფასების დონის ცვლილებების გათვალისწინებით.

რეალური ხელფასი (real wage)-საქონელთა და მომსახურების რაოდენობა,რომლის შეძენა მუშას შეუძლია თავისი ფულადი ხელფასით;ფულადი ხელფასის მსყიდველობითი უნარი;ფულადი ხელფასი ფასების დონის ცვლილების შესწორებით.

რეიგანომიკა (Reaganomics)-რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა,რომელიც მიწოდების პრიორიტეტის კონცეფციას ემყარებოდა და ორიენტირებული იყო ინფლაციისა და უმუშევრობის,ეი.სტაგფლაციის შემცირებაზე.

რეკლამის ანტიკონკურენტული როლის კონცეფცია (anticompetective view of advertising)-კონცეფცია,რომლის თანახმად,რეკლამა მომხმარებლებს იმა'ში არწმუნებს,რომ პროდუქტების დიფერენციაცია საკმაოდ ღრმაა,ხოლო ეს,თავის

ძხრივ, რეკლამატორთა საბაზრო პოზიციებს აძლიერებს;კონცეფცია,რომელიც რეკლამას,როგორც ბაზარზე ახალ კონკურენტთა გამოჩენის საწინააღმდეგო ბარიერს განიხილავს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank of Reconstruction and Development. IBRD, World Bank)-ბანკი,რომელშიც 151 სახელმწიფოა გაერთიანებული და ხელს სთავაზობს განვითარებად ქვეყნებს საკუთარი განვითარების უზრუნველსაყოფად;მეორე სახელწოდებაა მსოფლიო ბანკი.

რენტული შემოსავალი (rental income)-იმ პირთა შემოსავალი,რომლებიც ეკონომიკას რესურსებით უზრუნველყოფენ.

რესტრიქციული ფისკალური პოლიტიკა (contractinary fiscal policy)-ერთობლიეი მოთხოვნის შემცირება საქონელთა და მომსახურების შესყიდვაზე სამთავრობო ხარჯების შემცირების,საგადასახადო შემოსულობათა წმინდა მოცულობის გადიდების ან ორივე ამ ფაქტორის კომბინაციის შედეგად.

რესურსების არასრული გამოყენება (underemployment)-ეკონომიკის უუნარობა საქონელთა და მომსახურების .მაქსიმალური რაოდენობის არსებული რესურსებით საწარმოებლად;ეკონომიკის უუნარობა,უზრუნველყოს წარმოების სრული მოცულობა.

რენტისადმი გამოდევნება (rent-seeking behavior)-მთავრობის დახმარებით,სხვის ხარჯზე ან საზოგადოების ხარჯზე,შემოსავლის (ან სიმდიდრის),რესურსების მიმწოდებელზე,კერძო საწარმოზე ან მომხმარებელზე გადაცემის მცდელობა.

რესურსების ბაზარი (resource market)-ბაზარი,რომელზეც საოჯახო მეურნეობები ეკონომიკურ რესურსებს ყიდიან,ხოლო ფირმები ამ რესურსების მომსახურებას იძენენ.

რესურსების გამოყენების ზღვრული ხარჯები (marginal resourse cost)-რესურსების გამოყენების საერთო ნამატი,როდესაც ფირმა იყენებს ამ რესურსის დამატებით ერთეულს (ყველა სხვა გამოყენებული რესურსის რაოდენობა მუდმივი რჩება);ტოლია რესურსების გამოყენების საერთო ხარჯების ცვლილებები,გაყოფილი გამოყენებული რესურსების რაოდენობის ცვლილებაზე.

რესურსების განაწილების ეფექტიანობა (allocative efficiency)-რესურსების,ფირმებსა და დარგებს შორის განაწილება აუცილებელია იმ ნაკეთობათა წარმოების უზრუნველსაყოფად, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდება საზოგადოებას (მომხმარებელს) ;ყოველი ნაკეთობის წარმოება ისეთ პირობებში,როდესაც ზღვრული ხარჯები ფასის ტოლია.

რესურსების დასაქმების კლასიკური თეორია (Classical theory of employmnt)-მაკროეკონომიკური კონცეფციები,რომლებსაც 30-იან წლებამდე ეკონომისტთა უმრავლესობა იზიარებდა და რომელთაც ჩამოაყალიბეს დასკვნა,რომ

კაპიტალისტურ ეკონომიკას შეუძლია მიაღწიოს საკუთარი რესურსების სრულ გამოყენებას.

რესურსების დაუტვირთაობა, უმუშევრობა (unemployment)-ეკონომიკის უუნარობა გამოიყენოს ყველა არსებული რესურსები საქონელთა და მომსახურების წარმოებისათვის;საშუშაო ძალის მთლიანად გამოყენების უუნარობა.

რესურსების ეფექტიანი განაწილება (efficient allocation of resources)-რესურსების განაწილება პროდუქტების სხვადასხვა სახეების წარმოებაზე,რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას იწვევს.

რესურსების იშვიათობა (scarce resources)-მიწის,კაპიტალის,შრომისა და მეწარმეობითი უნარის უკმარისობა (შეზღუდულობა) ადამიანთა უსაზღვრო მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რეცესიული გარღვევა (recessionary gap)-სიდიდე,რომლითაც უნდა გაიზარდოს (გადაადგილდეს ზევით) ერთობლივი ხარჯების გრაფიკი (მრუდი),რეალური წეპ-ის გასადიდებლად,სრული დასაქმების არასაინფლაციო დონემდე.

რთული მულტიპლიკატორი (complex multiplier)-მულტიპლიკატორი,რომლის დროსაც წეპ-ის ცვლილება იწვევს არა მხოლოდ დანაზოგების მოცულობის შეკვეცას,არამედ ასევე საგადასახადო შემოსულობათა წმინდა სიდიდისა და იმპორტის მოცულობისასაც.

საამორტიზაციო ანარიცხები (capital consumptions allowances, deprecation)-გაცვეთილი ან გამოყენებული (მოხმარებული) კაპიტალის მოცულობის შეფასება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის წარმოების პროცესში,ამორტიზაცია.

საამქრო პროფკავშირი (craft union)-პროფკავშირი,რომელიც თავისი წევრების შემადგენლობას ზღუდავს მხოლოდ განსაზღვრული პროფესიის მუშებით.

საакციზო გადასახადი (excise tax)-დანახარჯების გადასახდელი,რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქონლის შეძენასთან ან ნაკიდი საქონლის რაოდენობასთან.

საბაზო წელი (base year)-წელი,რომელიც ფასების ინდექსის აგების საფუძვლად მიიღება სხვა წლებში მოქმედ ფასებთან შესადარებლად.

საბაზრო ეკონომიკა (market economy)-ეკონომიკა,რომელშიც მხოლოდ თვით მომხმარებელთა,რესურსების მიმწოდებელთა და კერძო ფირმათა გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ რესურსების განაწილების სტრუქტურას;საბაზრო სისტემა.

საბაზრო მოთხოვნა (market demand)-მოთხოვნის საერთო მოცულობა

საბაზრო მექანიზმის მოშლა (market failure)-საბაზრო მექანიზმის უუნარობა უზრუნველყოს რესურსების ისეთი განაწილება,რომელიც საუკეთესოდ (მაქსიმალურად) შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს;ეს გამოიხატება,კერძოდ,ამა თუ იმ საქონელთა და მომსახურების წარმოებაზე რესურსების არასაკმარისი ან ჭარბი განაწილებით (გადადებულ ეფექტის ზეგავლენით),ასევე საზოგადოებრივ საქონელთა წარმოების,რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სიძნელეებით.

საბაზრო პერიოდი (market period)-პერიოდი,რომლის განმავლობაში პროდუქციის მწარმოებლებს არ ძალუძთ წარმოების მოცულობის შეცვლა პროდუქტის ფასის შეცვლის საპასუხოდ;პერიოდი,როდესაც მიწოდება საკმაოდ არაელასტიურია;პერიოდი,როდესაც ყველა რესურსი მუდმივია.

საბაზრო პოლიტიკა (market policy)-საერთაშორისო პოლიტიკა,რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე პროფკავშირებისა და მსხვილი ფირმების ბატონობის შესუსტებას და სამუშაო ძალის ბაზარზე დისბალანსის შემცირებას ან აღმოფხვრას.

საბაზრო სისტემა (market system)-რესურსების და პროდუქტების ყველა ბაზრები,რომლებიც ეკონომიკას ქმნიან და მათ შორის მოქმედი კავშირები;მექანიზმი,რომელიც ამ ბაზრებზე ნაპოვალიბებულ ფასებს იშვიათი ეკონომიკური რესურსების განაწილების,ქომხმარებლების,ფირმების და რესურსების მიმწოდებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციების უზრუნველყოფისა და ამ გადაწყვეტილებების შეთანხმების საშუალებას იძლევა.

საბაზრო სოციალიზმი (market socialism)-ეკონომიკური სისტემა,რომლის დროსაც მატერიალური რესურსები სახელმწიფო საკუთრებაშია,ხოლო ბაზრები და ფასები ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციისა და წარმართვისათვის გამოიყენება.

საბალანსო ანგარიშგება (balance sheet)-კრებსითი ანგარიში აქტივების,პასივებისა და ფირმის ან ინდივიდის საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულების შესახებ განსაზღვრულ პერიოდში.

საბანკო სისტემის სესესხო პოტენციალი (lending potential of an individual comercial bank)-თანხის რაოდენობა,რომლითაც კომერციული ბანკების სისტემას შეუძლია გაზარდოს ფულის მასა მიმოქცევაში მოქალაქეებისა და ფირმებისათვის ახალი სესხების შეთავაზების გზით;ანუ,რომელიც კომერციული ბანკების სისტემის რეზერვის ფულად მულტიპლიკატორზე ნამრავლის ტოლია.

საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი (balance of rayments deficit)-მიმდინარე ოპერაციათა ბალანსისა და კაპიტალების მოძრაობის ბალანსების პასიური სალდო.

საგადასახადო რეფორმის შესახებ 1986 წ. კანონი (Tax Reform Act of 1986,TRA)-ფედერალური კანონმდებლობა, რომელშაც გააფართოვა პირადი

შემოსავლების საგადასახადო ბაზა.მაგრამ ერთდროულად შეამცირა საგადასახადო განაკვეთი და შეამცირა გადასახადის გადამხდელთა ჯგუფების რაოდენობა.

საგადასახადო "სოლი" (tax „wedge")-ისეთი გადასახადები,როგორც ბიზნესის არა-პირდაპირი გადასახადები და ხელფასის გადასახადები,რომლებიც ფირმების მიერ წარმოების ხარჯებში შეიტანება და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასში შედის; ტოლია პროდუქტის ფასისა,მის წარმოებაზე დახარჯული რესურსების ფასის გამოკლებით.

საგადასახადო ტვირთის გადატანა, გადაკისრება (TAX SHIFING TAX INCIDENCE)-გადასახადის სხვა გადამხდელებზე საგადასახადო ტვირთის ნაწილის ან მთელის გადატანა,მათგან უფრო მაღალი ფასის ამოღების გზით ან მათ მიერ უფრო დაბალი ფასების გადახდით საქონელზე ან მომსახურებაზე;ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ შემოსავლის ან მსყიდველობითი უნარის დაკარგვა,გადასახადების გადანაწილების შედეგად.გადასახადით დაბეგერის შემდეგ.

საგადასახადო შემოსულობათა წმინდა მოცულობა (net taxes)-სახელმწიფოს საგადასახადო შემოსულობებს მინუს სამთავრობო ტრანსფერტული გადასახდელები.

საგარეო ვალი (external debt)-სახელმწიფოს დავალიანება უცხოელი მოქალაქეების,ფირმებისა და დაწესებულებებისადმი.

საგარეო გადასახდელები (outpayments)-ცალკეული პირების,ფირმების და ერთი ქვეყნის მთავრობის მიერ ვალუტის (საკუთარის ან უცხოურის) დახარჯვა საქონელთა და მომსახურების შესაძენად სხვა ქვეყნებში;ფულადი გზავნილებანი საზღვარგარეთ; ინვესტიციური შემოსავლის მოთავსება სხვა ქვეყნებში და კაპიტალის გატანა.

საგარეო ვაჭრობის კრიზისი (foreign-trade crisis)-მსხვილი და მზარდი საგარეო საეაჭრო დეფიციტები.

საგარეო ვაჭრობის რეგულირება (trade controls)-ბაჟების,საექსპორტო სუბსიდიების, იმპორტული ქვოტების შემოღება და სხვა ღონისძიებები,რომელთა მიღება შეუძლია სახელმწიფოს ექსპორტის გაფართოებისა და იმპორტის შემცირებისათვის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით.

საგარეო საგადასახადო შემოსულობები (inpayments)-ცალკეული პირების ,ფირმების და ქვეყნების მთავრობების საეალუტო (საკუთარი და უცხოური) შემოსულობები სხვა ქვეყნებიდან,როგორც მათზე გაყიდულ საქონელთა და მომსახურების საზღაური,შემოსავლები ინვესტიციებისაგან,სხვადასხვა სახის ფულადი გზავნილებები და კაპიტალის მოდენა.

საგარეო სავაჭრო დეფიციტი (trade deficit)-ქვეყნის საქონლური იმპორტის გადაჭარბება მის საქონლურ ექსპორტზე.

საერთო ამონაგები,შემოსავალი (total revenue)-ფირმის (ან ფირმების) მიერ საქონლის გაყიდვისაგან ამოგებული დოლარების რაოდენობა;ტოლია საქონელთა შეძენის საერთო დანახარჯებისა,რომელიც ფირმის (ან ფირმების) მიერაა გაწეული;ტოლია გაყიდული საქონლის (რომელზეც წარდგენილია მოთხოვნა) რაოდენობისა,გამრავლებული მის გასაყიდ ფასზე.ე.ი. მისი გაყიდვის საშუალო ამონაგებზე.

საერთო დანახარჯები (aggregate experditures)-მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ჯამი.

საერთაშორისო ოქროს სტანდარტი (international gold standard)-მე-19 და მე-20 სდასაწყისში მოქმედი საერთაშორისო სავალუტო სისტემა,რომლის შესაბამისად ყოველი ქვეყანა თავისი ფულადი ერთეულის ღირებულებას გამოხატავდა ოქროს განსაზღვრულ რაოდენობაში.უცვლელ თანაფარდობას ინარჩუნებდა თავის ოქროს მარაგსა და მიმოქცევაში ფულის რაოდენობას შორის და უშვებდა ოქროს თავისუფალ შემოტანას.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები (international monetary reserves)-უცხოური ვალუტები და სხვა აქტივები,მაგალითად,ოქრო,რომელთა გამოყენება ქვეყანას შეუძლია საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად.

საერთო წონასწორობის ანალიზი (general equibrilium analysis)-საბაზრო სისტემის,როგორც მთელის გამოკვლევა;ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევა წონასწორობით ფასებსა,პროდუქტის მოცულობებსა და დასაქმების დონეებს შორის ყველა ბაზრებზე.

საექსპორტო გარიგება (export transaction)-საქონელთა და მომსახურების გაყიდვა,რომელიც უცხოური ფულის რაოდენობას ადიდებს მოცემული ქვეყნების მოქალაქეების,ფირმების,და მთავრობების ხელში.

საავალდებულო რეზერვი (required reserve)-კანონით გათვალისწინებული რეზერვი.

საავალუტო კურსი (exange rate the rate of exange)-ფასი,რომელსაც საკუთარი ვალუტით იხდიან უცხოური ვალუტის ერთეულზე;კურსი,რომლის მიხედვითაც ერთი ქვეყნის ვალუტა იცვლება სხვა ქვეყნის ვალუტაზე.

საავალუტო კურსის დეტერმინანტი (exange rate determinant)-ნებისმიერი ფაქტორი,საავალუტო კურსთან ერთად,რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნას და მიწოდებას უცხოური ვალუტის ბაზარზე.

საავალუტო კურსის შემცირება (exange rate deprication)-ქვეყნის ვალუტის ღირებულების შემცირება უცხოურ საავალუტო ბაზრებზე;ვალუტის გასაცვლელი კურსის შემცირება უცხოური ვალუტის მიმართ.

საგაჭრო ბალანსი (trade balance)-ქვეყნის საქონლური ექსპორტის მოცულობა,მისი საქონლური იმპორტის გამოკლებით.

საზოგადოების ინტერესებისათვის რეგულირების თეორია (public interest theory of regulation)-დაშვება,რომლის თანახმად დარგის რეგულირების მიზანი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან საზოგადოების (მომხმარებელთა) დაცვაში მდგომარეობს,რასაც ბუნებრივი მონოპოლიები ფლობენ.

საზოგადოებრივ ანგარიშთა შედგენა (national income accountig),იხ.ეროვნულ ანგარიშთა შედგენა.

საზოგადოებრივად ოპტიმალური ფასი (socially optimal price)-პროდუქტის ფასი,რომელიც ეკონომიკაში რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიანი განაწილების საშუალებას იძლევა და რომელიც პროდუქტის უკანასკნელი ერთეულის წარმოების ზღვრული დანახარჯების ტოლია.

საზოგადოებრივი სარგებლორის საწარმო (public utility)-ფირმა,რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქციას ან მომსახურებას აწარმოებს,რომელსაც სახელმწიფოსაგან მიღებული აქვს განსაკუთრებული უფლება,იყოს ამ პროდუქციის ან მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი,და მთავრობის მიერ რეგულირდება მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საზოგადოებრივი საქონელი (public good)-საქონელი ან მომსახურება,რომელთა მიმართ განსაკუთრებულობის პრინციპი არ გამოიყენება და რომელთა წარმოება სახელმწიფოს მიერ უზრუნველიყოფა,იმ პირობით,რომ ისინი არსებით სარგებელს მოუტანენ საზოგადოებას.

საინვესტიციო მოთხოვნის მრუდი (investment-demand curve)-მრუდი,რომელიც სარგებლის განაკვეთის დინამიკას (ორდინატთა ღერძზე) და ინვესტიციების მოცულობას გვიჩვენებს სარგებლის სხვადასხვა განაკვეთების დროს (აბსცისთა ღერძზე).

საკასო ნაღდი ფული (vault cash, till money)-ფული,რომელსაც ბანკი ინახავს თავის სეიფებსა და სალაროებში.

საკრედიტო კავშირი (Credit unuon)-საერთო ინტერესებით გაერთიანებულ პირთა ასოციაცია (მაგალითად,ერთი ფირმის მუშები და მოსამსახურეები ან პროფკავშირის წევრები),რომელიც თავის წევრებზე ყიდის აქციებს (მათგან ღებულობს ანაბრებს) და სესხებს აძლევს მათ.

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა (monetary policy)-ფულის მასის შეცვლა მიმოქცევაში,სრული დასაქმების პირობებში ებთობლიეი პროდუქტის არაინფლაციური წარმოების მიზნით.

საკუთარი კაპიტალი (net worth)-აქტივების საერთო სიდიდეს მინუს ფირმის ან ცალკეული პირის ვალდებულებათა საერთო სიდიდე;ფირმის მესაკუთრეთა წილი აქტივების საერთო მოცულობაში.

საკუთარი სარგებლობა, დაინტერესება (self-interest)-მიზნები,რომლებსაც ყოველი ფირმა,საკუთრების ყოველი მფლობელი,უშუალო მომხმარებლები საკუთარსოდ მიიჩნევენ თავიანთთვის და რომლის მიღწევასაც ცდილობენ.

საკუთრებისა და მართვის ფუნქციების გაყოფა (separation of ownership and control)-განსხვავება პირთა ჯგუფებს შორის,რომლებიც კორპორაციებს ფლობენ (აქციების მფლობელები) და იმ პირთა ჯგუფებს შორის,რომლებიც მას მართავენ (დირექტორებსა და ხელმძღვანელ პერსონალს) და ასევე განსხვავება ამ ორი ჯგუფის ინტერესებს (მიზნებს) შორის.

სამარცვლეულო რეზერვების პროგრამა (grain reserve program)-პროგრამა,რომლის საფუძველზე იქმნება მარცვლეულის რეზერვები (სახელმწიფო),მისი საბაზრო მიწოდების შემცირების მიზნით ისეთ პერიოდებში,როდესაც მარცვლეულის ფასი ეცემა და მარცვლეულის გაყიდვა სწარმოებს ამ რეზერვებიდან მისი საბაზრო მიწოდების გადიდების მიზნით იმ პერიოდებში,როდესაც მისი ფასები მკვეთრად იზრდება.

სამთავრობო ტრანსფერტული გადასახდელები (governement transfer payment)-მთავრობის მიერ ფულის დახარჯვა (ან საქონელთა და მომსახურების),რომლის სანაცვლოდ იგი არ ღებულობს მიმდინარე წარმოების საქონლებსა და მომსახურებას.

სამომხმარებლო ბიუჯეტის მრუდი (budget line)-მრუდი,რომელიც ორ საქონელთა სხვადასხვა რაოდენობის კომბინაციებს გვიჩვენებს,რომელთა ყიდვაც მომხმარებელს შეუძლია თავისი ფულადი შემოსავლის მოცემული დონის პირობებში.

სამთავრობო შესყიდვები (governement purchases)-მთავრობის ფულადი გადასახდელები ,რომლებისთვისაც იგი მიმდინარე წარმოების საქონლებსა და მომსახურებებს ღებულობს.

სამომხმარებლო კრედიტის მიწოდების სამართლიანი პირობების შესახებ 1968 წ.კანონი (Truht in Lending Act)-ფედერალური კანონი,რომელიც მიზნად ისახავს მოსესხე-მომხმარებელთა დაცვას,და რომელიც მოითხოვს,რომ კრედიტორებმა მათ დროულად და მოკლედ, გასაგები ენით აცნობონ კრედიტის პირობები (სესხის გადასახ-დელი და სარგებლის წლიური ნორმა).

სამომხმარებლო საქონლები (consumer goods)-საქონლები და მომსახურებები,რომლებიც ადამიანის მოთხოვნებს უშუალოდ აკმაყოფილებენ.

70-ის სიდიდის წესი (rife of 70)-წლების რაოდენობის გაანგარიშების მეთოდი,რომლის განმავლობაშიც ფასების დონე შეიძლება ორჯერ გაიზარდოს;ციფრი 70 იყოფა ინფლაციის წლიურ დონეზე.

სამუშაოზე უფრო უკეთესი დაქირავება (preferencial hiring)-პრაქტიკა (ხშირ შემთხვევაში ნამოწერილია კოლექტიური ხელშეკრულების

მუხლებით პროფკავშირსა და მეწარმეს შორის),რომელიც მოითხოვს,რომ მეწარმემ საქმეზეაზე დაიქირაოს მხოლოდ პროფკავშირის წევრები,იმ შემთხვევებში,როდესაც ასეთი არსებობს პრეტენდენტებს შორის,და რომელიც პროფკავშირის არწევრთა დაქირავებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს,როდესაც პრეტენდენტებს შორის არ არის პროფკავშირის წევრები.

სამუშაო ძალა, თვითმოქმედი მოსახლეობა (labor force)-16 წლამდე და უფრო მეტი ასაკის მომუშავე და უმუშევარ პირთა საერთო რაოდენობა,ფსიქიტრულ საავადმყოფოებსა და შრომაგასწორების დაწესებულებებში მყოფთა გამოკლებით.

სამუშაო ძალის ანაზღაურების ზღვრული ხარჯები (marginal labor cost)-შრომაზე საერთო დანახარჯების ნაზატი,როდესაც ფირმა შრომის დამატებით ერთეულს იყენებს (ამასთან სხვა გამოუყენებელ ერთეულთა რაოდენობა უცვლელი რჩება);ტოლია შრომაზე საერთო დანახარჯების ცვლილება,გაყოფილი გამოყენებული შრომის რაოდენობის ცვლილებაზე.

სამუშაო ძალის დანახარჯები პროდუქციის ერთეულში (unit labor cost)-ფულადი ხელფასის განაკვეთი,გაყოფილი მუშის საშუალო გამომუშავებაზე.

სამუშაო ძალის კონკურენტული ბაზარი (competitive labor market)-ბაზარი,რომელზეც ფირმათა დიდი რაოდენობა (ერთმანეთს შორის შეთანხმების გარეშე) მოთხოვნას წარადგენს დიდი რაოდენობის მუშათა სამუშაო ძალის კონკრეტულ სახეობაზე,რომლებიც პროფკავშირის წევრები არ არიან.

სანედლეულო ბალანსების მეთოდი (materials balanca approach)-გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემათა გადაჭრის მეთოდი,რომლის დახმარებითაც წარმოების ნარჩენების მასას შეაჯერებენ გარემოს მიერ ამ ნარჩენების აბსორბირების უნართან.

საოჯახო მეურნეობა (household)-ეკონომიკური ერთეული,რომელიც ერთი ან მეტი პირისაგან შედგება და ეკონომიკას რესურსებით ამარაგებს და მისგან მიღებულ ფულს იმ საქონელთა და მომსახურების შესაძენად იყენებს,რომლებიც ადამიანის მატერიალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

საპატენტო კანონები (patent laws)-ფედერალური კანონები ,რომლებიც გამმგონელებსა და რაციონალიზატორებს განსაკუთრებულ უფლებას აძლევს ახალი პროდუქტებისა და მანქანების წარმოებასა და გაყიდვაზე 17 წლის მანძილზე.

სარგებელი (interest)-ფულის (ან სესხის) სარგებლობის საფასური

სარგებლიანობა (utility)-საქონლის ან მომსახურების უნარი,დააკმაყოფილოს მოთხოვნები,კმაყოფილება ან სიამოვნება,რომელსაც მომხმარებელი საქონლის ან მომსახურების (ან საქონელთა და მომსახურების ანაკრების მოხმარებისაგან) ღებულობს.

სარგებლიანობის მაქსიმიზების წესი (utility-maximizing rule)-უდიდესი სარგებლიანობის მისაღებად მომხმარებელმა თავისი ფულადი შემოსავალი ისე უნდა გაანაწილოს,რომ უკანასკნელმა დოლარმა,რომელიც დახარჯულია ყოველ საქონელსა და მომსახურებაზე,ტოლდიდი ზღვრული სარგებლიანობა უნდა მოიტანოს;ყოველი საქონლისა და მომსახურების ზღვრული სარგებლისნობა,გაყოფილი მის ფასზე,ერთნაირი უნდა იყოს ყველა საქონლისა და მომსახურებისათვის.

სარგებლის განაკვეთის ეფექტი (interest-rate effect)-ფასების გადიდება (შემცირება) ფულზე მოთხოვნის გადიდებას (შემცერებას) იწვევს,ზრდის (აკლებს) სარგებლის განაკვეთებს,და საბოლოოდ,ამცირებს (ადიდებს) ხარჯების საერთო დონეს ქვეყანაში.

სარგებლის ნომინალური განაკვეთი (nominal interest rate)-სარგებლის განაკვეთი,გამოხატული დოლარებში,მიმდინარე კურსით (ინფლაციაზე შესწორების გარეშე).

სარგებლის განაკვეთი (rate of interest)-ფულის ან კაპიტალის გამოყენების საფასური.

სარგებლის რეალური განაკვეთი (real interest rate)-სარგებლის განაკვეთი ფულადი გამოხატულებით (ინფლაციის გათვალისწინებით);სარგებლის ნომინალური განაკვეთის ტოლია,ინფლაციის გათვალისწინებით.

სარგებლის სპეციფიკური განაკვეთი (the rate of interest)-სარგებლის განაკვეთი,რომელიც გადაიხდება მხოლოდ ფულის გამოყენებისათვის,ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და რომელიც გამორიცხავს გადახდას სესხებთან დაკავშირებულ რისკ'სე და ადმინისტრაციულ ხარჯებს;დაახლოებით ტოლია სარგებლის განაკვეთისა,რომელიც გადაიხდება აშშ მთავრობის ხანგრძლივვადიანი ობლიგაციებისათვის და ფაქტობრივად დაკავშირებული არაა არანაირ რისკთან.

სარეზერვო ნორმა (reserve ratio)-დეპოზიტურ ვალდებულებათა დადგენილი მინიმალური პროცენტი,რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრ ბანკებს უნდა ჰქონდეთ თავისი ოკრუგის ფედერალურ სარეზერვო ბანკში ან საკუთარ საცავში.

სასამართლო მითითება (inijunction)-სასამართლო ინსტანციის მითითება (მიწერილობა),რომელიც ადამიანს ან ორგანიზაციას ავალდებულებს არ ჩაიდინოს განსაზღვრული ქმედება,რამდენადაც,ასეთი ქმედება დააზარალებს სხვა ადამიანს ან ადამიანებს;ამკრძალავი მითითება.

სასურსათო ტალონების პროგრამა (Food stamp program)-აშშ-ში მოქმედი პროგრამა,რომელიც დაბალშემოსავლიან პირებს კუპონების,ცალობრივი ფასიდან ფასნამოკლებით ან უფასოდ შეძენის საშუალებას

აძლევს,რომლებიც ცალობრივ მაღაზიებში შეიძლება სასურსათო საქონელ-ზე გაიცვალოს.

საფასო დისკრიმინაცია (price discrimination)-ერთი და იგივე მომენტში ერთი პროდუქტის გაყიდვა სხვადასხვა ფასით,როდესაც ფასებში განსხვავება სხვადასხვა მყიდველებისათვის გამართლებული არაა ამ პროდუქტის წარმოების სხვადასხვა დანახარჯებით;საფასო პოლიტიკა,რომელიც კლიენტონის კანონით დანაშაულებრივადაა გამოცხადებული იმ შემთხვევაში,როდესაც იგი ზღუდავს კონკურენციას.

საქველმოქმედო პროგრამები (welfare programs)-იხ.სახელმწიფო დახმარების პროგრამები.

საქონელთა დიფერენციაცია (product diferentiation)-ფიზიკური ან სხვა განსხვავებები სხვადასხვა ფირმების საქონლებს შორის,რომლებიც ინდივიდუ-ალურ მყიდველებში ერთი ფირმის საქონელთა მეჯობინებას იწვევენ სხვა ფირმათა საქონლის წინაშე (იმ პირობით,რომ გამყიდველები მას ერთნაირ ფასში ყიდიან).

საქონელთა და მომსახურების ბალანსი (balance goods and services)-ქვეყნის საქონელთა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა მის საქონელთა და მომსახურებების იმპორტის გამოკლებით.

საქონელთა და მომსახურების სამთავრობო შესყიდვები (government purchases of goods and services)-ფედერალური და ყველა ადგილობრივ ხელისუფალთა გადასახდელები მსა საქონელსა და მომსახურე-ბაზე.

საქონლური ბაზარი,პროდუქტების ბაზარი (product marcet)-ბა-ზარი, რომელზეც საოჯახო მეურნეობები იძენენ,ხოლო ფირმები ყიდიან მათ მიერ წარმოებულ პროდუქტებს.

საშუალო ამონაგები (average revenue)-პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების საერთო რაოდენობა გაყოფილი გაყიდული პროდუქციის რაოდენობაზე (ან პროდუქციის რაოდენობაზე,რომელზეც წარდგენილია მოთ-ხოვნა);ტოლია ფასისა,რომლითაც საქონელი გაიყიდა იმ პირობით,რომ ნაწარმის ყველა ერთეული ერთნაირ ფასშია გაყიდული.

საშუალო მუდმივი ხარჯები, სმხ (average fixed costs)-ფირმის მუდმივი დანახარჯების საერთო მოცულობა,გაყოფილი მისი პროდუქციის მოცულობაზე (წარმოებული პროდუქციის რაოდენობა'ს).

საშუალო პროდუქტი (averagr product)-გამოყენებული რესურსის ერთეულ-ზე,წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობა (პროდუქციის საერთო მოცულო-ბა,გაყოფილი გამოყენებული რესურსების რაოდენობა'ზე).

საშინაო სახელმწიფო ვალი (internaly held public debt)-სახელმწიფოს

დაკალიანება მოცემული ქვეყნის მოქალაქეებსა,ფირმებზე ან დაწესებულებებსე (ე.ი.მოცემული ქვეყნის მთავრობის ფასიანი ქაღალდების მფლობელების).

საშუალო (საერთო) ხარჯები (average-total-cost)-ფირმის ხარჯების საერთო მოცულობა,გაყოფილი მისი პროდუქციის მოცულობაზე (წარმოებული პროდუქციის როდენობაზე);ტოლია მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ჯამისა.

საშუალო ცვალებადი ხარჯები (average variable cost)-ფირმის ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა,გაყოფილი მისი პროდუქციის მოცულობაზე (წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე).

სანეკო ანაბარი (checkable deposit)-ნებისმიერი ანაბარი კომერციულ ბანკში ან შემნახველ დაწესებულებაში,რომლებზედაც შეიძლება ჩეკის გამოწერა;მოიცავს უვადო ანაბრებს,ანაბრებს წარმომდგენზე ჩეკის გამოწერის,შემნახველ ანგარიშზე ავტომატური გადატანის უფლებით და ასევე ანმარიშებს საკრედიტო კავშირებში.

საწარმო, ქარხანა (plant)-რეალური საწარმო (მიწის და კაპიტალის ჩათვლით),რომელიც ერთ ან მეტ ფუნქციებს ასრულებს საქონელთა და მომსახურების წარმოებაში (დამზადებასა და გასაღებაში).

საწარმო, რომელიც პროფკავშირის წევრებს სამუშაოდ არ ღებულობს (nonunion shop)-საწარმო,რომლის მომუშავეთაგან არაუნაა პროფკავშირის წევრი (და რომელშიც მეწარმე ცდილობს დაიქირაოს მხოლოდ ისეთი მუშები,რომლებიც არ ცდილობენ პროფკავშირში შესვლას).

საწარმო,რომელშიც ყველა მომუშავე პროფკავშირის წევრი უნდა იყოს (union shop)-საწარმო,რომელშიც მეწარმე იმ მუშებს ქირაობს,რომლებიც ან უკვე არიან პროფკავშირის წევრები ან არწევრებს,რომლებიც ვალდებულებას კისრულობენ განსაზღვრულ ვადაში შეეიდნენ პროფკავშირში (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს სამუშაოს).

საწარმო რომელშიც მუშაობა შეუძლიათ არა მხოლოდ პროფკავშირის წევრებს (open shop)-საწარმო,რომელშიც სამუშაოდ შეიძლება მიღებულიქნან როგორც პროფკავშირის წევრები,ისე მუშები,რომლებიც პროფკავშირის წევრები არ არიან (და არც ვალდებული არიან მასში შეეიდნენ).

საწარმოს არაპირდაპირი გადასახადები (indirect business taxes)-ბრუნვის გადასახადი,სააქციზო გადასახადი,ქონებრივი გადასახადი,მეურნეობრივი და წარმოებითი საქმიანობის წარმართვის ნებართვის ანაზღაურება,ასევე სხვადასხვა ტარიფები,რომლებიც ფირმებს პროდუქტის წარმოების დანახარჯებში შეაქვთ და მომხმარებელს აკისრებენ (მთლიანად ან ნაწილობრივ),პროდუქტის ფასის მომატების გზით.

სახელმწიფო არჩევანის თეორია (public choice theory)-ეკონომიკური რესურსების გამოყენების შესახებ სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის აღწერა.

სახელმწიფო დახმარების პროგრამები (public assistance programs)-იმ პირებისადმი დახმარების პროგრამები,რომლებსაც საკუთარი სარჩენის გამომუშაევება არ შეუძლიათ (ინვალიდები და მშობლების კმაყოფაზე მყოფი ბავშვები);ეს პროგრამები საერთო საგადასახადო შემოსულობებიდან ფინანსდება,ხოლო დახმარებები განიხილება,როგორც სახელმწიფო ქველმოქმედება (ე.ი.არა როგორც გამომუშავებული უფლება მათზე).

სახელმწიფო ვალი (public debt)-ფასიანი ქაღალდების მფლობელებისადმი ფედერალური მთავრობის საერთო დავალიანების სიდიდე,რომელიც წარსული ბიუჯეტური დეფიციტების ტოლია (მინუს ბიუჯეტური ნაშეტი).

სახელმწიფო ვალის გამოსყიდვა (retiring the public debt)-სახელმწიფო ვალის სიდიდის შემცირება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის ფულის მიცემის გზით,დაფარვის ვადის დადგომისთანავე.

სახელმწიფო ვალის რეფინანსირება (refinancig the public debt)-აშშ მთავრობის მიერ ფულის გაცემა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის,რომელთაც დაფარვის ვადა დაუდგათ,ახალი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული სახსრებიდან,ან დაფარული (ანაზღაურებული) ფასიანი ქაღალდების ახალზე გაცვლა.

სახელმწიფო საკუთრება (state owenship)-საკუთრება (მიწის,კაპიტალის),რომელიც მთავრობას (სახელმწიფოს) ეკუთვნის.

სახელმწიფო სექტორი (public sector)-ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი,რომელსაც მთლიანად სახელმწიფო აკონტროლებს;მთავრობა.

სახელმწიფო სექტორის უსუსურობა (poublic-sector failure)-სახელმწიფო სექტორის (მთავრობის) უუნარობა, გადაჭრას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები,რამდენადაც იგი თავის ფუნქციებს ეკონომიკურად არაეფექტიანი მეთოდებით ასრულებს.

სახელმწიფო ფინანსების თეორია (public finance)-"ეკონომიკისს" განყოფი-ლება,რომელიც სახელმწიფო შემოსავლებს და გასავლებს შეისწავლის.

სახელმწიფო შესყიდვები (government purchases)-მთავრობის ფულადი გადასახდელები,რომელთათვისაც იგი მიმდინარე წარმოების საქონლებსა და მომსახურებებს ღებულობს.

სეის კანონი (Say's Law)-მაკროეკონომიკური პრინციპი,რომლის თანახმადაც საქონელთა და მომსახურების წარმოება (მიწოდება) მათზე თანაბარ ერთობლივ მოთხოვნას ქმნის.

სელერ-კეფოვერის კანონი (Celler-Kefauver Act)-ფედერალური აქტი,რომელმაც შესწორება შეიტანა კლეიტონის კანონში,რომელიც ფირმის მიერ სხვა

ფირმათა აქტივების შეძენას კრძალავდა.თუკი იგი კონკურენციის შეზღუდვას გამოიწვევდა.

სელექტიური რეგულირება (selective controls)-ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ კრედიტის ზოგიერთი კონკრეტული სახეობის ხელმისაწვდომობის შეცვლის გამოყენებული მეთოდები.

სიღარიბე, სიღატაკე (poverty)-მდგომარეობა,როდესაც ინდივიდის ან ოჯახის ძირითადი მოთხოვნები აჭარბებენ მათი დაკმაყოფილების არსებულ საშუალებებს.

სიღარიბის დონე (poverty rate)-მოსახლეობის წილი ფედერალური მთავრობის მიერ შემოსავლის დადგენილ დონეზე დაბალი შემოსავლით,რომელიც სიღარიბეს ესაზღვრება.

სიღარიბის მანკიერი წრე (vicious circle of poverty)-ყველა განვითარებული ქვეყნის საერთო პრობლემა,რაც იმაში მდგომარეობს,რომ მოსახლეობის ერთ სულზე დაბალი შემოსავალი დანაზოგებისა და ინვესტიციების იმ დონეზე განხორციელების საშუალებას არ იძლევა,რომელიც აუცილებელია ეკონომიკური ზრდის მისაღები ტემპების მისაღწევად.

სმუტ-ჰაულის 1930 წ.კანონი ტარიფების შესახებ (Smoot-Hawley Tariff Act)-კანონი,რომელიც რიგ საქონელზე ყველაზე მაღალ საბაჟო გადასახდელებს აწესებდა აშშ-ს მთელი ისტორიის მანძილზე;ძირითადად ისახავდა იმპორტის შემცირებას და საშინაო ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას.

სოლიდარობის გაფიცვა (sumpathy strice)-პროფკავშირის წევრების მიერ საწარმოში მუშაობის მიტოვება,რომელსაც თავის მეწარმესთან კონფლიქტი არა აქვს,მაგრამ სურს დახმარება აღმოუჩინოს სხვა პროფკავშირს,რომელიც კონფლიქტშია თავის მეწარმესთან.

სოციალური დაზღვევის პროგრამები (social security programs)-პროგრამები,რომლებიც ანაზღაურებენ დანაკარგებს პენსიაზე გასვლისას და დროებით უმუშევრობისას,რომლებიც ფინანსდება ხელფასიდან გადასახადების ხარჯზე და განიხილება როგორც გამომუშავებული უფლება (ე.ი.არა როგორც ქველმოქმედება).

სოციალური რეგულირება (social regulation'-რეგულირების უახლესი და სპეციფიკური სახეობა,როდესაც სახელმწიფო შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოების პირობებს.მათ ფიზიკურ თვისებებს და გავლენას,რომელსაც მათი წარმოება ახდენს საზოგადოებაზე;დარგობრივი რეგულირების საპირისპირო.

სოციალური უზრუნველყოფის დამატებითი პროგრამა (Supplemental Security Income. SSI)-ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებადი და განხორციელებული პროგრამა,რომელიც უზრუნველყოფს ხანდაზმულების,უსინათლოებისა და შრომის უუნაროებისათვის ქვეყნის მიხედვით ერთიან მინიმალურ შემოსავალს,რომ-

ლებიც ვერ ხედებიან შრომისუუნარობისა და დაზღვეული მარჩენალის დამკარგავი სარჩენის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში და უმუშევრობის სახელმწიფო დახმარების პროგრამაში.

სპეციალიზაცია (specialization)-ინდივიდის,ფირმის,რეგიონის ან ქვეყნის მიერ რესურსების გამოყენება საქონელთა და მომსახურების ერთი ან რამდენიმე სახეობის საწარმობლად.

სრული დასაქმება (full employment)-1)-ეკონომიკის მიერ საქონელთა და მომსახურების წარმოებისთვის ყველა არსებული რესურსის გამოყენება;2) დასაქმების ისეთი დონე,როდესაც არსებობს მხოლოდ ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა,მაგრამ არ არსებობს ციკლური უმუშევრობა (როდესაც რეალური წეპ-ი პოტენციური წეპ-ის ტოლია).

სრული დასაქმების ბიუჯეტი (full employment budget)-ფედერალური მთავრობის ხარჯების ყოველწლიური გარდასამეტი მის შემოსავლებზე.

სტაგფლაცია (stagflation)-ინფლაცია,რომელსაც თან ახლავს წარმოების სტაგნაცია და უმუშევრობის მაღალი დონე ქვეყანაში;ფასების დონისა და უმუშევრობის დონის ერთდროული გადიდება.

სტატიკური ეკონომიკა (static economy)-1) ეკონომიკა,რომელშიც საშინაო ინვესტიციების წმინდა მოცულობა ნულის ტოლია,ხოლო კერძო საშინაო ინვესტიციათა მთლიანი მოცულობა ექსპორტიზაციო ანარიცხების ტოლია;2) ეკონომიკა,რომელშიც რესურსების მიწოდება,ტექნიკა და ტექნოლოგია,მომხმარებელთა გემოვნებები არ იცვლება,და ამიტომ მისი მომავალი საცხებით განჭვრეტადია.

სტანდარტიზებული საქონელი (standardiced product)-პროდუქტი,რომელიც მყიდველისთვის სულ ერთია რომელი გამყიდველისგან შეიძენს,იმ პირობით,რომ მისი ფასი ყველა გამყიდველთან,ერთნაირია;პროდუქტი,რომლის ყველა ერთეულები მთლიანად ცვლის ერთიმეორეს (ე.ი.იდენტურია).

სტრუქტურული დეფიციტი (structural deficit)-განსხვავება ფედერალური გადა-სახადების შემოსულობებსა და ფედერალურ ხარჯებს შორის,სრული დასაქმების პირო-ბებში.

სტრუქტურული უმუშევრობა (structural enomployment)-უმუშევრობა,რომელიც გამოწვეულია სამომხმარებლო საქონელსა და წარმოების ტექნოლოგიის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებით;მუშები,რომლებიც უმუშევარი დარჩნენ ან მათ პროფესიაზე მეწარმეთა მხრივ მოთხოვნის არარსებობის,ან მათ მიერ სამუშაოს მისაღებად საკმარისი კვალიფიკაციის უქონლობის გამო.

სტრუქტურულ ცვლილებათა ჰიპოთეზა (structural-change hypothesis)-კონცეფცია,რომელიც აშშ-ში პროფ.ე.ეშირული მოძრაობის შედარებით დაქვეითებას ხსნის სტრუქტურული [illegible] ეკონომიკასა და სამუშაო ძალაში.

სუბსიდია (subsidy)-მთავრობის ფირმის ან საოჯახო მეურნეობის მიერ ფულის (საქონლის და მომსახურების) გადახდა,რომელთა სანაცვლოდ ისინი ღებულობენ საქონელსა და მომსახურებას;როდესაც ასეთი გადახდა სწარმოებს სახელმწიფოს მიერ,იგი წარმოადგენს საერთაშორისო ტრანსფერენტულ გადასახდელს.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tariffs and Trade, GATT)-1947 წ.დადებული ხელშეკრულება 23 სახელმწიფოს შორის (მ.შ.აშშ-ც),რომელშიც თითოეული შეთანხმდა სხვებს ვაჭრობის თანაბარი და არადისკრიმინაციული რეჟიმი შესთავაზოს,შეამციროს ტარიფები მრავალმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე და გარკვეული დროის შემდეგ გაუქმოს იმპორტული ქვოტები.

ტაფტ-ჰარტლის 1947 წ.კანონი (Taft-Hartley Act)-ფედერალური კანონი,რომელიც ნიშნავდა გადასვლას პროფკავშირების სამთავრობო მხარდაჭერიდან,მათი საქმიანობის სამთავრობო რეგულირებაზე.

ტექნოლოგია (technology)-ცოდნის მოცულობა,რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური რესურსებისაგან საქონელთა და მომსახურების საწარმოებლად.

ტრადიციული ეკონომიკა (tradicional economu-customary economy)-ეკონომიკური სისტემა,რომელშიც ტრადიცია და წეს-ჩვეულება განსაზღვრავს იშვიათი რესურსების გამოყენების პრაქტიკას.

ტრადიციული თვალსაზრისი ოლიგოპოლიის შესახებ (tradicional view of oligo-poly)-თეორია,რომლის თანახმად ოლიგოპოლიის საქმიანობა (რამდენადაც ეგი მონოპოლიის ანალოგიურია) იწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას,ფასებისა და მოგებათა მომატებას,ტექნიკური პროგრესის შენელებას.

ტრანსფერტული გადასახდელი (transfer paument)-მთავრობის ან ფირმის მიერ საოჯახო მეურნეობაზე ან ფირმაზე ფულის გადახდა (ან საქონელთა და მომსახურების გადაცემა),რომელთა სანაცვლოდ გადამხდელი უშუალოდ არ ღებულობს საქონელსა და მომსახურებას.

ტრანსფერენტულ გადასახდელთა წმინდა მოცულობა (net transfers)-სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებზე პირად და სამთავრობო ტრანსფერტულ გადასახდელებს მინუს სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებისაგან მიღებული პირადი და სამთავრობო ტრანსფერენტული გადასახდელები.

ტრანსფერენტულ მომსახურებათა ავტომატური ანგარიში (automatic transfer service account, ARS account)-საჩეკო ანგარიშის კომბინაცია კომერციული ბანკის სარგებლის მომტან შემნახველ ანგარიშთან,რაც საშუალებას იძლევა ერთიდან მეორე ანგარიშზე ფულის ავტომატური გადარიცხვისთვის,მასზე ჩეკის გამოწერის შემთხვევაში (ტმაა).

უვადო ანაბარი (demand deposit)-ანაბარი კომერციულ ბანკში,რომელსაც შეიძლება გამოწერილ იქნას ჩეკი;მიმდინარე ანგარიში ან ფული მიმდინარე ანგარიშზე.

უკუკავშირის ეფექტი (feedback effects)-მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის ზეგავლენა (სარგებლის ნორმაზედასახული ინვესტიციების მოცულობაზე და წონასწორობით წეპ-ზე ზემოქმედების შედეგად) ფულზე მოთხოვნაზე,რომელიც თავისთავად უშუალოდ დაკავშირებულია წეპ-თან.

უკუდამოკიდებულება (inverse negative relationship)-ცვლადთა ორი რიგი,რომლებიც საპირისპირო მიმართულებით იცვლებიან;მაგალითად,პროდუქტის ფასი და მოთხოვნის სიდიდე.

უკუნაკადი (backflow)-მუშათა დაბრუნება ქვეყნებში,რომლებიდანაც ისინი თავდაპირველად იყვნენ ემიგრირებული.

უილერ-ლის 1938 წ.კანონი (Wheller-Lea Act)-ფედერალური კანონი,რომელმაც ფედერალური საეჭრო კომისიის შესახებ კანონში შესწორება შეიტანა,რომელიც კრძალავდა არაპატიოსან და მოტყუებით ქმედებებს ეაჭრობაში (არაკეთილსინდისიერ რეკლამას,საქონელთა შესახებ მონაცემების დამახინჯებას).

უმაღლესი კატეგორიის საქონელი (superior good)-საქონელი ან მომსახურება,რომლებსაც მოიხმარებლები იძენენ ნაკლები (დიდი) რაოდენობით,ნებისმიერი ფასის დროს,როდესაც მათი შემოსავლები იზრდება (მცირდება).

უმუშევრობის"ბუნებრივი"დონის ჰიპოთეზა (natural rates hypothesis)- ეკონომიკის ხანგრძივვადიანი სტაბილურობის ჰიპოთეზა უმუშევრობის"ბუნებრივი"დონის დროს;იგულისხმება,რომ უმუშევრობის ასეთი დონის დროს ფილიპსის მრუდი ვერტიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

უმუშევრობის დაზღვევა (unempliyment insurance)-დაზღვევის პროგრამა,რომელიც აშშ-ში ფინანსდება შტატებში მეწარმეთა მიერ ხელფასიდან გადახდილი გადასახადების ხარჯზე და შემოსავალს უზრუნველყოფს მუშებისთვის,რომლებმაც სამუშაოს იმედი დაკარგეს.

უმუშევრობის დონე (unemployment rate)-სამუშაო ძალის წილი,რომელიც დასაქმებული არაა ყოველ მოცემულ მომენტში.

უმუშევრობის დონე სრული დასაქმების პირობებში (full-employment unemp-loyment rate)-უმუშევრობის დონე ციკლური უმუშევრობის არარსებობის პირობებში;უმუშევრობის დონე,რომელიც გარკვეული ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის გარდუვალობის გამო შედგება სამუშაო ძალის დაახლოებით 5 ან 6%-საგან.

უმცირესი დანახარჯების უზრუნველმყოფელი რესურსების შეხამების წესი-(least-cost combination rule(of resources))-ყოველი რესურსის რაოდენობის განსაზღვრა,რომელიც ფირმამ უნდა გამოიყენოს პროდუქციის განსაზღვრული რაოდენობის საწარმოებლად უმცირესი დანახარჯებით;რესურ-

სების კომბინაცია,რომლის მიხედვითაც შეუვარდება რესურსის ზღვრულ პროდუქტსა და ზღვრულ ღირებულებას შორის (მის ფასს შორის,თუ რესურსი კონკრეტულ ბაზარზე გამოიყენება) ერთნაირია ყველა გამოყენებული რესურსისთვის.

ურთიერთგამომრიცხავი მიზნები (mutuallu exclusive goals)-მიზნები, რომლებიც ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან და არ შეიძლება მიღწეულ იქნას ერთდროულად.

ურთიერთდამოკიდებულება (mutual interdependence)-სიტუაცია,რომლის დროსაც ფასის (ან რომელიმე პარამეტრის) შეცვლა ერთი ფირმის მიერ თავს ინენს მორე ფირმის ან სხვა ფირმების გაყიდვათა და მოგების მოცულობაში;ამასთან,ნებისმიერი ფირმა,რომელიც ასეთ ცვლილებებს ახდენს,შეიძლება გაუთვალისწინებელ რეაქციას მოელოდეს სხვა ფირმის ან ფირმების მხრივ.

ურთიერთშემავსებელი საქონლები (complementary goods)-ისეთი საქონლები(ან მომსახურებები),რომელთათვისაც უკუთანაფარდობა არსებობს ერთერთი მათგანის ფასსა და მეორეზე მოთხოვნას შორის,ე.ი.ერთი საქონლის (ან მომსახურების) ფასის შემცირება (გადიდება) იწვევს მეორეზე მოთხოვნის გადიდებას (შემცირებას).

ურთიერთშემცველელი საქონელი (substitute goods)-საქონელი (ან მომსახურება) რომელთათვისაც არსებობს პირდაპირი თანაარსებობა ერთერთი მათგანის ფასსა და მეორეზე მოთხოვნას შორის,ე.ი.ერთი საქონლის (ან მომსახურების) ფასის შემცირება (გადიდება) იწვევს მეორის მოთხოვნის შემცირებას (გადიდებას).

ურთიერთმხარდაჭერის პრაქტიკა (logrolling)-კანონმდებელთა ეაჭრობა თავიანთი ხმებით,ძალისხმევათა გაერთიანება,რათა მიღწეულ იქნას ხელსაყრელი გადაწყვეტილება საზოგადოებრივ საქონელთა და მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ.

უსაზღვრო მოთხოვნები (unlimited wants)-მომხმარებელთა დაუცხრომელი სურვილი ჰქონდეთ ისეთი საქონელი და მომსახურება,რომლებიც მათ სიამოვნებას ანიჭებს ან მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

უსიტყვო შეთანხმება (tacit coiiusion)-ოლიგოპოლიის მიერ გამოყენებული,ფასების,პროდუქციის მოცულობისა და ყოველი ფირმისთვის გასაღების რაოდენობის დადგენის,შეთანხმებაზე დაფუძნებული მეთოდი,რომელიც არ შედის პირდაპირ (ღია) შეთანხმებაში (ფორმალურ შეთანხმებათა ან საიდუმლო შეხვედრათა სახით);უსიტყვო შეთანხმების გავრცელებული მაგალითია ლიდერობა ფასებში.

უფროსობის უფლება,შრომითი სტაჟი(seniority)-მუშის მუშაობის სტაჟი მოცემულ მეწარმესთან,რომელიც სხვა მუშათა სტაჟს ჭარბობს ამ საწარმოში;უფლება, რომელსაც იყენებენ საკითხის გადაწყვეტისას იმის შესახებ,თუ რომელი მუშა გაანთავისუფლონ სამუშაოს უკმარისობის შემთხვე-

ვაში,და იმის შესახებ,ისეე ეინ მიიღონ სამუშაოზე,როდესაც ისეე საჭირო ხდება სამუშაო ძალა.

უჩეკო შემნახველი ანგარიში (noncheckable savings account)-შემნახველი ანგარიში,რომლითაც არ შეიძლება ჩეკის გამოწერა;ანგარიში რომელიც არ წარმოადგენს ანგარიშს გამსესხებელ-შემნახველ ასოციებში,შემნახველი ანაბრების საჩეკო ანგარიშს,ტრანსფერენტულ მომსახურებათა ავტომატურ ანგარიშს ან"შეერ დრაფტის ანგარიშს".

უცხოური ვალუტის ბაზარი (foreign exchange marcet)-ბაზარი,რომელ-ზეც ერთი ქვეყნის ვალუტა გამოიყენება მეორე ქვეყნის ვალუტის შესაძენად (გასაცველელად).

უცხოური კონკურენცია (import competetion, foreigen **competetion)**-კონკურენცია,რომელსაც ერთი ქვეყნის ფირმები აწყდებიან საქონელთა და მომსახუ-რების იმპორტის შედეგად სხვა ქვეყნებიდან.

ფარული ხარჯები (implicit costs, opportunity costs economic costs)-ფულადი შემოსავლები,რომელსაც სწირავს ფირმა-რესურსების მფლობელი,საქონელთა საკუთარი წარმოებისთვის გამოყენებით და არა ბაზარზე სხვა მომხმარებლებზე გაყიდვით (ტოლია შემოსავლის,რომლის მოტანა შეეძლოთ ამ რესურსებს ყველაზე ხელსაყრელი ალტერნატი-ული გამოყენებით).

ფასების დონე (price level)-ფასების საშუალო შეწონილი,რომელსაც იხდიან ქვეყანაში წარმოებული მზა საქონლისა და მომსახურებისთვის.

ფასი (price%ყკ)-ფულის რაოდენობა (ან სხვა საქონელთა და მომსახუ-რების), რომელსაც იხდიან და ღებულობენ საქონლისა და მომსახურების ერთეულზე.

ფასების ჭერი (price ceiling)-საქონელსა და მომსახურებაზე,კა-ნონიერ საფუძველზე დაწესებული მაქსიმალური ფასი.

ფასების ინდექსი (price index)-ინდექსი,რომელიც გვიჩვენებს "საბაზრო კალათას"ფასის ცვლილების დინამიკას,ე.ი.სამომხმარებლო საქონელთა საბაზრო ანაკრების ფასები;გამოიყენება პროდუქციის (შემოსავლის) ნომინალური მოცუ-ლობის გადასაანგარიშებლად პროდუქციის (შემოსავლის) რეალურ მოცულო-ბად.

ინდივიდუალური მიწოდება (individual supply)-ცალკეული გამყიდვე-ლის საქონლის ან მომსახურების მიწოდების გრაფიკი.

ფასების ომი (price war)-ოლიგოპოლისტური დარგის ფირმათა პროდუქციაზე ფასების ხანგრძლივევადიანი და განმეორებადი შემცირება,რომლის მეშვობითაც ფირმები ეარაუდობენ გაყიდვათა და შემოსავლების მოცულობის გადიდებას,მაგრამ რომელიც იშვიათად აძლევს მათ მოგებას.

ფასების წონასწორობითი დონე (equilibrium price level)-ფასების დონე,რომელის დროსაც ერთობლიეი მოთხოვნის მრუდი ჰკვეთს ერთობლიეი მიწოდების მრუდს.

ფასის გადიდების ფაქტორები (price -increasing effect)-ზეგავლენა,რომელსაც კონკურენტულ ბაზარზე წონასწორობით ფასზე ახდენენ მოთხოვნის გადიდებით ან მიწოდების შემცირებით.

ფასის გამანაწილებელი ფუნქცია (rationing function of price)-ფასის უნარი კონკურენტულ ბაზარზე,შემცირებით ან გადიდებით,გაათანაბროს მოთხოვნისა და მიწო-დების სიდიდეები,აღმოფხვრას უკმარისობა და ნამეტები.

ფასისა და ზღვრული ხარჯების ტოლობის წესი (price-marginal cost rule P= MC rule)-ფირმა,რომელიც გამოდის სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე,მაქსიმუმამდე აიყვანს თავის ეკონომიკურ მოგებას ან მინიმუმამდე დაიყვანს ზარალს,პროდუქციის ისეთი რაოდენობის წარმოებით,რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის ფასის ტოლობას ზღვრულ ხარჯებთან,იმ პირობით რომ ფასი ტოლია ან მეტია საშუალო ცვალებადი დანახარჯებისა,მოკლევადიან პერიოდში და ტოლია ან მეტი საშუალო (საერთო) დანახარჯებისა ხანგრძლივვადიან პერიოდში.

ფასის მარეგულირებელი ფუნქცია (guiding function of price)-ფასების ცვლილებათა უნარი,გამოიწვიოს პროდუქტებსა და რესურსებზე მნოთხოვნის,ასევე მათი მიწოდე-ბის მოცულობის ცვლილება;ფასის შემაგულიანებელი ფუნქცია.

ფასის მოკარნახე-(price maker)-საქონლის გამყიდველი (მყიდველი),რომელსაც შეუძლია მის ფასზე ზემოქმედება,გასაყიდად (საყიდად) შემოთავაზებული საქონლის რაოდენობის შეცვლის გზით.

ფასის ქვედა (დაბალი) დონე (price floor)-მინიმალური ფასი,რომელსაც მთავრობა აწესებს და წონასწორობით ფასზე მეტია.

ფასის შემაგულიანებელი ფუნქცია (incentive function)-საქონლის გამყიდველის შეგულიანება გაზარდოს (შეამციროს) მისი მიწოდება,რომელიც წარმოიშობა ამ საქონლის ფასის გადიდების (შემცირების) ზეგავლენით;მყიდველთა შეგულიანება შეიძინონ საქონელი უფრო დიდი (მცირე) რაოდენობით,რომელიც მისი ფასის გადიდების (შემცირების) ზეგავლენით წარმოიშობა.

ფასის შემცირების ფაქტორები (price-decreasing effect)- ზეგავლენა,რომელსაც კონკურენტულ ბაზარზე წონასწორობით ფასზე ახდენენ მოთხოვნის შემცირებით ან მიწოდების გადიდებით.

ფასის შენარჩუნება,შენარჩუნებული ფასი (price support)-სახელმწიფოს მიერ დაწესებული მინიმალური ფასი,რომლის ქვემოთაც საქონლის ან მომსახურების გამყიდველს არ შეუძლია მისი გაყიდვა მყიდველებზე;კანონით დადგენილი ფასი ანუ შენარჩუნებული მინიმალური ფასი.

ფასისადმი შემგუებელი (price tacer)-საქონლის გამყიდველი (მყიდველი),რომელსაც არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ფასზე.გასაყიდად (საყიდად) მიწოდებული საქონლის რაოდენობის შეცვლის გზით.

ფასწარმოქმნა პრინციპით "დანახარჯები პლუს"(cost-plus prichng)-მონოპოლიური ფირმების მიერ გამოყენებული,საქონლის,მათთვის სასურველი ფასის დაწესების მეთოდი,წარმოების საშუალო საანგარიშო ხარჯების საფუძველზე,მასზე განსაზღვრული პროცენტის დამატების გზით.

ფაქტობრივი დარღვევები (per se violations)-შეთანხმებათა სახეები,ისეთები,როგორიცაა ფასის დაწესების,ან ბაზრის გაყოფის მცდელობა,რომელიც ანტიტრესტული კანონების დარღვევაა,მაშინაც კი,როცა ისინი არასწორი აღმოჩნდება.

ფაქტობრივი ინვესტიციები (actual investment)-კერძო ფირმათა ინვესტიციების რეალური მოცულობა;დაგეგმილი და დაუგეგმაები ინვესტიციების ტოლია.

ფაქტობრივი მიმდინარე ბიუჯეტი (actual budget)-ფედერალური მთავრობის ხარჯების ჯამი (საქონელთა და მომსახურების შესყიდვაზე,ასევე ტრანსფერტული გადასახდელები),შემოსული გადასახადების თანხის გამოკლებით ნებისმიერ (ბიუჯეტურ) წელს;ამასთან,შედეგი არ შეიძლება იმის კრიტერიუმი იყოს,ბიუჯეტური პოლიტიკა მოთხოვნის გაფართოების თუ შემცირებისკენაა მიმართული.

ფაქტობრივი რეზერვები (actual reserves)-ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკების დეპოზიტების თანხა-მოცემული რეგიონის ფედერალურ სარეზერვო ბანკში და ასევე საკასო ნაღდი ფული.

ფედერალური საავჭრო კომისია (Federal Trade Comission)-ფედერალური კანონის საფუძველზე 1914 წ. დაწესებული კომისია 5 კაცის შემადგენლობით,რომელიც შექმნილია ფირმათა მერ არაპატიოსანი კონკურენციის მეთოდების გამოსაძიებლად,ასეთი მეთოდებით გამოყენებაზე საჩივრების განხილვის ორგანიზებისთვის და დამრღვევი ფირმებისთვის წერილობით აკრძალავ მითითებათა დასაგზავნად.

ფედერალური საკონსულტაციო საბჭო (Federal Advisory Comitee)-კომერციული ბანკების მეთაურთა 12 კაციანი ჯგუფი,რომელიც კონსულტაციას უწევს ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს საბანკო პოლიტიკის პრობლემებზე.

ფედერალური სარეზერვო ბანკი (Federal Reserve Bank)-ნებისმიერი ბანკი აშშ 12 ბანკიდან,რომელთაც აშშ მთავრობის მიერ რწმუნება აქვთ გააკონტროლონ ფულის მიმოქცევა და შეასრულონ სხვა ფუნქციები.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკნოტა (Federal Reserve Note)-ქაღალდის ფული,რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკი უშვებს.

ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკების დეპოზიტები (member bank deposits)-დეპოზიტები,რომლებსაც ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკები ინახავენ ფედერალურ სარეზერვო ბანკებში.

ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკების რეზერვები (member bank reserves)-ფედერალური სარეზერვო - სისტემის წევრი ბანკების დეპოზიტები ფედერალურ სარეზერვო ბანკებში,ელუს მათი საკასო ნაღდი ფული.

ფერმერული პრობლემა (farm problem)-მრავალი ფერმერის შედარებით დაბალი შემოსავალი (ეკონომიკის არა სასოფლო სამეურნეო სექტორებთან შედარებით) და მათი შემოსავლების წლიდან წლამდე მკვეთრი მერყეობის ტენდენცია.

ფილიპსის მრუდი (Phillips curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს კავშირს უმუშევრობის დონესა (აბსცისთა ღერძზე) და ფასების ზრდის წლიურ ტემპს შორის (ორდინატთა ღერძზე).

ფირმა (firm)-ორგანიზაცია,რომელიც იყენებს რესურსებს საქონელთა და მომსახურ-ების საწარმოებლად,მოგების მიღების მიზნით,რომელიც ფლობს და მართავს ერთ ან რამდენიმე საწარმოს.

ფირმის მოკლევადიანი მიწოდების მრუდი (firm's short-run supply curve)-მრუდი,რომელიც გვიჩვენებს,საქონლის რაოდენობას,რომელსაც წმინდა კონკურენტული დარგის ფირმა მიაწვდის გასაყიდად,სხვადასხვა ფასებით მოკლევადიან პერიოდში;ფირმის მოკლევადიანი ზღვრული ხარჯების მრუდის ნაწილი,რომელიც საშუალო ცვალებადი ხარჯების მრუდის ზემოთ მდებარეობს.

ფირმის მოკლევადიანი მიწოდების მონაცემთა ცხრილი, გრაფიკი (firm's short-run supply schedule)-გრაფიკი,რომელიც გვიჩვენებს პროდუქტის იმ რაოდენობას,რომელსაც წმინდა კონკურენტული დარგის ფირმა მიაწვდის გასაყიდად,სხვადასხვა ფასით,მოკლე პერიოდის განმავლობაში;ფირმის მოკლევადიანი ზღვრული დანახარჯების გრაფიკის ნაწილი,რომელზეც ზღვრული ხარჯები საშუალო ცვალებადი ხარჯების ტოლია ან მასზე მეტია.

ფისკალური ბაჟი(revenue tariff)-ბაჟი,რომელიც შემოიტანება ფედერალური მთავრობის შემოავლების შეესების მიზნით.

ფისკალური,საფინანსო-ბიუჯეტური პოლიტიკა (fiscal policy)-ცვლილებები,რომელიც მთავრობას შეაქვს სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადებით დაბეგვრის წესში და მიმართულია სრული დასაქმების უზრუნველყოფისა და არაინფლაციური ეროვნული პროდუქტის წარმოებაზე.

ფისკალური ფედერალიზმი (fiscal federalism)-ტრანსფერტების (დოტაციათა) სისტემა,რომელია საფუძველზე ფედერალური მთავრობა თავის შემოსავლებს უნაწილებს შტატების მთავრობის და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს;შემოსავლების განაწილება.

ფიქსირებული სავალუტო კურსი (fixed exange rate)-ვალუტის კურსი,რომლის თავისუფალი გადიდება ან შემცირება არ დაიშვება.

„ფრირაიდერის“პრობლემა (free-rider probld) -იმ პირთათვის რომლებიც ქვეყანას უზრუნველყოფენ ეკონომიკურად სასურველი და გაუყოფადი საქონლით ან მომსახურებით,საზღაურის-მიღების შეუძლებლობა იმათგან, ვინც სარგებელს იღებს აღნიშნული საქონლისა და მომსახურებისაგან,იმის კვალობაზე, რომ გამონაკლისის პრინციპი მოცემულ შემთხვევაში გამოუყენებელია.

ფრიქციული უმუშევრობა (frictional unemployment)-უმუშევრობა,რომელიც დაკავშირებულია მუშათა მიერ სამუშაოს ნებაყოფლობით გამოცვლასთან და დროებითი განთავისუფლების პერიოდებთან.დროებითი დაუსაქმებლობა ერთი სამუშაოდან მეორეზე მუშაოა გადასვლის პერიოდებში.

ფულადი ბაზარი (money marcet)-ბაზარი,რომელზეც ფულზე მოთხოვნა და ფულის მიწოდება განსაზღვრავს სარგებლის განაკვეთს (ანუ სარგებლის განაკვეთის დონეს).

ფულადი გზავნილება (remittance)-სანუქარი ან დაუბრუნებელი სუბსიდია;გადასახდელი,რომლის სანაცვლოდ საქონელს და მომსახურებას არ ღებულობენ;ფული,რომელსაც ქვეყანაში ლეგალურად თუ არალეგალურად ჩამოსული მუშები უგზავნიან თავიანთ ოჯახებს იმ ქვეყანაში,საიდანაც ჩამოვიდნენ.

ფულადი კაპიტალი (money capital)-განკარგულებაში არსებული ფული,ინვესტი-ციურ საქონელთა შესაძენად.

ფულადი მულტიპლიკატორი (monetary mulriplier)-ჭარბი რეზერვის ნაწილი, რომლის გამოყენება კომერციული ბანკების სისტემას შეუძლია მიმოქცევაში ფულის მასისა და უვადო ანაბრების თანხის გადიდებისთვის ახალი სესხების შეთავაზების გზით (ან ფასიანი ქაღალდების შესყიდვით);ტოლია,ერთი შეფარდებული რეზერვის საკალდებულო ნორმაზე.

ფულადი პოლიტიკა იხ.საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა.

ფულადი შემოსავალი იხ.ნომინალური შემოსავალი.

ფულადი ხელფასი (money wage)-ფულის რაოდენობა,რომელსაც მუშა იღებს დროის ერთეულში (საათი,დღე და ა.შ.);ნომინალური ხელფასი.

ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრივ (asset demand for money)-ფულის რაოდენობა,რომლის შენახვაც ადამიანებს სურთ დანაზოგების (ფინანსური აქტივების რაოდენობა ფულადი ფორმით) სახით და რომელიც სარგებლის განაკვეთის დინამიკის უკუპროპორციულად იცვლება.

ფულზე მოთხოვნა გარიგებებისთვის (transactions demand for money)-ფულის რაოდენობა,რომელიც ადამიანებს სურს ჰქონდეთ მიმოქცევის

საშუალებათა სახით (გადასახდელების გადასახდელად) გამოსაყენებლად და რომელიც ნომინალური ეეპ-ის ცვლილების მიმართულებით იცვლება.

ფულზე საერთო მოთხოვნა (total demand for money)-გარიგებებისთვის ფულზე მოთხოვნისა და აქტივების მხრივ ფულზე მოთხოვნის ჯამი;თანაფარდობა ფულის რაოდენობაზე საერთო მოთხოვნასა,ნომინალურ ეეპ-სა და სარგებლის განაკვეთს შორის.

ფული (money)-ნებისმიერი საგანი,რომელსაც გამყიდველები,როგორც წესი,იღებენ თავიანთ საქონელსა და მომსახურებაზე გასაცვლელად.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე (velocity of money)-რიცხვის რაოდენობა წელიწადში,რამდენჯერაც მიმოქცევაში მყოფი დოლარი დაიხარჯება საქონელთა და მომსახურების შესაძენად.

ფულის მიწოდება, ფულის მასა მიმოქცევაში (money supply)-ეიწრო განმარტებით M1ფართო ფართო განმარტებით M2 და M3.

ფულის ღირებულება (value of money)-საქონელთა და მომსახურების რაოდენობა,რომელიც შეიძლება გაიცვალოს ფულის ერთეულზე (დოლარზე);ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარი;ფასების დონის შებრუნებული სიდიდე.

ფუნქციონალური დაფინანსება (functional finance)-ფისკალური პოლიტიკის გამოყენება არაინფლაციური წეპ-ის წარმოების უსრულველსაყოფად სრული დასაქმების პირობებში,სახელმწიფო ვალზე ამ პოლიტიკის ზემოქმედების დამოუკიდებლად.

ქალაქების გაწელვა (urban spraw)-მოსახლეობისა და ფირმათა მოძრაობა ქალაქის ცენტრიდან მის გარეუბნებში,და როგორც შედეგი.ქალაქის არეალის გეოგრაფიული გაფართოება.

ქაღალდის ფული (paper money)-ქაღალდის ნიშნები,რომელიც მიმოქცეის საშუალებათა სახით გამოიყენება;აშშ-ში-ფედერალური სარეზერვო ბანკების ბანკნოტები და სახაზინო ბილეთები.

ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი (international balance of payments)-გარიგებათა კრებსითი ბალანსი,რომელიც დადებულია მოცემული წლის განმაელობაში ერთი ქვეყნის ცალკეულ პირებს,ფირმებსა და სამთავრობო უწყებებსა და სხვა ქვეყნის იგივე წარმომადგენლებს შორის.

ქონებრივი გადასახადი, გადასახადი საკუთრებაზე (proporty tax)- გადასახადი საკუთრების (კაპიტალის,მიწის,აქციების,ობლიგაციების და სხვა აქტივების) ღირებულებაზე,რომლებსაც ფლობენ ფირმები და საოჯახო მეურნეობები.

ღია ბაზრის კომიტეტი (Open Marcet Comitee)-12 წევრისგან შემდგარი ჯგუფი,რომლებიც განსაზღვრავენ ფედერალური სარეზერვო ბანკების

პოლიტიკას,ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და გაყიდვის სფეროში.

ღია ეკონომიკა (open economy)-ქვეყნის ეკონომიკა,რომელიც ახორციელებს საქონელთა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს.

ღირებულებითი (ფასეულობრივი) მსჯელობა (value judgment)-მსჯელობა იმის შესახებ,რაც სასურველია და არასასურველი:მოსაზრება იმის შესახებ რაც უნდა იყოს და რა არ უნდა მოხდეს (იმის შესახებ რა სწორია და სამართლიანი და რა არასწორი და არასამართლიანი).

ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმი (most-favored-nation clause)-მუხლი აშშ საგაჭრო შეთანხმებაში სხვა ქვეყანასთან,რომელიც ითვალისწინებს,რომ ამ ქვეყნის იმპორტი აშშ-ში დაიბეგრება უფრო დაბალი ბაჟით, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნისა.

„ყვითელი ვალდებულება“(yellow-dog contract)-კონტრაქტი (ახლა უკვე უკანონო),რომლის მიხედვითაც მუშა ან მოსამსახურე სამუშაოზე ღაწყებისას ფირმას ვალდებულებას აძლევს არ შეერიოს პროფკავშირში,სანამ მოცემულ ფირმაში მუშაობს.

შავ სიებში შეტანა (blacklisting)-ერთი მეწარმის მიერ მეორისთვის იმ მუშების სიის გადაცემა,რომლებიც გამოდიან პროფკავშირების ჩამოყალიბების მომხრედ და რომლებიც არ უნდა მიიღონ სამუშაოზე.

შედარებითი დანახარჯები (comparative cost)-ერთი პროდუქტის წარმოების მოცულობა,რომლის შემცირებაც აუცილებელია მეორე პროდუქტის წარმოების გასადიდებლად.ფარული ხარჯები.

შედარებით ფასეულობათა დოქტრინა (comparable worth doctrine)-კონცეფცია, რომლის თანახმადაც ქალებმა მამაკაცების თანასწორი ჯილდოგირი (ხელფასი) უნდა მიიღონ,როდესაც მათი კვალიფიკაციის დონე,შრომის დაძაბულობა და პასუხისმგებლობა ერთნაირია დაკავებულ სამუშაო ადგილებზე.

შედარებითი უპირატესობები (comparative advantage)-შედარებით ან შეფარდებით უფრო დაბალი დანახარჯები,ვიდრე იგივე პროდუქტის სხვა მწარმოებელს გააჩნია.

შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited lability)-დანაკარგების წინასწარ დადგენილი ზღვარის მაქსიმალური შეზღუდვა;დანაკარგების მაქსიმალური რაოდენობა,რომელიც შეიძლება გასწიონ კორპორაციათა მფლობელებმა (აქციონერებმა),ტოლია მათ მიერ აქციის საკუთარი პაკეტისთვის გადახდილი თანხისა.

შეთანხმება, საიდუმლო მოლაპარაკება (collusion)-სიტუაცია,როდესაც ფირმები შეთანხმებულად მოქმედებენ.ყოველი მათგანის მიერ წარმოებული პროდუქტის მოცულობისა და ფასის ან გეოგრაფიული რაიონის დადგენის მიზნით,რომელშიც ყოველ ფირმას შეეძლება თავისი პროდუქციის გაყიდვა.

შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ (Disposable Income, DI)-პირად შემოსავალს გამოკლებული ინდივიდუალური გადასახადები;შემოსავალი,რომელიც შეიძლება გამოყენებულიქნას პირადი მოხმარებისა და პირადი დანაზოგების დანახარჯებისათვის.

შემოსავალი სარგებლის სახით (interest income)-შემოსავალი, რომელსაც ისინი იღებენ,ვინც ეკონომიკას უზრუნველყოფს კაპიტალით.

შემოსავალთან კავშირის არქონე გადასახდელები (nonincome charges)-საამორტიზაციო ანარიცხები და საწარმოთა არაპირდაპირი გადასახდელები.

შემოსავლის განაწილების ზღვრულ მწარმოებლურობაზე დამყარებული თეორია (marginal productivity theory of income distribution)-კონცეფცია, რომლის თანახმად შემოსავლების განაწილება საშუალოლიანია მაშინ,როდესაც ყოველი რესურსის თითოეული ერთეული ნაზღაურდება ფულადი თანხით,რომელიც რესურსის ამ ერთეულის ზღვრული წელილის ტოლია ფირმის ამონაგებში (ზღვრული პროდუქტი ფულად ფორმაში).

შემოსავლის ეფექტი (income effect)-ზემოქმედება,რომელსაც პროდუქტის ფასის ცვლილება ახდენს მომხმარებლის რეალურ შემოსავალზე (მსყიდველობით უნარზე) და,შესაბამისად,პროდუქტის რაოდენობაზე,რომელსაც მომხმარებელი შეიძენს,ეფექტის მხედველობაში მიღებით (არ მიღებით).

შემოსავლის ფუნქციონალური განაწილება (functional dXiribution of income)-ქვეყნის ეროვნული შემოსავლის იმათ შორის განაწილების ხერხი,რომლებიც ეკონომიკაში სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებს (ეკონომიკას უზრუნველყოფს რესურსების სხვადასხვა სახეებით);ეროვნული შემოსავლის დაყოფა ხელფასად და ჯამაგირად,დამოუკიდებლად დასაქმებულთა შემოსავლად,კორპორაციათა მოგებად,სარგებლად და რენტად.

შემოსავლის წრებრუნვა (circular flow of income)-რესურსების ნაკადები საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებში და პროდუქტებისა ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებში,რომლებსაც თან ახლავს ფულის ნაკადები საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებში და ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებში.

შემოსავლების დონის შენარჩუნების სისტემა (commercial backing system)-პროგრამები,რომლებიც მიზნად ისახავენ სიღარიბის ლიკვიდაციას და უთანასწორობის შემცირებას შემოსავლების განაწილებაში.

შემოსავლების პოლიტიკა (income policy)-პირად ფულად შემოსავლებზე (მუშათა ხელფასსე) და საქონელთა და მომსახურების ფასებზე,და ამით რეალურ პირად შემოსავლებზე ზემოქმედების საერთაერობო პოლიტიკა.

შემოსავლების სტაბილიზაციის ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკა (market-oriented income stabilization)-წინადადება,რომლის მიხედვითაც აგრარული პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს არა ფერმერთა

ფასებისა და შემოსაველების გადიდება.არამედ მათი სტაბილიზაცია;ფერმერული ფასებისა და შემოსაველების ფორმირება ხანგრძლივვადიან პერიოდში მოხდეს თავისუფალ ბაზარზე არსებული ტენდენციების ზემოქმედებით;მთავრობის დაკალდებულება.წლიდან წლამდე მოახდინოს ფერმერთა ფასებისა და შემოსავლების სტაბილიზაცია სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გზით,მაშინ,როდესაც მათი ფასი ეცემა მათი ხანგრძლივვადიანი ტენდენციების ქვმოთ და გაყიდოს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნაშეტი მაშინ,როდესაც მათი ფასები იზრდება ამ ტენდენციის ზევით.

შემოსავალი, რომელიც მთლიანად გამოიყენება სამომხმარებლო საჭიროებათა დასაფარავად (break-even income).-შემოსავალი გადასახადის გადახდის შემდეგ,რომელსაც საოჯახო მეურნეობები მთლიანად დახარჯავენ საქონელსა დსა მომსახურებაზე არაფერს დაიტოვებენ რა სამომავლოდ;გამომუშავებული შემოსავალი,რომლის დროსაც დახმარებათა გაცემა შემოსავლების დონის შენარჩუნების პროგრამის ფარგლებში ნულზე დაიყვანება.

შემოსავლების უთანაბრობა (income inequality)-ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შემოსავლის არათანაბარი განაწილება ცალკეულ პირებსა და ოჯახებს შორის.

შემნახველი ანაბარი (savings account)-ანაბარი დეპოზიტურ დაწესებულებაში,რომელსაც სარგებელი მოაქვს და ჩვეულებრივ შეიძლება ნებისმიერ დროს მოთხოვნილიქნას მეანაბრის მიერ (თუმცა დეპოზიტურ დაწესებულებას უფლება აქვს კანონიერ საფუძველზე მოითხოვოს ანაბრის ამოღების შესახებ შეტყობინება 14 დღით ადრე).

შემნახველი ანაბრების საბრუნავი ანგარიში (negotiable order of withdrawal account. NOW account)-ანგარიში (ანაბარი) გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციაში ან ურთიერთ-შემნახველ ბანკში,რომელზედაც შეიძლება გამოიწეროს ჩეკი და რომლითაც მეანაბრე სარგებელს მიიღებს.

შენაცვლების ეფექტი (substitution effect)-1) ზეგავლენა,რომელსაც სამომხმარებლო საქონლის ცვლილება ახდენს მის შედარებით სიძვირეზე,და შესაბამისად,საქონლის რაოდენობაზე,რომელსაც მომხმარებელი შეიძენს იმ პირობით,რომ მისი რეალური შემოსავალი უცვლელი დარჩება;2) ზეგავლენა,რომელსაც რესურსის ფასის ცვლილება მოახდენს ამ რესურსის რაოდენობაზე,რომელსაც ფირმა იყენებს იმ პირობით,რომ ფირმა არ შეცვლის თავისი წარმოების მოცულობას.

შემნახველი დაწესებულება (thrift institution, savings institution)-გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციები,ურთიერთ-შემნახველი ბანკი ან საკრედიტო კავშირი.

შენაცვლების ზღვრული ნორმა (marginal rate of substitution)-მომხმარებლის ზღვრული მზადყოფნა შეცვალოს ერთი საქონელი ან მომსახურება

მეორე საქონლით ან მომსახურებით,და ამასთან,მიღების იანაბარი კმაყოფილებაშე-ნაცელების ნორმა,რომელიც გაურბილეელობის მრუდის ტოლია.

„შეერ დრაფტის ანგარიში"(share draft account)-ანაბარი საკრედიტო კავ-შირში,რომელზეც შეიძლება გამოიწეროს ჩეკი და რომელსაც სარგებელი მოაქვს მეანბრე-ებისათვის (კავშირის წევრებისათვის).

შერეული კაპიტალიზმი (mixed capitalism)-ეკონომიკა,რომელშიც სამთავ-რობო და კერძო გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ რესურსების განაწილების სტრუქტურას.

შერმანის 1890წ. კანონი (Sherman Act)-ფედერალური ანტიტრესტული აქტი,რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადა მონოპოლია,ეაჭ-რობის შეზღუ-დვა,მონოპოლიის დაწესება და ეაჭრობის შეზღუდვა,ფირმათა კავშირის შექმნა და ამ მიზნით შეთქმულებაში შესვლა;კანონმა ფედერალურ მთავრობას ან დაზარალებულ მხარეს უფლება მისცა სასამართლო საქმე აღძრას იმათ წინააღმდეგ,ვინც ასეთ დანაშაულს ჩაიდენს.

შესწორება,რომელიც ბიუჯეტის დაბალანსებას ითვალისწი-ნებს (balanced-budget amendment)-აშშ კონსტიტუციის წარმოდგენილი შესწო-რება,რომელიც კონგრესს ყოველწლიური ფედერალური ბიუჯეტის დაბალანსებას ავალდებულებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited lability)-ზარალის მაქსიმა-ლური სიდიდის შეზღუდვა,წინასწარ დადგენილი ზღვარით;დანაკარგების მინიმა-ლური თანხა,რომელიც შეიძლება კორპორაციის მფლობელებმა (აქციონერებმა) გასწიოს და რომელიც მათ მიერ აქციის საკუთარი საკონტროლო პაკეტისთვის გადახდილი თანხის ტოლია

შეფასება საერთო ამონაგების მაჩვენებლის მიხედვით (total-re-venue test)-ანალიზი,რომლის მიზანია განსაზღვროს,მოთხოვნა ელასტიურია,არა-ელასტიური თუ ერთჯერადი ელასტიურობის,ნებისმიერ ფასს შორის ინტერვალ-ში;მოთხოვნა ელასტიურია (არაელასტიურია,ერთჯერადი ელასტიურობისაა) თუ საქონლის გამყიდველია საერთო ამონაგები იზრდება (მცირდება,უცველელი რჩება),როდესაც საქონლის ფასი მცირდება,ან თუ საერთო ამონაგები მცირდება (იზრდება,უცველელი რჩება),როდესაც საქონლის ფასი მაღლა იწევს.

შრომა (labor)-ადამიანთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები (ძალისხმევა),რომელიც შეიძლება გამოყენებულიქნას საქონელთა და მომსახუ-რების წარმოებაში.

შრომატევადი საქონელი (labor-intensive commodity)-პროდუქტი,რომ-ლის წარმოებაზე შედარებით დიდი რაოდენობის შრომა იხარჯება.

შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირების გეგმები (workfare plans)-სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა,რომელიც განსაკუთრებით ბავშვიან ოჯახებს მოიცავს და მიზნად ისახავს დახმარების მიმღებთ განათლებისა

და კვალიფიკაციის დონის ამაღლების საშუალება მისცეს,რათა მათ სახელმწიფო დახმარებაზე უარისთქმა შეძლონ და შემოსავალიანი სამუშაო მიიღონ.

შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველო (National Labor Relations. Board NLRB)-სამმართველო,რომელიც დაფუძნდა ვაგნერის 1935 წ.კანონის (შრომითი ურთიერთობების შესახებ კანონის) საფუძველზე და უფლებამოსილია გამოიძიოს არაპატიოსანი პრაქტიკა შრომით ურთიერთობებში,გამოსცეს მითითებები უკანონო ქმედების შეწყვეტის შესახებ და მოახდინოს კენჭისყრა მუშებსა და მოსამსახურეებს შორის იმის განსაზღვრისათვის,უნდათ თუ არა მათ წარმოდგენილი იყონ პროფკავშირით და სახელდობრ რომლით.

შრომითი სადაო საკითხების გადაჭრის პროცედურა (greiwance procedure)-პროფკავშირისა და ფირმის მიერ კონტაქტების მოწესრიგების მეთოდები,რომლებიც წარმოიშობიან მათ მიერ კოლექტიური ხელშეკრულების დადების მოქმედების პერიოდში.

შრომითი ღირებულების თეორია (labor theory of vaule)-მარქსისტული კონცეფცია,რომლის თანახმად ნებისმიერი საქონლის ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ მასზე დახარჯული შრომის რაოდენობით.

შრომის ამერიკული ფედერაცია (შაფ) (American Federation of Labor AFL)-საამქრო პროფკავშირთა ორგანიზაცია,რომელიც 1986 წ.შეიქმნა.

შრომის დანაწილება (division of labor)-შრომის დანაწილება რიგ ცალკეულ ოპერაციებად,რასაც სხვადასხვა მუშები ასრულებენ,და პროდუქტის წარმოება მოითხოვს;მუშათა სპეციალიზაცია.

შრომის მწარმოებლურობა (labor productivity)-პროდუქტის საერთო რაოდენობა,გაყოფილი მის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობაზე;შრომის საშუალო პროდუქტი,ანუ ერთი მუშის გამომუშავება ერთი საათის განმავლობაში.

შტატებსშორისი სავაჭრო კომისია (Interestate Cjmmerce Commission)-კომისია,რომელიც დაფუძნებულია 1987 წ.ფედერალური კანონის საფუძველზე,და დაკისრებული აქვს სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფების რეგულირება და აშშ რკინიგზებზე მგზავრთა მომსახურებაზე ზედამხედველობა.

შტრეიკბრეხერი (stricebreakher)-პირი რომელსაც ფირმა ქირაობს მისი მომუშავეების გაფიცვისას.

შუალედური მონაკვეთი (intermediane range)-ერთობლიეი მიწოდების მრუდის აღმავალი მონაკვეთი,რომელიც მის კეინსურ და კლასიკურ მონაკვეთებს შორის ძევს.

შუალედური საქონლები (intermediane goods)-საქონლები,რომლებიც შემდგომი გადაყიდვისათვის შეიძინება,პირველადი დამუშავებისა და მისგან მზა ნაკეთობის დასადებისათვის მოცემული წლის მანძილზე.

შტატის ბანკი (state bank)-კომერციული ბანკი,რომელიც შტატის ხელისუფლების ჩარტერი (ნებართვა) მიიღო საბანკო ოპერაციათა გატარების თაობაზე.

შუმპეტერ-გელბრეიტის თვალსაზრისი (ოლიგოპოლიის შესახებ)(Schumpeter-Galbraith view)-ამ ორი ეკონომისტის მოსაზრება იმის შესახებ,რომ სწრაფი ტექნიკური პროგრესისათვის აუცილებელია მსხვილი ოლიგოპოლისტური ფირმები (რამდენადაც მხოლოდ ამ ტიპის ფირმებს გააჩნიათ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის საშუალებები და სტიმულები).

ჩაშენებული სტაბილურობა (built-in stability)-ეკონომიკაზე არადისკრეციული ბიუჯეტური პოლიტიკის ზემოქმედება:წმინდა გადასახადების შეცვლა წეპ-ის ცვლილებისაგან პირდაპირი დამოკიდებულებით,წმინდა საგადასახადო შემოსულობათა შემცირე-ბის (გადიდების) მიზნით,რომელიც ხელს უწყობს უმუშევრობის დონის (ინფლაციური დაწოლის) შემცირებას რეცესიების (ინფლაციის) პერიოდში.

ჩეკების ინკასო (collection of checks)-ფულის გადატანა ჩეკის გამომწერი პირის ანგარიშიდან,ჩეკის მიმღები პირის ანგარიშზე;ხოლო სახელწოდება-ჩეკების კლირინგი.

ცალკეული კომერციული ბანკის სასესხო პოტენციალი (lending potential of an individual commercial bank)-თანხის რაოდენობა,რომლითაც ცალკეულ კომერციულ ბანკს შეუძლია რისკის გარეშე გაზარდოს ფულის მასა მიმოქცევაში,მოქალაქეებისა და ფირმებისათვის ახალი სესხების შეთავაზებით (ან მათგან ფასიანი ქაღალდების შესყიდვით);თანხა,რომელიც ამ კომერციული ბანკის ჭარბი რეზერვის ტოლია.

ცალკეულ პროფესიათა გადატვირთვის მოდელი იმ სოციალური ფენებით, რომელთაც პროფესიული დისკრიმინაცია განიცადეს (crowding model of occupational discrimination)-სამუშაო ძალის ბაზრების მოდელი,რომლის თანახმადაც ქალთა და ზანგების დისკრიმინაცია არ უშვებს მათ ზოგიერთ პროფესიებთან და აიძულებს თავი მოიყარონ სხვა პროფესიათა შეზღუდულ რაოდენობაში,რის შედეგადაც ამ უკანასკნელებში სამუშაო ძალის მეტისმეტი მიწოდება წარმოიქმნება (მასზე მოთხოვნასთან შედარებით),რომელიც დაბალ ხელფასს და დაბალ შემოსავლებს განაპირობებს.

ცენტრალური ბანკი (Central bank)-ბანკი,რომლის ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის ფულის მიმოქცევაში მისი მასის კონტროლი.

ცენტრისტი ამომრჩევლის მოდელი (median-voter model)-კონცეფცია,რომლის თანახმად უმეტესობის პრინციპის მოქმედების პირობებში ცენტრისტი ამომრჩეველი,რომელსაც შუალედური პოზიცია უჭირავს,გადამწყვეტი შესაძლებლობა გააჩნია არჩევნების ბედის განსაზღვრაში.

ცვალებადი რესურსი (variable resource)-ფირმის მიერ გამოყენებული ყოველგვარი რესურსი,რომლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს (შეიცვალოს).

ცვალებადი ხარჯები (variable cost)-დანახარჯები,რომელთა საერთო სიდიდე იზრდება (მცირდება),მაშინ,როცა ფირმა ზრდის თავისი წარმოების მოცულობას;დანახარჯები ცვალებად რესურსზე.

ციკლურად დაბალანსებადი ბიუჯეტი (cyclikaly balanced budget)-საქონელთა და მომსახურებაზე სამთავრობო ხარჯების მოცულობის თანატოლობა საგადასახადო შემოსულობათა მოცულობასთან,ეკონომიკური ციკლის ფარგლებში;საქმიანი აქტიურობის დაქვეითების პერიოდში წარმოშობილი ბიუჯეტური დეფიციტი კომპენსირდება აყვავებ-ის (ინფლაციის) პერიოდში ბიუჯეტური ნამეტით.

ციკლური დეფიციტი (.cyclical deficit)-ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი,რომელიც გამოწვეულია საქმიანი აქტივობის დაქვეითებით და ამით განპირობებუ-ლი,საგადასახადო შემოსულობათა შემცირებით.

ციკლური უმუშევრობა (cyclical unemployment)-უმუშეერობა,რომელსაც წარმოშობს ერთობლიეი ხარჯების არასაკმარისი მოცულობა.

ცხოვრების ღირებულების ზრდის შესწორება (cost-of-living adjustment. COLA)-მუშების შემოსავლების (ხელფასის) ავტომატური გადიდება იმ პირობებში,როდესაც ეკონომიკა ინფლაციის მდგომარეობაში იმყოფება,რაც გარანტირებულია მეწარმესთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულების მუხლით.

„ძვირი ფულის“პოლიტიკა (tight money policy)-ფულის მასის ზრდის შემცირება ან შეზღუდვა ქვეყანაში.

წარმოებითი პოტენციალი (potential output)-პროდუქციის (ეეპ) რეალური მოცულობა,რომლის გამოშვებაც ეკონომიკას შეუძლია არსებული რესურსების სრული გამოყენებით.

წარმოების ეფექტიანობა (productive efficincy)-საქონლის წარმოება უმცირესი დანახარჯებით: რესურსების მინიმალური რაოდენობის გამოყენება პროდუქციის მოცემული მოცულობის წარმოებისათვის;პროდუქციის მოცემული მოცულობის წარმოება მინიმალური საშუალო საერთო დანახარჯებით.

წარმოების ინფლაციური დაქვეითება (inflationary recesionl)-სტაგფლაცია.

წარმოების მასშტაბით განპირობებული ეკონომია, მასშტაბის დადებითი ეფექტი (economies of scale)-ფაქტორები,რომლებიც ხანგრძლივ-ვადიან პერიოდში აკლებენ წარმოების საშუალო დანახარჯებს,იმის კვალობაზე,თუ ფირმა როგორ ზრდის საწარმოს სიდიდეს (პროდუქციის მოცულობას);მასობრივი წარმოების ეფექტი.

წარმოების მასშტაბების ზრდით განპირობებული საგარეო ეკონომია; ეკონომიის საგარეო ფაქტორები (external economics of scale)-ფირმის დანახარჯების შემცირება პროდუქციის წარმოებასა და გასაღებაში მთელი დარგის გაფართოების (წარმოების მოცულობის ან ფირმათა რაოდენობის) შედეგად,რომელსაც მოცემული ფირმა ფიქრობს.

წარმოების მასშტაბების ზრდით განპირობებული საშინაო ეკონომია; ეკონომიის საშინაო ფაქტორები (~internal economics of scale)-ფირმის მიერ პროდუქციის წარმოების ან გასაღების დანახარჯების შემცირება წარმოების მოცულობის გადიდების შედეგად.

წარმოების კრიტიკული მოცულობის წერტილი (break-even point)-კონკურენტული ფირმის პროდუქციის ნებისმიერი მოცულობა,რომლის დროსაც დანახარჯთა საერთო თანხა და ამონაგების საერთო თანხა თანაბარია;პროდუქტის მოცულობა,როცა ფირმა არ ღებულობს ეკონომიკურ მოგებას და არ ზარალობს.

წარმოებული მოთხოვნა (derived demand)-საქონელსა ან მომსახურებაზე მოთხოვნა,რაც დამოკიდებულია სხვა საქონელზე ან მომსახურებაზე მოთხოვნისაგან;მოთხოვნა ნედლეულსა და მასალებზე,რაც დამოკიდებულია იმ პროდუქტებზე მოთხოვნასთან,რომლებიც შეიძლება დამზადდეს ამ ნედლეულისა და მასალებისაგან.

წარმოების სრული მოცულობა (full production)-საქონელთა და მომსახურების მაქსიმალური მოცულობა,რაც შეიძლება წარმოებულიქნას ეკონომიკაში გამოყენებული რესურსებისაგან;არსებული რესურსების სრული გამოყენება (ნაკლებგამოყენების არარსებობა).

წარმოების ფაქტორები (factors of production)-ეკონომიკური რესურსები:მიწა,კაპიტალი,შრომა,მეწარმეობითი უნარი.

წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდი (production possibilities curve)-მრუდი, რომელიც გვიჩვენებს ორი საქონლის ან მომსახურების სხვადასხვა კომბინაციებს,რომელიც შეიძლება წარმოებულიქნას ეკონომიკაში სრული დასაქმებისა და წარმოების სრული მოცულობის პირობებში,რესურსების მუდმივი და უცვლელი ტექნოლოგიით.

წარმოებრივ შესაძლებლობათა ცხრილი (production possibilities table)-ცხრილი,რომელიც გვიჩვენებს ორი საქონლის ან მომსახურების სხვადასხვა კომბინაციებს,რომლებიც შეიძლება წარმოებულიქნას სრული დასაქმებისა და წარმოების სრული მოცულობის პირობებში ეკონომიკაში,რესურსების მუდმივი მარაგებითა და უცვლელი ტექნოლოგიით.

წარმოების ხარჯების თანაფარდობა (cost ratio)-ერთი პროდუქტის წარმოების მოცულობის შემცირების შეფარდება მეორის წარმოების მოცულობის გადიდებაზე,როდესაც რესურსები პირველის წარმოებიდან მეორეზე გადაირთვება;ერთი პროდუქტის წარმოების მოცულობა მცირდე-

ბა.მაშინ,როცა მეორის წარმოების მოცულობა იზრდება პროდუქციის ერთეულზე.

წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ) (net national product ,NNP)-ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს გამოკლებული,წარმოებული პროდუქციის ნაწილი,რაც აუცილებელია პროდუქტის წარმოების პროცესში გაცვეთილი წარმოების საშუალებათა (საამორტიზაციო ანარიცხები) ასანაზღაურებლად.

წმინდა ეროვნული პროდუქტის რეალური მოცულობა (real national output)-წეპ,გამოხატული მუდმივ ფასებში (ე.ი. ფასების დონის ცვლილების გათვალისწინებით).

წმინდა საინვესტიციო შემოსავალი (net investment income)-შემოსავალი სარგებლისა და დივიდენდების სახით,რასაც ერთი ქვეყნის მოქალაქეები ღებულობენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებისაგან, იმ სარგებლისა და დივიდენდების გამოკლებით,რასაც მოცემული ქვეყნის მოქალაქეები უხდიან სხვა ქვეყნის მოქალაქეებს.

წმინდა კაპიტალიზმი (pure capitalism, Laissez faire capitalism)-ეკონომიკური სისტემა,რომელშიც მატერიალური რესურსები კერძო საკუთრებაა,ხოლო ბაზრები და ფასები ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციისა და წარმართვისათვის გამოიყენება.

წმინდა კონკურენცია (pure competetiom)-ბაზარი,სადაც მრავალი ფირმა ყიდის სტანდარტიზებულ საქონელს;შესვლა თავისუფალია,ინდივიდუალურ გამყიდველს საესებით არ შესწევს უნარი გააკონტროლოს მის მიერ გაყიდული საქონლის ფასი,არ არსებობს არასაფასო კონკურენცია;ბაზარი მყიდველთა ძალზე დიდი რაოდენობით.

წმინდა მოგება (pure profit)-ეკონომიკური მოგება

წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა (expeceted rate of net profits)-წლიური მოგება,რომლის მოღებასაც ფირმა ეარაუდობს კაპიტალის შეძენის (ინვესტირების) გზით,გამოსახული პროცენტებში,კაპიტალის (მასზე დანახარჯების) ღირებულების მიმართ.

წმინდა მონოპოლია (pure monopoly)-ბაზარი,რომელიც განასხვავებს შემდეგ თვისებებს: აქ ერთი ფირმა ყიდის ერთადერთ პროდუქტს (რომელსაც ახლო შემცვლელი არ გააჩნია);მასში შესვლა დახურულია;მასზე მოქმედი ფირმა მნიშვნელოვნად აკონტროლებს მის მიერ გაყიდული პროდუქტის ფასს;აქ შეიძლება მოქმედებდეს და შეიძლება არა,საფასო კონკურენცია.

წონასწორობითი ეროვნული პროდუქტი (eqwuilibrium national output)-რეალური ეროვნული პროდუქტი იმ წერტილში,სადაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ჰკვეთს ერთობლივი მიწოდების მრუდს.

წონასწორობითი მდგომარეობა (eqwuilibrium position)-წერტილი გრაფიკზე,რომელზედაც სამომხმარებლო მოთხოვნის მრუდი განურჩევლო-

ბის მრუდს ეხება იმ შემთხვევაში,როცა მომხმარებლის ქცევის თეორია განურჩევლობის მრუდთა პრინციპებზე ეყობა.

წონასწორობითი სიდიდე (eqwuilibrium quantity)-მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდე წონასწორობითი ფასის პირობებში კონკურენტულ ბაზარზე.

წონასწორობითი ფასი (eqwuilibrium price)-კონკურენტული ბაზრის ფასი,როცა მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდე ტოლია;ფასი,რომლის პირობებში არ არის საქონელთა და მომსახურების არც დეფიციტი და არც სიჭარბე;ფასი,რომელიც ზრდის ან შემცირების ტენდენციას გამოხატავს.

წრფის დახრილობა (slope of linc)-ვერტიკალური ცვლილების (გადიდების ან შემცირების) შეფარდება ჰორიზონტალზე (მონაკვეთის) ცვლილებასთან წრფის ორ წერტილს შორის გადაადგილებისას;წრფის აღმავალი დახრილობა დადებითია და პირდაპირ კავშირს ასახავს ორ ცვლადს შორის;წრფის დაღმავალი დახრილობა უარყო-ფითია და უკუკავშირს ასახავს ორ ცვლადს შორის.

წრფე 1/2 (45°) დახრილობით, ბისექტრისა (45° degree linc)-წრფე, რომელიც მიუთითებს წეპ-ისა (ბსცისთა ღერძზე) და ‘ ‘ ‘

ხანგრძლივვადიანი ფერმერული პრობლემა (long-run farm problem)-ერაკალ ფერმერთა შემოსავლების შემცირების ტენდენცია ქვეყნის ეკონომიკის დანარჩენი ნაწილის შემოსავლების დინამიკასთან შედარებით.

ხანგრძლივი გამოყენების საქონელი (durable good.)-საომხმარებლო საქონელი,რომლის სამსახურის (გამოყენების) ვადა ერთ წელზე მეტია.

ხანმოკლე გამოყენების საქონელი (nondurable good)-საომხმარებლო საქონელი ერთ წლამდე გამოყენების ვადით.

ხელფასის განაკვეთი (wage rate)-იხ.ხელფასი.

ხელფასისა და ფასის თანაფარდობის ელასტიურობა (price-wage flexibility)-საქონელთა ფასებისა და მუშათა ხელფასის ცვლილება;ფასისა და ხელფასის შემცირებისა და გადიდების უნარი.

ხელფასისა და ფასის ინფლაციური სპირალი (wage-price inflationary spiral)-ხელფასის განაკვეთების მოსატება,რომელიც ფასების მოსატებას განაპირობებს,ხოლო,უკანასკნელი,თავის მხრივ,ხელფასის განაკვეთებისა და ფასების შემდგომ ზრდას იწვევს.

ხელფასის ნომინალური განაკვეთი (nominal wage rate)-ფულადი ხელფასი.

ხელფასი (wage)-შრომის ფასი (შრომის მომსახურებისათვის) დროის ერთეულში (საათი,დღე და ა.შ.).

ხელფასის გადასახდელი (payrol tax)გადასახდელი სამუშაო ძალის დამქირავებლებმა,რომელიც მათ მიერ გადახდილი ხელფასისა და ჯამაგირის მთელი თანხის ან მისი ნაწილის განსაზღვრული პროცენტია.ასევე მომუშავეთა გადასახდელი,რომელიც მათ მიერ მიღებული ხელფასისა და ჯამაგირის მთელი თანხის ან მისი ნაწილის განსაზღვრული პროცენტია.

ხელფასის ორიენტირი (wage guidepost)-მეურნეობის ყველა დარგში ხელფასის ზრდის ყოველწლიური ტემპები უნდა შეესაბამებოდეს (ტოლი უნდა იყოს) ქვეყანაში მუშის საშუალო გამომუშავების გადიდების ტემპებს.

ხელფასისა და ფასების ორიენტირი (wage-price guidepost)-პოლიტიკა ხელფასისა და ფასების სფეროში,რომელიც დამოკიდებულია პროფკავშირებისა და ფირმების მიერ მისი ნებაყოფლობითი მხარდაჭერისაგან.

ხმის მიცემის პარადოქსები (paradox of voting)-სიტუაცია,რომლის დროსაც ხმის მიცემა უმრავლესობის პრინციპის საყოველთაოდ ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სურვილების ნამდვილი სტრუქტურის გამოვლენას საქონელთა და მომსახურების მიწოდების თაობაზე.

ხუთი ფუნდამენტური ეკონომიკური კითხვა (five fundamental economic questions)-ხუთი კითხვა, რომლებზედაც ყოველმა ეკონომიკამ უნდა გასცეს პასუხი: რა უნდა აწარმოოს, როგორ აწარმოოს,როგორ განაწილდეს წარმოების საერთო

მოცულობა, როგორ შეინარჩუნოს საერთო დასაქმება და როგორ უზრუნ-ველყოს ეკონომიკური სისტემის მოქნილობა.

ხურდა ფული (token money)-მონეტარული ნომინალური ღირებულება მეტია მის რეალურ ღირებულებაზე.

ჯარიმები ანარჩენების გადაყრისათვის (emission fees)-სპეციალური ჯარი-მები, რომლებითაც იბეგრება საწარმოები და პირები, რომლებიც წარმოების ანარჩენებს ყრიან და გარემოს ანაგვიანებენ.

ჯენტლმენური შეთანხმება (gentliman's agreement)-არაოფიციალური მოლაპარაკება ოლიგოპოლისტური დარგის ფირმებს შორის ფასების დაწესების შესახებ.

ჰემფრი-ჰოუკინსის 1978 წ.კანონი (Humphrey_Hawcins Act)-კანონი სრული დასაქმებისა და ეკონომიკის დაბალანსებული ზრდის შესახებ.

ჰიპერინფლაცია (hyperinflation) ფასების დონის ძალზე სწრაფი ზრდა.

ჰომოგენური, ერთგვაროვანი ოლიგოპოლია (homogeneous oligopoly)-ოლიგოპოლია, რომელშიც ფირმები სტანდარტიზებულ საქონელს აწარმოებენ.

ჰორიზონტალური გაერთიანება (horizontal combination)-საწარმოთა ჯგუფი,რომლებიც წარმოების ერთი და იგივე სტადიებს ახორციელებენ და ერთი ფირმის საკუთრებაა.

ჰორიზონტალური შერწყმა (horizontal merger)-ერთი და იგივე ნაკეთობის მწარმოებელ ფირმათა ერთ ფირმად შერწყმა.

ბოლოსიტყვაობის მაგიერ

ამ წიგნით დამთავრდა ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის თეორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური სახელმძღვანელოს, მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი ავტორების, კ. მაკკონელისა და ს. ბრიუს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელმძღვანელოს, ეკონომიკის თარგმნა და ქართულ ენაზე გამოცემა. შესრულდა კოლოსალური სამუშაო, რის შედეგადაც ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა უფრო ახლოს გაეცნოს ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ზოგად კანონზომიერებებს და მიუსადაგოს იგი ქართულ სინამდვილეს, გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პროცესში.

ამ მასშტაბის სამუშაოს შესრულება ადვილი როდია და მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორშიც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა. მაგრამ ყველაფერი ეს დაძლეულიქნა და მკითხველის სამსჯავროზეა ხსენებული სახელმძღვანელოს თარგმანის ოთხტომეული, თითქმის 130 ნაბეჭდი თაბახის საერთო მოცულობით. მუშაობას ისიც ართულებდა, რომ ასეთი სახის სახელმძღვანელო პირველად გამოდის ქართულ ენაზე და ბევრი ცნება ოუ ტერმინი პირველად შედის მეცნიერულ ბრუნვაში, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. ამასთან, მათ შორის ბევრი იყო ისეთებიც, რომლებიც არ იყო იმანენტური ადმინისტრაციულ მბრძანებლური ეკონომიკისათვის. ამ მიზეზის გამო, თარგმანი, ცხადია, ვერ იქნება დაზღვეული გარკვეული ხარვეზებისაგან. მაგრამ, ვფიქრობთ მადლიერი ქართველი მკითხველი გაგებით მოეკიდება ყოველივეს და კოლეგიალურად მიგვითითებს იმ შეცდომებზე, რომლებსაც თარგმანში შეხვდება.ვინ იცის, იქნებ ერთ-ორ წელიწადში ისე მოღონიერდეს ჩვენი ეკონომიკა, რომ მკითხველთა ფართო აუდიტორია უფრო მსყიდველობითუნარიანი გახდეს და საჭირო შეიქნეს მისი ხელმეორე გამოცემა. მაშინ კი უდაოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს ყოველი თქვენი გონივრული რჩევა.

მეორე ხელისშემშლელი პირობა ის გახლდათ,რომ თარგმანი რუსული ვარიანტიდან შესრულდა. ეს კი,ცხადია,კარგი ცხოვრებით როდი იყო გამოწვეული. საქმე ისაა,რომ ჯერ კიდევ 1991 წელს,როდესაც დაიწყო სოციალიზმისა და მისი პოლიტიკური ეკონომიის კრიზისი, ჩვენ გამოსავალი დასავლეთის ქვეყნების ფუნდამენტური ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოთა ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემაში ვნახეთ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით დიდი ბრიტანეთიდან მივიღეთ პ.სამუელსონისა და ვ. ნორდჰაუსის

ეკონომიკსის უკანასკნელი გამოცემა,რაც გადავეცით მიარგმნელობით ცენტრს. მაგრამ ინგლისური ენიდან ვერ მოხერხდა მისი კვალიფიციური თარგმნა.ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი, რუსული ვარიანტიდან მისი თარგმნა აღმოჩნდა. ამას შესაძლოა ზოგიერთი შეცდომებიც კი გამოეწვია,მაგრამ,მიგვაჩნდა და მიგვაჩნია,რომ სულ არარაობას ასეთი თარგმანიც კი ჯობია.არ შეიძლება, რომ ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა არ იცნობდეს ფუნდამენტური ეკონომიკური თეორიის მსოფლიოში ერთთერთ საუკეთესო სახელმძღვანელოს.

მადლიერი მკითხველის გონივრული, საქმიანი და მეგობრული რჩევები ჩვენთვის ახალი იმპულსი იქნება,მომავალში სტუდენტი ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვანი თარგმანებისა თუ ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საქმეში.

ჩვენ დიდი მადლიერების გრძნობით მივიღებთ, ნებისმიერ შენიშვნას და რჩევებს,რაც მუშაობის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. ამასთან, დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველა იმათ, ვინც მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა გაგვიწია ამ ოთხტომეულის თარგმნასა და გამოცემაში.

გთხოვთ შენიშვნები და წინადადებები გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:ქ.თბილისი,მ.კოსტავას ქუჩა N75,საქართველოს ტექნიკური უნივერ სიტეტი,IX კორპუსი, IV სართული, ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა.

პასუხისმგებელი რედაქტორი, პროფესორი

კარლო ღურწკაია

შინაარსი

თავი ოცდამეთოთხმეტე

ანტიტრესტული კანონმდებლობა და რეგულირება

მსხვილი კომპანია და მონოპოლია 3
მეწარმეობითი მონოპოლია:სიკეთე თუ ბოროტება? 5
მეწარმეობითი მონოპოლიის საწინააღმდეგო არგუმენტები ..... –
მეწარმეობითი მონოპოლიის გამართლებები 7
ანტიტრესტული კანონები 9
ისტორიული წანამძღვრები ..... –
შერმანის 1890წ. კანონი 10
კლეიტონის 1914წ.კანონი 11
ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ 1914წ. კანონი 12
სელერ-კეფოვერის 1950წ. კანონი 13
ანტიტრესტული კანონმდებლობა:შედეგები და ზეგავლენა ..... –
ქცევა თუ სტრუქტურა? 14
ბაზრის განმარტება 15
ეფექტიანობა 16
კონკურენციის შეზღუდვა 18
ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება 20
ბუნებრივი მონოპოლია ..... –
პრობლემები 22
ლეგალური კარტელის თეორია 24
დერეგულირება:შემთხვევა ავიაკომპანიებთან 25
პოლემიკა 26
ავიაკომპანიათა დერეგულირების შედეგები ..... –
„ახალი“სოციალური რეგულირება 30
დამახასიათებელი ნიშნები 31
დანახარჯები და კრიტიკული შენიშვნები ..... –
ეკონომიკური მნიშვნელობა 34

სოციალური ოცგულირების მხარდასაჭერად 35
ბოლო შტრიხი.სჭირდება თუ არა აშშ-ს სამრეწველო პოლიტ-
..... 42

[illegible] ცდამეთხუთმეტე

სოფლის მეურნეობა:ფერმერული პრობლემა

[illegible] პრობლემის ისტორია 46
ფერმერული შემოსავლები და მათ შორის განსხვავებები 49
ფერმერულ პრობლემათა მიზეზები:მოკლევადიანი და გრძელ-
ვადიანი პერიოდები 53
ხანგრძლივვადიანი პრობლემა:დაბალი შემოსავლები ..... [illegible]
მოკლევადიანი პრობლემა:შემოსავლების არასტაბილურობა 61
განზოგადება 66
სოფლის მეურნეობა და ეკონომიკური ზრდა 67
[illegible] პოლიტიკის ლოგიკური დასაბუთება 68
[illegible] ბოლო სამეურნეო პოლიტიკა:ფასების პარიტეტი და მისი
[illegible] 69
ნამდვილი მიზეზი:პარიტეტის კონცეფცია 71
შენარჩუნებადი ფასები 73
ბრძოლა ნამეტებთან 75
სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა გზაგასაყარზე? 77
რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა 78
შემოსავლების სტაბილიზაციის ბაზარზე ორიენტირებული პოლი-
ტიკა 81
არა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელობა 82
გლობალური შეხედულება:ლხინი თუ შიმშილი? 83
ბოლო შტრიხი.შაქრის სამამულო პროგრამის საერთაშორისო
მნიშვნელობა 89

თავი ოცდამეთექვსმეტე

ქალაქის ეკონომიკა:საქალაქო პრობლემები 92

რატომ ვითარდებიან ქალაქები? 93
საერთო კითხვა:სად ვაწარმოოთ? 94
კერძო კითხვა:აგლომერაციით განპირობებული ეკონომია 95
მოთხოვნის ფაქტორის გათვალისწინება 102
მადეზინტეგრირებელი ძალები..... 103
გაქცევა გარეუბნებში:ქალაქების გაწელვა 104
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფრაგმენტაცია..... 106
ეკონომიკური დისბალანსი და კუმულიატივური დაქვეითება 107
ქალაქი-ცენტრის გეტო..... 110
ადამიანისეული ასპექტი:სიღარიბის შემსუბუქება გეტოში..... 111
მატერიალური ასპექტი:საბინაო პრობლემა და ქალაქების განახლ-
ება..... 115
სატრანსპორტო პრობლემა 119
საქალაქო ტრანსპორტის სრულყოფა 121
მოკლევადიანი პრობლემა:მოსარგებლეთაგან მოსაკრებლის აკრე-
ფა და პიკური ფასწარმოქმნა 122
ხანგრძლივვადიანი პრობლემა:საზოგადოებრივი ტრანსპორტი 124
გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა:გამჭუჭყიანებელი საზოგადო-
ება? 125
პრობლემის მასშტაბები..... –
მიზეზები:სანედლეულო ბალანსების მეთოდი..... –
გარემოს გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის პოლიტიკა 128
ქალაქის პრობლემათა გადაჭრა:წანამძღვრები 130
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონსოლიდაცია..... –
ბოლო შტრიხი.დამნაშავეობის ეკონომიკა..... 141

თავი ოცდამეჩვიდმეტე

შემოსავლის განაწილება:უთანაბრობა და სიღარიბე

შემოსავლების უთანაბრობა:რეალური ფაქტები 146
პირადი შემოსავლის განაწილება 147
ტენდენციები შემოსავლების უთანაბრობაში..... 149

ლორენცის მრუდი 150
ალტერნატიული განმარტებები 152
შემოსავლის გაფართოებული კონცეფცია ..... -
შემოსავლის საერთო მოცულობა მთელი სიცოცხლის მანძილზე 153
მთავრობა და გადანაწილება 154
შემოსავლების უთანაბრობა:მიზეზები 155
თანასწორობა ეფექტიანობის წინააღმდეგ 159
თანასწორობის მომხრე არგუმენტი:სარგებლიანობის მაქსიმიზება-
არგუმენტები უთანაბრობის სასარგებლოდ:სტიმულები და
ეფექტიანობა 161
თანაფარდობა შემოსავლების თანასწორობასა და ეფექტიანობას
შორის 162
სიღარიბის პირქუში სურათი 164
სიღარიბის განსაზღვრა ..... -
ვინ არიან ღარიბები? ..... -
სიღარიბის დინამიკა 166
„უხილავი“ღარიბები ..... -
დისკრიმინაცია და სიღარიბე 168
შემოსავლების დონის შენარჩუნების სისტემა ..... -
ხანდაზმულობის,შრომისუუნაროთა ... დაზღვეული მარჩენალის
დამკარგავ სარჩენთა დაზღვევა და მედიკერი 169
უმუშეერობის დახმარება 170
სახელმწიფო დახმარების პროგრამები 172
„აურზაური საქველმოქმედო პროგრამების გარშემო“ 173
სისტემის გარდაქმნის წინადადებები 175
ნეგატიური საშემოსავლო გადასახადი ..... -
შრომით საქმიანობაზე გადასვლის სტიმულირების გეგმები 179
ბოლო შტრიხი.საქველმოქმედო სისტემის რეფორმა:ოჯახებისადმი
დახმარების 1988წ.კანონი 185

თავი ოცდამეთვრამეტე

სამუშაო ძალის ბაზრის პრობლემები:პროფკავ-შირული მოძრაობა, დისკრიმინაცია და იმიგრაცია

ამერიკული პროფკავშირული მოძრაობის მოკლე ისტორია 190
ჩახშობის ფაზა (1970-1930წწ.) ... 191
მხარდაჭერის ფაზა (1930-1947წწ.) ... 198
ჩარევის ფაზა (1947 წლიდან დღემდე) ... 200
პროფკავშირული მოძრაობის დაქვეითება ... 243
კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება ... 207
კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პროცედურა ... –
შრომითი შეთანხმება ... 207
პროფკავშირთა ზეგავლენა ეკონომიკაზე ... 211
უპირატესობები ხელფასში პროფკავშირის წევრებისათვის ... 221
ეფექტიანობა და მწარმოებლურობა ... 215
შემოსავლების განაწილება ... 223
პროფკავშირები და ინფლაცია ... 224
დისკრიმინაცია ... 228
დისკრიმინაციის მასშტაბები ... –
პროფესიული სეგრეგაცია:გადატვირთვის მოდელი ... 230
დისკრიმინაციის დანახარჯები ... 233
დამატებები ... –
იმიგრაცია ... 235
ისტორია და პოლიტიკა ... 236
იმიგრაციის ეკონომიკური ასპექტები ... 238
გართულებები და მოდიფიკაცია ... 240
ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორები ... 243
ბოლო შტრიხი.საიმიგრაციო კანონმდებლობის რეფორმა:სიმპსონ-
-როდინოს კანონი ... 210

ნაწილი მეშვიდე

ეკონომიკის საერთაშორისო ასპექტები და მსოფლიო მეურნეობა

თავი ოცდამეცხრამეტე

საერთაშორისო ვაჭრობა:შედარებითი უპირატესობები და პროტექციონიზმი 253
საერთაშორისო ვაჭრობის როლი ..... –
მოცულობა და სტრუქტურა ..... –
მნიშვნელოვანი თავისებურებები 257
ვაჭრობის ეკონომიკური საფუძველი 258
სპეციალიზაცია და შედარებითი უპირატესობები 260
ძირითადი პრინციპი ..... –
ორი იზოლირებული ქვეყანა ..... –
შედარებითი უპირატესობა როგორც სპეციალიზაციის ორიენ-ტირი 263
ვაჭრობის პირობები 264
ვაჭრობით მიღებული მოგება 266
მზარდი დანახარჯები 269
კიდევ ერთხელ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 271
სავაჭრო ბარიერები 272
მოტივაცია:განსაკუთრებულ ინტერესთა ეფექტი 273
ტარიფების შემოღების ეკონომიკური შედეგები 273
მოსაზრებები პროტექციონიზმის სასარგებლოდ:კრიტიკული მიმოხილვა 277
თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა 278
შიდა დასაქმების გადიდება 279
დივერსიფიკაცია სტაბილურობის მიზნით 281
ახალი დარგების დაცვა ..... –
დემპინგისაგან დაცვა 283
იაფი უცხოური სამუშაო ძალა 284
ზოგიერთი შედეგები 285
საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა 286
კანონი ურთიერთექვივალენტური ვაჭრობის შესახებ და გენერა-ლური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 288
ეკონომიკური ინტეგრაცია 290
პროტექციონიზმის აღორძინება 291
ბოლო შტრიხი.სანთლების მწარმოებელთა 1845წ.პეტიცია 302

თავი მეორმოცე

სავალუტი კურსები,საგადასახდელო ბალანსი და ვაჭრობის „კრიზისი“

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება 305
ამერიკული საექსპორტო ოპერაციები..... 306
ამერიკული საიმპორტო ოპერაციები 307
ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი 310
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში..... –
კაპიტალთა მოძრაობის ანგარიში 313
ურთიერთკავშირები 314
ოფიციალური რეზერვები..... 315
საგადასახდელო ბალანსების დეფიციტები და აქტივები..... 316
დეფიციტები და აქტივები:თუ ცუდია კარგი ?..... 376
სავალუტო სისტემები და საგადასახდელო ბალანსის კორექტი-
რება 318
თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსები..... –
ფიქსირებული სავალუტო კურსები..... 327
სავალუტო კურსების საერთაშორისო სისტემები..... 332
ოქროს სტანდარტი:ფიქსირებული სავალუტო კურსები ..... -
ბრეტონ-ვუდის სისტემა 338
მართვადი ცურვა..... 343
საგარეო ვაჭრობის „კრიზისი“?..... 376
სავაჭრო დეფიციტის მიზეზები 348
აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის შედეგები..... 352
აშშ საგარეო სავაჭრო დეფიციტის შემცირების ღონისძიებები .. 343
ბოლო შტრიხი.ტოკიოში 150 დოლარად..... 362

თავი ორმოცდამეერთე

ეკონომიკური ზრდა და ჩამორჩენილი ქვეყნები

მდიდრები და ღარიბები 366
ეკონომიკური ზრდა,დაქვეითება და განსხვავებანიშემოსავლებში369
შედეგები 370
სიღარიბის გადალახვით ..... –
ბუნებრივი რესურსები 377
შრომითი რესურსები 373
კაპიტალის დაგროვება 378
ტექნიკური პროგრესი 383
სოციო-კულტურული და ინსტიტუციონალური ფაქტორები 385
დასკვნა: მოჯადოებული წრე 388
სახელმწიფოს როლი 390
აქტიური როლი ..... –
სახელმწიფო სექტორის პრობლემები 392
განვითარებული ქვეყნების როლი 393
ვაჭრობის ზრდა ..... –
უცხოური დახმარება:სახელმწიფო სესხები და სუბსიდიები 394
კერძო კაპიტალის მოდენა 396
ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საგალო კრიზისი ..... –
სესხის სიდიდე და დინამიკა 397
კრიზისის მიზეზები 398
ეკონომიკური შედეგები 401
არსებობს თუ არა გადაწყვეტა? 402
„ახალი ეკონომიკური წესრიგისაკენ?“ 403
ბოლო შტრიხი.შიმშილი აფრიკის ქვეყნებში 411
ცნებებისა და ტერმინების ლექსიკონი 416
ბოლოსიტბვაობის მაგიერ 496
სარჩევი 498

შეკ. №246 ტირ.1000 ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში
თბილისი, კოსტავას 14